მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული

რუსეთის ისტორია

XX საუკუნე

ნაწილი პირველი
1900-1937

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2005

უაკ (UDC) 9470
3265

წინამდებარე სახელმძღვანელო მოქმედი სასწავლო პროგრამის მიხედვითაა შედგენილი. მასში განხილულია რუსეთის ისტორია 1900 წლიდან 1937 წლამდე. სახელმძღვანელო ეყრდნობა უახლეს გამოკვლევებსა და დოკუმენტური მასალების პუბლიკაციებს. მასში შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია ის მეთოდური სიახლენი, რაც რუსეთის ისტორიის სწავლებაში დამკვიდრდა ბოლო ხანებში.

განკუთვნილია სტუდენტების, ასპირანტებისა და, საერთოდ, რუსეთის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი **პროფ. დიმიტრი შველიძე**

რეცენზენტები: **პროფ. ნინო ჩიქოვანი**

დოც. რამაზ ვაჟბედაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეთოდსაბჭოს მიერ რეკომენდებულია
სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005
ISBN 99940 – 38-19-2 (ორივე ნაწილის)
ISBN 99940 – 38-26-5 (პირველი ნაწილის)

ავტორებისაგან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსეთის ისტორიის სწავლებას დიდი ტრადიცია აქვს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორ მიხეილ პოლიეექტოვის ღვაწლი, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა საგანგებოდ მოიწვია თბილისის უნივერსიტეტში. რუსეთის ისტორიის, როგორც სასწავლო დისციპლინის ჩამოყალიბებასა და ამ პროფილით სპეციალისტთა მომზადების საქმეში დიდი როლი შეასრულეს მიხეილ პოლიეექტოვმა, ალექსანდრე ფირცხალაიშვილმა, გიორგი ხაჭაპურიძემ, იასონ ხუციშვილმა, იასე ცინცაძემ, აკაკი სურგულაძემ, ვალერიან მაჭარაძემ, ავთანდილ მენთეშაშვილმა და სხვებმა. ათწლეულების მანძილზე დაგროვილი გამოცდილების კვალობაზე შეიქმნა პირველი სახელმძღვანელოები. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს საფუძველი ჩაუყარეს პროფესორმა იასე ცინცაძემ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა აკაკი სურგულაძემ. მათ მიერ რამდენიმე ათეული წლის წინ შექმნილი სახელმძღვანელოებით დღესაც სარგებლობს სტუდენტობა.

კომუნისტური იდეოლოგიის კრახმა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლამ აუცილებელი გახადა რუსეთის ისტორიაში ახალი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების შექმნა. რუსეთის ისტორიის კათედრას განზრახული აქვს რუსეთის ისტორიის დისციპლინაში სახელმძღვანელო გამოსცეს სამ ტომად. პირველი ტომი მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან 1801 წლამდე, მეორე – XIX საუკუნეს, მესამე – XX საუკუნეს (გამოდის ორ ნაწილად).

თავი I. რუსეთის მოსახლეობა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგს

1. მოსახლეობის ზრდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერიის მოსახლეობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1858 წელს მოსახლეობის რაოდენობა 68 მილიონს უდრიდა, 1897 წლისათვის — 116 მილიონს, ხოლო 1914 წლისათვის — 163 მილიონს (მოსახლეობის ზრდა ნაჩვენებია ფინეთისა და პოლონეთის მოსახლეობის გარეშე). იმპერიის მოსახლეობა იზრდებოდა როგორც შობადობის ამაღლების, ისე სიკვდილიანობის შემცირების ხარჯზე. აღნიშნულ პერიოდში იმატა ქალაქის მოსახლეობის რაოდენობამ. 1858 წელს ქალაქებში ცხოვრობდა მთელი მოსახლეობის 9,2%, 1897 წელს — 12,5%, ხოლო 1914 წელს — 14,3%. 1897 წლისათვის რუსეთის იმპერიაში 865 ქალაქი და 1600 ქალაქის ტიპის დასახლება არსებობდა. თუ 1863 წელს რუსეთის იმპერიაში მხოლოდ 3 ქალაქის მოსახლეობა აღემატებოდა 100 ათასს, 1897 წლისათვის უკვე 17 ასეთი ქალაქი არსებობდა, 1914 წლისათვის კი — 29. 1914 წელს 29 დიდ ქალაქში 9,4 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, რაც ქალაქის მთელი მოსახლეობის 40%-ს უდრიდა. 1914 წელს პეტრბურგში ცხოვრობდა2,3 მილიონი, ხოლო მოსკოვში — 1,6 მილიონი ადამიანი. რუსეთის იმპერიის მთელი მოსახლეობის 80% სოფლად ცხოვრობდა.

2. მოსახლეობის მიგრაცია. რუსეთის იმპერიის ყველა რეგიონი ერთნაირად არ ყოფილა დასახლებული. ქვეყნის ჩრდილოეთში მოსახლეობის სიმჭიდროვე გაცილებით ნაკლები იყო ცენტრალურ რეგიონებთან შედარებით, ხოლო იმპერიის აზიური ნაწილი თითქმის ნახევრად დაუსახლებელი რჩებოდა. თუ XIX საუკუნის 60-90-იან წლებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა რუსეთის ევროპული ნაწილის — **ნოვოროსიის, კავკასიის მთისწინეთისა და ქვემო ვოლგისპირეთის** — დასახლება, 90-იანი წლების დასასრულიდან ინტენსიურად დაიწყო იმპერიის აზიური ტერიტორიის — ციმბირისა და ჩრდილო ყაზახეთის სტეპის ზონის ათვისება. 1860-1914 წლებში რუსეთის ცენტრალური და დასავლეთის გუბერნიების მოსახლეობა 90%-ით გაიზარდა, მაშინ როცა იმავე პერიოდში კავკასიის მთისწინეთში მოსახლეობამ 700%-ით, ნოვოროსიაში 340%-ით, ციმბირში 300%-ით, ხოლო ქვემო ვოლგისპირეთში 250%-ით იმატა. სულ 1897-1914 წლებში ცენტრალური რეგიონებიდან იმპერიის განაპირა მხარეებში 6 მილიონზე მეტი კაცი გადასახლდა. გადასახლების პროცესს ხელისუფლება არეგულირებდა, თუმცა იყო თვითნებური გადასახლების შემთხვევებიც.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ხელისუფლების ნებართვის გარეშე შემოდიოდნენ და სახლდებოდნენ სხვა ქვეყნების ქვეშევრდომები. მაგალითად, 1890-1914 წლებში ციმბირში თვითნებურად დასახლდა 200 ათასზე მეტი ჩინელი და კორეელი. ჩინელები სახლდებოდნენ შუა აზიის ტერიტორიაზეც. იმავდროულად რუსეთის იმპერიის მოსახლეობაც გაედინებოდა სხვა ქვეყნებში. 1900-1913 წელს რუსეთიდან სხვა ქვეყნებში გადასახლდა 3 მილიონი ადამიანი. მათი უდიდესი ნაწილი (2,7 მილიონი ადამიანი) **ამერიკის შეერთებულ შტატებში** დასახლდა, დანარჩენი კი — **კანადაში, შვეიცარიაში, გერმანიასა** და სხვა ქვეყნებში. ემიგრანტთა შორის ჭარბობდნენ **ებრაელები** (41%) და **პოლონელები** (29%), შემდეგ მოდიოდნენ: **ლიტველები** და **ლატვიელები** (9%), **ფინელები** და **ესტონელები** (7%), **გერმანელები** (6%), **რუსები, უკრაინელები** და **ბელორუსები** (7%).

რუსეთის იმპერიაში მაღალი იყო როგორც შობადობის, ისე სიკვდილიანობის მაჩვენებელი. სწორედ ამან განსაზღვრა მოსახლეობაში თაობათა ასეთი შეფარდება. 1897 წლისათვის იმპერიის მთელი მოსახლეობის 33%-ს შეადგენდა 14 წლამდე ბავშვები, 32%-ს — 14 წლიდან 32 წლამდე მცხოვრებნი, ხოლო 7%-ს — 60 წელს გადაცილებული მოხუცები. ამდენად, შრომისუნარიანი მოსახლეობა (14 წლიდან 60 წლამდე ასაკის) მთელი მოსახლეობის 60%-ს უდრიდა.

3. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. XX საუკუნის დამდეგისათვის რუსეთის იმპერიაში დაახლოებით 200 ერი და ეროვნება ცხოვრობდა. 1897 წლის აღწერის მიხედვით იმპერიაში 146 ენა და დიალექტი არსებობდა. მოსახლეობის უდიდეს ნაწილს სლავები შეადგენდნენ, რომლებიც 16 ენასა და დიალექტზე საუბრობდნენ. 1917 წლამდე ტერმინი **„რუსი“** გამოიყენებოდა როგორც საერთო სახელწოდება სამი აღმოსავლეთსლავური ხალხისა — **რუსების** (**ველიკოროსების**), **უკრაინელებისა** (**მალო-**

როსებისა) და ბელორუსებისა (ბელოროსებისა). ველიკოროსების რაოდენობა 1897 წლის აღწერის მიხედვით უდრიდა 55,4 მილიონს (47,8%), მალოროსებისა — 22 მილიონს (19%), ბელოროსებისა — 5,9 მილიონს (6,1%). მთლიანად კი ისინი შედგენდნენ 83,3 მილიონს, ანუ მთელი მოსახლეობის 71,9%-ს. სხვა სლავი ხალხებიდან რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ: პოლონელები, სერბები, ბულგარელები, ჩეხები და სხვ. სლავი ხალხების შემდეგ იმპერიის ტერიტორიაზე ყველაზე მრავალრიცხოვანი თურქული მოდგმის ხალხები იყვნენ — 4 მილიონი ყაზახი და 3,7 მილიონი თათარი. გარდა ამისა, რუსეთის იმპერიაში ცხოვრობდა 3,8 მილიონი ებრაელი, 1,4 მილიონი ლატვიელი, 1,4 მილიონი გერმანელი, 1,2 მილიონი მოლდოველი, 1,2 მილიონი სომეხი, 1 მილიონი მორდველი, 1 მილიონი ესტონელი და სხვ.

რუსეთის იმპერიის მოსახლეობა რელიგიური აღმსარებლობის მიხედვით ერთფეროვანი არ ყოფილა. 1897 წლისათვის რუსეთში 87,1 მილიონი მართლმადიდებელი ცხოვრობდა, რაც მთელი მოსახლეობის 76%-ს უდრიდა. გარდა ამისა, იმპერიაში ცხოვრობდა 13,9 მილიონი მუსლიმი (11,9%), 3,6 მილიონი იუდეველი (3,1%), 1,5 მილიონი კათოლიკე (1,2%), 2,4 მილიონი პროტესტანტი (2%). იმპერიის მოსახლეობის ნაწილი აღიარებდა ბუდიზმს, შამანიზმს და სხვ.

4. **მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა.** 1897 წლის აღწერის მიხედვით რუსეთის იმპერიის მოსახლეობა შემდეგ სოციალურ ფენებად იყოფოდა: თავადაზნაურობა, სამღვდელოება, საპატიო მოქალაქეები, ვაჭრები, გლეხები, მეშჩანები, კაზაკები. მათი რიცხობრივი და პროცენტული შემადგენლობა ასეთი იყო: თავადაზნაურობა — 1800 ათასი (1,5%), სამღვდელოება — 600 ათასი (0,5%), საპატიო მოქალაქეები პირველი და მეორე გილდიის ვაჭრებთან ერთად — 620 ათასი (0,5%), გლეხობა 97 მილიონი (77%), მეშჩანები 13,4 მილიონი (10,6%), კაზაკები 2,9 მილიონი (2,3%). 97 მილიონი გლეხიდან 7 მილიონი ქალაქად ცხოვრობდა, მათ ძირითად საქმიანობას სოფლის მეურნეობა აღარ შეადგენდა. 1897 წლის აღწერისას მუშათა კლასი და ბურჟუაზია როგორც დამოუკიდებელი სოციალური ფენა აღრიცხული არ ყოფილა.

1897 წლიდან 20 წლის განმავლობაში რუსეთის იმპერიის მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. 1917 წლისათვის იგი ასეთ სურათს იძლეოდა: თავადაზნაურობა და ბურჟუაზია მთელი მოსახლეობის 5%-ს შეადგენდა, გლეხები და ხელოსნები — 66,7%-ს, კულაკები (მდიდარი გლეხები) — 11,4%-ს, ინტელიგენცია — 2,2%-ს.

რუსეთის იმპერიაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა თავადაზნაურობას (1800 ათასი ოჯახის წევრებთან ერთად). აქედან ორი მესამედი შთამომავლობით (ძირძველ) თავადაზნაურობას განეკუთვნებოდა, ხოლო დანარჩენს (600 ათასს) წოდება პირადი დამსახურებისათვის ჰქონდა მიღებული. შთამომავლობითი თავადაზნაურობის მხოლოდ ნახევარს (ერთად აღებულს) შეადგენდნენ რუსები, უკრაინელები და ბელორუსები, ხოლო ერთ მესამედს — პოლონელები. რაოდენობის მიხედვით შემდეგ მოდიოდნენ: ქართველები, თათრები, თურქები, ლიტველები, ლატვიელები, გერმანელები (სულ 8%). თავადაზნაურობის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა: მიწა, ჯამაგირი სახელმწიფო და სამხედრო სამსახურიდან, ფასიანი ქაღალდები, ბანკებსა და სააქციო საზოგადოებებში დაკავებული თანამდებობებიდან მიღებული შემოსავალი. თავადაზნაურობის ეკონომიკური სიძლიერის უპირველეს წყაროს წარმოადგენდა მიწა. ბატონყმობის გაუქმების შემდგომ თავადაზნაურობის ხელთ არსებული მიწების შემცირება აღინიშნა. XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის თავადაზნაურობა 87 მილიონ დესეტინა მიწას ფლობდა, 1877 წლისათვის — 73 მილიონ დესეტინას, 1905 წლისათვის — 53 მილიონ დესეტინას, 1914 წლისათვის — 40 მილიონ დესეტინას. შემცირდა მემამულეთა რაოდენობაც. 1877 წელს რუსეთის იმპერიაში 118 ათასი მემამულე იყო, ხოლო 1905 წელს — 107 ათასი.

ეკონომიკური დაუძლურების მიუხედავად, თავადაზნაურობა წამყვან როლს ასრულებდა სახელმწიფო მმართველობასა და არმიაში. XX საუკუნის დამდეგისათვის სახელმწიფო მმართველობის უმაღლეს მოხელეთა შორის (რანგთა ცხრილის მიხედვით I-IV კლასი) 72% შთამომავლობითი თავადაზნაურობიდან იყო. არმიის ოფიცერთა კორპუსის ნახევარზე მეტი შთამომავლობით თავადაზნაურობას განეკუთვნებოდა. გენერალთა 90%, ხოლო პოლკოვნიკთა 75% ასევე შთამომავლობით თავადაზნაურობას განეკუთვნებოდა.

XX საუკუნის დამდეგს დამოუკიდებელ სოციალურ ფენად ყალიბდება მსხვილი ბურჟუ-

აზია. ამ პერიოდისათვის რუსეთის იმპერიის 25 ათასი მცხოვრების წლიური შემოსავალი 10 ათას მანეთს აღემატებოდა. 1914 წლისათვის 10 ათას მანეთზე მეტი წლიური შემოსავალი ჰქონდა 40 ათას კაცს, ანუ ოჯახის წევრებიანად 250-300 ათას კაცს. მოსახლეობის ეს ნაწილი მსხვილ ბურჟუაზიას შეადგენდა. 1914 წლისათვის ეკონომიკური და ფინანსური თვალსაზრისით მსხვილი ბურჟუაზია რუსეთის იმპერიის ყველაზე ძლიერი სოციალური ფენა იყო.

რუსეთის იმპერიის ყველაზე მრავალრიცხოვან სოციალურ ფენას **გლეხობა** წარმოადგენდა. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხობის ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოხდა. 1897 წლისათვის რუსეთის ევროპული ნაწილის 50 გუბერნიის სოფლებში ცხოვრობდა 81,4 მილიონი ადამიანი, ანუ მთელი მოსახლეობის 87%. აქედან სოფლის მეურნეობას მისდევდა 69,4 მილიონი ადამიანი (74%). დანარჩენი 12 მილიონი დაკავებული იყო ვაჭრობაში, მრეწველობასა და სხვა სფეროებში, ანუ ისინი აღარ ეკუთვნოდნენ მიწათმოქმედთა კატეგორიას. 1905 წლის მონაცემებით უკვე 17 მილიონი გლეხი აღარ იყო სოფლის მეურნეობაში დასაქმებული.

XX საუკუნის დამდეგისათვის გაუმჯობესდა გლეხთა მატერიალური მდგომარეობა. 1900-1914 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა გლეხურ მეურნეობებში ხორბლის, ხორცისა და რძის წარმოება. გლეხური მეურნეობის ეკონომიკურ სიძლიერეზე მიუთითებს ის, რომ XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგს გაიზარდა გლეხობის მიერ პირად საკუთრებაში შესყიდული მიწების რაოდენობა. 1905 წლისათვის გლეხობას შესყიდული ჰქონდა 24 მილიონი დესეტინა მიწა, 1906-1913 წლებში ეს ციფრი 10 მილიონი დესეტინით გაიზარდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1913 წლისათვის 10 მილიონი დესეტინა მიწის საბაზრო ღირებულება 1,5 მილიარდ მანეთს შეადგენდა, ცხადი გახდება გლეხობის ფინანსური მდგომარეობის სიმტკიცე.

XIX საუკუნის მიწურულიდან და XX საუკუნის დამდეგიდან რუსეთის იმპერიის სოციალურ ფენათა შორის შესამჩნევი აქტიურობით გამოირჩევა **მუშათა კლასი**. 1900 წლისათვის რუსეთში არსებულ ფაბრიკებსა და ქარხნებში 1536 ათასი მუშა იყო დასაქმებული. 1913 წლისათვის ეს ციფრი 2467 ათასამდე გაიზარდა. მუშათა სხვა კატეგორიების რიცხობრივი ზრდა ასეთ სურათს იძლევდა: სამთო მომპოვებელ და გადამამუშავებელ წარმოებაში 1900 წელს დასაქმებული იყო 506 ათასი კაცი, 1913 წელს — 648 ათასი; რკინიგზაზე — 1900 წელს დასაქმებული იყო 506 ათასი კაცი, 1913 წელს — 648 ათასი, მშენებლობაზე — 1900 წელს 1000 ათასი, 1913 წელს — 1500 ათასი. სულ 1900 წლისათვის რუსეთის იმპერიაში მუშის სოციალურ კატეგორიას განეკუთვნებოდა 12181 ათასი კაცი, ხოლო 1913 წლისათვის — 18239 ათასი.

თავდაპირველად მუშათა კლასის რაოდენობრივი ზრდის უმთავრეს წყაროს სოფლის მოსახლეობა (გლეხობა) წარმოადგენდა. XX საუკუნის დამდეგისათვის სურათი იცვლება. მუშათა დიდი ნაწილი უკვე შთამომავლობითი მუშა იყო.

XX საუკუნის დამდეგისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **ინტელიგენციის** როლი. ამ პერიოდისათვის რუსეთის იმპერიის ინტელიგენციის რაოდენობამ 800 ათასს მიაღწია, ხოლო ოჯახის წევრებთან ერთად მისი რაოდენობა მთელი მოსახლეობის 2,2%-ს უდრიდა. ინტელიგენცია ძირითადად დიდ ქალაქებში იყო თავმოყრილი. 1897 წლის მონაცემებით პეტერბურგსა და მოსკოვში ცხოვრობდა მეცნიერთა და მწერალთა 46%, ინჟინერთა 30%, მსახიობთა და მხატვართა 31%.

5. **სოციალურ ფენათა მატერიალური მდგომარეობა.** სანამ რუსეთის იმპერიის სხვადასხვა სოციალური ფენის მატერიალური მდგომარეობის მიმოხილვას შეეუდგებოდეთ უმჯობესია გავეცნოთ 1913 წლისათვის არსებულ **საბაზრო ფასებს**. ქვემოთ მოტანილი მონაცემები ეხება მხოლოდ მოსკოვს. აქვე დავძენთ, რომ მოსკოვთან შედარებით სამხრეთ რაიონებში სოფლის მეურნეების პროდუქცია იაფი იყო, ხოლო ჩრდილოეთში — ოდნავ ძვირი. 1913 წლისათვის მოსკოვში ერთი კილოგრამი შავი პური ღირდა 5 კაპიკი, თეთრი პური — 12 კაპიკი, კარტოფილი — 2 კაპიკი, უმაღლესი ხარისხის საქონლის ხორცი — 50 კაპიკი; ერთი ლიტრი რძე ღირდა 8 კაპიკი, მცენარეული ზეთი — 32 კაპიკი, არაყი — 30 კაპიკი, ღვინო — 40 კაპიკი; ერთი მეტრი ჩითი — 18 კაპიკი, მაუდი — 2,8 მანეთი; ქალის ფეხსაცმელი — 4 მანეთი; მამაკაცის ფეხსაცმელი — 3 მანეთი, ჩექმა — 7 მანეთი; ერთი ბილეთი დიდ თეატრში — 32 კაპიკი, ხოლო კინოში — 18-20 კაპიკი; მიღება ექიმთან — 20 კაპიკი; სკოლაში სწავლის ქირა — თვეში 2 მანეთი.

საბაზრო ფასებთან შედარებით საკმაოდ დიდი იყო კვალიფიცირებული მუშის ხელფასი.

1900 წლისათვის მუშის საშუალო წლიური ხელფასი უდრიდა 194 მანეთს, ხოლო 1913 წლისათვის — 263 მანეთს. მეტალურგიაში დასაქმებული და ლითონის დამმუშავებელი საწარმოების მუშების წლიურმა ხელფასმა 1913 წელს 500 მანეთს მიაღწია, ხოლო პეტერბურგში მოქმედი პუტილოვის ქარხნის ლითონის დამმუშავებელი საამქროს მუშების ხელფასი 610 მანეთს აღწევდა. ყველაზე დაბალი საშუალო წლიური ხელფასი ჰქონდათ ფეიქრებს (215 მანეთი) და კვების მრეწველობის მუშებს (240 მანეთი). ამრიგად, 1913 წლისათვის მუშათა საშუალო თვიური ხელფასი მერყეობდა 18 მანეთიდან 50 მანეთამდე.

საშუალოდ უზრუნველყოფილი ინტელიგენციის თვიური ხელფასი მერყეობდა 50 მანეთიდან 150 მანეთამდე, ხოლო წლიური ხელფასი 600 მანეთიდან 1800 მანეთამდე. კარგად უზრუნველყოფილი ინტელიგენციის თვიური ხელფასი უდრიდა 150-160 მანეთს, ხოლო წლიური ხელფასი 2000 მანეთს აჭარბებდა. პროფესორთა წლიური ხელფასი 2000 მანეთიდან 3000 მანეთამდე მერყეობდა, რაც თვეში 166-250 მანეთს უდრიდა. ინჟინრის წლიური ხელფასი 2000 მანეთიდან იწყებოდა და 4000 მანეთს აღწევდა.

მაღალი ხელფასები იყო არმიაში. პოლკოვნიკის წლიური ხელფასი 4500 მანეთს, ხოლო გენერლის 6700 მანეთს უდრიდა.

მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების (დეპარტამენტების დირექტორები და სხვ.) წლიური ხელფასი 8000 მანეთს შეადგენდა. მინისტრის წლიური ხელფასი 20 ათას მანეთს უდრიდა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა — 30 ათას მანეთს.

1913 წლისათვის მსხვილი ბურჟუაზიის რაოდენობა, რომლის წლიური შემოსავალი 10 ათას მანეთს აღემატებოდა, 1504 კაცით განისაზღვრებოდა.

გლეხი, რომელიც ფლობდა 3 დესეტინამდე მიწას, ჰყავდა ერთი ძროხა და არ ჰყავდა ცხენი, სიღარიბეს თავს ვერ აღწევდა. გლეხი, რომელიც ფლობდა 3-9 დესეტინა მიწას, ერთ ან ორ ცხენს, და ერთიდან სამ ძროხამდე, კარგად ცხოვრობდა. იყვნენ უფრო ღარიბი და უფრო მდიდარი გლეხებიც.

ზოგადად ასე წარმოგვიდგება XX საუკუნის დამდეგის რუსეთის იმპერიის მოსახლეობა, მისი სოციალური და ეროვნული შემადგენლობა, სოციალური ფენების მატერიალური მდგომარეობა.

თავი II. რუსეთის ეკონომიკა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგს

§1. მრეწველობა

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერიის მრეწველობამ მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა.

1. სამრეწველო აღმავლობა 1893-1900 წლებში. XIX საუკუნის მიწურულს დასრულდა რუსეთის მრეწველობის აღჭურვა ახალი ტექნიკით. მრეწველობის გადაიარაღების გარეშე წარმოუდგენელი იყო დიდი სარკინიგზო მშენებლობების, მსხვილი სამრეწველო ობიექტებისა და ფართომასშტაბიანი საქალაქო მშენებლობების წარმატებით დასრულება.

სამრეწველო აღმავლობა კარგად ჩანს სარკინიგზო მშენებლობების მაგალითზე, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებდა. 1893-1904 წლებში ფინანსური სიძნელეების მიუხედავად წარმატებით განხორციელდა სარკინიგზო მშენებლობის ფართომასშტაბიანი პროგრამა. 1892 წლისათვის რუსეთის იმპერიის რკინიგზების საერთო სიგრძე 31 ათას კილომეტრს უდრიდა. 1893-1902 წლებში აშენდა 27 ათასი კილომეტრის სიგრძის ახალი სარკინიგზო ხაზი. ახალი სარკინიგზო ხაზების მშენებლობამ გაზარდა მოთხოვნილება ლითონზე, რამაც თავისთავად მეტალურგიის აღმავლობა გამოიწვია. თავის მხრივ, მეტალურგიის აღმავლობა წარმოუდგენელი იყო რკინის მადნის, ქვანახშირისა და მარგანეცის მოპოვების გაზრდის გარეშე. რკინიგზების მშენებლობა განაპირობებდა ხეტყის დამუშავების მნიშვნელოვან ზრდას. ყოველივე ეს იწვევდა სამუშაო ადგილების მატებას, ახალი სამრეწველო სიმძლავრეების აგებასა და ძველის რეკონსტრუქციას.

სამრეწველო აღმავლობას განაპირობებდა საქალაქო მშენებლობის სწრაფი ტემპი. ახალი სამრეწველო სიმძლავრეების მშენებლობა განაპირობებდა ძველი ქალაქების ზრდას, ახალი დაბებისა და ქალაქების აღმოცენებას. ეს თავისთავად განაპირობებდა სამშენებლო მასალებზე (ცემენტი, აგური, ხე-ტყე და ა.შ.) მოთხოვნილების ზრდას.

სამრეწველო აღმავლობის წლებში დიდი ინტენსივობით მიმდინარეობდა რუსეთის განაპირა მხარეების (რუსეთის სამხრეთი, კავკასია, ვოლგისპირეთი, შუა აზია) ათვისება. ამ რეგიონებში გაიზარდა ნავთობის, ქვანახშირის, მარგანეცის მოპოვება, გაიშალა სარკინიგზო მშენებლობა. აღსანიშნავია, რომ იმპერიის განაპირა მხარეები სამრეწველო აღმავლობის დონით უსწრებდა რუსეთის ცენტრალურ, დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთის სამრეწველო რაიონებს.

2. სამრეწველო კრიზისისა და დეპრესიის პერიოდი (1901-1908 წწ.). საერთო-ევროპულმა სამრეწველო კრიზისმა XX საუკუნის დამდეგიდან რუსეთის იმპერიაც მოიცვა. უშუალოდ რუსეთში სამრეწველო კრიზისის მიზეზი გახდა დიდი სარკინიგზო მშენებლობების დასრულება, რასაც მოჰყვა შეკვეთების შემცირება და მნიშვნელოვანი სამრეწველო საწარმოების ნაწილობრივი ან მთლიანი გაჩერება. ევროპაში დაწყებული სამრეწველო კრიზისის გამო რუსეთმა უცხო ქვეყნებიდან ვეღარ მიიღო აუცილებელი კრედიტი, მნიშვნელოვნად შემცირდა უცხოელ კაპიტალისტთა მიერ რუსეთში დაბანდებული კაპიტალის რაოდენობა. საწყობები სავსე იყო სამრეწველო აღმავლობის წლებში დაგროვილი ნედლეულითა და საწვავით, რომელიც თითქმის აღარ იყო საჭირო. ამ ეპოქის რუსეთის ეკონომიკური განვითარების პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში დიდი წვლილი მიუძღვის ფინანსთა მინისტრს გრაფ სერგეი ვიტეს.

სერგეი ვიტე (1849-1915) იყო XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დამდეგის რუსეთის დიდი სახელმწიფო მოღვაწე. ს. ვიტე დაიბადა თბილისში, სახელმწიფო მოხელის ოჯახში. მისი წინაპრები ჰოლანდიიდან იყვნენ გადმოსახლებულნი რუსეთში. ს. ვიტეს დედა რიურიკების დინასტიასთან დანათესავებული თავად დოლგორუკების გვარიდან იყო. ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ს. ვიტემ რკინიგზის ინჟინრის კარიერა აირჩია და მალე გახდა სამხრეთ-დასავლეთი რკინიგზის მმართველი. ამ თანამდებობაზე ს. ვიტემ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. 1889 წელს იმპერატორმა ალექსანდრე III-მ ს. ვიტე რუსეთის რკინიგზის დეპარტამენტის დირექტორად დანიშნა. 1892 წლის თებერვალში ს. ვიტე გზათა მინისტრად, ხოლო იმავე წლის აგვისტოში ფინანსთა მინისტრად დაინიშნა. იმპერატორის მხარდაჭერით ს. ვიტემ გერმანიასთან ე.წ. „საბაჟო ომი“ წამოიწყო, რაც საჭონელზე ტარიფების ორმხრივ გაზრდას გულისხმობდა. ს. ვიტეს პოლიტიკა წარმატებული გამოდგა. 1894 წელს დიდო რუსეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც ძალზე ხელსაყრელი იყო რუსეთისათვის.

ს. ვიტემ მიაღწია ფინანსთა სამინისტროს ავტორიტეტის არნახულ ზრდას. ფინანსთა სამინისტრო მალე იქცა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ უმთავრეს რგოლად. 1897 წელს ს. ვიტემ გაატარა ფულადი სისტემის რე-

ფორმა. რუსეთის იმპერიის ოქროს მარაგის გაზრდის მიზნით ს. ვიტემ 1894 წელს ღვინით ვაჭრობაზე სახელმწიფო მონოპოლია შემოიღო, იმავდროულად გაზარდა არაპირდაპირი გადასახადები. ვალუტის მარაგის გაზრდის მიზნით ს. ვიტე ყოველწლიურად ამცირებდა უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი საქონლის რაოდენობას და, შესაბამისად, ზრდიდა რუსეთიდან გატანილი საქონლის მოცულობას. ს. ვიტეს ფინანსური პოლიტიკის წყალობით რუსული მანეთი მსოფლიოში ერთ-ერთ მყარ ვალუტად იქცა, რაც დადებით ზეგავლენას ახდენდა მრეწველობისა და ვაჭრობის აღმავლობაზე. ს. ვიტე ყოველმხრივ უწყობდა ხელს რუსეთში უცხოური კაპიტალის დაბანდებას. იმავდროულად ს. ვიტე ფასებს ზრდიდა სახელმწიფოს მიერ რუსეთის სამრეწველო საწარმოებისათვის მიცემულ შეკვეთებზე, რითაც ხელს უწყობდა რუსეთის მრეწველობის აღმავლობას. ამავე მიზნით სახელმწიფო შეკვეთებს ღებულობდა ყველაზე პერსპექტიული სამრეწველო საწარმოები. სახელმწიფო შემოსავლების გაზრდის მიზნით ხდებოდა მომგებიანი კერძო სარკინიგზო ხაზების შესყიდვა სახელმწიფოს მიერ, ხოლო ახალ სარკინიგზო ხაზებს მხოლოდ სახელმწიფო აშენებდა. ს. ვიტეს კარგად ესმოდა, რომ მის მიერ შემუშავებული ეკონომიკური პროგრამის განხორციელება მძიმე ტვირთად აწვა გლეხობასა და მემამულეებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ იგი დაუფარავად აცხადებდა: „დიდი მიზანი დიდ მსხვერპლს ითხოვს“. XIX საუკუნის მიწურულს ს. ვიტე აგრარული რეფორმის გატარების ინიციატივით გამოვიდა. 1902 წელს იგი ამ მიზნით შექმნილ საგანგებო კომიტეტსაც ჩაუდგა სათავეში.

ს. ვიტე დიდი დიპლომატიური ნიჭითაც იყო დაჯილდოვებული. მისი მონაწილეობით დაიდო 1896 წლის რუსეთ-ჩინეთის ხელშეკრულება და პორტსმუტის ზავი (1905 წ.). ს. ვიტე იყო 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის ერთ-ერთი ავტორი და მინისტრთა საბჭოს პირველი თავმჯდომარე.

1906 წელს, პირველი სახელმწიფო სათათბიროს გახსნის წინ, ნიკოლოზ II-მ, რომელიც ს. ვიტეს ქამელეონად და მასონად თვლიდა, იგი თანამდებობიდან გადააყენა. სიცოცხლის ბოლომდე ს. ვიტე სახელმწიფო საბჭოს წევრად დარჩა.

1901-1903 წლების სამრეწველო კრიზისი, პირველ რიგში, შეეხო რკინის მადნის მომპოვებელ საწარმოებსა და შავი მეტალურგიის ქარხნებს. სამრეწველო კრიზისის პერიოდში შემცირდა ნავთობისა და ქვანახშირის მოპოვება. შედარებით ნაკლებად დაზარალდა მსუბუქი მრეწველობა, რადგან მისი წარმოების დონე არ დაცემულა.

1901-1903 წლების სამრეწველო კრიზისს მოჰყვა დეპრესიის პერიოდი, რომელიც 1908 წლამდე გაგრძელდა. დეპრესიის პერიოდშივე შეიმჩნეოდა ზოგიერთი დარგის ნაწილობრივი გამოცოცხლება.

3. სამრეწველო აღმავლობა 1909-1913 წლებში. 1909 წლიდან დაიწყო სამრეწველო აღმავლობა, რაც რამდენიმე მიზეზმა განაპირობა. პ. სტოლიპინის აგრარული რეფორმის წყალობით აღმავლობას განიცდიდა გლეხური მეურნეობა. გაიზარდა მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე, სამშენებლო მასალებზე, სასუქებზე და სხვ. ხორბლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტმა 1898-1913 წლებში ქვეყნის ბიუჯეტს 17,4 მილიარდი მანეთი შემატა.

სამრეწველო აღმავლობის პირველ ხანებშივე, 1909 წელს, სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპები თითქმის გაუტოლდა XIX საუკუნის 90-იანი წლების ტემპებს. წარმოების ზრდის ტემპებით რუსეთი მსოფლიოში პირველ ადგილზე გავიდა. 1909-1913 წლებში მსოფლიოში თუჯის წარმოება 32%-ით გაიზარდა. ცალკეული ქვეყნების მიხედვით წარმოების ზრდის მაჩვენებელი ასეთი იყო: ამერიკის შეერთებულ შტატებში — 20%, გერმანიაში — 50%, რუსეთში — 64%. რუსეთში ლითონის წარმოება 82%-ით გაიზარდა, გერმანიაში კი — 50%-ით. ასევე სწრაფად იზრდებოდა მანქანათმშენებლობის პროდუქცია.

სერგეი ვიტე

1909-1913 წლების სამრეწველო აღმავლობის პერიოდში ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა მრეწველობის მონოპოლიზაცია და ფინანსური კაპიტალის ფორმირება. მონოპოლიზაცია შეეხო მეტალურგიას, მანქანათმშენებლობას, ქვანახშირის მოპოვებას, ორთქლმავლებისა და ვაგონების მშენებლობას, მსუბუქ მრეწველობასა და სხვ. მონოპოლიზირებული იქნა გასაღების (ვაჭრობის) სფეროც. შეიქმნა მძლავრი გაერთიანებები — **სინდიკატები**, რომლებიც ბატონობდნენ მრეწველობის ცალკეულ დარგებსა და გასაღების სფეროში. ასეთ სინდიკატთა რიცხვს განეკუთვნებოდა: **„პროდამეტი“**, **„ოროვლია“**, **„პროდუგოლი“**, **„პროდპარავოზი“**, **„პროდვაგონი“** და სხვ. სულ რუსეთში შეიქმნა დაახლოებით 50 სინდიკატი. გარდა ამისა, კიდევ არსებობდა რამდენიმე მონოპოლისტური გაერთიანება. 1912 წელს შეიქმნა **„რუსეთის ნავთობის გენერალური კორპორაცია“**, რომელსაც შემოკლებით **„ოილს“** ან **„ნავთობს“** უწოდებდნენ. „ნავთობი“ წარმოადგენდა უმსხვილეს სამრეწველო-საფინანსო კორპორაციას. მალე უმსხვილესი ბანკების ეგიდით დაიწყო დიდი ტრესტებისა და კონცერნების ჩამოყალიბება. საბანკო სფეროს მონოპოლიზაციის შედეგად დაიწყო უმსხვილესი **საბანკო მონოპოლიების** შექმნა. ასეთ **საბანკო მონოპოლიებს** წარმოადგენდა: **რუსეთ-აზიის ბანკი, პეტერბურგის საერთაშორისო ბანკი, აზოვ-დონის ბანკი, რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო ბანკი.**

პირველი მსოფლიო ომის წინ რუსეთში ჩამოყალიბდა **ფინანსური ოლიგარქია**, რომელიც განაგებდა რუსეთის ეკონომიკის ბედს. რუსეთის ფინანსური ოლიგარქიის წარმომადგენლები იყვნენ: ა. **პუტილოვი**, ა. **ვიშნეგრადსკი**, ნ. **ვეტროვი**, პ. **რიაბუშინსკი**, ბ. **კამენკა**, ნ. **ავდაკოვი**, ი. **სტახეევი** და სხვები. ფინანსურ მაგნატთა წრეს განეკუთვნებოდნენ რუსეთის იმპერიის მინისტრები: ვ. **ტიმირიაზევი**, პ. **ბარკი**, ასევე რუსეთის უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლები: თავადი ა. **გოლიცინი**, ბარონი **გ. გინცბურგი**, გრაფი ვ. **ტატიშჩევი**, გრაფი ვ. **ბობრინსკი** და სხვები.

§ 2. სოფლის მეურნეობა

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ რუსეთის სოფლებში, სოციალური და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, დიდი ცვლილებები აღინიშნა.

1. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა. XX საუკუნის დამდეგისათვის რუსეთი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების თვალსაზრისით მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო და ამ პოზიციას 1914 წლამდე ინარჩუნებდა. 1901-1905 წლებში რუსეთში საშუალოდ წლიურად მოჰყავდათ 3,8 მილიარდი ფუთი ხორბალი, 1909-1913 წლებში კი — 5 მილიარდი ფუთი. 1913 წელს მოწეული ხორბლის რაოდენობამ 5,6 მილიარდი ფუთი, ანუ 86 მილიონი ტონა შეადგინა. ეს იმას ნიშნავდა, რომ რუსეთში ერთ სულ მოსახლეზე 550 კილოგრამი ხორბალი მოდიოდა.

სოფლის მეურნეობა სახელმწიფოს დიდ შემოსავალს აძლევდა. 1900 წლიდან 1913 წლამდე ხორბლისა და ტექნიკური კულტურებიდან მიღებული შემოსავალი 1,8 მილიარდი მანეთიდან 3,4 მილიარდ მანეთამდე გაიზარდა. ამავე წლებში სოფლის ერთ სულ მცხოვრებზე მიღებული შემოსავალი 30 მანეთიდან 43 მანეთამდე გაიზარდა, ხოლო სუფთა მოგება — 22 მანეთიდან 33 მანეთამდე. 1900-1913 წლებში სოფლის მეურნეობა მთლიანი ეროვნული შემოსავლის 52%-ს იძლეოდა.

რუსეთის სოფლის მეურნეობის განვითარებას განსაზღვრავდა ორი ტიპის მეურნეობა — **მემამულური** და **მდიდარი გლეხებისა (კულაკებისა)**. ამასთან, მდიდარი გლეხების (კულაკების) მეურნეობის ხვედრითი წილი ხორბლის დამზადებაში სულ უფრო იზრდებოდა. კულაკები სულ უფრო დიდი რაოდენობით ყიდულობდნენ მემამულის მიწებს. მაშინ, როდესაც მდიდარი გლეხები (კულაკები) გლეხობის საერთო რაოდენობის მხოლოდ 20%-ს შეადგენდნენ, სასაქონლო პურის 50%-ს ისინი ამზადებდნენ.

2. პეტრე სტოლიპინის აგრარული რეფორმა. აგრარული რეფორმის გატარების საკითხი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში დაისვა, თუმცა მისი პრაქტიკული რეალიზება XX საუკუნის დამდეგიდან დაიწყო. აგრარული რეფორმის აუცილებლობას 1898 წელს ს. **ვიტე** იმით ასაბუთებდა, რომ რუსეთის გლეხობის გადახდისუნარიანობა ძალზე დაბალი იყო. რუსეთის სოფლის მოსახლეობა ერთ სულზე გაანგარიშებით ოთხჯერ ნაკლებ გადასახადს იხდიდა, ვიდრე საფრანგეთისა. ამასთან, რუსი გლეხის ცხოვრების დონე გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე საფრანგეთისა. 1901 წლის მოუსავლიანობამ და მისგან გამოწვეულმა შიმშილობამ იმპერატორი აიძულა დაეჩქარებინა აგრარული რეფორმის გატარება.

1902 წელს შეიქმნა აგრარული რეფორმის შემმუშავებელი **საგანგებო ორგანო**, რომელსაც

სათავეში ფინანსთა მინისტრი ს. ვიტე ჩაუდგა. გუბერნიებსა და მაზრებში შეიქმნა სპეციალური კომისიები, რომელთაც საკითხის შესწავლის შემდეგ უნდა შეემუშავებინათ კონკრეტული წინადადებები. პარალელურად აგრარული რეფორმის პროექტის შემუშავების მიზნით კომისიები შეიქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მიწათმოქმედების სამინისტროში.

შემუშავებული პროექტები ითვალისწინებდა შემდეგს: 1) გლეხობისათვის თემიდან გასვლის უფლების მინიჭებასა და სათემო მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემას; 2) ციმბირში გლეხთა თავისუფალ გადასახლებას; 3) საგლეხო ბანკის საშუალებით გლეხობისათვის მიწის მიყიდვის გაადვილებას. 1904 წელს აგრარული რეფორმის საკუთარი პროექტი წამოაყენა სარატოვის გუბერნატორმა **პეტრე სტოლიპინმა**. პ. სტოლიპინის აზრით, სახელმწიფოს დასაყრდენი უნდა ყოფილიყო არა მეთემე გლეხი, არამედ კერძო მესაკუთრე გლეხი. **კერძო გლეხური მეურნეობის შექმნა და განმტკიცება უნდა გამხდარიყო აგრარული რეფორმის უმთავრესი მიზანი.** პ. სტოლიპინი ხელისუფლებას სთავაზობდა ზოგიერთი ადმინისტრაციული და ეკონომიკური ღონისძიების გატარებას გლეხობის თემიდან გამოსვლის დაჩქარების მიზნით.

პეტრე სტოლიპინი

როგორც დავინახეთ, აგრარული რეფორმისათვის მზადება 1902 წლიდან ერთბაშად რამდენიმე უწყებაში დაიწყო და 1904 წლის ჩათვლით ინტენსიურად მიმდინარეობდა. სწორედ ამიტომ მცდარია მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს აგრარული რეფორმა იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ 1905 წელს დაწყებული რევოლუციის გაღრმავებისა და ახალი აგრარული მოძრაობის აზვირთების შიშით გაატარა.

ნიკოლოზ II-მ იმთავითვე კარგად დაინახა პეტრე სტოლიპინის დიდი სახელმწიფოებრივი ნიჭი, სწორად შეაფასა აგრარული რეფორმის განხორციელების სტოლიპინისეული გეგმის სიკეთე. 1906 წლის აპრილში პეტრე სტოლიპინი რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრად, ხოლო იმავე წლის ივლისში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა.

პეტრე არკადის ძე სტოლიპინი (1862-1911) იყო დიდი რუსი სახელმწიფო მოღვაწე და რეფორმატორი. ბალანსი ნიჭით დაჯილდოებულს კარგად ესმოდა რუსეთის იმპერიის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლების განმტკიცების აუცილებლობა. პ. სტოლიპინმა შესანიშნავად გაიზარა რუსეთის იმპერიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი და ენერგიულად შეუდგა მის რეალიზებას. საშინაო პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებად პ. სტოლიპინი ფართომასშტაბიანი რეფორმების გატარებას, ქვეყანაში მტკიცე წესრიგის დაცვასა და კანონიერების დამყარებას მიიჩნევდა.

პ. სტოლიპინი იყო უშიშარი ადამიანი, ჰქონდა მტკიცე და ძლიერი ხასიათი, შეეძლო ურთულეს ვითარებაში ერთადერთი სწორი გამოსავლის პოვნა. იგი მტკიცე ხელით მართავდა უზარმაზარ იმპერიას, დაუნდობლად ებრძოდა რევოლუციას. ამავე დროს პ. სტოლიპინი მომხრე იყო კომპრომისების პოლიტიკისა, ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ რუსეთს იხსნდა არა ძალმომრეობა და რეპრესიები, არამედ დასაბუთებული, კარგად გააზრებული, ყველა სოციალური ფენისათვის მისაღები რეფორმები. ლოგიკური აზროვნების უნარით დაჯილდოებული პ. სტოლიპინი ამავე დროს კარგი ორატორიც იყო. საყოველთაოდ გახდა ცნობილი მემარცხენე (რადიკალური) ძალების მისამართით სახელმწიფო სათათბიროში წარმოთქმული მისი სიტყვები: „მათ სურთ დიდი რყევები, ჩვენ გვსურს დიდი რუსეთი“.

პ. სტოლიპინი იყო აგრარული საკითხების დიდი მცოდნე. კარგად ესმოდა სახელმწიფო მმართველობის მექანიზმის ფუნქციონირების კანონზომიერება და თავისებურებანი, დაჯილდოებული იყო დიპლომატიური ნიჭით.

1906 წლის 25 აგვისტოს პეტრე სტოლიპინმა გამოაქვეყნა მის მიერ შემუშავებული რეფორმების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგს: 1) მოქალაქეობრივი თანასწორობა; 2) პიროვნების ხელშეუხებლობა; 3) გლეხური მიწათმფლობელობის ფორმების მოწესრიგება; 4) მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმ-

ჯობესება; 5) ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა; 6) ადგილობრივი სასამართლოს რეფორმა; 7) საშუალო და უმაღლესი სკოლის რეფორმა; 8) პროგრესული საშემოსაელო გადასახადის შემოღება; 9) საყოველთაო დაწყებითი განათლების დაკანონება და სხვ.

რეფორმების პროგრამაში საგანგებო ადგილი ეთმობოდა აგრარულ საკითხს. პ. სტოლიპინი თვლიდა, რომ აგრარული რეფორმის გატარება უნდა დაწყებულიყო დაუყოვნებლივ. ეს იყო მეტად გაბედული მოსაზრება, რადგან სახელმწიფო საბჭო და მინისტრების უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ აგრარული რეფორმის გატარება შეუძლებელი იყო სახელმწიფო სათათბიროს გარეშე. პ. სტოლიპინს კარგად ესმოდა, რომ ასეთი მასშტაბის აგრარული რეფორმა საკმაოდ გაჭიანურდებოდა, ამიტომ აუცილებელი იყო მისი დაუყოვნებლივ დაწყება. პ. სტოლიპინის აზრით, აგრარული რეფორმა უნდა გატარებულიყო იმპერატორის ბრძანებულების სახით სახელმწიფო სათათბიროში განხილვის გარეშე. აღსანიშნავია, რომ პ. სტოლიპინის მიერ მომზადებული ძირითადი კანონი 87 მუხლისაგან შედგებოდა და მთლიანად ამოწურავდა აუტორის შეხედულებას რეფორმის არსსა და მისი რეალიზების გზებზე. პ. სტოლიპინს მთლიანად უჭერდა მხარს ნიკოლოზ II, მაგრამ ძერე სახელმწიფო სათათბირო მზად არ აღმოჩნდა პ. სტოლიპინის აგრარული რეფორმის მისაღებად. სათათბიროში პ. სტოლიპინს დაუპირისპირდნენ როგორც მემარჯვენეები (კონსერვატორები), ისე მემარცხენეები (რადიკალები). პ. სტოლიპინი იძულებული გახდა ნიკოლოზ II-თან შეთანხმებით 1907 წლის 3 ივნისს სახელმწიფო გადატრიალება განეხორციელებინა — მეორე სახელმწიფო სათათბირო გაერეკა. მესამე სახელმწიფო სათათბირომ პ. სტოლიპინის აგრარული რეფორმა მიიღო.

პ. სტოლიპინის აგრარული რეფორმის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ გლეხობისათვის **თემიდან გასვლის** უფლება მიეცა. თემიდან გასვლასთან ერთად გლეხს უნდა შესძლებოდა მისი წილი სათემო მიწა **კერძო საკუთრებაში** დამტკიცებინა. გარდა ამისა, რეფორმა ითვალისწინებდა სხვა მრავალი საკითხის გადაჭრას. უპირველეს ყოვლისა, რეფორმა ორი მთავარი (ეკონომიკური და სოციალური) საკითხის გადაჭრას ისახავდა მიზნად: 1) ეკონომიკური მიზანი მდგომარეობდა სოფლის მეურნეობის აღმავლობის საფუძველზე გლეხობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში; 2) სოციალური მიზანი მდგომარეობდა სოფლად კერძო მესაკუთრე გლეხობის სახით ხელისუფლებისათვის ძლიერი დასაყრდენის შექმნაში.

1906 წლისათვის რუსეთის სასოფლო თემებში (კაზაკების გარდა) 9,2 მილიონი გლეხური კომლი ირიცხებოდა. ეს იყო მთელი გლეხური კომლების საერთო რაოდენობის (12,5 მილიონი) 77%. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში ამ პერიოდისათვის სასოფლო თემების ნაწილი უკვე ვეღარ ასრულებდა თავის ძირითად ფუნქციას — გლეხებს შორის მიწის ყოველწლიურ გადანაწილებას. დიდი ხნის მანძილზე გლეხური კომლი ერთსა და იმავე მიწას ფლობდა. მართალია, ეს მიწა გლეხური კომლის კერძო საკუთრებას არ წარმოადგენდა, მაგრამ არც გადანაწილებას ექვემდებარებოდა. 1913 წლისათვის რუსეთის ევროპულ ნაწილში ასეთ თემებში ცხოვრობდა 3,7 მილიონი გლეხური კომლი, ანუ მთელ გლეხურ კომლთა 58%.

პ. სტოლიპინის აგრარული რეფორმის უმთავრეს საკანონმდებლო აქტს წარმოადგენდა იმპერატორის 1906 წლის 9 ნოემბრის ბრძანებულება, რომელიც ზემოთ ხსენებული 87 მუხლისაგან შედგებოდა. აგრარული რეფორმისათვის საკანონმდებლო ბაზა კი შექმნა ნიკოლოზ II-ის 1905 წლის 3 ნოემბრის მანიფესტმა. მანიფესტის ძალით, 1907 წლის 1 იანვრიდან მიწის კერძო მფლობელი ერთბაშად ხდებოდა ის 2,8 მილიონი გლეხური კომლი, რომელთაც გამოსასყიდის გადაუხდელობის გამო 1861 წლიდან (ბატონყმობის გაუქმების შემდეგ) ვერ შეძლეს მიწის კერძო საკუთრებაში დამტკიცება. 1906 წლის 9 ნოემბრის ბრძანებულებით გლეხურ კომლებს უფლება მიეცათ გასულიყვნენ სასოფლო თემიდან და მათი კუთვნილი სათემო მიწა კერძო საკუთრებაში დამტკიცებინათ. ბრძანებულება გლეხს უფლებას აძლევდა, რომ მოეთხოვა სხვადასხვა ადგილზე არსებული მიწების ერთ ნაკვეთად გაერთიანება, რათა ამ გზით შეექმნა ხუტორული მეურნეობა.

1906 წლის 9 ნოემბრის ბრძანებულება სახელმწიფო სათათბიროში განხილვას ექვემდებარებოდა, თუმცა იგი ცხოვრებაში 1907 წლის 1 იანვრიდან, სახელმწიფო სათათბიროს მიერ მოწონებამდე, ტარდებოდა. მესამე სახელმწიფო სათათბირომ და სახელმწიფო საბჭომ 1910 წელს მოიწონა 1906 წლის 9 ნოემბრის ბრძანებულება და ამავე წლის 14 ივნისს ნიკოლოზ II-მ კანონპროექტს ხელი მოაწერა. იგი ძალაში შევიდა.

აგრარული რეფორმის განხორციელება სწრაფი ტემპებით დაიწყო. 1907-1915 წლებში 2755 ათასმა გლეხურმა კომლმა მოითხოვა სასოფლო თემიდან გასვლა და მიწის კერძო საკუთრებაში დამტკიცება. გარდა ამისა, იმ სასოფლო თემებიდან, სადაც მიწის ყოველწლიური გადანაწილება აღარ წარმოებდა, 618 ათასმა გლეხურმა კომლმა მოითხოვა მიწის კერძო საკუთრებაში დამტკიცება. ე.ი. სულ 3373 ათასმა გლეხურმა კომლმა მოითხოვა მიწის კერძო საკუთრების უფლებით მიღება. პრაქტიკულად მხოლოდ 2478 ათასმა გლეხურმა კომლმა, ანუ სასოფლო თემებში მცხოვრები გლეხური კომლების 26,9%-მა მიიღო მიწა კერძო საკუთრებაში.

პეტრე სტოლიპინის მკვლელობის (1911 წ.) შემდეგ აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარებას ხელმძღვანელობდა **ალექსანდრე კრივოშეინი (1857-1921)**, რომელიც 1908 წლიდან პ. სტოლიპინის უპირველესი თანამოაზრე იყო.

პ. სტოლიპინის აგრარული რეფორმა ითვალისწინებდა **გლეხთა თავისუფალ გადასახლებას** ურალის მთების აღმოსავლეთით — ციმბირის ტერიტორიაზე. ურალის აღმოსავლეთით გადასახლებულთათვის გამოიყო 12 რაიონი. გადასახლებულ კომლს კანონი უფლებას აძლევდა კერძო საკუთრებაში კომლის თითოეულ მამრობითი სქესის სრულწლოვან სულზე უფასოდ მიეღო 15 დესეტინა მიწა და 3 დესეტინა ტყე. ოფიციალური მონაცემებით სულ ციმბირში გადასახლდა 3 მილიონ 730 ათასი სული, რომელთაგან 3 მილიონზე მეტი ახალ საცხოვრებელ ადგილზე დარჩა. გადასახლებულთა ძირითადი მასა (60%) პირველი ოთხი წლის (1907-1910 წწ.) განმავლობაში გადასახლდა, შემდეგში მიგრაციის ტემპმა იკლო. გარკვეულ პერიოდში ხელისუფლებამ დროებით გადასახლებაც კი შეაჩერა, რადგან მიწათმოწყობის მხრივ გარკვეული სირთულეები შეიქმნა.

გადასახლებულებმა ციმბირში ათასობით ახალი სოფელი დააარსეს. 1911 წლისათვის უკვე ათვისებული იყო 30 მილიონი დესეტინა სახნავი მიწა.

პეტრე სტოლიპინის აგრარული რეფორმის შედეგად 8 წლის განმავლობაში სასოფლო თემებიდან გამოვიდა გლეხური კომლის მეოთხედი (25%), კერძო მესაკუთრე გახდა 2,8 მილიონი გლეხური კომლი, შეიქმნა 1,6 მილიონი ხუტორული მეურნეობა. **აგრარულ რეფორმას მოჰყვა სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობა.** მესაკუთრე გლეხობამ დიდი დაინტერესება გამოიჩინა სოფლის მეურნეობის უკეთ მოწყობის თვალსაზრისით. 1906 წელს რუსეთში შემოტანილ იქნა 39 მილიონი მანეთის, ხოლო 1912 წელს 131 მილიონი მანეთის საერთო ღირებულების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. 1906-1910 წლებში ნათესი ფართობის რაოდენობა გაიზარდა 4 მილიონი დესეტინით, ხოლო 1911-1915 წლებში — 7 მილიონი დესეტინით. მარცვლეულის ყველა სახეობის მოსავლიანობამ საშუალოდ 12-15%-ით იმატა. გაიზარდა ხორბლის ექსპორტი. 1909-1913 წლებში ყოველწლიურად რუსეთიდან საშუალოდ 637 მილიონი მანეთის ხორბალი გაჰქონდათ, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი 1904-1908 წლებში 470 მილიონ მანეთს უდრიდა. **პ. სტოლიპინის აგრარული რეფორმის წყალობით რუსეთში შეიქმნა კერძო მესაკუთრე გლეხთა ძლიერი ფენა, რომელიც ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენდა.**

ამრიგად, პ. სტოლიპინის რეფორმის ორივე (ეკონომიკური და პოლიტიკური) მიზანი მიღწეულ იქნა.

თავი III. რუსეთის საშინაო პოლიტიკა XIX საუკუნის დასასრულიდან 1914 წლამდე

§ 1. რუსეთის საშინაო პოლიტიკა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგს

XX საუკუნის დამდეგისათვის რუსეთის იმპერია კვლავ **თვითმპყრობელურ** სახელმწიფოდ რჩებოდა — უზენაესი ხელისუფლება **იმპერატორს (მეფეს)** ეკუთვნოდა. მიუხედავად ამისა, თვითმპყრობელობის ხასიათი მნიშვნელოვნად შეიცვალა. ფაქტობრივად, იმპერატორი უზარმაზარ ქვეყანას ერთპიროვნულად არ მართავდა. კანონპროექტები დიდხანს იხილებოდა **დეპარტამენტებსა** და **სამინისტროებში**, ხოლო შემდეგ — **სახელმწიფო საბჭოში**. მხოლოდ ამის შემდეგ აწერდა ხელს იმპერატორი კანონპროექტს, რაც კანონის ძალას ანიჭებდა მას. თუმცა იმპერატორს შეეძლო ყურად არ ეღო სახელმწიფო საბჭოს აზრი, ან მისი წევრების უმცირესი ნაწილის შეხედულება გაეზიარებინა, მაგრამ ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა. იმპერატორის მანიფესტებიც საგანგებო ორგანოებში (თათბირებსა და კომიტეტებში) მზადდებოდა მოწვეული ავტორიტეტული სპეციალისტების მონაწილეობით, თუმცა ამ შემთხვევაშიც გადამწყვეტი სიტყვა ისევ იმპერატორს ეკუთვნოდა.

1. ნიკოლოზ II — ადამიანი და მონარქი. 1894 წელს რუსეთის იმპერიის ტახტზე ავიდა უკანასკნელი მონარქი რომანოვების დინასტიიდან, ალექსანდრე III-ის უფროსი შვილი ნიკოლოზ II (1868 წ. 6 მაისი — 1918 წ. 17 ივლისი). ნიკოლოზ II-ს ბავშვობიდანვე ამზადებდნენ სამეფო ტახტზე ასასვლელად. იგი შესანიშნავად იყო აღზრდილი, ჰქონდა ბრწყინვალე განათლება. ტახტის მემკვიდრემ ბავშვობაში ხუთი ენა შეისწავლა: რუსულის გარდა თავისუფლად ფლობდა ინგლისურს, ფრანგულს, გერმანულს, დანიურს. მოგვიანებით იმპერატორი თავის უახლოეს გარემოცვაში აღნიშნავდა: „რუსული ენა იმდენად მდიდარია, რომ ყველა შემთხვევაში შესაძლებელია უცხოური გამოთქმების შეცვლა რუსულით“. მისთვის წარდგენილ ანგარიშებსა და მოხსენებებში ნიკოლოზ II უცხო სიტყვებს გადახაზავდა ხოლმე და დოკუმენტის ავტორს აიძულებდა იგი რუსული სიტყვებით შეეცვალა.

ნიკოლოზ II

მომავალმა იმპერატორმა ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლა გიმნაზიის გაფართოებული პროგრამით გათვალისწინებული ყველა დისციპლინა, ხოლო შემდეგ ასევე წარმატებით დაძლია უმაღლესი სკოლის სრული პროგრამა ორ სპეციალობაში. პირველად ნიკოლოზ II-მ შეისწავლა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროგრამა, მასში წარმოდგენილი ყველა დისციპლინით, ხოლო ისტორიისა და ეკონომიკის შესწავლას გაცილებით მეტი დრო დაუთმო, ვიდრე ამას იურიდიული ფაკულტეტის პროგრამა ითვალისწინებდა. საუნივერსიტეტო განათლების მიღების შემდეგ ტახტის მემკვიდრემ მიიღო უმაღლესი სამხედრო განათლება — შეისწავლა გენერალური შტაბის აკადემიის პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინები. ნიკოლოზ II-ის მასწავლებლები იყვნენ ცნობილი მკვლევარები და პროფესორები: კ. პობედონოსცევი, ნ. ბუნგე, ვ. კლიუჩევსკი, ე. ზამისლოვსკი, გენერლები: მ. დრაგომიროვი, გ. ლეერი, მუსიკალურ განათლებას კომპოზიტორი ა. კიუი აძლევდა.

ნიკოლოზ II სულიერად და ფიზიკურად კარგად იყო განვითარებული. მას გატაცებით უყვარდა ლიტერატურა, უკრავდა ფორტეპიანოსა და ვიოლინოზე, ხატავდა, ხშირად დადიოდა თეატრში, ცდილობდა ჩასწვდომოდა ხელოვნების საიდუმლოებებს, დიდ დროს უთმობდა სპორტსა და ნადირობას, უყვარდა ფიზიკური შრომა (შეშის დახერხვა, თოვლის წმენდა და სხვ.), აღტაცებული იყო რუსული

ოპერითა და ბალეტით, დიდად აფასებდა მ. მუსორგსკის, მ. გლინკასა და პ. ჩაიკოვსკის შემოქმედებას, რუსი კლასიკოსი მწერლებიდან განსაკუთრებით უყვარდა ა. პუშკინი და ნ. გოგოლი. ნიკოლოზ II სრულიად გულგრილი იყო ფუფუნებისა და კომფორტისადმი, საგანგებოდ არ არჩევდა საკვებსა და ჩაცმულობას, უყვარდა მოგზაურობა.

მომავალი იმპერატორი ბავშვობიდანვე შეაჩვიეს თავდადებულ შრომასა და საგანგებო რეჟიმით ცხოვრებას. სწორედ ამიტომ სამეფო ტახტზე ასვლის შემდეგ მას არ გასჭირვებია დიდი დატვირთვით მუშაობა. იმპერატორს შეეძლო საათობით თავაუღებლივ ემუშავა: მიეღო და მოესმინა მინისტრებისათვის, წაეკითხა უამრავი მოხსენებითი ბარათი, ანგარიში და სხვა დოკუმენტი.

ტახტზე ასვლის დროისათვის ნიკოლოზ II-ს სახელმწიფო მართვის საკმაო გამოცდილება ჰქონდა. იგი იყო სახელმწიფო საბჭოს წევრი, ესწრებოდა მინისტრთა კომიტეტის სხდომებს, მონაწილეობდა კანონპროექტების განხილვაში, იყო ციმბირის რკინიგზის კომიტეტის თავმჯდომარე, 1891-1892 წლებში ხელმძღვანელობდა შიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტს. კიდევ უფრო დიდი გამოცდილება ჰქონდა ტახტის მემკვიდრეს სამხედრო საქმეში. იგი რამდენიმე წლის განმავლობაში გადიოდა სამწყობრო მომზადებას გვარდიულ პოლკში, მეთაურობდა ასეულსა და ესკადრონს. 1887 წელს მომავალ იმპერატორს მიენიჭა შტაბს-კაპიტნის, 1891 წელს – კაპიტნის, ხოლო 1892 წელს გვარდიის პოლკოვნიკის წოდება. ტახტზე ასვლის შემდეგ ნიკოლოზ II-მ თავს უფლება არ მისცა მისთვის უფრო მაღალი სამხედრო წოდება მიენიჭებინათ, თუმცა ატარებდა უცხო ქვეყნების უმაღლეს სამხედრო წოდებებს. მაგალითად, 1915 წელს მას მიენიჭა ინგლისის არმიის უმაღლესი სამხედრო წოდება – ფელდმარშალი.

რუსეთის იმპერიის ტახტზე ასვლის შემდეგ ნიკოლოზ II სწრაფად დაეუფლა სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას. ამაში მას ხელი შეუწყო საფუძვლიანმა განათლებამ, ნათელმა გონებამ და დიდმა ფიზიკურმა გამძლეობამ. იმპერატორის გარემოცვის (მინისტრების) ნაწილი ამტკიცებდა, რომ, მართალია, ნიკოლოზ II იყო ღრმად განათლებული და საღად მოაზროვნე ადამიანი, მაგრამ არ გააჩნდა იმპერატორისათვის აუცილებელი მტკიცე ნებისყოფა, რის გამოც მუდმივად იმყოფებოდა ამა თუ იმ პიროვნების გავლენის ქვეშ. იმპერატორთან ძალზე დაახლოებული ადამიანები კი ამტკიცებდნენ, რომ ნიკოლოზ II იყო რბილი ხასიათის, არასდროს აიმაღლებდა ხმას, ქვეშევრდომებს უხეშად არ ეპყრობოდა. სწორედ ეს ქმნიდა იმის შთაბეჭდილებას, რომ იმპერატორს მტკიცე ნებისყოფა არ გააჩნდა. სინამდვილეში, ნიკოლოზ II-ს ჰქონდა შინაგანი სიმტკიცე და შეეძლო დასახული მიზნისათვის ბოლომდე პრინციპულად ებრძოლა. როგორც ჩანს, იმპერატორის უახლოესი ადამიანები უფრო სწორად აფასებდნენ მის პიროვნულ თვისებებს, ვიდრე მინისტრები.

ნიკოლოზ II-ის მსოფლმხედველობას მთლიანად განსაზღვრავდა რწმენა ღმერთისადმი. იმპერატორი ღრმადმორწმუნე მართლმადიდებელი იყო და მტკიცედ სწამდა, რომ მეფის (იმპერატორის) მისია მას სწორედ ღვთისაგან ჰქონდა დაკისრებული. ნიკოლოზ II-ს სჯეროდა, რომ ყველაფერი ხდება „ღმერთის ნებით“ და „ყველაფერი ღმერთის ხელშია“. მაგრამ რუსეთის უკანასკნელ იმპერატორს არ ჰქონდა ბევრი ისეთი თვისება, რაც აუცილებელი იყო სახელმწიფოს მეთაურისათვის. მას, როგორც პოლიტიკოსს, აკლდა პრაქტიკიზმი და კრიტიკულ ვითარებაში სწრაფი ორიენტირების უნარი. მას არ შეეძლო პოლიტიკურ ძალთა ობიექტური შეფასება და მოსალოდნელი სოციალური აფეთქების წინასწარი განჭვრეტა. ძალზე ერიდებოდა რადიკალური ღონისძიებების გატარებას, თავს იკავებდა კრიტიკულ ვითარებაში გადამჭრელი მოქმედებისაგან. მიზანს რომ დაისახავდა, ნიკოლოზ II დასძენდა ხოლმე: „ღვთის ნებით თანდათანობით ყველაფერს ასე გავაკეთებთ“. დაუყოვნებლივ გადასაჭრელი საკითხების გაცნობის შემდეგ იმპერატორი ხშირად იტყოდა ხოლმე: „ბევრი რამაა გასაუმჯობესებელი და მოსაწესრიგებელი, მაგრამ იქონიეთ მოთმინება“.

ნიკოლოზ II არ იყო მოქნილი პოლიტიკოსი და არც ორგანიზატორის ტალანტით იყო დაჯილდოებული. იგი პრინციპული წინააღმდეგი იყო როგორც ლავირებისა და კომპრომისებისა, ისე რადიკალური ღონისძიებების გატარებისა. ყოველივე ამის გარეშე კი შეუძლებელი იყო უზარმაზარი იმპერიის მართვა.

2. ნიკოლოზ II-ის უახლოესი გარემოცვა. ნიკოლოზ II-ს არასოდეს ჰყოლია კარგად ორგანიზებული და ერთგული თანამოაზრეების ჯგუფი, ანუ, თანამედროვე ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, იმპერატორს არ ჰყოლია თავისი

დედოფალი ალექსანდრა

ძლიერი გუნდი. არ ჰყოლია იგი უაღრესად კრიტიკულ ვითარებაშიც კი – 1905 წელსა და 1917 წელს. ამის მიზეზი ის იყო, რომ იმპერატორს არ სურდა შეექმნა თანამოაზრეთა ჯგუფი და მით უფრო პოლიტიკური პარტია. პეტრე სტოლიპინმა სცადა შეექმნა რაღაც პოლიტიკური პარტიისა თუ გაერთიანების მსგავსი რამ, მაგრამ იმპერატორის სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. ნიკოლოზ II-ს სწამდა, რომ იმპერატორი პარტიული ინტერესებით არ უნდა შეზღუდულიყო. იგი უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებზე ადამიანებს ნიშნავდა იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად შეეძლოთ მათ სახელმწიფოსა და ტახტის ერთგული სამსახური. ამ პრინციპიდან გამომდინარე, მეფობის პირველ პერიოდში, ნიკოლოზ II-მ დაუშვა საბედისწერო შეცდომა, როცა უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებზე უახლოესი ნათესავები დანიშნა.

1894 წლიდანვე ახალგაზრდა იმპერატორი უახლოესი ადამიანების – სამეფო სახლის წევრების გავლენის ქვეშ მოექცა. მათ შორის ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობდა ნიკოლოზ II-ს დედა მარია, ძლიერი ნებისყოფის მქონე და ძალაუფლების მოყვარული ადამიანი. იმპერატორს ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება დედასთან უნდა შეეთანხმებინა. დედის გავლენა იმპერატორზე თანდათან შესუსტდა ნიკოლოზ II-ის მეუღლის, რუსეთის დედოფლის **ალექსანდრას (1872-1918)** პოლიტიკურ არენაზე გამოსვლის შემდეგ. თუ ნიკოლოზ II-ის დედა – მარია დასავლურ ლიბერალურ იდეებსა და თვით კონსტიტუციურ მონარქიასაც კი თანაუგრძნობდა, დედოფალ ალექსანდრას ეშინოდა, რომ ლიბერალური მოძრაობა მიაღწევდა რუსეთის იმპერატორის ძალაუფლების შეზღუდვას და რუსეთის მონარქი ინგლისის მონარქივით უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ალექსანდრა ნიკოლოზს ურჩევდა, უფრო ენერგიულად დაეცვა თვითმპყრობელობის პრინციპების შეუვალობა, თუმცა პოლიტიკაში აქტიურად მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ჩაერია. მანამდე იგი დაკავებული იყო შვილების აღზრდით.

მეფობის პირველ ხანებში ნიკოლოზ II-ზე დიდ გავლენას ახდენდნენ დიდი მთავრები, ალექსანდრე III-ის ძმები (ნიკოლოზის ბიძები): **ვლადიმირი, ალექსი, სერგეი** და **პავლე**. ვლადიმირს, ალექსისა და პავლეს დიდი სახელმწიფო თანამდებობები ჯერ კიდევ ალექსანდრე III-ის მეფობის წლებში ეკავათ და ნიკოლოზ II იძულებული გახდა უარი ეთქვა მათ გადაყენებაზე. ვლადიმირი 1884-1905 წლებში იყო გვარდიის მთავარსარდალი და პეტერბურგის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი; ალექსი 1880-1905 წლებში სათავეში ედგა ფლოტსა და საზღვაო უწყებას; სერგეი 1891-1905 წლებში იყო მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი და მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი. ბიძები ნიკოლოზზე ბევრად უფროსები იყვნენ, ისინი იმპერატორს მუდამ რაღაცას სთხოვდნენ (ძირითადად ეს შეეხებოდა ფულს), ხოლო თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას გულგრილად ეკიდებოდნენ. სწორედ ეს გულგრილობა და უპასუხისმგებლობა გახდა რამდენიმე უბედურების მიზეზი. მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი, დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე იყო მთავარი დამნაშავე იმაში, რომ 1896 წელს, მოსკოვში, ნიკოლოზ II-ის კორონაციასთან დაკავშირებული ზეიმისას, ხოდინის მინდორზე საჩუქრების დარიგების დროს ზედახორაში 1282 ადამიანი დაიღუპა, ხოლო ასობით დაშავდა. 1905 წლის 9 იანვრის „სისხლიანი კვირა" პეტერბურგის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის, დიდი მთავრის ვლადიმირ ალექსანდრეს ძის წინდაუხედავი მოქმედების შედეგი იყო, რადგან ნიკოლოზ II-ის ცარსკოე სელოში ყოფნის გამო პეტერბურგში გადაწყვეტილებებს სწორედ ვლადიმირ ალექსან-

დრეს ძე იღებდა. საზღვაო უწყების ხელმძღვანელი, დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე სათანადო ყურადღებას არ უთმობდა სამხედრო ფლოტის რეორგანიზებას, რაც მიზეზი გახდა რუსეთ-იაპონიის ომის დროს ცუსიმასთან ბრძოლაში განცდილი დიდი კატასტროფისა.

იმპერატორის სხვა ნათესავებიდან სახელმწიფო საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა დიდი მთავარი **ნიკოლოზ ნიკოლოზის** ძე, რომელიც 1914-1915 წლებში იყო უმაღლესი მთავარსარდალი, ხოლო შემდეგ კავკასიის უკანასკნელი მეფისნაცვალი.

1905 წლის შემდეგ იმპერატორს ბიძები დიდ სახელმწიფო თანამდებობებზე აღარ დაუნიშნავს. ამან ნიკოლოზ II და დედოფალი ალექსანდრა აშკარად დააპირისპირა სამეფო სახლის წევრებთან. იმპერატორის ოპოზიცია თავს იყრიდა დიდი მთავრის ვლადიმირ ალექსანდრეს ძის მეუღლის — **მარიას** სალონში. ოპოზიციის იდეური სულისჩამდგმელი იყო დიდი მთავარი **ნიკოლოზ მიხეილის ძე**. თხუთმეტი დიდი მთავრიდან 1917 წლისათვის ნიკოლოზ II-ის ერთგული დარჩა მხოლოდ ორი — ძმა **მიხეილი** და ბიძა **პავლე**.

ნიკოლოზ II-მ ვერც მინისტრებისაგან შექმნა თანამოაზრეთა ძლიერი ჯგუფი. დროდადრო გაჩრნდებოდნენ ისეთი მედროვეები, როგორებიც იყვნენ: დ. ტრეპოვი, ა. ბეზობრაზოვი, ვ. მეშჩერსკი და სხვები. ისინი სხვადასხვა მიზეზით მალევე ქრებოდნენ პოლიტიკური ასპარეზიდან. მინისტრთა შორის იყვნენ დიდი სახელმწიფო მოღვაწეებიც (ს. ვიტე, პ. სტოლიპინი, ა. კრივოშეინი), გამოცდილი და ჭკვიანი ადმინისტრატორები (ვ. პლეეე, პ. დურნოვი და სხვ.), მაგრამ მათ არ ჰყოფნიდათ გამბედაობა თავის თავზე აეღოთ ინიციატივა და არ დალოდებოდნენ იმპერატორის მითითებებს. ნიკოლოზ II ყოველივე ამას კარგად ხედავდა და იძულებული იყო ხშირად შეეცვალა მინისტრები.

ნიკოლოზსა და ალექსანდრას ჰყავდათ რამდენიმე უახლოესი მეგობარი, მაგრამ ისინი სახელმწიფოს მართვაში დიდ როლს არ ასრულებდნენ. მათ შორის იყვნენ ფრეილინა **ანა ვირუბოვა** და მამამისი, იმპერატორის კანცელარიის უფროსი ს. **ტანეევი**, იმპერატორის იახტის კაპიტანი **საბლინი** და სხვები.

იმპერატორის ოჯახში დიდი სევდა ტრიალებდა. 1904 წელს დაბადებული ტახტის მემკვიდრე **ალექსი** ჰემოფილიით იყო დაავადებული. მაშინდელი მედიცინა უძლური იყო ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ. იმპერატორი და დედოფალი იმედს არ კარგავდნენ და ხალხურ მედიცინაში ეძებდნენ ხსნას. სასახლეში ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ხშირად მოჰყავდათ თვითნასწავლი ექიმები. ასე მოხვდა იმპერატორის ოჯახში ციმბირელი გლეხი **გრიგოლ რასპუტინი**. უფლისწული **ალექსი** ავადმყოფობის შეტევის დროს აუტანელი ტკივილისაგან ხმამაღლა ყვიროდა. გ. რასპუტინის დაუძინებელი მტრებიც კი (მაგალითად, სასახლის კომენდანტი ვ. ვოეიკოვი) აღიარებდნენ, რომ ციმბირელი გლეხის ალექსის საწოლთან მისვლისთანავე უფლისწული წყნარდებოდა და ტკივილი უქრებოდა. ამიტომ გასაგებია, თუ როგორ უფრთხილდებოდნენ ავადმყოფობით დატანჯული შვილის მხსნელს ნიკოლოზი და ალექსანდრა. შემდეგში გრიგოლ რასპუტინის სიახლოვე იმპერატორის ოჯახთან გამოიყენეს სამეფო კარის დისკრედიტაციისათვის, თუმცა დროებითი მთავრობის საგანგებო საგამომძიებლო კომისიამ ვერ იპოვა გ. რასპუტინის სახელმწიფო საქმეებში ჩარევის დამამტკიცებელი მასალა. გამოგონილი იყო ისიც, თითქოს გრიგოლ რასპუტინი სათავეში ედგა სასახლის კამარილიას. ისინი, ვინც გავრცელებული ხმების მიხედვით სასახლის კამარილიას განეკუთვნებოდნენ, სინამდვილეში იმპერატორისა და დედოფლის ოპოზიციას შეადგენდნენ და ვერც გრიგოლ რასპუტინს იტანდნენ.

3. საშინაო-პოლიტიკური კურსის შემუშავება. საშინაო-პოლიტიკური კურსის განსაზღვრას თვითონ იმპერატორი ხელმძღვანელობდა, ხოლო პრაქტიკულად მისი შემუშავება შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა. 1899-1905 წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგეობით სათავეში ედგნენ **დ. სიპიაგინი** (რევოლუციონერებმა მოკლეს დანიშვნიდან წელიწადნახევრის შემდეგ), **ვ. პლეეე** (მოკლეს დანიშვნიდან ორი წლისა და სამი თვის შემდეგ), **პ. სვიატოპოლკ-მირსკი** (იმპერატორმა გადააყენა ოთხი თვისა და ორი კვირის შემდეგ, 9 იანვრის „სისხლიანი კვირის" ამბებთან დაკავშირებით).

დ. სიპიაგინი ახლო ურთიერთობაში იყო ჟურნალ „გრაჟდანინის" რედაქტორთან თავად ვ. მეშჩერსკისთან. სწორედ ამ უკანასკნელს ეკუთვნოდა იდეა მომავალი გარდაქმნების პროგრამის — იმპერატორის მანიფესტის სახით — გამოქვეყნების შესახებ. მანიფესტის პროექტი ვ. მეშჩერსკისა და დ. სიპიაგინს მზად ჰქონდათ 1902 წლის თებერვლისათვის, ნიკოლოზ II-მ მანიფესტის პროექტი მთლიანობაში მოიწონა,

ამასთან ერთად, გამოთქვა შენიშვნები. 1902 წლის აპრილში დ. სიპიაგინი მოკლეს და მანიფესტის პროექტზე იმპერატორს ხელი აღარ მოუწერია.

1902 წელს ნიკოლოზ II-მ შინაგან საქმეთა მინისტრად ვ. პლეევე დანიშნა და დ. სიპიაგინის დაწყებული საქმის გაგრძელება მას დაავალა.

ვიაჩესლავ კონსტანტინეს ძე პლეევ (1846-1904) იყო რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ჭკვიანი და ენერგიული მინისტრი. ვ. პლეევ ხანგრძლივად მუშობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, იყო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი. მოგვიანებით დანიშნა ფინეთის დიდი სამთავროს მინისტრად. ვ. პლეევს შემუშავებული ჰქონდა სახელმწიფო გარდაქმნების საკუთარი კონცეფცია. მართალია, იგი თვითმყოფობლობის შენარჩუნების თავგამოდებული მომხრე იყო, მაგრამ ამავე დროს აუცილებლად მიაჩნდა სახელმწიფო მმართველობის სისტემის გარდაქმნა. ვ. პლეევს სწამდა, რომ 30-50 წლის შემდეგ რუსეთის სახელმწიფო წყობილება უსათუოდ შეიცვლებოდა. მოსალოდნელი რევოლუციის თავიდან აცილების მიზნით, ვ. პლეევ აუცილებლობად მიიჩნევდა საშინაო პოლიტიკის გაკაცრებას, ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდისა და გამოსვლების აღკვეთას. შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნის შემდეგ ვ. პლეევ ხშირად იმეორებდა, რომ მისი ცხოვრების მიზანია რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლა და რუსეთის სახელმწიფო მმართველობის განსაზღვა. ვ. პლეევს მიერ შემუშავებული რეფორმების პროექტი ითვალისწინებდა რუსეთში სახელმწიფო სათათბიროს დაწესებას და ერობათა საერთო-სარუსეთო ორგანიზაციის შექმნას. მკაცრი პოლიტიკური კურსის აუცილებლობის აღიარებასთან ერთად, ვ. პლეევ კომპრომისების პოლიტიკასაც უჭერდა მხარს და თანახმა იყო, რომ საზოგადოების წარმომადგენლებს მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფო მმართველობის რეფორმების პროექტის შემუშავებაში. ვ. პლეევ ემხრობოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნას და მათთვის რეალური უფლებების მინიჭებას. მასვე ეკუთვნის იდეა ხელისუფლების დეცენტრალიზაციის შესახებ. ვ. პლეევ აღნიშნავდა: „მთელი რუსეთისათვის პეტერბურგში კანონების შემუშავება შეუძლებლად მიმაჩნია“.

ვ. პლეევ შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნისთანავე ვ. მეშჩერსკისთან ერთად ენერგიულად შეუდგა მომავალი გარდაქმნების შესახებ იმპერატორის მანიფესტის პროექტზე მუშაობას. პროექტის შედგენას პირადად იმპერატორი ხელმძღვანელობდა. ნიკოლოზ II–მ მანიფესტს ხელი მოაწერა 1904 წლის 26 თებერვალს. მასში აღნიშნული იყო, რომ სოფლის შესახებ კანონმდებლობას საფუძვლად უნდა დასდებოდა „თემური წყობილების ხელშეუხებლობა“, თუმცა ცალკეულ გლეხებს მიეცემოდათ თემიდან შეუფერხებლად გასვლის უფლება. იმპერატორი აცხადებდა, რომ გაიზრდებოდა კრედიტები სოფლად როგორც თავადაზნაურობის, ისე გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მანიფესტი ითვალისწინებდა გლეხობის უფლებრივი მდგომარეობის სასიკეთოდ შეცვლას, საგუბერნიო და სამაზრო მმართველობის გარდაქმნას, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას, მართლმადიდებლობის გავლენის გაძლიერებას და სხვ.

იმპერატორის მანიფესტში დასახული პროგრამის რეალიზების მიზნით ვ. პლეევემ შექმნა რამდენიმე კომისია. ამ კომისიებს უნდა შეემუშავებინათ შესაბამისი კანონპროექტები. ვ. პლეევს მკვლელობამდე სახელმწიფო საბჭომ მხოლოდ ერთი კანონპროექტი მოიწონა. იგი ეხებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ადგილობრივი მეურნეობის საბჭოს შექმნას. ბრძანებულებას საბჭოს შექმნის შესახებ ნიკოლოზ II-მ ხელი მოაწერა 1904 წლის 22 მარტს. შემუშავდა კანონპროექტი **გუბერნიების საბჭოების** შექმნის შესახებ, რომლის პროექტიც განსახილველად დაიგზავნა გუბერნიებში. 1904 წლის 6 ივნისს ნიკოლოზ II-მ ხელი მოაწერა კანონს გლეხთა გადასახლების შესახებ. კანონის ძალით გუბერნატორებს შეეძლოთ გლეხობისათვის საცხოვრებლად სხვა ადგილებში გადასახლების ნებართვა მიეცათ.

1904 წლის 15 ივლისს რევოლუციონერებმა ვ. პლეევ მოკლეს. მის სიკვდილს ერთნაირად ზეიმობდნენ რევოლუციონერებიცა და ლიბერალებიც, რომლებიც ვ. პლეევს რეაქციონერად და ანტისემიტად მიიჩნევდნენ. ვ. პლეევ არ იმსახურებს ასეთ შეფასებას. არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ ვიაჩესლავ **პლეევ იყო XX საუკუნის დამდეგის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, იგი არც რეაქციონერი და არც ანტისემიტი ყოფილა, იგი იყო თავდაჯერებული კონსერვატორი, მაგრამ, ამავე დროს, კარგად გრძნობდა რუსეთის სახელმწიფო მმართველობის განახლების აუცილებლობას.** ვ. პლეევემ ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგს ცხადად შეიგრძნო ის დამღუპველი საფრთხე, რასაც რევოლუცია უქადდა რუსეთს და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ქვეყანა დიდი კატასტროფისაგან ეხსნა.

4. გლეხთა საკითხი. 1901 წლის მოუსავლიანობამ და შიმშილობამ, რასაც 1902 წელს გლეხთა დიდი მღელვარება მოჰყვა, გლეხთა სა-

კითხი საშინაო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხად აქცია. 1902 წლის აგვისტოში ვ. პლეევემ **კურსკში** ექვსი გუბერნიის (კურსკის, პოლტავის, ხარკოვის, ჩერნიგოვის, ორიოლის, ვორონეჟის) გუბერნატორები, თემისა და სოფლის მამასახლისები შეკრიბა. კურსკში სამხედრო მანევრებთან დაკავშირებით მყოფმა ნიკოლოზ II ცალ-ცალკე შეხვდა თავადაზნაურობის, ერობებისა და გლეხობის წარმომადგენლებს. სამივე გამოსვლისას იმპერატორი რეფორმების აუცილებლობაზე ლაპარაკობდა. 1903 წლის მარტში ნიკოლოზ II-მ სპეციალური ბრძანებულებით მოაწესრიგა გლეხობიდან ზოგიერთი გადასახადის ამოღების წესი. 1904 წლის აგვისტოში იმპერატორმა თემის მოსამართლეებს აუკრძალა გლეხისათვის გაროზგვის მისჯა. რაც შეეხება გლეხობისათვის ყველაზე მტკივნეული — მიწათსარგებლობის საკითხი და მცირემიწიანობა — კვლავ გადაუჭრელი რჩებოდა. გლეხობისათვის გარკვეულ შვებას წარმოადგენდა 1904 წლის ზემოთ ხსენებული კანონი ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლების შესახებ.

5. **ზუბატოვშჩინა და მისი მნიშვნელობა.** XX საუკუნის დამდეგისათვის მუშათა საკითხი ორი კუთხით განიხილებოდა: 1) ბრძოლა მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ; 2) ბრძოლა სოციალური ორიენტაციის პარტიების ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობის აღსაკვეთად. ამ თვალსაზრისით საინტერესოა შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უშიშროების განყოფილების (ოხრანკის) უფროსის, ჟანდარმერიის პოლკოვნიკის **ს. ზუბატოვის** მოღვაწეობა. ს. ზუბატოვი იყო რუსეთის პოლიციის გამოჩენილი მოღვაწე, უნარიანი ადმინისტრატორი და თვითმპყრობელობის ერთგული დამცველი. ს. ზუბატოვმა შექმნა პოლიტიკურ დამნაშავეთა დევნის ახალი სისტემა, რაც ითვალისწინებდა **საიდუმლო აგენტურის ქსელის** შექმნას, არალეგალური რევოლუციური ორგანიზაციების გამომეღვნებას როგორც გარედან თვალთვალით, ისე ორგანიზაციაში აგენტების შეგზავნის საშუალებით. მთელი იმპერიის მასშტაბით რევოლუციურ ორგანიზაციებთან ბრძოლის მიზნით შეიქმნა ე.წ. „მფრინავი რაზმები", რომლებიც კონკრეტული დავალებით იგზავნებოდნენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. ვ. პლეევემ ს. ზუბატოვი დანიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო დეპარტამენტის უფროსად და დაავალა **პოლიტიკური სამძებრო სამსახურის** რეორგანიზაციის დასრულება. ვ. პლეევეს კარგად ესმოდა პოლიტიკური სამძებრო სამსახურის მნიშვნელობა ქვეყანაში სიმშვიდისა და წესრიგის შენარჩუნების საქმეში.

ს. ზუბატოვის მოღვაწეობის მეორე მხარე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო. საქმე ეხებოდა მუშათა მოძრაობის წარმართვას მხოლოდ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მოთხოვნის ნიშნით. ამ მიზნით მუშებს უნდა შეექმნათ ლეგალური ორგანიზაციები, რომლებიც პოლიციის მუდმივი და ფარული მეთვალყურეობის ქვეშ იმოქმედებდნენ. ასეთი სისტემა XIX საუკუნის ბოლოდან მოქმედებდა გერმანიაში. 1901 წელს მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის, დიდი მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძისა და მოსკოვის პოლიცმაისტერის დ. ტრეპოვის ხელშეწყობით ს. ზუბატოვმა შექმნა **„მექანიკური წარმოების მუშების ურთიერთდახმარების საზოგადოება"**. მალე ასეთი ორგანიზაციები შეიქმნა სხვა ქალაქებშიც, განსაკუთრებით იმპერიის დასავლეთ და სამხრეთ რეგიონებში. პოლიცია მხარს უჭერდა მუშათა ეკონომიკურ მოთხოვნებს, რითაც თავიდან იცილებდა პოლიტიკური ხასიათის გამოსვლებს.

ს. ზუბატოვმა გერმანიის გამოცდილების რუსეთში დანერგვა ბოლომდე ვერ შეძლო. პოლიციის მიერ მუშათა ეკონომიკური მოთხოვნებისადმი მხარდაჭერამ აღაშფოთა ქარხნებისა და ფაბრიკების მფლობელები, ზოგიერთმა მათგანმა სარჩელიც კი შეიტანა სასამართლოში. ს. ვიტე და დ. სიპიაგინი ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეთა მხარეზე დადგნენ, ვ. პლეევე ს. ზუბატოვს უჭერდა მხარს. მიუხედავად ვ. პლეევეს ასეთი პოზიციისა, ს. ვიტე მოითხოვდა, რომ პოლიცია არ ჩარეულიყო მუშებისა და კაპიტალისტების ურთიერთობაში. **ზუბატოვშჩინის გავრცელების მთავარ ხელშემშლელ პირობად მაინც სოციალისტური ორიენტაციის პარტიები აღმოჩნდნენ.** სოციალისტურ პარტიებს სურდათ მუშათა ორგანიზაციებში გაბატონება და მუშათა მოძრაობის წარმართვა პოლიტიკური მოთხოვნების ნიშნით. ოდესისა და სამხრეთ რეგიონების სხვა ქალაქების მუშებმა გაფიცვის დროს სოციალისტური პარტიების აგიტაციის გავლენით პოლიტიკური მოთხოვნები წამოაყენეს. ეს ს. ზუბატოვის მარცხად იქნა მიჩნეული. ს. ზუბატოვი თანამდებობიდან გადააყენეს და მოსკოვიდან გადაასახლეს.

ზუბატოვშჩინის მარცხი ხელისუფლების სერიოზული წარუმატებლობის მაჩვენებელი იყო. ამ მნიშვნელოვანი წამოწყების დასამარება ორმა

კონკრეტულმა მიზეზმა განაპირობა: 1) ხელისუფლებამ მუშათა მოძრაობის თავისი გავლენის ქვეშ მოქცევა მაშინ სცადა, როცა იქ სოციალისტურ პარტიებს პოზიციები უკვე მოპოვებული ჰქონდათ, ანუ ხელისუფლებამ რამდენიმე წლით გვიან დაიწყო ამ მიმართულებით მოქმედება; 2) რუსმა კაპიტალისტებმა ზუბატოვშჩინა, კერძოდ კი, პოლიციის მიერ მუშათა ეკონომიკური მოთხოვნების მხარდაჭერა, მისი პოლიტიკური მნიშვნელობით ვერ აღიქვეს და მასში მხოლოდ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების შელახვა დაინახეს.

ზუბატოვშჩინის მარცხი სოციალისტური პარტიების გამარჯვებასა და მუშათა მოძრაობის პოლიტიზაციას მოასწავებდა.

რუსი კაპიტალისტების ბრძოლა ს. ზუბატოვის წინააღმდეგ არასახელმწიფოებრივი აზროვნების გამოვლინება იყო, რომელმაც შედეგად მოგვცა ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეთა ბრძოლა მუშათა კანონმდებლობის მიღების წინააღმდეგ. ს. ვიტემ და ვ. პლეევმ თავისი გაიტანეს და 1903 წელს ორი მნიშვნელოვანი კანონი დაამტკიცებინეს სახელმწიფო საბჭოსა და იმპერატორს. 1903 წლის 2 ივნისის კანონის ძალით საწარმოო პროცესის დროს უბედური შემთხვევის გამო დაინვალიდებულ მუშას წარმოების (ფაბრიკის, ქარხნის) ხარჯზე **პენსიის** სახით უნარჩუნდებოდა საშუალო ხელფასის ორი მესამედი. 1903 წლის 10 ივნისის კანონი მუშებს უფლებას აძლევდა თავიანთი რიგებიდან **მამასახლისები** აერჩიათ. მამასახლისების მოვალეობას მუშათა ინტერესების დაცვა შეადგენდა.

6. ხელისუფლება და საზოგადოება 1904 წელს. ვ. პლეევს მკვლელობის მიუხედავად ნიკოლოზ II-მ გადაწყვიტა რეფორმების კურსი გაეგრძელებინა. მეტიც, იმპერატორს რამდენიმე აშკარა ლიბერალური ხასიათის რეფორმის გატარებაც კი ჰქონდა განზრახული. 1904 წლის 25 აგვისტოს ნიკოლოზ II-მ შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნა ლიბერალური აზროვნებით ცნობილი თავადი პ. **სვიატოპოლკ-მირსკი.** ახალმა მინისტრმა თავისი მოღვაწეობის მიზნად გამოაცხადა რჯულთშემწყნარებლობის გარანტია, თვითმმართველობის გაფართოება, პრესის უფლებების დაცვა და სხვ. პ. სვიატოპოლკ-მირსკი ხშირად აღნიშნავდა, რომ პოლიტიკურ დამნაშავეებად მხოლოდ ტერორისტები უნდა ყოფილიყვნენ მიჩნეულნი. ახალმა მინისტრმა შინაგან საქმეთა სამინისტროდან დაითხოვა მემარჯვენე შეხედულებების მქონე რამდენიმე მაღალჩინოსანი მოხელე (ა. სტიშინსკი, ბ. შტიურმერი და სხვ.).

1904 წლის იანვარში დაწყებული რუსეთ-იაპონიის ომი რუსეთისათვის მარცხიანი გამოდგა. რიგ წარუმატებლობას 1904 წლის აგვისტოში **ლიაოლიანთან** იაპონელთა მიერ რუსეთის არმიის სასტიკი დამარცხება და შემდეგ **პორტ-არტურის** დაკარგვა მოჰყვა. ნიკოლოზ II ხვდებოდა, რომ მარცხიანმა ომმა ხელისუფლებას საზოგადოებაში ავტორიტეტი შეულახა, თანაც ამ „საზოგადოებაში" უკვე არა მარტო ინტელიგენცია იგულისხმებოდა, არამედ დიდი არისტოკრატიული საგვარეულოების წარმომადგენლები, საიმპერატორო კართან ნათესავურ კავშირში მყოფი **დოლგორუკოვები, ობოლენსკები, ტრუბეცკოები, შერემეტიევები** და სხვები. ვ პლეევს მკვლელობის შემდეგ იუსტიციის მინისტრმა **ნ. მურავიოვმა** იმპერატორს უთხრა: „საზოგადოების გარეშე მართვა შეუძლებელია". იგივე ესმოდა ნიკოლოზ II-ს დედისაგან, ს. ვიტესაგან და სხვა მაღალი რანგის მოხელეებისაგან. პ. სვიატოპოლკ-მირსკი იმპერატორს დაჟინებით ურჩევდა, რომ საზოგადოებისაგან რევოლუციონერების გარიყვის მიზნით საზოგადოების წარმომადგენლები უნდა ჩაერთო რეფორმატორულ საქმიანობაში, კომპრომისებითა და რიგი ლიბერალური რეფორმებით მიემხრო საზოგადოება და ამით თავიდან აეცილებინა ლიბერალურ მოძრაობაში დაწყებული რადიკალიზაცია, რევოლუციონერთა და საზოგადოების ლიბერალური ნაწილის ბლოკის შექმნა ხელისუფლების წინააღმდეგ.

XIX საუკუნის მიწურულიდან და XX საუკუნის დამდეგიდან შეინიშნებოდა რუსეთის ლიბერალური მოძრაობის გაძლიერება და რადიკალიზაცია. ამას ხელს უწყობდა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება, არალეგალური რევოლუციური ორგანიზაციების აღმოცენება, სოციალისტური ორიენტაციის პარტიების შექმნა, რევოლუციონერთა მიერ მშრომელთა მასისა და საზოგადოების ლიბერალური ნაწილის მიმხრობისათვის დაწყებული ფართო პროპაგანდისტული მოღვაწეობა. რევოლუციონერთა მოღვაწეობის წარმატებას ხელი შეუწყო ალექსანდრე III-ის სიკვდილის შემდეგ პოლიტიკური რეჟიმის შერბილებამ. ლიბერალური სულისკვეთება, რომელიც წინათ ძირითადად საერობო ორგანიზაციებში იგრძნობოდა, ამჯერად ფართო გავრცელებას პოულობს. 1899-1905 წლებში მოსკოვში თავად დოლგორუკოვების სახლში მოქმედებდა ნახევრა-

დლეგალური ორგანიზაცია **„ბესედა“**. ორგანიზაცია დაახლოებით 60-მდე წევრს აერთიანებდა, მათ შორის იყო 9 თავადი, 8 გრაფი და 2 ბარონი. „ბესედა“ **კონსტიტუციური მონარქიის** იდეის პროპაგანდას ეწეოდა. კონსტიტუციური მონარქიის იდეას იზიარებდა გუბერნიებისა და მაზრების სათავადაზნაურო საკრებულოების წინამძღოლთა დიდი ნაწილი. ორგანიზაცია „ბესედას“ წევრების სტატიები ჟურნალ **„პრავოსა“** და სხვა გამოცემებში საზოგადოების ლიბერალური ნაწილის მხარდაჭერით სარგებლობდა. 1904 წლის სექტემბერში ჟურნალ „პრავოში“ დაიბეჭდა ე. **ტრუბეცკოის** სტატია **„ომი და ბიუროკრატია“**. ე. ტრუბეცკოი ატარებდა შემდეგ იდეას: **ბიუროკრატია მისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებრივი კონტროლისათვის, ბიუროკრატიამ ქვეყანა უნდა მართოს საზოგადოებასთან ერთად და იგი არ უნდა მოქმედებდეს საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგ.** ორგანიზაცია „ბესედამ“ დიდად შეუწყო ხელი რუსეთის საზოგადოების ზედა ფენებში ლიბერალური შეხედულებების გავრცელებას. **სულ უფრო პოპულარული ხდებოდა თვითმპყრობელური სისტემის შეზღუდვისა და კონსტიტუციური მონარქიის შემოღების იდეა.** ორგანიზაცია „ბესედა“ XX საუკუნის დამდეგისათვის ნელ-ნელა გადავიდა რადიკალურ პოზიციაზე. ორგანიზაციის წევრებში ჩაისახა არალეგალური იატაკქვეშა ორგანიზაციის შექმნის იდეა. 1902 წლის ივნისიდან ქალაქ **შტუტგარდტში** (გერმანია) გამოსვლა დაიწყო ორკვირეულმა ჟურნალმა „ოსვობოჟდენიემ“, რომლის გამოსვლა 1904 წლიდან პარიზში გაგრძელდა. ჟურნალის რედაქტორი იყო **პეტრე სტრუვე**. „ოსვობოჟდენიეს“ დამაარსებლები მიზნად ისახავდნენ რუსეთის გათავისუფლებას თვითმპყრობელობისაგან. 1903 წელს შვეიცარიაში შეიკრიბნენ ჟურნალის შემქმნელები და მათი თანამოაზრეები და დააარსეს ორგანიზაცია **„სოიუზ ოსვობოჟდენია“ („განთავისუფლების კავშირი“)**. ორგანიზაციას „კავშირი“ და არა „პარტია“ შემთხვევით არ უწოდეს. ორგანიზაციის მიზანი იყო თვითმპყრობელობისადმი ოპოზიციურად განწყობილი ყველა არასოციალისტური ძალის გაერთიანება. „განთავისუფლების კავშირი“ მიზნად არ ისახავდა თვითმპყრობელობის შელამაზებას და რუსეთის მმართველობის ფორმების გაუმჯობესებას. ორგანიზაციის მიზანი იყო რუსეთში დაემყარებინა „ახალი წყობილება“.

***პეტრე ბერნგარდის ძე სტრუვე (1887-1944) – გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, ეკონომისტი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, ე.წ. „ლეგალური მარქსიზმის“ იდეოლოგი. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ევროპისა და რუსეთის სოციალისტთა შორის. 1896 წელს მონაწილეობდა ლონდონში გამართულ საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესში. 1898 წელს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრების თხოვნით დაწერა „რსდმპ I ყრილობის მანიფესტი“. იყო ვ. ლენინის პრინციპული მოწინააღმდეგე, განსაკუთრებით არ ეთანხმებოდა ბურჟუაზიული წყობილების რევოლუციის გზით შეცვლისა და პროლეტარიატის დიქტატურის იდეას. პ.სტრუვეს იდეალი იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათის რეფორმების გატარება. დარწმუნებული იყო, რომ პროლეტარული სოციალიზმი და პროლეტარიატის დიქტატურა დაღუპავდა რუსეთს, იგი წინააღმდეგი იყო ყოველგვარი რადიკალიზმისა და ექსტრემიზმისა, რუსეთის მომავალს ლიბერალურ დემოკრატიული იდეების ხორცშესხმაში ხედავდა. ყოველივე ამის გამო პ. სტრუვე დაუპირისპირდა ვ. ლენინსა და ბოლშევიზმს. 1905-1907 წლების რევოლუციის შემდეგ რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ფრთას მიეკუთვნა, რედაქტორობდა ჟურნალ „რუსსკაია მისლს“. 1917 წლის ოქტომბერში ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების დაპყრობა შეაფასა რეაქციულ მოვლენად, ბოლშევიკებს არ მიიჩნევდა სოციალისტებად. აქტიურად თანამშრომლობდა თეთრ მეძრაობასთან, კერძოდ, ა. დენიკინთან და პ. ვრანგელთან. თეთრი მეძრაობის დამარცხების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა. სიკვდილამდე არ შერიგებია ბოლშევიზმსა და საბჭოთა წყობილებას.*

„განთავისუფლების კავშირმა“ 1902-1905 წლებში რუსეთში ოთხი არალეგალური ყრი-

პეტრე სტრუვე

ლობა ჩაატარა. მისივე ინიციატივით 1904 წელს პარიზში მოწვეულ იქნა ოპოზიციური და რევოლუციური ორგანიზაციებისა და პარტიების თათბირი. მემარცხენე პარტიებიდან თათბირში სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლუციონერები მონაწილეობდნენ. თათბირმა მიიღო რეზოლუცია „თვითმპყრობელობის მოსპობისა" და „თავისუფალი დემოკრატიული წყობილების" დამყარების შესახებ.

სულ უფრო რადიკალური ხდებოდა ერობების მოღვაწეობა. ეს ცხადად დაადასტურა 1904 წელს გამართულმა **რუსეთის ერობების წარმომადგენელთა ყრილობამ**, რომელმაც ძირითადი ყურადღება პოლიტიკურ საკითხებს დაუთმო.

ლიბერალური მოძრაობის რადიკალიზაცია და საერთოდ საზოგადოების ოპოზიციური განწყობილება, ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩენილა ხელისუფლებისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტროს **პოლიციის დეპარტამენტი** და გუბერნიებში მისადმი დაქვემდებარებული **ჟანდარმერიის სამმართველოები, გუბერნატორები** მითითებებს ელოდნენ, ხელისუფლება კი ასეთ მითითებებს არ იძლეოდა. ნიკოლოზ II, მთავრობა და შინაგან საქმეთა მინისტრი გადამწყვეტი ღონისძიებების გატარებისაგან თავს იკავებდნენ. **ხელისუფლების სისუსტე კიდევ უფრო მეტ სტიმულს აძლევდა რადიკალურად განწყობილ ძალებს**. დიდმა მთავარმა, მოსკოვის გენერალ-გუბერნატორმა **სერგეი ალექსანდრეს ძმ**ა, მოსკოვის პოლიციმაისტერმა **დ. ტრეპოვმა**, ტვერრის გუბერნატორმა **ა. შირინსკი-შიხმატოვმა** შინაგან საქმეთა მინისტრის პ. სვიატოპოლკ-მირსკის პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტი გამოთქვეს და იმპერატორს მისი გადადგომის შესახებ თხოვნით მიმართეს. დედოფალმა ალექსანდრამ იმპერატორს განუცხადა: თუ პ. სვიატოპოლკ-მირსკის გადააყენებდნენ, იგი სამუდამოდ დატოვებდა რუსეთს. მინისტრებთან და დიდ მთავრებთან თათბირის შემდეგ ნიკოლოზ II-მ გადაწყვიტა რეფორმების გაგრძელება, თუმცა ოპოზიციური ძალების ალაგმვაც აუცილებლად იქნა მიჩნეული. **ნიკოლოზ II** დარწმუნდა, **რომ იმპერია ქაოსისაკენ** მიემართებოდა, **რეფორმებთან** და **კომპრომისებთან** ერთად **საჭირო** იყო **გადამჭრელი ზომების** მიღება **წესრიგის** აღსადგენად **ქვეყანაში**. ამ ორ მომენტზე იყო ყურადღება გამახვილებული იმპერატორის მიერ 1904 წლის 12 დეკემბერს ხელმოწერილ მანიფესტში. მანიფესტში დასახულ პროგრამას განხორციელება არ ეწერა. მანიფესტის ხელმოწერიდან ერთი თვეც არ იყო გასული, რომ, რუსეთში რევოლუცია დაიწყო.

§ 2. პოლიტიკური პარტიების აღმოცენება (XIX საუკუნის 80-იანი წლები — 1904 წელი)

რუსეთში პოლიტიკური პარტიების აღმოცენება XIX საუკუნის 80-იანი წლების დასასრულისა და 90-იანი წლების დამდეგიდან იწყება.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში რუსეთში არალეგალურად იქმნება სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები და წრეები, მზადდება ნიადაგი სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნისათვის. რუსი სოციალისტების ერთმა ჯგუფმა **გიორგი პლეხანოვის** ხელმძღვანელობით საზღვარგარეთ, ჟენევაში, 1883 წელს შექმნა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია **„შრომის განთავისუფლების"** ჯგუფი. ორგანიზაციის დამაარსებლები და აქტიური წევრები იყვნენ **პ. აქსელროდი, ლ. დეიჩი, ვ. ზასულიჩი** და სხვები. „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის მიზანი იყო სოციალ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდა. პარალელურად საკუთრივ რუსეთშიც იქმნება სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები და წრეები. მათ რიცხვს განეკუთვნებოდა **დ. ბლაგოევის** ჯგუფი პეტერბურგში (1883 წ.), **პ. ტოჩისკის** წრე პეტერბურგში (1885 წ.), **მ. ბრუსნევის** წრე პეტერბურგში (1889 წ.), **ვ. ლენინისა** და **ლ. მარტოვის** „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი" პეტერბურგში (1895 წ.) და სხვ. 1898 წელს მინსკში მოწვეულ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის I ყრილობაზე შეეცადნენ პოლიტიკური პარტიის შექმნას, მაგრამ იდეურ და ორგანიზაციულ საკითხებზე უთანხმოების გამო იმხანად პარტიის შექმნა ვერ მოხერხდა. 1900 წლიდან **გ. პლეხანოვის, ლ. მარტოვის, ვ. ლენინისა** და სხვათა ხელმძღვანელობით რუსეთსა და საზღვარგარეთ გაწეული დიდი მუშაობის შედეგად 1903 წელს ბრიუსელში (ხოლო შემდეგ ლონდონში) მიმდინარე II ყრილობაზე შეიქმნა **რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (რსდმპ)**. იმავე ყრილობაზე რსდმპ იდეურ და ორგანიზაციულ საკითხებზე უთანხმოების გამო ორ ფრაქციად — **ბოლშევიკებად** (უმრავლესობად) და **მენშევიკებად** (უმცირესობად) გაითიშა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია არ იყო იმხანად დასავლეთ ევროპაში არსებული სოციალ-დემოკრატიული პარტიების მსგავსი პარტია. ამ პარტიის იდეური პლატფორმა ჩამოყალიბდა რუსული ნაროდნიკული სოციალიზმის, საერთაშორისო ანარქიზმისა და

ბლანკიზმის იდეურ მემკვიდრეობაზე. რუსეთის სოციალურ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საპროგრამო დებულებები ძალზე სცილდებოდა სოციალიზმის ტრადიციულ გაგებას. პარტიის მიზანი იყო არა სოციალისტური საზოგადოების აშენება, არამედ ძალაუფლების ხელში ჩაგდება და პოლიტიკური ძალაუფლების გზით ეკონომიკური და სოციალური პროცესების რეგულირება. ამ შემთხვევაში სრულიად უგულებელყოფილი იყო საზოგადოების განვითარების კანონზომიერება.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება ნაროდნიკული მოძრაობის ახალი ეტაპი — **ნეონაროდნიკული** ჯგუფებისა და წრეების შექმნა. 1902 წელს ნეონაროდნიკული წრეების გაერთიანების საფუძველზე შეიქმნა **რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტია.** ესერთა პარტიის მთავარი იდეოლოგი იყო ვ. **ჩერნოვი.** ესერთა პარტია ორიენტირებული იყო სოციალისტურ რევოლუციაზე, რომლის მთავარ მამოძრავებელ ძალად გლეხობა იყო მიჩნეული.

რუსეთში პოლიტიკური პარტიების შექმნის ახალი ეტაპი 1905 წლიდან დაიწყო.

§ 3. 1905-1907 წლების რევოლუცია რუსეთში.

1905-1907 წლების რევოლუციამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა რუსეთის იმპერიის ბედი. როგორც არ უნდა შეფასდეს რევოლუცია, ერთი რამ ცხადია: რევოლუციის შემდგომი რუსეთი აღარ ჰგავდა რევოლუციამდელ რუსეთს.

1. **რევოლუციის დასაწყისი.** რევოლუცია ხელისუფლებისათვის სრულიად მოულოდნელად დაიწყო. მძლავრ სოციალურ აფეთქებას არ ელოდნენ საზოგადოების რადიკალიზაციის იმგვარ ვითარებაშიც კი, რაც რუსეთში აღინიშნა 1904 წლის დასასრულისათვის.

1904 წელს პოლიციის ნებართვით და ნაწილობრივ პოლიციის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა ორგანიზაცია **„რუსი საფაბრიკო-საქარხნო მუშების კრება“.** ორგანიზაციას სათავეში ედგა ახალგაზრდა, ჭკვიანი, მაგრამ ძალზე ეშმაკი და პატივმოყვარე მღვდელი **გიორგი გაპონი.** გ. გაპონი შესანიშნავი ორატორი და ამავე დროს დიდი დემაგოგიც იყო. ამ თვისებებმა იგი მუშებში ძალზე პოპულარული გახადა. გ. გაპონი, ცხადია, პოლიციასთან თანამშრომლობდა, ხოლო თვით „რუსი საფაბრიკო-საქარხნო მუშების კრება“ ტიპური ზუბატოვური ორგანიზაცია იყო. 1904 წლის ბოლოსათვის გ. გაპონის მიერ შექმნილ ორგანიზაციაში შეაღწიეს სოციალ-დემოკრატებმა და სოციალისტ-რევოლუციონერებმა (ესერებმა), რამაც მისი რადიკალიზაცია გამოიწვია. „რუსი საფაბრიკო-საქარხნო მუშების კრებას“ ჰყავდა მეორე ლიდერიც — პუტილოვის ქარხნის საამქროს უფროსი, ინჟინერი **პ. რუტენბერგი.** პ. რუტენბერგი ესერთა პარტიის წევრი იყო და ორგანიზაციაში სწორედ ამ პარტიის დავალებით მუშაობდა.

1904 წლის ბოლოს „რუსი საფაბრიკო-საქარხნო მუშების კრებამ“, როგორც ჩანს, პ. რუტენბერგის ინიციატივით, პუტილოვის ქარხანაში გაფიცვის ორგანიზება შეძლო. ეს გაფიცვა მალე საერთო-საქალაქო გაფიცვაში გადაიზარდა. 1905 წლის 5 იანვარს უკვე გაპონის ინიციატივით გადაწყდა, პეტერბურგელ მუშებს მშვიდობიანი მსვლელობა მოეწყოთ და იმპერატორისათვის პეტიცია მიერთმიათ. გაფიცვის მშვიდობიანი მსვლელობით დასრულება ხელს აძლევდა პოლიციას, მაგრამ არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ გ. გაპონი ამ შემთხვევაში მაინცადამაინც პოლიციის მითითებით მოქმედებდა. სოციალ-დემოკრატებმა და ესერებმა შემთხვევა ხელიდან არ გაუშვეს და იმპერატორისათვის მისართმევ პეტიციაში ეკონომიკურ მოთხოვნებთან ერთად პოლიტიკური მოთხოვნებიც (საყოველთაო და ფარული კენჭისყრის საფუძველზე დამფუძნებელი კრების არჩევა, პოლიტიკური პატიმრების ამნისტია, ხალხისათვის მიწის გადაცემა, ომის შეწყვეტა, სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფა და სხვ.) შეიტანეს. პეტიციაში პოლიტიკური მოთხოვნების შეტანა მოულოდნელი იყო პოლიციისა და კონკრეტულად პეტერბურგის პოლიციმაისტერ ი. **ფულტოვისათვის.** პეტერბურგის პოლიცმაისტერი სულ ცოტა ხნის წინ, 1904 წლის დეკემბერში, სიტყვით გამოვიდა „რუსი საფაბრიკო-საქარხნო მუშების კრების“ ერთ-ერთ ღონისძიებაზე და მუშებს უსურვა კაპიტალისტებზე გამარჯვება. იმხანად ი. ფულტოვს ორგანიზაციის მიერ პოლიტიკური მოთხოვნების წამოყენების საშიშროება არ შეუნიშნავს. ხელისუფლებისათვის პეტიციის შინაარსი მხოლოდ 1905 წლის 7 იანვარს გახდა ცნობილი. პეტიციაში შეტანილი პოლიტიკური მოთხოვნების შესახებ არაფერი იცოდნენ მშვიდობიანი მსვლელობის მონაწილეებმა.

1905 წლის 9 იანვარს ზამთრის სასახლისაკენ დაიძრა 300-ათასიანი მშვიდობიანი დემონსტრაცია. ცხადი გახდა, რომ პეტერბურგის პოლიციის ძალები ვერ უზრუნველყოფდნენ დემონსტრაციის უსაფრთხოებას. შეიძლებოდა ხო-

დინზე დიდი ტრაგედია პეტერბურგში დატრიალებულიყო. ხელისუფლებამ სცადა დემონსტრატების რაოდენობა ქალაქის ქუჩებში გაკრული განცხადებებით შეეჩერებინა, რომელიც იუწყებოდა, რომ იმპერატორი ქალაქში არ იმყოფებოდა (ნიკოლოზ II ცარსკოე სელოში ბრძანდებოდა) და მისთვის პეტიციის გადაცემა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ამ შინაარსის განცხადებები და ისიც მცირე რაოდენობით მხოლოდ 8 იანვარს გაჩნდა ქალაქში და, ცხადია, სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. გადაწყდა: ზამთრის სასახლისაკენ მიმავალი დემონსტრანტები ჯარის გამოყენებით შეეჩერებინათ. პეტერბურგის გუბერნატორისა და პეტერბურგის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის, დიდი მთავრის **ვლადიმირ ალექსანდრეს ძის** ბრძანებით. თუ დემონსტრანტები გამაფრთხილებელი გასროლის შემდეგ არ შეჩერდებოდნენ, მაშინ ჯარისკაცებს დემონსტრანტთა კოლონებისათვის ცეცხლი უნდა გაეხსნათ. ასეც მოხდა. 9 იანვარს ოფიციალური მონაცემებით 130 კაცი დაიღუპა, ხოლო რამდენიმე ასეული დაიჭრა. გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობების მიხედვით მოკლულთა რიცხვი 1000-1200 კაცით განისაზღვრებოდა. როგორც ჩანს, გაზეთებში მოტანილი მასალა შორსაა რეალობისაგან, სინამდვილეს არ შეეფერება არც ოფიციალური სტატისტიკა. ვარაუდობენ, რომ 9 იანვარს არ შეიძლებოდა 500 კაცზე მეტი დაღუპულიყო.

9 იანვრის ამბებს წარმოუდგენლად დიდი გამოძახილი ჰქონდა რუსეთის იმპერიასა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. 1905 წლის იანვარში პროტესტის ნიშნად რუსეთში გაიფიცა 440 ათასი კაცი, თებერვალში – 300 ათასი.

მღვდელი გიორგი გაპონი ცოცხალი გადარჩა და პ. რუტენბერგთან ერთად, როგორც ჩანს, პოლიციის ხელშემწეობით, საზღვარგარეთ მიიმალა. გ. გაპონი რუსეთში 1905 წლის ოქტომბრის ამნისტიის შემდეგ დაბრუნდა. მოწმეების თანდასწრებით პოლიციისათვის მიცემულ ჩვენებაში გ. გაპონი აღნიშნავდა, რომ 9 იანვარს პ. რუტენბერგი იმპერატორის მოკვლას გეგმავდა, რის შესახებაც მან მოგვიანებით შეიტყო. გამორიცხული არ არის, რომ გ. გაპონი სიმართლეს ამბობდა. შესაძლოა, ესერთა პარტია მართლაც ამზადებდა ტერორისტულ აქტს. თუ პ. რუტენბერგი მართლაც გეგმავდა ნიკოლოზ II-ის მკვლელობას, ცხადია, პოლიციასთან კავშირში მყოფ გ. გაპონს არაფერს ეტყოდა. ესერებმა გ. გაპონს პოლიციაში მიცემული ჩვენებისათვის სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. 1906 წლის აპრილში პ. რუტენბერგმა გიორგი გაპონი მოაკვლევინა.

2. **რევოლუციის მეორე ეტაპი (1905 წლის მარტი-აგვისტო).** 1905-1907 წლების რევოლუცია სტიქიურად, არათანაბრად და ზიგზაგებით ვითარდებოდა. მაგალითად, 1905 წლის მარტში გაფიცული იყო 70 ათასი კაცი, ანუ ოთხჯერ ნაკლები ვიდრე თებერვალში. სოციალისტური ორიენტაციის პარტიები გულმოდგინეთ ემზადებოდნენ 1 მაისისათვის – საერთაშორისო პროლეტარული დღესასწაულისათვის. ამ დროისათვის იგეგმებოდა დიდი დემონსტრაციები და გაფიცვები. 1905 წლის გაზაფხულისათვის სოციალისტურ პარტიებს საკმაოდ ძლიერი ორგანიზაციები ჰქონდათ. მაგალითად, სოციალ-დემოკრატებს მოსკოვში 1435 წევრი ჰყავდათ, მინსკში – 600, ეკატერინოსლავში – 200, რიგაში – 250, ვილნოში (ვილნიუსში) – 400. კარგად ორგანიზებული აგიტაციის წყალობით 1905 წლის მაისში რუსეთში კვლავ დაიწყო დიდი გაფიცვები. მაისში გაფიცული იყო 220 ათასი კაცი, ივნისში – 155 ათასი, აგვისტოში 104 ათასი. კარგად იყო ორგანიზებული გაფიცვა **ივანოვო-ვოზნესენსკის** სამრეწველო რაიონში, სადაც ფეიქართა გაფიცვა 72 დღე გრძელდებოდა. სწორედ აქ შეიქმნა რევოლუციის ისტორიაში **მუშათა დეპუტატების საქალაქო საბჭო.** უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა ჯავშნოსანი კრეისერის **„პოტიომკინის“** ეკიპაჟის აჯანყება. გაძლიერდა გლეხთა გამოსვლები. 1905 წლის მაისში რუსეთის სოფლებში აღინიშნა 299 მღელვარება, ივნისში – 492, ივლისში – 248.

ხელისუფლება რევოლუციური გამოსვლების ჩასახშობად პოლიციასთან ერთად აქტიურად იყენებდა ჯარს. 1905 წლის აგვისტოსათვის მუშათა გაფიცვები და გლეხთა გამოსვლები შენელდა.

3. **რევოლუციის მძლავრი აღმავლობა (1905 წლის ოქტომბერ-დეკემბერი).** რევოლუციურმა მოძრაობამ პიკს 1905 წლის შემოდგომაზე მიაღწია. ამ პერიოდის საგაფიცვო მოძრაობაში წამყვან როლს რკინიგზის მუშები ასრულებდნენ. 1905 წლის 7 ოქტომბერს გაიფიცა **მოსკოვ-ყაზანისა** და **იაროსლავლის** რკინიგზა. მეორე დღეს გაფიცვა დაიწყო კიდევ რამდენიმე რკინიგზაზე. 12 ოქტომბერს უკვე გაფიცული იყო 14 რკინიგზა, სადაც 700 ათასი კაცი მუშაობდა. გაფიცვაში რკინიგზელთა გარდა სხვა პროფესიის მუშებიც ჩაებნენ. გაძლიერდა გლეხ-

თა რევოლუციური გამოსვლები. 1905 წლის ოქტომბრის გაფიცვებმა საერთო-სარუსეთო ხასიათი შეიძინა — **საყოველთაო** გახდა.

1905 წლის ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვამ ხელსაყრელი პირობები შექმნა სოციალისტური პარტიების მოღვაწეობისათვის როგორც ქალაქად, ისე სოფლად. მათი პროპაგანდისტული მუშაობის - შედეგად მუშათა და გლეხთა გამოსვლები უფრო რადიკალური, ხშირ შემთხვევაში კი ექსტრემისტულიც გახდა. დაიძაბა ურთიერთობა რევოლუციურ და კონსერვატორულ ძალებს შორის. დაიღვარა სისხლი. რუსეთის მთელ რიგ ქალაქებში დაიწყო ებრაელთა დარბევები, რასაც ასევე სისხლისღერა მოჰყვა. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში ხელისუფლება სრულ უსუსურობას იჩენდა. შინაგან საქმეთა მინისტრი ა. **ბულიგინი** და მინისტრის ამხანაგი (მოადგილე) **დ. ტრეპოვი** გადადგნენ, ხოლო **ს.** ვიტე ჯერ კიდევ არ შედგომოდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას.

1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ გაფიცვები შენელდა, იკლო გლეხთა გამოსვლებმაც, ებრაელთა დარბევები მხოლოდ პოლონეთის ტერიტორიაზე გრძელდებოდა. სამაგიეროდ, მთელი რუსეთის ყურადღება მიიპყრო **პ. შმიდტის** წინამძღოლობით სევასტოპოლის მეზღვაურთა ამბოხებამ. აღსანიშნავია, რომ 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგაც აქტიურად მოქმედებდნენ სოციალ-დემოკრატთა, ესერთა და ანარქისტთა ტერორისტული ორგანიზაციები და ჯგუფები. სოციალისტური ორიენტაციის პარტიებს ხელს არ აძლევდათ რევოლუციის შენელება და 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის რეალური ამოქმედება.

4. 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება. 1905 წლის დეკემბერში სოციალისტური ორიენტაციის პარტიებმა (სოციალ-დემოკრატებმა, სოციალისტ-რევოლუციონერებმა, ანარქისტებმა) სცადეს შეიარაღებული აჯანყების ორგანიზება. შეიარაღებული აჯანყების დაწყების შესახებ გადაწყვეტილება რუსეთის სოციალურ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) III ყრილობამ ჯერ კიდევ 1905 წლის აპრილში გამოიტანა. პოლიციის დეპარტამენტს ჰქონდა საკმაო მასალა იმის შესახებ, რომ რევოლუციონერები დიდი რაოდენობით იმარაგებდნენ იარაღსა და ასაფეთქებელ მასალას, ქმნიდნენ საბრძოლო რაზმებს. ხელისუფლებამ გადამჭრელ ზომებს არც ამჯერად მიმართა.

1905 წლის დეკემბერში დაიწყო **მოსკოვის სარკინიგზო კვანძის** მუშების გაფიცვა, რომელსაც მხარი 33 ქალაქის მუშებმა დაუჭირეს. ამჯერად ხელისუფლებამ შეძლო შეენარჩუნებინა რამდენიმე მნიშვნელოვანი რკინიგზა, მათ შორის ნიკოლოზის (მოსკოვ-პეტერბურგის) რკინიგზა. შეიარაღებული გამოსვლის დაწყება არამც თუ მთელ რუსეთში, არამედ დიდ ქალაქებშიც ვერ მოხერხდა. რევოლუციონერებმა მხოლოდ **მოსკოვში** შეძლეს აჯანყების ორგანიზება. ხელისუფლება აჯანყებას მომზადებული შეხვდა და 1905 წლის 10-17 დეკემბრის შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ იგი სასტიკად ჩაახშო.

1905 წლის დეკემბერში მოსკოვის აჯანყების მარცხი პრაქტიკულად რევოლუციის დასასრულს ნიშნავდა, თუმცა 1907 წლის ივნისამდე მუშები კვლავ აგრძელებდნენ რევოლუციურ ბრძოლას. რაც შეეხება გლეხებს, 1906-1907 წლებში ისინი კიდევ უფრო დიდი ინტენსივობით აგრძელებდნენ მიწისათვის ბრძოლას.

5. ხელისუფლება და საზოგადოება 1905 წელს. 9 იანვრის „სისხლიანი კვირის" შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრად ნიკოლოზ II-მ ა. **ბულიგინი** დანიშნა. **დ. ტრეპოვი** დაინიშნა პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორად და შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად (მოადგილედ). დ. ტრეპოვს დაუქვემდებარეს **პოლიციის დეპარტამენტი** და **ჟანდარმთა კორპუსი.** უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის იმპერიაში პოლიცია არ ყოფილა განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი და ძლიერი. XX საუკუნის დამდეგისათვის 1000 მოსახლეზე ინგლისში რუსეთთან შედარებით 5-ჯერ მეტი პოლიციელი მოდიოდა, საფრანგეთში 9-ჯერ მეტი. 1914 წელს **პოლიციის დეპარტამენტის** დაქვემდებარებაში მყოფ ჟანდარმთა კორპუსში 946 ოფიცერი და მოხელე, 12699 უმცროსი ოფიცერი და რიგითი ირიცხებოდა. კიდევ უფრო მცირე საშტატო ერთეულები ჰქონდა გამოყოფილი **შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უშიშროების დაცვის (ოხრანკის)** საქალაქო და რეგიონალურ განყოფილებებს, აგრეთვე ჟანდარმერიისა და ოხრანკის აგენტურულ სამსახურს. ცხადია, ეს სულაც არ იყო საკმარისი უზარმაზარ იმპერიაში წესრიგის დასამყარებლად.

რევოლუციის პირველ ხანებში ნიკოლოზ II „მათრახისა და თაფლაკვერის" კლასიკური პოლიტიკის განხორციელებას ცდილობდა. 9 იანვარს, მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტის შემდეგ, იმპერატორმა მუშათა დელეგაცია მი-

იღო და განუმარტა, რომ პოლიტიკური მოთხოვნებით დემონსტრაციის ორგანიზება იგივე ამბოხებას წარმოადგენდა. იმპერატორმა რუსეთის ისტორიაში პირველად მუშებისა და მეწარმეთა წარმომადგენლებისაგან შექმნა კომისია და დაავალა პეტერბურგის მუშების უკმაყოფილების მიზეზების შესწავლა. კომისიაში შემავალმა მუშებმა ისევე პოლიტიკური მოთხოვნები წამოაყენეს. კომისიის თავმჯდომარემ სენატორმა ნ. **შიდლოვსკიმ** კომისიის წევრებს განუმარტა, რომ ასეთი მოთხოვნები კანონს ეწინააღმდეგებოდა. 1905 წლის 20 თებერვალს კომისია დაითხოვეს.

1905 წლის 18 თებერვალს ნიკოლოზ II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს, რომელიც ხელისუფლებასა და მოსახლეობას ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობისაკენ მოუწოდებდა, რათა ამ გზით მიეღწიათ ომში გამარჯვებისა და ქვეყანაში წესრიგისა და სიმშვიდის დამყარებისათვის. იმავდროულად იმპერატორმა ხელი მოაწერა კიდევ ორ დოკუმენტს: 1) რესკრიპტი შინაგან საქმეთა მინისტრ ა. ბულიგინისადმი შეიცავდა დაპირებას საკანონმდებლო უფლებით აღჭურვილი სათათბიროს მოწვევის შესახებ; 2) ბრძანებულებაში სენატისადმი აღნიშნული იყო, რომ მინისტრთა საბჭოს უნდა განეხილა კერძო პირებისა და დაწესებულებების წინადადებანი რუსეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ.

1905 წლის 6 აგვისტოს გამოქვეყნდა კანონი სათათბიროს შესახებ, რომელიც ისტორიაში **„ბულიგინის სათათბიროს"** სახელწოდებით შევიდა. სათათბიროს იდეა ვერ გახდა პოპულარული. ინტელიგენცია მას მხარს არ უჭერდა იმიტომ, რომ სათათბირო ჩაფიქრებული არ იყო როგორც საკანონმდებლო ორგანო, მას კანონპროექტების მხოლოდ განხილვის უფლება ჰქონდა, უმაღლესი კანონმდებელი კვლავ იმპერატორი რჩებოდა. თავადაზნაურობა უკმაყოფილო იყო იმით, რომ სათათბიროს არჩევნები წოდებრივ საფუძველზე არ უნდა ჩატარებულიყო და, ამდენად, წინასწარვე იყო ცნობილი, რომ სათათბიროში მოსახლეობის უმრავლესობა — გლეხობა მოიპოვებდა ხმათა უმრავლესობას.

ლიბერალურ მოძრაობას უკვე აღარ აკმაყოფილებდა ის დათმობები, რასაც სათათბიროს შესახებ 1905 წლის 6 აგვისტოს კანონი ითვალისწინებდა. ლიბერალური მოძრაობის ლიდერმა **პავლე მილიუკოვმა** შეძლო 1903 წელს შექმნილ **„სოიუზ ოსვობოჟდენიას"** („განთავისუფლების კავშირის") და **კონსტიტუციური მონარქიის** მომხრე ერობის მოღვაწეთა გაერთიანება. 1905 წლის ზაფხულში ამ გაერთიანების საფუძველზე შეიქმნა **რუსეთის კონსტიტუციურ–დემოკრატიული პარტია**, რომლის ლიდერი პ. მილიუკოვი იყო. რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის (კადეტთა) დამფუძნებელი ყრილობა 1905 წლის 12-18 ოქტომბერს გაიმართა. კადეტები მიზნად ისახავდნენ რუსეთში კონსტიტუციური წყობილების შემოღებას. ლიბერალური მოძრაობის ბოიკოტმა ბულიგინის სათათბიროს იდეა არარეალურად აქცია.

ნიკოლოზ II-ს ს. ვიტე, დ. ტრეპოვი, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და სხვები დაჟინებით ურჩევდნენ, უფრო სერიოზულ დათმობებზე წასულიყო, ვიდრე ამას სათათბიროს შესახებ 1905 წლის 6 აგვისტოს კანონი ითვალისწინებდა. დათმობები იმპერატორის მხრიდან ხელისუფლებასთან თანამშრომლობისათვის განაწყობდა ლიბერალურ მოძრაობას, საერთოდ, მთელ საზოგადოებას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საზოგადოების მხარდაჭერას მოკლებული სოციალისტური ორიენტაციის პარტიები (სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები, ანარქისტები) გაკოტრდებოდნენ. იმპერატორმა რჩევა ყურად არ იღო. 1905 წლის 17 ოქტომბერს **ნიკოლოზ II-მ** ხელი მოაწერა მანიფესტს რუსეთის მოქალაქეებისათვის პოლიტიკური უფლებების, პიროვნული ხელშეუხებლობისა და საკანონმდებლო ორგანოს — სათათბიროს — მოწვევის შესახებ.

მანიფესტის მომხრეებს ეგონათ, რომ მეორე დღეს პეტერბურგის ქუჩები ხელისუფლებისადმი მხარდამჭერი დემონსტრაციებით აივსებოდა. სინამდვილეში მსგავსი არაფერი მომხდარა. მანიფესტს მიესალმა მსხვილი ბურჟუაზიის ნაწილი, რომელიც მალე გაერთიანდა **„17 ოქტომბრის კავშირში"** (**„ოქტიაბრისტები"**). „ოქტიაბრისტები" რეფორმების გზით რუსეთის განახლების კურსს უჭერდნენ მხარს. რაც შეეხება ლიბერალურ მოძრაობას, 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტმა იგი ორად გახლიჩა. **პეტრე სტრუვე** „მონარქიასა და ერს შორის" კომპრომისის მოწოდებით გამოვიდა. კრებულ „ვეხიში" გამოქვეყნებულ ნაშრომში პ. სტრუვე წერდა: „17 ოქტომბრის აქტით არსებითად და ფორმალურადაც რევოლუცია უნდა დამთავრებულიყო", მაგრამ, სამწუხაროდ, ინტელიგენციამ კიდევ უფრო აქტიურად დაიწყო ბრძოლა ათასწლოვანი რუსული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. პ. სტრუვე გაკვირვებას ვერ მალავდა, რომ ამ ბრძოლას ახასიათებდა **„დიდი ფანატიზმი და სიძულვილი"**.

პ. სტრუვეს აზრს არ იზიარებდა ლიბერალური მოძრაობის დიდი ნაწილი. ლიბერალთა ამ მიმდინარეობის განწყობილება ასე გამოხატა **პაველ მილიუკოვმა**: „არაფერი შეცვლილა, ომი გრძელდება“.

პ. მილიუკოვის ლოზუნგი — **„ომი გრძელდება“** აიტაცეს კადეტებმა. ისინი თვითმყრობელობის დამხობისაკენ მოუწოდებდნენ ხალხს. 1905 წელს კადეტებმა მოლაპარაკება გამართეს ს. ვიტესთან, ხოლო 1906 წელს დ. ტრეპოვთან და პ.სტოლიპინთან. არც ერთმა მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო — კადეტებმა უარი თქვეს მთავრობაში შესვლაზე და იქ მინისტრთა თანამდებობიდან უმრავლესობის დაკავებაზე. 1905 წლის 22 ოქტომბერს ერობათა წარმომადგენლების ყრილობამ ს. ვიტეს წარუდგინა მოთხოვნა: **„დამფუძნებელი კრება, რომელიც შეიმუშავებს ძირითად კანონს“**. ერობათა წარმომადგენლების მორიგმა ყრილობამ (1906 წლის ნოემბერი) და კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის მეორე ყრილობამ (1906 წლის იანვარი) მოითხოვა **პირველი სახელმწიფო სათათბიროსათვის „დამფუძნებელი კრების“ უფლების მინიჭება**.

17 ოქტომბრის მანიფესტის ირგვლივ ლიბერალთა შორის აზრთა სხვადასხვაობები ისევ გრძელდებოდა, როცა 1905 წლის დეკემბერში მოსკოვში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. აჯანყების პროცესში დიდ გაქანებას მიაღწია დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენელთა მიერ ქალაქის მოსახლეობის ძარცვამ და რბევამ. მოსკოვში აუტანელი ვითარება შეიქმნა. ქალაქის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა (ინტელიგენციამ, წვრილმა ვაჭრებმა, ხელოსნებმა — ე.წ. „საშუალო ფენამ“) ზურგი აქცია რევოლუციას.

მოსკოვში შეიარაღებული აჯანყების მარცხმა კიდევ უფრო დიდი განხეთქილება შეიტანა ლიბერალურ მოძრაობაში. მემარჯვენე ლიბერალებმა **პ. სტრუვეს** მეთაურობით დაგმეს შეიარაღებული აჯანყება და იგი მემარცხენე ლიბერალების ტაქტიკურ შეცდომად მიიჩნიეს. შეიარაღებული აჯანყება დაგმო „17 ოქტომბრის კავშირმა“ („ოქტიაბრისტებმა“). მემარცხენე ლიბერალებმა **პ. მილიუკოვის** მეთაურობით ყველაფერში ბრალი ხელისუფლებას დასდო, რომელმაც არ ისურვა საზოგადოების მოთხოვნათა გათვალისწინება, რამაც საქმე შეიარაღებულ აჯანყებამდე მიიყვანა.

1905 წლის ბოლოდან და 1906 წლის დამდეგიდან აშკარა გახდა კადეტური ოპოზიციის, ანუ მემარცხენე ლიბერალების კიდევ უფრო ძლიერი **რადიკალიზაცია**. სოციალისტური ორიენტაციის პარტიების (სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-რევოლუციონერების, ანარქისტების) რადიკალიზმი უკვე **ექსტრემიზმში** გადაზარდა. ეს პარტიები აშკარად დაადგნენ ახალი შეიარაღებული აჯანყების ორგანიზების გზას. საზოგადოების მემარჯვენე ძალები, სადაც წამყვან როლს **„რუსი ხალხის კავშირი“** ასრულებდა, 1906 წლის შემოდგომიდან აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა. 1906 წლის ნოემბერში პეტერბურგში გამართულ „რუსი ხალხის კავშირის“ ყრილობას რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო. 1906 წლის ნოემბერშივე მოსკოვში დაფუძნდა მემარჯვენე მიმართულების **მონარქისტული პარტია**. მემარჯვენეთა დელეგაცია 1906 წლის 1 დეკემბერს მიიღო ნიკოლოზ II-მ. მემარჯვენეებმა იმპერატორს მთავრობის გადაყენება და ქვეყანაში მკაცრი რეჟიმის დამყარება მოსთხოვეს. ნიკოლოზ II-მ მემარჯვენეთა წარმომადგენლებს გადაჭრით უარი უთხრა თვითმპყრობელობის უცვლელად დატოვებაზე და ცხადად მიანიშნა, რომ არ შეიძლებოდა 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის უგულებელყოფა.

1906 წლის მიწურულიდან ხელისუფლების მოქმედება უფრო გაბედული ხდება. იმპერიის სხვადასხვა რეგიონში გაიგზავნა **დამსჯელი ექსპედიციები**, დააპატიმრეს მრავალი რევოლუციონერი. მას შემდეგ, რაც 1906 წლის 6 დეკემბერს რკინიგზელთა ყრილობამ მიიღო მოწოდება საყოველთაო გაფიცვისა და შეიარაღებული აჯანყების დაწყების შესახებ. ნიკოლოზ II-მ შინაგან საქმეთა მინისტრ **პ. დურნოვოს** უბრძანა, ყველა ქალაქში დაეპატიმრებინათ რევოლუციური პარტიების ხელმძღვანელები. დაპატიმრებები მიმდინარეობდა მოსკოვში, პეტერბურგში, რიგაში, ოდესაში, კრასნოიარსკში, თბილისში, ჩიტასა და სხვ. ხელისუფლებამ 1906 წლის ბოლოსა და 1907 წლის დამდეგს კიდევ ერთხელ სცადა ოპოზიციასთან მოლაპარაკება. **დ. ტრეპოვისა** და **პ. სტოლიპინის** შეხვედრამ ოპოზიციის ლიდერებთან შედეგი არ გამოიღო. ოპოზიციამ ამჯერადაც უარი თქვა კოალიციურ მთავრობაში შესვლაზე, თუმცა მათ ისევ შესთავაზეს მინისტრთა თანამდებობების უმრავლესობა. ამის შემდეგ ხელისუფლებამ კომპრომისების პოლიტიკაზე უარი თქვა. 1907 წლის 3 ივნისს მეორე სახელმწიფო სათათბიროს გარეკვით იგი გადაჭრით შეუდგა ქვეყანაში ძალისმიერი მეთოდებით წესრიგის აღდგენას.

1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების უმთავრეს მიზეზს იმდენად თვითმპყრობელობის სიძლიერე კი არ წარმოადგენდა, რამდენადაც ოპოზიციური (რევოლუციური) ძალების არაორგანიზებულობა და სისუსტე. ვერც რევოლუციის წინ და ვერც რევოლუციის პროცესში ვერ მოხერხდა ოპოზიციური ძალების გაერთიანება — ერთიანი ფრონტის შექმნა. ოპოზიციამ საკუთარი ძალები გადაჭარბებულად შეაფასა და ხელისუფლებასთან გადამწყვეტ ბრძოლაში დამარცხდა კიდეც. გარკვეული დაბნეულობისა და არასწორი გადაწყვეტილებების მიუხედავად ხელისუფლება გაცილებით უფრო ორგანიზებული აღმოჩნდა, ვიდრე ოპოზიცია. ამიტომაც გამარჯვება მას დარჩა.

1905-1907 წლების რევოლუციამ არა მარტო რუსეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ცვლილებები გამოიწვია, არამედ კარდინალურად შეცვალა ხალხის ფსიქოლოგია, შეცვალა რუსეთის საზოგადოება. რუსეთში დაიწყო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის ევოლუცია.

§ 4. რუსეთი სახელმწიფო სათათბიროების პერიოდში (1907-1914 წწ.).

1. **ცვლილებები სახელმწიფო წყობილებაში.** 1905-1906 წლებში რუსეთის იმპერიის სახელმწიფო წყობილებამ დიდი ცვლილებები განიცადა. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის საფუძველზე შემუშავდა **რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონები.** ამ კანონთა პროექტები იხილებოდა ცარსკოე სელოში იმპერატორის თავმჯდომარეობით მიმდინარე **საგანგებო თათბირზე.** საგანგებო თათბირის სხდომებს ესწრებოდნენ დიდი მთავრები, მინისტრები და სხვა მაღალჩინოსნები. კანონპროექტების განხილვაში სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდნენ კადეტთა პარტიის ლიდერები — **პ. მილიუკოვი, ს. მურომცევი, ფ. გოლოვინი,** ცნობილი იურისტი **მ. კოვალევსკი** და სხვები. 1906 წლის 23 აპრილს, პირველი სახელმწიფო სათათბიროს გახსნამდე ოთხი დღით ადრე ნიკოლოზ II-მ ხელი მოაწერა რუსეთის იმპერიის **„ძირითად სახელმწიფო კანონებს“.** იმპერიის ძირითადი კანონი მოსახლეობას ანიჭებდა სამოქალაქო უფლებებს: სიტყვის, ბეჭდვის, კრების, კავშირების თავისუფლებას, პიროვნების ხელშეუხებლობას. ამასთან ერთად, ყველა კანონპროექტი წინასწარ განხილული და მოწონებული უნდა ყოფილიყო სახელმწიფო სათათბიროს მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კანონის ძალას ვერ შეიძენდა. ფაქტობრივად, **„ძირითადი კანონი“ წარმოადგენდა რუსეთის კონსტიტუციას.** რუსეთის იმპერიის „ძირითადი სახელმწიფო კანონების“ ძალაში შესვლით რუსეთის ისტორიაში დამ-

სახელმწიფო საბჭოს სხდომა

თავრდა ის ეპოქა, როდესაც მონარქი კანონზე მაღლა იდგა და დაიწყო **კონსტიტუციურ მონარქიაზე** გადასვლის პერიოდი.

რუსეთში შემოიღეს **ორპალატიანი პარლამენტი**. ზედა პალატის ფუნქცია დაეკისრა **სახელმწიფო საბჭოს**. სახელმწიფო საბჭოს ნახევარს იმპერატორი ნიშნავდა, მეორე ნახევარი კი უნდა არჩეულიყო მართლმადიდებელი სამღვდელოების, თავადაზნაურობის, ერობების, მეცნიერებათა აკადემიის, უნივერსიტეტების, ვაჭართა და მრეწველთა წარმომადგენლებისაგან. ასეთი პრაქტიკა იმხანად ევროპის ბევრ ქვეყანაში იყო მიღებული. ქვედა პალატის ფუნქცია დაეკისრა იმპერიის მოსახლეობისაგან არჩეულ **სახელმწიფო სათათბიროს**.

ძირითადი კანონის მეშვიდე მუხლის ძალით უმაღლეს **საკანონმდებლო ხელისუფლებას იყოფდა სახელმწიფო სათათბირო, სახელმწიფო საბჭო** და **იმპერატორი**. მსგავსი მუხლები იყო ყველა იმ ქვეყნის კონსტიტუციაში, სადაც სახელმწიფო მმართველობის ფორმად კონსტიტუციური მონარქია იყო მიღებული. ყველა კანონპროექტი ჯერ უნდა განეხილა და მიეღო **სახელმწიფო სათათბიროს**, შემდეგ კი — **სახელმწიფო საბჭოს**. მხოლოდ ამის შემდეგ კანონპროექტი დასამტკიცებლად წარედგინებოდა **იმპერატორს**. კანონის ძალას იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძენდა, თუ **იმპერატორი** მოიწონებდა (ხელს მოაწერდა) მას. დაწუნებული კანონპროექტი განსახილველად უბრუნდებოდა სახელმწიფო სათათბიროს მორიგ სესიას. როგორც ვხედავთ, **იმპერატორს შეეძლო გარკვეულწილად შეეზღუდა სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს საკანონმდებლო მოღვაწეობა**. ოთხი სახელმწიფო სათათბიროს 11 წლის მოღვაწეობის მანძილზე ამ უფლებით იმპერატორმა სულ ორჯერ ისარგებლა და უარი ორჯერვე აბსოლუტურად დასაბუთებული იყო.

სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს კომპეტენციაში შედიოდა ყველაფერი, გარდა სამხედრო და საგარეო საქმეთა, საიმპერატორო კარისა და მინისტრების დანიშვნისა. ყოველივე ეს იმპერატორის უფლებამოსილება იყო. სახელმწიფო სათათბირო და სახელმწიფო საბჭო განსაზღვრავდა ქვეყნის ბიუჯეტს, რაც კონსტიტუციური მონარქიის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს წარმოადგენდა. როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონი იცავდა კონსტიტუციური მონარქიის მეორე ძირითად პრინციპსაც — **პარლამენტის (რუსეთის შემთხვევაში სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს) თანხმობის გარეშე ვერცერთი კანონი ძალაში ვერ შეეიდოდა**. ძირითადი კანონის ორმოცდამეშვიდე მუხლის მიხედვით, იმპერატორს შეეძლო კანონის ძალის მქონე ბრძანებულების გამოცემა, მაგრამ იმპერატორის ეს უფლება იმაზე მეტად იყო შეზღუდული, ვიდრე თანამედროვე რესპუბლიკების პრეზიდენტების უფლებას ზღუდავს კონსტიტუცია. იმპერატორს ბრძანებულება შეეძლო გამოეცა მხოლოდ სახელმწიფო სათათბიროს მუშაობაში შესვენების დროს და ისიც საგანგებო ვითარებაში. იმპერატორის ბრძანებულება ძალას კარგავდა, თუ იგი სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის განახლებიდან ორი თვის ვადაში ჩვეულებრივი წესით განსახილველად არ წარედგინებოდა სათათბიროს.

ამრიგად, 1906 წლის 23 აპრილიდან, ანუ ნიკოლოზ II-ის მიერ რუსეთის იმპერიის „ძირითადი სახელმწიფო კანონების" ხელმოწერის დღიდან რუსეთი ფაქტობრივად და იურიდიულადაც კონსტიტუციურ მონარქიად იქცა.

2. **უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები.** კონსტიტუციური მონარქიის პრინციპების შესაბამისად შეიცვალა **ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოებიც**. 1905 წლის 19 ოქტომბერს ნიკოლოზ II-ის ბრძანებულებით შეიქმნა უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო — **მინისტრთა საბჭო (მთავრობა)**. მანამდე არსებული მინისტრთა კომიტეტი განიხილავდა მხოლოდ ცალკეულ ადმინისტრაციულ საკითხებს. **მინისტრთა საბჭო იყო მუდმივმოქმედი უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც წარმართავდა სამინისტროების მუშაობას.** ცალკეულ მინისტრებს არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა არ შეეძლოთ მინისტრთა საბჭოს გვერდის ავლით. რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონის ძალით მინისტრთა საბჭოს უფლებამოსილება გაფართოვდა. მას მიენიჭა კანონპროექტის შემუშავებისა და სახელმწიფო სათათბიროში მის განსახილველად შეტანის უფლება. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მიენიჭა მინისტრების მოღვაწეობის კონტროლის უფლება. იგი მთავრობის წარმომადგენელი იყო „უმაღლესი ხელისუფლებისა" და „საკანონმდებლო ორგანოების" წინაშე. მინისტრებს ჰქონდათ იმპერატორისათვის მოხსენების წარდგენის უფლება, მაგრამ მისი შინაარსი წინასწარ უნდა შეთანხმებულიყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან.



ზამთრის სასახლე I სახელმწიფო სათათბიროს გახსნის დღეს.
1906 წ. 27 აპრილი

შეიქმნა ერთი ახალი სამინისტრო — **მრეწველობის და ვაჭრობისა** და ერთი მთავარი **სამმართველო** სამინისტროს **უფლებით — მიწათმოწყობისა** და **მიწათმოქმედების** მთავარი **სამმართველო.**

ნაწილობრივ შეიცვალა **სენატის,** როგორც უმაღლესი სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქცია. **სენატს** უნდა გაეკონტროლებინა **სახელმწიფო** სათათბიროსა და **სახელმწიფო** საბჭოს მიერ განსახილველად მისაღები **კანონპროექტებისა** და **მათ** მიერ მიღებული **კანონების** შესაბამისობა **რუსეთის** იმპერიის ძირითად **კანონთან.** ფაქტობრივად, სენატის სახით 1906 წლიდან **რუსეთში** არსებობდა **კონსტიტუციური** სასამართლო. იმხანად **კონსტიტუციური** სასამართლო არ გაჩნდა ევროპის არც ერთ ქვეყანას, იგი მხოლოდ **ამერიკის** შეერთებულ **შტატებში** მოქმედებდა.

რუსეთის იმპერიის **სახელმწიფო** აპარატს დიდი ცვლილება არ განუცდია, არ გაზრდილა მისი **შტატების** რაოდენობა. 1913 **წლისათვის** რუსეთის **იმპერიის** სახელმწიფო **აპარატში** 252,8 ათასი **მოხელე** ირიცხებოდა, **აქედან** მხოლოდ 53 ათასი **იყო** საშტატო **განრიგით** დაშვებული, **დანარჩენნი** დაქირავებულ **მუშაკებს** წარმოადგენდნენ. **ყველაზე** მეტი **მოხელე** (83798 **კაცი**) **შინაგან** საქმეთა **სამინისტროში** მუშაობდა. **უნდა** აღინიშნოს, **რომ** რუსეთის **სახელმწიფო** დაწესებულებებში **მოხელეთა** რაოდენობა **ბევრად** ჩამოუვარდებოდა **დასავლეთ ევროპის** ქვეყნების **სახელმწიფო** დაწესებულებების **მოხელეთა** რაოდენობას. 1897 **წელს** რუსეთის **იმპერიის** სახელმწიფო **დაწესებულებებში** 440 ათასი **მოხელე** ირიცხებოდა. 1913 **წელს** მათი **რაოდენობა** 575-580 **ათასამდე** გაიზარდა. ეს **იმას** ნიშნავდა, **რომ ყოველ** 1000 **მცხოვრებზე** მოდიოდა 62 **სახელმწიფო** მოხელე (ინგლისში **ყოველ** 1000 **მცხოვრებზე** 73 **მოხელე** მოდიოდა, **ამერიკის** შერთებულ **შტატებში** — 113, **გერმანიაში** — 125, **საფრანგეთში** — 176).

3. **რუსული პარლამენტარიზმის დასაწყისი.** 1905 **წლის** 17 **ოქტომბრის** მანიფესტმა **და** 1906 **წლის** 23 **აპრილის** რუსეთის **იმპერიის** ძირითადმა **კანონმა** საფუძველი **დაუდო** რუსულ **პარლამენტარიზმს.**

ა) პირველი სახელმწიფო სათათბირო (1906 წლის 27 აპრილი — 8 ივლისი). **რუსეთის** პირველი **სახელმწიფო** სათათბიროს **არჩევნები** 1906 **წლის** მარტ-**აპრილში** მიმდინარეობდა. **არჩეული** 499 **დეპუტატიდან** 161 **კადეტთა** პარტიის **წარმომადგენელი** იყო, 97 — **ტრუდოვიკი** (გლეხთა **წარმომადგენელი**), 70 — **ეროვნული ჯგუფების** წარმომადგენელი, 17 — **სოციალ-დემოკრატი,** 12 — **პროგრესისტი,** 142 — **უპარტიო** და **მცირე ფრაქციების** წარმომადგენლები.

1906 **წლის** 27 **აპრილს** **პირველი** სახელმწიფო **სათათბიროს** **დეპუტატები** **შეიკრიბნენ** **პეტერბურგში,** **ზამთრის** **სასახლეში.** **დეპუტატთა**

წინაშე მოკლე სიტყვით გამოვიდა იმპერატორი ნიკოლოზ II. იმპერატორმა დეპუტატებს აღუთქვა, რომ განუხრელად დაიცავდა მის მიერ ხალხისათვის ბოძებულ უფლებებს. შემდეგ სათათბიროს დეპუტატები გადავიდნენ მათ მუდმივ სამუშაო ადგილზე — თავრიდის სასახლეში. პირველი სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარედ აირჩიეს ლიბერალური მოძრაობის წარმომადგენელი, მოსკოველი პროფესორი, კადეტთა პარტიის წევრი ს. მურომცევი.

პირველმა სახელმწიფო სათათბირომ სულ 72 დღე იმუშავა. მის დღის წესრიგში უმთავრესი **აგრარული საკითხი** იყო. განსახილველად შემოიტანეს ორი პროექტი — კადეტთა პარტიისა („42-ის პროექტი") და ტრუდოვიკებისა („104-ის პროექტი"). ორივე დოკუმენტი ითვალისწინებდა **„მიწის სახელმწიფო ფონდის"** შექმნას, საიდანაც მიწა უნდა მიეღოთ უმიწო და მცირემიწიან გლეხებს. კადეტთა აზრით, ფონდი უნდა შექმნილიყო სახელმწიფო (სახაზინო) და სამონასტრო (საეკლესიო) მიწების ხარჯზე, ნაწილობრივ იგი უნდა შევსებულიყო თავადაზნაურთა კუთვნილი მიწებიდან. ძველი მფლობელებისათვის მიწის საფასური საბაზრო ფასით სახელმწიფოს უნდა აენაზღაურებინა. ტრუდოვიკთა აზრით, უმიწო და მცირემიწიანი გლეხებისათვის მიწები უნდა გამოეყოთ სახელმწიფო (სახაზინო) და სამონასტრო (საეკლესიო) მიწებიდან, ასევე კერძო მფლობელობაში არსებული მიწებიდან, თუკი ამ მიწის რაოდენობა აღემატებოდა დადგენილ ნორმას. თავადაზნაურობის წარმომადგენლები თავიანთი მიწების ნებისმიერი რაოდენობითა და ნებისმიერი ფასით გლეხობისათვის გადაცემის სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ. მთავრობამ მხარი თავადაზნაურობას დაუჭირა და ამრიგად, კადეტთა და ტრუდოვიკთა პროექტების განხილვამაც აზრი დაკარგა.

1906 წლის 8 ივლისს, იმ მიზეზით, რომ სახელმწიფო სათათბირო არათუ **„აწყნარებს"** ხალხს, არამედ პირიქით — **„აძლიერებს არეულობას"**, ნიკოლოზ II-მ პირველი სახელმწიფო სათათბირო დაითხოვა და ხელახალი არჩევნები დანიშნა.

ბ) **მეორე სახელმწიფო სათათბირო (1907 წლის 20 თებერვალი — 2 ივნისი).** რუსეთის მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები გაიმართა 1907 წლის თებერვალში. მეორე სახელმწიფო სათათბირო პირველზე გაცილებით „მემარცხენე" აღმოჩნდა. 518 დეპუტატიდან 104 ტრუდოვიკი იყო, 98 — კადეტი, 76 — ეროვნული ჯგუფების წარმომადგენელი, 65 — სოციალ-დემოკრატი, 37 — სოციალისტ-რევოლუციონერი, 32 — ოქტიაბრისტი, 22 — მემარჯვენე მიმართულების, 84 — მცირე ფრაქციები და უპარტიოები. სულ მემარცხენეები 518 მანდატიდან 223 მანდატს ფლობდნენ. სათათბიროს სოციალური და პროფესიული შემადგენლობა ასეთი იყო: 153 გლეხი, 28 მუშა, 57 მემამულე-მიწისმფლობელი, 26 ვაჭარი, 33 ჩინოვნიკი, 36 ექიმი, 37 ადვოკატი, 19 გამომცემელი, მწერალი და ჟურნალისტი, 8 პროფესორი და 7 სამხედრო.

მეორე სახელმწიფო სათათბირო გაიხსნა 1907 წლის 20 თებერვალს. სათათბიროს თავმჯდომარედ აირჩიეს ერობის ცნობილი მოღვაწე, კადეტთა პარტიის წევრი თ. **გოლოვინი.**

მეორე სახელმწიფო სათათბიროს დღის წესრიგში უმთავრესი კვლავ **აგრარული საკითხი** იყო, რომლის განხილვაც მწვავედ მიმდინარეობდა. **მემარცხენეებმა მოითხოვეს მემამულეთა მიწების კონფისკაცია კომპენსაციის გარეშე და მისი გადაცემა მიწების სახელმწიფო ფონდში.** სახელმწიფო ფონდიდან მიწები უნდა დარიგებოდათ უმიწო და მცირემიწიან გლეხებს. აგრარული საკითხის განხილვის დროს მემარცხენეთა რადიკალურმა პოზიციამ ძალზე შეაშფოთა ხელისუფლება. გადაწყდა სათათბიროს დათხოვნა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პ. სტოლიპინი ასე სვამდა საკითხს: „კონფლიქტი თუ გარდუვალია, მაშინ რატომ ვაჭიანურებთ?".

ცხადია, სათათბიროს გარეკვა იმის გამო, რომ მას ხალხისათვის მიწის მიცემა უნდოდა, პოლიტიკურად ძალზე წამგებიანი იყო. ხელისუფლება საბაბს ეძებდა. ეს საბაბიც მალე გამოჩნდა. პოლიციის დეპარტამენტში შევიდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სოციალ-დემოკრატი დეპუტატები არალეგალურად ხვდებოდნენ პეტროგრადის გარნიზონის ჯარისკაცებს. 1907 წლის 1 ივლისს სათათბიროს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა პ. სტოლიპინი და მოითხოვა 55 სოციალ-დემოკრატი დეპუტატის სათათბიროდან გარიცხვა, ხოლო 16 მათგანისათვის იმუნიტეტის მოხსნა და დაპატიმრების სანქცია. პ. სტოლიპინმა კადეტების მიმხრობა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. კადეტების თანხმობის გარეშე კი სოციალ-დემოკრატების სათათბიროდან გარიცხვა შეუძლებელი იყო. ამის შემდეგ, 1907 წლის 3 ივნისს, ღამით 16 სოციალ-დემოკრატი დეპუტატი სათათბიროს თანხმობის გარეშე დააპა-

ტიმრეს. შემდეგში ისინი მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულების ორგანიზების მცდელობის ბრალდებით გაასამართლეს, ნაწილი კატორღაში, ნაწილი კი გადასახლებაში გაგზავნეს.

1907 წლის 3 ივნისს გამოქვეყნდა იმპერატორის მანიფესტი მეორე სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შესახებ. იმავდროულად შეიცვალა სათათბიროს საარჩევნო კანონი. ახალი საარჩევნო კანონის სახელმწიფო სათათბიროს გარეშე გამოცემა წარმოადგენდა 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტისა და 1906 წლის 23 აპრილის „ძირითადი სახელმწიფო კანონების" დარღვევას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რუსეთში განხორციელდა **სახელმწიფო გადატრიალება.**

გ) პეტრე სტოლიპინის ახალი პოლიტიკური კურსი. პ. სტოლიპინის ახალი პოლიტიკური კურსი მისი სიტყვებით ასე გამოიხატებოდა: **„წესრიგი და რეფორმები".** ახალი პოლიტიკური კურსის შემუშავება და რეალიზება ხდებოდა ურთულეს ეპოქაში. პ. სტოლიპინით უკმაყოფილონი იყვნენ მემარცხენეები (ლიბერალური მოძრაობა), რადიკალები (სოციალისტები) და მემარჯვენეები (მსხვილი მიწათმფლობელები, მონარქისტები). **მემარცხენეების** უკმაყოფილება იქიდან მოდიოდა, რომ დაირღვა 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტი და 1906 წლის 23 აპრილის „ძირითადი სახელმწიფო კანონები". **რადიკალების** უარყოფითი დამოკიდებულება რევოლუციური მოძრაობის განადგურებამ და რეპრესიებმა გამოიწვია. **მემარჯვენეები** აღშფოთებას ვერ მალავდნენ იმ დათმობების გამო, რასაც თვითმპყრობელობის შეზღუდვა მოჰყვა. მიუხედავად ამისა, პ. სტოლიპინის ახალი პოლიტიკური კურსი მოკლებული არ ყოფილა სოციალურ ბაზას. ახალ პოლიტიკურ კურსს მხარს უჭერდნენ ოქტიაბრისტები, მსხვილი მეწარმეები და მსხვილ მიწისმფლობელთა ის ნაწილი, რომელთაც მეურნეობა კაპიტალისტურ ყაიდაზე გარდაქმნეს. ეს სოციალური ძალა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ითხოვდა წესრიგის დამყარების მიზნით მკაცრი პოლიტიკის გატარებისა და იმავდროულად რეფორმების გაგრძელების კურსს.

პ. სტოლიპინი გადაჭრით გაემიჯნა მემარჯვენეებს, რომლებიც სახელმწიფო სათათბიროს გაუქმებას ითხოვდნენ, მაგრამ ამავე დროს ყოველნაირად ცდილობდა, სათათბირო ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებოდა. სწორედ „მორჩილი" სათათბიროს შექმნას ისახავდა მიზნად პ. სტოლიპინის მცდელობით მიღებული ახალი საარჩევნო კანონი.

დ) მესამე სახელმწიფო სათათბირო (1907 წლის 1 ნოემბერი — 1912 წლის 9 ივნისი). 1907 წლის 3 ივნისის ახალმა საარჩევნო კანონმა მკვეთრად შეცვალა პოლიტიკურ ძალთა განლაგება მესამე სახელმწიფო სათათბიროში. სათათბიროს 442 მანდატიდან 136 მიიღეს ოქტიაბრისტებმა, 90 — ნაციონალისტებმა და ზომიერმა მემარჯვენეებმა, 53 — კადეტებმა, 51 — მემარჯვენეებმა, 39 — პროგრესისტებმა, 26 — ეროვნულმა ჯგუფებმა, 19 სოციალ-დემოკრატებმა, 15 — უპარტიოებმა და მცირე ფრაქციებმა, 13 — ტრუდოვიკებმა. პოლიტიკურ ძალთა განლაგება სათათბიროში (ოქტიაბრისტების, კადეტებისა და პროგრესისტების ბლოკი — 228 ხმა) პ. სტოლიპინს საშუალებას აძლევდა გარანტირებული ჰქონოდა სათათბიროს მხარდაჭერა.

მესამე სახელმწიფო სათათბირომ მთლიანად ამოწურა ხუთწლიანი ვადა. ამ ხნის მანძილზე სათათბირომ განიხილა და მიიღო 2432 კანონპროექტი.

მესამე სახელმწიფო სათათბიროს მოღვაწეობაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო პ. სტოლიპინის მიერ შემუშავებული **აგრარული კანონმდებლობის** მიღება. სხვა კანონებიდან აღსანიშნავია: მუშათა სალაროების შექმნისა და საწარმოო პროცესში უბედური შემთხვევის დროს სახელმწიფო დაზღვევის შესახებ; სამუშაო დღის 11,5 საათიდან 10 საათამდე შემცირების შესახებ; მუშა-მეწარმეთა რიგებიდან საკონფლიქტო კომისიის შექმნის შესახებ.

სათათბიროში ძალზე მწვავედ იხილებოდა **ეროვნული საკითხი.** აშკარა ხდებოდა, რომ იმპერიაში მცხოვრები არარუსი ერები (პოლონელები, ფინელები, ქართველები და სხვ.) გადაჭრით აყენებდნენ **ავტონომიის** მოთხოვნას.

ე) პეტრე სტოლიპინი და მისი მოწინააღმდეგეები. პ. სტოლიპინი ოსტატურად იყენებდა მესამე სახელმწიფო სათათბიროს ოქტიაბრისტულ-კადეტურ-პროგრესისტულ უმრავლესობას. სულ სხვა ვითარება იყო რუსეთის იმპერიის პარლამენტის ზედა პალატაში — სახელმწიფო საბჭოში. იქ მემარჯვენეები ბატონობდნენ. **სახელმწიფო საბჭოში მოკალათებული ბიუროკრატია და მსხვილ მიწათმფლობელთა წარმომადგენლები აშკარად არ თანაუგრძნობდნენ პ. სტოლიპინის რეფორმატორულ კურსს.** სახელმწიფო საბჭოს წევრები მხარდაჭერას პოულობდნენ იმპერატორის უახლოეს გარემოცვაში. ნიკოლოზ II-ც აშკარად გადაიხარა მემარჯვენეებისაკენ. „რუსი ხალხის კავშირის" წევრებს

(კაეშირის წევრებს ჩაცმულობის ფერის გამო შავრაზმელებს უწოდებდნენ) იმპერატორმა „ნამდვილი რუსი ადამიანები“ უწოდა. ნიკოლოზ II-ის მიერ შავრაზმელთა დელეგაციების გულთბილი მიღება და მათთვის ჯილდოების გადაცემა ცუდის მაუწყებელი იყო. აშკარა იყო, რომ პ. სტოლიპინს იმპერატორისა და სახელმწიფო საბჭოს მხარდაჭერის იმედი აღარ უნდა ჰქონოდა. იმპერატორი და სახელმწიფო საბჭო პ. სტოლიპინს რეპრესიების გატარებაზე უარს არ ეუბნებოდნენ. მაგრამ მის რეფორმისტულ მოღვაწეობას აშკარად ზღუდავდნენ. 1907-1909 წლებში სამხედრო-საველე სასამართლოებმა 2681 კაცს გამოუტანეს სიკვდილის განაჩენი.

1910-1911 წლებში პ. სტოლიპინის რეფორმატორულ კურსს სახელმწიფო საბჭომ ფაქტობრივად ბოიკოტი გამოუცხადა. შექმნილი ვითარება სწორად შეაფასა პ. სტოლიპინმა და 1911 წელს იმპერატორს გადადგომის შესახებ თხოვნა მიართვა. ნიკოლოზ II-მ გამოკვეთილი პასუხისაგან თავი შეიკავა. ნიკოლოზ II-ის დედამ მარიამ და რამდენიმე დიდმა მთავარმა პ. სტოლიპინი დაიცვეს და იმპერატორს მოახსენეს, რომ მის გარეშე „ყველაფერი დაინგრევა“. ნიკოლოზ II-მ პ. სტოლიპინის გადადგომა არ მიიღო. მიუხედავად ამისა, ხმები პ. სტოლიპინის გადადგომის შესახებ მაინც ვრცელდებოდა. ასეთ დაძაბულ ვითარებაში 1911 წლის 1 სექტემბერს კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრში პეტრე სტოლიპინი ტერორისტმა მოკლა. მკვლევრები დღემდე ვერ შეთანხმებულან უმნიშვნელოვანეს საკითხში: **ტერორისტი დიმიტრი ბოგროვი მართლა ანარქისტთა დავალებით მოქმედებდა, თუ პ. სტოლიპინის მკვლელობა რუსეთის იმპერიის უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში გადაწყდა.** ჩვენი აზრით, ტერორისტული აქტის განხორციელების ისტორიის შესწავლა გვარწმუნებს, რომ პეტრე სტოლიპინი იმპერიის უკიდურესად რეაქციულ (შავრაზმელურ) ძალთა შეთქმულების მსხვერპლი გახდა.

პეტრე სტოლიპინის მემკვიდრის პოვნა ადვილი არ გამოდგა. მინისტრთა საბჭოს შემდეგი თავმჯდომარე, ყოფილი ფინანსთა მინისტრი ვ. კოკოვცევი ჭკვიანი, განათლებული და ენერგიული ადამიანი იყო, მაგრამ მას აშკარად არ ჰქონდა პ. სტოლიპინისათვის დამახასიათებელი სახელმწიფო აზროვნება.

პეტრე სტოლიპინის მკვლელობა დაემთხვა რთულ საშინაო ვითარებას (ახალ რევოლუციურ აღმავლობას) და კიდევ უფრო რთულ საერთაშორისო ვითარებას (პირველი მსოფლიო ომის მზადების ბოლო ეტაპს).

ვ) მეოთხე სახელმწიფო სათათბირო. 1912 წელს გაიმართა რუსეთის მეოთხე სათათბიროს არჩევნები. თავისი შემადგენლობით მეოთხე სახელმწიფო სათათბირო დიდად არ განსხვავდებოდა მესამე სახელმწიფო სათათბიროსაგან. სათათბიროს 442 მანდატი ასე განაწილდა: 98 ადგილი მიიღეს ოქტიაბრისტებმა, 88 — ნაციონალისტებმა და ზომიერმა მემარჯვენეებმა, 65 — მემარჯვენეებმა, 59 — კადეტებმა, 48 — პროგრესისტებმა, 39 — უპარტიოებმა და მცირე ფრაქციებმა, 21 — ეროვნულმა ჯგუფებმა, 14 — სოციალ-დემოკრატებმა, 10 — ტრუდოვიკებმა.

1913 წლისათვის სათათბიროში მთავრობის ოპოზიცია შესამჩნევად გაძლიერდა. მან აშკარად აიღო კურსი **თვითმპყრობელობის, იმპერატორისა და დედოფლის დისკრედიტაციისაკენ.**

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ბევრი რამ შეცვალა რუსეთის საშინაო პოლიტიკაში.

თავი IV. რუსეთის საგარეო პოლიტიკა XIX საუკუნის დასასრულიდან 1914 წლამდე

§ 1. რუსეთის პოლიტიკა შორეულ აღმოსავლეთში (XIX საუკუნის დასასრული – XX საუკუნის დამდეგი).

XIX საუკუნის დასასრულიდან გამწვავდა დიდი სახელმწიფოების ბრძოლა **ჩინეთის** გადანაწილებისათვის. ჩინეთში განსაკუთრებით ძლიერი პოზიციები ჰქონდა **ინგლისს**, რომელიც ბატონობდა ჩინეთის ბაზარზე. გარდა ამისა, ინგლისი ფლობდა ბირმას. **საფრანგეთი** ინდოჩინეთის დაპყრობის შემდეგ ახალი ტერიტორიების ხელში ჩაგდებას ესწრაფოდა. შორეული აღმოსავლეთის მიმართ სულ უფრო აქტიური ხდებოდა **ამერიკის შეერთებული შტატები**, რომელმაც „**ღია კარის პოლიტიკა**" წამოაყენა და ამ გზით ცდილობდა პოზიციების მოპოვებას. ყველაზე აგრესიულ პოლიტიკას მაინც **იაპონია** ატარებდა, რომელიც 1868 წლის რევოლუციის შემდეგ სწრაფად დაწინაურდა. იაპონია უპირველესად კორეასა და მანჯურიაში (ჩრდილოეთ ჩინეთში) ცდილობდა ფეხის მოკიდებას.

ამ პერიოდში შორეულ აღმოსავლეთში ვითარების დაძაბვისათვის **რუსეთი** მზად არ იყო. იგი იქ აქტიურ პოლიტიკას ვერ აწარმოებდა. სწორედ ამიტომ 1894 წლამდე რუსეთის დიპლომატია ცდილობდა მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონოდა ჩინეთთან და იაპონიასთან. რუსეთი სულ უფრო აფართოებდა საავჭრო ურთიერთობას როგორც ჩინეთთან, ისე იაპონიასთან. მთელი ვაჭრობა იმხანად **ვლადივოსტოკის** პორტის გზით ხორციელდებოდა, სადაც საბაჟო გადასახადი არ არსებობდა. საბაჟო არ მოქმედებდა არც სხვა სასაზღვრო ქალაქებში: **კიახტაში, ბლაგოვეშჩენსკში, ირკუტსკსა** და სხვ. რუსეთი დიდ დაინტერესებას იჩენდა **მანჯურიისა** და **მონღოლეთის** ბაზრის მიმართ.

რუსეთის დიპლომატიამ უკვე XIX საუკუნის დასასრულს დაუშვა სტრატეგიული შეცდომა. **რუსეთი შორეულ აღმოსავლეთში თავის მთავარ მოწინააღმდეგედ მიიჩნევდა ინგლისს და სწორედ ვერ აფასებდა იაპონიის სულ უფრო მზარდ აგრესიულ პოლიტიკას.** ინგლისის პოზიციების შეზღუდვის მიზნით რუსეთი უკვე XIX საუკუნის 80-იან წლებში გეგმავდა **ტრანსციმბირის რკინიგზის** მშენებლობას. მშენებლობის დაწყება გაჭიანურდა. იგი მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც 1890 წელს რუსეთისათვის ცნობილი გახდა, რომ ინგლისი ცდილობდა ხელთ ეგდო რკინიგზის მშენებლობის კონცესია პეკინიდან ხუნჩუნამდე (ქალაქ ვლადივოსტოკიდან 100 კილომეტრის დაშორებით). 1892 წელს ფინანსთა მინისტრმა ს. ვიტემ წამოაყენა ტრანსციმბირის რკინიგზის არა მარტო სამხედრო, არამედ ეკონომიკური მიზნებისათვის გამოყენების იდეა. **რუსეთს ეკონომიკური პოზიციები უნდა მოეპოვებინა ჩინეთსა და კორეაში, ხოლო ციმბირის რკინიგზით უნდა წარმართულიყო ვაჭრობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.** ს. ვიტეს გეგმა შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიის უცხო ქვეყნების აგრესიისაგან დაცვასაც გულისხმობდა, თუმცა ძლიერი სამხედრო ფლოტისა და სიმაგრეების მშენებლობა იქ მხოლოდ 1910 წლისათვის უნდა დამთავრებულიყო. ს. ვიტეს გეგმის განხორციელების პირობად ჩინეთთან, იაპონიასთან და კორეასთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნება მიიჩნიეს.

ამ პროექტის სუსტი მხარე სულ მალე გახდა ნათელი. 1894 წელს იაპონიამ ჯარები შეიყვანა კორეაში, ხოლო შემდეგ ჩინეთის დაპყრობას შეუდგა. 1895 წელს დამარცხებულ ჩინეთთან დადებული ხელშეკრულებით იაპონიამ მიიღო დიდი რაოდენობით კონტრიბუცია, ასევე **ლიაოდუნის** ნახევარკუნძული და კიდევ რამდენიმე კუნძული. გარდა ამისა, ჩინეთმა კორეაზე პროტექტორატის უფლება დაკარგა. რუსეთის ინიციატივით სამმა დიდმა ქვეყანამ – **გერმანიამ, საფრანგეთმა** და **რუსეთმა** – იაპონიას უარი ათქმევინეს ლიაოდუნის ნახევარკუნძულზე. მართალია, რუსეთმა მიზანს მიაღწია, მაგრამ უკიდურესად დაიძაბა რუსეთ-იაპონიის ურთიერთობა. იაპონიამ რუსეთთან ომისათვის მზადება დაიწყო.

რაკი იაპონიასთან ურთიერთობა ასე დაიძაბა, ს. ვიტემ ჩინეთში პოზიციების მოპოვებაზე აიღო გეზი. 1895 წელს რუსეთმა ჩინეთს იაპონიისათვის გადასახდელი კონტრიბუციის დაფარვის მიზნით 150 მილიონიანი კრედიტი მისცა. იმავე წელს შეიქმნა **რუსეთ-ჩინეთის ბანკი.** 1896 წელს მოსკოვში დაიდო რუსეთ-ჩინეთის ხელშეკრულება იაპონიის წინააღმდეგ თავდაცვითი კავშირისა და მანჯურიის ტერიტორიაზე აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზის მშენებლობის შესახებ. აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზას უმოკლესი გზით უნდა დაეკავშირებინა ერთმანეთისთვის **ჩიტა** და **ვლადივოსტოკი.** აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზის მშენებლობის

კონცესია რუსეთ-ჩინეთის ბანკმა მიიღო. რკინიგზის მშენებლობას 1897 წელს ჩაეყარა საფუძველი, მასზე მატარებლების მოძრაობა კი უკვე 1901 წელს დაიწყო.

ამ დროისათვის, ნიკოლოზ II-თან ძალზე დაახლოებულმა პირმა, გვარდიის ოფიცერმა ა. **ბეზობრაზოვმა** და მისმა თანამოაზრეებმა იმპერატორი დაარწმუნეს, რომ ს. ვიტე იაპონიის მიმართ ძალზე ლოიალურ დამოკიდებულებას იჩენდა, მაშინ როცა საჭირო იყო უფრო მკაცრი პოლიტიკის გატარება. 1897 წელს რუსეთის სამხედრო ესკადრა **პორტ-არტურში** შევიდა. იმავე წელს რუსეთმა ჩინეთთან ახალი ხელშეკრულება დადო, რომლის ძალით მან ოცდახუთწლიანი იჯარით მიიღო **ლიაოდუნის** ნახევარკუნძული. ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო, რომ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზის მშენებლობა პორტ-არტურამდე უნდა გაგრძელებულიყო. რუსეთმა მიიღო მთელი წლის მანძილზე მოქმედი პორტები: სამხედრო — **პორტ-არტურისა**, სავაჭრო — **დალნისა**. ორივე პორტი ყველა ქვეყნის გემებისათვის ღია პორტებად გამოცხადდა.

1900 წელს რუსეთი სხვა დიდ სახელმწიფოებთან ერთად ჩინეთში მიმდინარე აჯანყების ჩახშობაში მონაწილეობდა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ გადაწყდა პეკინიდან გამოყვანილი რუსეთის ჯარები, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზის დაცვის მიზნით, მანჯურიაში (ჩრდილოეთ ჩინეთში) დაეტოვებინათ, რაც ძალზე აღიზიანებდა იაპონიას. 1902 წელს დაიდო იაპონია-ინგლისის ხელშეკრულება. ინგლისმა ვალდებულება იკისრა: იაპონიის მიერ მეორე სახელმწიფოსთან ომის დაწყების შემთხვევაში იგი იაპონიის მიმართ კეთილგანწყობილ ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებდა, ხოლო თუ იაპონიას ორ ქვეყანასთან მოუხდებოდა ომი, მაშინ ინგლისი იაპონიას უნდა დახმარებოდა. ეს ხელშეკრულება აშკარად რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. ხელშეკრულების დადების შემდეგ ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იაპონიას დიდი რაოდენობით კრედიტი მისცეს, რასაც „ამომავალი მზის ქვეყანა" ომის მოსამზადებლად იყენებდა.

1903 წელს იაპონიამ რუსეთს მოსთხოვა მანჯურიიდან ჯარების გაყვანა და კორეაზე იაპონიის ერთპიროვნული უფლების აღიარება. რუსეთმა იაპონიის მოთხოვნა ყურად არ იღო. შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის პოლიტიკის განსაზღვრა საბოლოოდ გადავიდა ა. ბეზობრაზოვისა და მისი თანამოაზრეების ხელში.

1903 წელს ნიკოლოზ II-მ შექმნა **შორეული აღმოსავლეთის სამეფისნაცვლო** (ცენტრით — პორტ-არტურში) და იქ მეფისნაცვლად ა.ბეზობრაზოვის თანამოაზრე **ადმირალი ე. ალექსეევი** დანიშნა. ა. ბეზობრაზოვს მხარს უჭერდა შინაგან საქმეთა მინისტრი **ვ. პლევე**. ვ. პლევე მომხრე იყო „პატარა მომგებიანი ომისა", რათა სოციალური საკითხების მიმართ საზოგადოების ყურადღება ჩამოეშორებინა.

1903 წლის მეორე ნახევრიდან იაპონიის პოლიტიკა რუსეთის მიმართ სულ უფრო აგრესიული ხდებოდა. 1903 წლის 31 დეკემბერს იაპონიამ რუსეთს ძალზე მძიმე ულტიმატუმი წაუყენა იმ ვარაუდით, რომ რუსეთი მას არ მიიღებდა და იაპონიას ომის საბაბი მიეცემოდა. ომის საფრთხე რუსეთში აშკარად იგრძნეს. გადაწყდა იაპონიისათვის უმნიშვნელო რამ დაეთმოთ კორეაში. ამის შესახებ ტელეგრამა იაპონიაში დაგვიანებით, მხოლოდ 1904 წლის 22 იანვარს გაიგზავნა. ამ დროისათვის იაპონიის მთავრობას რუსეთთან ომის დაწყება უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა. 1904 წლის 24 იანვარს იაპონიამ ულტიმატუმზე პასუხის მიუღებლობის საბაბით რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა. უნდა აღინიშნოს, რომ დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის გამოცხადებამდე, იაპონიაში პეტერბურგიდან 22 იანვარს გაგზავნილი ტელეგრამა დამალეს და რუსეთის ელჩს იგი მხოლოდ 25 იანვარს გადასცეს.

§ 2. **რუსეთ-იაპონიის ომი (1904-1905 წწ.).**

1. **მზადება ომისათვის.** რუსეთის იმპერიის სამხედრო პოტენციალი გაცილებით ძლიერი იყო იაპონიის სამხედრო პოტენციალთან შედარებით. 1904 წლისათვის რუსეთის არმია 1.135.000 კაცს ითვლიდა, ხოლო 3.500.000 კაცი თადარიგში ჰყავდა. არმიის უდიდესი ნაწილი დასავლეთ და სამხრეთ საზღვრებთან იყო განლაგებული, რადგან იაპონიას რუსეთი ძლიერ მოწინააღმდეგედ არ თვლიდა. ომის წინა ხანებშიც კი არაფერი გაკეთებულა შორეულ აღმოსავლეთში ჯარების გასაძლიერებლად. პირიქით, მეფისნაცვალი ე. ალექსეევი იმპერატორს არწმუნებდა, რომ ძალები საკმარისი იყო. ე. ალექსეევი ნიკოლოზ II-ს წერდა: „პორტ-არტურის ბედი ჩვენ არ უნდა გვაღელვებდეს, ჩვენ სრული შესაძლებლობა გვაქვს იმისათვის, რომ მანჯურია შევინარჩუნოთ". შორეული აღმოსავლეთის თვალუწვდენელ სივრცეზე რუსეთის 100-ათასიანი არმია იყო გაფანტული. ჯარების გადასროლას

აძნელებდა ის, რომ ციმბირის მაგისტრალის მშენებლობა ჯერ არ იყო დამთავრებული, არსებულ რკინიგზის ხაზს ძალზე დაბალი გამტარუნარიანობა გააჩნდა (რკინიგზას დღე-ღამეში მხოლოდ ორი ეშელონი შეეძლო გაეტარებინა, ერთი დივიზიის გადაყვანას კი 20 ეშელონი სჭირდებოდა). თვით ციმბირის ტერიტორიაზე განლაგებული ჯარების ბრძოლისუნარიანობა მაღალი იყო. ქვეყნის ცენტრიდან კი ომის მსვლელობის დროს ძირითადად ცუდად გაწვრთნილი და უდისციპლინო ჯარები გადაჰყავდათ. შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის ჯარებს არ ჰქონდათ უახლესი ტიპის არტილერია. შორეული აღმოსავლეთისათვის სამხედრო ფლოტის მშენებლობა დამთავრებული არ იყო, არ იყო დასრულებული პორტ-არტურის მშენებლობა. შორეულ აღმოსავლეთში განლაგებული და ომის დროს გადასროლილი ჯარებისათვის არ იყო საკმარისი საარტილერიო ჭურვები, ვაზნები, სურსათი და ფურაჟი.

იაპონია ომისათვის გაცილებით უკეთ მოემზადა. 1904 წლის სამხედრო პროგრამა იაპონიამ წარმატებით შეასრულა. მის მოქმედ არმიაში 143 ათასი ჯარისკაცი და 8 ათასი ოფიცერი ირიცხებოდა, ხოლო სამხედრო ფლოტთან და რეზერვთან ერთად იგი 200 ათას კაცს ითვლიდა. იაპონიის არმია გერმანელი ინსტრუქტორების მიერ იყო გაწვრთნილი და კარგი შეიარაღება ჰქონდა, განსაკუთრებით ეს ეხებოდა არტილერიას.

თავიდანვე იყო ცნობილი, რომ რუსეთ-იაპონიის მომავალ ომში გადამწყვეტი მნიშვნელობა სამხედრო ფლოტს ექნებოდა. რუსეთს, როგორც აღვნიშნეთ, ომის დაწყების დროისათვის დასრულებული არ ჰქონდა წყნარი ოკეანის ფლოტის მშენებლობა. უფრო მეტიც, 1902 წელს წყნარი ოკეანიდან ბალტიის ზღვაში სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით გადაიყვანეს 3 მძიელებული ჯავშნოსანი და 4 კრეისერი, რადგან შორეულ აღმოსავლეთში სარემონტო ბაზა არ არსებობდა. ამის შემდეგ რუსეთს წყნარ ოკეანეში დარჩა 11 ჯავშნოსანი და კრეისერი, იაპონიას – 14. სულ ომის დაწყების მომენტისათვის იაპონიას ჰყავდა 80 გემი, რუსეთს – 63. გარდა ამისა, რუსეთის 10 გემი ვლადივოსტოკის ნავსადგურში იდგა, ხოლო იაპონიის 27 გემი კორეის ნახევარკუნძულს იცავდა. მთავარი ამ შემთხვევაში რიცხობრივი უპირატესობა არ ყოფილა. იაპონიის სამხედრო ფლოტი ახალი ტიპის გემებისაგან შედგებოდა, გააჩნდა საუკეთესო არტილერია.

რუსეთის სარდლობას ზუსტი ცნობები არ ჰქონდა იაპონიის არმიის შესახებ. მიუხედავად ძლიერი დაზვერვისა არც იაპონელებს ჰქონდათ სწორი წარმოდგენა რუსეთის არმიისა და სამხედრო ფლოტის ბრძოლისუნარიანობაზე, პორტ-არტურის გამაგრებული რაიონის თავდაცვით შესაძლებლობებზე. ამიტომაც იყო, რომ ომი გაჭიანურდა.

რუსეთის სარდლობის გეგმა ასეთი იყო: **ომის დაწყებისთანავე მთელი ყურადღება უნდა დათმობოდა ზღვიდან და ხმელეთიდან პორტ-არტურისა და ვლადივოსტოკის დაცვას, ხოლო სახმელეთო ჯარებს ნელ-ნელა უნდა დაეზიათ უკან მანამ, სანამ ხარბინის რაიონში არ დასრულდებოდა რუსეთის არმიის დიდი ძალების თავმოყრა.** ამ გეგმის მთავარი ნაკლი ის იყო, რომ შესაბამისად ვერ აფასებდა პორტ-არტურის მნიშვნელობას, ხოლო რუსეთის სამხედრო ფლოტის წყნარი ოკეანის ესკადრის ძალები კი გადაჭარბებით იყო შეფასებული. საერთოდ კი გეგმა ინიციატივას იაპონელებს უთმობდა.

2. **ომის დასაწყისი.** 1904 წლის 26-27 იანვრის ღამით იაპონელთა ნაღმოსნებმა მოულოდნელად შეუტიეს **პორტ-არტურის** გარე რეიდზე მდგარ რუსეთის სამხედრო ფლოტს და დააზიანეს ჯავშნოსნები **„რეტვიზანი“** და **„ცესარევიჩი“**, ასევე კრეისერი **„პალადა“**. რუსებმა საარტილერიო ცეცხლით იაპონელთა ორი ნაღმოსანი ჩაძირეს. ჯავშნოსანი „რეტვიზანი“ ნავსადგურის მისადგომებთან ჩაიძირა, ხოლო ჯავშნოსანი „ცესარევიჩი“ და კრეისერი „პალადა“ ნავსადგურის შიდა რეიდზე გადაიყვანეს. 27 იანვრის დილას იაპონიის ფლოტმა მთელი შემადგენლობით შეუტია **პორტ-არტურს**. რუსებმა გემებისა და ციხე-სიმაგრის არტილერიის ცეცხლით იაპონელთა შეტევა მოიგერიეს. ბრძოლაში რუსებმა კიდევ სამი გემი დაკარგეს. დანაკარგი სერიოზული იყო იაპონელთა მხრიდანაც, რის გამოც მათ სამხრეთისაკენ დაიხიეს.

პორტ-არტურზე შეტევამდე რამდენიმე საათით ადრე იაპონელთა ესკადრა კორეის ნახევარკუნძულზე მდებარე **ჩემულპოს** ნავსადგურს მიუახლოვდა. ჩემულპოს რეიდზე იდგა კრეისერი **„ვარიაგი“** და ქვემეხიანი ნავი **„კორეეცი“**. იაპონელთა ესკადრას (6 კრეისერი და 8 ნაღმოსანი) შეეძლო სრულიად ადვილად რეიდზეევ გაენადგურებინა „ვარიაგი“ და „კორეეცი“. „ვარიაგის“ კაპიტანმა **ვ. რუდნევმა** უშიშრად შეუტია ჭარბ ძალებს. იაპონელებმა „ვარიაგი“ დააზიანეს. ბრძოლის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. ვ. რუდნევმა „ვარიაგიცა“ და

„კორეეციც" ჩემულპოს ნავსადგურის მისადგომებთან ჩაძირა.

ამრიგად, ომის პირველსავე დღეს, 1904 წლის 27 იანვარს, იაპონელებმა ჩაძირეს რუსეთის ორი გემი და მწყობრიდან გამოიყვანეს სამი. რუსეთის სამხედრო ფლოტის სერიოზული დანაკარგი მთლიანად მეფისნაცვალ ე. ალექსეევისა და რუსეთის წყნარი ოკეანის ესკადრის მეთაურის ვიცე-ადმირალ ო. **სტარკის** დანაშაულებრივი გულგრილობის შედეგი იყო. მათ პორტ-არტურის ნავსადგურის მისადგომებთან არ დააყენეს ნაღმების საწინააღმდეგო ბადე და ჩემულპოს ნავსადგურიდან კრეისერი „ვარიაგი" პორტ-არტურში არ გადაიყვანეს.

1904 წლის 24 თებერვალს პორტ-არტურში ჩავიდა წყნარი ოკეანის ესკადრის ახალი მეთაური ვიცე-ადმირალი **სტეფანე მაკაროვი** და ენერგიულად შეუდგა ციხე-სიმაგრის ზღვიდან და ხმელეთიდან გამაგრებას. 31 მარტს ჯავშნოსანი **„პეტროპავლოვსკი"**, რომელზეც ს. მაკაროვი იმყოფებოდა, იაპონელთა ნაღმზე აფეთქდა. ს. მაკაროვი 28 ოფიცერთან და 620 მეზღვაურთან ერთად დაიღუპა. 1904 წლის 2 მაისს რუსების ნაღმებზე აფეთქდა იაპონიის ორი ნაღმოსანი და ერთი მძიმე კრეისერი, ორი დღის შემდეგ კი — ერთი ნაღმოსანი. ს. მაკაროვის დაღუპვის შემდეგ რუსებმა ზღვაზე აქტიური საბრძოლო მოქმედებების წარმოებაზე უარი თქვეს და ამდენად, იაპონელთა სამხედრო ფლოტმა ზღვაზე სრული თავისუფლება მიიღო.

სტეფანე მაკაროვი

3. სახმელეთო ბრძოლები. საბრძოლო მოქმედებები ხმელეთზე 1904 წლის აპრილის შუა რიცხვებში დაიწყო. იაპონიის პირველმა არმიამ (45 ათასი კაცი) **ტიურენჩენთან** შეუტია რუსებს. ამ მიმართულებით რუსებს 5-ჯერ ნაკლები ჯარები ჰყავდათ, გარდა ამისა, გენერალმა **მ. ზასულიჩმა** სტრატეგიული შეცდომა დაუშვა. რუსებმა თავდაცვითი ბრძოლები ვერ აწარმოეს და უკან დაიხიეს. მდინარე **იალუსთან** რუსებმა 3 ათასი კაცი დაკარგეს.

1904 წლის აპრილის ბოლოს **ბიჟიეოსთან** ხმელეთზე გადმოსხდა იაპონიის მეორე არმია, ხოლო **დაგუშანთან** — მეოთხე არმია. შორეული აღმოსავლეთის ფლოტის სარდალს ადმირალ ე. **ალექსეევსა** და სახმელეთო ჯარების სარდალს ა. **კუროპატკინს** შორის უთანხმობა ჩამოვარდა. ე. ალექსეევს ფლოტის განადგურებისა ეშინოდა, ამიტომ მოითხოვდა, ა. კუროპატკინს სახმელეთო ჯარებით შეეტია იაპონიის მეორე არმიისათვის, რომელმაც პორტ-არტურისაკენ მიმავალი რკინიგზა გადაჭრა. ა. კუროპატკინი ამტკიცებდა, რომ მას შეტევისათვის საჭირო ძალები არ ჰყავდა და მანამ ვერ დაიწყებდა შეტევას, სანამ რუსეთის 300-ათასიანი არმია არ დაასრულებდა თავმოყრას. პეტერბურგიდან კატეგორიულად მოითხოვეს პორტ-არტურის დაცვა. ა. კუროპატკინმა საერთო შეტევა მაინც ვერ გაბედა, თუმცა იაპონიის მეორე არმიის წინააღმდეგ გენერალ **შტაკელბერგის** კორპუსი მაინც გაგზავნა. **ვაფანგოუსთან** გამართული ბრძოლა იაპონელთა ჭარბი ძალების გამარჯვებით დამთავრდა. იაპონიის მეორე არმია პორტ-არტურისაკენ დაიძრა, ხოლო მესამე არმია ლიაოდუნის ნახევარკუნძულის დაკავებას შეუდგა.

ვაფანგოუსთან მარცხმა შეაშფოთა ნიკოლოზ II. პეტერბურგიდან ა. კუროპატკინს კვლავ უბრძანეს შეეტია იაპონელებისათვის. ა. კუროპატკინის განკარგულებაში 148 ათასი ჯარისკაცი და 673 ქვემეხი იყო, თუმცა ბრძოლის წინა ხაზზე მხოლოდ 94 ათასი კაცი და 338 ქვემეხი იყო განლაგებული. იაპონელებს კი წინა ხაზზე 110 ათასი ჯარისკაცი და 484 ქვემეხი გააჩნდათ. 1904 წლის 17 აგვისტოს **ლიაოიანთან** იაპონიის სამი არმია შეტევაზე გადავიდა. რუსებმა მოწინააღმდეგე დიდი დანაკარგით უკუაგდეს. ა. კუროპატკინმა ზუსტად ვერ შეაფასა იაპონელთა ძალები და 21 აგვის-

ტოს უკან დახევა დაიწყო. ლიაოიანთან ბრძოლაში იაპონელებმა 24 ათასი კაცი დაკარგეს, რუსებმა – 17 ათასი.

1904 წლის სექტემბერში ა. კუროპატკინმა მდინარე **შახესთან** შეუტია იაპონელებს. ამ დროისათვის იაპონელთა ძირითადი ძალები პორტ-არტურთან იყო დაჯგუფებული და რუსებს კარგი შანსი ჰქონდათ გამარჯვებისა. ა. კუროპატკინმა ბრძოლაში მთელი ჯარები არ ჩააბა, რის გამოც რუსები კვლავ დამარცხდნენ.

შახესთან ბრძოლის შემდეგ ომმა პოზიციური ხასიათი მიიღო.

4. **პორტ-არტურის დაცვა**. 1904 წლის მაისის დამდეგს პორტ-არტური მოწყვეტილი აღმოჩნდა მანჯურიიდან (ჩრდილოეთ ჩინეთიდან). კვანტუნის გამაგრებული რაიონის სარდალი ა. სტესელი, სადაც პორტ-არტურიც შედიოდა, თავიდანვე თავდაცვისათვის იყო განწყობილი და შეტევაზე არც კი ფიქრობდა. მხოლოდ აღმოსავლეთ ციმბირის მეშვიდე დივიზიის მეთაური **რომან კონდრატენკო** მოითხოვდა შეტევაზე გადასვლას. მისი აზრით, იაპონელებს პორტ-არტურთან კი არ უნდა დალოდებოდნენ, არამედ ბრძოლები უნდა გაემართათ ლიაოდუნის ნახევარკუნძულის ცენტრალურ რაიონებში. ეს გარკვეულწილად შეაფერხებდა მოწინააღმდეგის შეტევას პორტ-არტურზე. მართლაც, რ. კონდრატენკოს გონიერული გეგმის წყალობით 1904 წლის მხოლოდ 12 მაისიდან 17 ივნისამდე იაპონელებმა 12 ათასი კაცი დაკარგეს. რუსების დანაკარგი 5,3 ათას კაცს შეადგენდა.

რომან კონდრატენკო

ომის დაწყებიდან პორტ-არტურთან იაპონელთა ჯარების მისვლამდე ექვსი თვე გავიდა. ამ ხნის მანძილზე პორტ-არტურის თავდაცვითი ბრძოლებისათვის მოსამზადებლად ბევრი რამ გაკეთდა: აიგო 6 ფორტი, გათხარეს სანგრები, მოაწყვეს რედუტები. ციხე-სიმაგრის გარნიზონი 40 ათას კაცს ითვლიდა, სამხედრო გემებზე 12 ათასი მეზღვაური იმყოფებოდა. პორტ-არტურში ერთდროულად ორი სარდალი აღმოჩნდა: კვანტუნის გამაგრებული რაიონის სარდალი ა. **სტესელი** (ეს რაიონი 1904 წლის ივლისისათვის ფაქტობრივად აღარ არსებობდა) და პორტ-არტურის კომენდანტი კ. **სმირნოვი**. სახმელეთო ჯარების სარდალმა ა. კუროპატკინმა ა. სტესელს უბრძანა სარდლობა კ. სმირნოვისათვის გადაებარებინა. ა. სტესელმა ეს ბრძანება დამალა და კ. სმირნოვისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდა. უფრო მეტიც, ა. სტესელი კ. სმირნოვს მისადმი დაქვემდებარებულად თვლიდა და ყოველნაირად უშლიდა მას ხელს ციხე-სიმაგრის დაცვაში. სამაგიეროდ კ. სმირნოვს მხარში ედგა გენერალი ნ. კონდრატენკო, რომელიც ჯარისკაცთა და ოფიცერთა დიდი სიყვარულით სარგებლობდა.

წყნარი ოკეანის ესკადრამ ე. ალექსეევის ბრძანების თანახმად პორტ-არტურიდან **ვლადივოსტოკისაკენ** ცადა გაჭრა. ესკადრის სარდალმა კონტრ-ადმირალმა ვ. ვიტგეფტმა 1904 წლის 10 ივნისს იაპონელთა ჭარბ ძალებთან ბრძოლას თავი აარიდა და ესკადრა ისევ პორტ-არტურში დააბრუნა. ვ. ვიტგეფტი და ესკადრის სამხედრო საბჭო თვლიდნენ, რომ ვლადივოსტოკისაკენ გაჭრა შეუძლებელი იყო. ე. ალექსეევი თავისას არ იშლიდა. 28 ივლისს ესკადრამ კვლავ ვლადივოსტოკისაკენ აიღო გეზი. რუსეთისა და იაპონიის ესკადრათა ბრძოლა 12 საათი გრძელდებოდა. ბრძოლაში დაიღუპა ესკადრის სარდალი ვ. ვიტგეფტი. რუსების 18 გემიდან 10 ისევ პორტ-არტურში დაბრუნდა, ხოლო 7 გემი ნეიტრალურ ნავსადგურებში შევიდა ბრძოლაში მიღებული დაზიანების შესაკეთებლად. კრეისერმა „ნოვიკმა“ სახალინს მიაღწია, სადაც იაპონელთა ორ კრეისერთან უთანასწორო ბრძოლაში სერიოზული დაზიანების მიღების შემდეგ იგი თვითონ რუსებმა ჩაძირეს.

პორტ-არტურზე შეტევისათვის იაპონელებმა 48-ათასიანი არმია დააჯგუფეს. **პირველი შეტევა** 1904 წლის 6 აგვისტოდან 11 აგვისტომდე

გრძელდებოდა და მთელი დღე-ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. იაპონელები კარგად იყენებდნენ არტილერიის ხარისხობრივ და რაოდენობრივ უპირატესობას. პირველი შეტევის დროს იაპონელებმა 25 ათასი კაცი დაკარგეს, რუსებმა — 6 ათასი. 1904 წლის სექტემბერში პორტ-არტურზე **მეორე შეტევის** დროს იაპონელებმა 7,5 ათასი რუსი მოკლეს, ხოლო რუსებმა 1,5 ათასი იაპონელი. **მესამე შეტევა** 1904 წლის 17 ოქტომბერს დაიწყო. იაპონელებმა კვლავ დიდი ზარალი განიცადეს და შეტევა შეწყვიტეს. ამის შემდეგ ორივე მხრიდან მხოლოდ საარტილერიო დაბომბვები მიმდინარეობდა.

1904 წლის 13 ნოემბერს იაპონიის 100-ათასიანმა არმიამ პორტ-არტურზე **მეოთხე შეტევა** დაიწყო. შეტევა 9 დღეს გრძელდებოდა. 2 დეკემბერს ბრძოლაში დაიღუპა გენერალი **რ. კონდრატენკო**. მიუხედავად იმისა, რომ პორტ-არტურის გამაგრებული რაიონის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფორტი იაპონელებმა იგდეს ხელთ, 1904 წლის 16 დეკემბერს გამართულ ციხე-სიმაგრის სამხედრო საბჭოს სხდომაზე გადაწყდა ბრძოლის გაგრძელება, მაგრამ 1904 წლის 20 დეკემბერს ა. **სტესელმა** პორტ-არტურის კაპიტულაციის გადაწყვეტილება მიიღო და ციხე-სიმაგრე იაპონელებს ჩააბარა.

პორტ-არტურზე იერიშების დროს იაპონელებმა 110 ათასი კაცი და 15 გემი დაკარგეს. სამაგიეროდ, პორტ-არტურის აღებით იაპონელებს გამოუთავისუფლდათ დიდი სამხედრო ძალა. გარდა ამისა, მათ გაანადგურეს რუსეთის მთელი სამხედრო ფლოტი, ხელთ იგდეს 32 ათასი ტყვე და 610 ქვემეხი.

5. **ომის დასასრული.** რუსეთის სარდლობამ ომის ბედის შემობრუნება კიდევ ერთხელ სცადა 1905 წლის თებერვალში **მუკდენთან** გამართულ ბრძოლაში. მუკდენის ბრძოლა 5 თებერვლიდან 24 თებერვლამდე მიმდინარეობდა. მასში ორივე მხრიდან 660 ათასი კაცი მონაწილეობდა. ა. კუროპატკინის უუნარო მოქმედების შედეგად რუსები კვლავ დამარცხდნენ. ბრძოლაში რუსებმა 59 ათასი, ხოლო იაპონელებმა 70 ათასი კაცი დაკარგეს. 22 ათასი რუსი იაპონელებმა ტყვედ ჩაიგდეს. რუსებს 1000 იაპონელი ჩაბარდა ტყვედ. 1905 წლის აგვისტოსათვის შორეულ აღმოსავლეთში განლაგებული რუსეთის არმიის რაოდენობა ერთ მილიონ კაცს აღემატებოდა.

1905 წლის 14-15 მაისს **კუნძულ ცუსიმასთან** გაიმართა დიდი საზღვაო ბრძოლა. რუსეთის წყნარი ოკეანის მეორე და მესამე ესკადრების წინააღმდეგ (სულ 30 გემი) იაპონელებმა 120 გემი გამოიყვანეს. **ადმირალმა ზ. როჟდესტვენსკიმ** ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო — ვლადივოსტოკისაკენ სცადა გაჭრა. უთანასწორო ბრძოლაში რუსებმა 19 გემი დაკარგეს, 4 ჯავშნოსანი და ერთი ნაღმოსანი იაპონელებმა იგდეს ხელთ, სამმა კრეისერმა ნეიტრალურ წყლებს მიაღწია, მხოლოდ 2 კრეისერი და 2 ნაღმოსანი დაბრუნდა ვლადივოსტოკში. 30 გემზე მყოფი 14 ათასი მეზღვაურიდან 5 ათასზე მეტი დაიღუპა. დაჭრილი ზ. როჟდესტვენსკი ტყვედ ჩავარდა.

მუკდენისა და ცუსიმას ბრძოლებში მარცხის შემდეგ რუსეთს ომის გაგრძელება აღარ შეეძლო. მძიმე მდგომარეობაში იყო იაპონიის არმია — ომის გაგრძელება არც იაპონიისათვის იყო ხელსაყრელი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის **თეოდორ რუზველტის** წინადადება მეომარმა მხარეებმა მიიღეს და 1905 წლის აგვისტოში **პორტსმუტში** (აშშ) საზავო მოლაპარაკება დაიწყო. რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელად ნიკოლოზ II-მ ს. **ვიტე** დანიშნა. ამერიკაში რუსეთის მინისტრი შავრაზმელის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი, ს. ვიტემ კი ამერიკელები მოხიბლა დახვეწილი მანერებითა და შინაგანი დემოკრატიზმით. პრესა მოხიბლული იყო რუსეთის წარმომადგენლით.

პორტსმუტის საზავო მოლაპარაკებაზე ს. ვიტეს დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან იაპონელებს უარი ათქმევინა კონტრიბუციაზე. **პორტსმუტის ზავით (1905 წლის 23 აგვისტო) რუსეთმა იაპონიას დაუთმო სახალინის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი და რკინიგზის ხაზი პორტ-არტურიდან ჩანჩუნამდე.**

პორტსმუთის მოლაპარაკების მონაწილენი. 1905 წ.

იაპონიას გადაეცა ასევე ლიაოდუნის ნახევარკუნძულსა და პორტ-არტურზე იჯარის უფლება.

§ 3. რუსეთის საგარეო პოლიტიკა 1906-1914 წლებში.

1. **რუსეთი 1905 წლის შემდგომ საერთაშორისო სისტემაში.** ამ პერიოდის რუსეთის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი გახდა ორი ფაქტორი: **პირველი.** იაპონიასთან ომში განცდილი მძიმე მარცხი; **მეორე.** 1905 წელს დაწყებული რევოლუცია.

იაპონიასთან დამარცხების შემდეგ მმართველი ზედაფენის ბევრმა ცნობილმა წარმომადგენელმა გააკეთა დასკვნა იმის შესახებ, რომ **რუსეთს აღარასოდეს უნდა ეომა.** ამ აზრს განსაკუთრებული პირდაპირობით იცავდა **პეტრე სტოლიპინი.** იგი მიიჩნევდა, რომ ახალი ომი ისევ გამოიწვევდა რევოლუციას და, ამასთან ერთად, ჩაშლიდა დაწყებულ რეფორმებს. 1909 წელს პ. სტოლიპინმა განაცხადა: **„მიეცით სახელმწიფოს ოცწლიანი სიმშვიდე, შიგნით და გარეთ, და თქვენ ველარ იცნობთ რუსეთს!“** სამწუხაროდ, ამ სიტყვების წარმოთქმიდან მშვიდობა „გარეთ“ მხოლოდ ხუთი წელი შენარჩუნდა.

XX საუკუნის დამდეგიდან დიდი ომის მოახლოებას ბევრი პოლიტიკოსი გრძნობდა. კოლონიებისა და ბაზრების გადანაწილებისათვის ინგლისისა და გერმანიის დაპირისპირებამ უკიდურესად მწვავე ხასიათი მიიღო. ორივე ქვეყანამ აშკარად აიღო გეზი გამალებულ შეიარაღებაზე. იმავდროულად გამწვავდა **ინგლისისა** და **საფრანგეთის** დაპირისპირება აფრიკის კოლონიებისათვის, ხოლო **საფრანგეთისა** და **გერმანიის** დაპირისპირება ასევე კოლონიებისა და ელზასისა და ლორენის გამო (ეს ტერიტორია გერმანიამ მიიტაცა საფრანგეთ-პრუსიის ომში საფრანგეთის დამარცხების შემდეგ 1871 წ.). ასეთ ვითარებაში **ინგლისის** დიპლომატია ცხადად დაადგა **საფრანგეთთან** და **რუსეთთან** ურთიერთობის მოგვარების გზას.

ინგლისმა და საფრანგეთმა გაიყვეს კოლონიები **აფრიკაში** და 1904 წელს დადეს ე.წ. **„გულითადი კავშირი“.** აქედან წარმოდგა შემდეგში სახელწოდება **„ანტანტა“ („თანხმობა“).** ხელშეკრულებაში არაფერი ყოფილა ნათქვამი გერმანიის წინააღმდეგ კავშირის შესახებ, მაგრამ ცხადი იყო, რომ ინგლისსა და საფრანგეთს სწორედ გერმანიასთან დაპირისპირება აერთიანებდა.

ასეთ ვითარებაში რუსეთის იმპერიის დიპლომატიის წინაშე დაისვა **საკითხი: ან რუსეთ-საფრანგეთის კავშირის შენარჩუნება, რაც თავისთავად ნიშნავდა ინგლისთან დაახლოებასაც, ან გერმანიასთან დაახლოება, რაც ასევე თავისთავად ნიშნავდა ავსტრია-უნგრეთთან დაახლოებასაც.** რუსეთის დიპლომატიამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: უახლოეს მომავალში მაინც შეენარჩუნებინა ნეიტრალიტეტი, ორივე მხარესთან (როგორც ინგლის-საფრანგეთთან, ისე გერმანია-ავსტრია-უნგრეთთან) დაედო ხელშეკრულებები ისე, რომ არ აეღო სამხედრო ვალდებულებები. ასეთი ხელშეკრულებები მალე მართლაც დაიდო. მიუხედავად ამისა, სულ უფრო მწვავდებოდა ურთიერთობები გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთთან. რუსეთის დიპლომატია ცდილობდა კონფლიქტური ვითარების მოგვარებას, მაგრამ ბევრი რამ მის ძალებს აღემატებოდა.

1905 წლის შემდეგ რუსეთის საგარეო პოლიტიკაში სულ უფრო აქტიურად ერეოდა სახელმწიფო სათათბირო, თუმცა კანონის ძალით ეს მისი კომპეტენცია არ იყო. იმავდროულად ცენზურიდან გათავისუფლებულმა პრესამ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების დაკვეთით საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის შექმნას მიჰყო ხელი. **გერმანოფილურ** საგარეო-პოლიტიკურ კურსს მხარს უჭერდნენ მემარჯვენე ძალები. მათი აზრით, გერმანია რუსეთისათვის მისაბაძი იყო იმის გამო, რომ იქ შენარჩუნდა ძლიერი მონარქია და მიაღწიეს მძლავრ ეკონომიკურ აღმავლობას. ხაზგასმით აღნიშნავდნენ დინასტიურ კავშირს რუსეთსა და გერმანიას შორის, ასევე იმას, რომ 150 წლის განმავლობაში რუსეთსა და გერმანიას ერთმანეთთან არ უომიათ. პროგერმანულ დაჯგუფებაში შედიოდა მინისტრებისა და სახელმწიფო საბჭოს წევრების ნაწილი, ასევე სახელმწიფო სათათბიროს წევრები, გერმანიის ბაზართან დაკავშირებული მემამულეები და კაპიტალისტები. **„გერმანულ პარტიას“** ბევრი მომხრე ჰყავდა გენერალიტეტში, ასევე საიმპერატორო კარზე. მაგრამ, „გერმანულ პარტიას“ ძალზე უშლიდა ხელს თვით გერმანიაში განვითარებული მოვლენები. ოტო ფონ ბისმარკის გადადგომის შემდეგ (1890 წ.) გერმანიაში ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ რუსეთის მიმართ აგრესიულად განწყობილი ძალები. ისინი არც მალავდნენ თავიანთ პრეტენზიებს ბალტიისპირეთის, პოლონეთისა და უკრაინის ტერიტორიებზე. იაპონიასთან ომში დამარცხების შემდეგ გერმანიის უმაღლეს სამხედრო და პოლიტიკურ წრეებში რუსეთს

აღარ მიიჩნევდნენ სერიოზულ მოწინააღმდეგად. 1904 წელს გერმანიამ რუსეთს თავს მოახვია ძალზე არახელსაყრელი საკაჭრო ხელშეკრულება. გერმანულ პრესაში გაჩაღდა აშკარა ანტირუსული კამპანია. პრესა რუსეთს განიხილავდა როგორც უმთავრეს შემაფერხებელ ძალას „დიდი გერმანიის" შექმნის გზაზე.

1906 წლიდან რუსეთში ნელ-ნელა იწყებს გაძლიერებას **ანგლოფილური** მიმდინარეობა. ანგლოფილები აქამდე იმის გამო ვერ აქტიურობდნენ, რომ რუსეთ-იაპონიის ომის წინა ხანებში და ომის დროს ინგლისი აშკარად უჭერდა მხარს იაპონიას. 1906 წელს ინგლისში ხელისუფლების სათავეში ლიბერალები მოვიდნენ, რომლებმაც მაშინვე აიღეს კურსი რუსეთთან დაახლოებაზე. ასეთ პოლიტიკას ატარებდა ინგლისის ახალი ელჩი რუსეთში **არტურ ნიკოლსონი**. ინგლისის მისწრაფებას თანაგრძნობით შეხვდა 1906 წელს რუსეთის იმპერიის ახალ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნული **ალექსანდრე იზვოლსკიც**, თავდაჯერებული ანგლოფილი. რუსეთში ანგლოფილური მიმდინარეობა სულ უფრო ძლიერდებოდა. მას მხარს უჭერდა თითქმის მთელი ლიბერალური მოძრაობა. ლიბერალებს ჰქონდათ იმედი, რომ ინგლისთან სიახლოვე ხელს შეუწყობდა რუსეთში „კონსტიტუციური განწყობილების" გაძლიერებას. ანგლოფილურ განწყობილებას უჭერდა მხარს რუსეთის პრესის უდიდესი ნაწილი.

2. **რუსეთი და ანტანტა**. ანგლოფილური მიმდინარეობის გამარჯვება და რუსეთის შეერთება ანტანტასთან ადვილად არ მომხდარა. გერმანოფილები პოზიციებს არ თმობდნენ. 1905 წელს საიმპერატორო კარზე გაიმარჯვეს ინგლისის წინააღმდეგ გერმანიასთან დაახლოების მომხრეებმა. გერმანოფილებმა არგუმენტებად გამოიყენეს შემდეგი: ინგლისი რუსეთის წინააღმდეგ ომში ეხმარებოდა იაპონიას, ხოლო საფრანგეთი რუსეთ-იაპონიის ომის დროს არ ასრულებდა რუსეთის წინაშე ნაკისრ სამოკავშირეო ვალდებულებებს. რაც შეეხება გერმანიას, მან ქვანახშირით მოამარაგა ბალტიის ზღვიდან წყნარ ოკეანეში იაპონიასთან საომრად მიმავალი რუსეთის ფლოტი. 1905 წლის იულისში ფინეთის ყურეში მდებარე კუნძულ ბერკეზე ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთისა და გერმანიის იმპერატორები. ხელი მოაწერეს რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებას, რომელიც მიმართული იყო ინგლისის წინააღმდეგ. ეს ხელშეკრულება აუცილებლად გამოიწვევდა ფრანგულ კაპიტალთან დაკავშირებული რუსეთის ბურჟუაზიის დიდ უკმაყოფილებას. გარდა ამისა, რუსეთს სჭირდებოდა დიდძალი კრედიტი, რომელიც შეიძლებოდა მხოლოდ საფრანგეთისაგან მიეღო. ყოველივე ამის გამო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **სერგეი ვიტემ** და საგარეო საქმეთა მინისტრმა **ლამზდორფმა** ნიკოლოზ II დაარწმუნეს შემდეგში: რუსეთ-გერმანიის 1905 წლის ხელშეკრულების ძალაში შესვლის პირობად აღიარებული ყოფილიყო საფრანგეთის შეერთება ამ ხელშეკრულებასთან. ს. ვიტემ სწორად გათვალა: 1905 წლისათვის საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობა უკვე ისე იყო გამწვავებული, რომ შეუძლებელი იყო რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებასთან საფრანგეთის შეერთება. გარდა ამისა, 1905 წლისათვის შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში ფართო ანტიინგლისური ალიანსის შექმნა წარმოუდგენელი იყო. სწორედ ამიტომ 1905 წლის რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულება ძალაში არ შესულა, ისე მოხდა მისი ანულირება. ამის მიუხედავად გერმანოფილები იმედს არ კარგავდნენ.

იმ პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1907 წლის აგვისტოს ინგლის-რუსეთის ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც რუსეთი შეუერთდა ანტანტას (ინგლის-საფრანგეთის კავშირს). **ინგლის-რუსეთის ხელშეკრულება ფორმალურად მიმართული არ ყოფილა რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ, მაგრამ ფაქტობრივად იგი გერმანიის წინააღმდეგ იყო მიმართული.** ინგლის-რუსეთის დაახლოება რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული: ინგლისს 1904 წელს შეთანხმება ჰქონდა დადებული რუსეთის მოკავშირე საფრანგეთთან; ინგლისი მონაწილეობდა საფრანგეთის ბანკების მიერ 1906 წელს რუსეთისათვის სესხის გამოყოფაში; ინგლისს შეეძლო შეენელებინა ომის დამთავრების შემდეგაც იაპონიაში არსებული ანტირუსული განწყობილება; ინგლისის გარეშე შეუძლებელი იყო შავი ზღვის სრუტეების საკითხის გადაჭრა.

ინგლის-რუსეთის 1907 წლის აგვისტოს ხელშეკრულება ორი ქვეყნის ურთიერთობის სხვა საკითხებსაც შეეხო. **ირანის ჩრდილოეთი ნაწილი რუსეთის გავლენის სფეროდ, ხოლო სამხრეთ-დასავლეთი ინგლისის გავლენის ქვეშ მყოფად გამოცხადდა.** რუსეთისა და ინგლისის გავლენის სფეროებს შორის გადიოდა ე.წ. ნეიტრალური ზონა, რომელშიც **სპარსეთის ყურის**

თითქმის მთელი სანაპირო ზოლი შედიოდა. **რუსეთმა აღიარა, რომ ავღანეთზე არ ვრცელდებოდა მისი გავლენა**, მაგრამ ა. იზვოლსკის დაჟინებული მოთხოვნით ინგლისმა ვალდებულება იკისრა, არ ჩარეულიყო ავღანეთის საშინაო საქმეებში და არ მიეტაცებინა მისი ტერიტორიის რომელიმე ნაწილი. არც რუსეთსა და არც ინგლისს ავღანეთში სავაჭრო უპირატესობის მოპოვება არ უნდა ეცადათ და თანასწორ პირობებში უნდა დარჩენილიყვნენ. **ინგლისმა და რუსეთმა სცნეს ტიბეტში ჩინეთის სუვერენიტეტი და პირობა დადეს, არ ჩარეულიყვნენ ჩინეთის საშინაო საქმეებში.**

ინგლის-რუსეთის 1907 წლის ხელშეკრულებით დასრულდა ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის კავშირის (ანტანტის) შექმნა.

1908 წელს რეველში ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთის იმპერატორი **ნიკოლოზ** II და ინგლისის მეფე **ედუარდ** VII. განიხილეს გერმანიასთან მოსალოდნელი ომის ზოგიერთი საკითხი, თუმცა რაიმე ხელშეკრულება არ დადებულა.

რუსეთი იყო ერთ-ერთი ინიციატორი 1907 წელს **ჰააგაში** მოწვეული **მეორე სამშვიდობო კონფერენციისა**. კონფერენციაში 44 სახელმწიფოს წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას. კონფერენციამ მიიღო 13 კონვენცია: საერთაშორისო დაძაბულობის მშვიდობიანი მოგვარების, საომარი მოქმედებების დაწყების, ომის დროს ნეიტრალური ქვეყნების უფლებებისა და მოვალეობების შესახებ და სხვ.

1907 წელს რუსეთმა იაპონიასთან დადო პოლიტიკური შეთანხმება, ასევე სავაჭრო ხელშეკრულება და კონვენცია თევზჭერის შესახებ. პოლიტიკური შეთანხმების ძალით **ჩრდილოეთ მანჯურია და შიდა მონღოლეთი რუსეთის გავლენის სფეროდ აღიარეს, ხოლო სამხრეთ მანჯურია და კორეა იაპონიას რჩებოდა გავლენის გასავრცელებლად**. 1907 წლის ხელშეკრულებით დაიწყო რუსეთ-იაპონიის ურთიერთობის გაუმჯობესება. 1910 წლის რუსეთ-იაპონიის საიდუმლო ხელშეკრულება ითვალისწინებდა ორი ქვეყნის ერთობლივ მოქმედებას მანჯურიაში, თუკი მათი ინტერესები შეილახებოდა.

3. ბოსნიის კრიზისი (1908-1909 წწ.) და რუსეთი. ინგლისთან ურთიერთობის გაუმჯობესება, დაძაბულობის შენელება რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან (ინგლის-რუსეთის შეთანხმება ირანისა და ავღანეთის შესახებ), მდგომარეობის გაუმჯობესება შორეულ აღმოსავლეთში (რუსეთ-იაპონიის შეთანხმებები), **ალექსანდრე იზვოლსკის** აზრით, შესაძლებელს ხდიდა რუსეთის გააქტიურებას ბალკანეთის ნახევარკუნძულის, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების რაიონში. ა. იზვოლსკი ვარაუდობდა, რომ შეძლებდა არა მარტო ინგლისთან და საფრანგეთთან შეთანხმებას, არამედ გერმანიასთან და ავსტრია-უნგრეთთან მორიგებასაც.

1908 წელს თურქეთში მიმდინარე რევოლუციის გამო ბალკანეთში მორიგი კრიზისი დაიწყო. რევოლუციის შედეგად თურქეთში სულთნის ხელისუფლება დაემხო და ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ სამხედროები — ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ორგანიზაცია **„ერთობა და პროგრესის“** მომხრეები (ევროპაში მათ „ახალგაზრდა თურქებს“ უწოდებდნენ). ახალგაზრდა თურქებმა, მართალია, გამოაცხადეს კონსტიტუციური მმართველობის შემოღება, მაგრამ არ ცნობდნენ თურქეთში მცხოვრები დაპყრობილი ერების ავტონომიურ უფლებებს და ჩვეულებრივ ავიწროებდნენ მათ.

ავსტრია-უნგრეთმა გადაწყვიტა ესარგებლა შიგათურქული სირთულეებით და მოეხდინა **ბოსნიისა** და **ჰერცეგოვინის** ანექსია (ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ავსტრია-უნგრეთის ჯარები იმყოფებოდნენ 1878 წლის ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, თუმცა ორივე ქვეყანა თურქეთის შემადგენლობაში რჩებოდა). ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ბევრი **სერბი** და **ხორვატი** ცხოვრობდა და ამიტომ ავსტრია-უნგრეთის მიერ მათი ოკუპაცია სერბიის მიმართ ძალის დემონსტრაციის გამოვლინება იქნებოდა. სერბიას ბოსნიასა და ჰერცეგოვინაზე თვალი რომ ეჭირა და ავსტრია-უნგრეთისა და თურქეთის შემადგენლობაში მყოფი სამხრეთ სლავების გაერთიანების პრეტენზია ჰქონდა, ეს საყოველთაოდ იყო ცნობილი.

რუსეთმა გადაწყვიტა, ავსტრია-უნგრეთის მისწრაფება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ა. იზვოლსკი ვარაუდობდა, რომ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დათმობის სანაცვლოდ ავსტრია-უნგრეთისათვის სამაგიერო დათმობები მოეთხოვა. 1908 წლის 2-3 სექტემბერს **ბუჰლაუში** (ავსტრია) ერთმანეთს შეხვდნენ ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. **ერენტალი** და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. **იზვოლსკი**. მინისტრებმა მიაღწიეს ზეპირ შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ თუ რუსეთი ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსიას ცნობდა, სანაცვლოდ ავსტრია-უნგრეთს მხარი უნდა დაეჭირა იმაში, რომ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები გახსნილიყო რუსეთისა და სხვა შავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო გემე-

ბისათვის. თუ როდის უნდა გამოცხადებულიყო ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსია და შავი ზღვის სრუტეების გახსნა, ბუჰლაუში მინისტრები არ შეთანხმებულან.

ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრის შემდეგ ა. იზვოლსკი ევროპის ქვეყნებში გაეგზავრა. გერმანია და იტალია ზოგადად დაეთანხმნენ შავი ზღვის სრუტეების გახსნას, მაგრამ მოითხოვეს კომპენსაცია. საფრანგეთმა ინგლისთან შეთანხმებამდე თავისი პოზიცია არ გამოხატა. რაც შეეხება ინგლისს, მისი პოზიცია აშკარად უარყოფითი იყო. ინგლისი მიესალმა „ახალგაზრდა თურქების" მოსვლას ხელისუფლების სათავეში და ცდილობდა თურქეთთან კარგი ურთიერთობის დამყარებას. ასეთ შემთხვევაში ინგლისი, ცხადია, მხარს არ დაუჭერდა შავი ზღვის სრუტეების გახსნას, რადგან ამას აუცილებლად მოჰყვებოდა ინგლის-თურქეთის ურთიერთობის დაძაბვა. ინგლისში ა. იზვოლსკის ურჩიეს, სრუტეების გახსნის საკითხი წინასწარ შეეთანხმებინა თურქეთთან, რაც გამორიცხული იყო. ამავე დროს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მიანიშნეს, რომ თუ ინგლისი შავი ზღვის სრუტეების გახსნას დაეთანხმებოდა, მაშინ დაისმებოდა სრუტეების არა მხოლოდ შავიზღვისპირა ქვეყნებისათვის, არამედ ყველა ქვეყნისათვის გახსნის საკითხი.

ინგლისში ვიზიტის შემდეგ ალექსანდრე იზვოლსკის ავტორიტეტი შეირყა. ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრაზე განსახილველი საკითხების შესახებ ა. იზვოლსკის არ უცნობებია მინისტრთა საბჭოსათვის. ამისი ფორმალური უფლება საგარეო საქმეთა მინისტრს ჰქონდა, რადგან იგი უშუალოდ იმპერატორს ემორჩილებოდა, მაგრამ როგორც კი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **პეტრე სტოლიპინმა** ბუჰლაუში ა. იზვოლსკისა და ა. ერენტალის შეხვედრის შესახებ შეიტყო, მან აშკარად დაგმო ა. იზვოლსკის მოქმედება.

რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის გარიგება ლაბავდა რუსეთის ავტორიტეტს ბალკანეთის სლავი ხალხების თვალში. რუსეთს შეიძლებოდა საერთოდ დაეკარგა დასაყრდენი ბალკანეთში. თვით რუსი საზოგადოება უარყოფითად შეხვდებოდა სლავი ხალხების ინტერესების ღალატს. ოქტიაბრისტების, კადეტების, პროგრესისტებისა და სხვა პარტიების წარმომადგენლებს სათათბიროში ხელისუფლების კრიტიკისათვის კარგი საბაბი მიეცემოდათ.

პეტრე სტოლიპინმა შექმნილი ვითარებიდან ასეთი გამოსავალი იპოვა. **რუსეთს არ უნდა ეცნო ავსტრია-უნგრეთის მიერ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსია, თუ ანექსია მაინც განხორციელდებოდა, მას მოჰყვებოდა დიდი უკმაყოფილება ბალკანეთის ხალხებსა და თურქებში. ასეთ ვითარებაში რუსეთს შანსი უჩნდებოდა, თავის გარშემო შეეკავშირებინა ბალკანეთის სლავები. ამავე დროს რუსეთს შეეძლო გაეუმჯობესებინა ურთიერთობა თურქეთთან და შავი ზღვის სრუტეების გახსნის შესახებ დაეწყო მოლაპარაკება.** პ. სტოლიპინის პოლიტიკა კარგად იყო გათვლილი, თუმცა მას სერიოზული ნაკლიც ჰქონდა. რუსეთისათვის ძნელი იყო ერთმანეთთან მუდმივად დაპირისპირებულ თურქეთთან და ბალკანეთის სლავებთან ერთდროულად კარგი ურთიერთობის დამყარება. ავსტრია-უნგრეთთან ურთიერთობის დაძაბვა კი დიდ სირთულეებს შეუქმნიდა რუსეთს.

პ. სტოლიპინმა შეძლო მინისტრთა საბჭოს უმრავლესობის მიმხრობა, თუმცა ა. იზვოლსკი პოზიციას არ იცვლიდა. ნიკოლოზ II ეთანხმებოდა პ. სტოლიპინს და იმავდროულად ა. იზვოლსკის უფლებას აძლევდა, რუსეთ-ავსტრია-უნგრეთის შეთანხმების რეალიზაციისათვის ბრძოლა გაეგრძელებინა.

რუსეთის მმართველ წრეებში არსებული გაურკვევლობით ისარგებლა ავსტრია-უნგრეთმა. ავსტრია-უნგრეთს სურდა ბალკანეთში **სტატუს-ქვოს** დარღვევა მას არ დაბრალებოდა. ა. ერენტალმა ბულგარეთის მთავარი **ფერდინანდი** დაითანხმა და ბულგარეთმა სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ბულგარეთი თურქეთის ვასალად ითვლებოდა და მისი დამოუკიდებლობის გამოცხადებით ბალკანეთში **სტატუს-ქვო** დაირღვა. მეორე დღესვე, 1908 წლის 24 სექტემბერს ავსტრია-უნგრეთმა **ბოსნიისა** და **ჰერცეგოვინას** ანექსია მოახდინა.

ალექსანდრე იზვოლსკი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. **ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ერენტალმა საჯაროდ განაცხადა, რომ ბუჰლაუში შეხვედრისას მან ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსიის საკითხი ა. იზვოლსკისთან შეათანხმა.** ა. იზვოლსკი შეეცადა პრესის საშუალებით თავის მართლებას, თან ანექსიის ცნობა-არცნობის თაობაზე საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა მოითხოვა. კონფერენციის მოწვევაზე ინგლისმა და საფრანგეთმა თანხმობა განაცხადეს, მაგრამ ავსტრია-უნგრეთი და გერმანია წინააღმდეგ გამოვიდნენ. ა. იზვოლსკი მარცხს მარცხზე განიცდიდა.

ასეთ მძიმე ვითარებაში 1908 წლის ოქტომბრის დასასრულს პეტრე სტოლიპინმა ნიკოლოზ II დაითანხმა ბალკანეთში რუსეთის პოლიტიკის საკითხი მინისტრთა საბჭოს სხდომაზე განეხილათ. მინისტრთა საბჭომ მოიწონა პ. სტოლიპინის გეგმა და ამდენად, ა. იზვოლსკის პოლიტიკური კურსი ოფიციალურად დაგმეს. **გადაწყდა, რომ რუსეთს თავი უნდა შეეკავებინა ავსტრია-უნგრეთის მიერ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსიის ცნობისაგან, რაიმე მოლაპარაკება არ ეწარმოებინა ავსტრია-უნგრეთთან და კურსი აეღო თურქეთთან, სერბიასა და ჩერნოგორიასთან დაახლოებისაკენ.** პ. სტოლიპინის შემუშავებულ საგარეო პოლიტიკურ კურსს განხორციელება არ ეწერა. 1909 წლის დამდეგისათვის ახალგაზრდა თურქთა მთავრობაში სერიოზული ცვლილებები მოხდა. მთავრობის ახალმა შემადგენლობამ საგარეო პოლიტიკური კურსი შეცვალა და თურქეთის სტრატეგიულ მოკავშირედ გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ბლოკი აღიარა. თურქეთის ახალმა მთავრობამ შეწყვიტა რუსეთთან მოლაპარაკება. მალე თურქეთმა ფულადი კომპენსაციის სანაცვლოდ ცნო ავსტრია-უნგრეთის მიერ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსია.

თურქეთთან ურთიერთობის მოგვარების შემდეგ ავსტრია-უნგრეთმა სერბიასა და ჩერნოგორიას ომის მუქარით მოსთხოვა უსიტყვოდ ეცნო ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსია. გერმანიამ აშკარად დაუჭირა მხარი ავსტრია-უნგრეთს. რუსეთმა სცადა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ ინგლისისა და საფრანგეთის მიმხრობა, მაგრამ უარი მიიღო. ინგლისი და საფრანგეთი რუსეთს დათმობას ურჩევდნენ.

1909 წლის 8 მარტს გერმანიამ რუსეთს ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვა ავსტრია-უნგრეთის მიერ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ცნობა. გერმანიამ ასევე მოითხოვა, რომ რუსეთს სერბია აეძულებინა ეცნო ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსია. წინააღმდეგ შემთხვევაში ავსტრია-უნგრეთი სერბიასთან ომს დაიწყებდა. გერმანიის ულტიმატუმის მიღება დიდი და სამარცხვინო დიპლომატიური მარცხი იქნებოდა, ანუ როგორც თანამედროვენი აღნიშნავდნენ, ეს იქნებოდა „დიპლომატიური ცუსიმა“. რუსეთს გამოსავალი არ ჰქონდა — გერმანიის ულტიმატუმი უნდა მიეღო. ყველა პოლიტიკური ძალა აღიარებდა: **რუსეთისათვის ომი ძალზე საშიში იყო, ომის გარეშე კი რუსეთი სერბიას ვერ დაიცავდა.** რუსეთმა გერმანიის ულტიმატუმი მიიღო. რუსეთმა და სერბიამ ცნეს ავსტრია-უნგრეთის მიერ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსია.

4. პოტსდამის შეთანხმება (1911 წ.). ბოსნიის კრიზისის შემდეგ ალექსანდრე იზვოლსკის გადადგომა გარდუვალი იყო. რუსეთის პოლიტიკური წრეებისათვის სავსებით ცხადი გახდა ბოსნიის კრიზისიდან გამომდინარე დასკვნა: **ინგლისისა და საფრანგეთის იმედად ყოფნა საზიფათო იყო.** კრიზისმა ისიც აჩვენა, რომ გერმანია და ავსტრია-უნგრეთი კვლავაც არ მოერიდებოდნენ სამხედრო ძლიერების დემონსტრირებას. მიუხედავად ამისა, **პეტრე სტოლიპინმა მინისტრებისა და სახელმწიფო სათათბიროს უმრავლესობის მიმხრობა შეძლო და წინ აღუდგა გერმანია-ავსტრია-უნგრეთ-რუსეთის კავშირის აღდგენის მომხრეებს.** პ. სტოლიპინის რჩევით ნიკოლოზ II-მ 1910 წელს ახალ საგარეო საქმეთა მინისტრად **სერგეი საზონოვი** დანიშნა. ს. საზონოვი ანტანტის გაძლიერებისა და მისი სამხედრო-პოლიტიკურ კავშირად გარდაქმნის მომხრე იყო. ამავე დროს იგი ერიდებოდა გერმანიასთან და ავსტრია-უნგრეთთან ურთიერთობის გამწვავებას. 1911 წელს მაროკოში გაბატონებისათვის საფრანგეთი და გერმანია კვლავ მწვავედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. რუსეთმა ყოველი ღონე იხმარა კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისათვის. 1910 წელს რუსეთმა და ავსტრია-უნგრეთმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას ბალკანეთის ნახევარკუნძულზე სტატუს-ქვოს შენარჩუნების შესახებ.

პეტრე სტოლიპინი და სერგეი საზონოვი ცდილობდნენ გერმანიასთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნებას. თავის დროზე გერმანიამ თურქეთის მთავრობისაგან **ბაღდადის რკინიგზის** მშენებლობის კონცესია მიიღო და რკინიგზის ხაზიც ააშენა. ამჯერად გერმანია ცდილობდა ხელთ ეგდო ბაღდადის რკინიგზის **თეირანთან** დამაკავშირებელი ხაზის მშენებლობის კონცესია. ეს კი ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ინტერესებს. **თეირანის რკინიგზას შეეძლო მომავალში საფრთხე შეექმნა რუსეთისათვის — რკინიგზით ირანში შემოზიდული საქონელი კონკურენციას გაუწევდა რუსულ საქონელს.** გარდა ამისა, ირანში ფეხის მოკიდების შემდეგ შეიძლებოდა გერმანია ქვეყნის საშინაო საქმეებშიც ჩარეულიყო.

რუსეთისა და გერმანიის მოლაპარაკებების დაწყება საგანგებოდ დაამთხვიეს 1910 წლის ნოემბერში პოტსდამში (გერმანია) **ვილჰელმ II-ის**

და ნიკოლოზ II-ის შეხვედრას. ს. საზონოვი ვარაუდობდა თავი შეეკავებინა ზოგადი ხასიათის ხელშეკრულების დადებისაგან და მოლაპარაკება გაემართა კონკრეტულად ირანის თაობაზე. გერმანიის კანცლერი თ. ბეტმან-ჰოლვეგი კი პირიქით — საერთოპოლიტიკური ხელშეკრულების დადებისათვის ემზადებოდა. გერმანიის დიპლომატიის აზრით, ასეთ ხელშეკრულებას სერიოზულად უნდა შეერყია საფუძველი ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის თანამშრომლობისათვის. გერმანიას სურდა მიეღო იმის გარანტია, რომ რუსეთი მხარს აღარ დაუჭერდა ინგლისის ანტიგერმანულ პოლიტიკას. სამაგიეროდ, გერმანია რუსეთს პირდებოდა, რომ ავსტრია-უნგრეთი თავს შეიკავებდა ბალკანეთში აგრესიისაგან.

პოტსდამში 1910 წლის ნოემბერში დაწყებული მოლაპარაკებები 1911 წლის შუა ხანებამდე გრძელდებოდა. ს. საზონოვმა იმ საბაბით, რომ იმპერატორებმა უკვე აღუთქვეს ერთმანეთს მტრული მოქმედებებისაგან თავის შეკავება, თავიდან აიცილა ზოგადპოლიტიკური ხელშეკრულების დადება. ამის შემდეგ მთელი ყურადღება ირანის საკითხზე იქნა გადატანილი. 1911 წლის აგვისტოში გერმანია-რუსეთის მოლაპარაკებები პოტსდამის შეთანხმებით დამთავრდა, თუმცა ამ შეთანხმების ტექსტზე ხელი პეტერბურგში მოაწერეს. გერმანიაცა და რუსეთიც დათმობებზე წავიდნენ. **გერმანიამ დაადასტურა, რომ ირანში მას მხოლოდ კომერციული ინტერესები ჰქონდა. ამასთან ერთად, გერმანიას ირანის იმ ნაწილში, რომელიც რუსეთის გავლენის სფეროდ ითვლებოდა, არ უნდა ეცადა კონცესიების მიღება. რუსეთმა ვალდებულება იკისრა, ხელი არ შეეშალა ბაღდადის რკინიგზის მშენებლობისათვის, ხოლო თეირანის ხაზის მშენებლობაში თავადაც მიიღებდა მონაწილეობას.** გერმანიას თეირანის ხაზი ირან-თურქეთის საზღვრამდე უნდა მიეყვანა, ხოლო რუსეთს ირან-თურქეთის საზღვრიდან თეირანამდე.

პოტსდამის შეთანხმება კომპრომისული ხასიათისა იყო. რუსეთმა ისე მიაღწია გერმანიასთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, რომ არ გაუუარესებია ურთიერთობა ინგლისთან და საფრანგეთთან.

გერმანიასთან ურთიერთობის მოგვარებამ რუსეთს საშუალება მისცა, მიეღო ზომები ირანის რევოლუციის ჩასახშობად. 1911 წლის ბოლოს რუსეთის ჯარებმა ჩრდილოეთ ირანი დაიკავეს. ირანის სამხრეთში ინგლისის ჯარები იდგა. მალე ირანში ინგლისისა და რუსეთისათვის სასურველი მთავრობა შეიქმნა.

5. ბალკანეთი და შავი ზღვის სრუტეები რუსეთის საგარეო პოლიტიკაში (1911-1914 წწ.). 1911 წელს იტალიის თავდასხმით თურქეთზე კვლავ გამწვავდა აღმოსავლეთის საკითხი. ამჯერად აღმოსავლეთის საკითხის გამწვავებას ბალკანეთის ომი მოჰყვა.

ა) ბალკანეთის პირველი ომი (1912-1913 წწ.). რუსეთში გადაწყვიტეს ესარგებლად თურქეთის მძიმე მდგომარეობით და კვლავ ეცადათ შავი ზღვის სრუტეების რეჟიმის შეცვლა. ამ დროისათვის ს. საზონოვის ავადმყოფობის გამო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სათავეში ედგა ა. **ნერატოვი**, ხოლო რუსეთის ელჩი თურქეთში **ნ. ჩარიკოვი** იყო. ნ. ჩარიკოვმა თურქეთის მთავრობას გადასცა ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის სამხედრო გემებისათვის ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების გახსნას. სანაცვლოდ რუსეთი ვალდებულებას იღებდა დაეცვა სრუტეები და მისი მიმდებარე ტერიტორიები. გარდა ამისა, რუსეთი თურქეთს აღუთქვამდა სრულ თავისუფლებას კავკასიაში, სადაც რუსეთის საზღვრის მიმართულებით თურქეთს რკინიგზის ხაზის მშენებლობა წამოეწყო. იმავდროულად რუსეთმა დიდ სახელმწიფოებს მიმართა შავი ზღვის სრუტეების რეჟიმის შეცვლის თაობაზე, მაგრამ ამჯერადაც უარი მიიღო. ბოსფორის სრუტის რაიონში რუსეთის მოსალოდნელ გაბატონებას განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიდნენ გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და ინგლისი. ამ ქვეყნებმა თურქეთის მთავრობას საიდუმლოდ აცნობეს, რომ რუსეთს სრუტეების რეჟიმის შეცვლის უფლებას არ მისცემდნენ.

1911 წლის დეკემბერში **სერგეი საზონოვი** ისევ შეუდგა საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შესრულებას. ს. საზონოვმა თურქეთის მთავრობისაგან უკან გამოითხოვა ნ. ჩარიკოვის მიერ შემუშავებული რუსეთ-თურქეთის შეთანხმების პროექტი. იმავდროულად გაკეთებულ სპეციალურ განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ნ. ჩარიკოვს თავის მიერ შედგენილი შეთანხმების პროექტი არ გაუცვნია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატისათვის.

სერგეი საზონოვმა კურსი თურქეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე აიღო, თუმცა იმავდროულად რუსეთი არ კარგავდა ბალკანეთის ქვეყნების გაერთიანების იმედსაც. ფაქტობრივად, ხორცი უნდა შესხმოდა პეტრე სტოლიპინის მიერ ბოსნიის კრიზისის პერიოდში (1908-1909 წწ.) შემუშავებულ გეგმას — **ბალკანეთის ქვეყნებისა და თურქეთის გაერთიანებას და შავი ზღვის სრუტეების რაიონში**

ავსტრია-უნგრეთისათვის წინააღმდეგობის გაწევას. 1912 წლის მარტში რუსეთის დიპლომატიის აქტიური მონაწილეობით სერბიასა და ბულგარეთს შორის დაიდო ჯერ საიდუმლო სამოკავშირეო ხელშეკრულება, ხოლო შემდეგ — სამხედრო კონვენცია. სერბიამ და ბულგარეთმა ვალდებულება იკისრეს ერთობლივი ძალით ემოქმედათ, თუკი რომელიმე ქვეყანა ბალკანეთის საქმეებში ჩაერეოდა. ეს შეთანხმება პირველ რიგში ავსტრია-უნგრეთს ეხებოდა. **სერბია და ბულგარეთი ასევე შეთანხმდნენ, რომ თურქეთთან კონფლიქტის შემთხვევაში საომარი მოქმედებები რუსეთთან შეთანხმების გარეშე არ დაწყოთ.** მხარეებმა ასევე მოილაპარაკეს ბალკანეთის ნახევარკუნძულის მოსალოდნელი გადანაწილების თაობაზე. მათ შორის სადავო მაკედონიის ტერიტორიის საკითხი რუსეთის შუამავლობით უნდა გადაწყვეტილიყო. სერბია-ბულგარეთის კავშირს მალე საბერძნეთიც შეუერთდა. ეს რუსეთის დიპლომატიის სერიოზული წარმატება იყო, თუმცა ბალკანეთის კავშირის (სერბია, ბულგარეთი, საბერძნეთი) თურქეთთან დაახლოება შეუძლებელი გახდა.

იტალიასთან ომით გამოწვეული სირთულეები ოპოზიციამ კარგად გამოიყენა და ახალგაზრდა თურქთა მთავრობა დაამხეს. თურქეთის საშინაო და საგარეო გართულებები ნიშანი გახდა ბალკანეთში თურქეთის წინააღმდეგ აჯანყების დაწყებისა. ტრადიციულად, თურქეთმა აჯანყებას დამსჯელი ექსპედიციების გაგზავნით უპასუხა. ბალკანეთის ქვეყნებმა შექმნილი ვითარება თურქეთის ბატონობისაგან სრული გათავისუფლებისათვის ხელსაყრელად მიიჩნიეს.

რუსეთში მიიჩნევდნენ, რომ ომი ბალკანეთში დიდ საერთაშორისო გართულებებს გამოიწვევდა. **რუსეთის დიპლომატია ცდილობდა, თურქეთი ბალკანეთის ხალხებისათვის ფართო ავტონომიის მიცემაზე დაეყოლიებინა, მაგრამ უშედეგოდ. მაშინ ს. საზონოვმა სცადა, თურქეთზე გავლენის მოსახდენად დიდი სახელმწიფოები ერთობლივად აემოქმედებინა, მაგრამ ეს მცდელობა უკვე დაგვიანებული აღმოჩნდა.** სანამ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ევროპის ქვეყნების დედაქალაქებში მოლაპარაკებებს აწარმოებდა, 1912 წლის 27 სექტემბერს **თურქეთსა** და **ჩერნოგორიას** შორის საომარი მოქმედებები დაიწყო. ჩერნოგორია ფორმალურად ბალკანეთის კავშირის წევრი არ იყო, მაგრამ ფაქტობრივად ამ კავშირს ემხრობოდა. ათი დღის შემდეგ, რუსეთის მრავალგზის გაფრთხილების მიუხედავად, თურქეთს ომი გამოუცხადა ბალკანეთის კავშირმა — სერბიამ, ბულგარეთმა და საბერძნეთმა. ასე დაიწყო **ბალკანეთის პირველი ომი.**

ერთი თვის განმავლობაში თურქეთის არმია განადგურდა. სერბების არმია **ადრიატიკის ზღვის** სანაპიროზე გავიდა, ხოლო ბულგარეთისა 45 კილომეტრზე მიუახლოვდა **სტამბოლს.** ამის შემდეგ საომარი მოქმედებები შეწყდა და მოლაპარაკებებიც დაიწყო. 1913 წლის იანვარში თურქეთში ძალაუფლება კვლავ ახალგაზრდა თურქებმა იგდეს ხელთ. მათი უპირველესი მოთხოვნა ომის გაგრძელება იყო. საბერძნეთისა და ბულგარეთის ჯარებმა თურქეთის ჯარებს რამდენიმე დამარცხება მიაყენეს, თუმცა სტამბოლის მიმართულებით წინ ვერ წაიწიეს. 1913 წლის აპრილში ისევ განახლდა მოლაპარაკებები.

მოლაპარაკებების დაწყებას რუსეთში სიხარულით შეხვდნენ. ბალკანეთის კავშირის ჯარების გაჭრა სტამბოლისაკენ აუცილებლად გამოიწვევდა შავი ზღვის სრუტეების რაიონში დიდი სახელმწიფოების ინტერვენციას, რასაც შეიძლებოდა დიდი ომი მოჰყოლოდა.

1913 წლის მაისში **ლონდონში** დიდი სახელმწიფოების შუამავლობით თურქეთმა და ბალკანეთის ქვეყნებმა საზავო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. **თურქეთმა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე თითქმის სტამბოლამდე დათმო მთელი თავისი სამფლობელოები, ასევე დათმო კუნძული კრეტა და ეგეოსის კუნძულები. თურქეთმა ამავე დროს ცნო 1912 წელს ანტითურქული აჯანყების შედეგად შექმნილი ალბანეთის სახელმწიფო.**

ლონდონის საზავო მოლაპარაკებაზე არ გარკვეულა გამარჯვებულ ქვეყნებს შორის ბალკანეთის ნახევარკუნძულის ტერიტორიის გამიჯვნის საკითხი. დავა ბალკანეთის ტერიტორიის გადანაწილებაზე ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე დაიწყო. დაძაბულობას აძლიერებდა ტერიტორიის გადანაწილების საქმეში დიდი სახელმწიფოების ჩარევა, რომლებიც აქტიურად ცდილობდნენ თავიანთი ინტერესების დაცვას. როგორც კი სერბიის არმიამ ადრიატიკის ზღვის სანაპირო ტერიტორიის დაკავება დაიწყო, ავსტრია-უნგრეთმა ამ ტერიტორიის ალბანეთისათვის გადაცემა მოითხოვა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ალბანეთის მთავრობა ავსტრია-უნგრეთზე იყო ორიენტირებული. ავსტრია-უნგრეთის მოთხოვნას მხარს უჭერდა გერმანია. **სერბიისათვის ადრიატიკის ზღვის სანაპიროს ჩამორთმევა რუსეთის აშკარა გამოწვევას ნიშნავდა.** ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის შესაძლო დიპლომატიური და სამხედრო ქმედებების საპასუხო ღონისძიებების გეგმის შემუშავებას მიეძღვნა რუსეთის მინისტრთა საბ-

ჭოს სხდომები. სამხედროები არმიის მობილიზაციის გამოცხადებას მოითხოვდნენ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. **კოკოვცევი** და საგარეო საქმეთა მინისტრი ს. **საზონოვი**. მობილიზაციის სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ და თავის მოსაზრებას არმიისა და სამხედრო ფლოტის სუსტი მომზადებითა და მოკავშირეების (ინგლისისა და საფრანგეთის) პოზიციის გაურკვევლობით ხსნიდნენ.

რუსეთის დიპლომატიამ შეძლო სერბიის მთავრობის დაყოლიება. სერბია თანახმა იყო დაეთმო ადრიატიკის ზღვის სანაპირო, თუკი იგი ამ ტერიტორიაზე ტვირთის უბაჟო გადატანით ისარგებლებდა. რუსეთი ასევე დაეთანხმა ავსტრია-უნგრეთის მოთხოვნას ქალაქ **სკუტარის** (ჩერნოგორია) ალბანეთისათვის გადაცემის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ქ. სკუტარის ალბანეთისათვის გადაცემა შეთანხმებული იყო დიდ სახელმწიფოებთან, ჩერნოგორიის მეფე **ნიკოლა** არ დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას. ავსტრია-უნგრეთს ჩერნოგორიის წინააღმდეგ ომის საბაბი ეძლეოდა. ბოლოს და ბოლოს ს. საზონოვმა შეძლო ჩერნოგორიის მეფის დაყოლიება — ფულადი კომპენსაციის ნაცვლად ქალაქი სკუტარი ალბანეთს გადაეცა.

ბ) ბალკანეთის მეორე ომი (1913 წ.). მას შემდეგ, რაც თურქეთის სახით საერთო მტერი აღარ არსებობდა, ბალკანეთის კავშირის ქვეყნები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. დაპირისპირების საგნად იქცა **მაკედონია**. ბულგარეთი მოითხოვდა საბერძნეთის ჯარების გაყვანას **სალონიკიდან** და **ეგეოსის** სანაპიროდან. სერბია პრეტენზიას აცხადებდა **მაკედონიის** ტერიტორიის ნაწილზე, ხოლო რუმინეთი ბულგარეთისაგან ითხოვდა **სამხრეთ დობრუჯას**. ბალკანეთის ქვეყნების დაპირისპირებით ისარგებლა ავსტრია-უნგრეთმა, რომელმაც ბულგარეთის მეფე **ფერდინანდს** სერბიის წინააღმდეგ ომში დახმარება აღუთქვა. ასეთ ვითარებაში **რუსეთის დიპლომატია ბალკანეთის კავშირის შენარჩუნებას ცდილობდა**. რუსეთი გამოვიდა პეტერბურგში სერბიის, ბულგარეთის, ჩერნოგორიისა და საბერძნეთის პრემიერების შეხვედრის მოწყობის ინიციატივით. რუსეთი ცდილობდა ბალკანეთის კონფლიქტში რუმინეთის ჩარევის თავიდან აცილების მიზნით ნაწილობრივ მაინც დაკმაყოფილებულიყო მისი ტერიტორიული პრეტენზიები ბულგარეთის მიმართ.

რუსეთის დიპლომატიის მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. 1913 წლის 17 ივნისს ავსტრია-უნგრეთის მხარდაჭერით დაიმედებულმა ბულგარეთმა საბრძოლო მოქმედებები დაიწყო მაკედონიაში განლაგებული **სერბიისა** და **საბერძნეთის** ჯარების წინააღმდეგ. ასე დაიწყო **ბალკანეთის მეორე ომი**. მალე სერბიისა და საბერძნეთის ჯარები კონტრშეტევაზე გადავიდნენ. ავსტრია-უნგრეთმა ბულგარეთს დაპირებული დახმარება არ აღმოუჩინა, რადგან გერმანია ავსტრია-უნგრეთს სერბიასთან ომში ჩაბმას არ ურჩევდა. **გერმანიის დიპლომატია თვლიდა, რომ ბალკანეთის მეორე ომის დაწყებით უმთავრესი მიზანი მიღწეული იყო — ბალკანეთის კავშირი დაიშალა**.

ბულგარეთი იზოლაციაში აღმოჩნდა. ამით ისარგებლეს თურქეთმა და რუმინეთმა და ომი დაიწყეს ბულგარეთის წინააღმდეგ. 1913 წლის 9 ივლისს ბულგარეთის მეფე **ფერდინანდმა** კაპიტულაცია გამოაცხადა და თხოვნით მიმართა რუსეთს, შუამავლის როლი შეესრულებინა მოლაპარაკებაში. 1913 წლის ივლისში მიმდინარე საზავო მოლაპარაკებაზე ბულგარეთი იძულებული გახდა **სამხრეთ დობრუჯა** რუმინეთისათვის დაეთმო. სერბიამ და საბერძნეთმა გაიყვეს **მაკედონია**. ამავე დროს ბულგარეთი ითხოვდა **ადრიანოპოლის (ედირნეს)** დაბრუნებას, რომელიც თურქეთის ჯარებს ჰქონდათ დაკავებული. რუსეთი ბულგარეთს უჭერდა მხარს, მაგრამ მის წინააღმდეგ გამოვიდნენ დიდი სახელმწიფოები. 1913 წლის 29 ივლისს ხელშეკრულებით **ადრიანოპოლი** თურქეთს გადაეცა.

ბალკანეთის მეორე ომის დასრულების შემდეგ გერმანია შეეცადა თურქეთში პოზიციების გაძლიერებას. 1913 წლის ნოემბერში დაიდო **გერმანია-თურქეთის** შეთანხმება, რომლის ძალითაც თურქეთში უნდა გაგზავნილიყო გერმანიის სამხედრო მისია. მალე რამდენიმე ათეული გერმანელი ოფიცერი თურქეთის სამხედრო სამინისტროსა და გენერალურ შტაბში მაღალ თანამდებობებზე დაინიშნენ. გერმანიის სამხედრო მისიის მეთაური გენერალი ო. **ლიმან ფონ სანდერსი** გახდა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების რაიონში განლაგებული თურქეთის არმიის კორპუსის სარდალი. რუსეთის დიპლომატიის დაწოლის შედეგად თურქეთის მთავრობამ გენერალი ო. ლიმან ფონ სანდერსი სხვა თანამდებობაზე გადაიყვანა, მაგრამ ეს საქმის ვითარებას ვერ ცვლიდა — **გერმანია-თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა წარმატებით ვითარდებოდა**.

თავი V. რუსეთი პირველ მსოფლიო ომში (1914 წლის ივლისი – 1917 წლის თებერვალი)

პირველი მსოფლიო ომი (1914-1918 წწ.) საბედისწერო აღმოჩნდა რუსეთის იმპერიისათვის. ომის უშუალო შედეგი იყო 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუცია და მონარქიის აღსასრული რუსეთში.

§ 1. **რუსეთის ჩაბმა პირველ მსოფლიო ომში.**

1. **ანტანტის გაძლიერება.** გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის აშკარა დაპირისპირება რუსეთთან, კონკრეტულად აღმოსავლეთის საკითხში, ხოლო ზოგადად – მთელ საერთაშორისო ურთიერთობებში, რუსეთის დიპლომატიას ინგლისთან და საფრანგეთთან მჭიდრო თანამშრომლობისაკენ უბიძგებდა. 1912-1913 წლებში რუსეთმა საფრანგეთთან სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავების გეზი აიღო. ორ ქვეყანას შორის დაიდო კონვენცია სამხედრო-საზღვაო ძალების თანამშრომლობის შესახებ. ხოლო გენერალური შტაბების უფროსებმა მიიღეს გადაწყვეტილება გერმანიის წინააღმდეგ ჯარების გამიზნული რაოდენობის გაზრდისა და სამობილიზაციო დროის შემჭიდროვების შესახებ. რუსეთმა საფრანგეთისაგან მიიღო კრედიტი სტრატეგიული მნიშვნელობის რკინიგზების მშენებლობისათვის. უფრო რთულად ვითარდებოდა რუსეთ-ინგლისის ურთიერთობა. ცხადია, ინგლისს სურდა რუსეთის ძალებით მისი უმთავრესი კონკურენტის – გერმანიის განადგურება, მაგრამ რუსეთის წინაშე რაიმე კონკრეტული ვალდებულებების აღებას არ აპირებდა. ინგლისის დიპლომატია განუხრელად იცავდა პრინციპს: **ინგლისი ომში ჩარევის შესახებ გადაწყვეტილებას მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მიიღებდა და არა მოკავშირის თხოვნით.** აქედან გამომდინარე, ინგლისი მონაწილეობდა გერმანიის წინააღმდეგ ერთობლივი საომარი მოქმედებების გეგმის შემუშავებაში, მაგრამ რუსეთისა და საფრანგეთის წინაშე ფორმალურ ვალდებულებებს არ იღებდა. ინგლის-რუსეთის ურთიერთობა იმანაც გაართულა, რომ ინგლისმა კვლავ დასვა საკითხი ირანში ინტერესთა გამიჯვნის შესახებ. ინგლისი ითხოვდა ირანში ე.წ. **„ნეიტრალური ზონის“** ხარჯზე საკუთარი გავლენის სფეროს გაზრდას, ე.ი. ირანის გავლენის სფეროებად დაყოფის შესახებ 1907 წლის შეთანხმების გადასინჯვას.

1913 წლის ბოლოსა და 1914 წლის დამდეგს რუსეთის საგარეო-პოლიტიკური სტრატეგია იხილებოდა მინისტრების საგანგებო თათბირებზე დიპლომატებისა და სამხედროების მონაწილეობით. საგარეო საქმეთა მინისტრი **სერგეი საზონოვი** ითხოვდა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მიმართ მტკიცე პოლიტიკის გატარებას. იგი ირწმუნებოდა, რომ დათმობებით გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ბლოკის შეჩერება შეუძლებელი იქნებოდა. გარდა ამისა, სისტემატური დათმობები რუსეთს ავტორიტეტს ულახავდა ინგლისისა და საფრანგეთის თვალში. **ნიკოლოზ** II სავსებით იზიარებდა **ს. საზონოვის** შეხედულებას. **ნ. კოკოვცევს** მიუღებლად მიაჩნდა ს. საზონოვის პოლიტიკური კურსი. 1914 წლის იანვარში ნიკოლოზ II-მ ნ. კოკოვცევი გაათავისუფლა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მიმართ მკაცრი პოლიტიკის გატარების მომხრეებსაც კარგად ესმოდათ, რომ რუსეთი მზად არ იყო ომისათვის. სწორედ ამიტომ მინისტრების საგანგებო თათბირზე გადაწყდა, რომ რუსეთს კონფლიქტის გამოწვევისაგან თავი შეეკავებინა. სამხედრო მინისტრი **ვ. სუხომლინოვი**, საზღვაო მინისტრი **ი. გრიგოროვიჩი** და გენერალური შტაბის უფროსი **ი. ჟილინსკი** გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის დამარცხებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევდნენ შესაძლებლად, თუ რუსეთის მხარეზე ომში ჩაებმებოდა ინგლისი და საფრანგეთი. ომის წინა პერიოდისათვის რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგია ასე განისაზღვრა: **არმიისა და ფლოტის გადაარაღების დასრულება და ინგლის-საფრანგეთის კავშირის განმტკიცება.**

სერგეი საზონოვი ცდილობდა რუსეთ-საფრანგეთ-ინგლისის სამხედრო-პოლიტიკური კავშირისათვის საყოველთაო ხასიათი მიეცა, თუმცა ინგლისის პოზიციის გამო თანახმა იყო რუსეთ-ინგლისის სამხედრო-საზღვაო შეთანხმება ცალკე დაედო. 1914 წლის აგვისტოსათვის ასეთი შეთანხმების პროექტი უკვე მზად იყო. შეთანხმებას უნდა მოეხდინა ზღვაზე ინგლის-რუსეთის სამხედრო ფლოტის ერთობლივი მოქმედების კოორდინირება გერმანიის წინააღმდეგ. ინგლისის მოთხოვნით შეთანხმების პროექტში აღნიშნული იყო, რომ მხარეები ომში ჩაბმის საკითხის გადაწყვეტისას აბსოლუტურ თავისუფლებას ინარჩუნებდნენ.

ანტანტის მოწინააღმდეგეებს რუსეთის მინისტრებს შორის სერიოზული მხარდამჭერები

არ ჰყავდა. ამიტომ იყო, რომ ისინი მომხრეებს სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს მემარჯვენე ძალებში ეძებდნენ. 1914 წლის თებერვალში სახელმწიფო საბჭოს მემარჯვენეთა ლიდერმა ნ. **დურნოვომ** მოხსენებითი ბარათი მიართვა ნიკოლოზ II-ს, რომელშიც აღნიშნავდა, რომ **რუსეთ-გერმანიის წინააღმდეგობა გაცილებით სუსტი იყო, ვიდრე** რუსეთ-ინგლისისა. ნ. **დურნოვო ასკვნიდა: „ომი რუსეთსა და გერმანიას შორის ორივე მხრისათვის უაღრესად არასასურველია", ხოლო თუ ომი მაინც დაიწყებოდა, მას აუცილებლად რევოლუცია მოჰყვებოდა.** ნ. დურნოვო იმასაც აღნიშნავდა, რომ ომის მთელი სიმძიმე რუსეთს დააწვებოდა, რაც საზოგადოების დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა, ეს კი ხელისუფლების წინააღმდეგ ყველა ოპოზიციური ძალის შეტევის საბაბი გახდებოდა. ნ. დურნოვო იმპერატორს აფრთხილებდა: **ხალხის მასების გამოსვლების შეკავება წარმოუდგენელი გახდება, „რუსეთი გადაიჩეხება არნახულ ანარქიაში, საიდანაც თავის დაღწევა შეუძლებელი იქნება".** ნიკოლოზ II-მ ნ. დურნოვოს მოხსენებითი ბარათი უყურადღებოდ დატოვა, ისევე როგორც ანგარიში არ გაუწია სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს მემარჯვენეთა აზრს. უნდა აღინიშნოს, რომ ნ. დურნოვო მხოლოდ ანტანტის წინააღმდეგი არ იყო. იგი იმპერატორს სთავაზობდა რუსეთ-საფრანგეთ-გერმანიის კავშირის შექმნას. ნიკოლოზ II-ს კარგად ახსოვდა, ასეთმა კავშირმა რა დამღუპველი შედეგები იქონია რუსეთისათვის იაპონიასთან ომის დროს. ნიკოლოზ II ნ. დურნოვომ ვერც იმაში დაარწმუნა, რომ რუსეთი გერმანიასთან სადავო საკითხების მოგვარებას მოლაპარაკების გზით შეძლებდა. რუსეთის იმპერატორს არც იმისი სჯეროდა, რომ გერმანია შეძლებდა ავსტრია-უნგრეთის აგრესიის შეჩერებას ბალკანეთში, ხოლო შავი ზღვის სრუტეების საკითხში რუსეთს დაუჭერდა მხარს.

რუსეთ-გერმანიის კავშირის წინააღმდეგ გამოდიოდნენ **ოქტიაბრისტები, კადეტები, პროგრესისტები** და **ზომიერი მემარჯვენეები.** მათი აზრით, გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის დამარცხება რუსეთს ბალკანეთში აქტიური პოლიტიკის გატარების საშუალებას მისცემდა. მიუხედავად ამისა, 1914 წლის ზაფხულში, უშუალოდ პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ, კადეტებმა და პროგრესისტებმა შეშფოთება გამოთქვეს გერმანიის წინააღმდეგ ომისათვის გამალებულ მზადებასთან დაკავშირებით. ძალზე პესიმისტური იყო შინაგან საქმეთა მინისტრ **ნ. მაკლაკოვის** მოსაზრება, გამოთქმული ომის წინა დღეებში: **„ომი პოპულარული ვერ იქნება რუსეთის მივარდნილ მხარეებში, სადაც ხალხისათვის რევოლუციური იდეა უფრო გასაგებია, ვიდრე გერმანელებზე გამარჯვების საჭიროება. მაგრამ ბედს თავს ვერ დააღწევ..."**

2. **პირველი მსოფლიო ომის დასაწყისი.** 1914 წლის ზაფხულში უკვე მერამდენედ გამწვავდა **ავსტრია-უნგრეთისა** და **სერბიის** ურთიერთობა. **ბოსნიაში** დანიშნული ავსტრია-უნგრეთის ჯარების მანევრებზე ჩავიდა იმპერიის ტახტის მემკვიდრე ერცჰერცოგი **ფრანც ფერდინანდი.** ფრანც ფერდინანდის **სარაევოში** ჩასვლა დაემთხვა სერბების ეროვნულ გლოვას — 1389 წელს კოსოვოს ველზე თურქების მიერ სერბების ჯარების განადგურების დღეს. ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის სარაევოში ჩასვლა ტრაგედიით დამთავრდა: 1914 წლის 15 (28) ივნისს ტერორისტული აქტის შედეგად მოკლეს **ფრანც ფერდინანდი** და მისი მეუღლე. ტერორისტი **გავრილა პრინციპი** სერბიის კონსპირაციული ორგანიზაციის დავალებით მოქმედებდა. ორგანიზაციის მიზანი იყო ბოსნიის გათავისუფლება ავსტრია-უნგრეთის ბატონობისაგან და სერბიასთან შეერთება. **ავსტრია-უნგრეთმა სერბიას ბრალი დასდო ბოსნიის ტერიტორიაზე მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციის მფარველობაში.** სარაევოში განხორციელებული ტერორისტული აქტი შესანიშნავი საბაბი გახდა სერბიის წინააღმდეგ ომის გაჩაღებისათვის. ავსტრია-უნგრეთის საიმპერატორო კარის ჩანაფიქრს მხარს უჭერდა გერმანიის იმპერატორი **ვილჰელმ II,** თუმცა მას კარგად ესმოდა, რომ ავსტრია-უნგრეთის მიერ სერბიის წინააღმდეგ ომის დაწყებას სერბიის მხარეზე ომში რუსეთის ჩაბმა მოჰყვებოდა. 1914 წლის 22 ივნისს (5 ივლისს) გერმანიის უმაღლესი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის თათბირზე გადაწყდა სასწრაფოდ შედგომოდნენ დიდი ომისათვის მზადებას.

საომარი განწყობილება სუფევდა პარიზშიც. თუ ავსტრია-უნგრეთს ომისათვის გერმანია აქეზებდა, რუსეთს ომისაკენ საფრანგეთი უბიძგებდა. 1914 წლის 7 (20) ივლისს პეტერბურგში ჩავიდა საფრანგეთის **პრეზიდენტი რ. პუანკარე** და მთავრობის თავმჯდომარე **რ. ვივი-**

---

* მოვლენები დათარიღებულია **ძველი სტილით.** ფრჩხილებში იგივე თარიღი მითითებულია **ახალი სტილით.**

ანი (რ. ვივიანი იმავე დროს საგარეო საქმეთა მინისტრიც იყო). საფრანგეთის პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე დაჟინებით ურჩევდნენ **ნიკოლოზ II-ს**, რომ ავსტრია-უნგრეთი-სერბიის კონფლიქტში მტკიცე პოზიცია დაეკავებინა. სამაგიეროდ, საფრანგეთი ომის შემთხვევაში რუსეთის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გარანტიას იძლეოდა.

ბევრი რამ იყო დამოკიდებული ინგლისის პოზიციაზე. ინგლისის მთავრობა თვლიდა: დგებოდა დრო, როდესაც შესაძლებელი გახდებოდა ინგლისის ყველაზე საშიში კონკურენტის — გერმანიის დამარცხება. ინგლისის დიპლომატიის მიზანს შეადგენდა: **გერმანია და ავსტრია-უნგრეთი როგორმე უნდა გადაჩეხილიყო ომში; ხოლო თუ ანტანტა (ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი) ომს დაიწყებდა, იგი გერმანია-ავსტრია-უნგრეთისათვის უნდა გადაებრალებინათ.** ამ გეგმიდან გამომდინარე, ინგლისის მთავრობამ რუსეთსა და საფრანგეთს ომის დაწყებისათვის მზადყოფნა ამცნო. **იმავდროულად ინგლისელმა დიპლომატებმა გერმანიის დიპლომატებს გარკვეეით მიანიშნეს, რომ ინგლისს არავითარი სურვილი არ ჰქონდა კონტინენტზე დაწყებულ ომში ჩაბმულიყო.** ინგლისის დიპლომატიის ჩანაფიქრი გერმანიამ ვერ ამოიცნო. გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის სამხედრო-პოლიტიკური გეგმები ინგლისის ნეიტრალიტეტის გათვალისწინებით იქნა შედგენილი.

1914 წლის 10 (23) ივლისს გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერით დაიმედებულმა ავსტრია-უნგრეთმა სერბიას ულტიმატუმი წაუყენა. **ულტიმატუმის მიღებლობის შემთხვევაში ავსტრია-უნგრეთი ომის დაწყებით იმუქრებოდა.** ულტიმატუმის თითქმის ყველა მუხლი ისე იყო შედგენილი, რომ ლახავდა სერბიის სუვერენიტეტს. განსაკუთრებით მიუღებელი იყო ორი მუხლი. ერთი ეხებოდა სერბიის არმიიდან იმ ოფიცრების დათხოვნას, რომლებიც ავსტრია-უნგრეთის ხელისუფლების მიერ შედგენილ სიაში აღმოჩნდნენ. მეორე კი მოითხოვდა, რომ ავსტრია-უნგრეთის პოლიციისათვის მიეცათ უფლება სერბიის ტერიტორიაზე ფრანც ფერდინანდის მკვლელობის საქმე გამოეძია.

სერბიის პრინც-რეგენტმა **ალექსანდრემ** დახმარებისათვის რუსეთს მიმართა. **ნიკოლოზ II-მ** სერბიას დახმარება აღუთქვა და იმავდროულად მინისტრთა საბჭოს დაავალა ომისათვის მზადების დაწყება. ამასთან ერთად, გადაწყდა, რომ **ომისათვის მზადების მიუხედავად რუსეთის თავი შეეკავებინა მობილიზაციის გამოცხადებისაგან.** რუსეთის ხელისუფლებას ჯერ კიდევ ჰქონდა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების იმედი. გარდა ამისა, ანტანტის ქვეყნები ომის დამწყების როლში არ უნდა გამოსულიყვნენ. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, სერბიის მთავრობას ურჩიეს, ავსტრია-უნგრეთთან ურთიერთობაში თავშეკავება გამოეჩინა და მოეთხოვა, წარმოშობილი კონფლიქტი დიდი სახელმწიფოების შუამავლობით მოგვარებულიყო.

სერბიამ ავსტრია-უნგრეთის ულტიმატუმი მიიღო ერთი მუხლის გარდა, რომელიც სერბიის ტერიტორიაზე ავსტრია-უნგრეთის პოლიციის მიერ ფრანც ფერდინანდის მკვლელობის საქმის გამოძიებას ეხებოდა. **ავსტრია-უნგრეთმა სერბიის პასუხი არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია და 1914 წლის 15 (28) ივლისს ომი გამოუცხადა სერბიას.**

1914 წლის 16 (29) ივლისს ნიკოლოზ II-მ ხელი მოაწერა ბრძანებულებას რუსეთში **საყოველთაო მობილიზაციის** დაწყების შესახებ. ამ დროს პეტერბურგში უკვე მიეღოთ ცნობა იმის შესახებ, რომ საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებს მტკიცედ გადაეწყვიტათ ეომათ გერმანიის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ნიკოლოზ II მაინც ყოყმანობდა. სწორედ ამიტომ 1914 წლის 16 (29) ივლისს, როცა მის მიერ ხელმოწერილი ბრძანებულება **საყოველთაო მობილიზაციის** დაწყების შესახებ უკვე მზად იყო დასაგზავნად, იმპერატორმა ბრძანებულებაში შესწორება შეიტანა. შესწორებულ ტექსტში აღნიშნული იყო, რომ ცხადდებოდა არა საყოველთაო, არამედ **ნაწილობრივი მობილიზაცია** და ისიც ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ. ამით ნიკოლოზ II-ს სურდა გერმანიის იმპერატორ ვილჰელმ II-თან მოლაპარაკების შანსი დაეტოვებინა.

ნიკოლოზ II-ის მოქმედებამ სამხედრო სამინისტროს უკმაყოფილება გამოიწვია. გენერალურ შტაბს დამუშავებული არ ჰქონდა ნაწილობრივი და თანაც კონკრეტულად ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ მიმართული მობილიზაციის გეგმა. ამიტომაც **ნაწილობრივი მობილიზაცია გამოიწვევდა არეულობას, რასაც შეიძლებოდა საყოველთაო მობილიზაციის ჩაშლაც მოჰყოლოდა.** სამხედრო მინისტრ ვ. სუხომლინოვისა და გენერალური შტაბის უფროსის ნ. იანუშკევიჩის თხოვნით საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. საზონოვმა ნიკოლოზ II დაარწმუნა, რომ ომი გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ბლოკთან მაინც გარდუვალია და ამიტომ უმ-

ჯობესი იყო საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადება. ნიკოლოზ II-მ ს. საზონოვის არგუმენტები ირწმუნა და **1914 წლის 18 (31) ივლისს იმპერატორის მიერ ხელმოწერილი ბრძანებულება საყოველთაო მობილიზაციის შესახებ ძალაში შევიდა.** გერმანიამ რუსეთს მობილიზაციის შეწყვეტა მოსთხოვა. ისე რომ, თავის ულტიმატუმზე პასუხსაც არ დალოდებია. 1914 წლის 19 ივლისს (1 აგვისტოს) **გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს.**

1914 წლის 21 ივლისს (3 აგვისტოს) გერმანიას ომი გამოუცხადა საფრანგეთმა, 22 ივლისს (4 აგვისტოს) — ინგლისმა, 10 (23) აგვისტოს — იაპონიამ. გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მოკავშირემ, იტალიამ, ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა. ასე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი.

1914 წლის 16 (29) ოქტომბერს, ღამით, **თურქეთის** სამხედრო გემებმა მოულოდნელად დაბომბეს **სევასტოპოლი, ოდესა** და შავი ზღვის სხვა სანაკუსადგურო ქალაქები. დაბომბვაში გერმანიის ორი კრეისერი („გებენი" და „ბრესლაუ") ღებულობდა მონაწილეობას. **1914 წლის 20 ოქტომბერს (2 ნოემბერს) რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს.**

თანდათანობით ანტანტის მხარეზე ომში ჩაება 20 სახელმწიფო (1915 წლის მაისში გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მოკავშირე იტალიაც ანტანტას შეუერთდა), გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და თურქეთის ბლოკს კი ბულგარეთი შეუერთდა.

§ 2. **ომის დასაწყისი და საომარი მოქმედებები 1914 წელს.**

1. **რუსეთის არმია და ფლოტი ომის წინ.** რუსეთ-იაპონიის ომში დამარცხებამ აშკარა გახადა, რომ აუცილებელი იყო რუსეთის არმიასა და ფლოტში ძირეული გარდაქმნების გატარება. უშუალოდ ომის დროს და მომდევნო წლებში სამხედრო და საზღვაო სამინისტროებს პრესისა და სახელმწიფო სათათბიროს მხრიდან თავს დაატყდა გამანადგურებელი კრიტიკა. სწორედ ამ პერიოდში შეარქვეს სამხედრო და საზღვაო სამინისტროებს **„ცუსიმას სამინისტროები"** (ცუსიმას ტრაგედიაში ბრალის გამო).

ჯერ კიდევ რუსეთ-იაპონიის ომის დროს მართვის გაუმჯობესების მიზნით არმიასა და ფლოტში დაიწყო გარდაქმნების გატარება. სამხედრო და საზღვაო სამინისტროების მოქმედების კოორდინაციის მიზნით 1905 წელს შეიქმნა **თავდაცვის სახელმწიფო საბჭო,** რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა დიდი მთავარი **ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (უმცროსი).** იმავდროულად შეიქმნა **გენერალური შტაბი,** რომლის უფროსიც დამოკიდებული არ იყო სამხედრო მინისტრზე. რუსეთში სამხედრო სამინისტროსა და გენერალური შტაბის ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად არსებობამ არ გაამართლა და სამი წლის შემდეგ გენერალური შტაბის უფროსი სამხედრო სამინისტროს დაექვემდებარა. მალე გაუქმდა თავდაცვის სახელმწიფო საბჭოც.

თავდაცვის სახელმწიფო საბჭომ არსებობის ოთხი წლის მანძილზე, მართალია, რეფორმების პროექტი შეიმუშავა, მაგრამ მისი განხორციელების დაწყება არ დასცალდა. საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (უმცროსი) უნარიანი, განათლებული და გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწე იყო, მაგრამ მისი პიროვნული თვისებები სრულიად შეუფერებელი იყო ასეთი მნიშვნელოვანი თანამდებობისათვის.

1909 წელს რუსეთის სამხედრო მინისტრი გახდა გენერალი ვ. **სუხომლინოვი.** იგი ნიჭიერი და ენერგიული გენერალი იყო, მაგრამ როგორც მის წინამორბედ მინისტრებს, მასაც თავაშვებულ პიროვნებად და მექრთამედ იცნობდნენ. დიდია ვ. სუხომლინოვის ბრალი იმაში, რომ რუსეთის არმია პირველი მსოფლიო ომისათვის შესაბამისად ვერ მოემზადა.

პირველი მსოფლიო ომის წინ რუსეთის არმიაში გატარებული რეფორმები ძირითადად შეეხო არმიის მართვისა და დაკომპლექტების სისტემის გარდაქმნას, ჯარების ახალი ტექნიკით აღჭურვას, ასევე ოფიცრების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. **ქვეით ჯარში სამსახურის ვადა** შემცირდა 3 წლამდე, ფლოტში — 5 წლამდე, რამაც გაზარდა თადარიგში მყოფ სამხედროვალდებულთა რაოდენობა. რუსეთის არმიაში შეიარაღებაზე იყო მ. მოსინის სისტემის **შაშხანა,** რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდებოდა მოწინავე ქვეყნების არმიებში არსებულ შაშხანებს. ეს შაშხანა ჯერ რუსეთის იმპერიაში, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირში თითქმის ორმოცდაათი წელიწადი იყო ხმარებაში. XX საუკუნის დამდეგიდან რუსეთის არმიაში შეიარაღებაზე მიიღეს მაქსიმოვის სისტემის **ტყვიამფრქვევები,** რომელიც ძალზე ფართოდ და ეფექტურად გამოიყენებოდა პირველ მსოფლიო ომში. რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ რუსეთის არმიის **არტილერია** შეივსო სწრაფმსროლელი მსუბუქი ტიპის ქვემეხებით. მძიმე არტილერიის განვითარებას არც ამჯერად დაეთმო შესაბამისი ყურადღება (იგი მთელი

არტილერიის მხოლოდ 3%-ს შეადგენდა). მძიმე არტილერიის განვითარებას მხოლოდ 1913 წელს მიექცა ყურადღება, მაგრამ, ცხადია, პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის დასახული გეგმა ვერ შესრულდა.

რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ რუსეთის **სამხედრო ფლოტი** ფაქტობრივად ხელახლა იყო შესაქმნელი. ფლოტის მშენებლობის პროგრამის შესაბამისად ბალტიის ზღვის სამხედრო ფლოტი შეივსო ოთხი ახალი სახაზო კრეისერით. შავი ზღვის სამხედრო ფლოტის მშენებლობის პროგრამა მხოლოდ 1911 წელს მიიღეს. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის იგი მხოლოდ ნაწილობრივ იყო შესრულებული.

რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რუსეთის არმიისა და ფლოტის ოფიცერთა შემადგენლობა.

2. **რუსეთის სამომარი გეგმები.** რუსეთის გენერალურმა შტაბმა **საყოველთაო მობილიზაციის გეგმა** ისე შეიმუშავა, რომ რუსეთის არმიას ორ ფრონტზე (გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ) შეძლებოდა ბრძოლა. აქედან გამომდინარე, არმიის ბრძოლაში ჩაბმის გეგმის ორი ვარიანტი არსებობდა: **გეგმა „ა“** — არმიის ძირითადი ნაწილის ავსტრია-უნგრეთის წინაღმდეგ დაჯგუფება; **გეგმა „ბ“** — არმიის ძირითადი ნაწილის გერმანიის წინააღმდეგ დაჯგუფება. გეგმა „ბ“ ითვალისწინებდა მობილიზაციის დამთავრების შემდეგ შეტევაზე გადასვლას და გერმანიის ჯარების განადგურებას **გალიციასა** და **აღმოსავლეთ პრუსიაში**. გეგმა „ა“ ითვალისწინებდა ავსტრია-უნგრეთის არმიის მოქმედების შეზღუდვას, რათა თავიდან აეცილებინათ მოწინააღმდეგის გაჭრა **პრუსიაში** მოქმედი რუსეთის არმიის ზურგში.

გეგმის ორივე ვარიანტის განხორციელების სიმძიმე იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის ვრცელი ტერიტორია და სარკინიგზო ქსელების განუვითარებლობა შეუძლებელს ხდიდა მობილიზაციის სწრაფად ჩატარებას და ჯარების საჭირო მიმართულებით დროულად გადასროლას. რუსეთს მეტი შანსი ჰქონდა სამობილიზაციო გეგმის წარმატებით განხორციელებისა, თუ გერმანია პირველად საფრანგეთს შეუტევდა, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთი ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. მართლაც, გერმანიის სამხედრო-სტრატეგიული გეგმა, პირველ რიგში საფრანგეთის წინააღმდეგ შეტევას ისახავდა მიზნად. ეს რუსეთს გარკვეულ შეღავათს აძლევდა. რუსეთის ჯარების მობილიზაცია დაიწყო 1914 წლის 15 (28) ივლისს „ა“ ვარიანტის მიხედვით.

3. **1914 წლის სამომარი ოპერაციები.** 1914 წლის 20 ივლისს (2 აგვისტოს) რუსეთის უმაღლეს მთავარსარდლად ნიკოლოზ II-მ დანიშნა დიდი მთავარი **ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე**, ხოლო უმაღლესი მთავარსარდლობის ადგილსამყოფელად შეარჩიეს ქალაქი **ბარანოვიჩი** (ბელორუსია).

ომის დაწყებისთანავე, 1914 წლის აგვისტოში, გერმანიის არმიამ **ბელგიის** გავლით **საფრანგეთის** წინააღმდეგ განაკითარა შეტევა. საფრანგეთი მძიმე თავდაცვით ბრძოლებს აწარმოებდა და სულ უფრო და უფრო უჭირდა მოწინააღმდეგის შეტევის შეჩერება. ასეთ ვითარებაში **საფრანგეთი რუსეთისაგან ითხოვდა** გერ-

რუსეთის არტილერია. აღმოსავლეთის ფრონტი. 1914 წ.

რუსეთის ცხენოსანი ჯარის შეტევა. აღმოსავლეთის ფრონტი. 1914 წ.

მანიის წინააღმდეგ შეტევის დაწყებას. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი მზად არ იყო ფართომასშტაბიანი შეტევითი ოპერაციების დაწყებისათვის, 1914 წლის 4 (17) აგვისტოს რუსეთის პირველი არმია გენერალ პ. **რენენკამპოვის** სარდლობით შეტევაზე გადავიდა და **აღმოსავლეთ პრუსიაში** შეიჭრა. იმავდროულად აღმოსავლეთ პრუსიაში შეიჭრა რუსეთის მეორე არმიაც გენერალ ა. **სამსონოვის** სარდლობით. მეორე არმიას ხელი უნდა შეეშალა გერმანიის ჯარების ორგანიზებულად უკან დახევისათვის. **ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის** სარდლობამ, რომელსაც პირველი და მეორე არმიები ექვემდებარებოდა, შექმნილი ვითარება სწორად ვერ შეაფასა. პ. **რენენკამპოვისა** და ა. **სამსონოვის** არმიების პირველი წარმატებებით გათამამებულმა ფრონტის სარდლობამ ჩათვალა, რომ პირველ და მეორე არმიებს შეეძლოთ ცალ-ცალკე, საბრძოლო გეგმების კოორდინაციის გარეშეც დაესრულებინათ გერმანიის ჯარების განადგურება. არმიების დამოუკიდებლად მოქმედება კი რუსეთისათვის დიდი ტრაგედიით დამთავრდა.

გერმანიის სარდლობამ რუსეთის წინააღმდეგ მოქმედი ჯარები დასავლეთის ფრონტზე საფრანგეთის წინააღმდეგ მოქმედი ჯარების ხარჯზე სერიოზულად გააძლიერა. გერმანიის მერვე არმიას, რომელსაც რუსეთის ჯარების წარმატებული შეტევის შედეგად ალყაში მოხვედრა ელოდა, სარდლად დაუნიშნეს გენერალი პ. **ჰინდენბურგი,** ხოლო არმიის შტაბის უფროსი გახდა გენერალი ე. **ლიუნდენდორფი.** პ. ჰინდენბურგმა და ე. ლიუდენდორფმა ისარგებლეს რუსეთის პირველი და მეორე არმიების შეუთანხმებელი მოქმედებით და მეორე არმიას ფლანგებიდან შეუტიეს. მეორე არმიის ორი კორპუსი არმიის სარდალთან ერთად ალყაში მოხვდა. ალყაში მოხვედრილთა დიდი ნაწილი ბრძოლაში დაიღუპა, ნაწილი ტყვედ ჩავარდა. გენერალმა ა. სამსონოვმა თავი მოიკლა.

რუსეთის ჯარების მიერ აღმოსავლეთ პრუსიაში წარმატებით დაწყებული შეტევა საბოლოო ჯამში დიდი კატასტროფითა და რუსეთის მეორე არმიის თითქმის მთლიანი განადგურებით დამთავრდა. მეორე არმიის მარცხის შემდეგ აღმოსავლეთ პრუსიიდან უკან დახევა დაიწყო პირველმა არმიამაც. გერმანიის მერვე არმიის სარდალმა პ. ჰინდენბურგმა რუსებს ორგანიზებულად უკუსვლის საშუალებაც არ მისცა. დიდი დანაკარგებითა და ალყაში მოხვედრის მუდმივი შიშის ქვეშ უხდებოდათ რუსებს პრუსიის მიწა-წყლის დატოვება. ეს ძალზე ცუდად მოქმედებდა ჯარისკაცთა და ოფიცერთა შემადგენლობის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, რაც დიდ უპირატესობას აძლევდა გერმანელებს.

რუსეთის პირველი და მეორე არმიების შეტევას აღმოსავლეთ პრუსიაში უშედეგოდ მაინც არ ჩაუვლია. **დასავლეთის ფრონტზე გერმანიის ძლიერი შეტევის შემდეგ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა საფრანგეთის არმიამ შვება იგრძნო, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, გერმანიის სარდლობა იძულებული გახდა, დასავლეთის ფრონტიდან საკმაოდ დიდი ძალები (ორი საარმიო კორპუსი) რუსეთის არმიის შეტევის შესაჩერებლად აღმოსავლეთის ფრონტზე გადაესროლა.**

დიდი წარმატებები ხვდა წილად 1914 წლის აგვისტოში სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, **გალიციაში,** ავსტრია-უნგრეთის არმიის

წინააღმდეგ შეტევაზე გადასულ რუსეთის ჯარებს. რუსეთის ჯარებმა შეძლეს ქალაქ **ლიუბლინის** დასაკავებლად შეტევაზე გადასული ავსტრია-უნგრეთის ჯარების შეჩერება. მალე რუსეთის ჯარები თავად გადავიდნენ შეტევაზე და ხელთ იგდეს გალიციის ცენტრი ქალაქი **ლვოვი**. ბრძოლები გალიციაში ერთ თვეზე მეტხანს (1914 წლის აგვისტო-სექტემბერი) გრძელდებოდა, ფრონტის ხაზი გადაჭიმული იყო 400 კილომეტრზე. ბრძოლებში ავსტრია-უნგრეთის არმიამ 400 ათასზე მეტი კაცი დაკარგა, რუსეთის არმიის დანაკარგი 230 ათას კაცს შეადგენდა. ამ დიდი მსხვერპლის მიუხედავად გადამწყვეტი გამარჯვება ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიპოვა. **რუსეთის სარდლობა გეგმავდა ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ შეტევის გაგრძელებას და მოწინააღმდეგის სრულ განადგურებას**. გერმანიის სარდლობამ რუსეთის გეგმები ამოიცნო და აღმოსავლეთ პრუსიიდან ავსტრია-უნგრეთის არმიის დასახმარებლად ქალაქ **კრაკოვის** რაიონსა და ზემო სილეზიაში დიდი ძალები გადაისროლა. ამ ძალებისაგან ჰ. **ჰინდენბურგის** სარდლობით ჩამოყალიბდა ახალი არმია, რომელმაც **ვარშავას** შეუტია. 1914 წლის სექტემბრის დამლეკვიდან ვარშავისათვის დიდი ბრძოლები მიმდინარეობდა. 1914 წლის ოქტომბერში რუსეთის ჯარებმა მოწინააღმდეგე უკუაქციეს და ემზადებოდნენ, რათა **პოლონეთის სამეფოს** ტერიტორიიდან ბრძოლები **გერმანიის** ტერიტორიაზე გადაეტანათ. ჰ. ჰინდენბურგმა ისევ დაასწრო და რუსების მიერ დაგეგმილ შეტევაზე სამი დღით ადრე, 1914 წლის 29 ოქტომბერს (11 ნოემბერს), რუსეთის ჯარებს ფლანგიდან დაარტყა. ქალაქ **ლოძთან** მიმდინარე ცხარე ბრძოლებში მიზანს ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია: **გერმანელებმა ვერ შეძლეს რუსეთის ჯარების განადგურება, სამაგიეროდ, ვერც რუსებმა შეძლეს გერმანიის ტერიტორიაზე შეჭრა**.

თუ ზოგადად შევაფასებთ, 1914 წლის საომარი მოქმედებანი რუსეთისათვის წარმატებით დამთავრდა. რუსეთის ჯარებმა დიდი ზარალი მიაყენეს ავსტრია-უნგრეთის არმიას, დაიკავეს გალიცია და მისი ცენტრი ქალაქი ლვოვი, ალყა შემოარტყეს პერემიშლის ძლიერ სიმაგრეს. აღმოსავლეთ პრუსიაში შეჭრილმა რუსეთის ჯარებმა, მართალია, მალე უკან დაიხიეს, მაგრამ უმთავრესი ამოცანა მაინც შეასრულეს: **გერმანია იძულებული გახდა ორ ფრონტზე (საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ) ერთდროულად ებრძოლა. ვერც დასავლეთის ფრონტზე (საფრანგეთის წინააღმდეგ) და ვერც აღმოსავლეთის ფრონტზე (რუსეთის წინააღმდეგ) გერმანიამ გადამწყვეტ გამარჯვებას ვერ მიაღწია.**

4. **ომი და რუსეთის საზოგადოება**. გერმანიის მიერ ომის გამოცხადებას რუსეთის საზოგადოებაში პატრიოტიზმის მძლავრი აღმავლობა მოჰყვა. პეტროგრადში, მოსკოვსა და სხვა დიდი ქალაქებში გაიმართა დიდი მანიფესტაციები ლოზუნგებით: „ომი გამარჯვებამდე". მანიფესტაციებს ზოგჯერ თან ახლდა რუსეთში მცხოვრები გერმანელების დარბევები. პეტროგრადში დაარბიეს გერმანიის საელჩო.

რუსეთის საზოგადოებაში გაბატონებულმა ანტიგერმანულმა განწყობილებამ გამოხატულება პოვა ქალაქებისათვის სახელების გამოცვლაში (1914 წელს პეტერბურგს პეტროგრადი ეწოდა), გერმანული გაზეთების დახურვაში, გერმანული წარმოშობის მოქალაქეებისადმი ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში. საზოგადოებაში ანტიგერმანული განწყობილების გაძლიერებას ხელს უწყობდა პრესა. გაზეთებში უხვად იბეჭდებოდა მასალა გერმანელთა მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე რუსეთის ქვეშევრდომთა მიმართ ჩადენილი ძალადობის, რუს სამხედრო ტყვეთა არაადამიანური წამების შესახებ და სხვ. კარგად ორგანიზებული პროპაგანდა გერმანელებს სლავური რასის დაუძინებელ მტრად წარმოსახავდა.

ომმა აუცილებელი გახადა საზოგადოებაში მტკიცე წესრიგის დამყარება. ხელისუფლებამ წესრიგის დაცვის უპირველეს პირობად „მშრალი კანონის" შემოღება დასახა. მთელი ომის განმავლობაში აკრძალული იყო ყოველგვარი ალკოჰოლური სასმელის (ლუდის ჩათვლით) წარმოება, გასაღება და მოხმარება.

1914 წლის 26 ივლისს (8 აგვისტოს) მეოთხე სახელმწიფო სათათბირომ მეორედ მისცა ხმა სამხედრო კრედიტებს (თავი მხოლოდ სოციალ-დემოკრატებმა შეიკავეს). სახელმწიფო სათათბიროს ეს სხდომა დიდი ეროვნული საფრთხის წინააღმდეგ ხელისუფლებისა და ოპოზიციის ერთიანობის მაჩვენებელი გახდა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ივანე გორემიკინმა** სახელმწიფო სათათბიროს წევრებს მოუწოდა შეკავშირებულიყვნენ „სახელმწიფოსა და რუსეთისათვის". ამ მოწოდებას დიდი კმაყოფილებით შეხვდა ცენტრიც, მემარჯვენეებიცა და მემარცხენეებიც. პ. **მილიუკოვმა** განაცხადა, რომ კადეტები დაივიწყებდნენ შინაური უთანხ-

მოებას და ყველაფერს გააკეთებდნენ მტრის დასამარცხებლად.

ხელისუფლებისა და საზოგადოების ერთიანობას მხოლოდ სოციალ-დემოკრატები არღვევდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ **ბოლშევიკები**. ომის დასაწყისშივე ბოლშევიკების ლიდერებმა **ვ. ლენინმა** და **გ. ზინოვიევმა** რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით დაწერეს მანიფესტი „ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია". ეს **იყო რუსეთის ისტორიაში ჯერ არნახული ღალატი ჩადენილი არა ერთი ადამიანის, არამედ ძლიერი და გავლენიანი პოლიტიკური პარტიის** მიერ. ბოლშევიკები რუს ერს მოუწოდებდნენ არ დამორჩილებოდნენ ხელისუფლებას და მიზნად დაესახათ არა გარეშე მტრის (გერმანიის) დამარცხება, არამედ საკუთარი მთავრობის დამხობა და ქვეყნის დიდი ეროვნული კატასტროფის გზით საკუთარი პოლიტიკური მიზნის (ხელისუფლების დაპყრობის) განხორციელება. **ასეთმა ანტისახელმწიფოებრივმა, მოღალატურმა საქციელმა ბოლშევიკებს საბოლოოდ დააკარგვინა გავლენა არა მარტო მთელ საზოგადოებაში, არამედ თვით მუშათა კლასშიც კი**. მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქცია ომის საწინააღმდეგო პროპაგანდისა და ომში ხელისუფლების დამარცხებისაკენ მოწოდებისათვის გაასამართლეს. სასამართლოს მუშათა მხრიდანაც კი არ მოჰყოლია რაიმე მნიშვნელოვანი საპროტესტო აქცია.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისმა 1905-1907 წლების რევოლუციის პროცესში გათიშული და დაპირისპირებული საზოგადოება შეარიგა და შეაკავშირა. ხელისუფლებამ ომის დაწყების შემდეგ მეოთხე სახელმწიფო სათათბირო ექვსი თვით დაითხოვა. ხელისუფლების გადაწყვეტილებას არც თვით სათათბიროსა და არც საზოგადოების მხრიდან პროტესტი არ მოჰყოლია.

რუსეთის საზოგადოება, ყველა სოციალური ფენა გრძნობდა პასუხისმგებლობას სამშობლოს წინაშე. რუსეთის არისტოკრატიის წარმომადგენლები სანიტრებად მუშაობდნენ სამხედრო ჰოსპიტლებსა და სანიტარიულ მატარებლებში. მაგალითს იმპერატორის ოჯახი იძლეოდა. რუსეთის დედოფალი **ალექსანდრა** და უფროსი ქალიშვილები — **ოლგა** და **ტატიანა** — ცარსკოე სელოს ლაზარეთში მუშაობდნენ მოწყალების დებად. სამხედრო ჰოსპიტლებში სამუშაოდ მასობრივად მიდიოდნენ ცნობილი პოეტები, მსახიობები, მხატვრები. არისტოკრატიის ის

ივანე გორემიკინი

ნაწილი, რომელიც რაიმე მიზეზით სამედიცინო დაწესებულებებში ვერ მიდიოდა სამუშაოდ, მოქმედ არმიასა და სამედიცინო დაწესებულებებს ფულითა და სხვა საშუალებებით (ტანსაცმლით, სურსათით, მედიკამენტებით) ეხმარებოდა.

1914 წლისათვის რუსეთის საზოგადოება ისეთი შეკავშირებული იყო, ისეთი ძლიერი იყო პატრიოტული სულისკვეთება, რომ ამ ერთიანობის დარღვევა ყველას წარმოუდგენლად ეჩვენებოდა.

§ 3. საომარი მოქმედებები 1915 წელს. ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება.

1. **რუსეთის არმიის უკან დახევა.** 1914 წელს მოპოვებული წარმატებების მიუხედავად რუსეთის არმიის მდგომარეობა 1915 წლის დამდეგისათვის მძიმე იყო. იარაღისა და საბრძოლო საჭურვლის მარაგი ხანგრძლივი ომისათვის არ იყო გათვლილი. **1915 წლისათვის უკვე შესამჩნევი გახდა დეფიციტი მომარაგებაში, რეზერვები თითქმის ამოიწურა.** 1914 წლის ბოლოსათვის უკვე აღარ კმაროდა შაშხანები, ვაზნები და საარტილერიო ყუმბარები. შესამჩნევი გახდა გერმანელთა უპირატესობა მძიმე არტილერიის მხრივ. სანამ რუსეთის არმია უტევდა ან უკან იხევდა, გერმანელთა უპირატესობა არც ისე შესამჩნევი იყო. მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთის ფრონტზე ომმა პო-

ზიციური ხასიათი მიიღო, დიდი მნიშვნელობა შეიძინა თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობამ და მძიმე არტილერიის გამოყენებამ. ამ მხრივ რუსეთი აშკარად ჩამოუვარდებოდა გერმანიას, რის გამოც პოზიციურ ბრძოლებში რუსეთის არმიამ დიდი დანაკლისი განიცადა.

მიუხედავად ამისა, რუსეთის უმაღლესი მთავარსარდლობა 1915 წელს დიდ შეტევას გეგმავდა. უმაღლესი მთავარსარდლობის ჩანაფიქრით, შეტევა ერთდროულად უნდა განხორციელებულიყო ორი ფრონტის ძალებით. **ჩრდილო-დასავლეთის ფრონტს** (მთავარსარდალი გენერალი ნ. რუზსკი, 1915 წლის მარტიდან — გენერალი მ. ალექსეევი) უნდა შეეტია **გერმანიის** არმიისათვის, ხოლო **სამხრეთ-დასავლეთის ფრონტს** (მთავარსარდალი გენერალი ნ. ივანოვი) — **ავსტრია-უნგრეთის** არმიისათვის. რუსეთის უმაღლესი მთავარსარდლობის გეგმა ჩაშალა მოწინააღმდეგის გააზრებულმა მოქმედებამ.

გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობა დილემის წინაშე იდგა. პოზიციური ბრძოლები დასავლეთის ფრონტზე საფრთხის წინაშე აყენებდა ომში გამარჯვებას. რუსეთის ომიდან გამოყვანა გერმანიამ ვერ შეძლო, მისი დამარცხების გარეშე კი დასავლეთ ფრონტზე საფრანგეთის წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლა საშიში იყო. გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის ორჭოფობას ბოლო მოუღო რუსეთის არმიის აქტიურმა მოქმედებამ ავსტრია-უნგრეთის არმიის წინააღმდეგ. 1915 წლის ზამთარში **კარპატებში** მიმდინარე ბრძოლებმა ცხადი გახადა ავსტრია-უნგრეთის არმიის სისუსტე. გერმანიამ მოკავშირის გადარჩენის მიზნით აღმოსავლეთის ფრონტზე შეტევა წამოიწყო. გერმანელი გენერლების აზრით, ეს შეტევა სტრატეგიული თვალსაზრისით გამართლებული არ იყო, მაგრამ მის გარეშე ავსტრია-უნგრეთის არმია განადგურებას ვერ გადაურჩებოდა.

აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანელებს დაეჯგუფებინათ ოთხი კორპუსი, კიდევ ოთხი კორპუსი დასავლეთის ფრონტიდან გადმოისროლეს. გერმანელების შეტევა აღმოსავლეთის ფრონტზე დაჩქარა იმან, რომ 1915 წლის 9 (22) მარტს რუსეთის არმიამ **პერემიშლის** ძლიერი სიმაგრე აიღო. პერემიშლის 120-ათასიანი გარნიზონი რუსებს დანებდა. პერემიშლის რაიონში დაჯგუფებული ჯარებით რუსეთის უმაღლეს მთავარსარდლობას შეეძლო შეტევის განვითარება **კარპატებში**, მაგრამ მალე მდგომარეობა ამ მიმართულებით რუსების საზიანოდ შეიცვალა.

1915 წლის აპრილის შუა რიცხვებისათვის გერმანელებმა **დასავლეთ გალიციაში** რუსების წინააღმდეგ ძლიერი დაჯგუფება შექმნეს. ამ დაჯგუფების მიზანი იყო გალიციაში რუსების ფრონტის გარღვევა. გალიციაში განლაგებული გერმანელთა ჯარები ცოცხალი ძალის მხრივ 1,5-ჯერ აღემატებოდა რუსეთის ჯარებს, ხოლო არტილერიის მხრივ — 2-ჯერ. განსაკუთრებით დიდი იყო გერმანელთა უპირატესობა მძიმე არტილერიის მხრივ. რუსების 4 მძიმე ქვემეხის წინააღმდეგ გერმანელებს 334 მძიმე ქვემეხი გააჩნდათ.

გერმანელთა შეტევა **გალიციაში** 1915 წლის 19 აპრილს (2 მაისს) დაიწყო და შეუსვენებლად მიმდინარეობდა ივნისის დამდეგამდე. რუსებმა გერმანელთა შეტევას ვერ გაუძლეს და უკან დახევა იწყეს. გერმანელებმა დაიკავეს **პერემიშლი, ლვოვი** და საერთოდ მთელი **გალიცია**. ეს იყო რუსეთის არმიის ე.წ. „დიდი უკანდახევის" დასაწყისი. გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ჯარების შეჩერება თავდაცვის შემდეგ ზღუდეებზეც შეუძლებელი გახდა — ფრონტის ხაზი რამდენიმე მიმართულებით გაირღვა.

რუსეთის არმიის თავდაცვითი ბრძოლების დროს განსაკუთრებით თვალში საცემი იყო საბრძოლო საჭურვლის ნაკლებობა. მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგის მძიმე არტილერია რუსეთის თავდაცვით პოზიციებს შეუსვენებლივ ბომბავდა, რუსები უფრთხილდებოდნენ ყოველ საარტილერიო ყუმბარასა და შაშხანის ყოველ ვაზნას.

გალიციაში რუსეთის არმიის დამარცხების შემდეგ გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობა სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ერთდროული დარტყმით გეგმავდა რუსეთის ჯარების განადგურებას **პოლონეთში**. სამხრეთიდან შეტევაზე გადასული ავსტრია-უნგრეთის ჯარები გავიდნენ **ლიუბლინ-ხოლმის** ხაზზე. ხოლო ჩრდილოეთიდან შეტევაზე გადასულმა გერმანიის ჯარებმა გადალახეს მდ. **ნარევი** და **პოლონეთში** განლაგებული რუსეთის ჯარების ზურგში შეიჭრნენ. შეიქმნა რუსეთის არმიის დიდი დაჯგუფების ალყაში მოხვედრის საფრთხე. იმავდროულად გერმანელებმა **კურლანდიაში** ალყაში მოაქციეს რამდენიმე რუსული დივიზია. კურლანდიაში გამართულ ბრძოლებში თავი გამოიჩინა რუსეთის მეხუთე არმიის სარდალმა გენერალმა ვ. **პლეევმ**, რომელმაც ალყა გაარღვია და მდინარე **დასავლეთ დვინისაკენ** მოახერხა უკან დახევა.

გერმანელებმა ვერც პოლონეთში განლაგებული რუსეთის ჯარების ალყაში მოქცევა შეძლეს. რუსებმა მოახერხეს როგორც ავსტრია-უნგრეთის, ისე გერმანიის ჯარების შეტევის შეჩერება და აღმოსავლეთით უკან დახევა. გერმანელთა ალყაში აღმოჩნდა მხოლოდ ნოვოგეორგიევსკის სიმაგრის 86-ათასიანი გარნიზონი, რომელიც სამარცხვინოდ დანებდა მოწინააღმდეგეს. გერმანელებმა ხელთ იგდეს ათასზე მეტი საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი ქვემეხი.

პოლონეთიდან უკან დახევის შემდეგ რუსეთის ჯარებმა გერმანელებს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს და 1915 წლის აგვისტოში დატოვეს **ლიტვის** დიდი ნაწილი და **დასავლეთ ბელორუსია**. ასეთ მძიმე ვითარებაში 1915 წლის 23 აგვისტოს (5 სექტემბერს) იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ თავის თავზე აიღო უმაღლესი მთავარსარდლის მოვალეობა, უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის უფროსად კი დანიშნა გენერალი **მ. ალექსეევი**.

1915 წლის აგვისტოს ბოლოდან რუსეთის არმია კვლავ აგრძელებდა უკან დახევას. საბოლოოდ რუსეთის ჯარებმა მოწინააღმდეგის შეჩერება შეძლეს ზღუდეზე: **მდინარე დასავლეთ დვინა — დვინსკი — ბარანოვიჩი — პინსკი**. ამის შემდეგ ბრძოლებმა პოზიციური ხასიათი მიიღო.

1915 წლის ბოლოსათვის ბრძოლებმა სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზეც პოზიციური ხასიათი მიიღო.

საზოგადოდ კი, 1915 წელს რუსეთმა დიდი მარცხი იწვნია. ე.წ. „დიდი უკან დახევის" დროს მოწინააღმდეგემ ხელთ იგდო უზარმაზარი ტერიტორია, რუსეთის მხრიდან დიდი იყო ცოცხალი ძალის დანაკარგი. რუსეთის ჯარისკაცებისა და ოფიცრების სისხლის ფასად გერმანიამ ვერც 1915 წელს შეძლო დასახული ამოცანის მიღწევა — რუსეთი ომიდან ვერ გამოიყვანა.

2. **ეკონომიკის მობილიზაცია**. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე სახელმწიფოებიდან არც ერთი არ ელოდა ომის ამდენი ხნით გაჭიანურებას. ომის წინ რუსეთის არმიის გენერალური შტაბი ვარაუდობდა, რომ მომავალ ომში საკმარისი იქნებოდა ვაზნებისა და ყუმბარების ის რაოდენობა, რაც რუსეთის არმიამ იაპონიასთან ომში დახარჯა. თუმცა 1914 წლის ზაფხულისათვის ამ რაოდენობის მარაგიც კი არ იყო შექმნილი.

პირველმა მსოფლიო ომმა თავისი მასშტაბით ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. რუსეთის არმიამ საბრძოლო საჭურვლისა და შეიარაღების მარაგი ოთხ თვეში ამოწურა, 1915 წლის დამდეგიდან კი დაიწყო კრიზისი — შეიარაღე-

რუსი ჯარისკაცები სანგრებში. აღმოსავლეთის ფრონტი. 1915 წ.



ზემგორის სხდომა. 1916 წ.

ბის, საბრძოლო საჭურვლის, სურსათის, ფურაჟის, ტანსაცმლის, მედიკამენტების ქრონიკული უკმარისობა. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ წინასწარ შემუშავებული არ ყოფილა ეკონომიკის ომის ყიდაზე გადაყვანის გეგმა. ეს თავისთავად ართულებდა სამხედრო შეკვეთების გეგმის შესრულებას.

1915 წლის მაისში „მრეწველობის მობილიზაციის" მიზნით მოიწვიეს **საგანგებო თათბირი.** თათბირმა, რომელსაც სამხედრო მინისტრი **ვ. სუხომლინოვი** თავმჯდომარეობდა, განიხილა საარტილერიო საჭურვლით ფრონტის მომარაგების საკითხი. თათბირში გარდა სამხედროებისა მონაწილეობდნენ: სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს წევრები, მსხვილი ფინანსისტები და მრეწველები. მათი რეკომენდაციით 1915 წლის აგვისტოში ფრონტის მომარაგებასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაჭრელად შეიქმნა ხუთი საგანგებო თათბირი: **თავდაცვის, საწვავის, სურსათის, გადაზიდვისა** და **ლტოლვილთა** საქმეებისა. ხუთივე თათბირს სათავეში ედგნენ მინისტრები, ხოლო მათ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ საკანონმდებლო ორგანოებისა და საზოგადოების წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ ბურჟუაზიის ხვედრითი წილი საგანგებო თათბირებში დიდი არ იყო. დადგენილი არ ყოფილა ქვოტა ბურჟუაზიის წარმომადგენლებისათვის, მათი მოწვევა საგანგებო თათბირებზე მხოლოდ პერსონალური სიის მიხედვით ხდებოდა. პერსონალური სიის შედგენისას უპირატესობა პეტროგრადის ფინანსური და სამრეწველო წრეების წარმომადგენლებს ენიჭებოდათ, რომლებიც ღებულობდნენ სამხედრო შეკვეთების უდიდეს ნაწილს.

მართალია, საგანგებო თათბირები დაგვიანებით შეიქმნა, მაგრამ მათ დიდი როლი შეასრულეს ეკონომიკის საომარ ყიდაზე გარდაქმნის საქმეში. სახელმწიფო მოხელეები, მრეწველები, ფინანსისტები და საზოგადოების წარმომადგენლები ნაყოფიერად თანამშრომლობდნენ ფრონტის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. საგანგებო თათბირებს შეეძლო კერძო მეწარმისათვის მოეთხოვათ ფრონტისათვის აუცილებელი შეკვეთების შესრულება, ხოლო მეწარმის მხრიდან უარის შემთხვევაში საწარმო დაეხურათ. საგანგებო თათბირებს ასევე შეეძლო მეწარმისათვის დროებით ჩამოერთმიათ კერძო ქარხანა და დაენიშნათ ქარხნის ახალი მმართველობა.

საგანგებო თათბირები თავიანთი არსით მაინც სახელმწიფო ორგანოებს წარმოადგენდნენ და მათ მუშაობას ხელისუფლება არეგულირებდა. ამ თვალსაზრისით უფრო დამოუკიდებელი იყო **სამხედრო-სამრეწველო კომიტეტები.** სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების შექმნის იდეა ჩაისახა 1915 წლის მაისში გამართულ მრეწველთა და ვაჭართა წარმომადგენლების ყრილობაზე. 1915 წლის ივლისში პეტროგრადში შეიქმნა **ცენტრალური • სამხედრო-სამრეწველო კომიტეტი,** რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ოქტიაბრისტთა პარტიის

ლიდერი ა. **გუჩკოვი**. ა. გუჩკოვი არც მალავდა, რომ მისი სურვილი იყო ცენტრალურ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტს მოეპოვებინა ეკონომიკურ ძალაუფლებასთან ერთად პოლიტიკური ძალაუფლებაც. ცენტრალური სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის მუშაობაში წამყვან როლს ასრულებდნენ მსხვილი კაპიტალისტები: ა. **კონოვალოვი**, პ. **რიაბუშინსკი**, ს. **ტრეტიაკოვი**, მ. **ტერეშჩენკო** და სხვ.

ცენტრალურმა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტმა და მისდამი დაქვემდებარებულმა ადგილობრივმა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სამხედრო შეკვეთების შესრულებაში.

სამხედრო სამინისტროსა და ცენტრალურ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტს შორის თავიდანვე არ დამყარდა ნორმალური ურთიერთობა. სამხედრო სამინისტრო ამჯობინებდა შეკვეთები საგანგებო თათბირებისათვის მიეცა და არა ცენტრალური სამხედრო-სამრეწველო კომიტეტისათვის ან მისდამი დაქვემდებარებული ადგილობრივი სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებისათვის. სწორედ ამიტომ იყო, რომ სამხედრო პროდუქციის წარმოებაში სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების ხვედრითი წილი 5%-ს არ აღემატებოდა.

ომის წლებში გააქტიურდა **ერობათა** და **ქალაქების თვითმმართველობათა** მოღვაწეობა. შეიქმნა **ერობათა და ქალაქების კავშირი (ზემგორი)**. ზემგორი ზრუნავდა დაჭრილებზე, ლტოლვილებზე და სამხედრო ტყვეებზე. ზემგორმა შეძლო მცირე მოცულობის წარმოების ორგანიზაციაც, რათა მოემარაგებინა ფრონტი.

3. **პოლიტიკური ვითარება**. მანამდე არნახული მორალურ-პოლიტიკური ერთობა რუსული საზოგადოებისა, რომელიც ომის პირველი დროიდანვე შეინიშნებოდა, სწრაფად დაირღვა 1915 წლის სამხედრო წარუმატებლობის პერიოდში. **საზოგადოების თვალში ფრონტზე მარცხის მიზეზი ხელისუფლების უსუსურობა იყო**. პოზიციურმა ომმა, თვეების მანძილზე აუტანელ სიცივესა თუ სიცხეში სანგრებში ყოფნამ, შიმშილმა, ანტისანიტარიამ და ათასგვარმა სენმა არმიის საბრძოლო სულისკვეთება ძალზე დასცა. არმიის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ის, რომ არაფერი ეშველა ვაზნებითა და საარტილერიო ყუმბარებით ფრონტის მომარაგების საქმეს.

საყოველთაო უკმაყოფილების პირობებში წესრიგის შენარჩუნება არმიაში მაინც შედარებით ადვილი იყო, ვიდრე საზოგადოებაში. ხელისუფლების ოპოზიცია სულ უფრო აქტიური ხდებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, ომის დასაწყისში სახელმწიფო სათათბირომ ხელისუფლებას სრული თანადგომა გამოუცხადა. ერთი წლის განმავლობაში სათათბიროს განწყობილება კარდინალურად შეიცვალა — **ომში წარუმატებლობას სახელმწიფო სათათბიროც მთავრობის უსუსურობით ხსნიდა**. 1915 წლის 19 ივლისს (1 აგვისტოს), ომის დაწყებიდან ზუსტად ერთი წლისთავზე გაიხსნა რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს სესია. ოპოზიცია იმპერატორისა და მთავრობის მწვავე კრიტიკით გამოვიდა. ცენტრისტულმა პარტიებმა (ოქტიაბრისტები, პროგრესისტები) და მემარჯვენეებმა (ნაციონალისტები) შექმნეს პოლიტიკური გაერთიანება — **„პროგრესული ბლოკი“**. ბლოკის მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა არსებული მთავრობის ნაცვლად **„საზოგადოებრივი ნდობის სამინისტროს“ (მთავრობის)**, ან **„ეროვნული თავდაცვის მთავრობის“** შექმნა, ანუ ისეთი მთავრობისა, რომელიც ომს გამარჯვებამდე მიიყვანდა. „პროგრესული ბლოკის“ აზრით, ახალ მთავრობაში უნდა შესულიყვნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები სახელმწიფო სათათბიროდან, ერობათა და ქალაქთა თვითმმართველობის კავშირიდან (ზემგორიდან), ცენტრალური სამხედრო-სამრეწველო კომიტეტიდან, ასევე ის მინისტრები, რომლებიც სახელმწიფო სათათბიროს ნდობით სარგებლობდნენ.

„პროგრესული ბლოკის“ (ოქტიაბრისტები, პროგრესისტები, ნაციონალისტები) შექმნამ და შემდგომ მასში ყველა ოპოზიციური ფრაქციის (კადეტები და სხვ.) გაერთიანებამ საიმპერატორო კარი და მთავრობა დილემის წინაშე დააყენა: ან სახელმწიფო სათათბიროსთან თანხმობით მოქმედება და ამ გზით ხელისუფლებისა და საზოგადოების ერთიანობის აღდგენა, ან ძველი კურსის შენარჩუნება და სახელმწიფო სათათბიროსთან და საზოგადოებასთან კონფრონტაცია. არჩევანის გაკეთება ადვილი არ იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით მინისტრთა საბჭოში დიდი პოლემიკა მიმდინარეობდა. ვითარება დაძაბა იმანაც, რომ, როგორც აღვნიშნეთ, **ნიკოლოზ II-ე** დიდი მთავარი **ნიკოლოზ ნიკოლოზის** ძე უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობიდან გადააყენა და ეს თანამდებობა თვითონ შეითავსა. იმპერატორის ეს ნაბიჯი მინისტრთა ნაწილმა შეცდომად მიიჩნია. რვა მინისტრმა თხოვნით მიმართა ნიკოლოზ II-ს, არ მიეღო უმაღლესი მთავარსარდლის თანამდე-

ბობა. იმპერატორმა რჩევა არ მიიღო და რვავე მინისტრი გადააყენა. აღსანიშნავია, რომ ეს რვა მინისტრი მთავრობისა და სახელმწიფო სათათბიროს თანხმობით მოქმედების მომხრე იყო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მთავრობისა და სახელმწიფო სათათბიროს შეთანხმების შანსი მინიმუმამდე შემცირდა.

§ 4. **საომარი მოქმედებები 1916 წელს. მდგომარეობა ზურგში..**

1. **ბრუსილოვის გარღვევა**. 1916 წლის საომარი მოქმედებების დაწყების წინ ანტანტის ქვეყნები შეეცადნენ სამხედრო-სტრატეგიული გეგმების კოორდინირებას. ამ პერიოდისათვის ანტანტის მხარეზე ომში ჩაება **სერბია** და **იტალია**, ხოლო სამთა კავშირს მიემხრო **თურქეთი** და **ბულგარეთი**.

1915 წლის ნოემბრის ბოლოს (დეკემბრის დამდეგს) **შანტილში** (საფრანგეთი) შედგა **ანტანტის** ქვეყნების კონფერენცია. რუსეთმა კონფერენციის მონაწილეებს ასეთი გეგმა შესთავაზა: **რუსეთის სამხრეთ-დასავლეთ ფრონტს, ეგეოსის ზღვის პირას, სალონიკის პლაცდარმზე განლაგებულ ინგლის-საფრანგეთის ჯარებს, ასევე იტალიის არმიას უნდა შეეტიათ ბუდაპეშტის მიმართულებით**. ამ ოპერაციის შედეგად მწყობრიდან უნდა გამოეყვანათ ავსტრია-უნგრეთისა და ბულგარეთის არმიები და მიეღწიათ მათი კაპიტულაციისათვის, ხოლო **საბერძნეთი** და **რუმინეთი** უნდა შეერთებოდა ანტანტას. ანტანტის ქვეყნებმა რუსეთის გეგმა არ მიიღეს, რადგან თვლიდნენ, რომ მთავარი ფრონტი იყო დასავლეთის (საფრანგეთის) ფრონტი და ძირითადი დარტყმაც ამ მიმართულებით უნდა განხორციელებულიყო. შანტილის კონფერენციაზე გადაწყდა, რომ მოწინააღმდეგის ყურადღების მიპყრობის მიზნით დასავლეთის (საფრანგეთის) ფრონტზე შეტევის დაწყებამდე რუსეთისა და იტალიის არმიებს ავსტრია-უნგრეთისათვის უნდა შეეტიათ. ანტანტა შეტევის დაწყებას ზაფხულისათვის გეგმავდა.

გერმანელებმა ანტანტის ქვეყნებს დაასწრეს და დასავლეთის ფრონტზე საფრანგეთის წინააღმდეგ დიდი შეტევა დაიწყეს. გერმანელები **ვერდენის** ძლიერი სიმაგრის დაუფლებას ცდილობდნენ. იმავდროულად ავსტრია-უნგრეთის არმიამ იტალიის არმიის პოზიციებს შეუტია. დასავლეთის ფრონტზე კვლავ კრიტიკული ვითარება შეიქმნა. ვერდენის გარნიზონი ძლივს აკავებდა გერმანელთა შეტევებს. **დასავლეთის ფრონტზე საფრანგეთის არმიის მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით რუსეთის უმაღლესმა მთავარსარდლობამ ჩრდილოეთისა და დასავლეთის ფრონტების ძალებით 1916 წლის მარტში გერმანიის არმიის წინააღმდეგ შეტევა წამოიწყო**. შეტევა ათი დღის განმავლობაში გრძელდებოდა და რუსეთის არმიას 90 ათასი ჯარისკაცის სიცოცხლედ დაუჯდა. გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობა იძულებული გახდა ვერდენთან გაცხარებული ბრძოლების დროს ოთხი დივიზია რუსეთის არმიის შეტევის შესაჩერებლად გადმოესროლა.

1916 წლის მარტში **შანტილში** გამართულ ანტანტის ქვეყნების თათბირზე გადაწყდა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ საერთო შეტევის დაწყება დაეჩქარებინათ. 1916 წლის აპრილის ბოლოს რუსეთის არმიას შეტევა უნდა დაეწყო ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ, ხოლო მაისში უნდა დაწყებულიყო მოკავშირეთა საერთო შეტევა.

1916 წლის მარტის ბოლოს რუსეთის არმიის უმაღლეს მთავარსარდალს **ნიკოლოზ II-ს** და უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსს **მ. ალექსეევს** წარუდგინეს 1916 წლის აპრილის ბოლოსათვის დაგეგმილი შეტევის გეგმა. გეგმის ავტორები აღნიშნავდნენ, რომ მსოფლიო ომის **აღმოსავლეთის ფრონტი** (ჩრდილოეთის, დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტები) გადაჭიმული იყო 1200 კილომეტრზე, რკინიგზის ქსელის განუვითარებლობა კი შეუძლებელს ხდიდა უზარმაზარ ფრონტზე ჯარების სწრაფად გადასროლას. ამის გამო, გეგმის ავტორების აზრით, უმჯობესი იყო რუსეთის არმიას თვითონ დაეწყო შეტევა, ვიდრე დალოდებოდა, თუ სად შეუტევდა 1200 კილომეტრიან ფრონტზე მოწინააღმდეგე. რუსეთის უმაღლესი მთავარსარდლობა ვარაუდობდა შეტევის დაწყებას სამი ფრონტის ძალებით. **დასავლეთის ფრონტს** (მთავარსარდალი გენერალი ა. **ეივერტი**) ქალქ **ვილნოს** მიმართულებით უნდა შეეტია. ეს იყო რუსეთის არმიის შეტევის მთავარი მიმართულება. რაც შეეხება **ჩრდილოეთის ფრონტსა** (მთავარსარდალი გენერალი ა. **კუროპატკინი**) და **სამხრეთ-დასავლეთის ფრონტს** (მთავარსარდალი გენერალი ა. **ბრუსილოვი**), მათი მიზანი იყო მოწინააღმდეგის ყურადღების მიპყრობა, რათა დასავლეთის ფრონტს გაადვილებოდა დასახული ამოცანის შესრულება.

რუსეთის არმიის შეტევისათვის მომზადება გაჭიანურდა და მხოლოდ 1916 წლის მაისის შუა რიცხვებისათვის დასრულდა. შეტევისათვის

კარგად მოემზადა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი. ფრონტის მთავარსარდალმა გენერალმა ა. **ბრუსილოვმა** უარი თქვა შეტევის მომზადების ტრადიციულ წესზე — ფრონტის ერთ უბანზე მთელი ძალების დაჯგუფებაზე. მთავარსარდლის ბრძანების თანახმად, ყოველ არმიას და კორპუსს განესაზღვრა კონკრეტული უბანი, სადაც მოწინააღმდეგის პოზიცია უნდა გაერღვია.

1916 წლის 22-25 მაისს (4-7 ივნისს) **სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის** ოთხივე არმიამ ცხარე ბრძოლების შემდეგ რამდენიმე ადგილას გაარღვია ავსტრია-უნგრეთის ჯარების ფრონტი და ერთი კვირის განმავლობაში წინ წაიწია რამდენიმე ათეული კილომეტრით. ავსტრია-უნგრეთის არმიამ სასტიკი მარცხი იწვნია. მხოლოდ ოცი დღის განმავლობაში რუსებმა ტყვედ ჩაიგდეს 200 ათასი კაცი. ავსტრია-უნგრეთის არმიისათვის განსაკუთრებით საშიში გამოდგა **მერვე არმიის** (სარდალი ა. **კალედინი**) მიერ ქალაქ **ლუცკის** რაიონში განხორციელებული გარღვევა. აქედან რუსებს შეეძლოთ დიდი რკინიგზის კვანძის — **კოველის** ხელში ჩაგდება. დიდ წარმატებებს მიაღწია **მეცხრე** არმიამ (სარდალი ჰ. ლეჩიცკი), რომელმაც ქალაქი **ჩერნოვცი** დაიკავა.

დასავლეთის ფრონტის მთავარსარდალმა გენერალმა ა. ევერტმა ხან შეტევის მოუმზადებლობის, ხან კი ცუდი ამინდის მიზეზით შეტევის დაწყება ჯერ 1916 წლის 4 (17) ივნისამდე, ხოლო შემდეგ კიდევ ორი კვირით გადადო. ბოლოს და ბოლოს დასავლეთის ფრონტზე ჯარები შეტევაზე გადავიდნენ, მაგრამ **ბარანოვიჩის** რაიონში გერმანელთა ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ და წინ ვერ წაიწიეს.

დასავლეთის ფრონტზე წარუმატებლობის გამო სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის შეტევამ დამხმარეს ნაცვლად მთავარი მნიშვნელობა შეიძინა. 1916 წლის 21 ივნისს (4 ივლისს) სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის ჯარებმა ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ შეტევა განაახლეს და კვლავ დიდ წარმატებას მიაღწიეს. წარმატებები კიდევ უფრო დიდი იქნებოდა ა. ბრუსილოვს რომ საკმაო რეზერვები ჰქონოდა. 1916 წლის 26 ივნისს (9 ივლისს) უმაღლესმა მთავარსარდლობამ შეცვალა წინანდელი გეგმა და მთავარი შეტევის განხორციელება დასავლეთის ფრონტის ნაცვლად სამხრეთ-დასავლეთ ფრონტს დაავალა. ეს გადაწყვეტილება დაგვიანებული აღმოჩნდა. 1916 წლის 15 (28) ივლისს **კოველის** მიმართულებით შეტევაზე გადასულ სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის ჯარებს მოწინააღმდეგემ ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია. ამასთან ერთად, თითქმის უმოქმედოდ იდგნენ დასავლეთისა და ჩრდილოეთის ფრონტების ჯარები. არც **ნ. რუზსკის**, რომელმაც ა. **კუროპატკინი** შეცვალა და არც ა. **ევერტს** არ შეეძლო ისე გაბედული მოქმედება, როგორც ამას ა. **ბრუსილოვი** აკეთებდა. ამის გამო **კოველისათვის** ბრძოლები გაჭიანურდა. რუსებმა **კოველის** აღება მხოლოდ 1916 წლის ოქტომბერში შეძლეს. სამაგიეროდ, ა. ბრუსილოვმა დიდი წარმატებები მოიპოვა **სამხრეთ გალიციასა** და **ბუკოვინაში**, მაგრამ მალე ბრძოლებმა ამ მიმართულებითაც პოზიციური ხასიათი მიიღო.

სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის ძალებით 1916 წლის მაის-ივნისში ა. ბრუსილოვმა განახორციელა გარღვევა და იმავე წლის შემოდგომაზე წარმოებული შეტევითი ოპერაციების შედეგად მწყობრიდან გამოიყვანა ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის არმიების რამდენიმე დივიზია და კორპუსი. გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ჯარებმა მოკლულთა სახით 1,5 მილიონი კაცი დაკარგეს, რუსებს ტყვედ ჩაუვარდათ 400 ათასი კაცი (მათ შორის 80 ათასი გერმანელი). რუსეთის არმიამ 500 ათასი კაცი დაკარგა. მიუხედავად ამისა, ამ სამხედრო ოპერაციის სტრატეგიული შედეგი არც ისე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. **მართალია, ბუკოვინაში, გალიციასა და ვოლინში რუსებმა წინ წაიწიეს 150 კილომეტრით, მაგრამ მოწინააღმდეგემ შეძლო პოზიციების შენარჩუნება კარპატებში. გერმანიისა** და **ავსტრია-უნგრეთის** არმიებმა **კიდევ შეინარჩუნეს ბრძოლისუნარიანობა.**

სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის მიერ 1916 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე წარმოებულმა შეტევითმა ოპერაციებმა დიდი შელავათი მისცა მოკავშირეებს. **განადგურებას გადაურჩა იტალიის არმია, შესუსტდა გერმანიის შეტევა ვერდენზე.** შედეგი შეიძლებოდა კიდევ უფრო დიდი ყოფილიყო, ინგლის-საფრანგეთის ჯარებს დასავლეთის ფრონტზე შეტევა ნაცვლად 1916 წლის 18 ივნისისა (1 ივლისის), ცოტა ადრე, რუსეთის არმიის შეტევის პარალელურად დაეწყოთ.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის წარმატებული შეტევის უშუალო შედეგი იყო 1916 წლის 14 (27) აგვისტოს ანტანტის მხარეზე **რუმინეთის** ჩაბმა ომში. რუმინეთის ომში ჩაბმამ მალე დიდი სირთულეები შეუქმნა რუსეთს. სამი თვის განმავლობაში **ბულგარეთის**, **თურქეთისა** და **ავსტრია-უნგრეთის** ჯარების შეტევის შედეგად რუმინეთის არმია განად-

გურდა. 1916 წლის 21 ნოემბერს რუმინეთის არმიამ რუმინეთის დედაქალაქი **ბუქარესტი** დატოვა და რუსეთის საზღვრისაკენ დაიხია. 1916 წლის 24 ნოემბერს (7 დეკემბერს) რუსეთის არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბმა შექმნა **სამხრეთის ფრონტი**, რომელსაც მალე **რუმინეთის ფრონტი** ეწოდა. რუმინეთის გადასარჩენად გაიგზავნა 46 დივიზია.

რუმინეთის ფრონტის შექმნით პირველი მსოფლიო ომის აღმოსავლეთის ფრონტის ხაზის სიგრძე 500 კილომეტრამდე გაიზარდა და იგი ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე გადაიჭიმა. 500 კილომეტრიანი მონაკვეთი ოთხ ფრონტად იყოფოდა. ეს ფრონტები იყო: **ჩრდილოეთის, დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის** და **რუმინეთის**.

1916 წლის დასასრულისათვის რუსეთის არმია ბრძოლისუნარიანობით არც გერმანიის და არც ავსტრია-უნგრეთის არმიას არ ჩამოუვარდებოდა. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმასაც, რომ რუსეთის არმიას ოთხივე ფრონტზე შეტევისათვის ხელსაყრელი პოზიცია ეკავა.

2. **მდგომარეობა ზურგში**. რუსეთის არმიის გამარჯვებები 1916 წელს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა იარაღითა და საბრძოლო საჭურვლით მომარაგების გაუმჯობესებამ. 1916 წლის ბოლოსათვის ყველა სახეობის შეიარაღების წარმოება 1914 წელთან შედარებით რამდენჯერმე გაიზარდა. 1916 წელს ყოველთვიურად ფრონტზე იგზავნებოდა 110 ათასი შაშხანა, 900 ტყვიამფრქვევი, 700 მსუბუქი ტიპის ქვემეხი, 1,5 მილიონზე მეტი საარტილერიო ყუმბარა.

სამხედრო მრეწველობის მიღწევები საერთო ჯამში ძვირად უჯდებოდა რუსეთს. ის ფაბრიკები და ქარხნები, რომლებიც სამხედრო შეკვეთებს არ ასრულებდნენ, უმძიმეს მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სარკინიგზო ტრანსპორტი, რომელიც აუცილებელი ლითონისა და საწვავის გარეშე დარჩა.

ეკონომიკური კრიზისის ყველაზე მძაფრ გამოვლინებას სასურსათო პრობლემა წარმოადგენდა. რუსეთის არმია ძირითადად გლეხობის ხარჯზე კომპლექტდებოდა, რის გამოც სოფლად გაჩნდა აუცილებელი მუშახელის დიდი დეფიციტი. მუშახელის ნაკლებობამ ნათესი ფართობების მკვეთრი შემცირება გამოიწვია. 1916 წელს ხორბლის წარმოება 1913 წელთან შედარებით 20%-ით შემცირდა. სასურსათო კრიზისი განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა დიდ ქალაქებში.

§ 5. **პოლიტიკური ვითარება რუსეთში რევოლუციის წინ (1916 წლის ბოლო – 1917 წლის დამდეგი).**

1. **შინაპოლიტიკური კრიზისი**. 1916 წლის დამდეგი აღსავსე იყო შესაძლო ცვლილებათა მოლოდინით. ხელისუფლება არ ჩქარობდა მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს მორიგი სესიის მოწვევას. სათათბიროს სესიის გახსნა 1916 წლის თებერვლის დამდეგისათვის დაინიშნა. ხელისუფლება ძირითად ყურადღებას მთავრობაში საკადრო ცვლილებებს უთმობდა. 1916 წლის 20 იანვარს (2 თებერვალს) იმპერატორმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ი. გორემიკინი** გადააყენა. მთავრობის თავმჯდომარე გახდა ტვერისა და იაროსლავის ყოფილი გუბერნატორი, 67 წლის **ბ. შტიურმერი**. ამ დანიშვნამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მთავრობის ახალი თავმჯდომარე არაფრით ყოფილა გამორჩეული. ამასთან, ბ. შტიურმერი ცნობილი იყო თავისი უკიდურესად მემარჯვენე შეხედულებებით და მისი მთავრობის თავმჯდომარედ დანიშვნა უკვე ბევრის მანიშნებელი იყო. გავრცელებული ხმების მიხედვით ბ. შტიურმერზე არჩევანი ნიკოლოზ II-მ **გრიგოლ რასპუტინის** თხოვნით შეაჩერა.

ბ. შტიურმერის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნას დიდი პროტესტით შეხვდა ოპოზიცია. 1916 წლის 9 (22) იანვარს, ერთწლიანი შესვენების შემდეგ, გაიხსნა **მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს** მორიგი სესია. სესიის პირველ სხდომას დაესწრო იმპერატორი. ნიკოლოზ II-მ თავის სიტყვაში ოპოზიციასა და ხელისუფლებას თანამშრომლობისაკენ მოუწოდა. ოპოზიცია კი კომპრომისზე წასვლას არ აპირებდა. იგი მხოლოდ სათათბიროთი არ აპირებდა შემოფარგვლას. ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიური მოღვაწეობა გაიშალა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ოპოზიციის გავლენის ქვეშ მოქცეულიყო. ამ დროისათვის ოპოზიციური მოძრაობის ცენტრად **მოსკოვი** იქცა.

1916 წლის 12-14 (25-26) მარტს მოსკოვში შედგა **რუსეთის ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობა**. ყრილობას ოპოზიციის ლიდერებიც დაესწრნენ. არმიის მომარაგების მდგომარეობის შესახებ ყრილობაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა **ნ. ნეკრასოვმა**. მან მთავრობის პოლიტიკას **„დანაშაულებრივი უმოქმედობა“** უწოდა. ომში გამარჯვების აუცილებელ პირობად ნ. ნეკრასოვმა ქვეყნის **„შინაგანი განახლება“** დასახა. მთელი რუსეთის რეზერვების ამოქმედები-

სა და ომში გამარჯვების მიზნით ნ. ნეკრასოვმა ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის გაერთიანებისა და **„კავშირთა კავშირის“** შექმნის იდეა წამოაყენა. „კავშირთა კავშირს“ ლეგალურ საფუძველზე უნდა გაეერთიანებინა დამოუკიდებლად მოქმედი ორგანიზაციები: ერობათა კავშირი, ქალაქთა კავშირი, სამხედრო-სამრეწველო კომიტეტები, კოოპერატიული, სავაჭრო-სამრეწველო, მუშათა და გლეხთა ორგანიზაციები. „კავშირთა კავშირის“ უპირველესი ამოცანა სასურსათო პრობლემის მოგვარება უნდა ყოფილიყო.

ოპოზიციური მოძრაობა, პირველ რიგში, თავისი რიგების გაერთიანებას ცდილობდა, რაც არც ისე ადვილი იყო.

1916 წლის აპრილის დამდეგს მოსკოვში ცოლ-ქმარ ე. **კუსკოვასა** და ს. **პროკოპოვიჩის** ბინაზე მემარცხენე კადეტის **დ. შახოვსკის** ინიციატივით შედგა საიდუმლო სხდომა. სხდომას კადეტების გარდა ესწრებოდნენ სოციალისტები — სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალ-დემოკრატები, მათ შორის ბოლშევიკებიც (ი. სკეორცოვ-სტეპანოვი). საიდუმლო თათბირის შედეგები დასამტკიცებლად გადაეცა კადეტთა ყრილობას. **სხდომაზე განიხილეს რუსეთის მომავალი მინისტრთა კაბინეტის (მთავრობის) შემადგენლობის საკითხი.** წინა სხდომებზე, ერთი წლის წინ, მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე მ. **როძიანკო** იყო დასახელებული, ამჯერად უპირატესობა **გ. ლვოვის** კანდიდატურას მიენიჭა. მინისტრთა თანამდებობები ასე განაწილდა: საგარეო საქმეთა მინისტრი — **პ. მილიუკოვი**, სამხედრო მინისტრი — **ა. გუჩკოვი**, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი — **ა. კონოვალოვი** (ან **ს. ტრეტიაკოვი**), იუსტიციის მინისტრი — **ვ. მაკლაკოვი** (ან **ვ. ნაბოკოვი**), შრომის მინისტრი **ლ. ლუტუგინი.**

ოპოზიციის ლიდერების მეორე საიდუმლო სხდომა 1916 წლის 30 აპრილს (13 მაისს) მოსკოვში, თავად **პ. დოლგორუკოვის** ბინაზე შედგა. სხდომაზე ბ. შტიურმერის მოღვაწეობა შეფასდა როგორც **„საზელმწიფო დანაშაული“** და **„ღალატი“. დ. შახოვსკიმ** მძიმე ბრალდება წაუყენა ხელისუფლებას. მან აღნიშნა: „როცა ომს იწყებდა ვილჰელმი (გერმანიის იმპერატორი — ავტ.), რუსეთში რევოლუციის შესახებ ოცნებობდა. ვილჰელმი სასტიკად მოტყუვდა, მაგრამ მას დახმარება აღმოუჩინეს ბატონებმა გორემიკინებმა, ხვოსტოვებმა, შტიურმერებმა. ხალხის პატრიოტული შემართება მათი მოღვაწეობის შედეგად შეიცვალა დიდი გაბოროტებით, მათ შექმნეს ქაოსი, მოშალეს ზურგი. მთავრობის ამ უდიდეს დანაშაულობებს მხოლოდ სახელმწიფო ღალატი შეიძლება ეწოდოს“. საიდუმლო სხდომის მონაწილეებმა გადაწყვიტეს, რომ ხელსაყრელ მომენტში ისინი საჯაროდ გამოსულიყვნენ, ემხილებინათ მთავრობა და მოეთხოვათ ხელისუფლების გადაცემა. სხდომაზე გამოსვლისას **პ. დოლგორუკოვმა** აღნიშნა: „ჩვენ ამჟამად ვულკანზე ვცხოვრობთ, აფეთქება შეიძლება ყოველ წუთს მოხდეს“. როგორც საიდუმლო სხდომის მასალებიდან ჩანს, რადიკალური ოპოზიცია მონარქიის მოსპობას არ აპირებდა, მზადდებოდა სახელმწიფო გადატრიალება, რომლის განხორციელებას სტიქიური სახალხო მღელვარების დაწყებას უკავშირებდნენ.

1916 წლის 8 (21) მაისს **ქალაქთა კავშირის ეკონომიკურ განყოფილებაში** გაიმართა თათბირი, რომელზეც შეიქმნა **საზოგადოებრივი ორგანიზაციების სასურსათო საქმეთა კომიტეტი.** ქალაქთა კავშირში გამართული თათბირი და მის მიერ შექმნილი სასურსათო საქმეთა კომიტეტი ოპოზიციის საიდუმლო ჩანაფიქრით გაცილებით დიდი, პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა იყო, ვიდრე გარეგნულად ჩანდა. თათბირს დაესწრნენ ოპოზიციის ცნობილი მოღვაწეები და, პრაქტიკულად, ყველა საზოგადოებრივი გაერთიანების წარმომადგენლები. კერძოდ, თათბირს ესწრებოდნენ: **ქალაქთა კავშირის, ერობათა კავშირის, ცენტრალური სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის, სავაჭრო-სამრეწველო, კოოპერატიული, სასოფლო-სამეურნეო და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები.** თათბირის მიერ არჩეული **საზოგადოებრივი ორგანიზაციების სასურსათო საქმეთა კომიტეტის** თავმჯდომარე გახდა კადეტი **მ. ფეოდოროვი.** კომიტეტი ჩაფიქრებული იყო როგორც რუსეთის მომავალი მთავრობა.

მ. ფეოდოროვი მაშინვე შეუდგა აქტიურ მოღვაწეობას. 1916 წელს მან თავის ბინაზე რამდენიმე საიდუმლო შეკრება გამართა. მიიღეს გადაწყვეტილება სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის შესახებ. ნიკოლოზ II უნდა გადაეყენებინათ და რუსეთის იმპერიის ტახტზე უნდა ასულიყო მისი 12 წლის ვაჟი **ალექსი,** ალექსის რეგენტი კი უნდა გამხდარიყო ნიკოლოზ II-ის უმცროსი ძმა დიდი მთავარი **მიხეილ ალექსანდრეს** ძე. **მ. ფეოდოროვის** ბინაზე გამართულ შეკრებას ესწრებოდნენ: **მ. როძიანკო, პ. მილიუკოვი, ა. გუჩკოვი, ს. შიდ-**

ლოვსკი, ა. შინგარიოვი, ი. გოდნევი, ნ. ნეკრასოვი, მ. ტერეშჩენკო. ყველანი ერთი აზრისა იყვნენ იმის შესახებ, რომ არსებული რეჟიმით უკმაყოფილებამ კულმინაციას მიაღწია და უახლოეს მომავალში მოსალოდნელი იყო დიდი სოციალური აფეთქება. აფეთქების თავიდან აცილება კი შესაძლებელი იყო მხოლოდ ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადაყენების გზით.

ამრიგად, სახელმწიფო გადატრიალება მეოთხე სათათბიროს კედლებს გარეთ მომზადდა, თუმცა სათათბიროს წევრები გადატრიალების მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდნენ.

მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში ოპოზიციის აქტიურობა ჯერჯერობით არცთუ ისე შესამჩნევი იყო. მიუხედავად ამისა, სათათბიროს როლი ოპოზიციურ მოძრაობაში მაინც დიდი აღმოჩნდა.

1916 წლის აპრილ-ივნისში რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დელეგაცია **ინგლისსა** და **საფრანგეთში** იმყოფებოდა. დელეგაციის შემადგენლობაში ოპოზიციის წარმომადგენლები ჭარბობდნენ. დელეგაციის შვიდი წევრი (მათ შორის პ. მილიუკოვი და ა. შინგარიოვი) სახელმწიფო სათათბიროს **„პროგრესულ ბლოკს“** განეკუთვნებოდნენ. **სახელმწიფო საბჭო** დელეგაციაში ექვსი წევრით იყო წარმოდგენილი, მათ შორის სამი (ვ. გურკო, ა. ვასილიევი და ა. ოლსუფიევი) ოპოზიციას მიემხრო. ვიზიტის მიზანი იყო ინგლისისა და საფრანგეთის პარლამენტარებისა და საზოგადოების გადაბირება ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ოპოზიციამ მიზანს მიაღწია. პ. **მილიუკოვს დასავლეთი თვლიდა ახალი რუსეთის ლიდერად.** აღსანიშნავია, რომ ნიკოლოზ II არ შეწინააღმდეგებია დელეგაციის ვიზიტს, რადგან სურდა, ამ გზით შეენელებინა ოპოზიციის გამოსვლა და საზოგადოებრივი აზრიც დაემშვიდებინა.

2. მონარქიის უკანასკნელი დღეები (1916 წლის დასასრული – 1917 წლის დამდეგი). 1916 წლის 1 ნოემბერს მუშაობას შეუდგა მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს მორიგი სესია. ამ დღეს სათათბიროს დარბაზში მოხდა ის, რასაც თანამედროვენი **„რევოლუციის შტორმულ სიგნალს“** უწოდებდნენ.

სახელმწიფო სათათბიროს სესიის გახსნისათვის ოპოზიცია საგანგებოდ ემზადებოდა. 1916 წლის ოქტომბრის დასასრულს პეტროგრადში გაიმართა **„პროგრესული ბლოკის“** ბიუროს რამდენიმე სხდომა. იხილებოდა სათათბიროს ოპოზიციის დეკლარაციის დამტკიცების საკითხი, რომელიც **პ. მილიუკოვმა** და **ვ. შულგინმა** შეადგინეს. მემარჯვენეების აზრით, დეკლარაციაში მთავარი უნდა ყოფილიყო **„არა შტიურმერის, არამედ სისტემის კრიტიკა“.** მართალია, დეკლარაციის ტექსტიდან ამოიღეს მემარცხენეების მიერ შემოთავაზებული „ხალხის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობის შექმნის“ მოთხოვნა, მაგრამ წარმოდგენილი ტექსტი ამის გარეშეც გამომწვევი იყო.

1916 წლის 25 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა **საგუბერნიო ერობათა წარმომადგენლების ყრილობა.** ყრილობამ თხოვნით მიმართა იმპერატორს, გადაეყენებინა „რეაქციული“ მთავრობა. ეს იყო უპრეცედენტო მოვლენა. რამდენიმე დღეში მსგავსი რეზოლუციები მიიღეს პეტროგრადში გამართულ **კადეტთა** და **პროგრესისტთა პარტიულ ფორუმებზე.** მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს სესიის გახსნის წინ სათათბიროს თავმჯდომარეს **მ. როძიანკოს** წერილით მიმართა რუსეთის ერობათა კავშირის თავმჯდომარემ **გ. ლვოვმა.** წერილში აღნიშნული იყო, რომ ვრცელდებოდა „ბოროტი ხმები გამცემლობისა და ღალატის შესახებ, იმ ფარული ძალების შესახებ, რომლებიც გერმანიის სასარგებლოდ მოქმედებდნენ“. ანალოგიური შინაარსის წერილი გაუგზავნა სათათბიროს რუსეთის ქალაქთა კავშირის თავმჯდომარემ **მ. ჩელნოკოვმა.** ოპოზიცია გაამხნევა ერთ-ერთ საზეიმო შეკრებაზე ინგლისის ელჩის **დ. ბიუკენენის** გამოსვლამ. ელჩმა ოპოზიციას პირდაპირ მოუწოდა „ომი გამარჯვებამდე მიეყვანა“ არა მარტო ფრონტებზე, არამედ ქვეყნის შიგნითაც.

ამრიგად, ოპოზიციის მოქმედება შეთანხმებული იყო სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ომში რუსეთის მოკავშირეებთან.

1916 წლის 1 ნოემბერს მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს სხდომა დაიწყო ოპოზიციის ღია შეტევით მთავრობაზე. „პროგრესული ბლოკის“ სახელით გამოსულმა ოქტიაბრისტთა პარტიის წევრმა **ს. შიდლოვსკიმ** განაცხადა, რომ ქვეყანას სჭირდებოდა ხალხის ნდობით აღჭურვილი მთავრობა, რომლის შექმნასაც ყველა საშუალებით ეცდებოდნენ. მემარცხენეთა წარმომადგენელმა **ა. კერენსკიმ** რუსეთის მინისტრებს გამცემლები და ქვეყნის ინტერესების გამყიდველები უწოდა. ოპოზიციის გამოსვლის კულმინაციას კი წარმოადგენდა **პ. მილიუკოვის** ცნობილი სიტყვა **„სისულელე თუ ღალატი?“** პ. მილიუკოვმა განაცხადა: „ჩვენ დავკარგეთ

რწმენა იმისა, რომ ხელისუფლება გამარჯვებამდე მიგვიყვანს". ხელისუფლების პოლიტიკის მკაცრად გაკრიტიკებისა და ამ პოლიტიკის დამღუპველი შედეგების წარმოჩინების შემდეგ პ. მილიუკოვმა დასვა კითხვა: **„რას ნიშნავს ეს: სისულელეს თუ ღალატს? ამოირჩიეთ, რომელიც გნებავთ. შედეგი ერთი და იგივეა".** პ. მილიუკოვის კრიტიკა ეხებოდა არა მარტო მთავრობას, არამედ იმპერატორის ოჯახსაც, კერძოდ, ნიკოლოზ II-ს და დედოფალ **ალექსანდრას**. ამით აღშფოთებულმა მონარქისტმა **მარკოვ მეორემ** პ. მილიუკოვს მიაძახა: „თქვენი სიტყვა რაღაა: სისულელე თუ ღალატი?" ამაზე **პ. მილიუკოვმა** მშვიდად უპასუხა: „ჩემი სიტყვა დამსახურებაა სამშობლოს წინაშე, რომლის მსგავსი თქვენთვის წარმოუდგენელია". **პ. მილიუკოვის მიერ მინისტრების, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, იმპერატორისა და დედოფლისადმი აშკარად თუ შეფარვით წაყენებულ ბრალდებაში მოყვანილი ფაქტების სიზწორე ისტორიკოსთა მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად არ დადასტურდა.** მოგვიანებით, ემიგრაციაში მყოფმა პ. მილიუკოვის თანამოაზრეებმა აღიარეს, რომ კადეტთა ლიდერის გამოსვლას წმინდა პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა და მის მიერ მოტანილი ფაქტების ჭეშმარიტება პ. მილიუკოვს არც აინტერესებდა.

1916 წლის 2 ნოემბერს პ. მილიუკოვის გამოსვლით შეურაცხყოფილმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. შტიურმერმა კადეტთა ლიდერის ცილისწამებისათვის პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა. ნიკოლოზ II-მ ამ მოთხოვნას მხარი დაუჭირა, მაგრამ ბ. შტიურმერის პრესტიჟის დაცვა ამ გზითაც შეუძლებელი გახდა. უახლოესი ნათესავები, დიდი მთავრები იმპერატორს ბ. შტიურმერის გადაყენებას ურჩევდნენ. 1916 წლის 10 (23) ნოემბერს ნიკოლოზ II-მ ბ. შტიურმერი გადააყენა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ა. **ტრეპოვი** დანიშნა. მთავრობის ახალ თავმჯდომარეს მანამდე გზათა მინისტრის თანამდებობა ეკავა. ა. ტრეპოვი „პროგრესული ბლოკის" პროგრამიდან ბევრ რამეს იზიარებდა.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში დანიშნული მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთაგან ა. ტრეპოვი მესამე იყო (მანამდე ამ თანამდებობაზე ი. გორემიკინი და ბ. შტიურმერი იმყოფებოდნენ). ა. ტრეპოვი მთავრობის თავმჯდომარედ მცირე ხანს – 1916 წლის 10 (23) ნოემბრიდან 1916 წლის 27 დეკემბრამდე (1917 წლის 9 იანვრამდე) იმყოფებოდა. კიდევ უფრო მცირე ხანს, 1916 წლის 27 დეკემბრიდან (1917 წლის 9 იანვრიდან) 1917 წლის 27 თებერვლამდე (13 მარტამდე), ამ თანამდებობაზე **ნ. გოლიცინი** იმყოფებოდა. ნ. გოლიცინი ნიკოლოზ II-ის მიერ დანიშნული მთავრობის უკანასკნელი თავმჯდომარე იყო. ა. ტრეპოვისა და ნ. გოლიცინის მთავრობების არსებობის პერიოდში იმპერატორზე დიდი გავლენით სარგებლობდა 1916 წლის სექტემბერში შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნული ა. **პროტოპოპოვი**.

ხელისუფლების კრიზისზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ იმპერატორმა მინისტრთა საბჭოს ოთხი თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა ექვსი მინისტრი, ოთხი სამხედრო მინისტრი და ოთხი იუსტიციის მინისტრი შეცვალა. **ნიკოლოზ II აუცილებელ კონტროლს ვერ უწევდა მთავრობის მოღვაწეობას.** უმაღლეს მთავარსარდლად ყოფნის 19 თვის განმავლობაში იმპერატორი 9 თვე იმყოფებოდა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში, 6 თვე – პეტროგრადში, ხოლო 4 თვე მოგილიევს, ცარსკოე სელოსა და პეტროგრადს შორის მიმოსვლას მოანდომა.

1916 წლის 16-17 დეკემბერს ღამით შეთქმულებმა მოკლეს **გრიგოლ რასპუტინი**. ამის შემდეგ ისედაც განმარტოებული და დეპრესიაში მყოფი ნიკოლოზ II საერთოდ განმარტოვდა. იმპერატორი ოჯახთან ერთად ძირითადად **ცარსკოე სელოში** ცხოვრობდა და იშვიათად უკავშირდებოდა ა. პროტოპოპოვს. მონარქის სოციალური დასაყრდენი სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა.

1917 წლის 6 (19) იანვარს ნიკოლოზ II-მ ხელი მოაწერა **რესკრიპტს** მთავრობისადმი. მასში აღნიშნული იყო, რომ რუსეთს **ომში საბოლოო გამარჯვებამდე** უნდა ებრძოლა. იმპერატორი მთავრობას მიზნად უსახავდა არმიისა და მოსახლეობის სურსათით მომარაგებას და ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის გაუმჯობესებას. ნიკოლოზ II იმედს გამოთქვამდა, რომ საკანონმდებლო ორგანოები (სახელმწიფო საბჭო, სახელმწიფო სათათბირო), ერობები და საზოგადოება მხარში ამოუდგებოდნენ მთავრობას.

ნიკოლოზ II ვერ გრძნობდა, რომ ოპოზიციის გააქტიურებასთან ერთად სულ უფრო ძლიერდებოდა სხვადასხვა სოციალური ფენების უკმაყოფილება, იზრდებოდა დაპირისპირება სოციალურ ფენათა შორის. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისიდან სულ ფრონტზე გაიწვიეს

15 მილიონი კაცი, რომელთაგან 1,7 მილიონი დაიღუპა. ეკონომიკური კრიზისის გამო დაიხურა დაახლოებით 650 სამრეწველო საწარმო. მარტო 1916 წლის შემოდგომაზე აღინუსხა 273 გაფიცვა, რომელშიც 300 ათასი კაცი მონაწილეობდა. 1917 წლის იანვარში მომხდარი 371 გაფიცვიდან 228 პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. 1917 წლის თებერვალში მოხდა 959 გაფიცვა, რომელთაგან 912 პოლიტიკური ხასიათისა იყო. სულ 1917 წლის თებერვალში კი გაფიცული იყო 450 ათასი კაცი.

1916 წლის დასასრულს და 1917 წლის დამდეგს განსაკუთრებით აქტიურობდა პეტროგრადში მოქმედი **ცენტრალური სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის მუშათა ჯგუფი**. ჯგუფმა 1917 წლის 26 იანვარს თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობისაკენ მოუწოდა მოსახლეობას. 1917 წლის 28 იანვარს შინაგან საქმეთა მინისტრ ა. პროტოპოპოვის განკარგულებით ცენტრალური სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის მუშათა ჯგუფის აქტივისტები დააპატიმრეს. ნიკოლოზ II-ის მითითებით შემუშავდა მანიფესტის პროექტი, რომელშიც აღნიშნული იყო მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დათხოვისა და წლის ბოლომდე ახალი არჩევნების ჩატარების შესახებ.

ოპოზიცია ძალზე გააღიზიანა იმპერატორის მანიფესტის შინაარსმა. **გადაწყდა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის დაჩქარება**. შეთქმულების ხელმძღვანელობამ თავისი რიგები გაიფართოვა. სახელმწიფო გადატრიალების მზადებისათვის მოქმედ ჯგუფს შეუერთდნენ: უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსი გენერალი მ. **ალექსეევი**, ჩრდილო-დასავლეთ ფრონტის მთავარსარდალი გენერალი **ნ. რუზსკი**, გენერალი ა. **კრიმოვი** და სხვა მაღალჩინოსანი სამხედროები.

მაგრამ შეთქმულები გამოსვლის დაწყებას ვერ ბედავდნენ, რადგან სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას შეიძლებოდა დიდი სახალხო მღელვარება მოჰყოლოდა.

ამრიგად, პირველმა მსოფლიო ომმა რუსეთის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური განვითარება სულ სხვა გზით წაიყვანა, ვიდრე ეს მშვიდობიანი განვითარების დროს მოხდებოდა. რუსეთის იმპერია დიდი სოციალური აფეთქების საშიშროების წინაშე დადგა.

თავი VI. რუსეთის კულტურა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგს

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დამდეგის კულტურის განვითარებას დიდი დაასვა რთულმა ეპოქამ — პოლიტიკურმა და სოციალურმა პროცესებმა. მიუხედავად ამისა, რუსული კულტურა აგრძელებდა იმ დიდ ტრადიციებს, რომელსაც საფუძველი XIX საუკუნეში ჩაეყარა.

1. **განათლება**. სახალხო სკოლების ქსელის გაფართოება, რაც XIX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო, შემდგომში შენელდა. 90-იანი წლების შუა ხანებიდან შეინიშნება სახალხო სკოლების ზრდის ტემპის შემცირება. 1905 წლის რევოლუციური გამოსვლების გავლენით სახალხო განათლების სამინისტრო იძულებული გახდა მეორე სახელმწიფო სათათბიროში შეეტანა პროექტი „რუსეთის იმპერიაში საყოველთაო დაწყებითი განათლების შემოღების შესახებ". პროექტმა კანონის ძალა ვერ მიიღო.

დაწყებითი სკოლების რიცხვის ზრდის მიუხედავად სკოლების საერთო რაოდენობა ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. XX საუკუნის დამდეგს ყოველწლიურად დაახლოებით 2 ათასი ახალი სკოლა იხსნებოდა, მაშინ როცა საჭირო იყო 5 ათასი.

1864 წლის სასკოლო რეფორმიდან 1914 წლამდე დაწყებით განათლებას იღებდა სასკოლო ასაკის ბავშვთა მხოლოდ ნახევარი. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში წერა-კითხვის უცოდინარობა უკვე ლიკვიდირებული იყო. რუსეთში XX საუკუნის დამდეგისათვის რვა წლის ასაკზე უფროსი ბავშვების მხოლოდ 40%-მა იცოდა წერა-კითხვა. 1918 წლისათვის წიგნიერი იყო მუშათა 64%, ხოლო გლეხთა 30%.

რუსეთში დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა კადრების მომზადება ძირითადად **სამასწავლებლო სემინარიების** საშუალებით ხდებოდა. 1917 წელს რუსეთში 170 სამასწავლებლო სემინარია მოქმედებდა, მათგან უმრავლესობა (145 სემინარია) მამაკაცი მასწავლებლების მომზადებას ემსახურებოდა. საქალაქო და სამაზრო სკოლებისათვის მასწავლებლებს ამზადებდა **სამასწავლებლო ინსტიტუტები**. 1917 წელს რუსეთის იმპერიაში 47 სამასწავლებლო ინსტიტუტი მოქმედებდა. გიმნაზიებისათვის მასწავლებლებს ძირითადად **უნივერსიტეტები** ამზადებდა.

უმაღლესი განათლების ძირითად კერებს **უნივერსიტეტები** წარმოადგენდნენ. მათი რიცხვი XIX საუკუნის მეორე ნახევართან შედარებით არ გაზრდილა. 1909 წელს ერთადერთი ახალი უნივერსიტეტი **სარატოვში** გაიხსნა. სამაგიეროდ, გაიზარდა სტუდენტთა რიცხვი. XIX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებში უნივერსიტეტების სტუდენტთა რიცხვი უდრიდა 14 ათასს, 1907 წელს კი რუსეთის იმპერიის უნივერსიტეტებში 35,3 ათასი სტუდენტი სწავლობდა.

უმაღლესი განათლების კერას წარმოადგენდა **კერძო უმაღლესი სასწავლებლებიც**. ასეთთა რიცხვს განეკუთვნებოდა: ვ. **ბეხტერევის სახელობის ფსიქონევროლოგიური ინსტიტუტი, პ. ლესგაფტის თავისუფალი უმაღლესი სკოლა** და სხვ.

XX საუკუნის დამდეგს გაიხსნა რამდენიმე **უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებელი**, მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ 1903 წელს პეტერბურგში დაარსებული **ქალთა პედაგოგიური ინსტიტუტი**. XX საუკუნის დამდეგისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალთა უმაღლესი

კონსტანტინე ციოლკოვსკი

ივანე ბუნინი

სასწავლებლების რაოდენობა. ამ დროისათვის რუსეთის იმპერიაში ქალთა 30 უმაღლესი სასწავლებელი მოქმედებდა.

2. **მეცნიერება.** XX საუკუნის დამდეგი და მომდევნო წლები აღინიშნა მეცნიერების შემდგომი აღმავლობით. ამ ეპოქის რუსული მეცნიერების მიღწევებიც XIX საუკუნის მეორე ნახევრის მიღწევებს დაეფუძნა.

XX საუკუნის დამდეგისათვის საავიაციო მრეწველობა არ არსებობდა. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს ააგეს **პირველი რუსული თვითმფრინავი.** რუსეთის მთავრობა ამის შემდეგაც აგრძელებდა უცხოური თვითმფრინავების შესყიდვას. 1913 წელს პეტერბურგში **რუსეთ-ბალტიის ქარხანაში** დაიწყო რუსული კონსტრუქციის თვითმფრინავების („რუსული ვეფხვის", „ილია მურომეცის") სერიული წარმოება. 1911 წელს რუსეთში დაამზადეს **პირველი პარაშუტი.**

XX საუკუნის დამდეგს მოღვაწეობას აგრძელებდა **კ. ციოლკოვსკი.** 1903 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში მან ჩამოაყალიბა **რაკეტების** მოძრაობის არსი. კ. ციოლკოვსკიმ თავის შრომებში საფუძველი ჩაუყარა **კოსმოსური ფრენის თეორიას.**

დიდი მიღწევები აღინიშნა **ფიზიკის** დარგში. ფიზიკის რუსული სკოლის ფუძემდებელმა **პ. ლებედევმა** დიდი წვლილი შეიტანა **ფარდობითობის თეორიის** დამუშავებაში. მისი გამოკვლევები შეეხო **კვანტური ფიზიკისა** და **ასტროფიზიკის** პრობლემებს. გამოჩენილი მეცნიერი **ბ. გოლიცინი** ითვლება **სეისმოლოგიის,** როგორც მეცნიერების, ფუძემდებლად.

ვ. ვერნადსკიმ რუსეთში საფუძველი ჩაუყარა **გეოქიმიურ, ბიოქიმიურ** და **რადიოგეოლოგიურ** კვლევებს. ვ. ვერნადსკის მეცნიერულ ინტერესთა სფერო ძალზე დიდი იყო.

მსოფლიო რეზონანსი პოვა რუსი ფიზიოლოგის **ი. პავლოვის** აღმოჩენებმა. მან შექმნა მოძღვრება **პირობითი რეფლექსების** შესახებ. რუს მეცნიერთა შორის ი. პავლოვს 1904 წელს პირველს მიენიჭა ნობელის პრემია. 1908 წელს მეორე რუს მეცნიერს **ი. მეჩნიკოვს იმუნოლოგიის** სფეროში შესრულებული გამოკვლევებისათვის ასევე მიენიჭა ნობელის პრემია.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით: ეკონომისტსა და ისტორიკოსს **მ. ტუგან-ბარანოვსკის,** ისტორიკოსებს **ს. პლატონოვს, ნ. პავლოვ-სილვანსკის, ვ. სემევსკის,** ლიტერატურათმცოდნეებს **ს. ვენგეროვსა** და **ა. პიპინს.**

XIX საუკუნის დასასრულიდან და XX საუკუნის დამდეგიდან რუს ფილოსოფოსთა შორის ფართოდ გავრცელდა **ანტიდარვინისტული** მიმდინარეობა. ანტიდარვინისტული მიმდინარეობის ცნობილი წარმომადგენელი იყო **ვ. როზანოვი.** რუსული რელიგიური ფილოსოფიის გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ: **ვლ. სოლოვიოვი, ს. ბულგაკოვი, ე. ტრუბეცკოი** და სხვები.



ივანე პავლოვი

რელიგიურმა ფილოსოფიამ დიდი გავლენა იქონია მხატვრულ კულტურაზე.

3. **ლიტერატურა.** XX საუკუნის დამდეგისათვის მოღვაწეობას აგრძელებდნენ **ლევ ტოლსტოი** და **ანტონ ჩეხოვი**. 1899 წელს გამოქვეყნდა ლევ ტოლსტოის უკანასკნელი რომანი „აღდგომა". ანტონ ჩეხოვმა შექმნა თავისი საუკეთესო ნაწარმოებები: „ჩემი ცხოვრება", „საცოლე", „ალუბლის ბაღი" და სხვ.

XIX საუკუნის 90-იან წლებში იწყება **მაქსიმ გორკის** შემოქმედებითი მოღვაწეობა. მისი პირველი მოთხრობა იყო „მაკარ ჩუდრა". ამავე პერიოდში გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე **ივანე ბუნინი** და **ალექსანდრე კუპრინი** – XX საუკუნის რუსული რეალისტური ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენლები.

4. **მუსიკა.** XX საუკუნის დამდეგისათვის მოსკოვისა და პეტროგრადის შემდეგ კონსერვატორიები გაიხსნა **სარატოვში, ოდესაში, კიევში**. ამ პერიოდისათვის შემოქმედებით მოღვაწეობას აგრძელებდა **ნ. რიმსკი-კორსაკოვი**. შესანიშნავი ნაწარმოებები შექმნეს **ს. რახმანინოვმა** და **ა. სკრიაბინმა**.

5. **მხატვრობა.** XX საუკუნის დამდეგიდან რუსული მხატვრობის სახეს განსაზღვრავდნენ: **მ. ვრუბელი, კ. კოროვინი, მ. ნესტეროვი, ვ. სეროვი**. მ. ვრუბელის შემოქმედებაში ჭარბობდა ზღაპრული სამყარო. კ. კოროვინი რუსული სიმბოლიზმის ცნობილი წარმომადგენელი იყო. ვ. სეროვის შემოქმედებაში უმთავრესი კვლავ პორტრეტი იყო.

6. **თეატრი და კინო.** 1898 წელს მოსკოვის **სამხატვრო თეატრის** გახსნა დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო. თეატრის სათავეებთან იდგნენ **კ. სტანისლავსკი** და **ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო**.

კონსტანტინე სტანისლავსკი

1896 წელს პეტერბურგში დაიწყო პირველი **ფილმების** ჩვენება. მომდევნო წელს პირველი ფილმი აჩვენეს მოსკოვში. 1907-1908 წლებში დაიწყო პირველი რუსული გასართობი ფილმების გადაღება. მოსკოვში ააგეს კინოფაბრიკა და რამდენიმე კინოთეატრი. პირველ რუსულ გასართობ ფილმებს განეკუთვნება **„პიკის ქალი"** და სხვ.

თავი VII. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუცია

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ რუსეთში მონარქიული წყობილება დაამხო და დასაბამი მისცა სრულიად განსხვავებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს, რომელთაც ბოლოს სახელმწიფოებრიობის კრიზისი გამოიწვიეს.

§ 1. სახალხო მღელვარება პეტროგრადში 1917 წლის 23-26 თებერვალს.

რევოლუცია რუსეთში მოულოდნელად დაიწყო. მოულოდნელი იყო იგი არა მარტო ხელისუფლებისათვის, არამედ ოპოზიციისთვისაც, აღარაფერს ვამბობთ რუსეთის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობაზე.

1917 წლის 22 თებერვალს (7 მარტს) რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II ქალაქ **მოგილევში** გაემგზავრა, სადაც უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი იმყოფებოდა. იმპერატორის მატარებელს ყველა სადგურზე მოზეიმე ხალხი ხვდებოდა. პეტროგრადიდან გამგზავრების წინ ნიკოლოზ II-ს ეჭვიც კი არ ჰქონია იმისა, რომ მალე დედაქალაქში დიდი გამოსვლები დაიწყებოდა.

გამოსვლები პეტროგრადში იმპერატორის გამგზავრებიდან მეორე დღესვე – 1917 წლის 23 თებერვალს (8 მარტს) დაიწყო. ქალთა საერთაშორისო დღეს ქუჩაში გამოსულმა ქალებმა მოსახლეობას მოუწოდეს დაეწყოთ გაფიცვა პურის დეფიციტისა და ფასების გაძვირების გამო. ქუჩაში გამოსულ ქალებს მამაკაცებიც შეუერთდნენ. სულ იმ დღეს გაფიცულთა რაოდენობამ 128 ათასს მიაღწია. 23 თებერვალს (8 მარტს) პოლიტიკური მოთხოვნები მომიტინგეებსა და დემონსტრანტებს არ წამოუყენებიათ.

23 თებერვალს (8 მარტს) დაწყებული გაფიცვისას, პეტროგრადის ზოგიერთ რაიონში (მაგალითად, ვიბორგის მხარეს), დემონსტრანტებმა დაარბიეს მაღაზიები და შეაფერხეს ტრანსპორტის მოძრაობა. იყო პოლიციის განიარაღების შემთხვევებიც.

ამავე დღეს, საღამო ხანს, დემონსტრანტებმა პოლიციის კორდონები გაარღვიეს და პეტროგრადის ცენტრში გაიჭრნენ. ამ დროისათვის **თავრიდის სასახლეში** მიმდინარეობდა სახელმწიფო სათათბიროს სხდომა (მეთხუთე სახელმწიფო სათათბიროს მორიგი სესია 1917 წლის 14 თებერვალს გაიხსნა). სათათბიროს დეპუტატები განიხილავდნენ დედაქალაქში შექმნილ მდგომარეობას. სათათბირო მთავრობისაგან სურსათის მომარაგების გაუმჯობესების მიზნით გადამწყვეტი ღონისძიებების გატარებას ითხოვდა.

ამ დროისათვის (საღამო ხანს) პოლიციამ პეტროგრადის ცენტრი დემონსტრანტებისაგან გაწმინდა. შინაგან საქმეთა მინისტრის ა. **პროტოპოპოვის** მოთხოვნით პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა გენერალმა ს. **ხაბალოვმა** მოსახლეობის დამშვიდების მიზნით გამოაქვეყნა მიმართვა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ პური დედაქალაქში საკმაო რაოდენობით იყო.

23 თებერვლის გამოსვლების დასრულების შემდეგ ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ვითარება დედაქალაქში მის კონტროლს ექვემდებარებოდა. **არც პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა, არც ოპოზიციამ და არც სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებმა** არ იცოდნენ, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები. ოპოზიციის ყველაზე რადიკალურმა ნაწილმაც კი ლოდინის ტაქტიკა აირჩია. ასევე მოიქცნენ ექსტრემისტი-რევოლუციონერებიც. რუსეთის ბოლშევიკთა ლიდერი ვ. **ლენინი** ემიგრაციაში იმყოფებოდა და საქმის კურსში არ იყო, თუ რა ხდებოდა რუსეთში. რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის **რუსეთის ბიუროსა** და რსდმპ (ბ) **პეტროგრადის კომიტეტს** მუშებსა და ჯარისკაცებში თითქმის არავითარი გავლენა არ ჰქონდათ. არც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის **მენშევიკურ ფრაქციას** ჰქონდა დიდი გავლენა, მაგრამ ბოლშევიკებთან შედარებით მენშევიკებს ძლიერი პოზიცია ეჭირათ იმით, რომ მათ თავიანთი დეპუტატები ჰყავდათ მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში. სრულ მზადყოფნაში იყვნენ **კონსტიტუციური დემოკრატები (კადეტები), ოქტიაბრისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები (ესერები)** და **ანარქისტები**.

1917 წლის 24 თებერვალს დილიდან ჯარის ნაწილებმა პეტროგრადის ცენტრალური ნაწილის დემონსტრანტებისაგან დაცვის მიზნით კორდონების მოწყობა დაიწყეს. 24 თებერვალს შუადღისათვის უკვე გაფიცული იყო 200 ათასი კაცი, გაფიცულთა რაოდენობა სულ უფრო იზრდებოდა. გაფიცულ მუშებს სტუდენტებიც შეუერთდნენ. პოლიციამ და ჯარმა ვერ აღკვეთა დემონსტრანტების გაჭრა ქალაქის ცენტრისაკენ. მიტინგებზე გამოსული პეტროგრადის გარნიზონის ჯარისკაცები და კაზაკები გმობდნენ ომს, უდიერად იხსენებდნენ იმპერატორსა და მის მინისტრებს. 24 თებერვალს

ძიძდინარე მინისტრთა საბჭოს სხდომაზე გამოითქვა აზრი, რომ ის, რაც დედაქალაქში ხდება, სულაც არ ეხება მთავრობას. მთავრობის წევრთა აზრით, წესრიგის დაცვა პეტროგრადში ა. **პროტოპოპოვისა** და ს. **ხაბალოვის** საზრუნავი იყო.

ნიკოლოზ II-ს პეტროგრადში მიმდინარე დემონსტრაციებისათვის თავდაპირველად დიდი ყურადღება არ მიუქცევია. 1917 წლის 25 თებერვალს, მას შემდეგ რაც იმპერატორი გაეცნო პეტროგრადიდან ს. ხაბალოვის მიერ გაგზავნილ ტელეგრამასა და რამდენიმე მინისტრის მოხსენებას, ს. ხაბალოვს ასეთი შინაარსის ბრძანება გაუგზავნა: **„ხვალვე აღკვეთეთ დედაქალაქში უწესრიგობა, რომელიც დაუშვებელია გერმანიასა და ავსტრიასთან ომის პირობებში“.** ტელეგრამის მიღებისთანავე ს. ხაბალოვმა შესაბამისი განკარგულებები გასცა.

26 თებერვალს, კვირას, პეტროგრადის ცენტრალური რაიონები და გარეუბნებიდან ცენტრისაკენ მიმავალი გზები ჯარის ნაწილებმა დაიკავეს. ამ დღეს დემონსტრანტთა რაოდენობა შედარებით მცირე იყო. მათი უმრავლესობა შეგროვდა ალექსანდრე III-ის ძეგლთან. დემონსტრანტები გაპყვიროდნენ: „ძირს ომი!“, „ძირს მეფე!“, „პური და მშვიდობა!“.

26 თებერვალს, ნაშუადღევის 5 საათზე, ნევის პროსპექტზე დემონსტრანტებს ჯარმა ცეცხლი გაუხსნა. ალექსანდრე III-ის ძეგლთან შეკრებილ მომიტინგეთაგან დაიჭრა და დაიღუპა 30 კაცი. მოკლულები და დაჭრილები იყვნენ ქალაქის სხვა ადგილებშიც. 26 თებერვალსავე მოხდა მეტად ღირსშესანიშნავი მოვლენა — **პეტროგრადის ზოგიერთ რაიონში ჯარისკაცებმა დემონსტრანტებსა და მომიტინგეებს არ ესროლეს.** პავლოვსკის გვარდიული პოლკის მეოთხე ასეულმა უარი განაცხადა და ყაზანის ტაძრისაკენ მიმავალ დემონსტრანტებს გზა არ გადაუღობა. გადაწყდა მეოთხე ასეულის პოლიციით შეცვლა. ეს ჯარისკაცებმა არ დაუშვეს და პოლიციას ცეცხლი გაუხსნეს. **ჯარის დაუმორჩილებლობა ხელისუფლებისათვის ცუდის მომასწავებელი იყო.**

§ 2. **მონარქიის დამხობა (1917 წლის 27 თებერვალი — 3 მარტი).**

27 თებერვალი რევოლუციის გადამწყვეტი დღე იყო. **სულ უფრო მზარდმა მუშათა გამოსვლებმა, დემონსტრანტებისა და მომიტინგეების შეუპოვრობამ და სიკვდილის საფრთხის წინაშე შეუდრეკელობამ შეცვალა პეტროგრადის გარნიზონის ჯარისკაცთა განწყობილება.** ბრძანების შესრულებისას ჯარისკაცები ყოყმანობდნენ, აშკარად თანაუგრძნობდნენ ქუჩაში გამოსულ ხალხს. პეტროგრადში განლაგებული პოლკების უმრავლესობა გვარდიული იყო. გვარდია რუსეთის არმიის ელიტარულ სამხედრო ნაწილს წარმოადგენდა. ომის წლებში პეტროგრადის გარნიზონში მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. სათადარიგო ბატალიონებში ბევრი ისეთი ჯარისკაცი ირიცხებოდა, რომელთაც ფრონტზე მიღებული ჭრილობების შემდეგ ხანმოკლე შვებულება მიიღეს და მალე ისევ მოქმედ არმიაში უნდა დაბრუნებულიყვნენ. **ამ ჯარისკაცებმა თავის დროზე გამოცადეს ომის საშინელება და აღარც ფრონტზე დაბრუნება სურდათ** და აღარც ომი. სათადარიგო ბატალიონების ჯარისკაცთა განწყობილება გვარდიულ პოლკებსაც გადაედო. სათადარიგო ბატალიონების გარდა გვარდიულ პოლკებთან შექმნილი იყო ე.წ. „სასწავლო ასეულები“, სადაც ფრონტისათვის უმცროს ოფიცრებს ამზადებდნენ. სასწავლო ასეულების კურსანტთა შორის ბევრი იყო ფრონტზე ხანგრძლივი დროით ნამყოფი ჯარისკაცი. ფრონტის საშინელებანი მათაც კარგად იცოდნენ და ამიტომ სულაც არ ჩქარობდნენ მოქმედ არმიაში დაბრუნებას. ომის საწინააღმდეგო განწყობილება დღითიდღე იზრდებოდა სასწავლო ასეულების კურსანტთა შორისაც, რაც ასევე გავლენას ახდენდა გვარდიის სულისკვეთებაზე.

1917 წლის 27 თებერვალს დილით ვ**ოლინის გვარდიული პოლკის** სასწავლო ასეულში ჯარისკაცთა ამბოხება დაიწყო. ჯარისკაცებმა მოკლეს ოფიცერი, ხელთ იგდეს იარაღი და ქუჩაში გამოვიდნენ. მათ აგიტაცია გააჩაღეს **ლიტვისა** და **პრეობრაჟენსკის გვარდიული პოლკების** ჯარისკაცთა შორის. მალე პეტროგრადში ჯარისკაცთა მასობრივი გამოსვლები დაიწყო. 27 თებერვლის დილას დედაქალაქში უკვე 25 ათასი ჯარისკაცი იყო ამბოხებული, საღამოს მათი რიცხვი 70 ათასამდე გაიზარდა, რაც პეტროგრადის გარნიზონის ნახევარს შეადგენდა. ამბოხებული ჯარისკაცები არბევდნენ საპოლიციო უბნების შენობებს, დაიწყო ოფიცრებისა და პოლიციის მოხელეთა დევნა, ბევრი მათგანი ქუჩაშივე დახვრიტეს. ამბოხებულებმა დაარბიეს მაღაზიები, სურსათის საწყობები, არსენალები, ხელთ იგდეს იარაღი. მალე აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა **საოლქო სასამართლო** და **ციხეები (საპყრობილეები).** საპყრობილეებიდან გათავისუფლებულთა შორის მცირე რაოდენობით იყვნენ რევოლუციონერები, მათი დიდი

ნაწილი სისხლის სამართლის დამნაშავეებს წარმოადგენდა.

27 თებერვალს სრულიად აშკარა გახდა, რომ ხელისუფლება უსუსური იყო წინ აღდგომოდა მასობრივ სახალხო გამოსვლებს. პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის გენერალ ს. ხაბალოვის ბრძანებები არ სრულდებოდა. სულ უფრო მცირდებოდა ხელისუფლების ერთგული ჯარების რაოდენობა. 27 თებერვალს ს. ხაბალოვს მხოლოდ იზმაილოვის გვარდიული პოლკისა და პოლკოვნიკ კუტეპოვის რაზმის იმედი შეიძლებოდა ჰქონოდა.

27 თებერვალს ამბოხებულ ჯარისკაცთა ნაკადმა მოსკოვის გვარდიული პოლკის კორდონი გაარღვია, ფინეთის ვაგზალს მიაღწია და იქ მყოფ მუშებს შეუერთდა. მუშები კარისკაცებს შეხვდნენ წითელი დროშებით და ლოზუნგებით: „ძირს თვითმპყრობელობა!", „გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!".

მთელს პეტროგრადში ანადგურებდნენ რუსეთის იმპერიის სახელმწიფო სიმბოლიკას. იმპერიის გერბი — ორთავიანი არწივი — მასობრივად ქრებოდა შენობათა ფასადებიდან.

27 თებერვალს, შუადღისას, ამბოხებულ ჯარისკაცთა და მუშათა კოლონებმა **თავრიდის სასახლეს** მიაღწია, სადაც შეკრებილი იყვნენ მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრები და პოლიტიკური პარტიების ლიდერები. თავრიდის სასახლეში თავი მოიყარა სამხედრო ნაწილებიდან, ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან გამოგზავნილმა წარმომადგენლებმაც. სოციალისტების წინადადებით შეიქმნა **პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი**. აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლუციონერები: **ნ. ჩხეიძე, ა. კერენსკი, მ. სკობელევი, ნ. სუხანოვი, ნ. კაპელინსკი, ე. სოკოლოვსკი, პ. კრასიკოვი, პ. ალექსანდროვიჩი, კ. გვოზდევი, ნ. სოკოლოვი, კ. გრინევიჩი, გ. პანკოვი, პ. ზალუცკი, ა. შლიაპნიკოვი**. დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის 15 წევრიდან მხოლოდ ორი (პ. ზალუცკი და ა. შლიაპნიკოვი) იყო ბოლშევიკი.

1917 წლის 27 თებერვლის საღამოს, თავრიდის სასახლეში შედგა პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. განიხილეს ქვეყნის თავდაცვისა და სურსათით მომარაგების საკითხი. იმავდროულად თავრიდის სასახლეში მიმდინარეობდა იმპერატორის მიერ წინა დღეს დათხოვნილი **მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების არაოფიციალური სხდომა**. სათათბიროს დეპუტატების ნაწილმა ნიკოლოზ II-ის 1917 წლის 26 თებერვლის ბრძანებულება — აპრილის ბოლომდე სათათბიროს მუშაობის შეწყვეტის შესახებ — მხოლოდ 27 თებერვალს, თავრიდის სასახლეში გამოცხადების შემდეგ შეიტყო. სათათბიროს დეპუტატების ერთი ნაწილი, მათ შორის ა. **კერენსკი**, იმპერატორის ბრძანებულების ბოიკოტსა და სათათბიროს სესიის გაგრძელებას მოითხოვდა. ბოლოს კომპრომისის მიღწევა შესაძლებელი გახდა. გადაწყდა, შექმნილიყო საგანგებო ორგანო ასეთი სახელწოდებით — **„დედაქალაქში წესრიგის დაცვისა და პიროვნებებთან და დაწესებულებებთან ურთიერთობის სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტი"**. სახელმწიფო სათათბიროს დროებით კომიტეტს სათავეში ჩაუდგა მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე **მ. როძიანკო**. კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ: **პ. მილიუკოვი, ნ. ნეკრასოვი, ა. კონოვალოვი, ს. შიდლოვსკი, ვ. შულგინი, ი. დმიტრიუკოვი, მ. კარაულოვი, ვ. ლვოვი, ვ. რჟევსკი**. სახელმწიფო სათათბიროს დროებით კომიტეტში რევოლუციური დემოკრატიის წარმომადგენლების სახით შევიდნენ ასევე სოციალ-დემოკრატი **მენშევიკი ნ. ჩხეიძე** და ტრუდოვიკი **ა. კერენსკი**. ნ. ჩხეიძე და ა. კერენსკი პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებსაც ესწრებოდნენ და სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტის სხდომებსაც.

სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტი ცდილობდა ხელში აეღო მთელი ძალაუფლება პეტროგრადსა და მთელს რუსეთში. დროებითმა კომიტეტმა პირველ რიგში, კონტროლი დაამყარა ტელეგრაფზე და პეტროგრადის რკინიგზის ვაგზლებზე. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა **ა. ბუბლიკოვმა**, რომელიც სათათბიროს დროებითმა კომიტეტმა ტრანსპორტის კომისრად დანიშნა, მთელ ქვეყანაში დაგზავნა ტელეგრამები. ა. ბუბლიკოვმა რუსეთის მოსახლეობას აცნობა მომხდარი რევოლუციის შესახებ და მოუწოდა, ზედმიწევნით ზუსტად შეესრულებინათ ახალი ხელისუფლების განკარგულებანი.

რუსეთის მინისტრთა საბჭო **ნ. გოლიცინის** თავმჯდომარეობით 1917 წლის 27 თებერვალს სასწრაფოდ შეიკრიბა თავის საგანგებო სხდომაზე. გადაწყდა, ავადმყოფობის მიზეზით, შინაგან საქმეთა მინისტრის **ა. პროტოპოპოვის** გადაყენება. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება,

ჯერ კიდევ ერთგული ჯარების სათავეში პოპულარული სარდალი ჩაეყენებინათ. მინისტრთა საბჭოს სხდომაზე განისაზღვრა ხალხის წინაშე პასუხისმგებელი ახალი მთავრობის შემადგენლობა.

27 თებერვალს ნიკოლოზ II-მ პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალი **ს. ხაბალოვი** გადააყენა და მის ნაცვლად დანიშნა გალიციის ბრძოლების (1916 წ.) გმირი, სახელგანთქმული გენერალი **ნ. ივანოვი**. ნიკოლოზ II-მ გენერალი ნ. ივანოვი საგანგებო უფლებებით აღჭურვა და პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების გარდა ფრონტიდან მოხსნილი ჯარებიც დაუქვემდებარა. ნიკოლოზ II-მ მიუღებლად მიიჩნია მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება ახალი მთავრობის შექმნის შესახებ. აშკარა იყო, რომ **მოგილიევში** მყოფი ნიკოლოზ II ძალზე ცუდად იყო ინფორმირებული პეტროგრადსა და, საერთოდ, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. სწორედ ამიტომ მას იმედი ჰქონდა, რომ თავს დააღწევდა შექმნილ ვითარებას. ვითარება კი უმძიმესი იყო. პ. მილიუკოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, 1917 წლის 27 თებერვალს პეტროგრადში „არ არსებობდა არც მეფე, არც სათათბირო და არც მინისტრთა საბჭო. უწესრიგობამ რევოლუციის სახე მიიღო.“

ცნობები პეტროგრადიდან მოგილიევში ძალზე დაგვიანებითა და არასრული სახით მიდიოდა. ალბათ ამის გამო იყო, რომ 1917 წლის 27 თებერვლის საღამოს ნიკოლოზ II თავის დღიურში წერდა: „ამაზრზენი გრძნობაა, იყო შორს და ნაწყვეტების სახით იღებდე საგანგაშო ცნობებს“. ნიკოლოზ II-მ პეტროგრადში დაბრუნება გადაწყვიტა.

1917 წლის 28 თებერვალს, დილით ადრე, მოგილიევიდან ორი მატარებელი გავიდა პირველში („ა“) ნიკოლოზ II იმყოფებოდა, მეორეში („ბ“) — იმპერატორის ამალა. **ზოგიერთი თანამედროვე მიიჩნევდა, რომ ნიკოლოზ II-ის მოგილიევიდან პეტროგრადში გამგზავრება იყო საბედისწერო შეცდომა, რადგან გაწყდა კავშირი იმპერატორს, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკს, ცარსკოე სელოსა და პეტროგრადს შორის**. ასეთი აზრი შეიძლება სიმართლეს მოკლებული არ იყოს, მაგრამ ნიკოლოზ II-ისათვის მოგილიევში დარჩენა და ტრაგიკული მოვლენებისათვის შორიდან ცქერა აუტანელი იქნებოდა. გარდა ამისა, ნიკოლოზ II შეშფოთებული იყო ოჯახის წევრების (მეუღლისა და შვილების) ბედით. არ არსებობდა იმის გარანტია, რომ მათ რაიმე უბედურება არ ეწეოდათ.

ნიკოლოზ II

1917 წლის 28 თებერვლის დილიდან 1 მარტის დილამდე **მოგილიევიდან** გამოსული ორივე მატარებელი შეუფერხებლად მიემართებოდა **პეტროგრადისაკენ**. 1917 წლის 1 მარტს, დილით ადრე, სადგურ **მალაია ვიშერასთან** მიიღეს ცნობა, რომ გზის გაგრძელება სახიფათო იყო. ცნობის მიხედვით, სადგურები **ლიუბანი** და **ტოსნო** აჯანყებული ჯარების მიერ იყო დაკავებული (შემდგომში გაირკვა, რომ ეს ცნობა არასწორი იყო). პეტროგრადამდე 150 ვერსი რჩებოდა.კავშირი არც უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკთან და არც ცარსკოე სელოსთან აღარ არსებობდა. ნიკოლოზ II-მ გადაწყვიტა, **ფსკოვში** გამგზავრებულიყო, სადაც იმ დროს ჩრდილოეთის ფრონტის შტაბი იმყოფებოდა. იმპერატორს იმედი ჰქონდა, რომ ფსკოვიდან ტელეგრაფის საშუალებით გაერკვეოდა ვითარება. შემოვლითი გზით (ბელოგოე — სტარაია რუს — დნო) ნიკოლოზ II 1917 წლის 1 მარტის საღამოს **ფსკოვში** ჩავიდა.

სანამ ნიკოლოზ II გზაში იმყოფებოდა (1917 წლის 28 თებერვლის დილა — 1 მარტის საღამო), ქვეყანაში დიდი ამბები მოხდა.

1917 წლის 28 თებერვალს ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ **რუსეთში რევოლუცია ხდებოდა**. აჯანყებული ჯარისკაცები მთელს პეტროგრადს აკონტროლებდნენ. მათ ხელში იყო **პეტრე-პავლეს ციხე, საადმირალო, ტელეგრაფი,**

მიხეილ ალექსეევი

ვაგზლები, არსენალები, ზამთრის სასახლე და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები. რუსეთის მინისტრთა საბჭო ნ. **გოლიცინის** თავმჯდომარეობით გადადგა, მინისტრთა ნაწილი დააპატიმრეს. შინაგან საქმეთა მინისტრი ა. **პროტოპოპოვი** ჯერ იმალებოდა, ხოლო შემდეგ თავრიდის სასახლეში გამოცხადდა და აჯანყებულებს ჩაბარდა.

ხელისუფლება ორი ორგანოს — მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტისა და პეტროგრადის მუშათა საბჭოს დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის ხელში იმყოფებოდა. თანხმობა ორ საგანგებო ორგანოს შორის თავიდანვე არ ყოფილა. სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტი მიიჩნევდა, რომ ხალხის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობის შექმნა აუცილებელი იყო. გარდა ამისა, უნდა მიეღწიათ უფლისწულ **ალექსის** სასარგებლოდ ნიკოლოზ II-ს ტახტიდან გადადგომისათვის. არასრულწლოვანი ალექსის ტახტზე ასვლის შემთხვევაში რეგენტად უნდა დანიშნულიყო ნიკოლოზ II-ის უმცროსი ძმა, დიდი მთავარი **მიხეილ ალექსანდრეს ძე**.

აჯანყებული ჯარისკაცების განწყობილება სულ უფრო რადიკალური ხდებოდა. **ცხადი იყო, რომ ჯარისკაცებს კომპრომისები და ზომიერი ოპოზიციის პოლიტიკა ძალზე აღიზიანებდათ.** ისინი მზად იყვნენ ყველაფერი აღეგავათ პირისაგან მიწისა. აჯანყებული ჯარისკაცებისა და მუშების მხარდაჭერის იმედი ჰქონდა მუშათა დეპუტატების საბჭოს დროებით აღმასრულებელ კომიტეტს.

1917 წლის 28 თებერვლიდან 1 მარტამდე **მ. როძიანკო** მუდმივ კავშირში იმყოფებოდა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკთან, ფრონტებისა და ფლოტების მთავარსარდლებთან და ინფორმაციას აწვდიდა მათ პეტროგრადში შექმნილი ვითარების შესახებ. უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსი გენერალი **მიხეილ ალექსეევი**, რომელიც მოგილიევიდან ნიკოლოზ II-ის გამგზავრების შემდეგ მთავარ ფიგურად იქცა, სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტი ერთადერთ რეალურ ძალას წარმოადგენდა. მ. ალექსეევი მ. როძიანკოს პოლიტიკის გატარებას შეუდგა.

1917 წლის 1 მარტს, გვიან საღამოს, **მიხეილ ალექსეევმა** ფსკოვში მყოფ ნიკოლოზ II-ს ტელეგრაფით აცნობა, რომ აუცილებელი იყო შექმნილიყო მთავრობა, რომელიც ხალხის წარმომადგენლების წინაშე პასუხისმგებელი იქნებოდა. მ. ალექსეევს მხარს უჭერდა ჩრდილოეთის ფრონტის მთავარსარდალი გენერალი **ნ. რუზსკი**. ნ. რუზსკი აღნიშნავდა, რომ მის აზრს იზიარებდნენ სხვა ფრონტების მთავარსარდლებიც. ნიკოლოზ II-მ გაიზიარა მ. ალექსეევის შეხედულება და 1 მარტს, ღამით, გენერალ **ნ. ივანოს** ასეთი შინაარსის ტელეგრამა გაუგზავნა: „გთხოვთ, ჩემს ჩამოსვლამდე და ჩემთვის მოხსენების წარდგენამდე არავითარი ზომები არ მიიღოთ“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ **ნიკოლოზ II-მ უარი თქვა ძალისმიერი მეთოდებით პეტროგრადში წესრიგის აღდგენაზე და დაეთანხმა სახელმწიფო სათათბიროს დროებით კომიტეტს.**

1917 წელს 1-2 მარტის ღამით ქვეყანაში ხელისუფლების ბედი მოულოდნელად სულ სხვაგვარად გადაწყდა. **მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დროებით კომიტეტსა და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შორის მოლაპარაკებისას მიაღწიეს შეთანხმებას რუსეთის დროებითი მთავრობის შექმნის შესახებ.** დროებითი მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურის შერჩევისას არჩევანი შეაჩერეს ერობათა კავშირის თავმჯდომარეზე, თავად **გიორგი ლვოვზე**, რომელიც იმხანად მოსკოვიდან პეტროგრადში ჩავიდა.

გიორგი ლვოვი (1861-1925) ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე. იგი ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგს მიემხრო ლიბერალურ მოძრაობას. რუსეთ-იაპონიის ომის დროს გ. ლვოვი ხელმძღვანელობდა საერობო ორგანიზაციას, რომლის მიზანი იყო ომში

დაჭრილი და დაავადებული ჯარისკაცებისათვის დახმარების აღმოჩენა. პირველი მსოფლიო ომის წლებში იგი სათავეში ედგა რუსეთის ერობათა კავშირს, ხოლო 1915 წლიდან – ერობათა და ქალაქთა გაერთიანებას (ზემგორს). უკვე იმხანად გ. ლვოვი ითვლებოდა ოპოზიციური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერად.მას მხარს უჭერდნენ როგორც უკიდურესი, ისე ზომიერი მემარჯვენეები და, რაგინდ გასაოცარიც უნდა იყოს, მემარცხენეებიც კი. ოპოზიციის მიერ ომის წლებში შედგენილ მთავრობათა ყველა სარიენტაციო შემადგენლობაში გ. ლვოვს ან მთავრობის თავმჯდომარის ან შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობას სთავაზობდნენ. ამ შემთხვევაში გ. ლვოვს მ. როძიანკოც კი ვერ უწევდა კონკურენციას.

დროებითი მთავრობის ფორმირების პროცესში 1917 წლის 1-2 მარტის ღამით სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე მ. **როძიანკო** ესაუბრა ჩრდილოეთის ფრონტის მთავარსარდალს, გენერალ ნ. **რუზსკის**. ნ. რუზსკიმ მ. როძიანკოსთან საუბრის შინაარსი უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსს, გენერალ **მ. ალექსეევს**, გადასცა. მალე ნ. რუზსკიმ მ. როძიანკოს აცნობა, რომ ნიკოლოზ II თანახმა იყო ხალხის წარმომადგენლების წინაშე პასუხისმგებელი მთავრობის შექმნისა. ნ. რუზსკიმ მ. როძიანკოს ისიც აცნობა, რომ იმპერატორმა გენერალ ნ. ივანოვს დამსჯელი ღონისძიებების გატარება აუკრძალა. სრულიად მოულოდნელად მ. როძიანკომ ნ. რუზსკის განუცხადა, რომ დინასტიის საკითხი სხვაგვარად დადგა – **ითხოვდნენ იმპერატორის გადადგომას**. ეს რომ **მიხეილ ალექსეევმა** შეიტყო, გადაწყვიტა ენერგიულად ემოქმედა და თავის თავზე აეღო ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადაყენება. თავისი ინიციატივით მ. ალექსეევი დაუკავშირდა ყველა ფრონტისა და ფლოტის მთავარსარდლებს, რათა გაეგო მათი აზრი ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადადგომის შესახებ. ყველა ფრონტის მთავარსარდალმა, ასევე ბალტიის ზღვის ფლოტის სარდალმა მხარი დაუჭირა უფლისწულ **ალექსის** სასარგებლოდ ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადადგომას. მ. ალექსეევის შეკითხვა უპასუხოდ დატოვა შავი ზღვის ფლოტის სარდალმა, ვიცეადმირალმა **ალექსანდრე კოლჩაკმა**. იმპერატორის ბიძამ, კავკასიის ფრონტის მთავარსარდალმა, დიდმა მთავარმა **ნიკოლოზ ნიკოლოზის** ძემაც იმპერატორს შვილის სასარგებლოდ ტახტიდან გადადგომა ურჩია. არმიის ზედაფენის პოზიციას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ნიკოლოზ II-ზე. **1917 წლის 2 მარტს ნიკოლოზ II-მ ტახტიდან გადადგომის გადაწყვეტილება მიიღო**. ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადადგომის შესახებ ფსკოვში სასწრაფოდ შეადგინეს ტელეგრამები მ. როძიანკოსა და მ. ალექსეევის სახელზე. ტელეგრამების გაგზავნა შეაფერხა ფსკოვში ნიკოლოზ II-თან მეოთხე სათათბიროს დეპუტატების ა. **გუჩკოვისა** და ვ. **შულგინის** ჩასვლამ, რომლებმაც გადადგომის წინადადებით მიმართეს მეფეს.

1917 წლის 2 მარტს გვიან ღამით ნიკოლოზ II შეხვდა ა. გუჩკოვსა და ვ. შულგინს. მოულოდნელად იმპერატორმა პოზიცია შეცვალა და განაცხადა: **ჩემი შვილი ავადაა, ამიტომ მე გადადგომის გადაწყვეტილება უნდა მივიღო მის მაგივრადაც, რადგან არ შემიძლია დავცილდე შვილს**. ნიკოლოზ II-ის ასეთმა განცხადებამ საქმე გაართულა. ჯერ კიდევ იმპერატორ პავლე I-ის დროს მიღებული ტახტის მემკვიდრეობის შესახებ კანონის ძალით ტახტზე მყოფ იმპერატორს შეეძლო გადამდგარიყო, მაგრამ არ შეეძლო თავისი მემკვიდრის ნაცვლად გადადგომის გადაწყვეტილების მიღება, თუნდაც მემკვიდრე მცირეწლოვანი ყოფილიყო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ნიკოლოზ II-ის მიერ უფლისწულ **ალექსის** სახელით გადადგომის შესახებ გადაწყვეტილების მიღება არალეგიტიმური იქნებოდა. ბოლოს, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ნიკოლოზ II-მ გადაწყვეტილება ისევ შეცვალა და ტახტიდან თავისი უმცროსი **ძმის მიხეილ ალექსანდრეს ძის** სასარგებლოდ გადადგა. **ტახტიდან გადადგომის შესახებ მანიფესტს ნიკოლოზ II-მ ხელი მოაწერა 1917 წლის 2 მარტს 23 საათსა და 40 წუთზე.**

მანიფესტზე ხელის მოწერის შემდეგ ნიკოლოზ II-მ ა. გუჩკოვის თხოვნით ხელი მოაწერა ბრძანებულებებს: **გიორგი ლვოვის** მთავრობის თავმჯდომარედ, დიდი მთავრის **ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის** უმაღლეს მთავარსარდლად და გენერალ **ლავრ კორნილოვის** პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად დანიშვნის შესახებ. 1917 წლის 3 მარტს, ღამის პირველ საათზე, ტახტიდან გადამდგარი ნიკოლოზ II ფსკოვიდან **მოგილიევში** გაემგზავრა.

მოგილიევში ყოფილი იმპერატორი ნიკოლოზ რომანოვი გუბერნატორის სახლში შეჩერდა და ყველასთან გაწყვიტა ოფიციალური ურთიერთობა.

1917 წლის 3 მარტს, დილით პეტროგრადში მყოფ ნიკოლოზ II-ის უმცროს ძმასთან, დიდ მთავარ **მიხეილ ალექსანდრეს ძესთან** გამოცხადდა ახალი ხელისუფლების წარმომადგენლობითი დელეგაცია (გ. ლვოვი, მ. როძიანკო, ა. კერენსკი და სხვები), რომელთაც მალე შეუ-

ჯარისკაცთა მიტინგი ფრონტზე. 1917 წლის თებერვალი

ერთდნენ ა. გუჩკოვი და ვ. შულგინი. მათ მიხეილ ალექსანდრეს ძეს ურჩიეს, დამფუძნებელი კრების მიერ რუსეთის სახელმწიფო სისტემის განსაზღვრამდე ტახტზე არ ასულიყო. უნდა აღინიშნოს, რომ ფსკოვიდან ახლად დაბრუნებული ა. გუჩკოვი და ვ. შულგინი წინააღმდეგნი იყვნენ მიხეილ ალექსანდრეს ძის ტახტიდან გადადგომისა, რადგან, მათი აზრით, ეს დაარღვევდა ლეგიტიმიზმის პრინციპს. საწინააღმდეგო აზრს იცავდა ალექსანდრე კერენსკი, რომელიც მიხეილ ალექსანდრეს ძეს არწმუნებდა, რომ ხალხში ძალზე ძლიერი იყო ანტიმონარქისტული განწყობილება. გარკვეული ყოყმანის შემდეგ მიხეილ ალექსანდრეს ძემ ხელი მოაწერა მანიფესტს, რომლის ძალითაც იგი უარს ამბობდა რუსეთის ტახტზე.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოსული დროებითი მთავრობა მოღვაწეობას შეუდგა.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ რუსეთში მონარქიული წყობილება დაამხო და საფუძველი დაუდო დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას. ამიერიდან ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ გამოიყენებდნენ რუსეთის ახალი პოლიტიკური ლიდერები იმ შანსს, რომელიც მათ ისტორიამ მისცა.

თავი VIII. რუსეთი 1917 წლის მარტიდან 1918 წლის მარტამდე

§ 1. პოლიტიკური ვითარება რუსეთში 1917 წლის გაზაფხულზე.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ რუსეთში შეიქმნა მეტად დაძაბული პოლიტიკური ვითარება, რაც ძირითადად განპირობებული იყო როგორც საშინაო მდგომარეობით (პოლიტიკურ ძალთა ბრძოლით ხელისუფლებისათვის), ისე საგარეო ფაქტორითაც (მიმდინარე პირველი მსოფლიო ომით).

1. **ხელისუფლების ორგანიზაცია.** 1917 წლის 1-2 მარტის ღამით შექმნილ **რუსეთის დროებით მთავრობაში** 11 კაცი შევიდა. მთავრობის პერსონალური შემადგენლობა ასეთი იყო: **გ. ლვოვი** — მინისტრი-თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი (უპარტიო), **პ. მილიუკოვი** — საგარეო საქმეთა მინისტრი (კადეტი), **ა. გუჩკოვი** — სამხედრო და საზღვაო საქმეთა მინისტრი (ოქტიაბრისტი), **ნ. ნეკრასოვი** — გზათა მინისტრი (კადეტი), **ა. კონოვალოვი** — ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი (პროგრესისტი), **მ. ტერეშჩენკო** — ფინანსთა მინისტრი (უპარტიო), **ა. მანუილოვი** — განათლების მინისტრი (კადეტი), **ა. შინგარიოვი** — მიწათმოქმედების მინისტრი (კადეტი), **ა. კერენსკი** — იუსტიციის მინისტრი (ტრუდოვიკი, შემდეგ ესერი), **ვ. ლვოვი** — სინოდის ობერ-პროკურორი (უპარტიო), **ი. გოდნევი** — სახელმწიფო კონტროლიორი (ოქტიაბრისტი).

მთავრობის შემადგენლობა ძირითადად ისეთივე იყო, როგორც განისაზღვრა 1915-1916 წლებში ოპოზიციის საიდუმლო შეკრებებზე. მთავრობის 11 წევრიდან 5 კადეტთა პარტიის წევრი იყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ მთავრობა **ზომიერ-ლიბერალურ კურსს** დაადგებოდა.

რუსეთის დროებითმა მთავრობამ თავისი საქმიანობის პროგრამა 1917 წლის 3 მარტს გამოქვეყნებულ **დეკლარაციაში** ჩამოაყალიბა. დეკლარაციის ძირითადი პუნქტები ასეთი იყო: 1) სრული პოლიტიკური ამნისტიის დაუყოვნებლივ განხორციელება; 2) სიტყვის, ბეჭდვისა და შეკრების თავისუფლება ყველა წოდებისა და ეროვნების წარმომადგენელთათვის, ასევე სამხედრო მოსამსახურეთათვის; 3) საყოველთაო თანასწორი, ფარული და პირდაპირი საარჩევნო კანონის საფუძველზე დამფუძნებელი კრების არჩევა, რომელიც განსაზღვრავდა ქვეყნის მომავალ პოლიტიკურ სისტემას და მიიღებდა კონსტიტუციას; 4) პოლიციის შეცვლა სახალხო მილიციით; 5) ადგილობრივი მმართველობის გარდაქმნა. დეკლარაციაში საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ აუკანყების მონაწილე სამხედრო ნაწილებს არ განაიარაღებდნენ და არც პეტროგრადიდან გაიყვანდნენ. ამასთან, ხაზი გაესვა მტკიცე სამხედრო დისციპლინის აღდგენის აუცილებლობას. რაც შეეხება სამხედრო მოსამსახურეთა უფლებებს, ისინი გათანასწორებულნი იყვნენ სხვა მოქალაქეებთან. აღსანიშნავია, რომ რუსეთის დროებითი მთავრობის დეკლარაციას მინისტრებთან ერთად ხელს აწერდა მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე მ. როძიანკო, თუმცა ძველი რეჟიმის საკანონმდებლო ორგანოების (სახელმწიფო სათათბიროს, სახელმწიფო საბჭოს) შესახებ მთავრობის დეკლარაციაში არაფერი ყოფილა ნათქვამი. დეკლარაციაში არც დროებითი მთავრობის უფლებამოსილება ყოფილა განსაზღვრული, რაც ქვეყანაში შექმნილი კრიზისული ვითარებით იყო განპირობებული.

დაახლოებით იმავე დროს (1917 წლის 1-2 მარტს ღამით), როცა დროებითი მთავრობა შეიქმნა, **პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა** დაამტკიცა ბრძანების ტექსტი, რომელიც ისტორიაში შევიდა **„ბრძანება №1-ის“** სახელწოდებით. ბრძანება ეგზავნებოდა პეტრო-

გიორგი ლვოვი

ალექსანდრე გუჩკოვი

გრადის გარნიზონს (გვარდიისა და არმიის ჯარისკაცებს, ფლოტის მეზღვაურებს) დაუყოვნებლივ შესასრულებლად, ხოლო პეტროგრადის მუშებს — ცნობისათვის.

ბრძანება №1 ითვალისწინებდა ჯარისკაცებისა და დაბალი წოდების სამხედრო მოსამსახურეებიდან არჩევითი კომიტეტების შექმნას ასეულებში, ბატალიონებში, პოლკებში, ბატარეებში, ესკადრონებსა და სამხედრო გემებზე. ბრძანებაში მთავარი იყო მესამე პუნქტი. მასში აღნიშნული იყო, რომ **სამხედრო ნაწილი პოლიტიკური ხასიათის გამოსვლებისას უნდა დამორჩილებოდა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოსა და სამხედრო ნაწილის ჯარისკაცთა არჩევით კომიტეტს**. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბრძანების მესამე პუნქტი აუქმებდა არმიაში **ერთმმართველობის** პრინციპს, რაც ნებისმიერი ქვეყნის არმიის არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. უფრო მეტიც, **სამხედრო ნაწილის მთელი შეიარაღება გადადიოდა ჯარისკაცთა არჩევითი კომიტეტის განკარგულებაში**. იურიდიულად და ფაქტობრივადაც სამხედრო ნაწილს (ასეულს, ბატალიონს, პოლკს, ბატარეას, ესკადრონს, სამხედრო გემის პირად შემადგენლობას) განაგებდა ჯარისკაცთა არჩევითი კომიტეტი.

ბრძანება №1 ჯარისკაცთა მასამ აღფრთოვანებით მიიღო, თუმცა არმიისა და ფლოტისათვის ბრძანების დამღუპველი გავლენა აშკარა იყო. **რუსეთის არმია იქცა პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირების არენად, პოლიტიკურ ბრძოლაში ძლიერ ინსტრუმენტად**. გარდა ამისა, მიმდინარე მსოფლიო ომის პირობებში, ბრძანება №1 მნიშვნელოვნად ასუსტებდა არმიისა და სამხედრო ფლოტის ბრძოლისუნარიანობას.

ამრიგად, პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ანტისახელმწიფოებრივი ხასიათის ბრძანებამ არმია სახელმწიფო ძლიერების ერთ-ერთი ინსტიტუტიდან სახელმწიფოს დამანგრეველ ძალად აქცია.

შექმნის დღიდანვე რუსეთის დროებითი მთავრობა და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო გარკვეულ დაპირისპირებაში იმყოფებოდნენ, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ თანამშრომლობის სერიოზული სურვილიც ჰქონდათ. ამ ორი ორგანოს ურთიერთობა სულაც არ ამოიწურებოდა ფორმულით: **„ხელისუფლება — ძალაუფლების გარეშე და ძალაუფლება — ხელისუფლების გარეშე“**. ჯერ კიდევ დროებითი მთავრობის შექმნის პროცესში სახელმწიფო სათათბიროს დროებით კომიტეტსა და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შორის მიმდინარე მოლაპარაკებისას ამ უკანასკნელის წევრებმა გარკვევით განაცხადეს: **აღმასრულებელი კომიტეტი იმდენად დაუჭერდა მხარს დროებით მთავრობას, რამდენადაც მთავრობა გაითვალისწინებდა აღმასრულებელი კომიტეტის მიერ შემუშავებულ პროგრამას**. დროებითი მთავრობისა და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით 1917 წლის მარტის შუა რიცხვებში აღმასრულებელმა კომიტეტმა შექმნა ე.წ. **„საკონტაქტო კომისია“**. კომისიაში შეიდნენ: **ნ. ჩხეიძე, მ. სკობელევი, ი. სტრელკოვი, ნ. სუხანოვი** და **ვ. ფილიპოვსკი**. „საკონტაქტო კომისიას“ უნდა შეემუშავებინა დროებითი მთავრობისა და აღმასრულებელი კომიტეტის ერთობლივი პოლიტიკური პლატფორმა, რომლის რეალიზებაზე აღმასრულებელ კომიტეტს უნდა განეხორციელებინა მთავრობის **„უწყვეტი კონტროლი“**.

ის დამოკიდებულება, რაც პეტროგრადში რუსეთის დროებით მთავრობასა და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შორის არ-

სებობდა, დამახასიათებელი იყო მთელი რუსეთისათვის, მათ შორის, კოლონიური მხარეებისთვისაც. 1917 წლის I მარტს მოსკოვში შეიქმნა **საზოგადოებრივი ორგანიზაციების კომიტეტი**, რომელშიც შედიოდნენ მუშათა და დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. I მარტსავე შექმნილმა **მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭომ** მოსკოვის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კომიტეტი ხელისუფლების კანონიერ და სრულუფლებიან ორგანოდ ცნო.

მოსკოვის შემდეგ დიდ ქალაქებსა და გუბერნიებში იმავე პრინციპით შექმნილი **საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კომიტეტები** (ზოგან ამ ორგანოს საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი ეწოდებოდა) მუშათა (ან მუშათა და ჯარისკაცთა) **დეპუტატების საბჭოებმა ხელისუფლების კანონიერ, სრულუფლებიან ორგანოდ** ცნეს.

ადგილებზე (მაზრებში, ქალაქებში, გუბერნიებში) ხელისუფლების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენდა **დროებითი მთავრობის კომისრები**. დროებითი მთავრობის კომისარი ინიშნებოდა ქალაქის თვითმმართველობის, მაზრისა და გუბერნიის ერობების მოღვაწეების, ასევე პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. მოსკოვში დროებითი მთავრობის პირველი კომისარი იყო კადეტთა პარტიის ცნობილი მოღვაწე, რუსეთის ქალაქთა კავშირის თავმჯდომარე მ. **ჩელნოკოვი**. 1917 წლის მაისისათვის რუსეთში სულ 57 საგუბერნიო და 353 სამაზრო კომისარი იყო, რომელთა შორის კადეტები ჭარბობდნენ. მოგვიანებით დროებითი მთავრობის კომისართა შორის იმატა სოციალ-დემოკრატი მენშევიკებისა და ესერების რიცხვმა.

ხელისუფლების **„ბურჟუაზიულ“** (დროებითი მთავრობა) და **რევოლუციურ** (დეპუტატთა საბჭო) ორგანოთა შორის დაპირისპირება თუ პეტროგრადში საგრძნობი იყო, ადგილებზე ნაკლებად იგრძნობოდა, აქ უფრო მეტად შეინიშნებოდა ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობისაკენ მისწრაფება.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ შექმნილი ხელისუფლების ორგანოები, მიუხედავად გარკვეული სიძნელეებისა, ხელს უწყობდნენ ქვეყანაში დემოკრატიული წყობილების დამყარებას.

2. მრავალპარტიულობა. 1917 წლის მარტ-ოქტომბერში რუსეთში (ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე) მოქმედებდა დაახლოებით 220 **პოლიტიკური პარტია** და ორგანიზაცია. ზოგიერთმა ძველმა პარტიამ დატოვა პოლიტიკური ასპარეზი, ზოგიერთმა იატაკქვეშეთიდან გამოსვლის შემდეგ არნახული აღმავლობა განიცადა, ზოგიერთი ძველი რეჟიმის დამხობის შემდეგ შეიქმნა.

1917 წლის თებერვალ-მარტის შემდეგ დაიშალა უკიდურესად მემარჯვენე მონარქისტული ორგანიზაციები („რუსი ხალხის კავშირი“ და სხვ.). „17 ოქტომბრის კავშირი“, ანუ ოქტიაბრისტთა პარტია, რომელიც რევოლუციამდე ერთ-ერთი გავლენიანი პარტია იყო, ძალიან დასუსტდა და ადგილი კადეტებს დაუთმო. საერთოდ, **1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ შეინიშნებოდა ლიბერალურ-დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობა, რომლის სათავეში კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია, ანუ კადეტები იდგნენ.** კადეტები მოულოდნელად ოპოზიციური პარტიიდან მმართველ პარტიად იქცნენ. კადეტებთან ერთად სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ **სოციალ-დემოკრატი მენშევიკები** (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მენშევიკური ფრაქცია, რომელიც 1912 წლიდან იურიდიულად და ფაქტობრივადაც დამოუკიდებელ პარტიად არსებობდა). კადეტებისა და სოციალ-დემოკრატი მენშევიკების შემდეგ პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან ძალას **სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია (ესერები)** წარმოადგენდა.

რუსეთის დროებითი მთავრობის სამოქმედო პროგრამას საფუძვლად დაედო კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის საპროგრამო დებულებანი, რომელიც ორი ძირითადი მოთხოვნისაგან შედგებოდა: 1) ომის გამარჯვებით დასრულება; 2) დამფუძნებელი კრების მოწვევა, რომელიც განსაზღვრავდა ქვეყნის მომავალი პოლიტიკური მოწყობის საკითხს და მიიღებდა კონსტიტუციას. აქედან გამომდინარე, **კადეტები დამფუძნებელი კრების მოწვევამდე არ აპირებდნენ სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების გატარებას.** კადეტები მოითხოვდნენ რვასაათიანი სამუშაო დღის დაუყოვნებლივ შემოღებას, მაგრამ თავს იკავებდნენ რადიკალური აგრარული რეფორმის გატარებისაგან. **კადეტები მხარს არ უჭერდნენ ყოფილი რუსეთის იმპერიის განაპირა (კოლონიური) მხარეებისათვის ავტონომიის დაუყოვნებლივ მინიჭებას.**

1917 წლის მარტის ბოლოს შედგა **კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის** VII ყრილობა, რომელმაც ცვლილებები შეიტანა პარტიის პროგრამაში. კადეტებმა უარყვეს კონსტიტუცი-



გიორგი პლეხანოვი

ური მონარქიის მოთხოვნა და აღიარეს, რომ რუსეთში უნდა დამყარებულიყო **საპარლამენტო რესპუბლიკა**. ყრილობაზე იხილებოდა სოციალ-დემოკრატ მენშევიკებთან თანამშრომლობის საკითხი. ყრილობამ ე.წ. „მემარცხენე ბლოკის" შექმნა მიუღებლად მიიჩნია, თუმცა კადეტთა ლიდერები მემარცხენე ძალებთან პრაქტიკულ თანამშრომლობას არ ერიდებოდნენ.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ კადეტების ავტორიტეტი საზოგადოების ლიბერალურ წრეებში, ასევე ზომიერ მემარჯვენეთა შორის კიდევ უფრო გაიზარდა. კადეტებს მხარს უჭერდა ინტელიგენციის, სტუდენტობისა და სახელმწიფო მოხელეთა მნიშვნელოვანი ნაწილი. 1917 წლის მარტ-აპრილისათვის კადეტთა პარტიაში დაახლოებით 100 ათასი წევრი იყო, ხოლო ქვეყანაში დაახლოებით 380 ადგილობრივი კომიტეტი მოქმედებდა.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ დიდი აღმავლობა განიცადეს **სოციალ-დემოკრატმა მენშევიკებმა**. რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სწორედ სოციალ-დემოკრატი მენშევიკები ჩაუდგნენ სათავეში **რევოლუციური დემოკრატიის** ბანაკს. სოციალურ პარტიათა შორის სოციალ-დემოკრატი მენშევიკების ლიდერობა მარტო იმით კი არ იყო განპირობებული, რომ ეს პარტია ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო (პარტიაში 1917 წლის მაისში 50 ათასი, ხოლო ზაფხულის ბოლოს 190 ათასი კაცი ირიცხებოდა), არამედ უფრო მეტად იმით, რომ სოციალ-დემოკრატ მენშევიკებს დიდი გავლენა ჰქონდათ მუშებსა და ჯარისკაცებში, ასევე დეპუტატთა საბჭოებში, პროფკავშირებში, კოოპერატივებში და სხვ.

სოციალ-დემოკრატი მენშევიკები მიიჩნევდნენ, რომ მონარქიის დამხობის შემდეგ **რუსეთი შევიდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სტადიაში, რომლის წარმატებით დასრულება ქვეყანას გზას გაუხსნიდა კულტურული და ცივილიზებული კაპიტალიზმის დამკვიდრებასა და მის ხანგრძლივად არსებობას**. სოციალ-დემოკრატი მენშევიკების აზრით, ეს იქნებოდა სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდი. აქედან გამომდინარე, სოციალ-დემოკრატი მენშევიკები მხარს უჭერდნენ დროებით მთავრობას, რომელსაც უნდა ემოქმედა რევოლუციური დემოკრატიის კონტროლით.

სოციალ-დემოკრატი მენშევიკები, ისევე როგორც საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია, ორად გათიშა ომთან დამოკიდებულების საკითხმა. **მენშევიკთა მემარჯვენე ფრთა (გ. პლეხანოვი, ვ. ზასულიჩი, ლ. დეიჩი, ა. პოტრესოვი და სხვ.) ე.წ. „მენშევიკი-ობორონცები" მხარს არ უჭერდნენ დაპყრობით ომს, მაგრამ არც რუსეთის ომში დამარცხება სურდათ და ამიტომ ქვეყნის თავდაცვის მიზნით ომის გაგრძელების მომხრენი იყვნენ. მენშევიკთა მემარცხენე ფრთა ე.წ. „მენშევიკ-ინტერნაციონალისტები" (ი. მარტოვი, ო. ერმანსკი, ი. ლარინი, ა. მარტინოვი) ომის წინააღმდეგ**

იული ცედერბაუმი (მარტოვი)

გამოდიოდნენ, რადგან მას რევოლუციის შემდეგაც იმპერიალისტურად (დაპყრობითად) მიიჩნევდნენ.

მენშევიკთა **მემარჯვენე** და **მემარცხენე** ფრთა საზოგადოებაში ისეთი გავლენით ვერ სარგებლობდა, როგორც **ცენტრისტი** მენშევიკები. ცენტრისტ მენშევიკთა შორის 1917 წლის გაზაფხულიდან განსაკუთრებით´ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ: ი. **წერეთელი, ნ. ჩხეიძე, ფ. დანი, მ. სკობელევი, მ. ლიბერი.** ისინი **„რევოლუციური ომის“** წარმოების, ანუ რევოლუციური რუსეთის დაცვის მოთხოვნით გამოდიოდნენ. **ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის** დიდმა ავტორიტეტმა განაპირობა ის, რომ 1917 წლის მარტში იგი აირჩიეს პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს (შემდეგში მუშათა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა საბჭოს) აღმასრულებელი კომიტეტის პირველ თავმჯდომარედ, ხოლო შემდეგ 1917 წლის ივნისში სრულიად რუსეთის დეპუტატთა საბჭოების I ყრილობაზე – სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკის) თავმჯდომარედ. **ირაკლი წერეთელი,** ბრწყინვალე პუბლიცისტი და ორატორი, ცოტა მოგვიანებით დროებითი მთავრობის ერთ-ერთი გავლენიანი მინისტრი გახდა.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამდე **სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია** არ იყო მასობრივი პარტია. რევოლუციის შემდეგ ესერების აგრარული პროგრამა ძალზედ პოპულარული გახდა გლეხობაში. ამის გამო სწრაფად დაიწყო ესერთა რიგების ზრდა. 1917 წლის მარტში ესერთა პარტიის რიგებში უკვე ნახევარ მილიონზე მეტი წევრი ირიცხებოდა. ესერების საპროგრამო მოთხოვნა „მიწის სოციალიზაციის“ შესახებ რუსეთის სოფელში დიდ მხარდაჭერას პოვებდა. ესერებს დიდი გავლენა ჰქონდათ ჯარისკაცთა შორის.

სოციალისტ-რევოლუციონერთა აღიარებული ლიდერი იყო **ვ. ჩერნოვი,** აგრეთვე ცნობილი მოღვაწეები **ნ. ავქსენტიევი** და **ა. გოცი.** ესერთა პარტიაში არსებობდა **მემარცხენე-ინტერნაციონალისტთა** ძლიერი ფრთა (მ. სპირიდონოვა, ბ. კამკოვი და სხვ.).

სოციალისტ-რევოლუციონერები ძირითად საპროგრამო საკითხებში სოციალ-დემოკრატ მენშევიკებს უჭერდნენ მხარს, თუმცა იდეოლოგიური თვალსაზრისით მათ შორის არსებითი განსხვავება არსებობდა. ვ. ჩერნოვი თვლიდა, რომ რუსეთის ხსნა მთელი დემოკრატიული ძალების გაერთიანებაში მდგომარეობდა, რაც გულისხმობდა თვით არასოციალისტურ პარტიებთან თანამშრომლობასაც კი. ვ. ჩერნოვის აზრით, აუცილებელი იყო **„ყველა კლასის რეალური კოალიციის“ შექმნა.**

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის **ბოლშევიკური ფრაქცია** (1912 წლიდან ეს ფრაქცია დამოუკიდებელ პარტიად ჩამოყალიბდა) 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციაში სერიოზულ ძალას არ წარმოადგენდა (1917 წლის მარტში პარტიაში, ყველაზე გაზეიადებული მონაცემებით, 24 ათასი წევრი ირიცხებოდა, ხოლო პეტროგრადისა და მოსკოვის ორგანიზაციებში ერთად სულ 1500 წევრი იყო აღრიცხული).

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის პერიოდში პეტროგრადში მოქმედებდა **რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო,** რომელსაც ხელმძღვანელობდა **ა. შლიაპნიკოვი, ვ. მოლოტოვი** და **ჯ. ზალუცკი.** რუსეთის ბიურო დროებითი მთავრობის შექმნას უარყოფითად შეხვდა. 1917 წლის 12 მარტს გადასახლებიდან „ძველი ბოლშევიკების“ (ი. სტალინის, ლ. კამენევის, ნ. მურანოვის) დაბრუნების შემდეგ ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკური კურსი შეიცვალა. **ბოლშევიკებმა მენშევიკებთან და ესერებთან ბლოკი აუცილებლად მიიჩნიეს და გარკვეული პირობებით დროებით მთავრობასაც დაუჭირეს მხარი.** მენშევიკებთან და ესერებთან ბლოკის აუცილებლობა და გარკვეული პირობებით დროებითი მთავრობისადმი მხარდაჭერის ტაქტიკის სისწორე დაადასტურა **რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის** თათბირმა, რომელიც 1917 წლის 27 მარტიდან 2 აპრილამდე მიმდინარეობდა პეტროგრდში. ბოლშევიკთა ტაქტიკა ისევ შეიცვალა ემიგრაციიდან პეტროგრადში ვ. ლენინის დაბრუნების შემდეგ (1917 წლის 3 აპრილი). ახალი ტაქტიკა დაადასტურა **რსდმპ (ბ) VII პარტიულმა კონფერენციამ** (1917 წლის 24-29 აპრილი). ვ. ლენინის მიერ შემუშავებული საპროგრამო მოთხოვნები ითვალისწინებდა: 1) დროებითი მთავრობის ბოიკოტს და დეპუტატთა საბჭოებისადმი მთელი ძალაუფლების გადაცემას; 2) მენშევიკებთან და ესერებთან დადებული ბლოკის დაშლას; 3) ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას; 4) მემამულეთა მიწების დაუყოვნებლივ კონფისკაციას; 5) წარმოებაზე მუშათა კონტროლის დამყარებას. ყოველივე ეს, ვ. ლენინის აზრით, აუცილებელი იყო იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ, დროის ინტერვალის გარეშე, დაწყებულიყო **სოციალისტურ რევოლუციაზე** გადასვლა.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომა თავრიდის სასახლეში. 1917 წ.

ამრიგად, 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ რუსეთში ჩამოყალიბდა სამი ბანაკი: **პირველი** — ლიბერალური დემოკრატიის (კადეტები და მათი მიმდევრები); **მეორე** — რევოლუციური დემოკრატიის (სოციალ-დემოკრატი მენშევიკები, ესერები); **მესამე** — რევოლუციური ექსტრემისტების (სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკები). ამ სამი ძალის დაპირისპირებაში უნდა გარკვეულიყო რუსეთის მომავალი.

3. დროებითი მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. რუსეთის დროებითი მთავრობა თავისი ხასიათით ლიბერალურ-**დემოკრატიული** იყო. მთავრობა პირველი დღეებიდანვე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სულ მალე აშკარა გახდა, რომ დროებითი მთავრობის მოღვაწეობას სერიოზულად ზღუდავდა პეტროგრადის მუშათა (შემდგომში მუშათა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა) დეპუტატების საბჭო. ამასთან ერთად ისიც ცხადი იყო, რომ დროებით მთავრობას აკლდა სახელმწიფოებრივი მშენებლობის გამოცდილება.

ა) საშინაო პოლიტიკა. დროებითი მთავრობის საშინაო პოლიტიკა მთლიანად გამომდინარეობდა მისი ლიბერალურ-დემოკრატიული ხასიათიდან. **მთავრობა მიიჩნევდა, რომ მსოფლიო ომი უნდა გაგრძელებულიყო გამარჯვებამდე,** რაც ხალხის თვალში სერიოზულად ლახავდა მის ავტორიტეტს. შეიძლებოდა ხალხს ომის საკითხში კიდევაც გაეგო მთავრობისათვის, თუ ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის რადიკალური რეფორმების გატარება დაიწყებოდა. სამწუხაროდ, მთავრობას რადიკალური რეფორმების გატარებისათვის აუცილებელი ძლიერი პოლიტიკური ნება არ აღმოაჩნდა.

დროებითი მთავრობის 1917 წლის 3 (16) მარტის დეკლარაციაში და 6 (19) მარტის მიმართვაში **„რუსეთის მოქალაქეებისადმი"** ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა შორეული მომავლისათვის იყო გადადებული. ეს იყო დიდი ტაქტიკური შეცდომა, რადგან ხალხი მთავრობისაგან მტკივნეული საკითხების დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოელოდა.

დროებითი მთავრობის პირველი ნაბიჯები სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაჭრის გზაზე ნამდვილად არ იყო ახალი. **მთავრობა ძირითადად აგრძელებდა რუსეთის იმპერიის მინისტრთა საბჭოს (პ. სტოლიპინის) პოლიტიკას, რომლის მიზანი იყო სახელმწიფოს როლის ამაღლება ეკონომიკის მართვაში.** 1917 წლის 25 მარტს (7 აპრილს) დროებითმა მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც **პურის მარაგი და პურით ვაჭრობა გადავიდა სახელმწიფოს ხელში,** დადგინდა პურზე მტკიცე ფასები. 1917 წლის 20 მარტს (2 აპრილს) მიიღეს კანონი **კოოპერატივების შესახებ,** რომელიც აწესრიგებდა კოოპერატიული გაერთიანებების მოღვაწეობას.

პურზე მონოპოლია ომის პირობებში გამართლებული ღონისძიება იყო, მაგრამ იმის გამო, რომ მთავრობას არც პურის მარაგი გააჩნდა და არც მონოპოლიის განხორციელებისათვის აუცილებელი ადმინისტრაციულ-სამეურნეო აპარატი, პურზე მონოპოლია ვერ განხორციელდა. უფრო ზუსტად, პურის დამზადებისა

და ვაჭრობის უფლება მთავრობამ უამრავ საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციას მისცა.

დროებით მთავრობას ჩაფიქრებული ჰქონდა **ფინანსური რეფორმის** გატარება. ამ საქმეს სათავეში ფინანსთა მინისტრი ა. **შინგარიოვი** ედგა. ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრ ა. **კონოვალოვის** ინიციატივით 1917 წლის 10 (23) მარტს დადგინდა **რვასაათიანი სამუშაო დღე** და მოგვარდა **მუშათა სოციალური დაცვის** საკითხები. მიუხედავად ამისა, წარმოების სფეროში ბევრი რამ მაინც გადაუჭრელი დარჩა, რის გამოც არ მცირდებოდა სოციალური დაძაბულობა.

დროებითმა მთავრობამ გაატარა **ადგილობრივი მმართველობის სერიოზული რეფორმა**. მომზადდა კანონპროექტები ქალაქთა და ერობათა თვითმმართველობის შესახებ. 1917 წლის 21 მაისის (3 ივნისის) კანონი **სათემო ერობების** შესახებ ითვალისწინებდა თემის ყრილობისა და მმართველობის შემოღებას, გაუქმდა საერობო უფროსების თანამდებობები. პირველად რუსეთის ისტორიაში თემის დონეზე უნდა ჩატარებულიყო საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნები ფარული კენჭისყრით. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ **ადგილობრივი მმართველობის რეფორმა კარგად იყო გააზრებული**, მაგრამ ადგილებზე (თემში, მაზრაში, ქალაქში) მოქმედი დეპუტატთა საბჭოებისა და უამრავი საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობის პირობებში იგი ეფექტური ვერ იქნებოდა.

დროებითი მთავრობის ბევრი კანონი და დადგენილება იურიდიული თვალსაზრისით კარგად იყო შედგენილი, მაგრამ ყოველ მათგანს ჰქონდა დიდი ნაკლი — **არ ითვალისწინებდა ქვეყანაში შექმნილი ვითარების სწრაფ ცვალებადობას**. გარდა ამისა, საშინაო პოლიტიკის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი არც კი დასმულა.

დროებითი მთავრობის 1917 წლის 3 მარტის დეკლარაციის სამი უმთავრესი პუნქტიდან (დამფუძნებელი კრების, მიწისა და ომის შესახებ) ორი (მიწისა და ომის შესახებ) ვერ გადაიჭრებოდა, თუ არ იქნებოდა მოწვეული **დამფუძნებელი კრება**. დამფუძნებელი კრების მოწვევა კი დროებითმა მთავრობამ თავისი არსებობის რვა თვის მანძილზე ვერ შეძლო. 1917 წლის 13 (26) მარტს საარჩევნო კანონის შემუშავების მიზნით შექმნილმა სპეციალურმა ორგანომ (საგანგებო თათბირმა) ზაფხულის ბოლოს დაიწყო მუშაობა, საარჩევნო კანონი კი მზად იყო 1917 წლის შემოდგომისათვის.

პავლე მილიუკოვი

დამფუძნებელი კრების მოუწვევლობის გამო **დროებითმა მთავრობამ ვერ გადაჭრა საშინაო პოლიტიკის ვერც ერთი მწვავე პრობლემა.**

ბ) **საგარეო პოლიტიკა**. რუსეთისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ომის გაგრძელებისა და ზავის მიღწევის საკითხი. 1917 წლის 14 (27) მარტს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ მიიღო მანიფესტი **„მსოფლიო ხალხებს“**. მანიფესტი შეიცავდა მოწოდებას ომის იმპერიალისტური მიზნების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ამავე დროს, **რევოლუციური რუსეთის დაცვის მიზნით გერმანიის წინააღმდეგ ომი აუცილებლად მიიჩნიეს**. რევოლუციური რუსეთის დაცვისა და უანექსიო, უკონტრიბუციო და დემოკრატიული ზავისათვის ბრძოლის ლოზუნგი ძალზე პოპულარული იყო მასებში. ამავე დროს 1917 წლის 4 მარტს დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა **პავლე მილიუკოვმა** ტელეგრამა გაუგზავნა საზღვარგარეთ მომუშავე რუს დიპლომატებს. ტელეგრამაში აღნიშნული იყო, რომ **რუსეთი მტკიცედ დაიცავდა წინათ დადებულ ხელშეკრულებებს და ომს გამარჯვებამდე გააგრძელებდა**. ცხადი გახდა, რომ დროებითი მთავრობა და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო ომის საკითხში ვერ შეთანხმდებოდნენ.

ვიქტორ ჩერნოვი

1917 წლის 18 აპრილს (1 მაისს) დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა პ. **მილიუკოვმა** სპეციალური ნოტით აცნობა ანტანტის ქვეყნებს, რომ რუსეთი ომს გამარჯვებამდე გააგრძელებდა. ნოტამ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსა და მისი მომხრე საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. პეტროგრადში გაიმართა დემონსტრაციები ლოზუნგებით: „ძირს დროებითი მთავრობა!", „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!". დროებითმა მთავრობამ პ. მილიუკოვის ნოტა უკან გამოითხოვა (გააუქმა). ამასთან ერთად, გადაწყდა, **პ. მილიუკოვი** — საგარეო საქმეთა მინისტრი და ომის გაგრძელების თავგამოდებული მომხრე და სამხედრო და საზღვაო საქმეთა მინისტრი **ა. გუჩკოვი** მთავრობიდან გამოეყვანათ.

1917 წლის 5 (18) მაისს დამტკიცდა **რუსეთის დროებითი მთავრობის მეორე შემადგენლობა**. ეს იყო კოალიციური მთავრობა. მთავრობის თავმჯდომარე ისევ **გიორგი ლვოვი** გახდა. მთავრობის შემადგენლობაში 10 მინისტრ-კაპიტალისტის გარდა შევიდა 6 მინისტრი-სოციალისტი: **ი. წერეთელი, ა. კერენსკი, მ. სკობელევი, ა. პეშეხონოვი, ვ. ჩერნოვი** და **პ. პერევერზევი**. შეიცვალა მინისტრთა თანამდებობების განაწილებაც: **მ. ტერეშჩენკო** გახდა საგარეო საქმეთა მინისტრი, **ა. კერენსკი** — სამხედრო და საზღვაო საქმეთა მინისტრი. დროებითი მთავრობის მეორე შემადგენლობა ალბათ ვერც შედგებოდა, რომ პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს მთავრობაში მინისტრების თანამდებობაზე სოციალისტები არ მიეკლინებინა. რადგანაც დროებითი მთავრობა პეტროგრადის დეპუტატთა საბჭომ იხსნა, ცხადი გახდა, რომ საბჭოს გავლენა მთავრობაზე გაიზრდებოდა. პეტროგრადის დეპუტატთა საბჭო მხოლოდ მაკონტროლებლის როლს აღარ დასჯერდებოდა და აქტიურად ჩაერეოდა დროებითი მთავრობის საქმიანობაში. მთავრობის პროგრამის კორექტირებაც პეტროგრადის საბჭოს აქტიური მონაწილეობით მოხდა. დროებითი მთავრობის ახალი პროგრამა ითვალისწინებდა დემოკრატიული ზავის სასწრაფოდ დადებას.

დროებითი მთავრობის საგარეო პოლიტიკური კურსი, ისევე როგორც საშინაო პოლიტიკური, ახალი ვითარების შესაბამისად ძალზე სწრაფ კორექტირებას მოითხოვდა. უმეტეს შემთხვევაში მთავრობა ამას ვერ ახერხებდა.

§ 2. **პოლიტიკური ვითარება რუსეთში 1917 წლის ზაფხულში.**

1. **სოციალური კრიზისის გაძლიერება და განხეთქილება რევოლუციურ დემოკრატიაში.** 1917 წლის გაზაფხულის მიწურულსა და ზაფხულის დამდეგს სოციალური დაძაბულობის გაძლიერებას მასების რევოლუციური აქტიურობის ზრდა მოჰყვა. ამით მაშინვე ისარგებლა რე-

ირაკლი წერეთელი

ვოლუციური დემოკრატიის მემარცხენე ფრთამ — სოციალ-დემოკრატმა ბოლშევიკებმა და თავიანთი რადიკალური მოთხოვნების პროპაგანდა გააძლიერა. მოძრაობაში მოსული მასისათვის, რომელიც დროებითი მთავრობის იმედს ნელ-ნელა კარგავდა, ბოლშევიკების ლოზუნგი მისაღები გახდა. ვერც ლიბერალურმა დემოკრატიამ (კადეტები და მათი მიმდევრები), ვერც რევოლუციური დემოკრატიის მემარჯვენე ფრთამ (სოციალ-დემოკრატი მენშევიკები, ესერები) ხალხში ბოლშევიკების გავლენის ზრდას ვერაფერი დაუპირისპირეს.

რუსეთის გლეხობა დროებითი მთავრობისაგან აგრარული საკითხის გადაჭრას ელოდა. აგრარული რეფორმის დაგვიანებას მოჰყვა გლეხთა მასობრივი გამოსვლები — მემამულეთა მიწების მიტაცება და მემამულეთა ეზო-კარის განადგურება. გლეხები თავიანთი ორგანიზაციების სამუალებით ცდილობდნენ სახნავ-სათესი მიწისა და ტყის მასივების გადანაწილებას. 1917 წლის მაის-ივლისში გლეხთა კომიტეტები მასობრივად შეუდგნენ მემამულეთა მიწების მართვა-გამგეობას. ეს კი იმის მაუწყებელი იყო, რომ დროებითი მთავრობის პოლიტიკამ სოფლად კრახი განიცადა.

1917 წლის ზაფხულში ძირითადად დასრულდა სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატთა საბჭოების ჩამოყალიბება, რაშიც სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირთან ერთად დიდი როლი შეასრულა სახალხო სოციალისტთა (ენესელთა) პარტიამ, სოციალისტ-რევოლუციონერებმა (ესერებმა) და გლეხთა კოოპერატიულმა კავშირებმა. 1917 წლის მაისში პეტროგრადში გაიმართა სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატთა საბჭოების I ყრილობა. დელეგატთა უმრავლესობა ესერებს უჭერდა მხარს, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ყრილობის მთელ მუშაობას. სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატთა საბჭოების I ყრილობის თავმჯდომარედ აირჩიეს ესერი ნიკოლაი ავქსენტიევი. ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციები და დადგენილებები ესერთა საპროგრამო მოთხოვნების მიხედვით იყო შედგენილი. აგრარული საკითხის შესახებ მიღებულ დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ დამფუძნებელ კრებას მთელი მიწები უნდა გადაეცა „მიწის კომიტეტებისათვის", რაც, ფაქტობრივად, მემამულური მიწისმფლობელობის ლიკვიდაციას ნიშნავდა. მიუხედავად ასეთი დადგენილებისა, ყრილობა თვლიდა, რომ საბოლოო სიტყვა აგრარული საკითხის გადაჭრისას მაინც დამფუძნებელ კრებას ეკუთვნოდა. ბოლშევიკთა ლიდერმა ვ. ლენინმა ყრილობაზე გამოსვლისას აღნიშნა, რომ მიწა დაუყოვნებლივ, დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, უნდა გამოცხადებულიყო საერთო სახალხო საკუთრებად და გადასცემოდა გლეხობას. ესერთა პარტიის ლიდერმა, დროებითი მთავრობის მიწათმოქმედების მინისტრმა ვ. ჩერნოვმა ვ. ლენინის გამოსვლის საპასუხოდ განაცხადა, რომ აგრარულ საკითხში ასეთი კარდინალური რეფორმის გატარება დამფუძნებელი კრების გარეშე დაუშვებელი იყო.

ნიკოლაი ავქსენტიევი

აგრარული საკითხის მოუგვარებლობა კი ძალზე ძაბავდა ვითარებას სოფლად. გლეხები უკვე მემამულეთა მიწების მიტაცებით აღარ კმაყოფილდებოდნენ. დაიწყო უღარიბესი გლეხობის ბრძოლა მდიდარი გლეხობის (კულაკების) წინააღმდეგ.

გლეხთა მოძრაობის ზრდასთან ერთად სულ უფრო ფართო მასშტაბებს იძენდა მუშათა მოძრაობა. 1917 წლის მარტ-აპრილში რუსეთში გაფიცული იყო მუშათა საერთო რაოდენობის 4%, მაის-ივნისში — 41%. მუშათა შორის საგრძნობლად გაიზარდა ბოლშევიკების გავლენა. ეს თვალნათლივ დადასტურდა ფაბრიკებისა და ქარხნების მუშათა კომიტეტების პეტროგრადის საერთო-საქალაქო კონფერენციაზე, რომელიც 1917 წლის 30 მაისიდან 3 ივნისამდე (12-16 ივნისი) მიმდინარეობდა. კონფერენციამ ხმების აბსოლუტური უმრავლესობით

საპირველმაისო დემონსტრაციები მოსკოვსა და პეტროგრადში. 1917 წ.

მიიღო ვ. ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუცია, რომელშიც ეკონომიკის ნგრევის შესაჩერებელი ღონისძიებები იყო ჩამოთვლილი. პეტროგრადის ფაბრიკებისა და ქარხნების მუშათა კომიტეტების ცენტრალურ საბჭოში არჩეული 25 წევრიდან 19 ბოლშევიკი იყო.

ფაბრიკებისა და ქარხნების მუშათა კომიტეტებში ბოლშევიკების გავლენის ზრდა საშიში იყო იმიტომაც, რომ სწორედ მუშათა კომიტეტები ქმნიდნენ წითელ გვარდიას, რომელსაც უნდა შეეცვალა წინათ არსებული მუშათა მილიცია. **წითელი გვარდია მალე სერიოზულ სამხედრო ძალად იქცა.** 1917 წლის ივლისში პეტროგრადის წითელი გვარდია 5-6 ათას კაცს აერთიანებდა. წითელი გვარდია შეიქმნა მოსკოვში და სხვა დიდ ქალაქებში. 1917 წლის ოქტომბრისათვის ქვეყანაში უკვე 100 ათასი წითელარმიელი იყო, რომლებიც აქტიურად უჭერდნენ მხარს ბოლშევიკებს.

მუშათა პროფკავშირულ ორგანიზაციებში ძლიერი იყო **რევოლუციური დემოკრატიის მემარჯვენე ფრთის** (სოციალ-დემოკრატი მენშევიკების, ესერების) გავლენა. ბოლშევიკები აქ დასაყრდენის შექმნას ვერ ახერხებდნენ. 1917 წლის ზაფხულისათვის სხვადასხვა დარგის მუშათა პროფესიული კავშირები 1,5 მილიონ კაცს აერთიანებდა, თუმცა მათი პოლიტიკური აქტივობის დონე ფაბრიკებისა და ქარხნების მუშათა კომიტეტებთან შედარებით ნაკლები იყო.

1917 წლის გაზაფხულ-ზაფხულის მოვლენებმა აჩვენეს, რომ **რევოლუციური დემოკრატიისა და მუშათა კლასის შიგნით განხეთქილების სერიოზული საფრთხე** არსებობდა. ეს ცხადად დადასტურდა **სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების** I ყრილობაზე, რომელიც 1917 წლის 3-24 ივნისს (16 ივნისი — 7 ივლისი) მიმდინარეობდა **პეტროგრადში.** ყრილობას 1090 დელეგატი დაესწრო (822 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, 268 — სათათბირო ხმით). დელეგატები წარმოადგენდნენ მუშათა და ჯარისკაცთა 400 ადგილობრივ საბჭოს. ყრილობის მხოლოდ 777 დელეგატმა მიუთითა თავისი პარტიული კუთვნილების შესახებ. 777 დელეგატიდან 285 ესერი იყო, 248 — მენშევიკი, 105 — ბოლშევიკი, 32 — მენშევიკ-ინტერნაციონალისტი. კიდევ 10 დელეგატი იმ მენშევიკთა წარმომადგენელი იყო, რომლებიც ბოლშევიკებთან გაერთიანებას უჭერდნენ მხარს.

სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების I ყრილობის დღის წესრიგში ორი მთავარი საკითხი იდგა: ა) დამოკიდებულება ომისადმი; ბ) დამოკიდებულება დროებით მთავრობასთან.

დროებით მთავრობასთან დამოკიდებულების შესახებ ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა მენშევიკი მ. ლიბერი. მან დასაბუთებულად უარყო მთელი ძალაუფლების საბჭოებისათვის გადაცემის შესაძლებლობა. **მენშევიკთა აზრით, დროებითი მთავრობის ლიკვიდაცია და მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლა იყო ის დამდუბველი ტაქტიკური ხაზი, რომელიც არ ითვალისწინებდა რუსეთში შექმნილ პოლიტიკურ ძალთა განლაგებას.** საბჭოების მიერ მთელი ძალაუფლების აღება გამოიწვევდა მუშათა კლასის იზოლაციას იმ ძალებისაგან, რომელ-

თაც განახორციელეს 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუცია. ცნობილმა მენშევიკმა, დროებითი მთავრობის ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრმა **ირაკლი წერეთელმა** ყრილობაზე გამოსვლისას დაასაბუთა კოალიციური (ორავალპარტიული) მთავრობის არსებობის აუცილებლობა და განაცხადა, რომ რუსეთში არ არსებობდა პოლიტიკური პარტია, რომელიც მარტო შეძლებდა ქვეყნის მართვას: **„რუსეთში არ არსებობს პოლიტიკური პარტია, რომელსაც შეეძლებოდა ეთქვა: მოგვეცით ხელისუფლება, წაბრძანდით თქვენ და ჩვენ დავიკავებთ თქვენს ადგილს“**. ი. წერეთლისადმი რეპლიკაში ვ. ლენინმა აღნიშნა, რომ რუსეთში არის პოლიტიკური პარტია, რომელიც მზად არის დაუყოვნებლივ აიღოს ხელში ძალაუფლება. ვ. ლენინი ბოლშევიკურ პარტიას გულისხმობდა. ვ. ლენინს კარგად ესმოდა, რომ რუსეთში ასეთი ვითარებაში ერთი პარტია მართლაც ვერ შეინარჩუნებდა ძალაუფლებას. **ბოლშევიკთა ლიდერს უკვე ჩაფიქრებული ჰქონდა 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდგომ დამყარებული დემოკრატიული წყობილების ლიკვიდაცია და ქვეყანაში დიქტატორული, სისხლიანი რეჟიმის, ანუ ყბადაღებული პროლეტარიატის (მუშათა კლასის) დიქტატურის დამყარება.** ირაკლი წერეთელმა, რომელსაც კარგად ესმოდა ბოლშევიზმის ნამდვილი ბუნება, ასეთი შეფასება მისცა მას: **„ბოლშევიზმი ის კარიბჭეა, საიდანაც ჩვენთან კონტრრევოლუცია შემოიჭრება“**. ეს წინასწარმეტყველება მალე ახდა კიდეც. სამწუხაროდ, იმხანად ძალზე ცოტას თუ ესმოდა ბოლშევიზმიდან მომდინარე საშიშროება. **რევოლუციური დემოკრატიის შემარცხენე-ექსტრემისტული ფრთის (ბოლშევიკების) შეუფასებლობა რევოლუციური დემოკრატიის მემარჯვენე და ცენტრისტული მიმართულების (მენშევიკების, ესერების) მიერ, უფრო მეტიც, — მთელი ლიბერალურ-დემოკრატიული მოძრაობის მიერ, გახდა იმ ტრაგედიის საფუძველი, რაც რუსეთში 1917 წლის ოქტომბერში დატრიალდა.** რევოლუციური დემოკრატიის ზომიერი ნაწილი, მემარჯვენეები და ცენტრისტები (მენშევიკები, ესერები), ასევე ლიბერალურ-დემოკრატიული მოძრაობა (კადეტები და მათი მომხრეები) ბოლშევიკების წინააღმდეგ რომ გაერთიანებულიყვნენ და მუშათა კლასში, გლეხობასა და ინტელიგენციაში ბოლშევიკების დემაგოგიური პოლიტიკის წინააღმდეგ აუცილებელი პროპაგანდისტული მუშაობა ეწარმოებინათ, ბოლშევიკები სერიოზულ პოლიტიკურ ძალად ვერასოდეს იქცეოდნენ. **ბოლშევიკების იზოლირება საზოგადოებისაგან 1917 წლის ზაფხულში ჯერ კიდევ სავსებით შესაძლებელი იყო. ეს შანსი ხელიდან გაუშვეს მათ, ვისაც ძალუძდა მისი გამოყენება, რითაც საბოლოოდ შესანიშნავად ისარგებლეს ბოლშევიკებმა.**

ჯერჯერობით ბოლშევიკებს კვლავ მოკრძალებული ადგილი ეკავათ რუსეთის რევოლუციური დემოკრატიის ელიტაში. სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების I ყრილობის მიერ არჩეულ **სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკის)** 256 წევრს შორის 107 მენშევიკი იყო, 101 ესერი, 35 ბოლშევიკი. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სოციალ-დემოკრატი მენშევიკი **ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე**.

მალე რუსეთში ვითარება შეიცვალა. 1917 წლის 9 ივნისისათვის ბოლშევიკებს პეტროგრადში დანიშნული ჰქონდათ თავიანთი მომხრე მუშებისა და ჯარისკაცების დემონსტრაცია, რომლის მთავარი მოთხოვნა უნდა ყოფილიყო ხელისუფლების საბჭოებისათვის გადაცემა. სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დეპუტატთა I ყრილობის დელეგატთა მოთხოვნით ბოლშევიკებმა დემონსტრაცია გადადეს. ამან საქმეს არ უშველა. 18 ივნისს გაიმართა ყრილობის მიერ სანქცირებული მუშათა და ჯარისკაცთა 400-ათასიანი დემონსტრაცია. დემონსტრანტებმა წამოაყენეს ბოლშევიკური ლოზუნგები: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“,

ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე



1917 წლის 18 ივნისის დემონსტრაცია პეტროგრადში

„ძირს 10 მინისტრი-კაპიტალისტი!", „შეწყდეს ომი!". **პეტროგრადის მუშებისა და ქალაქის გარნიზონის ასეთი განწყობილება კარგი გაკვეთილი უნდა გამხდარიყო ყველა ანტიბოლშევიკური პარტიისათვის, ყველას უნდა ეგრძნო, რომ რუსეთში ძალას იკრეფდა კონტრრევოლუცია.** სამწუხაროდ. ეს ასე არ მოხდა!

რუსეთის დროებითმა მთავრობამ, რევოლუციური დემოკრატიის მემარჯვენე და ცენტრისტულმა მიმდინარეობებმა ბოლშევიზმთან სერიოზული ბრძოლის ნაცვლად მდგომარეობის გამოსწორება ფრონტზე წარმატებული შეტევის განხორციელებით სცადა. სამხედრო-საზღვაო საქმეთა მინისტრის ა. **კერენსკის** აქტიური მონაწილეობით მომზადდა რუსეთის არმიის შეტევა **სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე**. 1917 წლის 18 ივნისს სამხრეთ-დასავლეთი ფრონტის მერვე არმიამ გენერალ **ლავრ კორნილოვის** სარდლობით 50 კილომეტრიან მონაკვეთზე გაარღვია ფრონტის ხაზი და 30 კილომეტრით წინ წაიწია. რუსებმა დაიკავეს რამდენიმე ქალაქი, მათ შორის **გალიჩი**. სამხრეთ-დასავლეთი ფრონტის სხვა არმიებმა წინსვლა ვერ განახორციელეს, რამაც საბოლოო ჯამში შეტევის ჩაშლა გამოიწვია.

ფრონტზე განცდილი წარუმატებლობა გახდა მიზეზი 1917 წლის 3-5 ივლისის პოლიტიკური კრიზისისა.

2. 1917 წლის ივლისის კრიზისი. 1917 წლის ივლისის კრიზისს დასაბამი მისცა 2 (15) ივლისს დროებითი მთავრობიდან ოთხი კადეტი მინისტრის (ა. შინგარიოვის, დ. შახოვსკის, ა. მანუილოვის, ვ. სტეფანოვის) გამოსვლამ. კადეტი მინისტრების მთავრობიდან გასვლის მიზეზი გახდა ი. **წერეთლის**, ა. **კერენსკისა** და მ. **ტერეშჩენკოს** ინიციატივით **უკრაინის ავტონომიის** ცნობა. კადეტთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის აზრით, უკრაინის ავტონომიის ცნობა დამფუძნებელი კრების უფლებას შეადგენდა და, ამდენად, დროებითმა მთავრობამ შელახა დამფუძნებელი კრების უფლება. სინამდვილეში კადეტი მინისტრების გადადგომის მიზეზი უფრო ღრმა იყო. უთანხმოება კადეტებსა და სოციალისტებს შორის მთავრობის პოლიტიკაში სოციალისტების მიერ შეტანილი ცვლილებების გამო დაიწყო. კადეტებს ამ დემარშით სოციალისტების აქტიურობის შეზღუდვა სურდათ. სრულიად მოულოდნელად კადეტი მინისტრების გადადგომამ პეტროგრადის მუშებისა და ქალაქის გარნიზონის ჯარისკაცთა საპროტესტო გამოსვლა გამოიწვია.

1917 წლის 3 ივლისის საღამოს პეტროგრადის ქუჩებში გამოვიდნენ ჯარისკაცები და კრონშტადტიდან ჩამოსული მეზღვაურები. 3-4 ივლისს ღამით ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს შეუერთდა 30 ათასი მუშა. დემონსტრანტებმა ალყა შემოარტყეს თავრიდის სასახლეს, სადაც მოთავსებული იყო **სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი**. დემონსტრანტები მოითხოვდნენ დროებითი მთავრობის გადადგომას და ძალაუფლების საბჭოებისათვის გადაცემას.

მიუხედავად დიდი სოციალური დაძაბულობისა, 1917 წლის 3-5 ივლისს ჯარისკაცებისა და მუშების ასეთი ორგანიზებული გამოსვლა მაინც მოულოდნელი იყო. ეს გამოსვლა მთლიანად ბოლშევიკების მიერ იყო პროვოცირებული. თავდაპირველად ბოლშევიკებმა კარგად გამოიყენეს დროებითი მთავრობის გადაწყვეტილება პეტროგრადის გარნიზონის ჯარების სათადარიგო ნაწილის ფრონტზე გაგზავნის შესახებ და ჯარისკაცები აამხედრეს მთავრობის წინააღმდეგ. **3-5 ივლისს აშკარად გამოჩნდა, რომ ბოლშევიკები მიზანმიმართულად მუშაობდნენ პეტროგრადის გარნიზონის ჯარისკაცთა, კრონშტადტის მეზღვაურთა და პეტროგრადის დიდი ქარხნების მუშათა შორის.** 1917 წლის მარტის ბოლოსათვის პეტროგრადის გარნიზონის ჯარებში რსდმპ (ბ) პეტროგრადის კომიტეტს უკვე შექმნილი ჰქონდა 48 პირველადი ორგანიზაცია. 1917 წლის მაისში რსდმპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა სპეციალური **სამხედრო ორგანიზაცია.** ხოლო 1917 წლის ივლისისათვის ბოლშევიკთა სამხედრო ორგანიზაციები უკვე მოქმედებდა 43 ქალაქში, მათ შორის **პეტროგრადსა** და მოსკოვში. ძლიერი ორგანიზაციები ჰქონდათ ბოლშევიკებს **ბალტიის ზღვის სამხედრო ფლოტში.** 1917 წლის ზაფხულისათვის კრონშტადტის მეზღვაურთა შორის რსდმპ (ბ) წევრთა რაოდენობა 3 ათასს აღემატებოდა, რეველში დაახლოებით 3 ათასს უდრიდა, ჰელსინგსფორსში — 4 ათასს. ბოლშევიკების ხელში იყო ბალტიის მეზღვაურთა უმაღლესი არჩევითი ორგანო — **ცენტრობალტი.** ცენტრობალტის თავმჯდომარეც ბოლშევიკი **პ. დიბენკო** იყო.

1917 წლის 4 ივლისს დემონსტრანტთა რაოდენობა გაიზარდა და თითქმის 500 ათასს მიაღწია. ცხადია, ბოლშევიკები მშვიდობიან დემონსტრაციას არ ამზადებდნენ. აშკარა იყო, რომ მათ **შეიარაღებული გამოსვლის** მოწყობა სურდათ. მიუხედავად ამისა, დღემდე დაუდგენელია პეტროგრადის ქუჩებში სროლა ვინ ატეხა — ბოლშევიკმა პროვოკატორებმა, თუ კაზაკთა პატრულმა?

1917 წლის 5 (18) ივლისს მთავრობამ პეტროგრადში **საალყო წესები** გამოაცხადა. ქალაქში ხელისუფლების ერთგული ჯარები შემოიყვანეს. რსდმპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დემონსტრაციის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო. დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებით დააპატიმრეს ცნობილი ბოლშევიკები: **ლ. ტროცკი, ლ. კამენევი** და სხვები. **ვ. ლენინი** და **გ. ზინოვიევი** ფინეთში მიიმალნენ.

1917 წლის 3-5 ივლისის დემონსტრაციის შემდეგ პრესაში დიდი ანტიბოლშევიკური პროპაგანდა გაჩაღდა. **ვ. ლენინსა** და **ბოლშევიკთა სხვა ლიდერებს ბრალი დასდეს გერმანიის არმიის გენერალურ შტაბთან კავშირსა** და **გერმანიის სასარგებლოდ შპიონაჟში.**

დღეს დადგენილია, რომ სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკები, ისევე როგორც სხვა სოციალისტური პარტიები, პირველი მსოფლიო ომის წლებში სხვადასხვა წყაროებიდან იღებდნენ ფინანსურ დახმარებას. **ბოლშევიკთა დამფინანსებლებს შორის იყო გერმანიის სამხედრო უწყება, რომელიც დაინტერესებული იყო რუსეთში ბოლშევიკთა ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის გაძლიერებით.** გერმანიის სამხედრო უწყებასთან ვ. ლენინის კავშირის შესახებ პრესაში ცნობები გაჩნდა მისი საზღვარგარეთიდან დაბრუნებისთანავე (1917 წლის აპრილი). ბოლომდე კონკრეტულად დადგენილი არაა 1917 წლის 3-5 ივლისის მოვლენების პროვოცირებისათვის ვ. ლენინმა და ბოლშევიკებმა გერმანიის სამხედრო უწყებიდან ნამდვილად მიიღეს თუ არა ფინანსური დახმარება, მაგრამ ერთი რამ ცხადია: **ვ. ლენინი და მისი უახლოესი თანამოაზრეები ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგაც აგრძელებდნენ გერმანიის სამსახურებთან თანამშრომლობასაც და ფინანსური დახმარების მიღებასაც.**

1917 წლის ივლისის დემონსტრაციის შემდეგ ბოლშევიკებმა მოქმედების ტაქტიკა შეცვალეს. 1917 წლის ივლის-აგვისტოში პეტროგრადში გაიმართა რსდმპ (ბ) VI ყრილობა, რომელმაც **შეიარაღებული აჯანყების** გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდების ტაქტიკას დაუჭირა მხარი. რსდმპ (ბ) VI ყრილობის დადგენილება შეიარაღებული აჯანყების მზადების შესახებ სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ დროებით მთავრობას ბოლშევიკთა წინააღმდეგ მასობრივი რეპრესიები დაეწყო. **მთავრობის სოციალისტი მინისტრები და პეტროგრადის დეპუტატთა საბჭო ასეთი გადამჭრელი ზომების გატარებისაგან თავს იკავებდნენ და სრულიად აუცილებელ რეპრესიებსაც კი დემოკრატიისა და რევოლუციის მონაპოვრის შელახვად მიიჩნევდნენ.** უფრო მეტიც, დროებითი მთავრობის მინისტრად ყოფნის დროს **ირაკლი წერეთელი** ვ. ლენინის დაპატიმრების სანქციის გაცემის წინააღმდეგი გამოვიდა (ვ. ლენინს ბრალად ედებოდა გერმანიის სასარგებლოდ ძირგამომთხრელი საქმიანობა).

1917 წლის ივლისის **კრიზისს** შედეგად მოჰყვა ცვლილებები დროებით მთავრობაში.

დამტკიცდა დროებითი მთავრობის **მეორე** შემადგენლობა. მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა **გიორგი ლვოვმა**. 1917 წლის 8 (21) ივლისს დროებითი მთავრობის თავმჯდომარე (მინისტრი-თავმჯდომარე) გახდა **ალექსანდრე კერენსკი**, რომელმაც სამხედრო და საზღვაო საქმეთა მინისტრის თანამდებობაც შეინარჩუნა. სრულიად მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დროებით მთავრობას „შეუზღუდავი უფლებამოსილება" მისცა და იგი „რევოლუციის მხსნელ" მთავრობად გამოაცხადა. 1917 წლის 24 ივლისს (6 აგვისტოს) დამტკიცდა დროებითი მთავრობის **მესამე** შემადგენლობა. მთავრობის მეორე შემადგენლობის მსგავსად, მესამეც **კოალიციური** იყო. ამჯერად მთავრობის შემადგენლობაში შევიდა: 8 მინისტრი კადეტებიდან და კადეტებთან ახლოს მდგომი პოლიტიკური ძალებიდან, 3 – ესერებიდან (ა. კერენსკი, ნ. ავქსენტიევი, ვ. ჩერნოვი), 2 – მენშევიკებიდან (ა. ნიკიტინი, მ. სკობელევი), 2 – სახალხო სოციალისტებიდან (ა. პეშეხონოვი, ა. ზარუდნი) და ერთი – ე.წ. „უფრაქციო" სოციალ-დემოკრატებიდან (ს. პროკოპოვიჩი).

მიუხედავად იმისა, რომ დროებით მთავრობაში **მინისტრი-კაპიტალისტები** და **მინისტრი-სოციალისტები** თითქმის თანაბრად იყვნენ წარმოდგენილნი, შეთანხმება მაინც ვერ მოხერხდა.

ალექსანდრე კერენსკი

მთავრობის მუშაობას ხელს უშლიდა შინაგანი უთანხმოება.

3. **სამხედრო დიქტატურის დამყარების ცდა და მისი შედეგები**. 1917 წლის ივლისის ამბებმა ცხადი გახადა, რომ **მემარჯვენე** და **ცენტრისტული** რევოლუციური დემოკრატიის (მენშევიკები, ესერები) გაუბედავი და შემრიგებლური პოლიტიკა როგორც დროებით მთავრობაში, ისე პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსა და სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში **დაღუპვისაკენ მიაქანებდა ქვეყანას**. დროებითი მთავრობის კადეტი მინისტრების აზრით აუცილებელი იყო ჯარისკაცებისა და მუშების რევოლუციური აქტიურობისათვის ზღვარის დადება, ფრონტსა და ზურგში ანარქიისა და ქაოსის ლიკვიდაცია. **ჯანსაღი პოლიტიკური ძალები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ რუსეთის ხსნა მხოლოდ სამხედრო დიქტატურას შეეძლო**. კატასტროფის მოახლოებას ყველა კარგად გრძნობდა, მაგრამ როგორც დროებითი მთავრობის სოციალისტი მინისტრები, ისე პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭო და სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი სამხედრო დიქტატურის სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ.

სამხედრო დიქტატურის მომხრეთა შორის სულ უფრო მტკიცდებოდა აზრი იმის შესახებ, რომ დიქტატორის პოსტზე ყველაზე კარგი კანდიდატი რუსეთის არმიის უმაღლესი მთავარსარდალი გენერალი **ლავრ კორნილოვი** იქნებოდა. ლ. კორნილოვი ძალზე პოპულარული პიროვნება იყო. მან სახელი გაითქვა პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ ლ. კორნილოვი პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად დაინიშნა, მაგრამ 1917 წლის აპრილში იგი დროებით მთავრობასთან უთანხმოების გამო ამ თანამდებობიდან გადადგა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე მერვე არმიის სარდლად დაინიშნა, მალე კი გენერალი ა. ბრუსილოვი შეცვალა რუსეთის არმიის უმაღლესი მთავარსარდლის პოსტზე. **ლავრ კორნილოვი თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი** იყო. ახალი თანამდებობა ლ. კორნილოვს საშუალებას აძლევდა სამხედრო დიქტატურა დაემყარებინა და რუსეთი კატასტროფისაგან ეხსნა.

ამ რადიკალურ ღონისძიებას სხვადასხვა ძალები უჭერდნენ მხარს. მოძრაობის ბირთვს შე-

ადგენდა რუსეთის უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში არალეგალურად არსებული არმიისა და ფლოტის ოფიცერთა კავშირი, გიორგის ჯარის კავალერთა კავშირი, კაზაკთა ჯარის კავშირის საბჭო, მოძრაობას მხარს უჭერდნენ სამრეწველო-საფინანსო წრეების წარმომადგენლები.

არმიაში წესრიგის აღდგენის პროგრამა გენერალმა **ლავრ კორნილოვმა** ჩამოაყალიბა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკისათვის 1917 წლის 16 ივლისს გაგზავნილ ტელეგრამაში. პროგრამა ითვალისწინებდა შემდეგს: 1) სამხედრო ნაწილების მეთაურთა უფლებების გაზრდა; 2) სამხედრო ნაწილების კომისართა და ჯარისკაცთა დეპუტატების უფლებების შეკვეცა; 3) ფრონტზე სიკვდილით დასჯის შესახებ დროებითი მთავრობის მიერ 1917 წლის 12 ივლისს მიღებული დადგენილების ზოგიერთ სამხედრო ნაწილებზეც გავრცელება; 4) მოქმედ არმიაში ყოველგვარი კრებისა და მიტინგების, ასევე აგიტაციის აკრძალვა. გენერალ ლ. კორნილოვის პროგრამას მხარი დაუჭირეს უმაღლეს სამხედრო წრეებში, კერძოდ, ა. **დენიკინმა**, ა. **ლუკომსკიმ**, მ. **ალექსეევმა** და სხვებმა.

ლ. კორნილოვის პროგრამას მოწონებით შეხვდნენ კადეტთა პარტიის მოღვაწეები. ნ. **ასტროვინმა**, ნ. **კიშკინმა** და ვ. **ნაბოკოვმა** ღია წერილით მიმართეს დროებითი მთავრობის თავმჯდომარეს ა. **კერენსკის**. წერილის ავტორები აყენებდნენ უმკაცრესი სამხედრო დისციპლინის საფუძველზე ძლიერი, ბრძოლისუნარიანი არმიის აღდგენის საკითხს. ამავე დროს მოითხოვდნენ აკრძალულიყო სამხედრო ნაწილების სტრატეგიულ და ტაქტიკურ საქმიანობაში ჯარისკაცთა კომიტეტების ჩარევა. უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ნ. ასტროვი, ნ. კიშკინი და ვ. ნაბოკოვი მოითხოვდნენ **საბჭოებისაგან დამოუკიდებელი, ძლიერი ეროვნული სახელმწიფო ხელისუფლების ჩამოყალიბებას**.

1917 წლის 8-10 (21-23) აგვისტოს მოსკოვის უნივერსიტეტში გაიმართა **სრულიად რუსეთის საზოგადო მოღვაწეთა თათბირი**. თათბირის მუშაობაში დაახლოებით 400 კაცი მონაწილეობდა, მათ შორის იყვნენ კადეტების პარტიის, ვაჭარ-მრეწველთა, ფინანსური წრეების, მიწათმფლობელების, სამღვდელოების, სახელმწიფო სათათბიროს, არმიისა და ფლოტის წარმომადგენლები. თათბირი გახსნა თავადმა **ე. ტრუბეცკოიმ**. მან თათბირის მონაწილეებს „სახელმწიფოებრივი აზროვნების ადამიანები" უწოდა. რუსული ლიბერალური მოძრაობის ცნობილმა წარმომადგენელმა **პ. სტრუვემ** თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო **„ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლება"**, რომელიც შეძლებდა ქვეყანაში წესრიგის აღდგენას. საზოგადო მოღვაწეთა თათბირის მონაწილეებმა დროებით მთავრობას სავსებით გარკვევით მიანიშნეს, რომ **მოაზროვნე რუსეთი, ქვეყნის ინტელიგენციის ელიტა მხარს უჭერდა რუსეთში ექსტრემისტული ძალების თარეშის აღკვეთას და მეტიც, სახელმწიფო წესრიგის დამყარებას**. ქვეყნის საზოგადო მოღვაწეთა ასეთი პოზიცია სტიმულის მიმცემი იყო გენერალ ლავრ კორნილოვისათვის.

1917 წლის 3 და 10 აგვისტოს პეტროგრადში შედგა გენერალ **ლავრ კორნილოვისა** და დროებითი მთავრობის თავმჯდომარის **ალექსანდრე კერენსკის** კერძო შეხვედრები. ლ. კორნილოვმა რუსეთის უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის სახელით ა. კერენსკის შესთავაზა: 1) ფრონტისა და ზურგისათვის ერთიანი სამართლებრივი რეჟიმის შემოღება; 2) მთელი ტრანსპორტისა და მრეწველობის მნიშვნელოვანი ნაწილის ომის საჭიროებისათვის მობილიზება. თავდაპირველად ა. კერენსკი თითქმის დაეთანხმა ლ. კორნილოვს, მაგრამ შემდეგში გენერალიტეტისაგან თავი შორს დაიჭირა — **საბჭოების ლიკვიდაციასა და სამხედრო დიქტატურის დამყარებაზე სასტიკი უარი განაცხადა**.

ლავრ კორნილოვი

სამხედრო დიქტატურის დამყარებაზე უარის თქმა ალექსანდრე კერენსკის მხრიდან რუსეთისა და, საერთოდ, კაცობრიობის წინაშე უდიდესი დანაშაულის ტოლფასი იყო. ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი, მთავრობის თავმჯდომარე როგორც პიროვნება და როგორც სახელმწიფო მოღვაწე სრულიად შეუფერებელი აღმოჩნდა. ა. კერენსკი, ისევე როგორც იმ პერიოდის ბევრი სხვა პოლიტიკური მოღვაწე, შემთხვევით მოხვდა დიდ სახელმწიფო თანამდებობებზე (იუსტიციის მინისტრი, სამხედრო და საზღვაო საქმეთა მინისტრი, მთავრობის თავმჯდომარე). **დემაგოგიის ხელოვნებას შესანიშნავად დაუფლებულს, პოლიტიკურ ძალთა შორის ლავირების ოსტატს, პოპულისტ ალექსანდრე კერენსკის თანამდებობის ხელში ჩაგდების უნარი კი აღმოაჩნდა, მაგრამ იმ ურთულეს ეპოქაში უზარმაზარი სახელმწიფოს მართვის ნიჭი** მას **ნამდვილად არ ჰქონდა.** არაფრით გამორჩეული ა. კერენსკი დროებითი მთავრობის თავმჯდომარე მხოლოდ იმის წყალობით გახდა, რომ კადეტებს არ სურდათ ასეთი მნიშვნელოვანი თანამდებობა სოციალ-დემოკრატებისათვის დაეთმოთ, ხოლო, თავის მხრივ, სოციალ-დემოკრატები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მთავრობის თავმჯდომარე კადეტი არ გამხდარიყო. სამხედრო დიქტატურის წინააღმდეგ ა. კერენსკი დემოკრატიის დაცვისა და სოციალიზმის იდეებისადმი ერთგულების მიზეზებით გამოდიოდა. **სინამდვილეში პოლიტიკურ ინტრიგებში კარგად გამოწვრთნილმა რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარემ შესანიშნავად იცოდა, რომ სამხედრო დიქტატურის დამყარების შემთხვევაში იგი არარაობად იქცეოდა. ალექსანდრე კერენსკიმ რუსეთის ბედი მთავრობის თავმჯდომარის სავარძელს ანაცვალა და თავისი მოღვაწეობით ხელი შეუწყო** ვ. **ლენინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკების მოსვლას ხელისუფლების სათავეში. თავისი კარიერისტული მისწრაფებებით ალექსანდრე კერენსკიმ რუსეთიც დაღუპა და დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმეც დაასამარა.**

1917 წლის 12-15 აგვისტოს მოსკოვში დიდი თეატრის შენობაში გაიმართა **სახელმწიფო თათბირი,** რომელიც ისტორიაში **მოსკოვის** თათბირის სახელით უფროა ცნობილი. თათბირს დაახლოებით 2500 კაცი ესწრებოდა. მოსკოვის თათბირზე თავი მოიყარეს მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს ყოფილმა წევრებმა, პოლიტიკური პარტიების, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, არმიისა და ფლოტის, ვაჭრობა-მრეწველობის, ფინანსური წრეების, პროფესიული კავშირების, კოოპერატიული ორგანიზაციების, არარუსი ერების, მიწათმფლობელთა და სამღვდელოების წარმომადგენლებმა. მოსკოვის თათბირის უმრავლესობაში მემარჯვენეები აღმოჩნდნენ, რევოლუციური დემოკრატიის წარმომადგენლებს მოკრძალებული ადგილი ეკავათ (მათ სულ 250 ადგილი ხვდათ). მოსკოვის თათბირს სოციალ-დემოკრატი მენშევიკი **ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე** თავმჯდომარეობდა. ბოლშევიკებმა თავიდანვე იგრძნეს, რომ თათბირის მუშაობას ტონს ვერ მისცემდნენ და დარბაზი დატოვეს.

ალექსანდრე კერენსკი, რომელსაც ამჯერადაც საკუთარი კარიერის გადარჩენა ამოძრავებდა, ცდილობდა დროებითი მთავრობის გარშემო შემოეკრიბა ყველა ძალა უკიდურესი მემარჯვენეებისა და უკიდურესი მემარცხენეების გარდა. ა. კერენსკის მისწრაფება არარეალური იყო, რადგან თათბირის მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა გენერალ **ლავრ კორნილოვს** უჭერდა მხარს. თათბირზე გამოსვლისას ა. კერენსკიმ მთელი ყურადღება თავისი სიტყვის ემოციურ მხარეზე გადაიტანა და კიდევ ერთხელ შეეცადა დემაგოგიური და პოპულისტური ფრაზებით მოეხიბლა მსმენელი. ამჯერად მედროვე და გაქნილი პოლიტიკოსი შეცდა. **თათბირის სიმპათია აშკარად გენერალ ლავრ კორნილოვის მხარეზე იყო, რომლის გამოსვლა კონკრეტული და საქმიანი** იყო. ლ. კორნილოვმა აღნიშნა, რომ ფრონტსა და ზურგში წესრიგი ერთნაირად უნდა აღდგენილიყო. ამასთან ერთად, მან მოითხოვა „მტკიცე" და „თანმიმდევრული" ხელისუფლების შექმნა.

მოსკოვის თათბირმა ცხადად დაადასტურა ალექსანდრე კერენსკის მთავრობის პოლიტიკის კრახი. **აშკარა იყო, რომ რევოლუციურ დემოკრატიას (სოციალ-დემოკრატ მენშევიკებს, ესერებს) სახელმწიფოს მართვის უნარი არ აღმოაჩნდა და არც ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის გეგმა ჰქონდათ ჩამოყალიბებული.** თათბირმა ისიც აჩვენა, რომ რუსეთის ჯანსაღი პოლიტიკური ძალები ქვეყნის ხსნის ერთადერთ გზას სამხედრო დიქტატურის დამყარებაში ხედავდნენ.

1917 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში გენერალი **ლავრ კორნილოვი** რუსეთის არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში თავის უახლოეს თანამებრძოლებთან ერთად (მ. მილონენკო, ვ. ზავოიკო და სხვ.) ამუშავებდა პეტროგრადის დაკავების გეგმას, რასაც ხელისუფ-

ლების რეორგანიზაცია და მთავრობიდან სოციალისტების გაძევება უნდა მოჰყოლოდა. აღსანიშნავია, რომ ა. კერენსკი ახალ მთავრობაშიც უნდა დარჩენილიყო, ოღონდ უმნიშვნელო თანამდებობაზე. ა. კერენსკის კანდიდატურის განხილვისას ლ. კორნილოვმა განაცხადა, რომ იგი „არა მარტო სუსტი და გაუბედავია, არამედ არაგულწრფელიც". სამხედრო გადატრიალების შემდეგ რუსეთის მართვა-გამგეობაში გადამწყვეტი როლი სამხედროებს უნდა შეესრულებინათ. მათ შორის **ლ. კორნილოვის** გარდა იყვნენ: **მ. ალექსეევი, ბ. სავინკოვი, მ. მილონენკო** და სხვ.

1917 წლის 22-26 აგვისტოს უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკსა და პეტროგრადს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა. ამ მოლაპარაკების ბევრი დეტალი უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ დროებითი მთავრობის წევრმა, სინოდის ობერ-პროკურორმა **ვ. ლვოვმა**, რომელსაც შუამავლის როლი ჰქონდა დაკისრებული, ფაქტობრივად, ლავრ კორნილოვი და ალექსანდრე კერენსკი საბოლოოდ დაუპირისპირა ერთმანეთს.

1917 წლის 26 აგვისტოს ვ. ლვოვი **მოგილიოვიდან პეტროგრადში** დაბრუნდა და ა. კერენსკის ლ. კორნილოვის მოთხოვნები გადასცა. როგორც შემდეგში გაირკვა, ვ. ლვოვი ცრუობდა: კერენსკისათვის გადაცემული მოთხოვნები ეკუთვნოდა არა ლ. კორნილოვს, არამედ მის მრჩეველს ვ. ზავოიკოს. იყო თუ არა ეს მოთხოვნები ლ. კორნილოვთან საბოლოოდ შეთანხმებული, დღემდე უცნობია. ვ. ლვოვის სიტყვით, უმაღლესი მთავარსარდლობის მოთხოვნები ასეთი იყო: 1) მთელი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების უმაღლესი მთავარსარდლისათვის, გენერალ კორნილოვისათვის გადაცემა; 2) დროებითი მთავრობის ყველა წევრის დაუყოვნებლივ გადადგომა; 3) პეტროგრადში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადება. ვ. ლვოვმა ა. კერენსკის ისიც აცნობა, რომ მოგილიოვში გამგზავრებაზე თავი შეეკავებინა, რადგან უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში მას უკვე სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს (დღემდე გაურკვეველია, თუ რატომ უთხრა ვ. ლვოვმა ა. კერენსკის, რომ სიკვდილის განაჩენის გამოტანისას ლ. კორნილოვი შენს გადარჩენას ცდილობდაო).

ალექსანდრე კერენსკიმ გადაწყვიტა გენერალ ლავრ კორნილოვის გზიდან ჩამოცილება. პირველ რიგში, ა. კერენსკიმ ვ. ლვოვს სთხოვა წერილობით ჩამოეყალიბებინა მისი საუბრის შინაარსი, რათა მეამბოხე სამხედროების დასასჯელი აუცილებელი დოკუმენტი ჰქონოდა. წერილობითი დოკუმენტის მიღების შემდეგ ა. კერენსკიმ ვ. ლვოვის დაპატიმრების ბრძანება გასცა. სასწრაფოდ მოწვეულ მთავრობის სხდომაზე ა. კერენსკიმ მეამბოხე გენერლის, ლ. კორნილოვის წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებელი საგანგებო უფლებების მინიჭება მოითხოვა. თუ ა. კერენსკი ამ უფლებებს მიიღებდა, იგი რუსეთის ფაქტობრივი დიქტატორი ხდებოდა. დროებითი მთავრობის წევრებმა შექმნილ ვითარებაში გადადგომა არჩიეს. რუსეთში ახალი **სამთავრობო კრიზისი** დაიწყო.

ა. კერენსკი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. იგი მოკლებული აღმოჩნდა მთავრობის მხარდაჭერასაც კი. ასეთ ვითარებაში მან **ბოლშევიკებთან ფარული თანამშრომლობა არჩია**, რათა ბოლშევიკების გავლენის ქვეშ მყოფი პეტროგრადის წითელი გვარდიის, პეტროგრადის გარნიზონის ჯარებისა და კრონშტადტის მეზღვაურთა ძალებით ლ. კორნილოვი დაემარცხებინა. სხვა გზა ა. კერენსკის არ ჰქონდა — იგი განწირული იყო.

1917 წლის 27 აგვისტოს ა. კერენსკიმ მოგილიოვში, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში, ტელეგრამა გაგზავნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ გენერალი ლ. კორნილოვი გადაყენებულია რუსეთის იმპერიის უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობიდან. იმავდროულად ა. კერენსკიმ მიმართა ქვეყნის მოსახლეობას, არმიას, რკინიგზის მუშებს, დეპუტატთა საბჭოებს და სხვა რევოლუციურ ორგანიზაციებს, ებრძოლათ „მეამბოხე", „რევოლუციისა და სამშობლოს მოღალატე" გენერალ ლ. კორნილოვის წინააღმდეგ. **ალექსანდრე კერენსკის ულირსი საქციელით შეურაცხყოფილი ლავრ კორნილოვი არ დაემორჩილა მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებას და ა. კერენსკის საქციელს „უდიდესი პროვოკაცია" უწოდა.** ამავე დროს მან განაცხადა: „ბოლშევიკური საბჭოების ზეგავლენით დროებითი მთავრობა მოქმედებს გერმანიის გენერალურ შტაბთან სრული თანხმობით, რაც ითვალისწინებს რიგის სანაპიროზე გერმანიის დესანტის გადმოსხმას. დროებითი მთავრობა ღუპავს არმიას და ქვეყანაში იწვევს არეულობას".

გენერალ ლავრ კორნილოვს მხარი დაუჭირეს ფრონტების მთავარსარდლებმა. მას დიდი იმედი ჰქონდა გენერალ ა. **კრიმოვის** მეორე ცხენოსანი კორპუსისა, რომელსაც პეტროგრადი უნდა დაეკავებინა.

პოლიტიკურ ინტრიგათა ოსტატმა ა. კერენსკიმ ამჯერადაც ყველაფერი ზუსტად გათვალა.

ვ. ლენინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკებმა ლ. კორნილოვის წინააღმდეგ დიდი ძალები (პეტროგრადის გარნიზონის ჯარები, პეტროგრადის წითელი გვარდია, კრონშტადტის, რეველისა და ჰელსინგფორსის მეზღვაურები, მუშები) დარაზმეს. ბოლშევიკებმა ძლიერი პროპაგანდისტული მუშაობა გასწიეს ფრონტებზე არსებულ ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში, რომელთა დიდი ნაწილი ლ. კორნილოვის წინააღმდეგ განაწყვეს. ცხადია, ვ. ლენინს ერჩია ხელისუფლების სათავეში ა. კერენსკი და მისი უსუსური დროებითი მთავრობა დარჩენილიყო, ვიდრე ძალაუფლება ლ. კორნილოვს აეღო ხელში, რომელიც ბოლშევიკების პარპაშს ზღვარს დაუდებდა.

სამხედრო დიქტატურის დამყარებისათვის ბრძოლა თავიდანვე წარუმატებლად დაიწყო. ბოლშევიკების მიერ დარაზმულმა ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებმა თავიანთ სამხედრო ნაწილებს საშუალება არ მისცეს მხარი დაეჭირათ ლ. კორნილოვისათვის. პრაქტიკულად, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი მოწყვეტილი აღმოჩნდა ცალკეულ ფრონტებსა და არმიებს. უფრო მეტიც, სამხრეთ-დასავლეთი ფრონტის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დააპატიმრა ფრონტის მთავარსარდალი გენერალი ა. დენიკინი, რომელიც ლ. კორნილოვს უჭერდა მხარს. თანამდებობიდან გადააყენეს და დააპატიმრეს სამხედრო დიქტატურის მომხრე სხვა გენერლები და ოფიცრები. მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა, გენერალმა ა. ვერხოვსკიმ, რომელიც დროებითი მთავრობის ერთგული დარჩა, მოგოლიევზე სალაშქროდ სპეციალური საექსპედიციო კორპუსი ჩამოაყალიბა (ა. ვერხოვსკი მალე დროებითი მთავრობის სამხედრო მინისტრად დაინიშნა).

პეტროგრადის წითელმა გვარდიამ და გარნიზონის ჯარებმა ქალაქის მისადგომები გაამაგრეს. ქალაქის დამცველებს მხარს უჭერდნენ კრონშტადტიდან, რეველიდან და ჰელსინგფორსიდან საგანგებოდ ჩამოყვანილი მეზღვაურები. ბოლშევიკმა აგიტატორებმა გადაიბირეს პეტროგრადზე სალაშქროდ დაძრული გენერალ ა. კრიმოვის მესამე ცხენოსანი კორპუსის ჯარისკაცები.

1917 წლის 30 აგვისტოსათვის ლ. კორნილოვის ლაშქრობა პეტროგრადზე ჩაიშალა. აღსანიშნავია, რომ პეტროგრადის მისადგომებთან არც ერთი სერიოზული ბრძოლა არ გამართულა. 31 აგვისტოს ა. კერენსკისთან მწვავე საუბრის შემდეგ თავი მოიკლა გენერალმა ა. კრიმოვმა. 2 სექტემბერს დააპატიმრეს გენერალი ლავრ კორნილოვი. იგი თავის უახლოეს თანამოაზრეებთან ერთად ბიხოვის ციხეში ჩასვეს.

ლ. კორნილოვის ამბოხების ჩახშობა ა. კერენსკის გამარჯვების მაუწყებელი იყო, თუმცა ამ გამარჯვებით ვ. ლენინმა და ბოლშევიკებმა უფრო მეტად ისარგებლეს, ვიდრე ა. კერენსკიმ. 1917 წლის აგვისტოს ბოლოდან სწორედ ბოლშევიკები ჩაუდგნენ სათავეში საბჭოებს. 1917 წლის 31 აგვისტოს პეტროგრადის მუშათა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭომ ხელისუფლების შესახებ ბოლშევიკური რეზოლუცია მიიღო. 5 სექტემბერს მსგავსი რეზოლუცია მიიღო მოსკოვის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა. საბჭოების ბოლშევიზაცია საყოველთაო მოვლენად იქცა.

ალექსანდრე კერენსკიმ გენერალ ლავრ კორნილოვის ამბოხების ჩახშობით ხელისუფლებისაკენ გზა გაუხსნა ვლადიმერ ლენინს.

რუსეთში სამხედრო დიქტატურის დამყარებას მხარს უჭერდა არა მარტო გენერალიტეტი, არამედ ფინანსური წრეები და რუსეთის პოლიტიკური ელიტის, ანუ „მოაზროვნე რუსეთის" დიდი ნაწილი — ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, მათ შორის დემოკრატიული ინტელიგენცია. მაშ, რა იყო მიზეზი გენერალ ლავრ კორნილოვის ამბოხების დამარცხებისა? სამხედრო დიქტატურის დამყარების ცდა მარცხით დამთავრდა შემდეგი მიზეზების გამო: 1) 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ რუსეთში ლიბერალური დემოკრატიისა (კადეტებისა და მათი მიმდევრების) და რევოლუციური დემოკრატიის (სოციალ-დემოკრატი მენშევიკების, ესერების) ერთგვარი პარტეტი დაამყარა; 2) ვერც ლიბერალური დემოკრატია და ვერც რევოლუციური დემოკრატია ქვეყანას დამოუკიდებლად ვერ მართავდა. ლიბერალური დემოკრატიისა და რევოლუციური დემოკრატიის ფარული თუ აშკარა დაპირისპირებით კარგად ისარგებლა რადიკალურ-ექსტრემისტულმა მიმდინარეობამ (ბოლშევიკებმა) და ნელ-ნელა მოიპოვა პოზიციები არმიაში, ფლოტში, მუშებსა და გლეხებში. მმართველი პოლიტიკური ძალის — ლიბერალური დემოკრატიისა და რევოლუციური დემოკრატიის (დროებითი მთავრობის) — ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის კრახის ფონზე, რასაც თან ახლდა დიდი წარუმატებლობა ფრონტზე, ბოლშევიკების დემაგოგიური, პოპულისტური

ლოზუნგები მასისათვის ადვილად აღსაქმელი და შესათვისებელი გახდა. სასოწარკვეთილმა მასამ ირწმუნა ექსტრემისტებისა; 3) სამხედრო დიქტატურის მომხრე პოლიტიკური ძალები და დიქტატურის მხარდამჭერი გენერალიტეტი აქტიურად ვერ თანამშრომლობდა, არ მომხდარა გეგმების კოორდინაცია და საერთო პროგრამის შემუშავება; 4) სახელმწიფო თათბირის (მოსკოვის თათბირის) შემდეგ გენერალ ლავრ კორნილოვს შეეძლო დაუყოვნებლივ დაეწყო ამბოხება და დროებითი მთავრობა გადაეყენებინა. იმ მომენტისათვის საზოგადოებრივი აზრი მის მხარეზე იყო. ლ. კორნილოვმა ამის სანაცვლოდ ისევ ა. კერენსკისთან დაიწყო მოლაპარაკება, რის გამოც ძვირფასი დრო უქმად დაკარგა; 5) ა. კერენსკიმ ლ. კორნილოვის წინააღმდეგ მარჯვედ გამოიყენა ვ. ლენინი და ბოლშევიკები, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს მასების დარაზმვისათვის სამხედრო დიქტატურის დამყარების წინააღმდეგ.

4. **საყოველთაო კრიზისის შემდგომი გაღრმავება (1917 წლის სექტემბერ-ოქტომბერი).** ლ. კორნილოვთან დაპირისპირებაში ა. კერენსკი გამარჯვებული გამოვიდა. მიუხედავად ამისა, საყოველთაო კრიზისი რუსეთში ძალას იკრებდა, ხოლო დროებითი მთავრობა უძლური იყო შეეჩერებინა იგი.

ა) **ეკონომიკის ნგრევა.** პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ყველა ქვეყანაში ეკონომიკის ნგრევა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. **რუსეთში ნგრევა უფრო მასშტაბურად წარიმართა, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.** წარმოებული პროდუქციის საერთო რაოდენობისა და ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციის კლება, შრომის ნაყოფიერების დაცემა, მთელი რიგი დარგების შეკვეცა ან საერთოდ გაქრობა, უმუშევრობა, 1917 წლის შემოდგომაზე კულმინაციას აღწევს.

მძიმე მდგომარეობაში იყო რუსეთის საფინანსო სისტემა. საფინანსო სისტემის კრიზისის გამოვლინებას წარმოადგენდა **ფულის ემისია.** რუსეთის საფინანსო სისტემის მოშლის პირველი ეტაპი მსოფლიო ომის დასაწყისიდან 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში ქაღალდის ფულის რაოდენობა 1633 მილიონი მანეთიდან 9950 მილიონ მანეთამდე გაიზარდა. მსოფლიო ბაზარზე რუსული მანეთის კურსი 99,3 კაპიკიდან 54,4 კაპიკამდე დაეცა, ე.ი. 45%-ით შემცირდა. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციიდან 1917 წლის ოქტომბრამდე ქაღალდის ფულის რაოდენობა 9950 მილიონი მანეთიდან 18917 მილიონ მანეთამდე გაიზარდა, ე.ი. 90%-ით მოიმატა. 7,5 თვის მანძილზე რუსეთის დროებითმა მთავრობამ იმაზე მეტი ფული გამოუშვა, ვიდრე რუსეთის იმპერიის მთავრობამ ომის სამი წლის მანძილზე (1914-1916 წწ.). დროებითმა მთავრობამ ქაღალდის ფულის გამოშვება განსაკუთრებით გაზარდა ლ. კორნილოვის ამბოხების ჩახშობის შემდეგ. 1917 წლის ოქტომბერში მთავრობა ყოველდღიურად 66,6 მილიონი მანეთის ღირებულების ქაღალდის ფულს უშვებდა (1917 წლის მარტში მთავრობა ყოველდღიურად 36,2 მილიონი მანეთის ღირებულების ქაღალდის ფულს უშვებდა). ქაღალდის ფულის ემისიასთან ერთად თითქმის შეწყდა სახელმწიფო ბანკში გადასახადების შესვლა — **საგადასახადო სისტემა მთლიანად პარალიზებული იყო.**

სულ უფრო მზარდ ინფლაციას მოჰყვა ფასების ზრდა და **სპეკულაცია,** რაც, პირველ რიგში, დაბალ სოციალურ ფენებს დაუწვა მძიმედ. 1917 წლის ოქტომბერში მუშის საშუალო თვიური ხელფასი 1914 წლის ხელფასის 57%-ს შეადგენდა.

ხორბლის მოსავალი 1917 წელს 1914 წლის დონესთან შედარებით მხოლოდ 14%-ით შემცირდა. სამაგიეროდ, ტრანსპორტის მოშლის გამო ძალზე ფერხდებოდა დიდი ქალაქების მომარაგება პურით, რაც ხელს უწყობდა პურის ფასის ზრდასა და სპეკულაციას. 1917 წლის შემოდგომაზე პეტროგრადისა და მოსკოვის მუშა დღეში მხოლოდ 200 გრამ პურს იღებდა.

ბ) **სოციალური დაძაბულობის ზრდა.** ეკონომიკის ნგრევამ სოციალური დაძაბულობის ზრდა გამოიწვია.

მუშათა პროტესტის ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო **გაფიცვა.** გაფიცვების ზრდის ტენდენცია კარგად ჩანს შემდეგი მონაცემებიდან: 1917 წლის მარტში რუსეთში აღრიცხული იყო გაფიცვის 2 შემთხვევა, აპრილში — 1, მაისში — 3, ივნისში — 11, ივლისში — 100, აგვისტოში — 140, სექტემბერში — 107, ოქტომბერში — 150. თანდათან მატულობდა პოლიტიკური გაფიცვების რაოდენობა.

იმატა **ჯარისკაცების** გამოსვლათა რაოდენობამ. 1917 წლის მარტიდან მაისამდე აღრიცხული იყო ჯარისკაცთა 29 გამოსვლა, ივნისიდან აგვისტომდე — 238, სექტემბერ-ოქტომბერში — 446. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ განვლილი 6 თვის განმავლობაში ჯარისკაცებმა თავისი უფლებების

აქციები და ობლიგაციები, სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები. 1917 წ.

დასაცავად იარაღი გამოიყენეს 5-ჯერ, მარტო სექტემბერში კი — 19-ჯერ. 1917 წლის აგვისტოში მოქმედ არმიაში ჯარისკაცთა 84 გამოსვლა იყო აღრიცხული, სექტემბერში — 214, ოქტომბერში — 512. ჯარისკაცთა გამოსვლების ჩასახშობად ხელისუფლებამ 1917 წლის ოქტომბერში 7-ჯერ გამოიყენა იარაღი.

იზრდებოდა **გლეხთა** უკმაყოფილება. 1917 წლის სექტემბერ-ოქტომბერში **ტამბოვის** გუბერნიაში გლეხთა დიდმა აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებამ მოიცვა **კოზლოვის** მაზრის 18 თემი. გლეხებმა გადაწვეს 57 მემამულის კარ-მიდამო და კულაკთა 13 ხუტორი. მოსკოვიდან ტამბოვის გუბერნიაში დამსჯელი ექპედიციის გაგზავნა გახდა აუცილებელი. დამსჯელებმა 1,5 ათასი გლეხი დაუპატიმრეს. ტამბოვის გუბერნიიდან აჯანყება გავრცელდა **რიაზანის, ტულის, კურსკის, ვორონეჟის, ორიოლის, ნიჟნი ნოვგოროდისა** და **პენზის** გუბერნიებში.

სოციალური დაძაბულობის შენელებას დროებითი მთავრობა ვერანაირად ვერ ახერხებდა.

5. საყოველთაო კრიზისის ბოლო ეტაპი. დირექტორია. სრულიად რუსეთის დემოკრატიული თათბირი. გენერალ ლავრ კორნილოვის ამბოხებამ და ამასთან დაკავშირებით ალექსანდრე კერენსკის მიერ შემუშავებულმა პოლიტიკურმა კურსმა რუსეთში მორიგი და, როგორც გაირკვა, უკანასკნელი სამთავრობო კრიზისი გამოიწვია. დროებითი მთავრობის მესამე შემადგენლობა, ანუ მეორე კოალიციური მთავრობა გადადგა.

ლ. კორნილოვის ამბოხებასთან მიმართებაში ა. კერენსკის პოლიტიკით უკმაყოფილო კადეტი მინისტრები 1917 წლის 26 აგვისტოს მთავრობიდან გავიდნენ. მალე გადადგნენ სხვა მინისტრებიც. ა. კერენსკიმ თავისუფლება მიიღო. მას შეეძლო მთავრობის ვიწრო შემადგენლობა — **დირექტორია** — ჩამოყალიბებინა, რომელიც საგანგებო უფლებებით იქნებოდა აღჭურვილი. საბჭოებთან მცირე უთანხმოების მოგვარების შემდეგ ა. კერენსკიმ უფლება მიიღო, პირადად განესაზღვრა მომავალი მთავრობის ბედი, ფაქტობრივად, დირექტორიის შემადგენლობა. საბჭოების მხარდაჭერა ა. კერენსკის განსაკუთრებით სჭირდებოდა, რადგან კადეტები დაჟინებით ითხოვდნენ მთავრობის (დირექტორიის) თავმჯდომარედ გენერალ **მიხეილ ალექსეევის** მოწვევას. საბჭოების მხარდაჭერით დაიმედებულმა ა. კერენსკიმ კადეტების წინადადება უარყო. დირექტორიის შემადგენლობის პირველი ვარიანტი ასე გამოიყურებოდა: ა. **კერენსკი, ნ. ნეკრასოვი, ნ. კიშკინი, მ. ტერეშჩენკო, ი. წერეთელი** (ან მ. **სკობელევი**). დირექტორიის ასეთი შემადგენლობა კადეტებისათვის მისაღები იყო, რადგან დირექტორიის ორი წევრი (ნ. ნეკრასოვი და ნ. კიშკინი) კადეტი

იყო, ხოლო მესამე — მ. ტერეშჩენკო — ახლოს იდგა კადეტებთან. ლ. კორნილოვის ამბოხების ჩახშობის შემდეგ სოციალ-დემოკრატმა მენშევიკებმა და სოციალისტ-რევოლუციონერებმა კადეტებს ბრალი დასდეს ლ. კორნილოვისადმი სიმპათიაში და მიუღებლად მიიჩნიეს კადეტების შეყვანა დირექტორიაში. მენშევიკების და ესერების ასეთი პოზიცია კარგად გამოიყენა ა. კერენსკიმ და დირექტორიის კოალიციური შემადგენლობის საკითხიც დღის წესრიგიდან მოიხსნა. 1917 წლის 31 აგვისტოს ა. კერენსკიმ დირექტორიის შექმნის შესახებ გამოაცხადა. მისი შემადგენლობა 5 წევრით განისაზღვრა: ა. **კერენსკი** (მინისტრი-თავმჯდომარე, ესერი), მ. **ტერეშჩენკო** (საგარეო საქმეთა მინისტრი, უპარტიო), ა. **ნიკიტინი** (ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი, მენშევიკი), დ. **ვერდერევსკი** (საზღვაო საქმეთა მინისტრი, ადმირალი, უპარტიო), ა. **ვერხოვსკი** (სამხედრო მინისტრი, გენერალი, უპარტიო). სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (მენშევიკური) და სოციალისტ-რევოლუციური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტებმა, ასევე დეპუტატთა საბჭოების გაერთიანებულმა ცენტრმა მიიღო გადაწყვეტილება დირექტორიის დროებით ცნობის შესახებ და მხარი დაუჭირეს მას.

დირექტორიის შექმნასთან ერთად ა. კერენსკი მემარცხენეთა მიმართ ზოგიერთ დათმობაზე წავიდა. 1917 წლის 1 სექტემბერს რუსეთი **რესპუბლიკად** გამოცხადდა, ხოლო მეორე დღეს — 2 სექტემბერს გამოცხადდა, რომ მიღებული იყო სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინადადება **სრულიად რუსეთის დემოკრატიული თათბირის** მოწვევის შესახებ. ა. კერენსკის აზრით, დამფუძნებელი კრების მოწვევამდე აუცილებელი იყო დემოკრატიული თათბირის მოწვევა, რათა მისი საშუალებით მოეხდინათ სოციალ-დემოკრატი მენშევიკების, სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკებისა და მემარცხენე ესერების რადიკალური მოთხოვნების შეზღუდვა. კადეტები დადებითად აფასებდნენ დემოკრატიული თათბირის მოწვევის იდეას, მაგრამ სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ იმისა, რომ დემოკრატიულ თათბირს ხელისუფლების შესახებ საკითხი განეხილა. კადეტებს მხარს უჭერდნენ კოოპერატიული კავშირები. სოციალ-დემოკრატმა ბოლშევიკებმა დემოკრატიული თათბირი სოციალ-დემოკრატ მენშევიკებისა და ესერების კადეტებთან ფარული კავშირის გამოვლინებად მიიჩნიეს, მაგრამ მის მუშაობაში მონაწილეობაზე მაინც თანხმობა განაცხადეს. ვ. **ლენინი შესაძლებლად თვლიდა დემოკრატიულ თათბირზე სოციალ-დემოკრატი მენშევიკებისა და ესერების დაპირისპირებას კადეტებთან, რასაც დირექტორიის გადაყენება და საბჭოების წინაშე პასუხისმგებელი მთავრობის შექმნა მოჰყვებოდა. ეს ხელს აძლევდა ბოლშევიკებს, რადგან საბჭოებში მათ უმრავლესობა ჰქონდათ მოპოვებული და ამდენად, მთავრობის შემადგენლობასაც ბოლშევიკები განსაზღვრავდნენ.** მაგრამ მალე ბოლშევიკებმა დაინახეს, რომ სოციალ-დემოკრატი მენშევიკებისა და ესერების ლიდერები კადეტებთან კოალიციის უპერსპექტივობის შემთხვევაში ბლოკს სხვა ბურჟუაზიულ პარტიებთან შეკრავდნენ. ამის შემდეგ ვ. ლენინი უარყოფითად განეწყო დემოკრატიული თათბირისადმი.

ალექსანდრე კერენსკი დემოკრატიული თათბირის გზით რევოლუციური დემოკრატიის გაერთიანებასა და ახალი მთავრობისათვის დასაყრდენის შექმნას გეგმავდა.

დემოკრატიული თათბირი მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 14 სექტემბრიდან 22 სექტემბრამდე. თათბირის მუშაობაში 1500 დელეგატი მონაწილეობდა, რომელთაგან 532 ესერი იყო, 305 მენშევიკი, 134 ბოლშევიკი, 55 სახალხო სოციალისტი, 4 კადეტი და 17 უპარტიო.

დემოკრატიულ თათბირზე უმთავრესი საკითხის — **ხელისუფლების საკითხის** — განხილვა კურიებსა და ფრაქციებში მიმდინარეობდა. პროფკავშირთა კურიაში კოალიციურ მთავრობას მხარი დაუჭირა 8 დელეგატმა, წინააღმდეგი გამოვიდა 73. იმავე კურიაში საბჭოების მიერ მთავრობის შექმნას მხარი დაუჭირა 53 დელეგატმა. 20 დელეგატი მომხრე იყო დემოკრატიული თათბირის მიერ მთავრობის შექმნისა. ქალაქთა კურიაში კოალიციური მთავრობის შექმნის მომხრე აღმოჩნდა 73 დელეგატი, წინააღმდეგი — 74. გლეხთა ორგანიზაციების დელეგატებიდან კოალიციური მთავრობის მომხრე აღმოჩნდა 66, წინააღმდეგი — 57. ერობათა კავშირიდან კოალიციური მთავრობის შექმნას მხარი დაუჭირა 54 დელეგატმა, 6 წინააღმდეგი იყო, 17 დელეგატმა თავი შეიკავა. საერთო კენჭისყრის შედეგები ასეთი იყო: **კოალიციური მთავრობის მომხრე აღმოჩნდა 766 დელეგატი, მოწინააღმდეგე — 688. დელეგატების მცირე ნაწილმა (38 კაცი) თავი შეიკავა.** საერთო კენჭისყრის შემდეგ დემოკრატიულმა თათბირმა კენჭი უყარა ორ შესწორებას: 1) ლ. კორნი-

ლოვის ამბოხებასთან კავშირში მყოფი კადეტების კოალიციიდან გარიცხვის შესახებ; 2) კოალიციიდან კადეტთა მთელი პარტიის გარიცხვის შესახებ. კენჭისყრის შედეგად ორივე შესწორება მიიღეს. მაგრამ შემდგომში მოულოდნელი რამ მოხდა. საერთო რეზოლუციაში შეტანილ მუხლს – „თათბირი მხარს უჭერს კოალიციას კადეტების გარეშე" – მხოლოდ 183 დელეგატმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი იყო – 813, თავი შეიკავა 80 დელეგატმა.

დემოკრატიული თათბირი ჩიხში მოექცა, რადგან ორი ერთმანეთის გამომრიცხავი რეზოლუცია მიიღო: **ერთი მხარს უჭერდა კოალიციურ ხელისუფლებას, მეორე კოალიციური ხელისუფლების წინააღმდეგი** იყო. ცხადია, ასეთი შედეგებით თათბირის დასრულება შეუძლებელი იქნებოდა – ისედაც დაძაბული ვითარება კიდევ უფრო დაიძაბებოდა. ამიტომ გადაწყდა, რომ დემოკრატიული თათბირის დელეგატებიდან გამოეყოთ **რესპუბლიკის დროებითი** საბჭო (**პრედპარლამენტი**). 1917 წლის 20 სექტემბერს ხმების დიდი უმრავლესობით მიიღეს დადგენილება **პრედპარლამენტის** შექმნის შესახებ. 22 სექტემბერს დემოკრატიულმა თათბირმა პრედპარლამენტის პერსონალური შემადგენლობა დაამტკიცა და ამით მუშაობაც დაამთავრა.

1917 წლის 22-23 სექტემბერს მოლაპარაკება გამართეს დროებითი მთავრობის წევრებმა, დემოკრატიული თათბირის ხელმძღვანელობამ, მოსკოვის საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფმა და კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებმა. მოლაპარაკებაზე იხილებოდა დემოკრატიული პროგრამა, რომელიც 1917 წლის 14 აგვისტოს **ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძემ** წარუდგინა დემოკრატიულ თათბირს. მოლაპარაკების პროცესში დემოკრატიული პროგრამა კადეტების სასარგებლოდ შესწორდა. მოლაპარაკებისას ასევე შეთანხმდნენ, რომ პრედპარლამენტი მხოლოდ სათათბირო ორგანო იქნებოდა. პრედპარლამენტის (რესპუბლიკის საბჭოს) მუშაობის ორგანიზება დროებით მთავრობას დაევალა.

1917 წლის 23 სექტემბერს შედგა პრედპარლამენტის სხდომა. პრედპარლამენტმა უარყო ბოლშევიკების რეზოლუცია, რომელიც 1917 წლის 22-23 სექტემბერს ზემოთ ხსენებულ მოლაპარაკებაზე მიღწეულ შეთანხმებას რევოლუციის ღალატად მიიჩნევდა. ხმების მცირე უპირატესობით მიღებული რეზოლუცია მოლაპარაკების შედეგს იწონებდა. ამის შემდეგ ა. კერენსკის ხელს არაფერი უშლიდა და მანაც 25 სექტემბერს მთავრობის შემადგენლობა დაასახელა. ეს იყო რუსეთის დროებითი მთავრობის **მეოთხე შემადგენლობა**, ანუ **მესამე კოალიციური** მთავრობა. **ალექსანდრე კერენსკი** დარჩა მთავრობის თავმჯდომარედ და უმაღლეს მთავარსარდლად. კადეტი ა. **კონოვალოვი** გახდა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და მრეწველობის მინისტრი. მთავრობის ახალ შემადგენლობაში თავიანთი თანამდებობები შეინარჩუნეს დირექტორიის წევრებმა: **მ. ტერეშჩენკომ** (საგარეო საქმეთა მინისტრი), **ა. ვერხოვსკიმ** (სამხედრო მინისტრი), **დ. ვერდერევსკიმ** (საზღვაო საქმეთა მინისტრი) და **ა. ნიკიტინმა** (ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი). ა. ნიკიტინმა შეითავსა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაც. სასურსათო საქმეთა მინისტრი გახდა ცნობილი ეკონომისტი **ს. პროკოპოვიჩი**, ხოლო მიწათმოქმედების მინისტრი – ასევე ცნობილი ეკონომისტი ს. მასლოვი.

პრესაში დროებითი მთავრობის ახალი შემადგენლობის გამოქვეყნებისთანავე პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ, რომელსაც უკვე ბოლშევიკები ედგნენ სათავეში, მთავრობის გადადგომა მოითხოვა. ბოლშევიკების ინიციატივით მთელს ქვეყანაში დაიწყო მოძრაობა **სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობის** დაუყოვნებლივ მოწვევისათვის.

ამრიგად, პრედპარლამენტმა დროებითი მთავრობისათვის დასაყრდენის შექმნა და ამ გზით ქვეყნის დამფუძნებელ კრებამდე მიყვანა ვერ შეძლო. პირიქით, ხშირად პრედპარლამენტი დროებითი მთავრობის ოპოზიციის როლშიც კი მოგვევლინა.

§ 3. 1917 წლის 24-25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება.

1. ბოლშევიკების ტაქტიკა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. მოვლენათა განვითარებამ გვიჩვენა, რომ გენერალ ლავრ კორნილოვის ამბოხება, თუ იგი იმთავითვე დასამარცხებლად იყო განწირული, ჯობდა საერთოდ არ დაწყებულიყო. **ამბოხების შემდგომი პოლიტიკური ვითარება ამბოხების წინანდელთან შედარებით გაცილებით მძიმე** იყო. ლ. კორნილოვის ამბოხების ჩახშობის შემდეგ, ფაქტობრივად, გამარჯვება ალექსანდრე კერენსკისა და დროებით მთავრობას კი არ დარჩა, არამედ ვლადიმერ ლენინსა და ბოლშევიკებს. განხეთქილება სამთავრობო კოალიციაში (სოციალ-დემოკრატ მენშევიკებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების

მწვავე დაპირისპირება კონსტიტუციურ დემოკრატებთან) და საბჭოების ბოლშევიზაცია ბოლშევიკებს ხელისუფლებისათვის ბრძოლის კარგ პერსპექტივას უქმნიდა. დემოკრატიულმა თათბირმა (1917 წლის 14-22 სექტემბერი) და მის მიერ არჩეული პრედპარლამენტის მოღვაწეობამ ცხადყო, რომ **რუსეთის სამი წამყვანი პოლიტიკური ძალა — კადეტები, სოციალ-დემოკრატი მენშევიკები და ესერები — ვერ აცნობიერებდნენ იმ საფრთხეს, რასაც ბოლშევიკები უქმნიდნენ რუსეთს**. აქედან გამომდინარე, მათ არც ბოლშევიკების წინააღმდეგ საერთო ფრონტის შექმნაზე უფიქრიათ. დროებითი მთავრობა, კადეტები, სოციალ-დემოკრატი მენშევიკები და ესერები ვარაუდობდნენ, რომ პოლიტიკურ კრიზისს დამფუძნებელ კრებამდე გაუძლებდნენ, დამფუძნებელი კრება კი ყველა საჭირბოროტო საკითხს, მათ შორის ხელისუფლების საკითხს, გადაჭრიდა. ვ. ლენინი და ბოლშევიკები კი ასე არ ფიქრობდნენ. ისინი სწორედ დამფუძნებელი კრების მოწვევამდე გეგმავდნენ ძალაუფლების ხელში აღებას.

ბოლშევიკებს ყველაფერი კარგად ჰქონდათ გათვლილი, მათ შესანიშნავად აუღეს ალღო მასების განწყობას. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ და მონარქიის დამხობამ ხალხის სასიკეთოდ არაფერი შეცვალა, პირიქით, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა აშკარად გაუარესდა, კვლავ გრძელდებოდა ომი. ერთადერთ მონაპოვარს წარმოადგენდა სიტყვის თავისუფლება. სწორედ სიტყვის თავისუფლება გახდა ხელისუფლებისათვის ბოლშევიკების ბრძოლის უმთავრესი იარაღი. დროებითი მთავრობა და მასში შემავალი პოლიტიკური პარტიები ხალხს ომის გამარჯვებამდე გაგრძელებისაკენ მოუწოდებდნენ, ხოლო ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრას მხოლოდ დამფუძნებელი კრების მოწვევის შემდეგ ჰპირდებოდნენ. ბოლშევიკები კი ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და მწვავე ეკონომიკური და სოციალური საკითხების ასევე დაუყოვნებლივ გადაჭრის მოთხოვნით გამოდიოდნენ. ასე გრძელდებოდა თვეების მანძილზე. დროებითი მთავრობა ვერ ხვდებოდა, რომ მასების განწყობილებით ბოლშევიკების ოსტატურად მანიპულირება დიდ საფრთხეს უქმნიდა ხელისუფლებას.

1917 წლის 1-2 სექტემბერს, ღამით, ბოლშევიკებმა მიიღეს უმრავლესობა **პეტროგრადის** მუშათა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოში. პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე გახდა ბოლშევიკი **ლევ ტროცკი** (ლევიბა **ბრონშტეინი**), რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნების შემდეგ (1917 წლის მაისი), აქტიურად უჭერდა მხარს ვ. ლენინს. 1917 წლის ივლისში ლ. ტროცკი რსდმპ (ბ) წევრი გახდა და VI ყრილობის შემდეგ (1917 წლის ივლისი-აგვისტო) ბოლშევიკური პარტიის ლიდერთა შორის დაიკავა ადგილი. 1917 წლის 3-5 ივლისის ამბებთან დაკავშირებით ლ. ტროცკი დააპატიმრეს. იგი ციხიდან მხოლოდ ლ. კორნილოვის ამბოხების ჩახშობის შემდეგ გამოვიდა და, როგორც აღვნიშნეთ, პეტროგრადის საბჭოში ბოლშევიკების მიერ უმრავლესობის მოპოვების შემდეგ მისი თავმჯდომარეც გახდა. ლევ ტროცკიმ ძალზე სწრაფად მოიპოვა ავტორიტეტი ხალხში.

1917 წლის 5 სექტემბერს ბოლშევიკებმა უმრავლესობა მიიღეს **მოსკოვის** მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში. ვ. ლენინის აზრით, პეტროგრადისა და მოსკოვის საბჭოების ბოლშევიზაცია აძლევდა მათ იმის შესაძლებლობას, რომ ხელში აეღოთ ძალაუფლება. 1917 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში ვ. ლენინი ფინეთიდან რსდმპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ორ წერილს უგზავნის და დაჟინებით მოითხოვს **ხელისუფლების დაუყოვნებლივ დაპყრობას**. რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ფაქტობრივი ხელმძღვანელები ლევ კამენევი (როზენფელდი), გრიგოლი ზინოვიევი (რადომისლსკი) და იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი) წინააღმდეგნი იყვნენ ხელისუფლების ძალის-

ლევ ტროცკი

გრიგორი ზინოვიევი

მიერი დაპყრობისა და იმედოვნებდნენ, რომ სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობა, რომელიც 1917 წლის 25 ოქტომბერს უნდა გახსნილიყო, ბოლშევიკებს მშვიდობიანი გზით გადასცემდა ხელისუფლებას. ვ. ლენინი არ იზიარებდა ლ. კამენევის, გ. ზინოვიევისა და ი. სტალინის აზრს. 1917 წლის 7 ოქტომბერს იგი პეტროგრადში დაბრუნდა და 10 ოქტომბერს მონაწილეობა მიიღო **რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომაში**. სხდომას ვ. ლენინის გარდა ესწრებოდნენ: **ა. ბუბნოვი, ფ. ძერჟინსკი, გ. ზინოვიევი (რადომისლსკი), ლ. კამენევი (როზენფელდი), ა. კოლონტაი, ა. ლომოვი (ოპპოკოვი), გ. სოკოლნიკოვი (ბრილიანტი), ი. სვერდლოვი, ი. სტალინი (ჯუღაშვილი), ლ. ტროცკი (ბრონშტეინი)** და მ. **ურიცკი**. ვ. ლენინი რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებს არწმუნებდა **შეიარაღებული აჯანყების გზით ხელისუფლების დამხობის აუცილებლობაში**. აჯანყების საკითხმა დიდი დავა გამოიწვია. ჯერ კიდევ 1917 წლის 22 სექტემბერს ვ. ლენინი ფინეთიდან გამოგზავნილ წერილში იმუქრებოდა: თუ შეიარაღებული აჯანყების საკითხში მას არ დაეთანხმებოდნენ, იგი გაეიდოდა ცენტრალური კომიტეტიდან და აჯანყების სასარგებლოდ აგიტაციას დაიწყებდა რსდმპ (ბ) ორგანიზაციებში და პარტიის მომავალ ყრილობაზე. გარდა ამისა, ვ. ლენინის წერილი-ულტიმატუმი შეიცავდა მუქარას ცენტრალური კომიტეტის მიმართ. 22 სექტემბრის წერილი იმდენად სამარცხვინო იყო, რომ იგი ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით დაწვეს. რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1917 წლის 10 ოქტომბრის სხდომაზე კ. ლენინმა მუქარა კვლავ გაიმეორა. **შეიარაღებული აჯანყების დაწყებას მხარს არავინ უჭერდა, მაგრამ მოხდა საოცრება: კენჭისყრის დროს მხოლოდ გ. ზინოვიევსა და ლ. კამენევს ეყოთ გამბედაობა და შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ გამოვიდნენ.**

რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1917 წლის 10 ოქტომბრის სხდომაზე შეიარაღებული აჯანყების დაუყოვნებლივი დაწყების სასარგებლოდ ვ. ლენინმა შემდეგი არგუმენტები მოიშველია: 1) მთელ ევროპაში ძლიერდება რევოლუციური მოძრაობა; 2) გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი მზადაა დადონ ზავი, რათა ერთობლივი ძალით ჩაახშონ რევოლუცია რუსეთში; 3) ა. კერენსკი და მისი მომხრეები ამზადებენ პეტროგრადის გერმანელებისათვის გადაცემას; 4) მზადდება გლეხთა აჯანყება, ხოლო გლეხობა ბოლშევიკებს უჭერს მხარს; 5) მზადდება ლ. კორნილოვის ამბოხების მსგავსი ამბოხება. **გ. ზინოვიევი ვ. ლენინის არც ერთ არგუმენტს არ დაეთანხმა**. ვ. ლენინმა გ. ზინოვიევის გამოსვლის შემდეგ აღნიშნა: 1) ბოლშევიკებს მხარს უჭერს რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა; 2) ბოლშევიკებს მხარს უჭერს მსოფლიო პროლეტარიატის უმრავლესობა. ნ. ბუხა-

ლევ კამენევი

რინი იგონებდა: ვ. **ლენინის ორივე დასკვნის სიცრუე ყველას კარგად ესმოდა, მაგრამ ხმის ამოღებას გ. ზინოვიევისა და ლ. კამენევის გარდა ვერავინ ბედავდა.**

ვ. ლენინის ხუთივე არგუმენტი მცდარი (გამოგონილი) იყო: 1) მსოფლიო რევოლუციის დაწყება იმხანად წარმოუდგენელი იყო; 2) გერმანიის, ინგლისისა და საფრანგეთის დაზავებაც ასევე არარეალურად გამოიყურებოდა; 3) ა. კერენსკის აზრადაც არ მოსვლია პეტროგრადის გერმანელებისათვის ჩაბარება; 4) რუსეთში გლეხთა აჯანყების დაწყებაც არარეალური იყო; 5) არანაირი ამბოხება რუსეთში იმხანად არ მზადდებოდა.

ვ. ლენინი საკუთარი მართალი იყო მხოლოდ ერო რამეში: **ხელისუფლების დაპყრობა შესაძლებელი იყო, რადგან დროებითი მთავრობის დაცვას არავინ აპირებდა. საზოგადოებაში დამკიდრდა აზრი: ოღონდ რაიმე შეიცვალოს და თუნდაც უარესობისაკენ.** ასეთი განწყობილება მაშინვე შენიშნა ლენინმა. რაც შეეხება ა. კერენსკისა და მის მინისტრებს, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ხელისუფლებას საფრთხე ელოდა მარჯვნიდან (ბურჟუაზიიდან) და არა მარცხნიდან (ბოლშევიკებისაგან).

საზოგადოებაში ვ. ლენინს უფრო მეტი მომხრე ჰყავდა, ვიდრე რსდმპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში. ცენტრალური კომიტეტის წევრებს იმდენად არა აჯანყების წარუმატებლობა აშინებდათ, რამდენადაც ის, თუ რა უნდა მოემოქმედათ ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ. ვ. ლენინი ამ კითხვაზე ასეთ პასუხს იძლეოდა: **აჯანყების მიზანია ხელისუფლების დაპყრობა, რაც შეეხება პოლიტიკურ ამოცანებს, მას ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ განვსაზღვრავთო.**

1917 წლის 10 ოქტომბერს რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომამ, მართალია, შეიარაღებული აჯანყების დაწყებას დაუჭირა მხარი, მაგრამ ვითარება ისევ გართულდა 16 ოქტომბერს გამართულ ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე. რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრები ერთხმად ითხოვდნენ **შეიარაღებული აჯანყების გადადებას,** რადგან პეტროგრადის ცალკეული რაიონებიდან მოსული ინფორმაციის თანახმად ქალაქის არც ერთ მუშათა რაიონში „საბრძოლო განწყობილება" არ შეინიშნებოდა. რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **ნ. კრილენკომ** განაცხადა, რომ ჯარისკაცების განწყობილებაც არ იყო საბრძოლო. მიუხედავად ამისა, ვ. ლენინი მაინც მოითხოვდა **შეიარაღებული აჯანყების დაწყებას** და ისიც არა უგვიანეს 20 ოქტომბრისა. რსდმპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ხმების დიდი უმრავლესობით მხარი დაუჭირა ვ. ლენინის წინადადებას (ცენტრალური კომიტეტის 19 წევრი მომხრე იყო შეიარაღებული აჯანყების დაწყებისა, 2 — წინააღმდეგი გამოვიდა, ოთხმა თავი შეიკავა). გ. ზინოვიევის წინადადებამ შეიარაღებული აჯანყების მიზანშეუწონლობის შესახებ მიიღო 6 ხმა, წინააღმდეგი იყო 15, ცენტრალური კომიტეტის 3 წევრმა თავი შეიკავა.

რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1917 წლის 16 ოქტომბრის სხდომაზე გამართული კენჭისყრის შედეგები იმაზე მიუთითებდნენ, რომ **ცენტრალურ კომიტეტში დიდი უთანხმოება და დაბნეულობა იყო.** ლ. ტროცკი ლ. კამენევსა და გ. ზინოვიევს ეთანხმებოდა იმაში, რომ ხელისუფლების საკითხი, მათ შორის აჯანყების საკითხიც, რუსეთის საბჭოს II ყრილობას უნდა გადაეწყვიტა. ამავე დროს, ლ. ტროცკი მხარს უჭერდა ვ. ლენინს დროებითი მთავრობის ძალისმიერი გზით დამხობის საკითხში.

დროებითი მთავრობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. პეტროგრადში სულ უფრო მეტად ვრცელდებოდა ხმები ბოლშევიკების მიერ აჯანყების მზადების შესახებ. 1917 წლის 17 ოქტომბერს მუშებში ძალზე პოპულარულ გაზეთ-

ნიკოლაი ბუხარინი

ში **„ნოვაია ჟიზნში“**, რომელიც ახლოს იდგა ბოლშევიკებთან, გამოქვეყნდა შემაშფოთებელი ცნობა. გაზეთის მოწინავეში აღნიშნული იყო, რომ თუ ბოლშევიკები ამზადებენ გადატრიალებას, ეს აუცილებლად გამოიწვევს ბოლშევიკების პარტიის, მუშათა კლასისა და რევოლუციის დაღუპვას. 18 ოქტომბერს იმავე **„ნოვაია ჟიზნში“** გამოქვეყნდა **ლ. კამენევისა** და **გ. ზინოვიევის** სტატია. რსდმპ (ბ) ორი ცნობილი ლიდერი, ვ. ლენინის უახლოესი თანამებრძოლი ამტკიცებდა, რომ შეიარაღებული აჯანყება საბჭოების II ყრილობის დასტურის გარეშე და თანაც ყრილობის გახსნის წინა დღეებში კატასტროფით ემუქრებოდა პროლეტარიატსა და რევოლუციას. ვ. ლენინმა ლ. კამენევსა და გ. ზინოვიევს **მოღალატეები** და **გამცემლები** უწოდა, რომელთაც ბურჟუაზიას მოსალოდნელი შეიარაღებული აჯანყების შესახებ წინასწარ აცნობეს. **სინამდვილეში, შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება უკვე აღარავისთვის საიდუმლო არ იყო.** ეს საიდუმლო უკვე კარგა ხნით ადრე თვით ვ. ლენინმა გაამჟღავნა თავის წერილებში, სტატიებსა და მოწოდებებში, რომელიც ბოლშევიკურ პრესაში ქვეყნდებოდა.

ხელისუფლების უსუსურობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დროებითი მთავრობა მშვიდად უყურებდა პრესაში შეიარაღებული აჯანყების შესახებ მიმდინარე დისკუსიას. ა. კერენსკი

ანდრეი ბუბნოვი

თავდაჯერებით აცხადებდა: ჩვენ საჭიროზე მეტი ძალები გაგვაჩნია. ამის გამო იყო, რომ მან უარი განაცხადა პეტროგრადში ფრონტიდან საიმედო სამხედრო ნაწილების შემოყვანაზე. დროებითმა მთავრობამ კარგად იცოდა, რომ ბოლშევიკების ლიდერი პეტროგრადში იმყოფებოდა, მაგრამ მისი დაპატიმრება არ უცდია. უფრო მეტიც, საგარეო საქმეთა მინისტრმა **მ. ტერეშჩენკომ** 1917 წლის 24 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან **დევიდ ფრენსისთან** საუბრისას აღნიშნა: **„მე დღეს ღამით ბოლშევიკთა გამოსვლას ველოდები“**. ელჩის შეკითხვაზე, შეძლებდა თუ არა ხელისუფლება ბოლშევიკთა გამოსვლის აღკვეთას, მ. ტერეშჩენკომ უპასუხა: **„მე იმედი მაქვს, რომ შევძლებთ მის ჩახშობას“**. საგარეო საქმეთა მინისტრმა ბოლოს დასძინა: **„მე დავიღალე გაუბედობისა და დაძაბულობისაგან“**.

შეიარაღებული აჯანყების წარმატებაში დაეჭვებული ბოლშევიკები მაინც ემზადებოდნენ გამოსვლისათვის, თუმცა არა ისეთი ტემპებით, როგორც ეს ვ. ლენინს სურდა. ჯერ კიდევ 1917 წლის 12 ოქტომბერს პეტროგრადის მუშათა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა შექმნა **პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი** (თავმჯდომარე ნ. პოდვოისკი, მდივანი ვ. ანტონოვ-ოვსეენკო). 16 ოქტომბერს რსდმპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა **პარტიული ცენტრი (იგივე სამხედრო-რევოლუციური ცენტრი)**, რომლის წევრები (ი. სტალინი, ი. სვერდლოვი, ა. ბუბნოვი და სხვ.) იმავდროულად **პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის** წევრებიც გახდნენ და უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ შეიარაღებული აჯანყების მომზადებას. პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი იქცა აჯანყებისათვის მზადების ცენტრად. ამ საგანგებო ორგანოს შექმნა შემთხვევითი არ ყოფილა. **ვ. ლენინს სურდა, რომ შეიარაღებული აჯანყების დაწყება და ხელისუფლების დაპყრობა განხორციელებულიყო არა რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, არამედ პეტროგრადის საბჭოს მიერ შექმნილი საგანგებო ორგანოს ხელმძღვანელობით.** თუმცა ცნობილი იყო, რომ პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ხელმძღვანელ ბირთვში — ბიუროში — მხოლოდ ბოლშევიკები და მათი თანამგრძნობი მემარცხენე ესერები შედიოდნენ.

ნიკოლაი ილიას ძე პოდვოისკი (1880-1948) — ბოლშევიკური (კომუნისტური) პარტიის მოღვაწე,

დაიბადა სოფლის მღვდლის ოჯახში. დაამთავრა სასულიერო სემინარია, შემდგომ სწავლა განაგრძო იურიდიულ კოლეჯში, რომელიც არ დაუმთავრებია. 1901 წელს გახდა რსდმპ წევრი, მიემხრო ბოლშევიკურ მიმდინარეობას. მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციურ ბრძოლებში, 1906-1907 წლებში იმყოფებოდა ემიგრაციაში, შემდეგ არალეგალურ მუშაობას ეწეოდა რუსეთის სხვადასხვა რეგიონში. 1916 წელს დააპატიმრეს, ჰატიმრობიდან გათავისუფლდა 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ. იყო ბოლშევიკური გაზეთების რედაქტორი. 1917 წლის ოქტომბერში აირჩიეს პეტროგრადის საბჭოს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ, იყო 1917 წლის 24-26 ოქტომბრის კონსტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, მისი მეთაურობით დაიკავეს ზამთრის სასახლე. 1917 წლის ნოემბრიდან 1918 წლის მარტამდე იყო სამხედრო და საზღვაო საქმეების კოლეგიის წევრი. 1918 წლის იანვრიდან – წითელი არმიის ორგანიზების მიზნით შექმნილი კოლეგიის წევრი, 1918 წლის მარტიდან სექტემბრამდე – უმაღლესი სამხედრო საბჭოს წევრი, 1918 წლის აპრილიდან 1919 წლის სექტემბრამდე წითელი არმიის უმაღლესი სამხედრო ინსპექციის თავმჯდომარე. მონაწილეობდა სამოქალაქო ომში. სიცოცხლის ბოლო წლებში სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა. 1935 წლიდან გაიდა პენსიაზე.

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ანტონოვ-ოვსეენკოს (1883-1938) ნამდვილი გვარია ოვსეენკო. ცნობილი

ვლადიმერ ანტონოვ-ოვსეენკო

ნიკოლაი პოდვოისკი

პარტიული და სამხედრო მოღვაწე ოფიცრის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა პეტერბურგის იუნკერთა სასწავლებელი. 1901 წლიდან მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში, 1903 წელს გახდა რსდმპ წევრი, მიემხრო მენშევიკებს. 1906 წელს იყო სევასტოპოლის აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი. სამხედრო ტრიბუნალმა სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა, რომელიც შემდეგ 20 წლის კატორღით შეუცვალეს. კატორღიდან გაიქცა და იმალებოდა ფინეთში, შემდეგ დაბრუნდა რუსეთში, 1910 წლიდან ემიგრაციაშია. 1917 წლის მაისში გახდა რსდმპ (ბ) წევრი. 1917 წლის ოქტომბერში აირჩიეს პეტროგრადის საბჭოს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრად (მდივნად). მონაწილეობდა ზამთრის სასახლის აღებაში, პირადად ხელმძღვანელობდა დროებითი მთავრობის წევრების დაპატიმრებას. საბჭოთა რუსეთის პირველ მთავრობაში (სახკომსაბჭოში) ეკავა ფოსტისა და ტელეგრაფის სახალხო კომისრის თანამდებობა. 1917 წლის ნოემბრიდან დეკემბრამდე იყო პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, 1918 წლის დეკემბრიდან – უკრაინაში მოქმედი წითელი არმიის სარდალი, 1918 წლის მარტიდან მაისამდე – სამხრეთ რუსეთში მოქმედი წითელი არმიის სარდალი. 1918 წლის სექტემბრიდან ოქტომბრამდე – აღმოსავლეთის ფრონტის ერთ-ერთი დაჯგუფების სარდალი. ვ. ანტონოვ-ოვსეენკოს არ ჰქონდა სამხედრო ტალანტი, იგი რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების წარმომადგენელი იყო ფრონტებზე და პირადად ხელმძღვანელობდა თეთრი არმიების ოფიცრებისა და ჯარისკაცების დასჯას, განსაკუთრებით

დიდი სისასტიკით გაუსწორდა კაზაკებს. სასურსათო გაწვრის დაწყების შემდეგ 1919 წელს ვ. ანტონოვ-ოვსეენკო დანიშნა ტამბოვის გუბერნიის დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. გლეხობიდან პურის ამოღების დროს გამოჩენილ სისასტიკეს ტამბოვის გუბერნიაში გლეხთა დიდი აჯანყება მოჰყვა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ვ. ანტონოვ-ოვსეენკო უამრავი გლეხი სიკვდილით დასაჯა, უამრავი საკონცენტრაციო ბანაკებში გამოამწყვდია. 1922-1924 წლებში მუშაობდა ჯერ რუსეთის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოში. 1925 წელს ლ. ტროცკის მხარდაჭერისათვის თანამდებობიდან გათავისუფლეს და ჩეხოსლოვაკიაში გაგზავნეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად. 1934 წლიდან იყო საბჭოთა რუსეთის პროკურორი, მისი ინიციატივით ბევრი უდანაშაულო ადამიანი დასაჯეს სიკვდილით. ესპანეთში სამოქალაქო ომის დროს (1936-1937 წწ.) იყო საბჭოთა კავშირის გენერალური კონსული ბარსელონაში. 1937 წელს მოსკოვში გამოიძახეს და დააპატიმრეს. 1938 წლის 8 თებერვალს ტროცკისტულ ტერორისტულ ორგანიზაციასთან კავშირის ბრალდებით სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს და 10 თებერვალს დახვრიტეს. 1956 წლიდან რეაბილიტირებულია.

1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების წინა დღეებში ძალზე უცნაურად იქცეოდა ვლადიმერ ლენინი. 20 ოქტომბერს ვ. ლენინი მოულოდნელად გაქრა და 24 ოქტომბერს საღამომდე არ გამოჩენილა. ამ პერიოდში მას არ დაუწერია არც ერთი წერილი, არ გაუცია არავითარი მითითება და განკარგულება. **შეთხზულია ვ. ლენინის გამოსვლა რსდმპ (ბ) 21 ოქტომბრის სხდომაზე, სადაც ვითომ მას უთქვამს: „გუშინ ნაადრევი იყო, ზეგ გვიან იქნება“.** ვ. ლენინი იმალებოდა 24 ოქტომბერს მთელი დღის განმავლობაში. **ვ. ლენინის მოულოდნელი მიმალვის, ლ. კამენევისა და გ. ზინოვიევის შეიარაღებული აჯანყების საწინააღმდეგო გამოსვლების, ნ. ბუხარინის ორჭოფობისა და ლ. ტროცკის ორპირობის გამო შექმნილ მძიმე ვითარებაში შეიარაღებული აჯანყების მზადებისა და განხორციელების საქმეს სათავეში უდგება იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი).** ი. სტალინისათვის დღესაცით ნათელი იყო, რომ დროებით მთავრობას დასაყრდენი სრულიად გამოცლილი ჰქონდა და მისი დამხობა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

2. 1917 წლის 24-25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება. პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 21 ოქტომბერს გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც **პეტროგრადის გარნიზონის ჯარებისათვის იარაღი მხოლოდ სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის განკარგულების საფუძველზე უნდა მიეცათ.** ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით პეტროგრადის გარნიზონის ყველა სამხედრო ნაწილში, კრონშტადტში, რეველსა და ჰელსინგფორსში მყოფ სამხედრო გემებზე სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა თავისი **კომისრები** (ბოლშევიკები და მემარცხენე ესერები) **დანიშნა. ფაქტობრივად, 1917 წლის 21 ოქტომბრის შემდეგ პეტროგრადში ძალაუფლება სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ხელში გადავიდა.**

პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის 1917 წლის 21 ოქტომბრის ბრძანება 22 ოქტომბრის დილით ტელეგრაფით გადაიცა ქალაქის გარნიზონის ყველა სამხედრო ნაწილში, ასევე კრონშტადტში, რეველსა და ჰელსინგფორსში მდგარ სამხედრო გემებზე. ტელეგრამაში აღნიშნული იყო, რომ **არც ერთ ბრძანებას ძალა არ ექნებოდა, თუ მას არ დაამოწმებდა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი.** 22 ოქტომბერს პეტროგრადში ბოლშევიკების მიერ ორგანიზებული მრავალრიცხოვანი მიტინგები გაიმართა. **24 ოქტომბერს პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა მცირერიცხოვანი შეიარაღებული რაზმების თანხლებით თავისი კომისრები მთავრობის დაწესებულებათა დასაკავებლად გაგზავნა.** სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ორი შეუიარაღებელი კომისარი სამხედრო რაზმის გარეშე გამოცხადდა **ცენტრალურ ტელეგრაფში** და მოლაპარაკების გზით ტელეგრაფის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის კონტროლის ქვეშ გადასვლის შესახებ შეთანხმებას მიაღწია. იზმაილოვის გვარდიულმა პოლკმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე **ბალტიის ვაგზალი** დაიკავა, ხოლო წითელი გვარდიის რაზმებმა ჯარებთან მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით რამდენიმე **ხიდი** იგდო ხელთ (დანარჩენი ხიდები დროებითი მთავრობის ერთგული ჯარების ხელში დარჩა).

1917 წლის 24 ოქტომბერს, დღის განმავლობაში, პეტროგრადი, ფაქტობრივად, ბოლშევიკების ხელში გადავიდა. დროებითი მთავრობა თავისი არსებობის ბოლო საათებს ითვლიდა. 24 ოქტომბრის საღამოსათვის ვ. ლენინმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. იგი პანიკური შიშით იყო შეპყრობილი და იმის გაკეთებას ითხოვდა, რაც 21-24 ოქტომბერს ი. სტალინის

წინამძღოლობით სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა უკვე განახორციელა. ვ. ლენინს უნდოდა, რომ შეიარაღებულ აჯანყებას ყოველ მიზეზგარეშე საბჭოების II ყრილობის გახსნამდე გაემარჯვა. საბჭოების II ყრილობის გახსნა 1917 წლის 25 ოქტომბერს იყო დანიშნული. **თუ 25 ოქტომბრამდე ბოლშევიკები დროებითი მთავრობის დამხობას ვერ მოახერხებდნენ, ყრილობას შეიძლებოდა ბოლშევიკების მიერ დაწყებული შეიარაღებული აჯანყება დაეგმო. მაგრამ თუ საბჭოების II ყრილობა მას შემდეგ შეიკრიბებოდა, რაც ბოლშევიკები ხელისუფლებას დაეუფლებოდნენ, ცხადია, ყრილობა იძულებული გახდებოდა ანგარიში გაეწია ბოლშევიკებისათვის.**

იოსებ სტალინი კარგად გრძნობდა, რომ 1917 წლის 24 ოქტომბერს დაბნეული, შეშინებული და ვითარებაში გაურკვეველი **ვლადიმერ ლენინის** სმოლნიში (აქ იყო მოთავსებული პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი) გამოჩენა საქმეს ავნებდა. ვ. ლენინი ი. სტალინმა სმოლნიში მხოლოდ 24 ოქტომბრის საღამოს მოიწვია, როცა პეტროგრადი უკვე ბოლშევიკების ხელში იყო და რჩებოდა მხოლოდ სახელმწიფო გადატრიალების ბოლო, დამაგვირგვინებელი ეტაპი — **დროებითი მთავრობის წევრების დაპატიმრება.** პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის თავმ-

ვლადიმერ ლენინი

იოსებ სტალინი

ჯდომარე **ნ. პოდვოისკი**, რომელიც **ვ. ანტონოვ-ოვსიეენკოსთან** და **გ. ჩუდნოვსკისთან** ერთად უშუალოდ ხელმძღვანელობდა პეტროგრადში არსებული სახელმწიფო დაწესებულებებისა და სხვა სტრატეგიული პუნქტების დაკავებას, იგონებს: **მხოლოდ სმოლნიში გამოჩენის შემდეგ, 1917 წლის 24 ოქტომბრის საღამოს, ვ. ლენინმა მისგან შეიტყო დღის მანძილზე მომხდარი მოვლენების შესახებ.**

1917 წლის 24 ოქტომბერს პეტროგრადში ბოლშევიკებს მხარს 6-7 ათასი კაცი უჭერდა მხარს. მათ შორის იყო გვარდიული პოლკის 2500 ჯარისკაცი, 2500 კრონშტადტელი მეზღვაური, 2000 წითელგვარდიელი და დაახლოებით 1500-2000 ჯარისკაცი დროებითი მთავრობის რეზიდენციის (ზამთრის სასახლის) დაცვიდან. **პეტროგრადის მრავალრიცხოვანი გარნიზონი (160 ათასი კაცი) და ქალაქის მისადგომებთან განლაგებული ჯარები (85 ათასი კაცი) ნეიტრალური დარჩა.** 25 ოქტომბერს გამთენიისას 3 საათსა და 30 წუთზე ბოლშევიკების მხარეზე გადასულმა კრეისერმა **„აურორამ“** ღუზა **ნიკოლაევის** ხიდთან ჩაუშვა. მეზღვაურთა რაზმმა დროებითი მთავრობის დაცვა გარეკა და ხიდიც დაიკავა. **ზამთრის სასახლე, სადაც დროებითი მთავრობა იმყოფებოდა, იზოლირებული აღმოჩნდა ქალაქისაგან.**

1917 წლის 24 ოქტომბერს საღამოსათვის დროებითი მთავრობის ხელში ზამთრის სასახლის გარდა იმყოფებოდა **სამხედრო სამინისტ-**

როს შენობა, პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის შენობა და მარიას თეატრი, სადაც **რესპუბლიკის დროებითი საბჭო (პრედპარლამენტი)** მუშაობდა.

დროებითი მთავრობა შეეცადა პეტროგრადში წესრიგის აღდგენას. 1917 წლის 23-24 ოქტომბერს ღამით შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოწოდების ბრალდებით დახურეს ორი ბოლშევიკური გაზეთი — **„რაბოჩი პუტ“** და **„სოლდატ“**. პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა **გ. პოლკოვნიკოვმა** მიიღო ბრძანება ქალაქის შემოგარენიდან დროებითი მთავრობის რეზიდენციის დასაცავად ჯარების შემოყვანის შესახებ. გამოძახებულმა ჯარებმა ზამთრის სასახლის მისადგომების პატრულირება დაიწყეს. ა. **კერენსკიმ** გასცა ბრძანება პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრებისა და 1917 წლის 3-5 ივლისის ამბების ორგანიზატორი ბოლშევიკების (ისინი ლ. კორნილოვის ამბოხების ჩახშობის შემდეგ პირობით გაათავისუფლეს პატიმრობიდან) ხელახლა დაპატიმრების შესახებ. მინისტრებმა ა. კერენსკის მიერ გატარებული ღონისძიებანი მოიწონეს, მაგრამ მთავრობის თავმჯდომარეს ურჩიეს, რესპუბლიკის დროებითი საბჭოს (პრედპარლამენტის) თანადგომის გარანტია მიეღო. 1917 წლის 24 ოქტომბერს დროებითი მთავრობის თავმჯდომარე ალექსანდრე კერენსკი განცხადებით გამოვიდა პრედპარლამენტში და ბოლშევიკების მიერ დაწყებული შეიარაღებული აჯანყების ჩასახშობად მთავრობისათვის საგანგებო უფლებების მინიჭება მოითხოვა. პრედპარლამენტმა, ფრაქციებში საკითხის განხილვის შემდეგ, 24 ოქტომბერს ღამის მეორე ნახევარში ხმების უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია, რომელიც, მართალია, გმობდა ბოლშევიკთა ექსტრემისტულ გამოსვლას, მაგრამ ამავე დროს აღიარებდა, რომ საფუძველი ბოლშევიკთა გამოსვლას დროებითი მთავრობის გაუბედავმა პოლიტიკამ მოუმზადა. რეზოლუცია დროებითი მთავრობისაგან მოითხოვდა ომის შეწყვეტის თაობაზე განცხადების დაუყოვნებლივ გაკეთებას და ზავის შესახებ საკუთარი მოსაზრების გამოქვეყნებას. რეზოლუცია ასევე მოითხოვდა ისეთი დეკრეტის დაუყოვნებლივ გამოცემას, რომლის ძალითაც მიწა დამფუძნებელი კრების მოწვევამდე გადაეცემოდა გლეხთა კომიტეტებს. პრედპარლამენტის დადგენილება მისმა თავმჯდომარემ **ნ. ავქსენტიევმა** სოციალ-დემოკრატი მენშევიკებისა და ესერების ფრაქციათა ლიდერებთან ერთად 24 ოქტომბერს საღამოს ზამთრის სასახლეში მიიტანა და დროებით მთავრობას გადასცა. ა. კერენსკი და მინისტრები აღშფოთდნენ და ნ. ავქსენტიევს გადაყენებით დაემუქრნენ. დროებითი მთავრობა პრედპარლამენტიდან თანადგომას ელოდა, რის სანაცვლოდ ფაქტობრივად **პრედპარლამენტმა მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა**. პრედპარლამენტის წარგზავნილები შეშინდნენ და მოთხოვნების შერბილებაზე დათანხმდნენ. მიუხედავად ამისა, ცხადი იყო, რომ იმ განხეთქილების აღმოფხვრა, რომელიც კარგა ხანია ა. კერენსკისა და რევოლუციურ დემოკრატიას (სოციალ-დემოკრატ მენშევიკებს, ესერებს) შორის არსებობდა, შეუძლებელი იყო.

1917 წლის 24 ოქტომბერს, გვიან საღამოს, დროებითი მთავრობის წევრებმა შეიტყვეს, რომ ბოლშევიკთა შეიარაღებული რაზმები ქალაქის სტრატეგიულ პუნქტებს იკავებდნენ. ამის მიუხედავად მათ დიდ ნაწილს კიდევ სჯეროდა, რომ მდგომარეობის გამოსწორება შეიძლებოდა.

ა. **კერენსკიმ** და მისმა მოადგილემ ა. **კონოვალოვმა** 1917 წლის 24 ოქტომბრის ღამე პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბში გაატარეს. ისინი ცდილობდნენ ბოლშევიკთა გამოსვლის ჩასახშობად საჭირო სამხედრო ძალის თავმოყრას. უშედეგოდ დამთავრდა მოლაპარაკება პეტროგრადში მყოფ **კაზაკთა ჯარის** სამ პოლკთან. კაზაკებმა განაცხადეს, რომ ისინი დროებით მთავრობას ქვეითი ჯარის მხარდაჭერის გარეშე ვერ დაიცავდნენ. გარდა ამისა, კაზაკები არ მალავდნენ თავიანთ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ 1917 წლის 3-5 ივლისის ამბების მონაწილე ბოლშევიკები დროებითმა მთავრობამ პატიმრობიდან გაათავისუფლა. კაზაკებთან წარუმატებელი მოლაპარაკების შემდეგ ა. კერენსკიმ და ა. კონოვალოვმა გადაწყვიტეს იმ ჯარების შესახვედრად წასულიყვნენ, რომლებიც თითქოსდა ფრონტიდან პეტროგრადისაკენ მოემართებოდნენ. 1917 წლის 25 ოქტომბერს, დილით, სანამ ა. კერენსკი და ა. კონოვალოვი ზამთრის სასახლეს დატოვებდნენ, რამდენიმე მინისტრმა ისევ სცადა კაზაკების გადაბირება, მაგრამ მთავრობის დასაცავად სულ კაზაკთა სამი ასეული გამოცხადდა. 25 ოქტომბრის დილისათვის ზამთრის სასახლის დაცვა ძალზე მოკრძალებულად გამოიყურებოდა: **იუნკერთა რამდენიმე ასეული, კაზაკთა სამი ასეული, ქალთა ასეულის ნახევარი — სულ 900 ჯარისკაცი და ასამდე ოფიცერი**. დროებითი მთავრობის დაცვას აუცილებელი შეიარაღება არ გააჩნდა. მის

განკარგულებაში იყო რამდენიმე ათეული ტყვიამფრქვევი, 6 ქვემეხი და 4 ჯავშნიანი მანქანა.

1917 წლის 25 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა გ. **პოლკოვნიკოვმა** უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკსა და ჩრდილოეთის ფრონტის ჯარების შტაბში ასეთი შინაარსის ტელეგრამა გაგზავნა: **„გაცნობებთ, რომ პეტროგრადში საშიში მდგომარეობაა. ქუჩის შეჯახებები, უწესრიგობა არ შეინიშნება, მაგრამ მიმდინარეობს დაწესებულებებისა და ეკგზლების დაკავება, დაპატიმრებები, არავითარი ბრძანება არ სრულდება. იუნკერები წინააღმდეგობის გარეშე აბარებენ ყაზარმებს. კაზაკები, რამდენიმე ბრძანების მიუხედავად, თავიანთი ყაზარმებიდან არ გამოდიან... არის იმის საფრთხე, რომ დროებითმა მთავრობამ მთლიანად დაკარგოს ხელისუფლება. არ არსებობს არავითარი გარანტია, რომ დროებითი მთავრობის ხელში ჩაგდებას არ შეეცდებიან“.**

1917 წლის 25 ოქტომბერს დილით დროებითმა მთავრობამ არც კი იცოდა, რომ ხელისუფლებას აღარ ფლობდა. 25 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, ვ. ლენინმა ხელი მოაწერა მიმართვას **„რუსეთის მოქალაქეებისადმი“**, რომელშიც აღნიშნული იყო: **„დროებითი მთავრობა დამხობილია“.**

1917 წლის 25 ოქტომბერს პეტროგრადში გაზეთები დიდი დაგვიანებით გამოვიდა. **„იზვესტია“** ბოლშევიკებს აფრთხილებდა, არ გადაჩეხილიყვნენ **„უაზრო ავანტურაში“**; **„ნოვაია ჟიზნი“** ბოლშევიკებს ურჩევდა, **„არ გაესროლათ პირველებს“**; მენშევიკური **„რაბოჩაია გაზეტა“** იმედს გამოთქვამდა, რომ **კომპრომისის მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა.**

პეტროგრადი ბოლშევიკების ხელში იყო. ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, თუ ვის დაუჭერდა მხარს დედაქალაქთან ყველაზე ახლოს მყოფი **ჩრდილოეთის ფრონტის** ჯარები. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, თუ რა პოზიციას დაიჭერდა პეტროგრადში მიმდინარე ამბების მიმართ საბჭოების II ყრილობა, რომელიც 1917 წლის 25 ოქტომბერს უნდა გახსნილიყო პეტროგრადში.

დროებითი მთავრობა ერწმუნა პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალ გ. პოლკოვნიკოვის განცხადებას, რომ ქალაქში ბოლშევიკების გამოსვლის ჩასახშობად ძალები საჭიროზე მეტია და გვიან მიიღო გადაწყვეტილება ჩრდილოეთის ფრონტიდან ჯარების გამოძახების შესახებ. ჩრდილოეთის ფრონტის მთავარსარდალმა გენერალმა ვ. **ჩერემისოვმა** მხოლოდ 1917 წლის 24-25 ოქტომბერს, ნაშუაღამევს, მიიღო ა. კერენსკის ბრძანება კაზაკთა

წითელარმიელების მარში პეტროგრადში, 1917 წ.

ორი დივიზიისა და კაზაკთა 23-ე პოლკის პეტროგრადში გაგზავნის შესახებ. ამასთან ერთად, ეს ძალები საკმარისი არ იყო დედაქალაქში წესრიგის აღსადგენად. 1917 წლის 25 ოქტომბერს, დილით, ზამთრის სასახლიდან ვითომდა ჩრდილოეთის ფრონტიდან დაძრული ჯარების შესახვედრად. ა. კერენსკის წასვლის შემდეგ. დროებითი მთავრობის სხდომა მის გარეშე გაიმართა. მთავრობის გადაწყვეტილებით პეტროგრადში წესრიგის აღდგენა დაევალა კადეტ **ნ. კიშკინს**, რომელსაც საგანგებო უფლებები მიენიჭა. ნ. კიშკინის პეტროგრადის საგანგებო რწმუნებულად დანიშვნის შემდეგ მთავრობამ ჩრდილოეთის ფრონტიდან ჯარების გამოძახება უაზროდ და სახიფათოდ ჩათვალა, რადგან ცხადი იყო, რომ „ჯარები კიშკინს მხარს არ დაუჭერდნენ". თავისი არათანამიმდევრული, გაუაზრებელი მოქმედებით ჩრდილოეთის ფრონტიდან მომდინარე საფრთხე ბოლშევიკებს თვით დროებითმა მთავრობამ მოუხსნა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დროებითი მთავრობის რეზიდენციის — **ზამთრის სასახლისა** და **პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების** შტაბის დაკავებას. ეს წინასწარ განსაზღვრავდა საბჭოების II ყრილობის განწყობილებას — ყრილობის დელეგატები მომხდარი ფაქტის მოწმენი აღმოჩნდებოდნენ. ბოლშევიკებს ეს კარგად ესმოდათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1917 წლის 24-25 ოქტომბერს, ღამით, ზამთრის სასახლისა და სამხედრო ოლქის შტაბის აღების შანსი მათ მაინც გაუშვეს ხელიდან. ამ დროისათვის ზამთრის სასახლეს დაცვა ფაქტობრივად არ ჰყავდა, ხოლო სამხედრო ოლქის შტაბი, სადაც მთელი ღამე გაატარეს ა. კერენსკიმ და ა. კონოვალოვმა, ასევე დაუცველი იყო. აჯანყებულები ზამთრის სასახლის აღების პოლიტიკურ მნიშვნელობას ყურადღებას არ აქცევდნენ. ისინი ხედავდნენ, რომ ზამთრის სასახლის დაცვა ყოველ წუთს მცირდებოდა და, ცხადია, უაზრო მსხვერპლს ერიდებოდნენ. ვერც აჯანყების ხელმძღვანელებმა გამოიჩინეს პრინციპულობა, უფრო ზუსტად, წითელარმიელებისა და მეზღვაურების განწყობილება გაიზიარეს. ვითარება შეიცვალა 24 ოქტომბერს სმოლნიში ვ. ლენინის მისვლის შემდეგ. ბოლშევიკების ლიდერმა ზამთრის სასახლისა და სამხედრო ოლქის შტაბის სასწრაფოდ დაკავება მოითხოვა.

1917 წლის 25 ოქტომბერს, შუადღისას, აჯანყებულებმა აიღეს პრედპარლამენტის რეზიდენცია — მარიას თეატრი. პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის განკარგულებით **რესპუბლიკის დროებითი საბჭო (პრედპარლამენტი)** დაითხოვეს. 25 ოქტომბერს, საღამოს, აჯანყებულებმა დაიკავეს **პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის** შენობა. ყოველივე ამან დასცა ზამთრის სასახლის დამცველთა (იუნკერების, კაზაკების) საბრძოლო სულისკვეთება. მალე ზამთრის სასახლესთან დაკავებული საბრძოლო პოზიციები დატოვა **მიხეილის საარტილერიო სასწავლებლის** იუნკერებმა და თან წაიღეს 4 ქვემეხი და 2 ჯავშნიანი მანქანა. სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ულტიმატუმის შემდეგ ზამთრის სასახლის ტერიტორია დატოვეს **კაზაკებმა** და **ქალთა** ასეულის მეომრებმა. დროებითი მთავრობის წევრები კარგად ხედავდნენ, რომ ზამთრის სასახლე დაცვის გარეშე დარჩა, მაგრამ მთავრობამ სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ულტიმატუმს მაინც არ უპასუხა. ა. კერენსკის იმედი ჰქონდა, რომ ჩრდილოეთის ფრონტიდან მთავრობის დასახმარებლად წამოსული ჯარები, მათ შორის კაზაკთა სამი პოლკი, მალე მოაღწევდა პეტროგრადამდე.

სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა **ზამთრის** სასახლის დამცველებისათვის მიცემული ულტიმატუმის (20 წუთი) ამოწურვის შემდეგაც იერიში არ დაიწყო. შეტევა დაიწყო ულტიმატუმის მიცემიდან ორი საათის შემდეგ. კრეისერ **„ავრორას"** სასიგნალო გასროლის შემდეგ აჯანყებულებმა ზამთრის სასახლეს შაშხანებიდან და ტყვიამფრქვეევებიდან გაუხსნეს ცეცხლი. ცეცხლის საფარის ქვეშ მეზღვაურთა, ჯარისკაცთა და წითელარმიელთა ჯგუფები ზამთრის სასახლეში შეიჭრნენ, მაგრამ ისინი მაშინვე განაიარაღეს იმ იუნკერებმა, რომელთაც მთავრობა არ მიატოვეს. ამის შემდეგ იერიში შეწყდა. გვიან ღამით იერიში განახლდა. ამჯერად აჯანყებულებმა არტილერია გამოიყენეს. ზამთრის სასახლე იბომბებოდა პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრიდან და გენერალური შტაბის შესასვლელთან მდგარი ორი ქვემეხიდან. სულ ზამთრის სასახლეს ორმოცამდე საარტილერიო ყუმბარა ესროლეს, რასაც სასახლე სერიოზულად არ დაუზიანებია. სამაგიეროდ, საარტილერიო დაბომბვამ დამთრგუნველი გავლენა იქონია დროებითი მთავრობის წევრებსა და სასახლის დამცველებზე. **26 ოქტომბერს ღამის 2 საათსა და 4 წუთზე აჯანყებულებმა ზამთრის სასახლე აიღეს.** ამ დროისათვის სასახლეს სულ 30 იუნკერი იცავდა. დროებითი მთავრობის მინისტრები შეიპყრეს და პეტრე-პავლეს ციხეში

გამოკეტეს. მთავრობის თავმჯდომარემ ალექსანდრე კერენსკიმ ზამთრის სასახლე შტურმამდე დატოვა და ჩრდილოეთის ფრონტის მიმართულებით გაემგზავრა.

1917 წლის 26 ოქტომბერს გაზეთები იუწყებოდნენ, რომ ზამთრის სასახლის იერიშის დროს აჯანყებულებმა დაკარგეს 6 კაცი, რამდენიმე ათეული კი დაიჭრა.

ამრიგად, 1917 წლის 24-25 ოქტომბერს ბოლშევიკებმა კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება წარმატებით განახორციელეს — დროებითი მთავრობა დაამხეს.

3. სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების II ყრილობა. 1917 წლის 25 ოქტომბერს, საღამოს, ზამთრის სასახლის აღებამდე 2 საათითა და 30 წუთით ადრე, სმოლნიში გაიხსნა სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობა. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 402 ადგილობრივი საბჭოს 670 დელეგატი. დელეგატთა პარტიული შემადგენლობა ასეთი იყო: ბოლშევიკი — 390 დელეგატი, ესერი — 160, მენშევიკი — 72. დეპუტატების აბსოლუტურ უმრავლესობას მუშები და ჯარისკაცები წარმოადგენდნენ. გლეხი დეპუტატი მხოლოდ იმ ადგილობრივმა საბჭოებმა აირჩიეს, სადაც მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა გაერთიანებული საბჭოები მოქმედებდნენ. რუსეთის რეგიონების აბსოლუტურ უმრავლესობაში გლეხთა დეპუტატების საბჭოები ცალკე არსებობდა და სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატთა საბჭოების ყრილობასაც ცალკე იწვევდნენ. გლეხთა დეპუტატთა საბჭოები სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ექვემდებარებოდა და, ამდენად სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ყრილობის გადაწყვეტილებების შესრულება მათთვის სავალდებულო არ იყო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების II ყრილობა არ გამოხატავდა მთელი რუსეთის მოსახლეობის ინტერესებს.

საბჭოების II ყრილობის გახსნისას, როგორც აღვნიშნეთ, ზამთრის სასახლე ჯერ კიდევ არ იყო აღებული. ეს გარკვეულ იმედებს უსახავდა ბოლშევიკების ოპოზიციას. ამით იყო გამოწვეული ის, რომ ყრილობის გახსნიდან სულ მალე დელეგატების ენებათა ღელვამ კულმინაციას მიაღწია. სოციალ-დემოკრატმა მენშევიკებმა და მემარჯვენე ესერებმა ბოლშევიკები და პეტროგრადის მუშათა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭო სამხედრო გადატრიალების გზით ხელისუფლების უზურპაციაში დაადანაშაულეს და ყრილობა დატოვეს. დემოკრატიული ხელისუფლების შექმნის შესახებ მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ ი. მარტოვის მეთაურობით ყრილობა დატოვა მენშევიკ-ინტერნაციონალისტთა ნაწილმაც. საბჭოების II ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა გადაწყვიტა და ყრილობაზე ბოლომდე დარჩა მენშევიკთა მცირე ჯგუფი, რომელიც გაზეთ „ნოვაია ჟიზნის" გარშემო იყო შემოკრებილი და ამიტომ ნოვოჟიზნელებს უწოდებდნენ.

მენშევიკებისა და მემარჯვენე ესერების მიერ საბჭოების II ყრილობის დატოვება დიდი პოლიტიკური შეცდომა იყო. ასეთი გაუაზრებელი მოქმედებით მენშევიკებმა და ესერებმა ყრილობა ბოლშევიკებს ჩაუგდეს ხელში. ამით შესანიშნავად ისარგებლა ვ. ლენინმა და ყრილობას ბოლშევიკებისათვის სასურველი დეკრეტები და დადგენილებები მიაღებინა. რაც მთავარია, საბჭოების II ყრილობამ იურიდიულად არა, მაგრამ ფაქტობრივად მაინც დააკანონა ბოლშევიკების მიერ განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალება.

1917 წლის 26 ოქტომბერს საბჭოების II ყრილობამ ფაქტობრივად განხილვის გარეშე, ერთხმად დაამტკიცა ვ. ლენინის მიერ დაწერილი დეკრეტი ზავის შესახებ. რუსეთი მეომარ ქვეყნებს მოუწოდებდა დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ საომარი მოქმედებები და დაედოთ დემოკ-


ИЗВѢСТІЯ
Центральнаго Исполнительнаго Комитета
и Петроградскаго Совѣта
Рабочихъ и Солдатскихъ Депутатовъ.

Декретъ о мирѣ,
принятый единогласно на засѣданіи Всероссійскаго Съѣзда Совѣтовъ Рабочихъ, Солдатскихъ и Крестьянскихъ Депутатовъ
26 октября 1917 г.

დეკრეტი ზავის შესახებ. 1917 წ.


ИЗВѢСТІЯ
Центральнаго Исполнительнаго Комитета
и Петроградскаго Совѣта
Рабочихъ и Солдатскихъ Депутатовъ

დეკრეტი მიწის შესახებ. 1917 წ.

რატიული, უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი. დეკრეტით ზავის შესახებ რუსეთმა უარი თქვა საიდუმლო დიპლომატიაზე და რუსეთის იმპერიის მთავრობისა და დროებითი მთავრობის მიერ დადებული საიდუმლო ხელშეკრულებების შესრულებაზე.

დეკრეტმა ზავის შესახებ ომისაგან გატანჯულ რუსეთის მოსახლეობაში ბოლშევიკების ავტორიტეტი კი აამაღლა, მაგრამ **თავისი ხასიათით ამ პოპულისტურმა დეკრეტმა რუსეთი ბრესტ-ლიტოვსკის სამარცხვინო ზავამდე მიიყვანა.** 26-27 ოქტომბრის ღამით საბჭოების II ყრილობამ 625 ხმით დამტკიცა ვ. **ლენინის** მიერ დაწერილი **დეკრეტი მიწის შესახებ** (ერთი დელეგატი წინააღმდეგი იყო, რვა დელეგატმა თავი შეიკავა). დეკრეტს საფუძვლად დაედო 1917 წლის მაისში გამართული სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭოების I ყრილობისადმი გლეხობის მიერ გაგზავნილი 242 განაწესი (წინადადება) და სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტიის აგრარული პროგრამა. დეკრეტი მიწის შესახებ ითვალისწინებდა: 1) მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმებას; 2) მთელი მიწების, წიაღისეული სიმდიდრის ნაციონალიზაციას; 3) მემამულეთა და სხვა მიწათმფლობელთა საკუთრებაში არსებული მიწების კონფისკაციას; 4) მიწების გადაცემას გლეხთა ადგილობრივი კომიტეტებისა და სამაზრო საბჭოების ხელში; 5) მიწის იჯარით გაცემისა და მიწის დასამუშავებლად დაქირავებული შრომის გამოყენების აკრძალვას; 6) მიწათსარგებლობის საერთო წესის დაწესებას ყველასათვის.

დეკრეტი მიწის შესახებ თავისი ხასიათით პოპულისტური იყო და გლეხობის გულის მოგებას ისახავდა მიზნად. საბჭოების II ყრილობაზე ყურადღება არავის მიუქცევია იმისათვის, რომ **დეკრეტის განხორციელება ბიძგს მისცემდა უსასტიკეს სამოქალაქო ომს რუსეთში.**

საბჭოების II ყრილობამ შექმნა რუსეთის მთავრობა. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნული იყო: „დამფუძნებელი კრების მოწვევამდე ქვეყნის მართვა-გამგეობის მიზნით შეიქმნას მუშათა და გლეხთა დროებითი მთავრობა, რომელსაც სახალხო კომისართა საბჭო“ ეწოდოს. **როგორც მთლიანად სახალხო კომისართა საბჭოს (სახკომსაბჭოს), ისე ცალკეული სახალხო კომისარიატებისა (სამინისტროების) და სახალხო კომისრების (მინისტრების) საქმიანობაზე კონტროლის უფლება, ასევე ცალკეული სახალხო კომისრის გადაყენებისა და ახლის დანიშვნის უფლება ჰქონდა სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობას და მის მიერ არჩეულ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს** (ცაკს).

მემარცხენე ესერებმა მთავრობაში თავისი კანდიდატების შეყვანისაგან თავი შეიკავეს, რის გამოც სახალხო კომისართა საბჭოს პირველი შემადგენლობა **ერთპარტიული** (ბოლშევიკური) იყო. საბჭოების II ყრილობის მიერ შექმნილი რუსეთის მთავრობის — სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობა ასეთი იყო: ვ. **ულიანოვი-ლენინი** — თავმჯდომარე, ა. **რიკოვი** — შინაგან საქმეთა კომისარი, ვ. **მილიუტინი** — მიწათმოქმედების სახალხო კომისარი, ა. **შლიაპნიკოვი** — შრომის საქმეთა სახალხო კომისარი, ვ. **ნოგინი** — ვაჭრობისა და მრეწველობის სახალხო კომისარი, ა. **ლუნაჩარსკი** — სახალხო განათლების სახალხო კომისარი, ი. **სკვორცოვ-სტეფანოვი** — ფინანსთა სახალხო კომისარი, ლ. **ბრონშტეინი (ტროცკი)** — საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი, გ. **ოკოპოვი (ლომოვი)** — იუსტიციის სახალხო კომისარი, ი. **თეოდოროვიჩი** — სასურსათო საქმეთა სახალხო კომისარი, ნ. **ავილოვი (გლებოვი)** — ფოსტისა და ტელეგრაფის სახალხო კომისარი, ი. **ჯუღაშვილი (სტალინი)** — ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარი. სამხედრო და საზღვაო საქმეების მართვა-გამგეობის მიზნით სახალხო კომისარიატის ნაცვლად შეიქმნა სამხედრო და

საზღვაო საქმეთა კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ვ. ოსეენკო (ანტონოვი), ნ. კრილენკო და პ. დიბენკო.

ვლადიმერ პავლეს ძე მილიუტინი (1884-1937) – სახელმწიფო მოღვაწე. დაიბადა მასწავლებლის ოჯახში, სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1903 წელს შეუერთდა რსდმპ რიგებში, მიემხრო მენშევიკურ მიმდინარეობას. არალეგალურ მუშაობას ეწეოდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქში, რამდენჯერმე დააპატიმრეს. 1917 წელს აირჩიეს რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად, იყო პეტროგრადის სამხედრო რევოლუციური კომიტეტის წევრი. საბჭოთა რუსეთის პირველ მთავრობაში (სახალხო კომისართა საბჭოში) ეკავა მიწათმოქმედების სახალხო კომისრის თანამდებობა. კოალიციური მთავრობის შექმნის წინააღმდეგ ვ. ლენინის გამოსვლის გამო პროტესტის ნიშნად გავიდა მთავრობიდან და რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტიდან. არჩეული იყო რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრად. 1918-1921 წლებში იყო რუსეთის სახალხო შეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, 1922-1924 წლებში – კომუნისტური ინტერნაციონალის წარმომადგენელი ავსტრიასა და ბალკანეთში, 1929 წლიდან – საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. იყო ეკონომიკის დარგში რამდენიმე მეცნიერული შრომის ავტორი. 1937 წელს დააპატიმრეს, გასამართლეს და დახვრიტეს.

ანატოლი ვასილის ძე ლუნაჩარსკი (1875-1933) – კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაიბადა დიდი თანამდებობის სახელმწიფო მოღვაწის ოჯახში. დაამთავრა ციურიხის უნივერსიტეტი, საზღვარგარეთ ცხოვრებისას დაუახლოვდა გ. პლეხანოვს. 1897 წელს დაბრუნდა რუსეთში. 1895 წლიდან სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაშია, მიემხრო ბოლშევიკებს. დაპატიმრებული იყო რამდენჯერმე. 1904 წლიდან ემიგრაციაში წავიდა და აქტიურად მონაწილეობდა ბოლშევიკური პრესის გამოცემაში, იყო ცნობილი ჟურნალისტი. 1912 წელს ჩამოსცილდა ვ. ლენინსა და ბოლშევიკებს და აქტიურად თანამშრომლობდა ლ. ტროცკის რედაქტორობით გამოცემულ გაზეთში „პრავდა". 1917 წელს ლ. ტროცკის ჯგუფთან ერთად შეუერთდა რსდმპ (ბ) რიგებში. საბჭოთა რუსეთის პირველ მთავრობაში (სახალხო კომისართა საბჭოში) განათლების სახალხო კომისრის თანამდებობა ეკავა. მისი უშუალო მონაწილეობით პოლიტიკური მოტივით რუსეთიდან გაასახლეს ბევრი დიდი მეცნიერი და მოაზროვნე, უმაღლესი სასწავლებლებიდან დათხოვეს ძველი ინტელიგენციის წარმომადგენლები. ა. ლუნაჩარსკის ბრალი მიუძღვის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გაუქმებასა და მის ნაცვლად კომუნისტური აკადემიის დაარსებაში. მისივე თაოსნობით რუსეთში დაუბრუნეს ან გადააკეთეს ისტორიული ძეგლები, ხოლო მათ ადგილებზე დადგეს დასავლური ღირებულების მქონე რევოლუციონერთა და საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეთა ძეგლები. 1929 წელს სახალხო კომისრის თანამდებობიდან გადაყენეს და დანიშნეს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარედ. 1933 წელს ესპანეთში დანიშნა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად, მაგრამ ესპანეთში მიმავალი გზაში აყად გახდა და გარდაიცვალა.

ივანე ივანეს ძე სკვორცოვ-სტეპანოვის (1870-1928) ნამდვილი გვარია სკვორცოვი. დაიბადა ფაბრიკის მოსამსახურის ოჯახში, დამთავრა მოსკოვის სამსწავლებლო ინსტიტუტი, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა მოსკოვში. 1896 წელს ჩაება სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში, მოგვიანებით გახდა რსდმპ წევრი, მიემხრო ბოლშევიკებს. მონაწილეობდა 1905-1907 წლების რევოლუციაში, დააპატიმრეს და 1911 წელს გადასახლეს არხანგელსკის გუბერნიაში. 1917 წლიდან მოსკოვშია, იყო მოსკოვის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრი. საბჭოთა რუსეთის პირველ მთავრობაში (სახალხო კომისართა საბჭოში) ფინანსთა სახალხო კომისარი იყო. 1918 წელს მიემხრო „მარცხენე კომუნისტებს", წინააღმდეგი იყო ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადებისა. 1918-1924 წლებში ეწეოდა ჟურნალისტურ საქმიანობას, იყო საბჭოთა პოლიტიკური ცენზურის ერთ-ერთი შემქმნელი. 1926 წლიდან სამეცნიერო საქმეზეა. აქტიურად უჭერდა მხარს ი. სტალინს, მისმა წერილებმა ლ. ტროცკის, გ. ზინოვიევის, ლ. კამენევისა და სხვათა წინააღმდეგ დიდი სამსახური გაუწია ი. სტალინს. დაკრძალულია მოსკოვში კრემლის კედელთან.



ივანე სკვორცოვ-სტეპანოვი

ნიკოლაი ვასილის ძე კრილენკო (1885-1938) – კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიისა და საჭოთა სახელმწიფო მოღვაწე. მამამისი რევოლუციონერი იყო, სასჯელს იხდიდა გადასახლებაში. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტი და ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1904 წელს შეუდა რსდმპ რიგებში, მიემხრო ბოლშევიკურ მიმდინარეობას. 1911 წელს დატოვა რსდმპ რიგები, მაგრამ იმავე წელს ისევ მიიღეს პარტიაში. არალეგალურ მუშაობას ეწეოდა პეტერბურგში, მოსკოვსა და ხარკოვში. რამდენჯერმე დაპატიმრეს, გადასახლებული იყო პოლონეთსა და უკრაინაში. 1906 წელს წავიდა ემიგრაციაში, რუსეთში დაბრუნების შემდეგ რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდა პეტერბურგის გარნიზონის ჯარისკაცთა შორის, რისთვისაც დაპატიმრეს და ქალაქ ლიუბლინში (პოლონეთი) გადასახლეს. 1914 წლიდან ისევ ემიგრაციაშია. რუსეთში 1915 წელს დაბრუნდა, იმავე წელს დაპატიმრეს და 1916 წელს მოქმედ არმიაში გაგზავნეს. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, ჰქონდა პრაპორშჩიკის წოდება. საჭოთა რუსეთის პირველ მთავრობაში (სახალხო კომისართა საჭოში) სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომიტეტის წევრის (ფაქტობრივად სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრის) თანამდებობა ეკავა. 1918 წლის 9 ნოემბერს დანიშნეს საჭოთა რუსეთის უმაღლეს მთავარსარდლად. მისი წაყრუებითა თუ წაქებებით მეზღვაურთა ბრბომ მხეცურად მოკლა რუსეთის უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის შტაბის ყოფილი უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ნ. დუხონინი. ნ. კრილენკო დაუნდობლად

ნიკოლაი კრილენკო

დევნიდა რუსეთის იმპერიის არმიის გენერლებსა და ოფიცრებს, მათ ადგილებზე ნიშნავდა სრულიად უკიც ბოლშევიკებს. ასეთმა პოლიტიკამ დასცა წითელი არმიის ბრძოლისუნარიანობა. 1918 წლის მარტში ნ. კრილენკო გაათავისუფლეს უმაღლესი მთავარსარდლის მოვალეობისაგან, მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. მაგრამ ეერსად თავი ეერ გამოიჩინა. 1918 წლის მაისში დანიშნა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამხედრო ტრიბუნალის (1919 წლიდან – უმაღლესი სამხედრო ტრიბუნალის) თავმჯდომარედ, 1931 წლიდან იყო საჭოთა რუსეთის იუსტიციის სახალხო კომისარი, იმავდროულად 1928-1931 წლებში იყო საჭოთა რუსეთის პროკურორი. 30-იანი წლების შუა ხანებში გამართულ ფალსიფიცირებულ სასამართლო პროცესებზე გამოდიოდა ბრალმდებლად. 1934 წელს შეიმუშავა კოდექსის პროექტი, რომელიც საშშიოლოს ღალატისათვის სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა. 1936 წელს დანიშნა საჭოთა კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრად. 1938 წელს თანამდებობიდან გადაყენეს, იმავე წელს დაპატიმრეს, გასამართლეს და დახვრიტეს. 1955 წლიდან რეაბილიტირებულია.

პაველ ეფიმის ძე დიბენკო (1889-1938) – კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიისა და წითელი არმიის გამოჩენილი მოღვაწე. განათლება მიიღო საქალაქო სამკლასიან სასწავლებელში, შემდეგ დაამთავრა წითელი არმიის გენერალური შტაბის აკადემია. 1907 წლიდან ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, 1911 წლიდან სავალდებულო სამხედრო სამსახურშია, იყო ბალტიის ზღვის ფლოტის მეზღვაური. 1912 წელს შეუდა რსდმპ რიგებში, მიემხრო ბოლშევიკურ მიმდინარეობას. 1917 წლის აპრილში აირჩიეს მეზღვაურთა ორგანიზაციის – ცენტრობალტის – თავმჯდომარედ. თავადაც ლოთმა და დეგენერატმა უდისციპლინო და ლოთი მეზღვაურებისაგან შექმნა რაზმები, რომლებიც ბოლშევიკთა დასაყრდენს წარმოადგენდა. 1917 წლის ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების დროს გატაცებულ და კრასნოე სელოში მეთაურობდა წითელარმიელთა რაზმებს, პირადად დაპატიმრა გენერალი პ. კრასნოვი. საჭოთა რუსეთის პირველ მთავრობაში (სახალხო კომისართა საჭოში) სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომიტეტის წევრის (ფაქტობრივად საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის) თანამდებობა ეკავა. 1918 წლის თებერვალში მეზღვაურთა რაზმებით იცავდა ქალაქ ნარვას, 23 თებერვალს გერმანელებმა მეზღვაურთა რაზმები სასტიკად დამარცხეს და ნარვა დაიკავეს. ამ მარცხისათვის პ. დიბენკო სასამართლოს გადასცეს, მაგრამ თავი იმართლა, თუმცა რკპ (ბ) რიგებიდან მაინც გარიცხეს. 1918-1920 წლებში სამოქალაქო ომის სხვადასხვა ფრონტზე სათავეში ედგა პოლკს, დივიზიას, არმიას. მონაწილეობდა სადამსჯელო ოპერაციებში. დივიზია, რომელსაც პ. დიბენკო მეთაურობდა, მონაწილეობდა კრონშტადტის

აჯანყების ჩახშობაში (1921 წ.). 1922 წლის აღდგინეს რკ (ბ) რიგებში. 1928 წლიდან იყო შუა აზიის, ჯოლგისპირეთის, ციმბირისა და ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი. 1937 წელს იყო იმ საგანგებო სასამართლოს წევრი, რომელმაც სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა ბუერ სამხედრო მოღვაწეს. იყო ამორალური პროგრესია, სახელმწიფო სახსრებს ფლანგავდა პირადი სიამოვნებისათვის, ეწოდა. აღვირახსნილ ცხოვრებას. 1938 წელს გაათავისუფლეს ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის თანამდებობიდან, იმავე წელს დააპატიმრეს, გაასამართლეს და ანტისაბჭოთა ტროცკისტული საქმიანობისა და სამხედრო-ფაშისტურ შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით დახვრიტეს. 1956 წლიდან რეაბილიტირებულია.

ყრილობის მუშაობაში მონაწილე მენშევიკებმა (ნოვოჟიზნელებმა) მოითხოვეს მთავრობის ნაცვლად შექმნილიყო **დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი**, ხოლო მთავრობა შეექმნათ მას შემდეგ, რაც ყრილობიდან წასულ მენშევიკებთან და მემარჯვენე ესერებთან შეთანხმება მოხდებოდა. ბოლშევიკებმა ეს წინადადება უარყვეს.

საბჭოების II ყრილობამ აირჩია **სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი** (ცაკი) 101 კაცის შემადგენლობით (62 ბოლშევიკი, 29 მემარცხენე ესერი, 6 მენშევიკ-ინტერნაციონალისტი, 4 მემარცხენე ორიენტაციის ჯგუფების წარმომადგენელი). ცაკის თავმჯდომარედ აირჩიეს ბოლშევიკი **ლევ კამენევი (როზენფელდი)**.

სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობამ, რომელიც არც სოციალური, არც ეროვნული და არც **პარტიული** შემადგენლობით არ გამოხატავდა ქვეყნის მოსახლეობის განწყობილებას და მხოლოდ ბოლშევიკთა ნების აღმსრულებელ ორგანოს წარმოადგენდა, დააკანონა 1917 წლის 24-26 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შედეგები. **თვით ყრილობა კი, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალების ბოლო აკორდს წარმოადგენდა.**

4. 1917 წლის 24-26 ოქტომბრის მოვლენების შეფასება. საბჭოთა ისტორიოგრაფია 1917 წლის 24-26 ოქტომბრის მოვლენებს უწოდებდა **„დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას“**, რაც სრულიად არ შეეფერება მის არსს. ჯერ კიდევ ვ. ლენინის სიცოცხლეში, 1919 წელს, რკ (ბ) პროგრამის (კომუნისტური პარტიის მეორე პროგრამის) შემმუშავებელ კომისიაში აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა იმის თაობაზე, თუ რა ეწოდებინათ 1917 წლის 24-26 ოქტომბრის მოვლენებისათვის — **„ოქტომბრის გადატრიალება“** თუ **„ოქტომბრის რევოლუცია“**. იმხანად ვ. ლენინმა თავისი გაიტანა და ბოლშევიკების პარტიის პროგრამაში ხსენებულ მოვლენას **„ოქტომბრის რევოლუცია“** უწოდეს. მოგვიანებით „ოქტომბრის რევოლუციას“ მიემატა **„დიდი“** და **„სოციალისტური“** და საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო — **„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია“**. სინამდვილეში, 1917 წლის 24-26 ოქტომბერს რუსეთში განხორციელდა **კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება**, რაც ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების უზურპაციით დამთავრდა. ასეთი შეფასების საფუძველს იძლევა შემდეგი არგუმენტები:

პირველი. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ რუსეთში დაამხო მონარქია და დაამყარა დემოკრატიული წყობილება მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით (პიროვნების ხელშეუხებლობა, სიტყვის, პრესის, კრების თავისუფლება, დემოკრატიული არჩევნები, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, კომერციული საქმიანობის თავისუფლება, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და სხვ.). 1917 წლის 24-26 ოქტომბრის მოვლენების შემდეგ ყოველივე ეს მოისპო. ეს იმას ნიშნავს, რომ განხორციელდა **1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შედეგების ლიკვიდაცია ანუ კონტრრევოლუცია.**

მეორე. 1917 წლის 24-26 ოქტომბრის

პავლე დიბენკო

მოვლენებს არ შეიძლება ეწოდოს **რევოლუცია** იმ გაგებით, რა გაგებითაც ამ ტერმინს ჩვენ ვხმარობთ ინგლისისა (XVII ს.) და საფრანგეთის (XVIII ს.) რევოლუციების მიმართ. ეს **იყო ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით ექსტრემისტულად განწყობილი ბოლშევიკური პარტიის ზედა ფენის მიერ მომზადებული და განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალება** და არა ქვეყნის შიგნით მომწიფებული სოციალური მოძრაობის კულმინაცია — რევოლუცია.

მესამე. რუსეთის დროებითი მთავრობა შეიქმნა სრულიად კანონიერად: ჯერ კანონიერმა მონარქმა ნიკოლოზ II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს ძმის — მიხეილის სასარგებლოდ გადადგომის შესახებ, შემდეგ მიხეილმა უარი თქვა ტახტზე და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა დროებითი მთავრობა მოღვაწეობას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ დროებითი მთავრობის შექმნაში მონაწილეობა მიიღო რუსეთის იმპერიის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის) ქვედა პალატამ — სახელმწიფო სათათბირომ. რაც შეეხება 1917 წლის 24-26 ოქტომბერს პეტროგრადში ბოლშევიკების მიერ განხორციელებულ შეიარაღებულ აჯანყებას, პუტჩს, ამ დროს **ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის პრინციპი უხეშად** დაირღვა. **არც დროებით მთავრობას და არც პრედპარლამენტს უფლებამოსილება არ მოუხსნია — დროებითი მთავრობა დააპატიმრეს, ხოლო პრედპარლამენტი გარეკეს.** ახალი მთავრობა — სახალხო კომისართა საბჭო — უკანონო

პეტრე კრასნოვი

იყო იმიტომ, რომ სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების II ყრილობას არც მენშევიკებისა და მემარჯვენე ესერების მონაწილეობით და, მით უმეტეს, არც მათ გარეშე **არ ჰქონდა უფლება თავის თავზე აეღო ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია და შეექმნა ახალი მთავრობა.**

ამრიგად, 1917 წლის 24-26 ოქტომბრის მოვლენები უნდა შეფასდეს როგორც კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც დამთავრდა ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების უზურპაციით.

§ 4. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე.

1. კანონიერი ხელისუფლების აღდგენის ცდები. კანონიერი ხელისუფლების აღდგენის პირველი სერიოზული ცდა განხორციელდა სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობის დახურვიდან რამდენიმე საათის შემდეგ. ა. **კერენსკიმ** და კაზაკთა მესამე ცხენოსანი კორპუსის მეთაურმა გენერალმა პ. **კრასნოვმა ფსკოვის** რაიონში თავი მოუყარეს კაზაკთა ერთგულ სამხედრო ნაწილებს და **პეტროგრადისაკენ** დაძრეს ისინი. 1917 წლის 27 ოქტომბერს, განთიადისას, **გატჩინოს** სატვირთო რკინიგზის სადგურს მიაღწია კაზაკთა მესამე ცხენოსანი კორპუსის მე-12 ესკადრონმა. კაზაკებმა სასწრაფოდ განაიარაღეს პეტროგრადიდან გამოგზავნილი ბალტიელი მეზღვაურები. მალე კაზაკებმა დაიკავეს გატჩინო. გატჩინოს გარნიზონმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. ხოლო გატჩინოში განლაგებული ჩრდილოეთის ფრონტის პრაპორშჩიკთა სკოლისა და სამხედრო-საავიაციო სკოლის იუნკერები კაზაკების მხარეზე გადავიდნენ. ა. კერენსკიმ გამოიყენა რუსეთის უმაღლესი მთავარსარდლის უფლებები და პეტროგრადში **სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა.** ამავე დროს, მან პეტროგრადის გარნიზონს მოუწოდა „დაუყოვნებლივ შედგომოდა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას". 1917 წლის 28 ოქტომბერს დილით გენერალ პ. კრასნოვის კაზაკებმა **ცარსკოე სელო** დაიკავეს, რომელიც პეტროგრადიდან 25 კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა.

ა. **კერენსკი** და პ. **კრასნოვი** პეტროგრადზე შეტევის დაწყებას 1917 წლის 30 ოქტომბერს გეგმავდნენ. შეტევის დაგვიანება დიდი შეცდომა იყო, მაგრამ ა. კერენსკი შიშობდა, რომ პეტროგრადის დასაკავებლად ძალები არ ეყოფოდა. ა. კერენსკისა და პ. კრასნოვს უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი და ჩრდილოეთის ფრონ-

ტის სარდლობა დახმარებას ჰპირდებოდა. პეტროგრადზე სალაშქროდ გამზადებულ გენერალ პ. კრასნოვის კაზაკებს სხვა საჯარისო ნაწილებიც შეუერთდნენ. საბოლოოდ პ. კრასნოვის განკარგულებაში აღმოჩნდა ჯავშნიანი მატარებელი, ჯავშნიანი მანქანა, მძიმე არტილერია, ცარსკოე სელოში არსებული რადიოსადგური, რომლითაც ა. კერენსკი უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკსა და ჩრდილოეთის ფრონტის შტაბს უკავშირდებოდა.

პეტროგრადში ა. კერენსკისა და პ. კრასნოვის მხარდაჭერის მიზნით „**სამშობლოსა და რევოლუციის ხსნის კომიტეტი**" იუნკერების აჯანყებას ამზადებდა. დედაქალაქში აჯანყების ხელმძღვანელად დაინიშნა პოლკოვნიკი გ. პოლკოვნიკოვი. პეტროგრადში, გარდა ხუთი სამხედრო სასწავლებლის იუნკერებისა, აჯანყებაში უნდა ჩაბმულიყო კაზაკთა ჯარის ერთი პოლკი და გიორგის ჯერის კავალერთა რაზმი.

1917 წლის 29 ოქტომბრის ღამეს პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა შეიტყო, რომ „სამშობლოსა და რევოლუციის ხსნის კომიტეტი" დედაქალაქში აჯანყებას ამზადებდა. სწორედ ამიტომ „ხსნის კომიტეტი" აღარ დაელოდა პ. კრასნოვის ჯარების შეტევას და აჯანყება დაიწყო. **ნიკოლოზის სასწავლებლის** იუნკერებმა ხელთ იგდეს რამდენიმე ჯავშნიანი მანქანა და მათი საშუალებით დაიკავეს ცენტრალური სატელეფონო სადგური, რითაც პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტს კავშირის საშუალება მოუსპეს. **იუნკერთა** სხვა რაზმებმა დაიკავეს სახელმწიფო ბანკი და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები. აჯანყების წარმატებით გაგრძელებისათვის იუნკერთა ძალები არასაკმარისი აღმოჩნდა. კაზაკთა პოლკმა, ისევე როგორც 1917 წლის 24-25 ოქტომბერს, ნეიტრალური პოზიცია დაიკავა. პრედპარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ესერი **ნ. ავქსენტიევი** 1917 წლის 29 ოქტომბერს პირადად ეახლა კაზაკთა ჯარის კავშირის საბჭოს თავმჯდომარეს ატამან ა. **დუტოვს** და დახმარება სთხოვა, მაგრამ უშედეგოდ. ბოლშევიკებმა დიდ ძალებს მოუყარეს თავი და 29 ოქტომბრის საღამოსათვის აჯანყება ჩაახშვეს. ბრძოლებში ორივე მხრიდან დაახლოებით 200 კაცი დაიღუპა.

პეტროგრადში იუნკერების აჯანყების ჩახშობამ ა. კერენსკი და პ. კრასნოვი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. 1917 წლის 30 ოქტომბერს პეტროგრადის მისადგომებთან, **პულკოვოს** მაღლობის რაიონში, პ. კრასნოვის ჯარებსა და ბოლშევიკების მომხრე ჯარებს (წითელი გვარდია, მეზღვაურები, რეგულარული საჯარისო ნაწილები) შორის ბრძოლები გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ბრძოლების პარალელურად კაზაკებისა და ბოლშევიკების წარმომადგენელს **პ. დიბენკოს** შორის მოლაპარაკებაც წარმოებდა. კაზაკები პ. დიბენკოს გენერალ პ. კრასნოვის გადაცემას დაპირდნენ იმ პირობით, თუ კაზაკებსა და პეტროგრადში აჯანყების მონაწილე იუნკერებს არ დასჯიდნენ. პ. დიბენკო კაზაკების იმ მოთხოვნასაც კი დაეთანხმა, რომ ვ. ლენინი მთავრობაში არ იქნებოდა შეყვანილი მანამ, სანამ არ დამტკიცდებოდა მისი გერმანიის სამხედრო უწყებასთან თანამშრომლობის უსაფუძვლობა (ამის გამო პ. დიბენკო ვ. ლენინმა კინაღამ სამხედრო-რევოლუციურ ტრიბუნალს გადასცა).

პულკოვოს მაღლობის რაიონში ბრძოლები შეწყდა. გენერალი **პ. კრასნოვი** კაზაკებმა შეიპყრეს და ბოლშევიკებს გადასცეს. ა. **კერენსკი** ინგლისელი დიპლომატის დახმარებით საზღვარგარეთ გაიქცა.

2. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მოსკოვში. მოსკოვში ბოლშევიკებმა ისეთი სწრაფი და ადვილი გამარჯვება ვერ მოიპოვეს, როგორც პეტროგრადში. ამის მიზეზად უნდა მივიჩნიოთ: **პირველი.** მოსკოველი ბოლშევიკები შეიარაღებულ აჯანყებას არ ამზადებდნენ, რადგან მათი დიდი ნაწილი ლ. კამენევისა და გ. ზინოვიევის პოზიციას უფრო იზიარებდა, ვიდრე ვ. ლენინისას. 1917 წლის 20 ოქტომბერს **რსდმპ (ბ)** ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე **მ. ურიცკიმ** პირდაპირ განაცხადა, რომ მოსკოვის საბჭოდან სრულიად რუსეთის საბჭოების *II* ყრილობაზე დელეგატებად არჩეულთა უმრავლესობა შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგი იყო. **მეორე.** მოსკოვში პეტროგრადთან შედარებით გაცილებით ძლიერნი აღმოჩნდნენ ანტიბოლშევიკური ძალები. მოსკოვის საბჭოს მუდმივი კავშირი ჰქონდა დროებით მთავრობასთან, ხოლო მისი დაპატიმრების შემდეგ — უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკთან, ა. კერენსკისთან და პ. კრასნოვთან. მოსკოვში დაწყებული აჯანყების პროცესში ცხადი გახდა, რომ ბოლშევიკებს ძალთა აშკარა უპირატესობა არ ჰქონდათ.

პეტროგრადში მიმდინარე ამბების შესახებ მოსკოველი ბოლშევიკების ხელმძღვანელობამ 1917 წლის 25 ოქტომბერს, ღამის 12 საათზე შეიტყო. 26 ოქტომბერს შეიკრიბა **რსდმპ (ბ) მოსკოვის საოლქო ბიუროს, საქალაქო** და სამ-

მოსე ურიცკი

ხარეო კომიტეტების გაერთიანებული სხდომა, რომელზეც შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელობის მიზნით შეიქმნა **პარტიული ცენტრი** შემდეგი შემადგენლობით: ი. **სტუკოვა,** ვ. **იაკოვლევა,** ო. **პიატნიცკი,** მ. **ვლადიმირსკი,** ვ. **სოლოვიევი,** ე. **იაროსლავსკი,** ბ. **კოზელევი.** პარტიულ ცენტრს დიქტატორული უფლებები მიენიჭა.

1917 წლის 26 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, **მოსკოვის დეპუტატთა საბჭოების გაერთიანებული პლენუმი** (მოსკოვში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები ცალ-ცალკე არსებობდნენ) შეიკრიბა. პლენუმზე 394 ხმით 106 ხმის წინააღმდეგ (23 წევრმა თავი შეიკავა) მიიღეს ხელისუფლების აღების გადაწყვეტილება. იმავე სხდომაზე შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელობის მიზნით შეიქმნა **მოსკოვის საშუალო-რევოლუციური კომიტეტი** (8 ბოლშევიკი, 2 მენშევიკი, 3 ბოლშევიკებთან გაერთიანების მომხრე მენშევიკი). ესერებმა სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტში შესვლა არ ისურვეს.

1917 წლის 26 ოქტომბერს, საღამოს, მოსკოვის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა **ბრძანება №1,** რომლის თანახმადაც მოსკოვის გარნიზონის ჯარები საბრძოლო მზადყოფნაზე გადადიოდნენ. ამასთან ერთად, მოსკოვის გარნიზონის ჯარებს სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტთან შეთანხმების გარეშე არც ერთი ბრძანება არ უნდა შეესრულებინათ.

1917 წლის 26 ოქტომბრის საღამოსვე მოსკოვის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა **კრემლისა** და **არსენალის** დაკავების მიზნით თავისი კომისრების მეთაურობით რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცები გაგზავნა. **იუნკრებმა არც კრემლი და არც არსენალი არ ჩაბარეს.** იუნკრებთან საბრძოლველად მოსკოველ ბოლშევიკებს ძალები არ ჰყოფნიდათ. ამიტომ ბოლშევიკებმა დაიწყეს ფართო პროპაგანდისტული საქმიანობა. ისინი მოსახლეობას და იუნკერებს სისტემატურად აწვდიდნენ პეტროგრადიდან მოსულ ცნობებს (დროებითი მთავრობის დაპატიმრებისა და სხვათა შესახებ), რაც, ცხადია, ასუსტებდა ანტიბოლშევიკურ განწყობილებას მოსახლეობაში და იუნკერთა საბრძოლო სულისკვეთებაზეც ცუდად მოქმედებდა. ბოლშევიკებმა მოახერხეს 28 ოქტომბერს დილიდან მოსკოვში მუშათა პოლიტიკური გაფიცვის დაწყება. მოსკოველი მუშების გაფიცვამ გავლენა იქონია მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარებზე, რომელთაც გამოაცხადეს, რომ აღარ დაემორჩილებოდნენ სამხედრო ოლქის შტაბს.

1917 წლის 29 ოქტომბრიდან მოსკოვში ვითარება ბოლშევიკების სასარგებლოდ შეიცვალა. წითელმა გვარდიამ იუნკერებისაგან გაწმინდა **ტვერის ქუჩა,** დაიკავა **მცირე თეატრის** შენობა. იმავდროულად ალყა შემოარტყა **ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელსა** და **კადეტთა კორპუსის** შენობაში გამაგრებულ იუნკერებს, რომელთაც მეორე დღეს იარაღი დაყარეს.

1917 წლის 30 ოქტომბერს მოსკოვის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა **რკინიგზელთა სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის (ვიკჟელის)** წინადადებით სამხედრო მოქმედებები შეწყვიტა და **მოსკოვის საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტთან** მოლაპარაკება დაიწყო, რაც უშედეგოდ დამთავრდა. უშედეგოდ დამთავრდა **მოსკოვის გუბერნიის გლეხთა დეპუტატების საბჭოს** ინიციატივით დაწყებული მოლაპარაკებაც.

პეტროგრადში იუნკერთა აჯანყების ჩახშობის, ა. კერენსკისა და პ. კრასნოვის დამარცხების შემდეგ მოსკოველი ბოლშევიკები შეტევაზე გადავიდნენ. მათ საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს კრემლსა და სხვა მნიშვნელოვან სტრატეგიულ ობიექტებს. კრემლი იბომბებოდა ავიაციის საშუალებითაც (ავიაციის გამოყენებით კრემლის დაბომბვის ერთ-ერთი ინიციატორი ნ. ბუხარინი იყო). 2 ნოემბერს კრემლში გამაგრებული იუნკრები ალყაში აღმოჩნდნენ.

1917 წლის 2 ნოემბერს **მოსკოვის საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის** თავმჯდო-

მარემ წერილით მიმართა **მოსკოვის სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტს**, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „შექმნილ ვითარებაში კომიტეტი აუცილებლად მიიჩნევს მოსკოვში შეიარაღებული ბრძოლის შეწყვეტასა და ბრძოლის პოლიტიკურ მეთოდებზე გადასვლას". ეს, **ფაქტობრივად, კაპიტულაციას ნიშნავდა**. 2 ნოემბერს, საღამოს, მოსკოვის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა ბრძანება, რომელიც იუწყებოდა, რომ მოწინააღმდეგე დანებდა და ქალაქში ძალაუფლება სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ხელში გადავიდა.

მოსკოვში შეიარაღებული აჯანყების წარმატებამ განამტკიცა ბოლშევიკების მიერ პეტროგრადში მოპოვებული გამარჯვება.

3. **საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებსა და განაპირა მხარეებში.** რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებსა და განაპირა მხარეებში 1917 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ბოლშევიკები დიდი გავლენით ვერ სარგებლობდნენ. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ პეტროგრადსა და მოსკოვში შეიარაღებული აჯანყების გამარჯვების შემდეგაც კი იქ ხელისუფლებისათვის ბრძოლა გაჭიანურდა. რუსეთის გუბერნიების უმრავლესობაში შეიქმნა **ხელისუფლების კოალიციური ორგანოები**, რომელშიც მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების გარდა შედიოდნენ ერობებისა და ქალაქების თვითმმართველობის წარმომადგენლები, ასევე სოციალისტური ორიენტაციის პოლიტიკური პარტიებისა და პროფკავშირების წარმომადგენლები. ადგილობრივი ხელისუფლების კოალიციურ ორგანოებში სხვა სოციალისტებთან ერთად ბოლშევიკებიც მონაწილეობდნენ. ასე იყო მაგალითად **კალუგის, კოსტრომის, რიაზანის, კურსკის, პერმისა** და **ვოლოგდის** გუბერნიებში.

კოალიციური ხელისუფლების ორგანოები სხვადასხვა პირობების საფუძველზე იქმნებოდა. დონზე **„სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი"** შექმნა **„გაერთიანებულმა დემოკრატიამ"**, რომელშიც სოციალ-დემოკრატ მენშევიკებთან ერთად შევიდნენ ესერები და ბოლშევიკები. ასტრახანში ხელისუფლების კოალიციურ ორგანოს **„სახალხო ხელისუფლების კომიტეტი"** ეწოდებოდა, რომელშიც წამყვან როლს სოციალისტები ასრულებდნენ. ტომსკის გუბერნიაში კოალიციური ხელისუფლების ორგანო სოციალისტური და არასოციალისტური პარტიების **პარიტეტულ გაერთიანებას** წარმოადგენდა. ბაიკალისპირეთში ხელისუფლების კოალიციური ორგანო — **„სახალხო საბჭო"** შეიქმნა გლეხების, კაზაკებისა და ბურიატების, ასევე მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისა და ქალაქთა თვითმმართველობების წარმომადგენლებისაგან. **შორეულ აღმოსავლეთში** დეპუტატთა საბჭოების სამხარეო ყრილობამ და ზღვისპირეთის ერობათა კრებამ შექმნა კოალიციური ხელისუფლების ორგანო — **„მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოსა** და **ადგილობრივ თვითმმართველობათა სამხარეო კომიტეტი"**. ენისეის გუბერნიის კრასნოიარსკის მაზრაში მემარცხენე ესერების ხელმძღვანელობით შეიქმნა **„გლეხთა დეპუტატების საბჭოსა** და **სამაზრო ერობის გაერთიანებული კომიტეტი"**.

1917 წლის 25 ოქტომბრის შემდეგ **რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებსა** და **განაპირა მხარეებში ხელისუფლების კოალიციური ორგანოების შექმნა, ფაქტობრივად, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ნიშნავდა.** აქვე **უნდა** აღინიშნოს, **რომ ჯერჯერობით ხელისუფლების კოალიციურ ორგანოებში ბოლშევიკები ვერ ბატონობდნენ.**

4. **ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ბოლშევიკთა გამარჯვების მიზეზები.** 1917 წლის 24-26 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება და ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების უზურპაცია შემთხვევითი, არაკანონზომიერი მოვლენა არ ყოფილა და იგი რამდენიმე მიზეზმა განაპირობა.

პირველი. რუსეთის ბურჟუაზია და შესაბამისად მისი ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური პარტიები (კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია, 17 ოქტომბრის კავშირი) 1917 წლის თებერვალ-მარტის **რევოლუციის** შემდეგ მზად არ აღმოჩნდნენ ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად. ხელისუფლებაში მოსასვლელად მზად არ აღმოჩნდნენ არც სოციალისტური პარტიების (სოციალ-დემოკრატი მენშევიკების, სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკების, სოციალისტ-რევოლუციონერების, სახალხო რევოლუციონერების) ხელმძღვანელობით შექმნილი მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოები.

მეორე. მართალია, რუსეთის დროებითი მთავრობის შექმნა ლიბერალურ-დემოკრატიული (კადეტები, ოქტიაბრისტები) და რევოლუციურ-დემოკრატიული (სოციალ-დემოკრატი მენშევიკები, ესერები) ძალების კომპრომისის შედეგი იყო, მაგრამ კომპრომისი ისეთი სერიოზული უთანხმოების პირობებში შედგა, რომ რუსეთის

დროებითი მთავრობა პრაქტიკულად განუწყვეტელი სახელისუფლებო კრიზისის პირობებში მოქმედებდა, რაც ძალზე აქვეითებდა მის ბრძოლისუნარიანობას. ამიტომ იყო, რომ დროებითმა მთავრობამ ვერ შეძლო დასახული პროგრამის რეალიზება და ყველა მტკივნეული საკითხის გადაჭრა დამფუძნებელი კრების მოწვევამდე გადადო.

მესამე. დროებითი მთავრობის უუნარობა, მწვავე საკითხების გადაუჭრელობა კარგად გამოიყენა რადიკალურ-ექსტრემისტულმა ძალებმა (ბოლშევიკებმა) და დემაგოგიური, პოპულისტური ანტისამთავრობო პროპაგანდით მასებში ნელ-ნელა გავლენა მოიპოვეს.

მეოთხე. რადიკალურ-ექსტრემისტული ძალების (ბოლშევიკების) მხრიდან მომდინარე საფრთხე სერიოზულად არ ჩათვალა დროებითმა მთავრობამ და საკმაო დროის მანძილზე თავისუფალი მოქმედების საშუალება მისცა, რაც ბოლშევიკებმა მუშებში, ჯარისკაცებსა და მეზღვაურებში გავლენის გასაძლიერებლად გამოიყენა.

მეხუთე. ლიბერალურ-დემოკრატიული და რევოლუციურ-დემოკრატიული ძალების კონფრონტაციას, რაც დროებითი მთავრობის უსუსურობას იწვევდა, რადიკალურ-ექსტრემისტული ძალების გააქტიურებას, რასაც ქვეყანა ქაოსისაკენ მიჰყავდა, გარკვეულ დრომდე მშვიდად უყურებდა რუსეთის არმიის ელიტა — ვენერალიტეტი. მოძრაობა სამხედრო დიქტატურის დამყარებისათვის (გენერალ ლავრ კორნილოვის ამბოხება) იმ დროს დაიწყო, როცა რუსეთის არმიაში უკვე საკმაოდ ძლიერი იყო ბოლშევიკების გავლენა, ხოლო თვით არმია გამოსული იყო გენერალიტეტის (უმაღლესი მთავარსარდლობის, ფრონტისა და არმიების სარდლობის) უსიტყვო მორჩილებიდან. მიუხედავად ამისა, სამხედრო დიქტატურის დამყარება და ქვეყნის ხსნა მაინც შესაძლებელი იქნებოდა, რომ არა დროებითი მთავრობის თავმჯდომარის, სოციალისტ ალექსანდრე კერენსკის დაპირისპირება სამხედრო დიქტატურის მომხრე ძალებთან და, კერძოდ, გენერალ ლავრ კორნილოვთან. ა. კერენსკიმ რუსეთის ბედი თავის კარიერას ანაცვალა და ლ. კორნილოვის ამბოხების ჩასახშობად კავშირი შეკრა ბოლშევიკებთან. ლ. კორნილოვის ამბოხების ჩახშობით ა. კერენსკიმ ხელისუფლებისაკენ გზა გაუხსნა ბოლშევიკებს, რადგან დროებით მთავრობას ბოლშევიკებთან ბრძოლისათვის საჭირო ძალები აღარ გააჩნდა.

მეექვსე. ბოლშევიკებმა დროებითი მთავრობის დასამხობად დიდი მასშტაბის შეიარაღებული აჯანყების დაწყება ვერ გაბედეს და განიზრახეს ძალაუფლების ხელში ჩაგდება სამხედრო პუტჩის გზით, რაც განახორციელეს კიდეც 1917 წლის 24-26 ოქტომბერს.

მეშვიდე. ლიბერალურ-დემოკრატიული და რევოლუციურ-დემოკრატიული ძალები არც 1917 წლის 24-26 ოქტომბერს პეტროგრადში განხორციელებული კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ გაერთიანდნენ და არაფერი გააკეთეს არმიის გამოყენებით პუტჩის ლიკვიდაციისათვის. ამან ბოლშევიკებს საშუალება მისცა, ხელთ ეგდოთ ძალაუფლება მოსკოვში და შემდეგ — მთელ რუსეთში.

თავი IX. რუსეთის საშინაო პოლიტიკა 1917-1921 წლებში

ბოლშევიკების მიერ კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების განხორციელებისა და ხელისუფლების უზურპაციის შემდეგ რუსეთში დაიწყო მანამდე არნახული **სისხლიანი ტერორის** ეპოქა. საბჭოთა ხელისუფლება დაუნდობლად სპობდა ოპოზიციას და ცეცხლითა და მახვილით ამკვიდრებდა ახალ პოლიტიკურ რეჟიმს. რუსეთში უსასტიკესი სამოქალაქო ომი გაჩაღდა.

§ 1. **სამოქალაქო ომის პირველი ეტაპი (1917 წლის ნოემბერი — 1918 წლის ზაფხული).**

1. **პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირება.** 1917 წლის 24-26 ოქტომბრის კონტრრევოლუციურ სახელმწიფო გადატრიალებას რუსეთში სამოქალაქო ომის დაწყება მოჰყვა. მის პირველ სერიოზულ გამოვლინებას წარმოადგენდა **იუნკერთა აჯანყება პეტროგრადში** (1917 წლის 29 ოქტომბერს), **ა. კერენსკისა და პ. კრასნოვის ლაშქრობა პეტროგრადზე** (1917 წლის 27-30 ოქტომბერი), **სისხლისმღვრელი ბრძოლები** მოსკოვში (1917 წლის 30 ოქტომბერი — 2 ნოემბერი). ამ მოვლენებთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოთქვეს პეტროგრადის, მოსკოვისა და სხვა დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მუშებმა. მუშები მოითხოვდნენ სოციალისტური პარტიების წარმომადგენლებისაგან **კოალიციური მთავრობის შექმნას.** პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაებნენ პროფკავშირული გაერთიანებები. **რკინიგზელთა სრულიად რუსეთის პროფკავშირების აღმასრულებელმა კომიტეტმა (ვიკჟელმა),** რომელიც 700 ათასზე მეტ კაცს აერთიანებდა, ულტიმატუმის ფორმით მოითხოვა **კოალიციური სოციალისტური მთავრობის** შექმნა. **წინააღმდეგ** შემთხვევაში ვიკჟელი საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვით იმუქრებოდა. რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი იძულებული გახდა ვიკჟელთან მოლაპარაკება დაეწყო. ვ. ლენინი სასტიკი წინააღმდეგი იყო კოალიციური მთავრობის შექმნისა. ბოლშევიკების ნაწილი (გ. ზინოვიევი, ა. რიკოვი, ვ. ნოგინი და სხვ.) მიიჩნევდა, რომ კოალიციური მთავრობის შექმნა გააფართოებდა ხელისუფლების სოციალურ ბაზას. ვიკჟელთან მოლაპარაკებას რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით აწარმოებდა **ლ. კამენევი,** ხოლო სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკის) სახელით — **ნ. რიაზანოვი.** მიაღწიეს შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ კოალიციური მთავრობის 18 წევრიდან 5 ბოლშევიკი იქნებოდა. მენშევიკებმა კიდევ უფრო მეტის ფიქრევა მოინდომეს. მოლაპარაკება გაჭიანურდა. დრო კი ბოლშევიკების სასარგებლოდ მოქმედებდა. მოსკოვში შეიარაღებული აჯანყების გამარჯვების შემდეგ, 1917 წლის 4 ნოემბერს, ვ. ლენინის მოთხოვნით ვიკჟელთან მოლაპარაკება შეწყდა. პროტესტის ნიშნად რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტიდან გავიდნენ: **ლ. კამენევი, ა. რიკოვი, ვ. ნოგინი** და **ვ. მილიუტინი.** მიუხედავად ამისა, რსდმპ (ბ) კომიტეტში სერიოზული განხეთქილება არ მომხდარა, ვ. ლენინის პოლიტიკის მოწინააღმდეგენი მალე დაბრუნდნენ რსდმპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში და სახალხო კომისართა საბჭოშიც.

ვიკჟელი დამარცხდა. ბოლშევიკებმა თავი დააღწიეს პოლიტიკურ იზოლაციას. ვ. ლენინი დათანხმდა მთავრობაში **მემარცხენე ესერების** მოწვევას. მემარცხენე ესერებმა დაიკავეს შემდეგი თანამდებობები: **ი. შტეინბერგმა** — იუსტიციის სახალხო კომისრის, **ვ. კარელინმა** — ქონებათა სახალხო კომისრისა, **პ. პროშიანმა** — ფოსტისა და ტელეგრაფისა, **ა. კოლეგაევმა** — მიწათმოქმედებისა, **ვ. ტრუტოვსკიმ** — ადგილობრივი თვითმმართველობის სახალხო კომისრისა. 1917 წლის 8 ნოემბერს ლ. კამენევის ნაცვლად ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს **იაკობ სვერდლოვი.**

იაკობ მიხეილის ძე სვერდლოვი (1885-1919) — კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე. რსდმპ რიგებში შეიდა 1901 წელს, მონაწილეობდა 1905-1907 წლების რევოლუციაში. 1912 წელს შეიყვანეს რსდმპ ცენტრალურ კომიტეტში, ხელმძღვანელობდა ბოლშევიკურ პერიოდულ გამოცემებს. 1917 წელს იყო ურალის დეპუტატთა საბჭოს შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური მოღვაწე. 1917 წლიდანვე რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანია. იყო 1917 წლის ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთი ორგანიზატორი. ლ. კამენევის გადადგომის შემდეგ 1917 წლის 2 ნოემბერს აირჩიეს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ, იყო საბჭოთა რუსეთის კონსტიტუციის (პირველი საბჭოთა კონსტიტუციის) შემმუშავებელი კომისიის თავმჯდომარე. ი. სვერდლოვი იყო წითელი ტერორის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ნიკოლოზ II-ისა და მისი ოჯახის წევრების დახოცვის თავგამოდებული მომხრე.

იაკობ სვერდლოვი

ამრიგად, ბოლშევიკებმა მემარცხენე ესერების დახმარებით თავი დააღწიეს პირველ სამთავრობო კრიზისს.

2. **დამფუძნებელი კრების გარეკვა.** სამთავრობო კრიზისის დაძლევის მიუხედავად ხელისუფლების უზურპატორი ბოლშევიკების მდგომარეობა მაინც არ იყო მტკიცე. ბოლშევიკებს უნდა გაერკვიათ თავიანთი დამოკიდებულება **დამფუძნებელი კრებისადმი.** სწორედ დამფუძნებელ კრებაზე ამყარებდნენ დიდ იმედებს ქვეყნის პროგრესული ძალები. დამფუძნებელი კრების მხარდაჭერის მიზნით პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდნენ როგორც **ლიბერალ-დემოკრატები** (კადეტები), ისე **სოციალისტები** (სოციალ-დემოკრატი მენშევიკები, ესერები). ბოლშევიკთა ნაწილი (ვ. ლენინი, ი. სტალინი და სხვები) **დამფუძნებელ კრებას ხელისუფლებისათვის** ბრძოლაში „ბურჟუაზიის იარაღად" მიიჩნევდა. ნაწილი კი შესაძლებლად თვლიდა საბჭოებისა და დამფუძნებელი კრების მორიგებას (შერწყმას).

ვ. ლენინმა გაითვალისწინა დამფუძნებელი კრების დიდი პოპულარობა ხალხში და დათანხმდა მის მოწვევას. დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელიც ჯერ კიდევ დროებითი მთავრობის მიერ იყო დანიშნული, 1917 წლის 12 ნოემბერს ჩატარდა. არჩევნებში სოციალისტური ორიენტაციის პარტიებმა გაიმარჯვა: **ესერებს** ხმა მისცა ამომრჩეველთა 40,7%-მა, **მენშევიკებს** — 27%-მა, **ბოლშევიკებს** — 24%-მა. ბურჟუაზიულმა პარტიებმა ხმების 16,6%-შეაგროვეს. ბოლშევიკებმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს პეტროგრადში, მოსკოვსა და სხვა დიდ ქალაქებში, ასევე ჩრდილოეთ და დასავლეთ ფრონტებზე, ბალტიის ფლოტსა და ზურგში განლაგებულ სამხედრო გარნიზონებში. მიუხედავად ამისა, სოციალისტ-რევოლუციონერებმა (ესერებმა) ბოლშევიკებს დიდი უპირატესობით აჯობეს არჩევნებში. დამფუძნებელი კრების 715 წევრიდან 412 ესერი და 183 ბოლშევიკი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ დამფუძნებელი კრების წევრების 80%-ზე მეტი სოციალისტური პარტიების (ესერების, ბოლშევიკების, მენშევიკების, სახალხო სოციალისტების) წარმომადგენლები იყვნენ, ვ. ლენინი და მისი მომხრეები უპირატესობას მაინც საბჭოებს ანიჭებდნენ და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობას მიიჩნევდნენ. ვ. ლენინს აზრი ვერც მისმა თანაპარტიელების ნაწილმა, ბოლშევიკებმა ლ. კამენევმა, ა. რიკოვმა, ვ. მილიუტინმა და სხვებმა შეაცვლევინეს. 1917 წლის 3 დეკემბერს გამოქვეყნდა ვ. ლენინის მიერ დაწერილი **რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის თეზისები დამფუძნებელი კრების** შესახებ. თეზისებში დამფუძნებელი კრება ბურჟუაზიის ხელისუფლების ორგანოდ იყო გამოცხადებული, რომელიც ხალხის მასებში **„პარლამენტარიზმის ილუზიებს"** ნერგავდა. 1918 წლის 3 იანვარს, ე.ი. დამფუძნებელი კრების გახსნამდე ორი დღით ადრე **სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა** მიიღო ვ. ლენინის მიერ დაწერილი **„მშრომელი და ექსპლუატირებული ხალხების უფლებათა დეკლარაცია"**, რომლის ძალითაც რუსეთი ცხადდებოდა **მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების რესპუბლიკად.** დეკლარაცია სახელმწიფო მმართველობის ერთადერთ შესაძლებელ ფორმად დეპუტატთა საბჭოებს მიიჩნევდა. ვ. ლენინის გეგმის მიხედვით ეს დეკლარაცია დამფუძნებელ კრებას გახსნისთანავე უნდა განეხილა და დაემტკიცებინა. ეს კი დამფუძნებელი კრების თვითდაშლის ტოლფასი იქნებოდა — იგი ფუნქციადაკარგულ ორგანოდ იქცეოდა.

1918 წლის 5 იანვარს პეტროგრადში თავრიდის სასახლეში, მუშაობა დაიწყო რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ **ი. სვერდლოვმა** დამფუძნებელ კრებას წარუდგინა „მშრომელი და ექსპლუატირებული ხალხების უფლებათა დეკლარაცია",

რომელიც ხმების უმრავლესობით უარყეს. ბოლშევიკებმა სცადეს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ ესერ მ. სპირიდონოვას არჩევა, მაგრამ უშედეგოდ. თავმჯდომარედ ესერთა პარტიის ლიდერი ვ. ჩერნოვი აირჩიეს. ვ. ჩერნოვის თავმჯდომარეობით დამფუძნებელმა კრებამ გააუქმა სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობის მიერ მიღებული დეკრეტები. მაშინ ვ. ლენინის თავმჯდომარეობით სასწრაფოდ შეიკრიბა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭო, რომელმაც მიიღო დადგენილება დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ 1918 წლის 6 იანვრის დეკრეტით დაადასტურა სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა. ბოლშევიკების სამსახურში მყოფმა ანარქისტმა ა. ჟელეზნიაკოვმა ძალის გამოყენების მუქარით დამფუძნებელი კრების წევრები თავრიდის სასახლიდან გააძევა.

დამფუძნებელი კრება წარმოადგენდა რუსეთის მოსახლეობის მიერ არჩეულ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს და ამდენად, მისი გარეკვის უფლება არც სახალხო კომისართა საბჭოს და არც სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს არ ჰქონდა. ხელისუფლების უზურპატორმა ბოლშევიკებმა უხეშად გათელეს ფეხქვეშ რუსეთის მოსახლეობის ნება.

3. **საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობა.** საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში დიდი როლი შეასრულა **სრულიად რუსეთის საბჭოების III ყრილობამ** (1918 წლის 10-18 იანვარი). ბოლშევიკები ცდილობდნენ საბჭოების ყრილობისათვის დამფუძნებელი კრების მნიშვნელობის მინიჭებას. მენშევიკებთან და მემარცხენე ესერებთან მწვავე პოლემიკის მიუხედავად ბოლშევიკებმა მიაღწიეს იმას, რომ საბჭოების III ყრილობამ მიიღო დადგენილება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების გლეხთა დეპუტატთა საბჭოებთან შერწყმის შესახებ. ასე შეიქმნა **საბჭოების ერთიანი სისტემა.** საბჭოების გაერთიანება იმის მაუწყებელი იყო, რომ ხელისუფლების სოციალური ბაზა გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხარჯზე მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობამ, გარდა **„მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხების უფლებათა დეკლარაციისა“**, მიიღო რეზოლუცია **„რუსეთის რესპუბლიკის ფედერალური დაწესებულებების შესახებ“.** ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია მიენიჭა **სრულიად რუსეთის დეპუტატთა საბჭოების ყრილობას,** ხოლო ყრილობიდან ყრილობამდე — **სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს (სრცაკს),** რომელსაც საბჭოების ყრილობა ირჩევდა. რუსეთის ფედერაციის მთავრობას ეწოდებოდა **სახალხო კომისართა საბჭო (სახკომსაბჭო).**

სრულიად რუსეთის საბჭოების III ყრილობამ აირჩია სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი 306 კაცის შემადგენლობით, რომელთა შორის 160 ბოლშევიკი, 12 მემარცხენე ესერი, 7 მემარჯვენე ესერი, 7 მაქსიმალისტი, 3 ანარქისტ-კომუნისტი, 2 მენშევიკი-ობორონცი და 2 მენშევიკი-ინტერნაციონალისტი იყო.

აღმასრულებელი ხელისუფლების (სახკომსაბჭოს) ცენტრალურ აპარატსა და ცალკეულ სახალხო კომისარიატებში, ასევე მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში, საერთოდ, ყველა დონის ადმინისტრაციულ თუ სამეურნეო თანამდებობებზე, დაიწყო სრულიად შემთხვევითი ადამიანების, ე.წ. **„ვიდვიჟენცების“** დანიშვნა. სახელმწიფო მოხელის დაწინაურებისას გადამწყვეტი როლი ენიჭებოდა მის პოლიტიკურ მრწამსს და არა განათლებას და პროფესიულ შესაძლებლობებს. მთელი ქვეყანა იმართებოდა დევიზით: „ყველა მზარეულს შეუძლია მართოს სახელმწიფო“.

4. **მრეწველობის მართვის ორგანიზება.** ფაბრიკებისა და ქარხნების მართვა საბჭოთა ხელისუფლებას თავდაპირველად არ შეეძლო. ამიტომ გადაწყდა ფაბრიკა-ქარხნების მართვაში მონაწილეობის მისაღებად (ფაქტობრივად, ძველი ადმინისტრაციული აპარატის კონტროლის მიზნით) შეექმნათ **მუშათა მაკონტროლებელი ორგანოები.** 1917 წლის 14 ნოემბერს მიიღეს დეკრეტი „მუშათა კონტროლის დებულების“ დამტკიცების შესახებ. დეკრეტის ძალით მუშათა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს უფლება მიეცათ ჩარეულიყვნენ ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობაში.

საბჭოთა ხელისუფლება დაუყოვნებლივ შეუდგა ფაბრიკებისა და ქარხნების **ნაციონალიზაციას** (სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემას). 1917 წლის ნოემბრიდან 1918 წლის მარტამდე ძალდატანების გზით მოხდა ძირითადი სამრეწველო სიმძლავრეების მნიშვნელოვანი ნაწილის ნაციონალიზაცია. 1917 წლის დეკემბრიდან დაიწყო კერძო ბანკების ნაციონალიზაცია. 1918 წლის აპრილში განხორციელდა

საგარეო ვაჭრობის **მონოპოლიზაცია** სახელმწიფოს მიერ. ნაციონალიზებული მრეწველობის მართვის **მიზნით** 1917 წლის 1 დეკემბერს **შეიქმნა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო**. მალე შეიქმნა საოლქო, საგუბერნიო და სამაზრო სახალხო მეურნეობის საბჭოები.

1918 წლის გაზაფხულისათვის ბურჟუაზიის წინააღმდეგობა უკვე გატყდა. ამასთან ერთად, სახელმწიფო ორგანოებმა დააგროვეს მრეწველობის მართვის გარკვეული გამოცდილება. მუშათა აქტიური მონაწილეობა ფაბრიკა-ქარხნების მართვაში უკვე საჭირო აღარ იყო.

1918 წლის ზაფხულიდან დაიწყო **ნაციონალიზაციის მეორე ეტაპი**. 1918 წლის 28 ივნისს მძიმე მრეწველობის უმთავრესი დარგების ნაციონალიზაცია მოხდა. სულ 11000 სააქციო საზოგადოება გადაიდა სახელმწიფო საკუთრებაში. კერძო მფლობელთა ხელში დარჩა წვრილი წარმოება და საშუალო სიმძლავრის საწარმოების ნაწილი.

ნაციონალიზებული საწარმოების მართვა საბჭოთა ხელისუფლებამ ვერ შეძლო. 1918 წლის ბოლოსათვის ნაციონალიზებული საწარმოების დიდი ნაწილი დაიხურა, რასაც მუშათა გაფიცვები მოჰყვა.

5. **აგრარული პოლიტიკის განხორციელების დასაწყისი**. საბჭოების II ყრილობის მიერ მიღებული **დეკრეტი მიწის შესახებ** ესერების აგრარული პროგრამის მიხედვით იყო შედგენილი. ამ შემთხვევაში ვ. ლენინმა და ბოლშევიკებმა ესერებს კი არ დაუთმეს, არამედ გლეხობას. ბოლშევიკებმა იცოდნენ, რომ გლეხობაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ესერთა აგრარული პროგრამა. ბოლშევიკებს სულაც არ მოსწონდათ, რომ გლეხები ესერების გავლენით მიწითსარგებლობის უფლების გათანაბრებას მოითხოვდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, ხელს აძლევდათ გლეხობის ბრძოლა მსხვილი მიწათმფლობელობის (მემამულური, საეკლესიო, საუფლისწულო და ა.შ.) წინააღმდეგ.

საბჭოების II ყრილობის მიერ მიწის შესახებ მიღებულ დეკრეტში ბევრი საკითხი ღიად იყო დატოვებული. 1918 წლის 19 თებერვალს სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო **„კანონი მიწის სოციალიზაციის შესახებ“**. კანონის ძალით, მიწა უნდა მიეღო მხოლოდ მას, ვინც საკუთარი შრომით ამუშავებდა მიწას. **„დეკრეტი მიწის შესახებ“ და „კანონი მიწის სოციალიზაციის შესახებ“ მიწას სახელმწიფო საკუთრებად აცხადებდა, გლეხობა მიწის მფლობელი არ იყო, მიწა მას სარგებლობის (გამოყენების) უფლებით ჰქონდა გადაცემული.**

ზემოთ ხსენებული დეკრეტისა და კანონის ძალით რუსეთში გლეხობას გადაეცა დაახლოებით 17,2 მილიონი დესეტინა მიწა. ამ რაოდენობის მიწა სანახევროდაც კი ვერ აკმაყოფილებდა გლეხობის მოთხოვნებს.

6. **სასურსათო დიქტატურა**. ვ. ლენინი ვარაუდობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე თვეებში ჩამოყალიბდებოდა მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე კავშირი. სინამდვილეში მოხდა პირიქით. სულ უფრო მზარდი ინფლაციის, სამრეწველო პროდუქციაზე ფასების არნახული ზრდისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის სიიაფის პირობებში გლეხობამ არ ისურვა ქალაქის პურით მომარაგება. ბრესტ-ლიტოვსკის ზავით (1918 წლის 3 მარტი) რუსეთმა დაკარგა ისეთი სასოფლო-სამეურნეო რეგიონები, სადაც დიდი რაოდენობით მოდიოდა პური. ეს ცხადია, მომავალში გაუარესებდა ქალაქის მოსახლეობისა და არმიის პურით მომარაგების საქმეს. 1918 წლის თებერვალ-მარტში სამრეწველო რეგიონები საჭირო პურის მხოლოდ 12,3%-ს იღებდნენ. მუშისათვის განკუთვნილი პურის დღიური ნორმა 50-100 გრამს უდრიდა. ასეთ ვითარებაში **საბჭოთა რეჟიმისათვის ყველაზე დიდ საშიშროებას ქალაქად დაწყებული შიმშილი წარმოადგენდა**.

მდგომარეობის ხსნა საბჭოთა ხელისუფლებამ გლეხობის შევიწროებასა და **სასურსათო დიქტატურის** შემოღებაში დაინახა. კერძოდ, გადაწყდა, რომ გლეხობისათვის პური ძალის გამოყენებით ჩამოერთმიათ. 1918 წლის 9 მაისისა და 27 მაისის დეკრეტების ძალით ქვეყანაში დამყარდა სასურსათო დიქტატურა. **მუშათა შეიარაღებული რაზმები გლეხობისათვის პურის ჩამორთმევას შეუდგნენ**. ამავე დროს, საბჭოთა ხელისუფლება გლეხობაში განხეთქილების შეტანასა და უღარიბესი გლეხობის სახით სოფლად დასაყრდენის შექმნას შეეცადა. 1918 წლის 11 ივნისის დეკრეტით სოფლად შეიქმნა **ღარიბთა კომიტეტები (ღარიბკომები)**. ღარიბკომები მუშათა რაზმებს გლეხობისათვის პურის ჩამორთმევაში ეხმარებოდნენ. ამავე დროს, ღარიბკომები აქტიურად მონაწილეობდნენ სოფლად მიწის გადანაწილებაში. ღარიბკომებმა კულაკებს (მდიდარ გლეხებს) დაახლოებით 50 მილიონი დესეტინა მიწა ჩამართვეს და უღარიბეს გლეხთა შორის გადაანაწილეს.

1918 წლის სექტემბერში მუშათა სასურსათო რაზმებმა პეტროგრადსა და მოსკოვში

შეიტანეს 7,5 მილიონ ფუთზე მეტი პური. მიუხედავად ამისა, **სასურსათო დიქტატურამ ვერ გადაჭრა პურით მომარაგების პრობლემა.** ქალაქის მოსახლეობა, სახელმწიფო განაწილების გზით, მოხმარებული პურის 40%-ს ღებულობდა, დანარჩენ 60%-ს იგი შავ ბაზარზე მოვაჭრეებისაგან ყიდულობდა სპეკულაციურ ფასებში.

7. **მემარცხენე ესერთა აჯანყება.** ბოლშევიკებსა და მემარცხენე ესერებს შორის იმთავითვე შექმნილი დაპირისპირება სულ უფრო ღრმავდებოდა. პირველი სერიოზული უთანხმოება კოალიციურ მთავრობაში ბრესტ-ლიტოვსკის ზავმა (1918 წლის 3 მარტი) გამოიწვია. მემარცხენე ესერები ზავის მძიმე პირობებით გამოწვეულ აღშფოთებას ვერ მალავდნენ და დამამცირებელი ზავის დადების წინააღმდეგნი იყვნენ. კოალიციურ მთავრობაში მეორე სერიოზული უთანხმოება სასურსათო დიქტატურამ გამოიწვია. ამ შემთხვევაში მემარცხენე ესერებმა რადიკალურ ზომებს მიმართეს — მოსკოვში შეიარაღებული აჯანყება მოაწყვეს.

1918 წლის 6 ივლისს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თანამშრომლებმა, მემარცხენე ესერებმა **ი. ბლიუმკინმა** და **ნ. ანდრეევმა** ყალბი დოკუმენტების საშუალებით შეაღწიეს გერმანიის საელჩოში და მოკლეს ელჩი **მირბახი.** ტერორისტებმა თავი შეაფარეს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის რაზმს, რომელსაც მემარცხენე ესერი **პოპოვი** მეთაურობდა. ი. ბლიუმკინის დაპატიმრების მიზნით სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე **ფ. ძერჟინსკი** პოპოვის რაზმში გამოცხადდა, მაგრამ თავად აღმოჩნდა აჯანყებულთა ტყვეობაში. ამ დღეს მოსკოვში მიმდინარეობდა **სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობა.** ბოლშევიკებმა სასწრაფოდ დააპატიმრეს ყრილობაზე მყოფი მემარცხენე ესერთა ფრაქცია, ხოლო ფრაქციის ლიდერი **მარია სპირიდონოვა** მძევლად აიყვანეს. მემარცხენე ესერმა, ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრმა **პ. პროშიანმა** მთელ რუსეთში დაგზავნა ტელეგრამები, რომელიც გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოუწოდებდა მოსახლეობას.

მემარცხენე ესერებმა ფაქტობრივად მოუმზადებელი აჯანყების დაწყებით ბოლშევიკებს რეპრესიების ჩატარების კარგი საბაბი მისცეს. პოპოვის რაზმის წინააღმდეგ, რომელიც 600 კაცს ითვლიდა, 4 ათასი ლატვიელი მსროლელი გამოიყვანეს. 1918 წლის 7 ივლისს დაიწყო აჯანყებულებზე შეტევა. როგორც კი ლატვიელმა მსროლელებმა არტილერია გამოიყენეს, პოპოვის რაზმმა წინააღმდეგობა შეწყვიტა. დაიწყო დაპატიმრებები. პოპოვის რაზმის ნაწილმა მიმალვა მოახერხა. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, მემარცხენე ესერი **ალექსანდროვიჩი** და აჯანყების 12 რიგითი მონაწილე დახვრიტეს.

იაკობ ბლიუმკინი

მოსკოვში მემარცხენე ესერთა აჯანყების ჩახშობიდან სამი დღის შემდეგ აჯანყება დაიწყო აღმოსავლეთის ფრონტის სარდალმა მემარცხენე ესერმა **მ. მურავიოვმა.** აჯანყებულ სარდალს ქალაქ **სიმბირსკში,** სადაც ფრონტის შტაბი იმყოფებოდა, სულ 1000 ჯარისკაცი უჭერდა მხარს. მ. მურავიოვი ჯარებს გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა. ამავე დროს, მ. მურავიოვს სურდა **„ეოლგისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკის"** შექმნა, რომლის სათავეშიც მხოლოდ მემარცხენე ესერები იქნებოდნენ. სიმბირსკის გუბერნიის ხელისუფლებამ მ. მურავიოვი მოლაპარაკებაზე მიიწვია, სადაც იგი ერგულად მოკლეს. ლატვიელმა მსროლელებმა მ. მურავიოვის რაზმი განაიარაღეს.

მემარცხენე ესერების აჯანყებამ მოსკოვსა და სიმბირსკში ვ. ლენინს საშუალება მისცა ბოლშევიკებისა და მემარცხენე ესერების **კოალიციური** მთავრობა **ერთპარტიული** (ბოლშე-

პირველი საბჭოთა კონსტიტუცია

ვიკური) მთავრობით შეეცვალა. რუსეთში ერთ-პარტიული მმართველობა დამყარდა.

8. **პირველი საბჭოთა კონსტიტუცია.** სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობამ 1918 წლის 10 ივლისს მიიღო **საბჭოთა რუსეთის კონსტიტუცია** (პირველი საბჭოთა კონსტიტუცია). კონსტიტუციას საფუძვლად დაედო „მშრომელი და ექსპლუატირებული ხალხების უფლებათა დეკლარაცია". კონსტიტუცია აღიარებდა სამ პრინციპს: 1) პროლეტარიატის დიქტატურას; 2) საზოგადოებრივი საკუთრების არსებობას; 3) რუსეთის ფედერაციულ მოწყობას, ფედერაციაში შემავალი ხალხებისათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭებას.

პირველ საბჭოთა კონსტიტუციაში უარყოფილი იყო ხელისუფლების დაყოფის **პრინციპი. აღმასრულებელი და განმკარგულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდათ საბჭოებს, რომლებიც ვერტიკალური დაქვემდებარების პრინციპით** მოქმედებდნენ. ეს ხელს უწყობდა უმკაცრესი ცენტრალიზებული ხელისუფლების ჩამოყალიბებას.

კონსტიტუციაში არაფერი იყო ნათქვამი საბჭოთა სახელმწიფოში რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) როლის შესახებ, მაგრამ ფაქტობრივად **რუსეთში კომუნისტური (ბოლშევიკური) დიქტატურა არსებობდა.**

კონსტიტუციის მიხედვით, სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობაზე, ერთ დელეგატს ირჩევდა 25 ათასი მუშა, მაშინ როცა 125 ათასი გლეხი ასევე ერთ დელეგატს ირჩევდა. ეს, ცხადია, უზრუნველყოფდა მუშათა კლასის უპირატესობას უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, მაშინ როდესაც გლეხობა ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდა. ვ. ლენინს ეშინოდა, გლეხობას უპირატესობა არ მიეღო საბჭოების ყრილობაზე. სწორედ ამიტომ იყო, რომ **კონსტიტუცია ხელოვნურად არეგულირებდა ყრილობის სოციალურ შემადგენლობას.** მემამულეებს, ბურჟუაზიას, კულაკებს, მეფის არმიის ოფიცრებს, ჟანდარმერიის ოფიცრებს, ძველი რეჟიმის ჩინოვნიკებს, სამღვდელოებას ხმის უფლება საერთოდ ჩამორთმეული ჰქონდათ.

1918 წლის საბჭოთა რუსეთის კონსტიტუციამ (პირველმა საბჭოთა კონსტიტუციამ) დაკანონა პროლეტარიატის დიქტატურის არსებობა, განსაზღვრა ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური წყობა.

§ 2. სამოქალაქო ომის ფრონტები (1918-1920 წწ.)

1. **წითელი არმიის შექმნა.** პირველი მსოფლიო ომის წლებში რუსეთის იმპერიის არმია, ისევე როგორც სხვა იმპერიის არმიები, დაიშალა. ომისაგან განაწამები, პოლიტიკურ ბრძოლაში ჩართული არმია გაიხრწნა, მოიშალა დისციპლინა, დაეცა ოფიცერთა ავტორიტეტი, შეირყა არმიის არსებობის უმთავრესი პრინციპი — უსიტყვო მორჩილება. **სამხედრო ნაწილებში (ასეულში, ბატალიონში, პოლკში, დივიზიაში, არმიაში) და ფრონტებზე, ასევე სამხედრო**



რსფსრ-ს დროშა

ფლოტში შექმნილმა ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოებმა არმიას საბოლოოდ დაკარგვინა თავისი უმთავრესი ფუნქცია — **სახელმწიფოს** დაცვა გარეშე ძალის ხელყოფისაგან. ურთულესი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება აუცილებლად მოითხოვდა ახალი არმიის შექმნას. ახალი არმია ისტორიაში შევიდა წითელი არმიის სახელწოდებით.

1918 წლის თებერვალში გერმანიის არმიის შეტევას საბჭოთა რუსეთის არმიამ თითქმის ვერსად ვერ გაუწია სერიოზული წინააღმდეგობა. შექმნილი კატასტროფული ვითარება ბოლშევიკების წინაშე მთელი სიმწვავით აყენებდა ახალი არმიის შექმნის აუცილებლობას. საბჭოთა რუსეთის რეგულარული არმიის შექმნის საქმეს სათავეში ჩაუდგა **ლევ ტროცკი**. ვ. ლენინის წინააღმდეგობის მიუხედავად, ლ. ტროცკიმ მიაღწია იმას, რომ ახალი არმიის მშენებლობის მიზნით შეიქმნა საგანგებო ორგანო — **უმაღლესი სამხედრო საბჭო**, რომელიც დაკომპლექტდა რუსეთის იმპერიის უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის გენერლებისაგან. საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა გენერალი **ნ. ბონჩ-ბრუევიჩი**, რომელიც მანამდე უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის შტაბის უფროსის მოვალეობას ასრულებდა. რუსეთის იმპერიის ბევრი გენერალი და უფროსი ოფიცერი აქტიურად ჩაება ახალი არმიის მშენებლობის საქმეში. წითელ არმიაში სხვადასხვა პასუხისმგებელ თანამდებობებზე დაინიშნენ: **ი. ვაცეტისი**, **ს. კამენევი**, **ა. ბრუსილოვი**, **ე. სნესარევი**, **ვ. ალტფატერი** და სხვ. 1919 წლის დამდეგისათვის წითელი არმიის მაღალი თანამდებობების ნახევარზე მეტი რუსეთის იმპერიის არმიის გენერლებსა და ოფიცრებს ეკავათ. ფაქტობრივად, მათ აწვათ მხრებზე ახალი არმიის შექმნის მთელი სიმძიმე, ისინი ედგნენ სათავეში სამოქალაქო ომის ფრონტებზე მოქმედ წითელი არმიის პოლკებს, დივიზიებსა და არმიებს.

რსფსრ-ს ღერბი. 1918 წ.

იოაკიმ იოაკიმის ძე ვაცეტისი (1873-1938) დაიბადა ლატვიაში, გლეხის ოჯახში. პროფესიით სამხედრო ექიმი იყო, დამთავრებული ჰქონდა კიევის სამხედრო სასწავლებელი და ნიკოლოზის სამხედრო აკადემია. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, მეთაურობდა პოლკს, ჰქონდა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება. 1917 წლის ოქტომბრის კონტრრევოლუციური სამხედრო გადატრიალებისთანავე თავის პოლკთან ერთად გადავიდა ბოლშევიკების მხარეზე. ეკავა სხვადასხვა ხელმძღვანელი თანამდებობა. 1918 წლის ზაფხულიდან იყო ლატვიელ მსროლელთა დივიზიის მეთაური (ეს დივიზია ცნობილი იყო მკაცრი დისციპლინითა და მოწინააღმდეგისადმი მხეცური მოპყრობით). მისი მეთაურობით ლატვიელ მსროლელთა დივიზია სისტემატურად იგზავნებოდა ფრონტის სხვადასხვა უბანზე დაწყებული მღელვარებისა და გამოსვლების ჩასახშობად. ი. ვაცეტისის მეთაურობით ლატვიელთა დივიზიამ სისხლში ჩახშო მემარცხენე ესერთა გამოსვლა მოსკოვში 1918 წლის ივლისში. ლატვიელი მსროლელები სასტიკად გაუსწორდნენ აღმოსავლეთის ფრონტის სარდლის, მემარცხენე ესერის მ. მურავიოვის მომხრეებს, რომელთაც მხარი დაუჭირეს მოსკოვში დაწყებულ მემარცხენე ესერთა გამოსვლას. ი. ვაცეტისი, მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს კომუნისტურ (ბოლშევიკურ) პარტიაში არ შესულა, გამორჩეული ერთგულებისათვის დაწინაურეს და 1918 წლის ივლისში აღმოსავლეთის ფრონტის სარდლად დანიშნეს. 1918 წლის 4 სექტემბრიდან 1919 წლის 8 ივლისამდე ი. ვაცეტისი იყო რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი (იმავდროულად 1919 წლის იანვრიდან მაისამდე იყო საბჭოთა ლიტვის არმიის სარდალიც), აქტიურად მონაწილეობდა წითელი არმიის შექმნაში და სამხედრო სპეციალისტების მომზადებაში. 1922 წლიდან იყო წითელი არმიის სამხედრო აკადემიის პროფესორი. 1937 წელს დააპატიმრეს ლატვიელთა ფაშისტურ ორგანიზაციასთან თანამშრომლობისათვის. მიებრალს ი. ვაცეტისმა დასახელა ლატვიელთა ფაშისტური ორგანიზაციის 20 წევრის ვინაობა, ყველა ისინი დააპატიმრეს. ი. ვაცეტისი გასამართლეს და 1938 წლის 28 ივლისს დახვრიტეს. 1957 წლიდან რეაბილიტირებულია.

სერგეი სერგეის ძე კამენევი (1881-1936) — ცნობილი მხედართმთავარი. დაიბადა სამხედრო ინჟინრის ოჯახში, დამთავრა ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელი და ნიკოლოზის სამხედრო აკადემია. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, ჰქონდა პოლკოვნიკის წოდება. 1917 წლის თებერ-

ვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ მხარს უჭერდა დროებით მთავრობას. 1917 წლის ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დაინიშნა მე-3 არმიის სარდლად, ძველი არმიის ოფიცერთაგან იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც მხარი დაუჭირა ბოლშევიკებს, 1918 წლის შუიდა წითელ არმიაში, მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. ლ. ტროცკის მხარდაჭერით 1918 წლის სექტემბერში დაინიშნა აღმოსავლეთის ფრონტის სარდლად. ამ მოვალეობას ასრულებდა 1919 წლის ივლისამდე. მისი სარდლობით წითელმა არმიამ 1918-1919 წლებში გაათავისუფლა ეოლგისპირეთი და ურალი. 1919 წლის ივლისში დაინიშნა რუსეთის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად. არ იყო პრინციპული, ანგარიშს უწევდა პოლიტიკურ კონიუნქტურას, ხშირად რკ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და სამხედრო-რევოლუციური საბჭოს დაწოლით არასწორ სამხედრო-სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს იღებდა, რაც ათასობით ჯარისკაცისა და ოფიცრის სიცოცხლეს იწირავდა. 1920 წლის შუადღინა პოლონეთის წინააღმდეგ შეტევის გეგმა, მაგრამ მოწინააღმდეგის ძალთა შეუფასებლობისა და მაღალი თანამდებობის პოლიტიკურ მოღვაწეთა და სამხედროთა წინააღმდეგობის გამო ვერ განახორციელა. 1925 წელს დაინიშნა წითელი არმიის მთავარ ინსპექტორად, ხოლო 1926 წელს – წითელი არმიის მთავარი სამმართველოს უფროსად, იმავდროულად მუშაობდა მ. ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიაში.

სერგეი კამენევი

1927 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ და სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარედ. 1934 წელს დაკავებულ და პრაქტიკულად ჩამოაცილეს წითელი არმიის ხელმძღვანელობას, გარდაიცვალა 1936 წელს. სამხედრო პატიოვით დარძალეს მოსკოვში, კრემლის კედელთან. სიკვდილის შემდეგ ბრალი დადეს სხვა სამხედროებთან ერთად ფაშისტური შეთქმულების მონწყობაში. მოგვიანებით მოხდა მისი რეაბილიტაცია.

ახალი რეგულარული არმიის შექმნის საკითხმა ბოლშევიკებს შორის უთანხმოება გამოიწვია. ნ. კრილენკო, ნ. პოდვოისკი, ჰ. დიბენკო და სხვები თვლიდნენ, რომ რუსეთის იმპერიის არმიის გენერლები წითელ არმიაში ძველ წესებს აღადგენდნენ. ვ. ლენინმა ლ. ტროცკის დაუჭირა მხარი. მალე ლ. ტროცკი სამხედრო საქმეთა კომისარი გახდა. **სისასტიკემდე მისული სიმკაცრით ლ. ტროცკიმ შეუძლებელი შეძლო.** 1918 წლის მარტიდან სექტემბრამდე წითელი არმიის დაკომპლექტების ნებაყოფლობითი პრინციპი თანდათან შეიცვალა სამხედრო ვალდებულების პრინციპით. მეთაურთა თანამდებობები დატოვეს შემთხვევით დაწინაურებულმა პირებმა და მათი ადგილი დაიკავეს სამხედრო სპეციალისტებმა, ამაღლდა სამხედრო დისციპლინა. 1918 წლის სექტემბერში შემოიღეს **საყოველთაო სამხედრო ვალდებულება.** ამ პერიოდისათვის საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალები ითვლიდა 6 არმიასა და 54 დივიზიას, ხოლო ფრონტსა და ზურგში განლაგებული ჯარების რაოდენობა დაახლოებით 450 ათასს აღწევდა.

2. სამოქალაქო ომის დასაწყისი. 1918 წელს საბჭოთა რუსეთი სამოქალაქო ომის ფრონტების რკალში აღმოჩნდა. ამ დროისათვის ქვეყანაში სამი პოლიტიკური ძალა იყო გამოკვეთილი: **პირველი.** ბოლშევიკების წინამძღოლობით დარაზმული მუშათა კლასი და უღარიბესი გლეხობა; **მეორე.** დამხობილი კლასები (მემამულეები და ბურჟუაზია) და მათი მხარდამჭერი სოციალური ჯგუფები (ოფიცრობა, ყოფილი ჩინოვნიკები, კაზაკობის დიდი ნაწილი, სამღვდელოება და სხვ.); **მესამე.** მოსახლეობის დიდი სოციალური ფენა, ე.წ. „წვრილი ბურჟუაზია" (სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც წვრილ საკუთრებას ფლობდა). ამ სამი პოლიტიკური ძალიდან პირველი ორი საბჭოთა წყობილებას არასდროს შეურიგდებოდა, მესამე ძალა კი თავისი სოციალური ბუნებით მერყეევი იყო და საკუთარ პოლიტიკურ ორიენტაციას სამოქალაქო ომის

ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე განსაზღვრავდა.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ გლეხობის შევიწროებამ, განსაკუთრებით კი სასურსათო დიქტატურის შემოღებამ, რუსეთის მთელ რიგ რეგიონებში გლეხობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. **გლეხობა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას დამფუძნებელი კრების მოწვევის მოთხოვნით** წარმართავდა. 1918 წლის ზაფხულში რუსეთის რამდენიმე რეგიონში საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შემდეგ შეიქმნა სოციალისტური ორიენტაციის კოალიციური მთავრობები. ეს მთავრობები გაემიჯნენ როგორც ბოლშევიკურ რადიკალიზმს, ისე მონარქისტულ და სხვა უკიდურესად მემარჯვენე ძალებს და **რუსეთის დემოკრატიული განახლება** დაისახეს მიზნად. 1918 წლის მაისიდან ნოემბრამდე ბოლშევიკებს დემოკრატიის აღდგენის ლოზუნგით აქტიურად ებრძოდნენ მენშევიკები და ესერები.

რუსეთის დემოკრატიული განახლებისათვის მებრძოლი ძალების გაერთიანებას ხელი შეუწყო 1918 წლის მაისში დაწყებულმა **ჩეხოსლოვაკთა კორპუსის** აჯანყებამ. 1918 წლის დამდეგისათვის რუსეთში ტყვედ იმყოფებოდა ავსტრია-უნგრეთის არმიის რიგებში მებრძოლი დაახლოებით 200 ათასი **ჩეხი** და **სლოვაკი**. ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვალ-მარტის რეკოლუციამდე ჩეხი და სლოვაკი ტყვე ჯარისკაცებისა და ოფიცრებისაგან გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა 50-ათასიანი კორპუსი. ბრესტ-ლიტოვსკის ზავის (1918 წლის 3 მარტი) თანახმად ჩეხოსლოვაკთა კორპუსი უნდა განეიარაღებინათ და დაეშალათ. ამან ჩეხი და სლოვაკი ოფიცრებისა და ჯარისკაცების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მას შემდეგ, რაც ჩეხოსლოვაკთა კორპუსმა გერმანიის არმიის შეტევის შემდეგ უკრაინა დატოვა, საბჭოთა რუსეთის მთავრობა დათანხმდა **ვლადივოსტოკის** ნავსადგურიდან კორპუსის საფრანგეთში ევაკუაციას. ვლადივოსტოკისაკენ რკინიგზით მიმავალ ჩეხებსა და სლოვაკებს იარაღი უნდა ჩაბარებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭოთა მთავრობა მათ დახვრეტით ემუქრებოდა. მიუხედავად ამისა, კორპუსის ოფიცრებისა და ჯარისკაცების მნიშვნელოვანმა ნაწილმა იარაღი არ ჩაბარა.

ჩეხოსლოვაკთა კორპუსის აჯანყებას მხარს უჭერდა **ანტანტა**. აჯანყებულებმა სწრაფად დაიკავეს რკინიგზის მაგისტრალი **ჩელიაბინსკიდან სამარამდე**. აჯანყებას ვოლგისპირეთსა და ციმბირში საბჭოთა ხელისუფლების დამხობა მოჰყვა. ამ ვრცელ ტერიტორიაზე ესერების ხელმძღვანელობით შეიქმნა ორი მთავრობა. პირველი მათგანი ქალაქ **სამარაში** შეიქმნა და მას **დამფუძნებელი კრების წევრთა კომიტეტი** ეწოდებოდა (იგი ისტორიაში სამარის მთავრობის სახელწოდებითაც არის ცნობილი). მეორე — **ციმბირის მთავრობა** — ქალაქ **ომსკში** შეიქმნა. სამარისა და ციმბირის მთავრობები ბევრ მნიშვნელოვან საკითხში არ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს, თუმცა ეს მათ ბოლშევიკთა წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში ხელს არ უშლიდა.

სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ, 1918 წლის ივლისში **ეკატერინბურგში (სვერდლოვსკში)** საბჭოთა რუსეთის მთავრობის განკარგულების საფუძველზე დახვრიტეს ნიკოლოზ II და მისი ოჯახის წევრები.

რომანოვების დინასტიის აღსასრული. 1917 წლის 8 მარტიდან ნიკოლოზ II და მისი ოჯახი ცარსკოე სელოში იმყოფებოდა გაძლიერებული დაცვის ქვეშ. 1917 წლის ზაფხულში, ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების დაძაბვის პირობებში, გამორიცხული არ იყო ვინმეს მიერ პროვოცირებულ ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს ნიკოლოზ II და მისი ოჯახის წევრები დაეხოცათ. დროებითი მთავრობის თავმჯდომარემ ალექსანდრე კერენსკიმ, რომელსაც არავითარი სიძულვილი არ გააჩნდა რომანოვების ოჯახის მიმართ, მაინც გადაწყვიტა ნიკოლოზ II და მისი ოჯახის წევრები პეტროგრადიდან სადმე შორს, შედარებით მყუდრო ადგილას გადაეყვანა. 1917 წლის ივლისის ბოლოს გადაწყდა, რომ რომანოვების ოჯახს ციმბირში, ქალაქ ტობოლსკში გადაიყვანდნენ. 1917 წლის აგვისტოს დამდეგს სოციალური მტარვალი, რომლითაც ნიკოლოზ II და მისი ოჯახის წევრები უნდა გადაეყვანათ, ცარსკოე სელოდან გავიდა. მტარვალში ნიკოლოზ II-ის, მისი მეუღლისა და შვილების გარდა კიდევ იმყოფებოდა 30 მსახური და ჯარისკაცთა სამი ასეული. გადასვლა საიდუმლო ვითარებაში ხდებოდა, რის გამოც მტარვალეს გაუკეთეს წარწერა: „ალბინის წითელი ჯვრის მისია“. 4 აგვისტოს მტარვალმა ქალაქ ტიუმენს მიაღწია. ტიუმენიდან ტობოლსკამდე გემით იმგზავრეს. ტობოლსკში რომანოვები გუბერნატორის სახლში ცხოვრობდნენ. ტობოლსკში მოუსწრო ნიკოლოზ II-ს 1917 წლის ოქტომბრის კონტრრევოლუციურმა სახელმწიფო გადატრიალებამ. გადატრიალების შემდეგ დამოკიდებულება ყოფილი იმპერატორისა და მისი ოჯახის წევრებისადმი აშკარად ავრცელდა. გუბერნატორის სახლის დაცვა უხეშად ეპყრობოდა რომანოვებს, ფერხდებოდა დროებითი მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხის მიღება. 1918 წლის 1 მარტიდან ნიკოლოზ II და მისი ოჯახის წევრები ჯარისკაცის ულუფაზე გადაიყვანეს, რაციონიდან ამოიღეს რძე. ნიკოლოზ

II იძულებული გახდა ყველა მსახური დათხოვა. 1918 წლის აპრილში საბჭოთა რუსეთის მთავრობის განკარგულებით გადაწყდა ნიკოლოზ II-ისა და მისი ოჯახის წევრების მოსკოვში გადაყვანა. ვ. ლენინს ჩაფიქრებული ჰქონდა ნიკოლოზ II-ისა და მისი მეუღლის ალექსანდრას საჯარო გასამართლება და სიკვდილით დასჯა. ამ დროისათვის ნიკოლოზ II-ის ვაჟი ალექსი მძიმედ იყო ავად. ალექსი თავის სამ დასთან ერთად ტობოლსკში დარჩა, ხოლო ნიკოლოზ II, მისი მეუღლე ალექსანდრა და ერთი ქალიშვილი მოსკოვისაკენ გაემგზავრნენ. ტიუმენში რომანოვები სპეციალურ მატარებელში ჩასვეს. გადაწყდა მოსკოვისაკენ ომსკი-ჩელიაბინსკი-უფა-სამარის გზით წასულიყვნენ, რათა გვერდი აეცილოთ ეკატერინბურგისათვის (სვერდლოვსკისათვის). წინასწარვე იყო ცნობილი, რომ ურალის საოლქო დეპუტატთა საბჭო, რომელიც ეკატერინბურგში მუშაობდა, წინააღმდეგი იყო რომანოვების მოსკოვში გადაყვანისა და მის ადგილზე გასამართლებას ითხოვდა (ურალის საოლქო დეპუტატთა საბჭოსათვის ცნობილი არ იყო ვ. ლენინის მზაკვრული ჩანაფიქრი მოსკოვში რომანოვების საჯარო გასამართლებისა და დასჯის შესახებ). როგორც კი ნიკოლოზ II-ისა და მისი ოჯახის წევრების მოსკოვისაკენ გამგზავრების ამბავი შეიტყო, ურალის საოლქო დეპუტატთა საბჭოს მიერ გაგზავნილმა ჯარისკაცების რაზმმა მატარებელი ომსკში გააჩერა, ასეთ ვითარებაში ვ. ლენინმა მიიღო გადაწყვეტილება რომანოვების ოჯახის ურალის საოლქო დეპუტატთა საბჭოსათვის გადაცემის შესახებ. ეს გადაწყვეტილება ომსკში საბჭოთა რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ი. სვერდლოვმა გადასცა. ეკატერინბურგში ნიკოლოზ II, მისი მეუღლე ალექსანდრა და ქალიშვილი მარია ვაჭარი იატევის სახლში მოთავსეს და გაძლიერებული დაცვა მიუჩინეს. 1918 წლის მაისის შუა რიცხვებში ეკატერინბურგში გადაიყვანეს ნიკოლოზ II-ის ვაჟი ალექსი და სამი ქალიშვილი.

წითელი არმიის შესვლა ყაზანში. 1918 წ.

მოსკოვში გადაწყდა, რომ შექმნილ ვითარებაში უმჯობესი იყო ნიკოლოზ II და მისი ოჯახის წევრები ეკატერინბურგშივე დაეხოცათ. 1918 წლის 4 იულისს ურალის საოლქო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ძველი შემადგენლობა გადააყენეს. ახალ აღმასრულებელ კომიტეტში შევიდა 10 წევრი — ყველა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თანამშრომელი. აღმასკომის თავმჯდომარეც გახდა საგანგებო კომისიის თანამშრომელი იუროვსკი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვ. ლენინს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა რომანოვების ოჯახი ამოეჟლიტა. სამამად გამოიყენეს ის, რომ ჩეხოსლოვაკთა კორპუსის აჯანყების შემდეგ ეკატერინბურგში საბჭოთა ხელისუფლების დამხობის საფრთხე (ჩეხოსლოვაკთა კორპუსი ეკატერინბურგის დაკავებას ცდილობდა) არსებობდა. 1918 წლის 12 იულისს ურალის საოლქო დეპუტატთა საბჭომ მოსკოვიდან მიიღო ნებართვა დამოუკიდებლად გადაეწყვიტა ნიკოლოზ II-ისა და მისი ოჯახის წევრების ბედი. ურალის საოლქო დეპუტატთა საბჭომ დაადგინა დაეხვრიტათ ნიკოლოზ II და მისი ოჯახის ყველა წევრი. 1918 წლის 16 იულისს შუაღამისას, იუროვსკიმ ჩეკისტების რაზმთან ერთად, ნიკოლოზ II, მისი მეუღლე ალექსანდრა, ვაჟი ალექსი, ქალიშვილები: ოლგა, ტატიანა, მარია და ანასტასია იატევის სახლის ნახევარსარდაფში დახვრიტა. მათთან ერთად დახვრიტეს იმპერატორის ოჯახის ექიმი, მზარეული და ორი მსახური. ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული ვერსიით თერთმეტივე გვამი გამთენიისას ქალაქიდან სატვირთო მანქანით გაიტანეს და სოფელ კოპტიაკისთან ახლოს ნაჯახით სგანგებოდ დაკუწეს, ნავთი გადაასხეს და დაწვეს, შემდეგ ყველაფერი საგულდაგულოდ შეაგროვეს და მიტოვებულ შახტაში ჩაყარეს. არსებობს ვერსია, რომ ნიკოლოზ II და მისი ოჯახის წევრები ეკატერინბურგთან ახლოს სხვა ადგილას დამარხეს.

ნიკოლოზ II-ისა და მისი ოჯახის წევრების დახოცვიდან სულ რამდენიმე დღეში მოკლეს ნიკოლოზ II-ის ძმა მიხეილი და რომანოვების სამეფო საგვარეულოს კიდევ 18 წარმომადგენელი. 2000 წლის 14 აგვისტოს რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ნიკოლოზ II და მისი ოჯახის წევრები წმინდანებად შერაცხა.

1918 წლის 6 აგვისტოს სამარის მთავრობის **„სახალხო არმიამ“** ქალაქი ყაზანი დაიკავა. წითელი არმია მარცხს მარცხზე განიცდიდა. აღმოსავლეთის ფრონტზე სასწრაფოდ გაიგზავნა ლევ ტროცკი ჯავშნიანი მატარებლით და რჩეული რაზმითურთ. ლ. ტროცკის თან ახლდა სამხედრო ტრიბუნალი. სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით უამრავი წითელარმიელი დახვრიტეს, აგრეთვე დახვრიტეს სამხედრო ნაწილების მე-



ამერიკული კრეისერი ვლადივოსტოკის პორტში. 1918 წ.

თაურები და კომისრები. მურომში, არზამასსა და სვიაჟსკში საგანგებოდ შექმნილ საკონცენტრაციო ბანაკებში გამოამწყვდიეს პანიკიორები, დეზერტირები და მოროდიორები. ლ. ტროცკის ბრძანებით, შეიქმნა ე.წ. „გადამლობი რაზმები", რომლებიც სიკვდილით სჯიდნენ დეზერტირებსა და მეთაურთა ნებართვის გარეშე ფრონტიდან უკანდახეული სამხედრო ნაწილების ჯარისკაცებს.

1918 წლის 2 სექტემბერს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტით ქვეყანა **სამხედრო ბანაკად** გამოცხადდა. შეიქმნა **სამხედრო-რევოლუციური საბჭო**, რომლის თავმჯდომარედაც ლ. ტროცკი დაინიშნა, ხოლო **ი. ვაცეტისი** წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდალი გახდა. ფრონტსა და ზურგში დაიწყო მასობრივი „**წითელი ტერორი**". ასეთმა მკაცრმა ზომებმა თავისი შედეგი გამოიღო. 1918 წლის სექტემბრის დამდეგს **აღმოსავლეთის ფრონტის** ჯარებმა მოწინააღმდეგის შეტევა შეაჩერეს და მალე თვითონაც გადავიდნენ შეტევაზე. 10 სექტემბერს წითელმა არმიამ **ყაზანი** დაიკავა.

წითელი არმიის შეტევას დაემთხვა წინააღმდეგობის გამწვავება **სამარისა** და ციმბირის მთავრობებს შორის. 1918 წლის 28 სექტემბერს **უფაში** შექმნილმა სრულიად რუსეთის **დროებითმა** მთავრობამ (დირექტორიამ) ვერ გამონახა საერთო ენა სამარისა და ციმბირის მთავრობებთან. ცხარე პოლემიკის საგანი გახდა რუსეთის მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობისა და საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხები, ასევე აგრარული საკითხი. მალე ხსენებულმა სამმა მთავრობამ ადგილი დაუთმო **სამხედრო დიქტატორს — რუსეთის უმაღლეს მმართველს, ადმირალ ალექსანდრე კოლჩაკს.**

3. **ვითარება აღმოსავლეთის და სამხრეთის ფრონტებზე.** 1918 წლის შემოდგომაზე წითელმა არმიამ ძლივს შეაჩერა დონის არმიის შეტევა, რომელსაც საპყრობილედან გაქცეული გენერალი პ. **კრასნოვი** მეთაურობდა. ამ დროისათვის რუსეთის ჩრდილოეთში გადმოსხდნენ **ინგლისისა** და **ამერიკის** საექსპედიციო ჯარები. მოკავშირეთა 44-ათასიანი საექსპედიციო კორპუსი (28 ათასი იაპონელი, 7,5 ათასი ამერიკელი, 4 ათასი კანადელი, 2 ათასი იტალიელი, 1000 ფრანგი და 500 ინგლისელი) შორეულ აღმოსავლეთში მოქმედებდა. გარდა ამისა, ანტანტა იარაღითა და ფულით ამარაგებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ სამხედრო ფორმირებებს — ე.წ. „**თეთრ არმიებს**". თეთრი არმიების შტაბებში ბევრი უცხოელი ოფიცერი მუშაობდა.

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამდე (1918 წლის ნოემბერი) ანტანტა თავს იკავებდა თეთრი არმიების დახმარებისაგან. „**რუსი ხალხისადმი დახმარებამ**" ფართო

მასშტაბი მიიღო 1919 წლის დამდეგიდან. 1919 წლის ზაფხულისათვის ანტანტა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ კომბინირებულ შეტევას გეგმავდა. შეტევა ყველა მიმართულებიდან უნდა დაწყებულიყო და **მოსკოვის** დაკავებით დამთავრებულიყო. პირველი და ძირითადი დარტყმა ანტანტის ჯარებს სამხრეთიდან და დასავლეთიდან უნდა განეხორციელებინათ. 1919 წლის აპრილის შუა რიცხვებში ადმირალ **ალექსანდრე კოლჩაკის** ოთხმა არმიამ აღმოსავლეთის ფრონტზე ფართომასშტაბიანი შეტევა წამოიწყო. ა. კოლჩაკი ერთბაშად უტევდა უზარმაზარ სივრცეზე — **ჩრდილოეთ ურალიდან სამხრეთ ეოლგისპირეთამდე**.

საბჭოთა რუსეთის უმაღლესმა მთავარსარდლობამ სასწრაფოდ მიიღო ზომები სამხრეთის ფრონტის გასამაგრებლად. 1919 წლის თებერვალში შეიქმნა **დასავლეთის ფრონტი**. სამაგიეროდ, სათანადო ყურადღება არ დაეთმო **აღმოსავლეთის ფრონტს**. აქ რუსეთის უმაღლესმა მმართველმა, **ადმირალმა ალექსანდრე კოლჩაკმა** 400-ათასიანი არმია შექმნა. 1919 წლის აპრილის შუა რიცხვებში ა. კოლჩაკმა აღმოსავლეთის ფრონტის ცენტრალური მონაკვეთი გაარღვია და 85 კილომეტრზე მიუახლოვდა **ყაზანსა** და **სამარას**. **სიმბირსკის** მიმართულებით შეტევაზე გადასული ჯარები ქალაქიდან 100 კილომეტრზე შეაჩერეს. ა. კოლ-

ალექსანდრე კოლჩაკი

ჩაკის არმიის შემდგომი წინსვლის შემთხვევაში შესაძლებელი იყო რუსეთის სამხრეთში მოქმედი გენერალ **ანტონ დენიკინის** მოხალისეთა არმიისა და **ალექსანდრე კოლჩაკის** არმიების გაერთიანება.

ვ. ლენინმა გადამჭრელი ღონისძიებები გაატარა აღმოსავლეთის ფრონტზე მდგომარეობის გამოსწორებისათვის. წითელ არმიაში დამატებით გაიწვიეს 800 ათასი კაცი, რომელთა დიდი ნაწილი ჯავშნიანი მატარებლებისა და არტილერიის თანხლებით აღმოსავლეთის ფრონტზე გაიგზავნა. აღმოსავლეთის ფრონტის სარდალმა **მიხეილ ფრუნზემ** გაბედული და უნარიანი მოქმედებით 1919 წლის აპრილის ბოლოსათვის ა. კოლჩაკის ჯარების ფრონტი გაარღვია. 1919 წლის აპრილის ბოლოდან ივნისამდე ა. კოლჩაკის არმიამ რამდენიმე სერიოზული მარცხი განიცადა, რის შედეგადაც 1919 წლის აგვისტოსათვის ურალის მთებს იქით დაიხია. 1920 წლის დამდეგისათვის ალექსანდრე კოლჩაკი საბოლოოდ დამარცხდა. ა. კოლჩაკის დამარცხებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ციმბირის გლეხობამ. ბოლშევიკებმა ისარგებლეს იმით, რომ ა. კოლჩაკმა საგანგებო ბრძანებით საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩამორთმეული მიწები ძველ მფლობელებს დაუბრუნა. განაწყენებული გლეხობა ბოლშევიკებმა მასობრივად მიიზიდეს წითელ არმიაში. 1920 წლის 4 იანვარს დამარცხებულმა ა. კოლჩაკმა უარი თქვა „რუსეთის სახელმწიფოს უმაღლესი მმართველის" ტიტულსა და უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობაზე. მალე ა. კოლჩაკი და მისი პრემიერი ვლადივოსტოკისაკენ მიმავალი ჩეხოსლოვაკთა კორპუსის ხელმძღვანელობის განკარგულებაში აღმოჩნდნენ, ხოლო შემდეგ ისინი **ირკუტსკის პოლიტიკურ ცენტრს** გადასცეს. ირკუტსკის პოლიტცენტრის მენშევიკურ-ესერულმა ხელმძღვანელობამ ა. კოლჩაკი **ირკუტსკის სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტს** გადასცა, რომლის განაჩენის საფუძველზე 1920 წლის იანვარში დიდი რუსი პატრიოტი დახვრიტეს. აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე კოლჩაკი გულგრილად შეხვდა სიკვდილის განაჩენს. დასახვრეტად რომ მიჰყავდათ, იგი მშვიდად მღეროდა მისთვის საყვარელ ერთ-ერთ სიმღერას.

ალექსანდრე კოლჩაკის არმიის განადგურების შემდეგ, 1919 წლის ივლისიდან, მთავარ ფრონტად **სამხრეთის ფრონტი** იქცა. რუსეთის სამხრეთიდან მოსკოვის მიმართულებით შეტევაზე გადავიდა გენერალ **ანტონ დენიკინის** მო-

ხალისეთა არმია, რომელსაც სერიოზულ დახმარებას ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი და სხვა ქვეყნები უწევდა. მარტო ინგლისმა ა. დენიკინს გადასცა 250 ათასი შაშხანა, 200 ქვემეხი და 30 ტანკი, ასევე საბრძოლო საჭურვლის დიდი მარაგი.

1919 წლის მაისში **ანტონ დენიკინის** მოხალისეთა **არმიამ** დონბასის სამხრეთ საზღვრებთან ძლიერი დარტყმა მიაყენა წითელ არმიას. წითელი არმიის ზურგში, ზემო და შუა დონზე, აქტიურად მოქმედებდნენ აჯანყებული კაზაკები, ხოლო სამხრეთ უკრაინაში — უკრაინის მეექვსე დივიზია გენერალ **ნ. გრიგორიევის** სარდლობით. ყოველივე ეს ძალზე ამძიმებდა წითელი არმიის მდგომარეობას.

თავდაპირველად ბრძოლები ა. დენიკინის მოხალისეთა არმიასა და წითელ არმიას შორის **თავრიდის, ეკატერინოსლავის, ხარკოვის, დონეცკის, ვორონეჟის, ცარიცინისა** და **ასტრახანის** გუბერნიებსა და დონის ოლქის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. ა. დენიკინის კავალერია ოთხჯერ აღემატებოდა წითელი არმიის ცხენოსან ნაწილებს. ეს დიდ უპირატესობას აძლევდა მოხალისეთა არმიას. წითელი არმია 1600-კილომეტრიან ფრონტზე მძიმე თავდაცვით ბრძოლებს აწარმოებდა. ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა ქალაქ **ცარიცინისათვის**. ჩრდილო კავკასიის არმიის სარდალმა გენერალმა **პეტრე ვრანგელმა** ა. დენიკინისაგან დამატებითი ქვეითი ნაწილების მიღების შემდეგ, 1919 წლის 30 ივნისს, **ცარიცინი** დაიკავა. ცარიცინის დაკარგვის შემდეგ წითელი არმიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქ **ასტრახანს**. აქტიური მოქმედების მიუხედავად, ა. დენიკინმა ასტრახანისა და ქვემო ვოლგის სხვა სტრატეგიული პუნქტების დაკავება ვერ შეძლო.

ა. დენიკინის მოხალისეთა არმიამ დიდი წარმატებები მოიპოვა **ყირიმში**, სადაც გენერალმა **ი. სლაშჩევმა** წითელი არმიის ნაწილები გაანადგურა. მოხალისეთა არმიამ მალე გაარღვია წითელი არმიის თავდაცვითი ზღუდეები **ბელგოროდისა** და **ხარკოვის** რაიონში. გენერალმა ვ. მაი-მაევსკიმ დაიკავა ქალაქები: **ბელგოროდი, ჩუგუევი, ხარკოვი**. 1919 წლის 30 ივნისს გენერალ ვ. მაი-მაევსკის ჯარები ქალაქ **ეკატერინოსლავში** შეიჭრნენ.

გენერალი ანტონ დენიკინი **კურსკიდან** და **ვორონეჟიდან** მოსკოვზე შეტევას გეგმავდა. ვ. ლენინმა სასწრაფო ზომები მიიღო სამხრეთის ფრონტის გაძლიერების მიზნით. ფრონტის ჯარებში გაიგზავნა 3879 მეთაური. გარდა

ანტონ დენიკინი

ამისა, ფრონტზე დამატებით გაიგზავნა 70 ათასზე მეტი კაცი. 1919 წლის ივლისის დასასრულისათვის სამხრეთი ფრონტის სარდლობის განკარგულებაში იყო 156,6 ათასი ქვეითი, 25,8 ათასი კავალერისტი, 4094 ტყვიამფრქვევი, 876 ქვემეხი, 55 ჯავშნიანი მატარებელი, 10 ჯავშნიანი მანქანა. ფრონტის სარდლად ვ. **გიტისის** ნაცვლად დაინიშნა ვ. **ეგორიევი**, ხოლო მის მოადგილედ — ა. **ეგოროვი**.

სამხრეთის ფრონტის ძალები მნიშვნელოვნად აღემატებოდა ა. დენიკინის მოხალისეთა არმიის ძალებს. ა. დენიკინის განკარგულებაში იყო 104,5 ათასი ქვეითი, 50,9 ათასი კავალერისტი, 1212 ტყვიამფრქვევი, 531 ქვემეხი, 28 ჯავშნიანი მატარებელი და 25 ტანკი.

ა. დენიკინმა კარგად გამოიყენა უპირატესობა კავალერიაში. გენერალ **მამონტოვის** ცხენოსანი კორპუსის ძალით სამხრეთის ფრონტის ზურგში მოეწყო რეიდი, რის შედეგადაც მათ დაიკავეს ქალაქები: **ტამბოვი, კოზლოვი, ელეცი, ვორონეჟი**. წითელი არმიის ზურგში წარმატებით მოქმედებდა გენერალ **შკუროს** ცხენოსანი კორპუსი. 1919 წლის 12 სექტემბერს ა. დენიკინის მოხალისეთა არმიამ გენერლების **მამონტოვისა** და **შკუროს** ცხენოსან კორპუსებთან ერთად მოსკოვზე შეტევა დაიწყო. 20 სექტემბერს მოხალისეთა არმიამ ქალაქი **კურსკი**

დაიკავა. მოსკოვს რეალური საფრთხე დაემუქრა.

სამხედრო-რევოლუციურმა საბჭომ სამხრეთის ფრონტზე მდგომარეობის ხსნისა და მოსკოვის დაცვის მიზნით სასწრაფო ზომები მიიღო. ფრონტის სარდლობის განკარგულებაში გაიგზავნა **სიმონ ბუდიონის ცხენოსანი კორპუსი, ლატვიელ მსროლელთა დივიზია, წითელი კაზაკების ბრიგადა.** შევსებული ძალებისა და სხვა რჩეული სამხედრო ნაწილებისაგან სამხრეთი ფრონტის სარდლობამ ქალაქ **ბრიანსკის** სამხრეთით ძლიერი დაჯგუფება შექმნა.

1919 წლის 11 ოქტომბერს **სამხრეთის ფრონტის** ჯარები შეტევაზე გადავიდნენ. ერთი კვირის განმავლობაში უპირატესობა ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიპოვა. შემდგომმა ბრძოლებმა აშკარა გახადა წითელი არმიის უპირატესობა. **ორიოლთან** წითელმა არმიამ გაანადგურა მოხალისეთა არმიის საუკეთესო დივიზიები. **ვორონეჟისა** და **კასტორნის** რაიონებში ს. ბუდიონის ცხენოსანმა კორპუსმა გაანადგურა გენერლების მამონტოვისა და შკუროს ცხენოსანი კორპუსები.

1920 წლის გაზაფხულისათვის ა. დენიკინის მოხალისეთა არმიამ დატოვა **უკრაინის** ტერიტორია და **ჩრდილოეთ კავკასია.** მოხალისეთა არმიის ნაწილები **ნოვოროსიისკიდან ყირიმსა** და **თურქეთში** გადაიყვანეს. გენერალი ანტონ დენიკინი ინგლისელებმა სტამბოლში ჩაიყვანეს. მანამდე მან სამხრეთ რუსეთში დარჩენილი ჯარების სარდლობა გენერალ **პეტრე ვრანგელს** გადასცა.

მიხეილ ტუხაჩევსკი

ა. **დენიკინის მოხალისეთა არმიის განადგურებით სამოქალაქო ომის მსვლელობაში გარდატეხა დაიწყო.**

4. **ომი პოლონეთთან.** პოლონეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა შესაძლებელი გახდა რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ. პოლონეთის პატრიოტულ ძალებს დამოუკიდებლობის აღდგენაში დიდი დახმარება გაუწია ანტანტამ, განსაკუთრებით კი საფრანგეთმა. პოლონეთის სახელმწიფოს სათავეში მყოფი მარშალი **იუზეფ პილსუდსკი** მტრულად იყო განწყობილი რუსეთისადმი, განსაკუთრებით კი საბჭოთა რუსეთისა და ბოლშევიკებისადმი. დიდი პოლონელი პატრიოტი კარგად ხედავდა, რომ საბჭოთა რუსეთი მხოლოდ დროებით შეურიგდა პოლონეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას და ხელსაყრელ დროს ელოდა, რათა ხელახლა დაეპყრო იგი. **იუზეფ პილსუდსკიმ** მიზნად დაისახა პოლონეთის სახელმწიფოს აღდგენა 1772 წლის საზღვრებში. 1919 წელს პოლონეთის ჯარებმა დაიკავეს **დასავლეთ უკრაინა** და **დასავლეთ ბელორუსია.** ი. პილსუდსკის ანტანტისა და ა. დენიკინის მოხალისეთა არმიის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. არც ანტანტამ, არც ა. დენიკინმა და შემდგომში არც პ. ვრანგელმა პოლონეთის შემადგენლობაში დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის გადასვლა კანონიერად არ ცნეს. ი. პილსუდსკი იძულებული გახდა, საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკება დაეწყო, რომელიც მალევე შეწყდა. ამის შემდეგ ი. პილსუდსკიმ ისევ სამხედრო მოქმედებების გაგრძელება გადაწყვიტა. იგი წინასწარ მოელაპარაკა უკრაინის დირექტორიის მეთაურ **სიმონ პეტლიურას** და 1919 წლის 17 აპრილს კიევზე შეტევა დაიწყო. 6 მაისს პოლონელები **კიევში** შევიდნენ, ხოლო მაისის შუა რიცხვებში მდინარე **დნეპრის** მარჯვენა ნაპირზე გადავიდნენ.

პოლონეთის არმია გაცილებით მცირერიცხოვანი იყო, დასავლეთის ფრონტზე განლაგებული წითელი არმიის ძალებთან შედარებით. გარდა ამისა, აღმოსავლეთ უკრაინაში საბჭოთა რუსეთს ძლიერი პოზიციები ჰქონდა. 1920 წლის მაისში დასავლეთის ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და 12 ივნისს კიევი დაიკავეს. ვ. ლენინს სურდა პოლონეთის არმიის მარცხი გამოეყენებინა და პოლონეთი დაეპყრო. წითელი არმიის რჩეული ნაწილი ლვოვისა და ვარშავის მიმართულებით უტევდა. 1920 წლის აგვისტოს

შუა რიცხვებში წითელი არმიის ნაწილებმა მ. **ტუხაჩევსკის** სარდლობით მდინარე ვისლა გადალახეს და ვარშავას მიუახლოვდნენ. ანტანტამ სასწრაფო ზომები მიიღო პოლონეთის არმიის გაძლიერების მიზნით. ამავე დროს ანტანტის ქვეყნებმა რუსეთს შეტევის შეჩერება მოთხოვეს. პოლონეთის დაპყრობის გეგმა მაინც **პოლონეთის არმიის თავგანწირულმა ბრძოლამ ჩაშალა**. ლვოვისა და ვარშავის მიმართულებით შეტევაზე გადასულმა წითელმა არმიამ სასტიკი მარცხი იწვნია და იძულებული გახდა შეტევა შეეწყვიტა. მალე წითელმა არმიამ ვარშავიდან 600 კილომეტრით დაიხია უკან. უკან დაიხია ლვოვის მიმართულებით შეტევაზე გადასულმა ჯარებმაც. პოლონეთის დაპყრობისათვის წარმოებულ ბრძოლებში რუსეთმა უამრავი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა, 30 ათასი წითელარმიელი ტყვედ ჩაიგდეს პოლონელებმა. მათ კვალს შემდეგში ვერსად მიაკვლიეს.

5. **პეტრე ვრანგელის ჯარების განადგურება.** პოლონეთთან ომის შეწყვეტამ ვ. ლენინს საშუალება მისცა, მთელი ძალები გენერალ **პეტრე ვრანგელის** თეთრი არმიის წინააღმდეგ მიეძართა. ყირიმის ნახევარკუნძულზე გამაგრებული პ. ვრანგელის თეთრი არმიის წინააღმდეგ საბრძოლველად ხელახლა შეიქმნა სამხრეთის ფრონტი, რომლის სარდლადაც დაინიშნა **მიხეილ ფრუნზე**.

მიხეილ ფრუნზე

მიხეილ ვასილის ძე ფრუნზე (1885-1925) ცნობილი საჭოთა მხედართმთავარი, ეროვნებით მოლდაველი. დაიბადა სამხედრო ფერშლის ოჯახში, სწავლობდა პეტერბურგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც არ დაუმთავრებია. 1904 წელს შეუდა რსდმპ რიგებში, ემხრობოდა ბოლშევიკურ მიმდინარეობას. მონაწილეობდა 1905-1907 წლების რევოლუციაში. რევოლუციური მოღვაწეობისათვის ორჯერ ჰქონდა სიკვდილი მისჯილი, ორივეჯერ სასჯელის უმაღლესი ზომა ციმბირში სამუდამო გადასახლებით შეუცვალეს. ორივეჯერ გაიქცა გადასახლებიდან. პირველი მსოფლიო ომის წლებში ფრონტზე ომის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდა. 1917-1918 წლებში ეკავა სხვადასხვა თანამდებობა, იყო მოსკოვის მილიციის უფროსი. „მემარცხენე კომუნისტებთან" ერთად წინააღმდეგი იყო ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადებისა. 1919 წლის თებერვლიდან სარდლობდა მე-4 წითელ არმიას, 1919 წლის მაის-ივნისში თურქესტანის არმიას, იმავდროულად 1919 წლის მარტიდან იყო აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთის დაჯგუფების სარდალი. 1919 ივლისიდან სარდლობდა აღმოსავლეთის ფრონტს, ხოლო 1919 წლის აგვისტოდან 1920 წლის სექტემბრამდე თურქესტანის ფრონტს. თეთრი არმიების განადგურების შემდეგ სასტიკად გაუწირდა ადმირალ ა. კოლჩაკის მომხრე მოსახლეობას. 1920 წელს დაიპყრო ხივისა და ბუხარის ტერიტორია და იქ საჭოთა ხელისუფლება დაამყარა. 1920 წლის სექტემბრიდან სარდლობდა სამხრეთის ფრონტს, რომელმაც გაანადგურა პ. ვრანგელის არმია. სახელი გაითქვა თეთრი არმიების ოფიცრებისა და ჯარისკაცების არადამიანური წამებითა და მასობრივი ხოცვა-ჟლეტით. მ. ფრუნზეს ბრძანებით პ. ვრანგელის არმიის ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერი, რომელთაც შეწყალება ითხოვეს, სასტიკი წამებით დახოცეს. 1924 წლის მარტიდან იყო საჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლუციური საჭოს თავმჯდომარისა და სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე, ხოლო 1924 წლის აპრილიდან იმავდროულად იყო წითელი არმიის შტაბის უფროსი და წითელი არმიის სამხედრო აკადემიის უფროსი. 1924-1925 წლებში ხელმძღვანელობდა სამხედრო რეფორმის გატარებას. 1925 წლის 26 იანვარს ლ. ტროცკი შეცვალა საჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლუციური საჭოს თავმჯდომარისა და სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობაზე. გარდაიცვალა იმავე წელს.

გენერალ პეტრე ვრანგელის ჯარები არც ისე მრავალრიცხოვანი იყო, იგი დაახლოებით 50 ათას ქვეითისა და ცხენოსნისაგან შედგებოდა. პ. ვრანგელს შეიარაღება (ქვემეხები, ტყვიამფრქვევები, ტანკები, თვითმფრინავები) ანტანტამ მიაწოდა.

1920 წლის სექტემბერ-ოქტომბერში პ. ვრანგელის ჯარებმა დონბასის დაკავება და მარ-

ნესტორ მახნო

ჯვენა ნაპირის უკრაინაში გაჭრა სცადეს. დიდი ბრძოლები მიმდინარეობდა **კახოვკის** რაიონში. 1920 წლის ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დამდეგს პ. ვრანგელის ჯარები სამხრეთის ფრონტის გაცილებით მრავალრიცხოვან ძალებთან ბრძოლაში დამარცხდნენ და **ჩრდილოეთ თავრიდა** დატოვეს. სამხრეთის ფრონტის სარდლობას რომ შეცდომები არ დაეშვა, იმჟამად პ. ვრანგელის არმიის განადგურება სავსებით შესაძლებელი იყო. მოხდა პირიქით. პ. ვრანგელმა კონტრდარტყმა განახორციელა, **ყირიმი** დაიკავა და **ჩონგარისა** და **პერეკოპის** სიმაგრეებს შეაფარა თავი. 1920 წლის ნოემბერში სამხრეთის ფრონტის ჯარებმა უმძიმეს ბრძოლებში ჩონგარისა და პერეკოპის სიმაგრეები დაიკავეს. პ. ვრანგელის არმიამ ორგანიზებული წინააღმდეგობა შეწყვიტა.

პ. ვრანგელის თეთრი არმიის განადგურების შემდეგ ყირიმის ნახევარკუნძულზე **წითელი ტერორი** დაიწყო. თეთრი არმიის 8 ათასი ოფიცერი, რომელიც ნებაყოფლობით ჩაბარდა, ვერაგულად დახვრიტეს. დახვრეტის ორგანიზატორები იყვნენ ყირიმის საოლქო რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე, უნგრელი კომუნისტი **ბელა კუნი**, რევკომის წევრი **რ. ზემლიაჩკა** და სამხრეთის ფრონტის საგანგებო განყოფილების უფროსი **ე. ეიდოკიმოვი**.

ყირიმის ნახევარკუნძულზე მიმდინარე ბრძოლების დროს წითელ არმიას დახმარება აღმოუჩინა ანარქისტ **ნესტორ მახნოს** არმიამ. ბოლშევიკები ნ. მახნოს სამხრეთ უკრაინაში მის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე (ცენტრი სოფელი **გულიაი-პოლე**) ავტონომიური მმართველობის შენარჩუნებას დაპირდნენ. პ. ვრანგელის ჯარების დამარცხების შემდეგ ბოლშევიკებმა ნ. მახნოს არმიის დაშლა და მისი წითელ არმიასთან შერწყმა მოთხოვეს. ნ. მახნომ უარი განაცხადა, რის გამოც სამხრეთის ფრონტის სამხედრო-რევოლუციურმა საბჭომ იგი საბჭოთა წყობილების მტრად გამოაცხადა. წითელი არმია ნესტორ მახნოს სამხედრო შენაერთების ლიკვიდაციას შეუდგა. ნ. მახნოს არმიას 1920 წლის დეკემბრიდან კვალდაკვალ მიყვებოდა ა. **პარხომენკოს** წითელი დივიზია. მიუხედავად ამისა, 1921 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში, უკრაინასა და სამხრეთ რუსეთში ნესტორ მახნომ რამდენიმე ბრწყინვალე რეიდი განახორციელა. 1921 წლის აგვისტოში წითელი არმიის ჭარბ ძალებთან ბრძოლაში მახნოს არმია დამარცხდა. თვით ნესტორ მახნომ **რუმინეთს** შეაფარა თავი.

რთული მდგომარეობა იყო შექმნილი **შორეულ აღმოსავლეთში**, სადაც იაპონელთა 100-ათასიანი არმია იდგა. იაპონელთა მფარველობით ა. კოლჩაკის მემკვიდრემ, ატამანმა **გ. სემენოვმა** თავი მოუყარა ა. კოლჩაკის არმიის ნარჩენებსა და კაზაკებს. წითელმა არმიამ ა. კოლ-

პეტრე ვრანგელი

ჩაკის განადგურების შემდეგ **ბაიკალის ტბას** მიაღწია. წითელი არმიის შემდგომ წინსვლას იაპონიასთან ომი მოჰყვებოდა. სწორედ ამის გამო მოსკოვში მიიღეს გადაწყვეტილება შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიაზე შეექმნათ იაპონიასა და რუსეთს შორის მდებარე ბუფერული სახელმწიფო — **შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკა**. ეს უნდა ყოფილიყო დემოკრატიული სახელმწიფო მრავალპარტიული პარლამენტით. ბუფერული სახელმწიფოს შექმნა მისაღები აღმოჩნდა იაპონიისთვისაც. სულ მალე საბჭოთა რუსეთმა ისარგებლა იმით, რომ თეორგვარდიელებმა ქალაქი ხაბაროვსკი დაიკავეს და 1921 წლის თებერვალში შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის ჯარებთან ერთად საბრძოლო მოქმედებები დაიწყო. 14 თებერვალს თეორებმა ხაბაროვსკი დატოვეს. ატამან გ. სემიონოვის ჯარებმა ჯერ **ზღვისპირეთში** დაიხიეს, ხოლო შემდეგ **მანჯურიას** შეაფარეს თავი. შექმნილ ვითარებაში ზღვისპირეთში განლაგებულმა იაპონიის ჯარებმა ევაკუაცია დაიწყეს. 1922 წლის 25 ოქტომბერს შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის ჯარებმა და პარტიზანულმა რაზმებმა ქალაქი **ვლადივოსტოკი** დაიკავეს. იაპონიასა და რუსეთს შორის ბუფერული სახელმწიფო საჭირო აღარ იყო. შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა.

6. მესამე ძალა. თეორი არმიის დამარცხება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა სამოქალაქო ომის დასასრულს. პირიქით, სამოქალაქო ომის ბოლო ეტაპზე სულ უფრო გააქტიურდა ე.წ. **მესამე ძალა — გლეხობა**. სანამ თეორი არმიები საბჭოთა წყობილების მოსპობისათვის იბრძოდნენ, გლეხობა ასე თუ ისე ეგუებოდა ბოლშევიკების პოლიტიკას სოფლად (სასურსათო დიქტატურა, სამხედრო კომუნიზმი), რადგან მემამულური მიწისმფლობელობის აღდგენისა ეშინოდათ. შემდეგ ვითარება შეიცვალა. 1920-1921 წლებში რუსეთის თითქმის ყველა რეგიონში საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ დიდი ამბოხებები დაიწყო. გლეხთა გამოსვლებს იმდენად სერიოზული ხასიათი ჰქონდა, რომ აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ წითელი არმიის ნაწილებს იყენებდნენ. გლეხთა აჯანყებების ჩახშობაში მონაწილეობდნენ საუკეთესო ჯარები და სარდლები: **მ. ფრუნზე, მ. ტუხაჩევსკი, ს. ბუდიონი, ი. უბორევიჩი, გ. კოტოვსკი, პ. იაკირი** და სხვები.

გლეხთა მოძრაობის გაქანებაზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები: 1920 წელს **უკრაინაში** მოქმედი ნესტორ მახნოს არმია 50 ათას მებრძოლს ითვლიდა, **დასავლეთ ციმბირში** საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ იბრძოდა 100 ათასი შეიარაღებული გლეხი. **ტამბოვის** გუბერნიაში ა. ანტონოვის მეთაურობით 40 ათასი გლეხი იყო დარაზმული. გლეხთა დიდი რაზმები მოქმედებდა **ყუბანსა** და **შავი ზღვისპირეთში**. **ვოლგისპირეთში** მემარცხენე ესერებმა 25 ათასი გლეხი დარაზმეს.

გლეხობის ზოგადი მოთხოვნები ასეთი იყო: ბოლშევიკთა ხელისუფლების დამხობა, სასურსათო დიქტატურისა და სამხედრო კომუნიზმის მოსპობა, დამფუძნებელი კრების მოწვევა და დროებითი, გარდამავალი მრავალპარტიული მთავრობის შექმნა.

7. კრონშტადტის აჯანყება. 1920-1921 წლების მიჯნაზე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ქალაქად. პურის მიწოდების შემცირებამ ბუნებრივად გამოიწვია ქალაქის მოსახლეობისათვის განკუთვნილი დღიური ნორმის შემცირება. **პეტროგრადში** საწვავის უქონლობის გამო მუშაობა შეწყვიტა 64 დიდმა ქარხანამ. გაჩერდა მოსკოვის ფაბრიკებისა და ქარხნების ნახევარი. პეტროგრადში მუშათა გამოსვლების ჩასახშობად სამხედრო სასწავლებელთა კურსანტები გამოიყვანეს, რადგან ხელისუფლება წითელი არმიის ნაწილებს ველარ ენდობოდა. 1921 წლის 24 თებერვალს პეტროგრადში გამოსვლების მონაწილეთა მასობრივი დაპატიმრებები დაიწყო.

პეტროგრადში დაწყებული მღელვარება **კრონშტადტშიც** გავრცელდა, სადაც აჯანყება დაიწყეს ლინკორების **„პეტროპავლოვსკისა“** და **„სევასტოპოლის“** მეზღვაურებმა. ეს მეტად საშიში მოვლენა იყო, რადგან კრონშტადტი მუდამ ბოლშევიკთა ძლიერ დასაყრდენად ითვლებოდა.

1921 წლის 1 მარტს კრონშტადტის მეზღვაურებმა და მოსახლეობამ მრავალსაათიან მიტინგზე მიიღეს შემდეგი მოთხოვნები: 1) ფარული კენჭისყრით დეპუტატთა საბჭოების გადარჩევნების ჩატარება; 2) სიტყვის თავისუფლება „მუშებისათვის, გლეხებისათვის, ანარქისტებისათვის და მემარცხენე სოციალისტური პარტიებისათვის“; 3) გლეხობისათვის მიწის სრულ საკუთრებაში გადაცემა. თავიანთი მოთხოვნები კრონშტადტელებმა საგანგებო დელეგაციის ხელით პეტროგრადელ მუშებს გაუგზავნეს. დელეგაციის წევრები დაპატიმრეს, რასაც კრონშტადტში ამბოხების დაწყება მოჰყვა. აჯანყებულებმა შექმნეს **სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი**, რომლის თავმჯდომარედაც მეზღვაური

სტეფანე პეტრიჩენკო აირჩიეს. კრონშტადტის სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტში ბოლშევიკები არ აურჩევიათ. სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მოწოდებაში **საბჭოთა ხელისუფლება შეფასებული იყო როგორც ბოლშევიკური პარტიის დიქტატურა.** მოწოდებაში აღნიშნული იყო, რომ რასაც რუსეთში ბოლშევიკები მუშათა და გლეხთა სახელით ახორციელებდნენ, სოციალიზმთან საერთო არაფერი ჰქონდა. აჯანყებული კრონშტადტელები **„მესამე რევოლუციის“** მოთხოვნით გამოდიოდნენ.

კრონშტადტში დაწყებულ აჯანყებაში დაახლოებით 20 ათასი მეზღვაური, ჯარისკაცი და მუშა მონაწილეობდა. აჯანყებას მიემხრო კრონშტადტელ ბოლშევიკთა მესამედი, ხოლო მესამედმა ნეიტრალური პოზიცია დაიკავა. დანარჩენმა ბოლშევიკებმა კრონშტადტი დატოვეს.

1921 წლის 2 მარტს ვ. ლენინმა და ლ. ტროცკიმ ხელი მოაწერეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ კრონშტადტის აჯანყება მოამზადა საფრანგეთის კონტრდაზვერვამ მეფის არმიის გენერალ **კოზლოვსკის** ხელმძღვანელობით. ვ. ლენინი და ლ. ტროცკი აჯანყების მონაწილეთა მოთხოვნებს **„შავრაზმელურ-ესერულს“** უწოდებდნენ. მიუხედავად ამისა, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიამ ვერ იპოვა აჯანყებაში საფრანგეთის ან ესერებისა და მენშევიკების მონაწილეობის დამადასტურებელი მასალა.

კრონშტადტის აჯანყების ჩახშობის მიზნით დიდ სამხედრო ძალას მოუყარეს თავი. დაგეგმილ სამხედრო ოპერაციას ხელმძღვანელობდნენ: რუსეთის უმაღლესი მთავარსარდალი **ს. კამენევი**, დასავლეთის ფრონტის სარდალი **მ. ტუხაჩევსკი** და რუსეთის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ტროცკი.** 1921 წლის 7 მარტს დაიწყო კრონშტადტის სიმაგრისა და მისი ფორტების საარტილერიო დაბომბვა. პირველი შეტევა აჯანყებულებმა მოიგერიეს. 17-18 მარტს ღამით წითელი არმიის ნაწილები კრონშტადტში შეიჭრნენ. ხელჩართულ ბრძოლაში ორივე მხრიდან უამრავი ადამიანი დაიღუპა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ დაიწყო საშინელი ანგარიშსწორება. 20 მარტს **„საგანგებო სამეულმა“** (ტრიბუნალმა) დახვრეტის განაჩენი გამოუტანა ლინკორნ **„პეტროპავლოვსკის“** 167 მეზღვაურს. სულ 1921 წლის ზაფხულისათვის დახვრიტეს აჯანყების 2013 მონაწილე, პატიმრობა მიუსაჯეს 6459 კაცს.

კრონშტადტის აჯანყების ჩახშობა იმის მაუწყებელი იყო, რომ სამოქალაქო ომი საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით დამთავრდა.

8. სამოქალაქო ომში ბოლშევიკების გამარჯვების მიზეზები. სამოქალაქო ომში ბოლშევიკების გამარჯვება შემდეგმა მიზეზებმა განაპირობა: **პირველი.** ანტიბოლშევიკურმა (ანტისაბჭოთა) ძალებმა ვერ მოახერხეს ერთიანი ფრონტის შექმნა. თეთრი არმიების სარდლობამ საერთო ენა ვერ გამონახა ესერულ-მენშევიკურ ოპოზიციასთან (რუსეთის სხვადასხვა რეგიონებში შექმნილ ანტისაბჭოთა კოალიციურ მთავრობებთან). როგორც გაირკვა, ესერები და მენშევიკები თეთრი არმიების გამარჯვებას ძველი რეჟიმის აღდგენად მიიჩნევდნენ. რაც შეეხება თეთრი არმიების სარდლობას, ისინიც დიდ განსხვავებას ვერ ხედავდნენ ესერულ-მენშევიკურ ოპოზიციასა და ბოლშევიკებს შორის; **მეორე.** წინააღმდეგობა იყო თვით თეთრი არმიების სარდლობას შორის, არ მოხერხდა ერთიანი პოლიტიკური პლატფორმისა და სამხედრო-სტრატეგიული გეგმების შემუშავება; **მესამე.** თეთრი არმიების სარდლობამ ვერაფერი დაუპირისპირა ბოლშევიკების დემაგოგიურ პოლიტიკას სოფლად, ვერ გამოიყენა ბოლშევიკების აგრარული პოლიტიკით უკმაყოფილო გლეხობის განწყობილება. პირიქით, გაუაზრებელი აგრარული პოლიტიკით გლეხობის უკმაყოფილება გამოიწვია; **მეოთხე.** ანტანტამ საჭირო დახმარება ვერ აღმოუჩინა თეთრი არმიების სარდლობას. გარდა ამისა, ანტანტის ქვეყნებმა დიდი სტრატეგიული შეცდომა დაუშვეს, როცა მხარი არ დაუჭირეს რუსეთის დაშლას რამდენიმე სახელმწიფოდ, რომელთაც სათავეში ჩაუდგებოდა თეთრი არმიების სარდლობის მიერ შექმნილი მთავრობები. ანტანტის სურვილი იყო პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა მთელ რუსეთში, რაც, როგორც გაირკვა, ცალ-ცალკე მოქმედი თეთრი არმიების სარდლობებს და, მით უმეტეს ესერულ-მენშევიკურ ოპოზიციას არ შეეძლოთ. მთელ რუსეთში საბჭოთა წყობილების დამხობისათვის აუცილებელი იყო თეთრი არმიების, ესერულ-მენშევიკური ოპოზიციისა და ანტანტის ძალების გაერთიანება და, რადგან ეს არ მოხერხდა, ამიტომ ანტანტას საბჭოთა რუსეთის დაშლისაკენ უნდა აეღო გეზი. ანტანტა კი ამაზე იმიტომ არ წავიდა, რომ აშინებდა ყოფილი რუსეთის იმპერიის უზარმაზარ სივრცეზე აღმოცენებულ რუსულ თუ სხვა ერების სახელმწიფოებს შორის გაუთავებელი ომების დაწყება, რაც მართლაც მოსალოდნელი იყო. ეს კი დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ხელს შეუშლიდა რუსეთის ბაზრისა და ნედლეულის გამოყენებაში; **მეხუთე.** საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ბოლშევიკები არნახული ველური მეთოდებით ახერხებდნენ მოსახლეობისა და მატერიალური რესურსების

მობილიზებას ომისათვის, სისხლში ახშობდნენ პოლიტიკური რეჟიმით უკმაყოფილების ყოველგვარ გამოვლინებას სოფლად, ქალაქად და არმიაში. ბოლშევიკებმა შეძლეს უზარმაზარი ქვეყნის ნამდვილ სამხედრო ბანაკად გადაქცევა; **მეექვსე.** სამოქალაქო ომმა თვალნათლივ დადასტურა, რომ რუსეთის ბურჟუაზია იყო უუნარო და ქვეყნისათვის საბედისწერო დროს ვერ შეძლო სათავეში ჩადგომოდა დემოკრატიული სახელმწიფოსათვის ბრძოლას. ეს თავისთავად გაანეიტრალებდა როგორც თეთრი არმიების სარდლობის მონარქისტულ და დიქტატორულ მისწრაფებებს, ისე ესერულ-მენშევიკური ოპოზიციის სოციალისტურ ილუზიებს.

§ 3. სამხედრო კომუნიზმი

1. სამხედრო კომუნიზმის პრინციპები. სამოქალაქო ომის პერიოდში საბჭოთა ხელისუფლების მიერ შემოღებული ეკონომიკური პოლიტიკა ისტორიაში **„სამხედრო კომუნიზმის“** პოლიტიკის სახელით შევიდა. სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკა ითვალისწინებდა შემდეგს: 1) ქალაქის მოსახლეობისა და არმიის პურით, საგანგებო წესით მომარაგება; 2) საავჭრო-სასაქონლო ურთიერთობების შეზღუდვა; 3) მთელი მრეწველობის ნაციონალიზაცია (განსახელმწიფოებრიობა); 4) პურის და, საერთოდ, სასურსათო საქონლის, ასევე სამრეწველო პროდუქციის საბარათო სისტემით განაწილება; 5) საყოველთაო შრომითი ვალდებულების შემოღება; 6) ეკონომიკის მართვის მაქსიმალური ცენტრალიზაცია.

სამხედრო კომუნიზმის პრინციპები ყალიბდებოდა სამოქალაქო ომის სირთულეების ფონზე. მიუხედავად ამისა, **სამხედრო კომუნიზმის გამომწვეევი ძირითადი მიზეზი** იყო ვ. **ლენინისა და სხვა ბოლშევიკი ლიდერების სურვილი, რაც შეიძლება სწრაფად მოეღოთ ბოლო კაპიტალიზმისათვის და გადასულიყვნენ სოციალისტურ წარმოებასა და განაწილებაზე.** ასე ჩამოყალიბდა სამხედრო-კომუნისტური იდეოლოგია, რომელიც საერთოდ ქვეყნისა და კონკრეტულად ეკონომიკის სამხედრო-ადმინისტრაციული მეთოდებით მართვისაკენ მიილტვოდა. სამხედრო კომუნიზმის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი **ნ. ბუხარინი** თავგამოდებული მომხრე იყო ძალდატანებისა, დახვრეტებისა და საყოველთაო შრომითი ვალდებულებების შემოღებისა.

სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკის აპოგეას წარმოადგენდა 1920-1921 წლების მიჯნაზე სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებები სახელმწიფო ბანკის დახურვის შესახებ, ასევე მუშებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სურსათის, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის უფასოდ მიცემის შესახებ, ბინის ქირის, კომუნალური გადასახადებისა და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების გაუქმების შესახებ.

2. ხელისუფლება და გლეხობა. ეკონომიკაში საგანგებო ღონისძიებების გატარება უკვე ნახსენები **სასურსათო დიქტატურით** დაიწყო. გლეხი, რომელიც „ზედმეტ“ პურს მტკიცე ფასებში (ფაქტობრივად, უფასოდ) არ ჩაბარებდა სახელმწიფოს, **ხალხის მტრად** ცხადდებოდა. საგანგებოდ შექმნილი **სასურსათო საქმეთა სახალხო კომისარიატის** დასახმარებლად ქალაქელი მუშებისაგან იქმნებოდა **შეიარაღებული სასურსათო რაზმები,** რომლებიც გლეხობას ძალით ართმევდნენ პურს. 1918 წლის შემოდგომაზე ქალაქიდან სოფლად პურის ამოსაღებად დაახლოებით 80 ათასი მუშა გაიგზავნა.

გლეხობის დიდმა წინააღმდეგობამ ხელისუფლება აიძულა სასურსათო დიქტატურის პოლიტიკაში ცვლილებები შეეტანა. გაუქმდა ძალზე მძიმე ე.წ. **„საგანგებო რევოლუციური დაბეგვრა“,** გაუქმდა **ღარიბთა კომიტეტები,** რითაც ბოლო მოეღო სასოფლო დეპუტატთა საბჭოებისა და ღარიბკომების დაპირისპირებას.

1919 წლის 11 იანვრის დეკრეტით პურის დამზადება საგანგებოდ შექმნილ მუშათა სასურსათო რაზმებს კი არა, სახელმწიფო ორგანოებს დაევალათ. **სასურსათო დიქტატურა სასურსათო გაწერით შეიცვალა.** ეს გლეხობის უმძიმეს მდგომარეობას ოდნავ ამსუბუქებდა, რადგან პურის ამოღება ერთიანი წესით ხდებოდა.

1919 წლის დამდეგიდან აიკრძალა **სტაციონარული კერძო ვაჭრობა,** თუმცა ბოლშევიკებმა ბაზარი მაინც ვერ „მოკლეს“. მოსახლეობა მოხმარებული სასურსათო და სამრეწველო საქონლის მხოლოდ 20%-ს იღებდა ორგანიზებული განაწილებით, დანარჩენ 80%-ს კი ისევ არალეგალურად არსებული ბაზრიდან იძენდა.

სამხედრო კომუნიზმის გაუაზრებელი ექსპერიმენტების გამო რუსული მანეთის კურსი 3136-ჯერ დაეცა, ხოლო ქვეყნის **ფულად-საფინანსო სისტემა** მთლიანად მოიშალა. მარტო ცენტრალურ რუსეთში მიმოქცევაში იყო სხვადასხვა მთავრობების მიერ გამოშვებული ფულის 21 ნიშანი.

სამხედრო კომუნიზმის გამოვლინებას წარმოადგენდა 1919 წლის თებერვალში მიღებული დადგენილება, რომელიც სოფლად **კომუნებისა** და **არტელების** შექმნას ითვალისწინებდა. ვ. ლენინს სურდა სოფლად **მიწით სარგებლობის**

კოლექტიური წესის დამკვიდრება, რამაც გლეხობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. გლეხობის ბრძოლა ამ პერიოდში მიმდინარეობდა ლოზუნგით: „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, ძირს კომუნები!“. კომუნებისა და არტელების შექმნას განსაკუთრებით დიდი წინააღმდეგობა გაუწია **საშუალო გლეხობამ**. მიუხედავად ამისა, კომუნების შექმნა მაინც მიმდინარეობდა. 1920 წლის ბოლოსათვის რუსეთში 6 ათასი კომუნა და კიდევ 5 ათასი სხვა ტიპის კოლექტიური მეურნეობა არსებობდა. მათი უმრავლესობა წამგებიანი იყო.

3. **მრეწველობის მართვის ცენტრალიზაცია.** 1919 წლის 1 ოქტომბრისათვის საბჭოთა რუსეთში ნაციონალიზებული (სახელმწიფოს ხელში გადასული) იყო 2522 სამრეწველო საწარმო, ანუ მთელი საწარმოების ნახევარი. ეს იყო მსხვილი და საშუალო ფაბრიკა-ქარხნები, რომლებშიც 750 ათასზე მეტი მუშა იყო დასაქმებული.

სამრეწველო საწარმოების მართვა სულ უფრო და უფრო **ცენტრალიზებული** ხდებოდა. ეს მარტო სამხედრო შეკვეთების დროული შესრულებით არ იყო განპირობებული. ვ. ლენინის და სხვა ბოლშევიკი ლიდერების აზრით, ეს სოციალიზმის ბუნებიდან გამომდინარეობდა.

სამრეწველო საწარმოების ნაციონალიზაციამ და მრეწველობის მართვის ცენტრალიზაციამ მრავალი უარყოფითი შედეგი გამოიღო. **შემცირდა მუშათა კლასის რაოდენობა.** 1920 წლისათვის რუსეთის საფეიქრო წარმოებაში დასაქმებული იყო 1913 წლისათვის დასაქმებული მუშების 27,3%, მეტალურგების 78,7%, მეშახტეების 56,5%. 1920 წლისათვის 1917 წელთან შედარებით პეტროგრადის მუშათა კლასის რაოდენობა 282,2 ათასით შემცირდა, მოსკოვისა — 117 ათასით. სამაგიეროდ, გაიზარდა არამწარმოებლურ სფეროში დასაქმებულთა (მომსახურე პერსონალის) რაოდენობა. 1913 წელს რუსეთში ყოველ 100 მუშაზე 8,1 მომსახურე პერსონალი მოდიოდა, 1920 წლისათვის კი — 16. 1918 წლისათვის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს აპარატი შეადგენდა 2,5 ათას კაცს, ხოლო 1920 წლისათვის — 24 ათასს.

მრეწველობის მართვის ცენტრალიზაციას თან სდევდა წარმოებაში **უსასტიკესი დისციპლინის დამკვიდრება.** 1919 წლის 14 იანვრის დადგენილებით დისციპლინის დამრღვევი მუშა სასამართლოს გარეშე **საკონცენტრაციო ბანაკ**შიც კი შეიძლებოდა გაეგზავნათ. 1920 წლის 15 იანვრის დადგენილებით სამრეწველო საწარმოებში წითელი არმიის ჯარისკაცების გამოყენება იქნა ნებადართული.

სამრეწველო საწარმოებში სამხედრო კომუნიზმის პრინციპების დანერგვას მუშათა დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. პეტროგრადში, მოსკოვსა და სხვა დიდ ქალაქებში შიმშილისაგან სასოწარკვეთილი მუშები გაფიცვებს აწყობდნენ. 1919 წლის გაზაფხულზე **პეტროგრადში** გაფიცული იყო 15 სამრეწველო საწარმოს 34 ათასი მუშა. **ტულაში** მუშების გაფიცვა ძალის გამოყენებით შეწყვიტეს, დააპატიმრეს და სასამართლოს გადასცეს 290 გაფიცული.

4. **ახალი ეკონომიკური პოლიტიკა.** სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკამ **ეკონომიკის ძლიერი კრიზისი** გამოიწვია. მძიმე მრეწველობა განადგურების პირას იყო მისული. 1920 წელს 1913 წელთან შედარებით რუსეთის ეროვნული შემოსავალი 6,3 მილიონი მანეთიდან 885 ათას მანეთამდე დაეცა. გაჩანაგდა ტრანსპორტი. 1920 წლის დამდეგისათვის ორთქლმავლების 58% გამოსული იყო მწყობრიდან. შემცირდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. 1913 წლიდან 1920 წლამდე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ერთი მესამედით შემცირდა.

ეკონომიკური კრიზისი შეიძლებოდა პოლიტიკურ კრიზისში გადაზრდილიყო. ბოლშევიკებს ხელისუფლების დაკარგვის მუდმივი შიში ჰქონდათ. სწორედ ამიტომ, **1921 წლის მარტში სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკა ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ შეცვალა.** ახალი ეკონომიკური პოლიტიკა შემდეგ პრინციპებს ემყარებოდა: 1) სოფლად არსებული სასურსათო გაწერა შეიცვალა ნორმირებული, წინასწარ განსაზღვრული სასურსათო გადასახადით; 2) თავისუფალი ვაჭრობის აღიარება სოფელსა და ქალაქს შორის ურთიერთობის უმთავრეს ფორმად; 3) წვრილი საწარმოების კერძო მფლობელთა ხელში დატოვება; 4) კერძო მეწარმეთა მიერ შეზღუდული რაოდენობით დაქირავებული მუშების გამოყენების უფლების მიცემა; 5) შრომითი ვალდებულებების გაუქმება და მუშებისათვის დიფერენცირებული ფულადი ანაზღაურების დაწესება.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკა ხელს უწყობდა ეკონომიკის აღმავლობასა და სოციალური დაძაბულობის შენელებას.

§ 4. თეთრი მოძრაობა.

თეთრი მოძრაობა აერთიანებდა რუსეთის იმპერიისა და შემდგომ დროებითი მთავრობის

სამსახურში მყოფ **უმაღლეს სამხედრო ელიტას (გენერალიტეტს)**, რომლის მიზანი საბჭოთა ხელისუფლების დამხობა იყო. თეთრი მოძრაობა, ერთი საერთო მიზნის მიუხედავად, არ იზიარებდა ერთ პოლიტიკურ პლატფორმას. განსაკუთრებით დიდ უთანხმოებას იწვევდა რუსეთის პოლიტიკური მოწყობის საკითხი.

თეთრი მოძრაობა უმთავრესად **რუსეთის პატრიოტულ ძალებს** აერთიანებდა. მისი მიზანი იყო **ერთიანი და განუყოფელი რუსეთის** აღდგენა.

1. **მოხალისეთა არმიის შექმნა.** 1917 წლის 24-26 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების დროისათვის **ბიხოვის** ციხეში 19 ოფიცერი და 5 გენერალი იმყოფებოდა. კერძოდ, პატიმრობაში იყვნენ გენერლები: **ლავრ კორნილოვი, ანტონ დენიკინი, ალექსანდრე ლუკომსკი,** ივანე **რომანოვსკი** და **სერგეი მარკოვი.** გენერლების ციხიდან გაქცევა დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, რადგან ციხის დაცვა აშკარად თანაუგრძნობდა პატიმრებს. **მიხეილ ალექსეევის** ნაცვლად უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის შტაბის უფროსად სულ ცოტა ხნის წინ დანიშნული გენერალი **ნიკოლოზ დუხონინი** ასევე სიმპათიურად იყო განწყობილი გენერალ ლავრ კორნილოვისა და მისი თანამებრძოლებისადმი. 1917 წლის 19 ნოემბერს ნიკოლოზ დუხონინმა გენერლები ციხიდან გაათავისუფლა. ისინი სხვადასხვა გზით **დონის კაზაკთა ჯარებში** გაემგზავრნენ.

ნიკოლოზ დუხონინმა კარგად იცოდა, რომ გენერლების გათავისუფლებით თავი გაწირა, მაგრამ თავისი ქვეყნის **დიდ პატრიოტსა** და **მამაც გენერალს** ბოლშევიკთა ბატონობისაგან სამშობლოს ხსნა ეწადა. უნდა აღინიშნოს, რომ ნ. დუხონინს შეეძლო გენერლებთან ერთად გაქცეულიყო, მაგრამ მან ომის პირობებში შეუძლებლად მიიჩნია უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის მიტოვება. მეორე დღეს უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის შტაბში გამოცხადდა **ნ. კრილენკო,** რომელსაც ნ. დუხონინმა შტაბის საქმეები გადაუბარა. ამის შემდეგ იგი ნ. კრილენკოს ავტომობილით სადგურზე გაემგზავრა, სადაც წინასწარ მომზადებულმა მეზღვაურებმა გენერალი **ნიკოლოზ დუ-// ხონინი** მოკლეს. გენერლის ცხედარი მეზღვაურთა ბრბომ საშინლად შეურაცხყო.

1917 წლის ნოემბერ-დეკემბერში დონზე თავს იყრიდნენ რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან გაქცეული **ოფიცრები, იუნკრები, სტუდენტები, გიმნაზიის მოსწავლეები, საერთოდ, პატრიოტულად განწყობილი მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები.** მათი მიზანი იყო დონზე კაზაკთა ჯარების მხარდაჭერით დაეწყოთ ბრძოლა რუსეთის ხსნისათვის.

ქალაქ **ნოეოჩერკასკში,** დონის კაზაკთა ჯარების დედაქალაქში, ჩავიდა გენერალი **მიხეილ ალექსეევი.**

გენერალი მიხეილ ალექსეევი (1857-1918) დაიბადა ჯარისაკაცის ოჯახში. ორმოც წელზე მეტი მან სამხედრო სამსახურში გაატარა და გაიარა გზა პრაპორშჩიკიდან ინფანტერიის გენერლამდე. მ. ალექსეევს დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის იუნკერთა სასწავლებელი და გენერალური შტაბის აკადემია, მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში და რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომში. პირველი მსოფლიო ომის წლებში იყო სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის შტაბის უფროსი, ხოლო 1915 წლის 18 აგვისტოს დაინიშნა რუსეთის უმაღლესი მთავარსარდლის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის შტაბის (იგივე რუსეთის უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის) უფროსად. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის დროს მ. ალექსეევი იყო ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადადგომის ერთ-ერთი აქტიური მომხრე და ყველაფერს აკეთებდა, რათა გავლენა მოეხდინა იმპერატორზე. ამ მცდარ ნაბიჯს მ. ალექსეევი სიცოცხლის ბოლომდე ინანიებდა. 1917 წლის 11 მარტიდან 22 მაისამდე მ. ალექსეევი იყო რუსეთის არმიის უმაღლესი მთავარსარდალი და სასტიკი წინააღმდეგი იყო არმიის პოლიტიკაში ჩარევისა. გენერალ ლ. კორნილოვის ამბოხების ჩახშობის შემდეგ ა. კერენსკის თხოვნით მ. ალექსეევი რამდენიმე დღით კვლავ ასრულებდა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის შტაბის უფროსის მოვალეობას. მისი ბრძანებით დააპატიმრეს გენერალი ლ. კორნილოვი და მისი თანამებრძოლები. სამსახურიდან მეორედ გადადგომის შემდეგ მ. ალექსეევი სმოლენსკში ცხოვრობდა ოჯახთან ერთად. მ. ალექსეევი პეტროგრადში დაბრუნდა პრეზიდიუმენტის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, რომლის წევრადაც იგი მოსკოვის საზოგადო მოღვაწეთა თათბირზე აირჩიეს. გენერალი მიხეილ ალექსეევი 1918 წლის შემოდგომაზე ეკატერინოდარში გარდაიცვალა გულის ავადმყოფობის გართულების შედეგად.

გენერალი **მიხეილ ალექსეევი** ვარაუდობდა, რომ დონზე 30 ათასამდე ოფიცერს შეკრებდა. ოფიცერთა კორპუსი უნდა გამხდარიყო ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლი არმიის ბირთვი. მ. ალექსეევის ვარაუდი არ გამართლდა. 1917 წლის ზამთრის დამდეგისათვის დონზე მხოლოდ 2 ათასმა ოფიცერმა მოიყარა თავი. სამაგიეროდ, დონზე ჩავიდნენ ე.წ. **„მოსკოვის ცენტრის“** წარმომადგენლები, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები: **პ. მილიუკოვი, პ. სტრუვე,**

ალექსი კალედინი

მ. როძიანკო, გ. ტრუბეცკოი, მ. ფეოდოროვი. დონზე ჩავიდა ესერთა პარტიის ცნობილი მოღვაწე ბორის სავინკოვი, რომელიც ენერგიულად შეუდგა მოხალისეთა რაზმების შექმნას.

1917 წლის 6 დეკემბერს დონზე ჩააღწია გენერალმა ლავრ კორნილოვმა. სახელგანთქმული გენერლის დონზე გამოჩენას აღტაცებით შეხვდნენ რიგითი მოხალისეები. სამაგიეროდ, ლ. კორნილოვს ციოდ შეხვდა გენერალი მ. ალექსეევი, რომლის განკარგულებითაც 1917 წლის აგვისტოში ლ. კორნილოვი დააპატიმრეს. გარდა პირადი წყენისა, ლ. კორნილოვი სამართლიანად მიიჩნევდა, რომ მ. ალექსეევი იყო ვერაგი და ორპირი ადამიანი, რომელმაც უღალატა იმპერატორ ნიკოლოზ II-ს. თავის მხრივ, მ. ალექსეევს აშინებდა ლ. კორნილოვის დიდი ავტორიტეტი, მისი შეუპოვრობა და გამბედაობა.

ლავრ კორნილოვისა და მიხეილ ალექსეევის დაპირისპირებას შეიძლებოდა დიდი ზარალი მიეყენებინა დონზე დაწყებული თეთრი მოძრაობისათვის. ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად, დონზე ლ. კორნილოვის ჩასვლის შემდეგ, შედგა გენერლებისა და გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა თათბირი. გენერალ ანტონ დენიკინის აზრით, მ. ალექსეევისა და ლ. კორნილოვის შერიგება აუცილებელი იყო, რადგან მიხეილ ალექსეევის წასვლით მოხალისეთა არმიაში განხეთქილება მოხდებოდა, ხოლო ლავრ კორნილოვის გარეშე არმია საერთოდ დაიშლებოდა. ა. დენიკინის წინადადების საფუძველზე კომპრომისს მიაღწიეს: **სამხედრო-სტრატეგიული საკითხების გადაჭრა ლავრ კორნილოვს მიენდო, ხოლო სამოქალაქო საქმეებისა (მათ შორის საგარეო ურთიერთობა) — მ. ალექსეევს.** დონის ოლქის ჯარების ატამანად დაინიშნა გენერალი ალექსი კალედინი. ამრიგად, შეიქმნა გენერლების ტრიუმვირატი: **ლავრ კორნილოვი — მიხეილ ალექსეევი — ალექსი კალედინი.** ალექსი კალედინი იმავდროულად **დონის ოლქის მთავრობის** თავმჯდომარეც იყო.

1917 წლის 25 დეკემბერს, ქრისტეშობის დღეს, გენერალი ლავრ კორნილოვი შეუდგა მოხალისეთა არმიის სარდლის მოვალეობის შესრულებას. **25 დეკემბერი ითვლება მოხალისეთა არმიის შექმნის დღედ.** თავდაპირველად მოხალისეთა არმია მხოლოდ ნებაყოფლობით საწყისებზე იქმნებოდა. ყოველი მოხალისე წერილობით პირობას დებდა, რომ ოთხი თვის მანძილზე იმსახურებდა არმიაში და ამ ხნის მანძილზე სიტყვის შეუბრუნებლად შეასრულებდა მეთაურის ბრძანებას. 1917 წლის ნოემბერ-დეკემბერში მოხალისეები ხელფასს არ ღებულობდნენ. ხელფასების გაცემა დაიწყო 1918 წლის იანვრიდან. ოფიცერს თვეში 150 მანეთი ეძლეოდა, ჯარისკაცს — 50 მანეთი. მოხალისეთა არმიის ფინანსების რაოდენობა მხოლოდ შემოწირულობაზე იყო დამოკიდებული. ცოტა მოგვიანებით მოხალისეთა არმიას მატერიალური დახმარება აღმოუჩინა საფრანგეთმა. 1918 წლის დამდეგიდან მოხალისეთა არმიის სარდლობამ საკუთარი ფული დაბეჭდა და ამით **ხაზი გაუსვა თეთრი მოძრაობის საერთო-რუსულ ხასიათს.**

1918 წლის თებერვლისათვის მოხალისეთა არმიის რაოდენობა 3-4 ათასი ჯარისკაცითა და ოფიცრით განისაზღვრებოდა. არმიის სარდალი იყო გენერალი **ლ. კორნილოვი,** შტაბის უფროსი გენერალი ა. **ლუკომსკი.** მოხალისეთა არმიის ბირთვს შეადგენდა პირველი დივიზია, რომლის მეთაური იყო გენერალი ა. **დენიკინი,** შტაბის უფროსი გენერალი ს. **მარკოვი.** შემდგომში მოხალისეთა არმიის სარდლობაში მოხდა ცვლილება. გენერალ ა. **ლუკომსკის** ყუბანში გამგზავრების შემდეგ მოხალისეთა არმიის შტაბის უფროსი გახდა გენერალი ი. **რომანოვსკი,** ხოლო გენერალმა ა. **დენიკინმა** არმიის სარდლის მოადგილის თანამდებობა დაიკა-

ვა. გენერალი **ს. მარკოვი** არმიის ავანგარდის, ოფიცერთა პირველი პოლკის მეთაურად დაინიშნა.

მოხალისეთა არმიის მიზნები ჩამოყალიბდა ორ დოკუმენტში: 1917 წლის 27 დეკემბრის **დეკლარაციაში** და ლ. კორნილოვის **„პროგრამაში“** (1918 წლის იანვარი). დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ სამხრეთ რუსეთში უნდა შექმნილიყო **„ბოლშევიკურ-გერმანული შემოსევის“** წინააღმდეგ ბრძოლისთვის ბაზა. მოხალისეთა არმიის ბრძოლას დეკლარაცია განიხილავდა, როგორც მსოფლიო ომის გაგრძელებას. **ბოლშევიკების ხელისუფლების დამხობის შემდეგ გათვალისწინებული იყო დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩატარება, რომელიც განსაზღვრავდა რუსეთის მომავალს.** მეორე დოკუმენტი — ლ. კორნილოვის პროგრამა — უფრო ვრცელი იყო. მასში ჩამოყალიბებული იყო თეთრი მოძრაობის მიზნები. კერძოდ, პროგრამა ითვალისწინებდა შემდეგს: 1) კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა; 2) სიტყვისა და პრესის თავისუფლება; 3) კერძო საკუთრების აღდგენა; 4) მუშათა კლასისათვის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის მონაპოვრის (პროფკავშირების შექმნა, გაფიცვის უფლება და ა.შ.) შენარჩუნება; 5) დაწყებითი სავალდებულო განათლების შემოღება; 6) სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფა. აგრარული საკითხის გადაჭრა დამფუძნებელი კრების პროგრამატივად იქნა აღიარებული. დამფუძნებელი კრების მოწვევამდე მიწების თვითნებურად მიტაცება „მიუღებლად“ იყო მიჩნეული. პროგრამაში აღნიშნული იყო, რომ რუსეთს უნდა შეესრულებინა სხვა სახელმწიფოების მიმართ წინათ ნაკისრი ყველა ვალდებულება და ებრძოლა ომში გამარჯვებამდე. **რუსეთში მცხოვრებ არარუს ერებს პროგრამა ადგილობრივი ავტონომიური მმართველობის დაკანონებას ჰპირდებოდა.** ამასთან, პროგრამაში აღნიშნული იყო, რომ ამ ავტონომიებს არ უნდა დაერღვია რუსეთის სახელმწიფოს „ერთიანობა“.

ამრიგად, თეთრი მოძრაობის ორივე საპროგრამო დოკუმენტით ორი მთავარი აზრი გამოიკვეთა: **პირველი.** რუსეთის სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნება; **მეორე.** რუსეთის მომავალი პოლიტიკური მოწყობის გაურკვევლობა. ეს ყველა ანტიბოლშევიკური ძალის გაერთიანების საშუალებას იძლეოდა, მაგრამ, უმნიშვნელოვანესი საკითხების გაურკვევლობა განხეთქილების საშიშროებასაც ქმნიდა.

1918 წლის დამდეგიდან სამხრეთ რუსეთში ვითარება შეიცვალა. წითელმა არმიამ **როსტოვსა** და **ნოვოჩერკასკს** შეუტია. კაზაკებმა წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლა არ ისურვეს. **დონბასის** მუშებმა მოხალისეთა არმიის მიმართ მტრული პოზიცია დაიკავეს და აშკარა თანაგრძნობა გამოუცხადეს საბჭოთა წყობილებას. 1918 წლის 15 იანვარს როსტოვში შედგა **ტრიუმვიატის** (ლ. კორნილოვი, მ. ალექსეევი, ა. კალედინი) ბოლო სხდომა. კაზაკების საბოტაჟით აღშფოთებული ატამანი **ალექსი კალედინი** აშკარად სულიერ დეპრესიაში ჩავარდნილიყო. **მიხეილ ალექსეევი** წარუმატებლობის შემთხვევაში მზად იყო, მოხალისეთა არმია ვოლგისპირეთში გადაეყვანა.

1918 წლის 28 იანვარს გენერალი **ლავრ კორნილოვი** საბოლოოდ დარწმუნდა, რომ დონის კაზაკების მხარდაჭერის გარეშე მოხალისეთა არმია დაიღუპებოდა. ლ. კორნილოვმა დონის ოლქის ტერიტორიის დატოვება გადაწყვიტა, რის შესახებაც იმავე დღეს ტელეგრამით აცნობა ა. კალედინს. ა. კალედინმა 29 იანვარს **დონის ოლქის მთავრობა** შეკრიბა და მთავრობის წევრებს განუცხადა, რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად დონის ოლქში სულ 147 მებრძოლის შეკრება გახდა შესაძლებელი. მთავრობის სხდომის დამთავრების შემდეგ **ალექსი კალედინმა** თავი მოიკლა.

დონის ოლქის ჯარების ახალმა ატამანმა, გენერალმა **ა. ნაზაროვმა** გადამჭრელ ზომებს მიმართა. მისი ბრძანებით დაიწყო კაზაკთა **საყოველთაო მობილიზაცია.** მიუხედავად ამისა, ა. ნაზაროვმა ვერ შეძლო წითელი არმიის მიერ **ვ. ანტონოვ-ოვსეენკოს** წინამძღოლობით **როსტოვზე** დაწყებული შეტევის მოგერიება. როსტოვში წითლების მხარდაჭერის მიზნით მუშათა აჯანყება დაიწყო. ასეთ რთულ ვითარებაში 1918 წლის 9-10 თებერვალს ღამით მოხალისეთა არმიამ როსტოვი დატოვა და **დონის სტეპებისაკენ** გაემართა. ასე დაიწყო **ყუბანის პირველი, ანუ „ყინულოვანი“ ლაშქრობა.** ეს მოხალისეთა არმიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახელგანთქმული ლაშქრობა იყო.

1918 წლის 12 თებერვალს მოხალისეთა არმიის სარდალმა **ლავრ კორნილოვმა** სამხედრო საბჭო მოიწვია და ყუბანში ლაშქრობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. არმია ყუბანის ცენტრის — **ეკატერინოდარისაკენ** გაემართა, რომელიც ჯერ კიდევ არ დაეკავებინა წითელ არმიას. სწორედ ყუბანში აპირებდა ლ. კორნილოვი მოხალისეთა არმიისათვის ბაზის შექმნას.

მოხალისეთა არმიის ყუბანის პირველი ლაშქრობა სამი თვე გრძელდებოდა, რომლის დრო-

საც არმიამ დაახლოებით ათასი ვერსი გაიარა. ბრძოლებში დაიღუპა 400 ჯარისკაცი და ოფიცერი, ხოლო დაახლოებით 500 კაცი დაიჭრა. 1918 წლის 31 მარტს წითელი არმიის მიერ დაკავებული ეკატერინოდარისათვის ბრძოლაში მოკლეს მოხალისეთა არმიის სარდალი გენერალი **ლავრ კორნილოვი**. ბოლშევიკების მხრიდან ცხედრის შეურაცხყოფის შიშით თანამებრძოლებმა გენერალი მალულად დაკრძალეს, ხოლო საფლავის კვალი საგანგებოდ წაშალეს. მეორე დღეს ბოლშევიკებმა საფლავი მაინც იპოვეს და დიდი რუსი პატრიოტის, სახელმოხვეჭილი გენერლის ცხედარი აბუჩად აიგდეს.

მოხალისეთა არმიის სარდალი გენერალი **ანტონ დენიკინი** გახდა.

გენერალი ანტონ დენიკინი (1872-1947) ოფიცრის შვილი იყო. დამთავრებული ჰქონდა კიევის იუნკერთა სასწავლებელი და გენერალური შტაბის აკადემია. მონაწილეობდა რუსეთ–იაპონიის ომში (1904-1905 წწ.). პირველი მსოფლიო ომის წლებში იყო ჯერ დივიზიის მეთაური, ხოლო შემდეგ მერე საარმიო კორპუსის სარდალი. 1917 წელს დანიშნა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის შტაბის უფროსად, ხოლო შემდეგ – სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის მთავარსარდლად. 1917 წლის აგვისტოში გენერალ ლ. კორნილოვის ამბოხებაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს და მოათავსეს ბიხოვის ციხეში, საიდანაც 1917 წლის ნოემბერში გაიქცა დონზე. ა. დენიკინი იყო მოხალისეთა არმიის ერთ-ერთი ორგანიზატორი. გენერალ ლ. კორნილოვის დაღუპვის შემდეგ (1918 წლის 31 მარტი) მოხალისეთა არმიის სარდალი გახდა, ხოლო 1918 წლის 26 დეკემბრიდან – სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. 1919 წლის ზაფხულში ა. დენიკინმა ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა წითელი არმიის ნაწილებთან ბრძოლაში, მაგრამ 1920 წლის ზამთარში განცდილი მარცხის შემდეგ, იმავე წლის 22 მარტს მთავარსარდლობა გენერალ პეტრე ვრანგელს გადაბარა, ხოლო თვითონ ემიგრაციაში გაემგზავრა.

ა. დენიკინმა ეკატერინოდარს ალყა მოხსნა და ჯარები **დონზე** დაბრუნა. 1918 წლის აპრილში დონზე კაზაკებმა ბოლშევიკების წინააღმდეგ აქტიური გამოსვლები დაიწყეს. კაზაკების გამოსვლებით ისარგებლა ა. დენიკინმა და ეკატერინოდარიდან როსტოვამდე რამდენიმე ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა წითელი არმია. ყუბანის პირველი ლაშქრობის დაწყების დროისათვის მოხალისეთა არმიაში 3,5 ათასი კაცი ირიცხებოდა, ხოლო ლაშქრობის დასასრულისათვის – 5 ათასი. ამ ლაშქრობის დროს მოხალისეთა არმია საბოლოოდ ჩამოყალიბდა, შეივსო და სერიოზული გამოცდილებაც შეიძინა.

ბოლშევიკები არაადამიანური სისასტიკით ცდილობდნენ მოსახლეობის დაშინებას, რათა მოხალისეთა არმიისათვის დასაყრდენი მოესპოთ. ამ მიზნით მათ დახვრიტეს ტყვედ ჩავარდნილი დონის ოლქის კაზაკთა ატამანი, გენერალი ა. **ნაზაროვი** და დონის ჯარების სხვა გამოჩენილი მოღვაწეები.

2. **ალექსანდრე კოლჩაკი – რუსეთის უმაღლესი მმართველი.** 1918 წლის შემოდგომისათვის ურალსა და ციმბირში დაწყებული ანტიბოლშევიკური მოძრაობა სერიოზულ კრიზისს განიცდიდა. 1918 წლის სექტემბერში **უფაში** შექმნილი **სრულიად რუსეთის დროებითი მთავრობა – დირექტორია** (ნ. ავქსენტიევი, ვ. ზენზინოვი, ჰ. ვოლოგოდსკი, ვ. ვინოგრადოვი, ვ. ბოლდირევი) პოპულარობით ვერ სარგებლობდა. პატრიოტულად განწყობილი ოფიცრობა და საზოგადო მოღვაწეთა ნაწილი ხედავდა, რომ დამფუძნებელი კრების მოწვევის მოთხოვნით ბოლშევიკების მთავრობა არ დაემხობოდა. ბოლშევიკებთან ბრძოლა აუცილებლად მოითხოვდა ძლიერ ხელისუფალს – **სამხედრო დიქტატორს**.

1918 წლის 17-18 ნოემბერს ღამით **ომსკში**, სადაც უფიდან გადავიდა ბოლშევიკებისაგან დევნილი სრულიად რუსეთის დროებითი მთავრობა (დირექტორია), გადატრიალება მოხდა. დირექტორიის წევრები ნ. ავქსენტიევი და ვ. ზენზინოვი დააპატიმრეს. ხელისუფლება ხელთ იგდო საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა **ალექსანდრე კოლჩაკმა**.

ალექსანდრე კოლჩაკი (1874-1920) – რუსეთის უმაღლესი მმართველი მრავალმხრივი ტალანტით დაჯილდოებული ადამიანი იყო. იგი სამხედრო ფლოტის ოფიცრის ოჯახში დაიბადა. ა. კოლჩაკმა 1894 წელს დამთავრა საზღვაო კადეტთა კორპუსი და ფლოტში სამსახური დაიწყო. 1896-1899 წლებში მსახურობდა წყნარი ოკეანის ფლოტში, სერიოზულად იყო დაინტერესებული ჰიდროლოგიით, სწავლობდა უცხო ენებს. 1899 წლიდან მონაწილეობდა პოლარულ ექსპედიციებში, იყო არქტიკის გამოჩენილი მკვლევარი. 1906 წელს ა. კოლჩაკი აირჩიეს რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების ნამდვილ წევრად, დაჯილდოებული იყო ამ საზოგადოების უმაღლესი ჯილდოთი – კონსტანტინეს დიდი ოქროს მედლით. კარიბის ზღვის ერთ-ერთ კუნძულს ალექსანდრე კოლჩაკის სახელი ეწოდა (XX საუკუნის 30-იან წლებში კუნძულს სახელი შეუცვალეს და რასტორგუევის სახელი უწოდეს). რუსეთ-იაპონიის ომის (1904-1905 წწ.) დროს იბრძოდა პორტ-არტურში, დაჯ-

რა და ტყვედ ჩაუარდა იაპონელებს. 1905 წლის აპრილში დაბრუნდა პეტროგრადში. დაჯილდოებული იყო წმინდა ანას IV ხარისხის ორდენით, ოქროს ხმლითა და წმინდა სტანისლავის II ხარისხის ორდენით. 1906-1909 წლებსა და 1911-1914 წლებში მუშაობდა საზღვაო სამინისტროს გენერალურ შტაბში და უშუალოდ მონაწილეობდა რუსეთის ფლოტის აღორძინების პროგრამის შემუშავებაში. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ იყო ბალტიის სამხედრო ფლოტის ოპერატიული განყოფილების უფროსი, საზღვაო დივიზიის მეთაური. 1916 წლის ივლისში ვიცე-ადმირალი ა. კოლჩაკი დანიშნა შავი ზღვის სამხედრო ფლოტის მთავარსარდლად. იყო ნიკოლოზ I-ის ტახტიდან გადადგომის სასტიკი წინააღმდეგი. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ დროებითმა მთავრობამ მიავლინა საზღვარგარეთ (ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიასა და ჩინეთში). 1918 წლის ოქტომბერში ა. კოლჩაკი ომსკში ჩავიდა და 4 ნოემბერს დანიშნა სრულიად რუსეთის დროებითი მთავრობის (დირექტორიის) სამხედრო და საზღვაო საქმეთა მინისტრად.

ციმბირში გადატრიალების შემდეგ მთელი ძალაუფლება ადმირალ ალექსანდრე კოლჩაკის ხელში გადავიდა. იგი გახდა რუსეთის უმაღლესი მმართველი და უმაღლესი მთავარსარდალი. სამხედრო საქმეებს ა. კოლჩაკი პირადად განაგებდა, ხოლო სამოქალაქო საქმეების მართვის მიზნით გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებისაგან შეიქმნა **საბჭო** (პ. ვოლოგოდსკი, ა. გატენბერგი, ი. კლიუჩნიკოვი, გ. ტელბერგი, მ. მიხაილოვი). საბჭოში კადეტური ორიენტაციის მოღვაწეები ჭარბობდნენ, რომელთაც წამოაყენეს ლოზუნგი – **„დიქტატურა დემოკრატიისათვის“**. ამ ლოზუნგმა საკმაოდ დიდი მხარდაჭერა პოვა მოსახლეობაში. ა. კოლჩაკის გარშემო გაერთიანდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები მემარჯვენე სოციალისტებიდან დაწყებული მონარქისტებით დამთავრებული.

ალექსანდრე კოლჩაკი ცდილობდა ყოველგვარ პარტიულ ინტერესებზე მაღლა დამდგარიყო და რუსეთის საერთო-სახელმწიფოებრივი და საერთო-ეროვნული იდეის გამომხატველი ყოფილიყო. ხელისუფლების სათავეში მოსვლის პირველსავე დღეს ა. კოლჩაკმა მოწოდებით მიმართა რუსეთის მოსახლეობას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი არ წავიდოდა რეაქციისა და დამღუპველი პარტიულობის გზით. ა. კოლჩაკი რუსეთის მოსახლეობას აუწყებდა: „ჩემი უმთავრესი მიზანია ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნა, ბოლშევიკებზე გამარჯვება, კანონიერებისა და წესრიგის აღდგენა, რათა ხალხს დაუბრკოლებლად შეეძლოს მმართველობის იმ ფორმის არჩევა, რომელსაც ის ისურვებს“. ა. კოლჩაკმა მიუღებლად მიიჩნია გ. ლვოვისა და ა. კერენსკის მთავრობათა პოლიტიკა, რომლის მიზანი იყო ყველა სოციალური ფენისა და პოლიტიკური პარტიის (მათ შორის უკიდურესი რადიკალების) მიმხრობა. მიუხედავად ამისა, ა. კოლჩაკის მთავრობაში წამყვან როლს კადეტები ასრულებდნენ. მათ შეიმუშავეს საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი.

ალექსანდრე კოლჩაკის რეჟიმის ოფიციალური იდეოლოგია იყო **„ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“** აღდგენა, ხოლო მისი შემადგენელი ელემენტები – **პატრიოტიზმი, ანტიბოლშევიზმი** და **ზეპარტიულობა**. მიუხედავად ამისა, ა. კოლჩაკის მთავრობის მიერ მიღებული სოციალური და ეკონომიკური ხასიათის კანონები არ იძლეოდა მოსახლეობაში მტკიცე დასაყრდენის შექმნის საშუალებას, რის გარეშეც ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი ძალების მობილიზება შეუძლებელი იყო. **რუსეთისა და კონკრეტულად ციმბირის მოსახლეობაში საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების მიერ მიღებული დეკრეტები და კანონები, თავისი დემაგოგიური და პოპულისტური ხასიათის გამო, დიდ მხარდაჭერას პოულობდა.** ა. კოლჩაკის მთავრობა აგრარული საკითხის გადაჭრას სამოქალაქო ომის დასრულებისა და ბოლშევიკების დამარცხების შემდეგ გეგმავდა, მაშინ როცა სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობამ დეკრეტი მიწის შესახებ დაუყოვნებლივ, სახელმწიფო გადატრიალებისთანავე მიიღო. მართალია, **დეკრეტი მიწის შესახებ პრაქტიკულად სანახევროდაც არ განხორციელებულა (და არც შეიძლებოდა განხორციელებულიყო), მაგრამ ვ. ლენინსა და ბოლშევიკებს ამ დეკრეტმა გლეხობაში დიდი პოპულარობა მოუტანა. სწორედ ამიტომ რუსეთის გლეხობა, მათ შორის ციმბირის გლეხობაც, მტრულად შეხვდა თეთრ მოძრაობას.** 1919 წლის ზაფხულისათვის ა. კოლჩაკის ხელისუფლების წინააღმდეგ ციმბირის პარტიზანულ რაზმებში 40 ათასამდე გლეხი იბრძოდა. ა. კოლჩაკის არმიის ნაწილი ენისეის, **ტობოლსკისა** და სხვა გუბერნიებში გლეხთა პარტიზანული რაზმების წინააღმდეგ ბრძოლით იყო დაკავებული.

1919 წლის გაზაფხულზე მოპოვებულმა დიდმა გამარჯვებებმა ალექსანდრე კოლჩაკი თეთრი მოძრაობის წინამძღოლთა შორის ყველაზე წინ დააყენა. რუსეთის უმაღლესი მმართველის ხე-

ლისუფლება ცნეს თეთრი მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწეებმა: ა. **დენიკინმა** (სამხრეთ რუსეთი), ე. **მილერმა** (ჩრდილოეთ რუსეთი), ნ. **იუდენიჩმა** (ჩრდილო-დასავლეთ რუსეთი). ა. კოლჩაკის ხელისუფლებას დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი ჰქონდა. არ იყო გამორიცხული ა. კოლჩაკის მთავრობის საერთაშორისო აღიარება. ა. კოლჩაკს ფინანსურ დახმარებას უწევდა ანტანტის ქვეყნები. ინგლისმა ა. კოლჩაკის მთავრობას 100 მილიონი ფუნტი სტერლინგი გამოუყო, ხოლო საფრანგეთმა — 700 მილიონი ფრანკი. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ა. კოლჩაკს ხელში ჩაუვარდა რუსეთის იმპერიის ოქროს მარაგის მნიშვნელოვანი ნაწილი.

დიდი მამულიშვილი ადმირალი ალექსანდრე კოლჩაკი კარგად ხედავდა, რომ უცხოეთის ინტერვენცია ლახავდა რუსი ხალხის ეროვნულ გრძნობას, ხოლო უცხო ქვეყნების დახმარება სულაც არ იყო უანგარო. ამიტომ იყო, რომ **ანტანტასთან ურთიერთობაში ა. კოლჩაკი ძალზე ფრთხილობდა, არ სურდა რუსეთისათვის არახელსაყრელი ვალდებულებების აღება, განსაკუთრებით აშინებდა უცხოელთა მიერ რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა.** 1919 წლის ზაფხულში ფინელმა გენერალმა **კარლ ჰუსტავ მანერჰეიმმა** ალექსანდრე კოლჩაკს სამხედრო დახმარება შესთავაზა. ამ დროისათვის გენერალი ნ. **იუდენიჩი** პეტროგრადის დაკავებას ცდილობდა, მაგრამ წითელი არმიის წინააღმდეგობა ვერ დაძლია. კ. მანერჰეიმმა ა. კოლჩაკს აცნობა, რომ ნ. იუდენიჩს 100-ათასიან დამხმარე ძალას გაუგზავნიდა, თუ ა. კოლჩაკი სანაცვლოდ ფინეთის დამოუკიდებლობას ცნობდა. ა. კოლჩაკმა ეს წინადადება არ მიიღო.

1919 წლის შუა ხანებიდან ა. კოლჩაკის არმიამ რამდენიმე სერიოზული მარცხი იწვნია. დასავლეთ ციმბირში წითელი არმიის შესვლის შემდეგ ა. კოლჩაკმა თავისი რეზიდენცია ომსკიდან **ირკუტსკში** გადიტანა. ირკუტსკში ა. კოლჩაკი ჩეხოსლოვაკთა კორპუსის სარდლობის ფაქტობრივ ტყვეობაში აღმოჩნდა. მართალია, მას უსაფრთხოების გარანტია აღუთქვეს, მაგრამ 1920 წლის 14-15 იანვრის ღამით ირკუტსკში მყოფი საფრანგეთის საექსპედიციო ჯარების სარდლის გენერალ **ჟანენის** ბრძანებით ჩეხოსლოვაკთა კორპუსის სარდლობამ ა. კოლჩაკი ირკუტსკის **პოლიტიკურ ცენტრს** გადასცა. თავის მხრივ, პოლიტცენტრმა ა. კოლჩაკი ირკუტსკის ბოლშევიკურ **სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტს** გადასცა. 1920 წლის 7 თებერვალს ა. კოლჩაკი და მისი მთავრობის პრემიერი ვ. პეპელაევი ბოლშევიკებმა დახვრიტეს.

3. **პეტრე ვრანგელის რეფორმატორული მოღვაწეობა.** 1920 წლის 22 მარტს სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გახდა გენერალი **პეტრე ვრანგელი.** ა. დენიკინმა თავის მემკვიდრეს დაუტოვა დამარცხებული და რწმენადაკარგული არმია. თეთრი მოძრაობის ისტორიაში დაიწყო ახალი და ბოლო ეტაპი (1920 წლის მარტი-ნოემბერი). იგი გენერალ **პეტრე ვრანგელის** სახელთანაა დაკავშირებული.

*ბარონი **პეტრე ვრანგელი** (1878-1928) რუსეთის ცნობილი არისტოკრატიული საგვარეულოდან იყო. მისი წინაპრები ერთგულად ემსახურებოდნენ რუსეთს. ერთგულად ემსახურა რუსეთს პეტრე ვრანგელიც. 1901 წელს პ. ვრანგელმა დაასრულა სამთო ინსტიტუტი, შემდეგ გახდა პროფესიონალი სამხედრო. მსახურობდა გვარდიაში, 1910 წელს დასრულა გენერალური შტაბის აკადემია. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიისა და პირველ მსოფლიო ომებში. იყო საკავალერიო კორპუსის მეთაური. 1918 წელს პ. ვრანგელი შევიდა მოხალისეთა არმიაში, იყო კავკასიის არმიისა და მოხალისეთა არმიის სარდალი. სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების სარდლობაში არსებული დაპირისპირების გამო ა. დენიკინმა პ. ვრანგელი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა და სტამბოლში გაგზავნა. მიუხედავად ამისა, ა. დენიკინმა ემიგრაციაში წასვლის წინ პეტრე ვრანგელი თავის მემკვიდრედ დატოვა.*

პეტრე ვრანგელს ჩამოყალიბებული ჰქონდა **რეფორმების პროგრამა,** რომლის არსიც გამოიხატებოდა ლოზუნგში — **„მემარცხენე პოლიტიკა მემარჯვენე ხელით“.** საფუძვლიანი განათლების მქონე და ხალასი ნიჭით დაჯილდოებული პ. ვრანგელი ამავე დროს დიდი ნებისყოფის ადამიანი იყო. მისი აზრით, თეთრი მოძრაობის წინამძღოლების შეცდომების გამო ბოლშევიკებმა შეძლეს თეთრი არმიის დამარცხება. პ. ვრანგელი ჩასწვდა ამ მარცხის მიზეზებს და შესაბამისი დასკვნებიც გააკეთა: **პირველი.** შექმნილ ვითარებაში მოსკოვზე ლაშქრობა უაზრო და არარეალური იყო; **მეორე.** ერთიანი და განუყოფელი რუსეთის აღდგენამდე აუცილებელი იყო სამხრეთრუსული სახელმწიფოს შექმნა, რომელსაც შეიძლებოდა საკმაო ხანს ეარსება; **მესამე.** თეთრი მოძრაობისათვის აუცილებელი ძლიერი სოციალური ბაზის შექმნა.

პირველ რიგში, პეტრე ვრანგელმა არმიაში წესრიგის აღდგენა დაიწყო. სულ მოკლე ხანში დემობილიზებული და ერომანელთთან დაპირისპირებული სამხედრო ნაწილები მან სამ კორ-

პუსად გააერთიანა. კორპუსების მეთაურებად დაინიშნენ გამოცდილი გენერლები: **კუტეპოვი, სლაშჩევი** და **სიდოროვი**. რეორგანიზებულ არმიას პეტრე ვრანგელმა **„რუსული არმია“** უწოდა. 1920 წლის 25 მარტს სევასტოპოლში პ. ვრანგელმა თავისი ჯარების დათვალიერება მოაწყო, რასაც ოფიცრებისა და ჯარისკაცების საბრძოლო განწყობილების ამაღლება მოჰყვა.

ახალი პოლიტიკური კურსის შემუშავებაში პეტრე ვრანგელმა ბევრი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ჩართო. **პეტრე სტრუვე** განაგებდა საგარეო ურთიერთობებს. სწორედ მისი დამსახურება იყო ის, რომ 1920 წლის მაისში საფრანგეთმა პ. ვრანგელის მთავრობა (ყირიმის მთავრობა) **დე-ფაქტო** ცნო. ა. **კრივოშკინი** ხელმძღვანელობდა აგრარული რეფორმის გატარებას. რეფორმის მიზანი ძლიერი გლეხური მეურნეობის შექმნა იყო. რეფორმა გლეხებისათვის მიტაცებული მიწების დაკანონებასაც ითვალისწინებდა. პ. ვრანგელის მთავრობის აგრარული რეფორმის განხორციელება წარმატებით დაიწყო. გლეხებს შორის მიწების გადანაწილებამ დიდი მოწონება დაიმსახურა. ერთ გლეხურ კომლს 30 დესეტინიდან 100 დესეტინამდე მიწა ერგო, ზოგ მაზრაში ეს ნორმა კიდევ უფრო დიდი იყო.

აგრარულ რეფორმასთან ერთად პ. ვრანგელის მთავრობა საერობო რეფორმის გატარებასაც შეუდგა. **„სათემო მმართველობის დებულება“** ითვალისწინებდა გლეხთა **სათემო თვითმმართველობის** შექმნას. თემის საერობო მმართველობას **თემის ყრილობაზე** ირჩევდნენ. მას მინიჭებული ჰქონდა ადმინისტრაციული უფლებები. პეტრე ვრანგელის რეფორმატორული მოღვაწეობა ყირიმში წითელი არმიის შეჭრამ შეწყვიტა.

თეთრი მოძრაობა რუსეთის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. რუსეთის ისტორიის განუყოფელი ნაწილია თეთრი მოძრაობის წინამძღოლების, დიდი რუსი პატრიოტების: ლავრ კორნილოვის, ანტონ დენიკინის, ალექსანდრე კოლჩაკის, პეტრე ვრანგელის, უამრავი რუსი ოფიცრისა და ჯარისკაცის საგმირო საქმეები.

§ 5. საბჭოთა იმპერიის შექმნის სათაეებთან.

მონარქიის დამხობას რუსეთში იმპერიის სწრაფი დაშლა მოჰყვა. **ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება** და **ყოფილი იმპერიის** სივრცეში **დაწყებული ქაოსი** არარუს ერებს **კარგ შესაძლებლობას** აძლევდა **სახელმწიფოებრიობის აღსადგენად.**

1917 წლის მარტში **უკრაინის** ეროვნულმა ძალებმა შექმნეს ეროვნული ხელისუფლების ორგანო — **ცენტრალური რადა. ცენტრალური** რადა (საბჭო) უკრაინას ფაქტობრივად რუსეთის დროებითი მთავრობისაგან დამოუკიდებლად განაგებდა. 1917 წლის აპრილში საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა შექმნეს **საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო**, რომელიც ინტენსიურად იხილავდა საკითხს, თუ რა სახით უნდა შესულიყო საქართველო რუსეთში: ფედერაციული ერთეულის, ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიისა თუ კონფედერაციულ საწყისებზე. 1917 წლის მაისში აზერბაიჯანის ეროვნული პარტიის „მუსავატის“ ინიციატივით **სრულიად რუსეთის მუსლიმთა I ყრილობამ** მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა რუსეთის ფედერაციულ მოწყობას და ცალკეული ერებისათვის ავტონომიური მმართველობის უფლების მინიჭებას. იმავე მოთხოვნას დაუჭირა მხარი **რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის III ყრილობამ**, რომელიც 1917 წლის მაის-ივნისში გაიმართა. 1917 წლის ივნისში სრულიად **რუსეთის** მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების **საბჭოების I ყრილობამ** მხარი დაუჭირა **რუსეთში მცხოვრებ ერთა თვითგამორკვევას სრულ სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე.** ამასობაში უკრაინის ცენტრალურმა რადამ შექმნა **გენერალური სამდივნო**, რომელმაც უკრაინის ავტონომია გამოაცხადა. ა. **კერენსკიმ** ცნო უკრაინის ავტონომია, რასაც დროებითი მთავრობის ზემოთ ხსენებული კრიზისი მოჰყვა. პროტესტის ნიშნად მთავრობიდან გავიდნენ **კადეტი** მინისტრები. 1917 წლის სექტემბერში კიევში გაიმართა **რუსეთის ხალხთა წარმომადგენლების ყრილობა.** ყრილობას დროებითი მთავრობის თავმჯდომარემ ა. კერენსკიმ ტელეგრამა გაუგზავნა, რომელშიც აღნიშნული იყო: **„თავისუფალი რუსეთი მხოლოდ დეცენტრალიზებული შეიძლება იყოს“.** კიევის ყრილობას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ყრილობის დელეგატები, არარუსი ერების წარმომადგენლები, ცენტრალური ხელისუფლების გარეშე იხილავდნენ რუსეთის სახელმწიფოს მოწყობის საკითხს. ა. კერენსკის არ უნდოდა, რომ დაეშვა ყრილობის მოწვევა, მაგრამ, როცა ვერაფერს გახდა, ჩათრევას ჩაყოლა არჩია და ყრილობას ზემოთ ხსენებული ტელეგრამა გაუგზავნა. დელეგატები დროებითი მთავრობის ტელეგრამას სიცილით შეხვდნენ. ცხადი იყო, რომ ა. კერენსკის ბუნდოვანი დაპირება არარუს

ერებს არ აკმაყოფილებდათ. ცალკეული ხალხების ეროვნული მოძრაობა უფრო რადიკალურ მოთხოვნებს აყენებდა.

1917 წლის ოქტომბრისათვის რუსეთი რამდენიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაშლის საფრთხის წინაშე იდგა. დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფოდნენ **უკრაინა, პოლონეთი** და **ფინეთი**. ძლიერი ანტირუსული განწყობილება შეინიშნებოდა **ლიტვაში, ლატვიასა** და **ესტონეთში**. აშკარა იყო, რომ რუსეთის შემადგენლობაში ეროვნული ავტონომია აღარ აკმაყოფილებდათ **ქართველებს, აზერბაიჯანელებსა** და **სომხებს**. 1917 წლის 24-26 ოქტომბრის კოტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დაშლის საფრთხე კიდევ უფრო გაძლიერდა. ჯერ კიდევ 1917 წლის აპრილში რსდმპ (ბ) VII კონფერენციაზე **ვლადიმერ ლენინმა** განაცხადა: „ჩვენ სეპარატისტული მოძრაობის მიმართ გულგრილები, ნეიტრალურები ვართ. თუ ფინეთი, პოლონეთი, უკრაინა გამოეყოფა რუსეთს, ამაში ცუდი არაფერია". **იოსებ სტალინმა**, მართალია, გაიზიარა ვ. ლენინის შეხედულება, მაგრამ საკითხი ცოტა სხვაგვარად დააყენა. კონფერენციაზე გამოსვლისას მან აღნიშნა: „ერთა თავისუფალი გამოყოფის უფლების საკითხისა და ამა თუ იმ მომენტში ერის გამოყოფის აუცილებლობის საკითხის ერთმანეთში არევა შეუწყნარებელია. ეს საკითხი პროლეტარიატის პარტიამ ყოველ ცალკე შემთხვევაში სრულიად დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს, ვითარების მიხედვით... მე პირადად, მაგალითად, წინააღმდეგი ვიქნებოდი ამერიკაკავკასიის გამოყოფისა... მაგრამ ამერიკაკავკასიის ხალხებს მაინც რომ მოეთხოვათ გამოყოფა, ისინი, რასაკვირველია, გამოიყოფოდნენ, და ჩვენის მხრით წინააღმდეგობას არ შეხვდებოდნენ". **„რუსეთის ხალხთა უფლებათა დეკლარაციამ"** (1917 წლის 2 ნოემბერი), რომელიც ვ. ლენინისა და ი. სტალინის ხელმოწერით გამოქვეყნდა, იურიდიულად დააკანონა: **„ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, სრულ გამოყოფამდე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე"**. ვ. ლენინი და ბოლშევიკთა სხვა ლიდერები ერთა თვითგამორკვევას და დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნას მხოლოდ დემაგოგიური, პოპულისტური მოსაზრებებით უჭერდნენ მხარს. ისინი ვარაუდობდნენ, რომ რუსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად სწრაფად არ დაიშლებოდა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ თავიანთ დანაპირებს უკან წაიღებდნენ. ბოლშევიკთა ლიდერების ეს ვარაუდი არ გამართლდა.

უკრაინაში სულ უფრო ძლიერდებოდა ანტირუსული განწყობილება. **ფინეთის** ეროვნული ძალები აშკარად ითხოვდნენ რუსეთისაგან გამოყოფას. 1917 წლის 15 ნოემბერს ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნით **ამიერკავკასია** ფაქტობრივად გაემიჯნა რუსეთს. ბოლშევიკებმა რუსეთის დაშლის საშიშროება აშკარად შეიგრძნეს და იძულებული გახდნენ ეროვნული პოლიტიკა შეეცვალათ — უკან წაეღოთ დემაგოგიური, პოპულისტური დაპირებები. საბჭოთა ხელისუფლება დონელ კაზაკებს ატამან ა. **კალედინის** წინააღმდეგ ბრძოლის სანაცვლოდ დონის ოლქის **ავტონომიას** დაპირდა. კაზაკებმა პირობა შეასრულეს. 1917 წლის დეკემბერში ი. სტალინმა კაზაკების დელეგაციას პირობის შესრულებაზე უარი განუცხადა. 1918 წლის იანვარში, სრულიად რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების III ყრილობაზე გამოსვლისას, ი. **სტალინმა** ბოლშევიკების ეროვნული პროგრამა ასე დააკონკრეტა: „ჩვენ ვცნობთ თვითგამორკვევას, მაგრამ არა როგორც თვითმიზანს, არამედ როგორც სოციალიზმზე გადასვლის საშუალებას". ეს სერიოზული უკანდახევის მაუწყებელი იყო.

ბრესტ-ლიტოვსკის ზავის (1918 წლის 3 მარტი) შემდეგ, ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღმოცენება მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენდა საბჭოთა იმპერიის შექმნის გზაზე. **დაწყებული პროცესის შეჩერება უკვე ძნელი** იყო. საბჭოთა რუსეთის მთავრობას დიდი სირთულეები ელოდა არა მარტო განაპირა მხარეებში — ეროვნულ რეგიონებში (უკრაინა, პოლონეთი, ფინეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი), არამედ ვოლგისპირეთში, ჩრდილო კავკასიაში, სადაც რუსებს მუსლიმები სჭარბობდნენ. მიუხედავად ამისა, ბოლშევიკები მაინც შეეცადნენ წინ აღდგომოდნენ მათ მიერ აღიარებულ ერთა თვითგამორკვევის უფლების რეალიზებას. ვ. **ლენინის მითითებით დაიწყო არარუსი ერების ისტორიულ ტერიტორიაზე მცხოვრები რუსების საპროტესტო მოძრაობა**. 1918 წლის მარტში, **თათრეთ-ბაშკირეთის რესპუბლიკის** გამოცხადების შემდეგ სამხრეთ ურალის რუსი მუშებისა და გლეხების ყრილობამ პროტესტი გამოთქვა თათრეთ-ბაშკირეთის რესპუბლიკის შექმნის გამო და მოსკოვს მის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდა. 1918 წლის გაზაფხულზე

ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულმა საბჭომ, რომელშიც წამყვან როლს რუსი ოფიცრები და სამღვდელოება ასრულებდა, დიდი წინააღმდეგობა გაუწია **ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის** შექმნას და საშველად ისევ მოსკოვის ხელისუფლებას უხმო. რუსი მოსახლეობა ძალზე აქტიურობდა **უკრაინაში, აზერბაიჯანში, ჩრდილო კავკასიაში.**

საბჭოთა რუსეთის კონსტიტუცია (პირველი საბჭოთა კონსტიტუცია) აღიარებდა **რუსეთის ფედერაციულ მოწყობას,** მაგრამ მინიმუმამდე დაჰყავდა ფედერაციის სუბიექტების უფლებები. ეს, ცხადია, აშინებდა არარუს ერებს, განსაკუთრებით მუსლიმ ხალხებს. უნდა აღინიშნოს, რომ ვერც **თეთრმა მოძრაობამ შეიმუშავა რუსეთში ეროვნული საკითხის გადაჭრის ისეთი პროგრამა, რომელიც მისაღები იქნებოდა არარუსი ერებისათვის.** ეს თეორი მოძრაობის დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

სამოქალაქო ომის ფრონტებზე 1918-1920 წლებში მოპოვებულმა გამარჯვებებმა საბჭოთა რუსეთის მთავრობას საშუალება მისცა რუსეთის იმპერიის ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე გაავრცელებინა თავისი ხელისუფლება. **ე.წ. „საბჭოთა ხელისუფლების" დამყარება ფაქტობრივად ველიკოროსიის ტერიტორიაზე მცხოვრები არარუსი ერების დაპყრობას ნიშნავდა.** კიდევ უფრო აშკარად დაპყრობით ხასიათს ატარებდა **უკრაინის ცენტრალური რადის** ხელისუფლების დახრობა. სამოქალაქო ომის ძლევამოსილად დასრულების პროცესში მოსკოვის სერიოზულ მარცხს წარმოადგენდა ის, რომ 1918 წლიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას ინარჩუნებდა **საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი** და **ფინეთი.** ანტანტასთან, კერძოდ, ინგლისთან და თურქეთთან მორიგების შემდეგ 1920 წლის აპრილში საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო **აზერბაიჯანი,** 1920 წლის ნოემბერში **სომხეთი,** 1921 წლის თებერვალ-მარტში — **საქართველო.** შექმნილმა საერთაშორისო ვითარებამ საბჭოთა რუსეთს საშუალება არ მისცა დაეპყრო **ლიტვა, ლატვია, ესტონეთი** და **ფინეთი.** ეს ახალი საბჭოთა იმპერიის შექმნის გზაზე ბოლშევიკების სერიოზული წარუმატებლობის მაუწყებელი იყო. მიუხედავად ამისა, რომანოვების იმპერიის ნამსხვრევებზე ახალი იმპერიის შექმნისათვის საფუძველი უკვე არსებობდა.

§ 6 პოლიტიკური რეპრესიების დასაწყისი. საკონცენტრაციო ბანაკების შექმნა.

პოლიტიკური რეპრესიები რუსეთში დაიწყო 1917 წლის ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალებისთანავე. 1917 წლის 26 ოქტომბერს შექმნილმა **შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა** და **იუსტიციის სახალხო კომისარიატმა,** 1917 წლის 7 დეკემბერს შექმნილი **რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიამ** (1922 წლის 6 თებერვლიდან — **სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო**), რომლის თავმჯდომარე **ფ. ძერჟინსკი** იყო, იმთავითვე დაიწყეს მასობრივი რეპრესიები.

ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკი (1877-1926) — კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე. დაიბადა ვილნოს გუბერნიის ოშმიანსკის მაზრაში პოლონელი მემამულის (აზნაურის) ოჯახში. სწავლობდა გიმნაზიაში, რომელიც არ დაუმთავრებია. ბავშვობაში იარაღით თამაშისას შემთხვევითი გასროლით საკუთარი და მოკლა, მშობლებმა ეს ფაქტი არ გაახმაურეს. ახალგაზრდობაში კათოლიკური ფანატიზმისაკენ ჰქონდა მიდრეკილება და იეზუიტთა ორდენში შესვლასაც კი აპირებდა. 1895 წელს შევიდა ლიტვის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში, ხოლო 1900 წელს — პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიაში. 1906-1912 წლებში იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელი. 1917 წელს შევიდა რსდმპ (ბ) რიგებში. 1917 წლის ოქტომბერში აირჩიეს პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრად. იყო რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრი.

ფელიქს ძერჟინსკი

1917 წლის ნოემბრიდან იყო რუსეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი. 1917 წლის 7 დეკემბერს დაინიშნა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კონტრრევოლუციისა და საბოტაჟის წინააღმდეგ მებრძოლი საგანგებო კომისიის (უშიშროების სამსახურის) თავმჯდომარედ. იმავდროულად 1919 წლის აგვისტოდან ხელმძღვანელობდა საგანგებო კომისიის განსაკუთრებულ განყოფილებას (სამხედრო კონტრდაზვერვას), ხოლო 1920 წლის ნოემბრიდან სახელმწიფო საზღვრების დაცვის სამსახურსა და შინაგანი სამსახურის ჯარებს. 1921 წელს პროფკავშირების როლის შესახებ დისკუსიის დროს ემხრობოდა ლ. ტროცკისა და ნ. ბუხარინს. 1922 წლიდან სათავეში ჩაუდგა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს (საგანგებო კომისიის ნაცვლად შექმნილ უშიშროების ახალ სამსახურს), 1919-1923 წლებში იყო ჯერ რუსეთის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი. 1923 წელს სათავეში ჩაუდგა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს. იმავდროულად, 1923-1924 წლებში იყო საბჭოთა კავშირის გზათა მინისტრი, ხოლო 1924 წლიდან საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. ამ თანამდებობაზე მუშაობისას მხარს უჭერდა თავისუფალი სავაჭრო ფასების შემოღებასა და გლეხობის წინააღმდეგ მიმართული ადმინისტრაციული ღონისძიებების შეწყვეტას. მოულოდნელად გარდაიცვალა გულის აკადმყოფობით. ფელიქს ძერჟინსკი იყო რეპრესიული სახელმწიფო აპარატის შემქმნელი, მის სახელს უკავშირდება 20-იანი წლების პირველ ნახევარში გატარებული ყველა სადამსჯელო ღონისძიება, „წითელი ტერორი“.

საზოგადოება მოულოდნელად აღმოჩნდა შოკის მდგომარეობაში. დროებითი მთავრობის მოღვაწეობის წლებში პოლიტიკური რეპრესიები დავიწყებას მიეცა. ბოლო წლებში რუსეთის იმპერიის მთავრობაც მაქსიმალურად თავს იკავებდა პოლიტიკური რეპრესიებისაგან. **1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის გამარჯვებისა და მონარქიის დამზობის დღისათვის პეტროგრადის ორ ცნობილ საპყრობილეში პოლიტპატიმართა უმნიშვნელო რაოდენობა იყო — შლისელბურგში — 63 კაცი, კრესტში — 50 კაცზე ცოტა მეტი. კიდევ უფრო მცირე რაოდენობით პოლიტპატიმრები იმყოფებოდნენ საგუბერნიო საპყრობილეებში (ტამბოვის საპყრობილეში — 7 კაცი, ირკუტსკის საპყრობილეში — 20 კაცი). რამდენიმე ასეული კაცი დაბრუნდა ციმბირის გადასახლებიდან და კატორღიდან.** 1917 წლის ოქტომბრიდან რუსეთში პოლიტპატიმართა რაოდენობა უკვე ათასობით განისაზღვრებოდა. 1918 წლის თებერვალში რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ლენინმა კატეგორიული ფორმით მოითხოვა **რეპრესიების გაძლიერება და საპყრობილეებში პატიმართა მოსათავსებლად ადგილების გაზრდა.** საბჭოთა ხელისუფლებას საპყრობილეთა ძველი ადმინისტრაციული აპარატიც კი არ შეუცვლია, მხოლოდ თავისი კომისრები დანიშნა იქ.

მასობრივი პოლიტიკური რეპრესიები რუსეთში **მემარცხენე ესერთა** აჯანყების ჩახშობის შემდეგ (1918 წლის ივლისი) დაიწყო. იუსტიციის სახალხო კომისარიატმა 1918 წლის 23 ივლისს გამოსცა **„დროებითი ინსტრუქცია თავისუფლების აღკვეთის შესახებ“.** იგი მოქმედებდა 1920 წლის ნოემბრამდე. ინსტრუქცია თავისუფლების აღკვეთასთან ერთად ითვალისწინებდა პატიმართა აუცილებელ ჩაბმას ფიზიკურ შრომაში. ამ დროიდან იწყება **პოლიტპატიმართა პირველი საკონცენტრაციო ბანაკების შექმნა რუსეთში და პატიმართა იძულებითი შრომის გამოყენება.** პატიმართა იძულებითი შრომა დაკანონა რუსეთის საბჭოების VII ყრილობამ (1918 წ.). 1919 წლის 15 აპრილსა და 17 მაისს მიიღეს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებები **პატიმართა იძულებითი შრომის გამოყენებისა და საკონცენტრაციო ბანაკების შექმნის შესახებ.** ბანაკები უნდა შექმნილიყო ყველ საგუბერნიო ქალაქში და ზოგიერთ სამაზრო ქალაქში. ბანაკებისათვის უნდა გამოეყენებინათ სამონასტრო კომპლექსები და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩამორთმეული მსხვილ მიწათმოქმედთა მამულები. თითოეულ ბანაკში უნდა მოეთავსებინათ არა უმცირეს სამასი პატიმრისა. პატიმართა შრომას უნდა აენაზღაურებინა ბანაკის ადმინისტრაციისა და დაცვის შენახვის ხარჯები. ბანაკები გუბერნიების საგანგებო კომისიების განკარგულებაში იმყოფებოდა. ცნება „საკონცენტრაციო ბანაკი“ ოფიციალურ დოკუმენტებში ცოტა მოგვიანებით გაჩნდა. 1918 წლის აგვისტოში ვ. ლენინი გლეხთა აჯანყებასთან დაკავშირებით პენზის გუბერნიის დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისადმი გაგზავნილ ტელეგრამაში აღნიშნავდა: **„გაატარეთ დაუნდობელი მასობრივი ტერორი“.** იმავე ტელეგრამაში აღნიშნული იყო: **„საეჭვო პირები ჩაკეტეთ ქალაქგარეთ საკონცენტრაციო ბანაკებში“.** ვ. ლენინზე თ. კაპლანის თავდასხმის შემდეგ, 1918 წლის 5 სექტემბერს გამოიცა რუსეთის სახალხო კომის-

ართა საბჭოს დეკრეტი **წითელი ტერორის შესახებ**. მასობრივი დახვრეტის დაკანონებასთან ერთად დეკრეტი საბჭოთა ხელისუფლების კლასობრივი მტრების **„იზოლირებას“** ითხოვდა და **„საკონცენტრაციო ბანაკებში“** მათ მოთავსებას.

საკონცენტრაციო ბანაკებში უმკაცრესი რეჟიმი დამყარდა. ბანაკიდან გაქცევის მცდელობის შემთხვევაში პატიმარს სასამართლოს გარეშე უთომაგდებოდა სასჯელის ხანგრძლივობა. მეორედ გაქცევის მცდელობისას პატიმარს სასამართლოს გარეშე ხვრეტდნენ.

საკონცენტრაციო ბანაკები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იქმნებოდა სამონასტრო კომპლექსებში. **მოსკოვში** საკონცენტრაციო ბანაკი სამ დიდ სამონასტრო კომპლექსში შეიქმნა, **ნიჟნი ნოვგოროდში** დედათა მონასტერი დაიკავა საკონცენტრაციო ბანაკმა, რომელშიც 5 ათასი პატიმარი იმყოფებოდა. **რიაზანში** საკონცენტრაციო ბანაკი დედათა მონასტერში მოაწყვეს.

1920 წლის ბოლოსათვის **საბჭოთა რუსეთის 43 გუბერნიაში 84 საკონცენტრაციო ბანაკი** არსებობდა. ამ **ბანაკებში სასჯელს იხდიდა 25.336** კაცი. მათ გარდა ბანაკებში კიდევ იმყოფებოდა **24.000** „სამოქალაქო ომის ტყვე“, ძირითადად ძველი არმიისა და თეთრი არმიების ოფიცრები და ჯარისკაცები. **საკონცენტრაციო ბანაკების „განტვირთვის“** მიზნით ათასობით **პატიმარს ბორნებზე** ათავსებდნენ და **შემდეგ მდინარეებში ახრჩობდნენ**.

საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის აზრით საკონცენტრაციო ბანაკებში საჭირო მკაცრი რეჟიმი არ არსებობდა. რეჟიმის გამკაცრების მიზნით 1921 წელს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის დაქვემდებარებაში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული — **განსაკუთრებული დანიშნულების ჩრდილოეთის ბანაკები**. პირველი ასეთი ბანაკები შეიქმნა **პეტრომინსკში, ხოლმოგორში** და **არხანგელსკის** ახლოს. როგორც ჩანს, ცოტა მოგვიანებით, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ეს რეგიონი ვერ დაიტევდა პატიმართა დიდ მასას. გარდა ამისა, ბანაკების დაცვა სირთულეებთან იყო დაკავშირებული. უკვე ამ დროიდან ყურადღება მიაპყრეს **სოლოვეცკის კუნძულებს**. სოლოვეცკის კუნძულები დაცვის თვალსაზრისით ძალზე ხელსაყრელი იყო. აქ პატიმართა დიდი მასის მოთავსებაც შეიძლებოდა.

1922 წელს საპყრობილეთა და საკონცენტრაციო ბანაკების სისტემაში რეფორმა გატარდა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში არსებული საპყრობილეები და საკონცენტრაციო ბანაკები გადაეცა **„საპატიმროთა მთავარ სამმართველოს“**, რომელიც რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს (თავმჯდომარე ფ. ძერჟინსკი) დაექვემდებარა. გარდა ამისა, **სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში** ცალკე **უწყებად** იყო **წარმოდგენილი „სპეციალური საპატიმრო ადგილები“. იმხანად საპატიმროთა მთავარი სამმართველოს განკარგულებაში** იყო **330** საპყრობილე და საკონცენტრაციო ბანაკი, **რომელშიც 80-81** ათასი კაცი **იხდიდა სასჯელს**. **გარდა ამისა, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს „სპეციალურ საპატიმრო ადგილებში“ სასჯელს იხდიდა 150 ათასიდან 195 ათასამდე ადამიანი**. ისინი ძირითადად პოლიტპატიმართა კატეგორიას განეკუთვნებოდნენ. 1923 წლისათვის, როდესაც ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით ტერორი ოდნავ შესუსტდა, **საპატიმროთა მთავარი სამმართველოს სისტემაში 335** საკონცენტრაციო ბანაკში **სასჯელს იხდიდა 68.297** კაცი, ე.წ. **გამასწორებელ სახლებში — 48.163, საპყრობილეებში — 16.765, სასოფლო-სამეურნეო კოლონიებში — 2.328. გარდა ამისა, საპატიმრო ადგილებში** იმყოფებოდა **1.041** არასრულწლოვანი და სნეული. კიდევ **უფრო** მეტი **ტუსაღი** იხდიდა **სასჯელს** გაერთიანებული **სახელმწიფო** პოლიტიკური სამ-

სოლოვეცკის კუნძულები

მართველოს დაქვემდებარებაში მყოფ სპეციალურ საპატიმრო ადგილებში.

საკონცენტრაციო ბანაკებსა და საპყრობილეებში პატიმრებისათვის ადგილები არ იყო საკმარისი. 1922 წლისათვის ერთ ადგილზე სამი და ხშირად კიდევ უფრო მეტი პატიმარი მოდიოდა. პატიმართათვის განკუთვნილი საკვები ულუფა ყოველგვარ დასაშვებ ნორმაზე მცირე იყო. ეს მცირე ულუფაც არ კმაროდა. 1922 წელს მთავრობამ 195 ათასი პატიმრისათვის გამოყო პროდუქტის ისეთი რაოდენობა, რომელიც დაწესებული ნორმითაც კი მხოლოდ 100 ათას პატიმარს თუ დაკმაყოფილებდა.

პატიმართა შორის მაღალი იყო სიკვდილიანობა. 1922 წელს საპატიმროთა მთავარ სამმართველოს დაქვემდებარებულ ბანაკებსა და საპყრობილეებში პატიმართა სიკვდილიანობა 1%-დან 10%-მდე მერყეობდა.

პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებულთა გარდა ათასობით ადამიანი როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, რუსეთიდან გაასახლეს. 1922 წელს ვ. ლენინისა და ფ. ძერჟინსკის მითითებით სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიამ შეადგინა ქვეყნიდან გასასახლებელი ძველ ინტელიგენტთა სია, რომელთაც მალე კიდევ დაატოვებინეს რუსეთის ტერიტორია (მათ შორის იყო ნიკოლოზ ბერდიაევი). 1922 წლის 2 ნოემბერს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის შემადგენლობაში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული – ინტელიგენციის ანტისაბჭოთა ელემენტების ადმინისტრაციული გასახლების განსაკუთრებული ბიურო, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა იაკობ აგრანოვი (იანკელ სორენსონი).

XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოდან და 30-იანი წლების დამდეგიდან პოლიტიკური რეპრესიები გაძლიერდა.

თავი X. საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკა 1917-1921 წლებში

§ 1. საგარეო პოლიტიკა 1917 წლის ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალებიდან სამოქალაქო ომის დასაწყისამდე (1917-1918 წწ.)

1. **დეკრეტი ზავის შესახებ.** საბჭოთა რუსეთის პირველი საგარეო პოლიტიკური დოკუმენტი იყო ვ. ლენინის მიერ დაწერილი **„დეკრეტი ზავის შესახებ“**. იგი სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების II ყრილობამ მიიღო 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს). დეკრეტი ზავის შესახებ ყველა მეომარ ქვეყანას მოუწოდებდა დაუყოვნებლივ დაეწყოთ მოლაპარაკება **სამართლიანი, დემოკრატიული** ზავის დადების მიზნით. ზავი უნდა ყოფილიყო **უანექსიო** (სხვისი ტერიტორიის მიტაცების გარეშე) და **უკონტრიბუციო** (დამარცხებულ ქვეყანას გამარჯვებულის სასარგებლოდ ფული არ უნდა გადაეხადა). საზავო მოლაპარაკების დაწყებამდე საომარი მოქმედებები დაუყოვნებლივ უნდა შეწყვეტილიყო და დადებულიყო დროებითი ზავი.

1917 წლის 9 (22) ნოემბერს ვ. ლენინმა რადიოთი მიმართა ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს დაუყოვნებლივ დაეწყოთ მოლაპარაკება მოწინააღმდეგე მხარის ჯარისკაცებთან და მეზღვაურებთან საომარი მოქმედებების შეწყვეტის თაობაზე. ამ მოწოდებას ფრონტების სხვადასხვა მონაკვეთებზე მართლაც მოჰყვა **დროებითი დაზავება**.

საბჭოთა რუსეთის პოლიტიკამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო **ანტანტა** (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ამერიკის შეერთებული შტატები) და **ოთხთა კავშირი** (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, თურქეთი, ბულგარეთი). ყველა ქვეყანას ომში გამარჯვება, დამარცხებული ქვეყნის ტერიტორიის მიტაცება (ანექსირება) და კონტრიბუციის მიღება სურდა. გარდა ამისა, საბჭოთა რუსეთის საჯარო განცხადებებმა საომარი მოქმედებების შეწყვეტისა და საზავო მოლაპარაკების პირობების შესახებ ზავის დადების ძველი, ტრადიციული დიპლომატიური მეთოდები გამოუსადეგარი გახადა.

მას შემდეგ, რაც ანტანტამ საომარი მოქმედებების შეწყვეტისა და ზავის დადების შესახებ საბჭოთა რუსეთის წინადადება არ მიიღო, ვ. ლენინმა ოთხთა კავშირთან (გერმანიასთან, ავსტრია-უნგრეთთან, თურქეთსა და ბულგარეთთან) დაიწყო მოლაპარაკება.

ვ. ლენინისათვის თავიდანვე ცხადი იყო, რომ საყოველთაო ზავი და ისიც ანექსიისა და კონტრიბუციის გარეშე წარმოუდგენელი იყო. **ვ. ლენინის მიერ წამოყენებული ზავის პრინციპები დემაგოგიური, პოპულისტური ხასიათისა იყო** და მის **მიზანს ომისაგან განაწამები რუსეთის** მოსახლეობის **მიმხრობა** წარმოადგენდა. ვ. ლენინმა ისიც კარგად იცოდა, რომ ანტანტა ომის შეწყვეტასა და ზავის დადებას არ დათანხმდებოდა. ამასთან ერთად, **გერმანიის სამხედრო უწყებასთან დანაშაულებრივ კავშირში** მყოფმა ვ. **ლენინმა წინასწარ** იცოდა, **რომ** გერმანია სიამოვნებით **დათანხმდებოდა** ოთხთა **კავშირსა** და **რუსეთს** შორის **ზავის დადებას** და **რუსეთის** ომიდან **გამოსვლას**. საფუძველს მოკლებული არ არის ვარაუდი იმის შესახებ, რომ ვ. ლენინს გერმანიის სამხედრო უწყებიდან მიღებული ფულის სანაცვლოდ რუსეთში დაბრუნების შემდეგ მხოლოდ ანტისაომარი აგიტაცია კი არ უნდა ეწარმოებინა, არამედ უფრო მეტიც — თუ ბოლშევიკები ხელისუფლებას აიღებდნენ, რუსეთს გერმანიის წინააღმდეგ ომი უნდა შეეწყვიტა. რუსეთის ომიდან გამოსვლა გერმანიას ანტანტის დამარცხებას გაუადვილებდა.

2. **ბრესტ-ლიტოვსკის ზავი.** 1917 წლის 9 (22) დეკემბერს **ბრესტ-ლიტოვსკში** გაიხსნა საზავო კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობდნენ რუსეთი და ოთხთა კავშირი (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, თურქეთი, ბულგარეთი). საბჭოთა დელეგაციას ბოლშევიკი **ადოლფ** იოფე ედგა სათავეში. საბჭოთა **რუსეთის** დელეგაცია საზავო კონფერენციაზე ასეთი წინადადებებით წარსდგა: 1) ორივე მხარეს უარი უნდა ეთქვა ომის დროს მიტაცებულ ტერიტორიებზე და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დაუყოვნებლივ გაეყვანა ჯარები; 2) ერებს ომის დროს დაკარგული პოლიტიკური დამოუკიდებლობა უნდა დაბრუნებოდათ; 3) კონტრიბუციისა და სხვა სახის მატერიალური ანაზღაურების მიღებაზე უარის თქმა. გერმანიის დელეგაციამ არ მიიღო საბჭოთა რუსეთის დელეგაციის პირობები და, თავის მხრივ, მოითხოვა: 1) ბალტიისპირეთის შეერთება; 2) პოლონეთის დანაწილება. გარდა ამისა, გერმანია ცდილობდა ბალტიისპირეთის გარდა რუსეთის სხვა ტერიტორიებზე (უკრაინასა და ბელორუსიაზე) თავისი საოკუპაციო რეჟიმის შენარჩუნებას, რათა

იქ არსებული რესურსები ომის საჭიროებისათვის გამოიყენებინა. ამასთან ერთად, **გერმანიის დელეგაცია ფორმალურად უარს არ ამბობდა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავზე, თუ რუსეთი ომის გარანტიას მისცემდა, რომ იმავე პირობებს შეასრულებდა ანტანტა.** გერმანიამ წინასწარ იცოდა, რომ ანტანტა პრინციპული წინააღმდეგი იყო უანექსიო და უკონტრიბუციო ზავისა და, ამდენად, რუსეთი გარანტის როლში ვერ გამოვიდოდა. ყოველივე ამის გამო საზავო მოლაპარაკება ჩიხში მოექცა და საზავო კონფერენციაზე ათდღიანი შესვენება გამოცხადდა.

1917 წლის 17 (30) დეკემბერს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გამოაქვეყნა მიმართვა ანტანტის ქვეყნების მთავრობებისადმი. **რუსეთი ანტანტის ქვეყნებს საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობდა.** ამასთან ერთად, რუსეთი საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს მოუწოდებდა, რომ ერთა თვითგამორკვევის პრინციპი არა მარტო ოთხთა კავშირის (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, თურქეთი, ბულგარეთი) ქვეყნებში მცხოვრებ ერებზე გაევრცელებინა, არამედ ანტანტის ქვეყნებსა და მათ კოლონიებზეც (ირლანდია, ეგვიპტე, ინდოეთი, მადაგასკარი, ინდოჩინეთი და ა.შ.). ამ მიმართვის გამოქვეყნებიდან მეორე დღესვე, 1917 წლის 18 (31) დეკემბერს, საბჭოთა რუსეთმა პოლიტიკური მოსაზრებით ცნო **ფინეთის რესპუბლიკის** დამოუკიდებლობა. ვ. ლენინმა იცოდა, რომ ანტანტა ასეთ წინადადებას არ დათანხმდებოდა. ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა რუსეთი მსოფლიო რევოლუციითა და ხელისუფლების დაკარგვით ემუქრებოდა ანტანტის ქვეყნების მთავრობებს. მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა რუსეთის წინადადებების მიუღებლობის შემთხვევაში „მუშათა კლასი დადგება მათთვის ხელისუფლების წართმევის აუცილებლობის წინაშე, ვისაც არ სურს ხალხებისათვის მშვიდობის მიცემა".

1917 წლის 27 დეკემბერს (1918 წლის 9 იანვარს) **ბრესტ-ლიტოვსკში** განახლდა საბჭოთა რუსეთისა და ოთხთა კავშირის საზავო კონფერენცია. ამჯერად რუსეთის დელეგაციას საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი **ლევ ტროცკი** მეთაურობდა. გერმანიის დელეგაციამ წარმოადგინა თავისი ტერიტორიული პრეტენზიების ამსახველი რუკა, რომელზეც **გერმანია-რუსეთის სახელმწიფო საზღვარი გადიოდა რიგასა და დვინსკს შორის (რიგის აღმოსავლეთითა და დვინსკის დასავლეთით).** იმ ტერიტორიის კუთვნილება, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკიდან სამხრეთით მდებარეობდა, უნდა გარკვეულიყო **გერმანიასა** და **უკრაინის ცენტრალურ რადას** შორის მოლაპარაკებით. ამ დროისათვის უკრაინის საბჭოების I ყრილობამ, რომელიც ხარკოვში გაიმართა, ცენტრალური რადა დამხობილად გამოაცხადა, თუმცა რეალურ ხელისუფლებას უკრაინაში ცენტრალური რადა ფლობდა. **ლევ ტროცკი, რომელიც ცენტრალური რადას დამხობასა** და **მთელი უკრაინის გასაბჭოებას დღე-დღეზე ელოდა, დათანხმდა უკრაინა-გერმანიის მოლაპარაკების გამართვას, ანუ ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა უკრაინის დელეგაციის მოწვევას.** ამრიგად, გერმანიის მიერ წარმოდგენილი რუკის თანახმად, რუსეთი კარგავდა **პოლონეთს, ლიტვას, კურლანდიას** (დასავლეთ ლატვიას), **ლიფლანდიის** (ჩრდილოეთ ლატვიისა და სამხრეთ ესტონეთის) ნაწილს, **ესტლანდიასა** (ჩრდილოეთ ესტონეთის) და **გროდნოს** გუბერნიის (ბელორუსიის) ნაწილს, სულ 160 ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტ ტერიტორიას.

1918 წლის 27 იანვარს (9 თებერვალს) ოთხთა კავშირმა (გერმანიამ, ავსტრია-უნგრეთმა, თურქეთმა და ბულგარეთმა) ხელშეკრულება დადო **უკრაინის ცენტრალურ რადასთან.** ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების სანაცვლოდ უკრაინას გერმანიისათვის უნდა მიეწოდებინა წიაღისეული სიმდიდრე და სურსათი. იმავე დღეს, საღამოს, გერმანიის დელეგაციის მეთაურმა რუსეთის დელეგაციას ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვა გერმანიის პირობების მიღება — საზღვრის აღმოსავლეთით, **ნარვა-ფსკოვი-დვინსკის** ხაზამდე გადაწევის შესახებ. ოთხთა კავშირის ქვეყნები ზავის დადებას ჩქარობდნენ, რადგან ძალზე დაძაბული სოციალური ვითარება იყო. 1918 წლის იანვარში გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში მუშათა გაფიცვები დაიწყო. არ იყო გამორიცხული ანტანტისა და რუსეთის დაახლოება, რაც გერმანიას აღმოსავლეთის ფრონტის შენარჩუნების აუცილებლობის წინაშე დააყენებდა.

ვ. ლენინმა და ლ. ტროცკიმ კარგად იცოდნენ, რომ გერმანია და ავსტრია-უნგრეთი ზავის დადებას ჩქარობდნენ, რადგან აღმოსავლეთი ფრონტის ლიკვიდაცია მათთვის ძალზე ხელსაყრელი იყო. **ბოლშევიკთა ბელადები ვარაუდობდნენ, რომ სულ მალე მსოფლიო რევოლუცია დაიწყებოდა, რაც გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა.** ვ. ლენინმა და ლ. ტროცკიმ გადაწ-

ვეიტეს [illegible] ომის [illegible] შესარბილებლად ან საერთოდ [illegible] გამოყენებებისათვის. [illegible] ლ. ტროცკი შეთანხმდნენ, რომ [illegible] ულტიმატუმი ორ მიღებით და [illegible] ნათ გერმანია და ავსტრია-უნგრეთი, [illegible] ლეთის ფრონტზე ომი [illegible].

1918 წლის 28 იანვარს (10 [illegible] ლევ ტროცკიმ გერმანიის [illegible] ულტიმატუმს ასეთი პასუხი გასცა: საბჭოთა რუსეთი ზავს არ დადებს, მაგრამ არც ომს [illegible] ძელებს, ხოლო არმიას კი დაშლის. [illegible] დელეგაციის შეთაურმა ლ. ტროცკიმ [illegible] შემდეგ განაცხადა: თუ რუსეთი გერმანიის ულტიმატუმს არ მიიღებს, საომარი მოქმედებ ების შეწყვეტის შესახებ დადებული შეთანხმებ ების ვადის ამოწურვისთანავე გერმანია ომს გ ნაახლებსო.

1918 წლის 18 თებერვალს ოთხი [illegible] ქვეყნებმა მთელ აღმოსავლეთის ფრონტზე — ბალტიის ზღვიდან (რიგის ყურედან) შავ ზღვამდე (ბლიზარე დუნაის შესართავამდე) — რუსეთის წინააღმდეგ დიდი შეტევა დაიწყ ვ. ლენინისა და ლ. ტროცკის ვარაუდი არ გამართლდა. გერმანია ომის გაგრძელებას არ შეუშინდა, არც ანტანტისა და რუსეთის მოსალოდნელ დაახლოებას გაუწია ანგარიში და არც ქვეყანაში არსებულ დაძაბულ სოციალურ ვითარებას. საბჭოთა რუსეთის წითელ არმიას მოწინააღმდეგის შეტევის შეჩერება არ შეეძლ. 1918 წლის 19 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გერმანიის მთავრობას აცნობა, რომ მზად იყო ზავი დაედო გერმანიის პირობების თანახმად. გერმანელები შეტევას აგრძელებდნენ და მხოლოდ 22 თებერვალს დათანხმდნენ საზავო მოლაპარაკების გაგრძელებას. საზავო მოლაპარაკების გაგრძელებას კი დათანხმდა, მაგრამ გერმანიამ ამჯერად კიდევ უფრო მძიმე პირობები წამოაყენა. პასუხისათვის რუსეთის მთავრობას 48 საათი ეძლეოდა.

რსდმპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გერმანიის ულტიმატუმი მიიღო. საბჭოთა რუსეთის დელეგაცია გ. სოკოლნიკოვის მეთაურობით ბრესტ-ლიტოვსკში გაემგზავრა. 1918 წლის 3 მარტს ოთხთა კავშირსა (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, თურქეთი, ბულგარეთი) და საბჭოთა რუსეთს შორის საზავო ხელშეკრულება დაიდო.

გრიგორი სოკოლნიკოვი

*გრიგორი იაკობის ძე სოკოლნიკოვის (1888-1939) ნამდვილი სახელი და გვარია გრიშა [illegible] ლი ბ ბრილიანტი [illegible] [illegible] სწავლობდა [illegible] ფაკულტეტზე, [illegible] [illegible] [illegible]

ძალებსა და ბასმაჩთა რაზმებს. 1921 წელს მიეცხრო ლ. ტროცკის. მიუხედავად ამისა, 1921 წელს ისევ დანიშნეს სპეციალური კომისიის თავმჯდომარედ და შუა აზიაში გაგზავნეს სამუშაოდ. ამჯერადაც ენერგიულად იბრძოდა შუა აზიაში მოქმედ ბასმაჩთა რაზმების წინააღმდეგ. მისი უშუალო ბრძანებით ათასობით ადამიანი დახოცეს, ან საკონცენტრაციო ბანაკებში გამამწყვდიეს. 1922-1923 წლებში იყო რუსეთის ფინანსთა სახალხო კომისარი. ხოლო 1923 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის ფინანსთა პირველ სახალხო კომისრად. 1925-1926 წლებში გ. ზინოვიევთან და ლ. კამენევთან ერთად ი. სტალინის ოპოზიციის აქტიური წევრი, რისთვისაც ფინანსთა სახალხო კომისრის თანამდებობა დაკარგეინეს. 1927 წელს ისევ ოპოზიციაშია, თუმცა ლ. ტროცკის გაემიჯნა, 1928 წელს მხარს უჭერდა ნ. ბუხარინს. 1929 წლიდან დიპლომატიურ სამუშაოზეა. 1936 წელს სკკ (ბ) რიგებიდან გარიცხეს, იმავე წელს დააპატიმრეს, ხოლო 1937 წელს ანტისაბჭოთა ტროცკისტული მოღალატეობისათვის 10 წლის პატიმრობა მიუსაჯეს. ოფიციალური ვერსიით ვერხნეურალსკში ტუსაღებმა მოკლეს საკანში. 1988 წლიდან რეაბილიტირებულია.

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების ძალით რუსეთმა დაკარგა **პოლონეთი, ბალტიისპირეთი** და **ბელორუსიის** ნაწილი. რუსეთის ჯარებს უნდა დაეტოვებინათ **უკრაინა**. ამავე დროს, საბჭოთა რუსეთის მთავრობას უნდა ეცნო **უკრაინის** დამოუკიდებლობა. რუსეთის ჯარებს ასევე უნდა დაეტოვებინათ **ფინეთის** ტერიტორია, ხოლო რუსეთის სამხედრო ფლოტსა და სამხედრო-საზღვაო ძალებს — ფინეთის ნავსადგურები. რუსეთი ადასტურებდა **ფინეთის** დამოუკიდებლობას. მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაკარგა რუსეთმა აზიაში. რუსეთის ჯარებს დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინა თურქეთის ოკუპირებული ტერიტორია (აღმოსავლეთ ანატოლია). ასევე ბერლინის კონგრესის (1878 წ.) მიერ რუსეთისათვის მიკუთვნებული **ბათუმის, ყარსისა** და **არტაანის** ოკრუგები. ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას რუსეთის ჩარევის გარეშე, თურქეთთან შეთანხმებით უნდა გადაეწყვიტა სახელმწიფოებრივი მოწყობისა და საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის საკითხები. სულ რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკის ზავით დაკარგა დაახლოებით 1 მილიონი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია. ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდა რუსეთის მთელი მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი, განლაგებული იყო რუსეთის სამრეწველო სიმძლავრეების დაახლოებით ნახევარი. საბჭოთა რუსეთს უნდა მოეხდინა **არმიის დემობილიზაცია**, მათ შორის წითელი არმიის ახლადშექმნილ ნაწილებისაც. რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდები უნდა შესულიყვნენ რუსეთის ნავსადგურებში და დარჩენილიყვნენ იქ მსოფლიო ომის დამთავრებამდე, ან დაუყოვნებლივ განიარაღებულიყვნენ.

1918 წლის 27 აგვისტოს ბერლინში ხელმოწერილ იქნა **რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულება** და **ფინანსური შეთანხმება**, რომლის ძალითაც რუსეთს გერმანიისათვის უნდა გადაეხადა 6 მილიარდი მარკის ოდენობის კონტრიბუცია (სულ რუსეთმა კონტრიბუციის სახით გერმანიას გადაუხადა 245,5 ტონა ოქრო).

ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებმა ბოლშევიკებს შორის უთანხმოება ჩამოაგდო. ზავის რატიფიკაციის საკითხი **რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) VII საგანგებო** ყრილობამ (1918 წლის 6-8 მარტი) განიხილა. ყრილობის დელეგატების ნაწილმა, ე.წ. „მემარცხენე **კომუნისტებმა**" ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები მიუღებლად მიიჩნიეს და გერმანიასთან ომის გაგრძელება მოითხოვეს. მიუხედავად ამისა, ყრილობის უმრავლესობამ ზავის **რატიფიკაციას** დაუჭირა მხარი. 1918 წლის 15 მარტს **სრულიად რუსეთის საბჭოების IV საგანგებო** ყრილობამ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების **რატიფიკაცია** მოახდინა. ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადების შემდეგ პროტესტის ნიშნად **ლევ ტროცკი** გადადგა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობიდან. ბრესტ-ლიტოვსკის სამარცხვინო ზავმა რუსეთი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. ბოლშევიკების მდგომარეობა გარკვეულწილად შეამსუბუქა 1918 წლის ნოემბერში გერმანიაში დაწყებულმა რევოლუციამ, ჰოჰენცოლერნთა მონარქიის დამხობამ და 11 ნოემბერს პირველ მსოფლიო ომში გერმანიის კაპიტულაციამ. 13 **ნოემბერს რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის ანულირება მოახდინა.**

ბრესტ-ლიტოვსკის ზავმა რუსეთი **გერმანიის მიერ ოკუპაციისაგან, ხოლო ბოლშევიკები ხელისუფლების დაკარგვის საშიშროებისაგან იხსნა.**

§ 2. საგარეო პოლიტიკა სამოქალაქო ომის წლებში (1918-1921 წწ.)

1. **პირველი მსოფლიო ომის დასასრული. ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულება.** 1918 წლის 11 ნოემბერს გერმანიამ ანტანტის წინაშე **კაპიტულაცია** გამოაცხადა. კაპიტულაციის აქტის თანახმად, საომარი მოქმედებები უნდა შეწყვეტილიყო, გერმანიის ჯარებს უნდა დაე-

ტოვებინათ **საფრანგეთის, ბელგიისა** და **ლუქსემბურგის** ოკუპირებული ტერიტორიები, **ელზას-ლოთარინგია**. გერმანიის სბრძოლო ტექნიკა და სამხედრო ფლოტი (გარდა წყალქვეშა ფლოტისა) ანტანტის ხელში გადადიოდა. კაპიტულაციის აქტის მეთორმეტე მუხლი მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ. ამ მუხლის თანახმად, **გერმანიის ჯარები** უნდა დარჩენილიყო რუსეთის ტერიტორიაზე მანამ, სანამ გერმანიის მიერ ოკუპირებული რუსეთის ტერიტორიის საკითხს არ გადაწყვეტდნენ ანტანტის ქვეყნები. ანტანტის ქვეყნების სამხედრო და სავაჭრო ფლოტის გემებს შეეძლოთ დაუბრკოლებლივ შესულიყვნენ ბალტიის ზღვაში. ყოველივე ეს მძიმე მდგომარეობაში აგდებდა საბჭოთა რუსეთს.

1919 წლის 18 იანვარს ვერსალში გაიხსნა გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, თურქეთისა და ბულგარეთის წინააღმდეგ მებრძოლი მოკავშირე ქვეყნების კონფერენცია. **კონფერენციის** მიზანი იყო პირველი მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო ურთიერთობების მოგვარება და მსოფლიოს ახალი პოლიტიკური რუკის დადგენა. კონფერენციის მუშაობასა და გადაწყვეტილებების მიღებაში მოკავშირე ქვეყნებიდან მთავარ როლს ასრულებდა **ინგლისი**, საფრანგეთი და ამერიკის **შეერთებული შტატები**. ვერსალის კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის უფლება არ მისცეს დამარცხებულ გერმანიასა და მის მოკავშირეებს (ავსტრია-უნგრეთს, თურქეთსა და ბულგარეთს), ასევე საბჭოთა რუსეთს.

მოკავშირე სახელმწიფოებმა გერმანიასთან **სამშვიდობო ხელშეკრულებას** ხელი მოაწერეს 1919 წლის 29 ივნისს. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1920 წლის 10 იანვარს, მას შემდეგ, რაც ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ, იაპონიამ და გერმანიამ მისი რატიფიკაცია მოახდინეს. ხელშეკრულების ძალით გერმანიამ თავისი ტერიტორიის ნაწილი დაუთმო საფრანგეთს, ბელგიას, პოლონეთს, დანიას, ჩეხოსლოვაკიას (სულ დაახლოებით 70 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია 6,5 მილიონი მოსახლეობით). გარდა ამისა, გერმანიამ დაკარგა ყველა კოლონია. ვერსალის ხელშეკრულების ძალით გერმანიაში უნდა გაუქმებულიყო საყოველთაო სამხედრო ვალდებულება. გერმანიას მნიშვნელოვნად უნდა შეემცირებინა (პრაქტიკულად დაეშალა) რეგულარული არმია, ეკრძალებოდა თანამედროვე სამხედრო შეიარაღების წარმოება. ამასთან ერთად, გერმანიას უნდა ეცნო მოკავშირეთა მიერ რუსეთის ტერიტორიაზე უკვე აღმოცენებული თუ მომავალში შექმნილ სახელმწიფოებთან დადებული ყველა ხელშეკრულება.

აშკარად ანტირუსულ ხასიათს ატარებდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციის (1919-1920 წწ.) მიერ მიღებული დასკვნითი დოკუმენტები — სენ-ჟერმენის, **სევრისა** და სხვა საზავო ხელშეკრულებები, ასევე ბესარაბიის ოქმი.

ბესარაბიის ოქმის ძალით **ბუკოვინა** და ბესარაბია გადაეცა **რუმინეთს**, ხოლო **უკრაინის** კუთვნილი იმპერკარპატების ტერიტორია — ახლად შექმნილ **ჩეხოსლოვაკიის** სახელმწიფოს. შავი ზღვის სრუტეების საკითხიც რუსეთის საზიანოდ გადაწყდა.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომი მოწყობის საკითხები **პარიზის კონფერენციის** (1919-1920 წწ.) შემდეგ იხილებოდა **ვაშინგტონის კონფერენციაზე** (1921-1922 წწ.). ამ ორი კონფერენციის გადაწყვეტილებებით შეიქმნა ე.წ. **ვერსალ-ვაშინგტონის სისტემა**, რომელმაც განსაზღვრა პირველი მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო ურთიერთობები. ვერსალ-ვაშინგტონის სისტემამ დაკანონა ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ, ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ახალი სახელმწიფოების (ფინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ავსტრიის, უნგრეთის, იუგოსლავიის) შექმნა.

2. **ვუდრო უილსონის 14 პუნქტი**. 1917 წლის 24-26 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ყოველგვარი ოფიციალური ურთიერთობა გაწყვიტა საბჭოთა რუსეთთან. ბოლშევიკების მიერ კერძო საკუთრების გაუქმების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მიუღებელი იყო რუსეთთან ურთიერთობის დამყარება. მიუხედავად იმისა, იბრძოლებდნენ თუ არა ბოლშევიკები ოთხთა კავშირის წინააღმდეგ.

1918 წლის 8 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ვ. **უილსონმა** კონგრესს გაუგზავნა მიმართვა, რომელიც ისტორიაში „პრეზიდენტ უილსონის 14 პუნქტის" სახელითაა ცნობილი. 14 პუნქტის მიხედვით აშკარა იყო ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფება მსოფლიო ლიდერობისაკენ. ამისათვის, პირველ რიგში, აუცილებელი იყო ანტანტის, განსაკუთრებით ინგლისის დასუსტება. ვ. უილსონის 14 პუნქტის მეექვსე პუნქტში აღნიშნული იყო, რომ **რუსეთს** უნდა **ჰქონოდა** თავისი **პოლიტიკური** მომავლის **დამოუკიდე-**

ბლად გადაჭრის უფლება. ამასთან ერთად, ამერიკის შეერთებული შტატები გაგებით უნდა მოკიდებოდა რუსეთის მოთხოვნებს. ვ. უილსონის 14 პუნქტის ერთ-ერთ მიზანს **ბრესტ-ლიტოვსკში რუსეთ-ოთხთა კავშირის (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, თურქეთი, ბულგარეთი) მოლაპარაკების ჩაშლა და რუსეთის მეომარ მხარედ დატოვება შეადგენდა.** ცხადია, ანტანტისა და ოთხთა კავშირის ომის გახანგრძლივება ორივე მხარეს დაასუსტებდა, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებს ევროპაში ბატონობისათვის ხელსაყრელ პირობებს შეუქმნიდა.

1918 წლის ზაფხულში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ანტანტასთან ერთად მონაწილეობა მიიღო რუსეთის წინააღმდეგ განხორციელებულ ინტერვენციაში. იმავე წლის ოქტომბერში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველმა ე. **ჰაუზმა** შეადგინა ვ. უილსონის 14 პუნქტის კომენტარები, რომელშიც მეექვსე პუნქტი უკვე სხვაგვარად იყო ჩამოყალიბებული. ამჯერად **ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერდა რუსეთის ტერიტორიულ დანაწილებას.**

3. **ანტანტისა და ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენცია.** 1917 წლის 10 (23) დეკემბერს საფრანგეთმა და ინგლისმა პარიზში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას **რუსეთში საინტერვენციო ზონების გაყოფისა და თეთრი მოძრაობისათვის მხარდაჭერის შესახებ.** ინგლისის საინტერვენციო ზონად ცნეს **კავკასია, დონი** და **ყუბანი,** ხოლო საფრანგეთისა — **ბესარაბია, უკრაინა** და **ყირიმი.** ცოტა მოგვიანებით გერმანიამ და ავსტრია-უნგრეთმა მოახდინა **უკრაინისა** და **ყირიმის** ოკუპაცია. პირველ მსოფლიო ომში ოთხთა კავშირის დამარცხების შემდეგ ანტანტამ გერმანია და ავსტრია-უნგრეთი აიძულა მოკავშირეთა ჯარების შესვლამდე სამხრეთ რუსეთში დაეტოვებინა საოკუპაციო ჯარები. 1918 წლის ნოემბერ-დეკემბერში ანტანტამ დაიწყო **ყირიმის, ბესარაბიისა** და **უკრაინის** ოკუპაცია.

1918 წლის 2 მარტს ანტანტის წარმომადგენლებმა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოსა და პირადად ლევ ტროცკისთან შეთანხმებით ქალაქ **მურმანსკის** დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან დადეს **„სიტყვიერი შეთანხმება“** გერმანიის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებების შესახებ. 6 მარტს **მურმანსკის** ნავსადგურში შევიდა ინგლისის კრეისერი საზღვაო დესანტთან ერთად. 1918 წლის აგვისტოს დამდეგისათვის რუსეთის ჩრდილოეთში უკვე იმყოფებოდა უცხოელთა სერიოზული სამხედრო ძალა: 8 ათასი ინგლისელი, 5 ათასი ამერიკელი, 3 ათასი — ფრანგი და იტალიელი ჯარისკაცი და ოფიცერი.



ინგლისელი ინტერვენტების შესვლა არხანგელსკში. 1918 წ.

იაპონელი ოკუპანტები ვლადივოსტოკის ქუჩებში. 1918 წ.

1918 წლის მაისში, როგორც აღვნიშნეთ, დაიწყო **ვლადივოსტოკისაკენ** მიმავალი ჩეხოსლოვაკთა კორპუსის აჯანყება. აჯანყების მიზეზი გახდა გავრცელებული ხმები საბჭოთა მთავრობის მიერ კორპუსის განიარაღებისა და ტყვეთა ავსტრია-უნგრეთისათვის გადაცემის შესახებ. ჩეხოსლოვაკთა კორპუსის სარდლობა დაუკავშირდა **ვოლოგდაში** მყოფ საფრანგეთის სამხედრო მისიას და მისი მხარდაჭერით აჯანყება დაიწყო. სულ მალე ჩეხოსლოვაკთა კორპუსმა, თეთრი მოძრაობის წარმომადგენელთა მხარდაჭერით, ხელთ იგდო **ჩელიაბინსკი, ნოვონიკოლაევსკი (ნოვოსიბირსკი), პენზა, ტომსკი, ომსკი, სამარა, კრასნოიარსკი, ვლადივოსტოკი.**

მალე ანტანტამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის საინტერვენციო ზონად ცნო **ციმბირი** და **შორეული აღმოსავლეთი.** შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ძირითადად იაპონიას უნდა ემოქმედა. **იაპონიის** ინტერვენცია 1918 წლის 5 აპრილს დაიწყო. 1918 წლის აგვისტოდან 1919 წლის ოქტომბრამდე იაპონიამ შორეულ აღმოსავლეთში 120-ათასიანი ჯარი გადასხა.

ანტანტის ჯარები იდგა თეთრი მოძრაობის მიერ ბოლშევიკებისაგან გაწმენდილ ტერიტორიაზე. 1919 წლის გაზაფხულზე მარტო ციმბირში, ა. კოლჩაკის ჯარების ზურგში, იმყოფებოდა 119 ათასიანი საექსპედიციო კორპუსი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ა. კოლჩაკს გადასცა 250 ათასი შაშხანა, რამდენიმე ათასი ტყვიამფრქვევი და რამდენიმე ასეული ქვემეხი, ხოლო ინგლისმა – 100 ათასი შაშხანა, 2 ათასი ტყვიამფრქვევი, 315 ქვემეხი, 200 თვითმფრინავი, 12 ტანკი.

თეთრი მოძრაობის დამარცხების შემდეგ ინტერვენტების ყოფნა რუსეთის ტერიტორიაზე აზრს კარგავდა. ყველაზე დიდხანს (1922 წლის ოქტომბრამდე), როგორც აღვნიშნეთ, რუსეთში, კერძოდ, შორეულ აღმოსავლეთში, იაპონელი ინტერვენტები დარჩნენ. კიდევ უფრო გვიან, 1925 წლის მაისში იაპონიის ჯარებმა დატოვეს ჩრდილოეთ სახალინი.

4. ურთიერთობა ესტონეთთან, ლიტვასთან, ლატვიასთან და ფინეთთან. 1920 წელს დასრულდა დაძაბული ურთიერთობა ბალტიის რესპუბლიკებთან. 1920 წლის 2 თებერვალს დაიდო **რუსეთ-ესტონეთის,** 12 ივლისს – **რუსეთ-ლიტვის,** 11 აგვისტოს – **რუსეთ-ლატვიის** ხელშეკრულებები. ამ ხელშეკრულებებით რუსეთსა და ბალტიის რესპუბლიკებს შორის დადგინდა სახელმწიფო საზღვრები, დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები. ხელშეკრულების დამდები მხარეები ვალდებულებას იღებდნენ თავიანთ ტერიტორიაზე არ დაეშვათ მეორე მხარის მიმართ მტრულად განწყობილი ორგანიზაციები და შეიარაღებული ფორმირებები. რუსეთმა ბალტიის რესპუბლიკებთან მოაგვარა სხვა სადავო საკითხებიც.

1920 წლის 14 ოქტომბერს დაიდო **რუსეთ-ფინეთის** ხელშეკრულება. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ დაადასტურა 1917 წლის დეკემბერში გამოცხადებული ფინეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. რუსეთ-ფინეთის ხელშეკრულებით მოგვარდა სადავო ტერიტორიების საკითხი, დადგინდა სახელმწიფო საზღვრები.

პოლონეთთან ომის პირობებში ესტონეთთან, ლიტვასთან, ლატვიასთან და ფინეთთან დადებული ხელშეკრულებები საბჭოთა რუსეთისათვის ძალზე ხელსაყრელი იყო.

5. **რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობა. რიგის საზავო ხელშეკრულება.** ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ (1918 წლის 3 მარტს) საბჭოთა რუსეთის წითელი არმია შეუდგა გერმანელების მიერ დატოვებული ლიტვისა და ბელორუსიის ტერიტორიის დაკავებას. დაკავებულ ტერიტორიებზე საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. რუსეთმა დაუყოვნებლივ ცნო **ლიტვისა** და **ბელორუსიის** საბჭოთა რესპუბლიკები. პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობამ 1918 წლის 2 დეკემბრის ნოტით საბჭოთა რუსეთის მთავრობას პროტესტი განუცხადა წითელი არმიის პოლონეთის სახელმწიფო საზღვრებისაკენ გადაადგილების გამო. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ნოტას შემდეგი შინაარსის პასუხი გასცა: რუსეთს პოლონეთიდან გამოყოფდა ლიტვისა და ნაწილობრივ უკრაინის ტერიტორია, რაც პოლონეთის მთავრობას სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევდა. ამის შემდეგ პოლონეთის მთავრობას დიპლომატიური გზით საკითხის მოგვარება აღარ უცდია. **იუზეფ პილსუდსკის** უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება პოლონელებით დასახლებული ლიტვისა და ბელორუსიის ნაწილი ომის გზით დაებრუნებინა. 1919 წლის აგვისტოს დამდეგს პოლონეთის არმიამ დაიკავა თითქმის მთელი **ბელორუსია** და **უკრაინის** ნაწილი. ანტანტას, ცხადია, რუსეთის დასუსტება სურდა, მაგრამ არ სურდა პოლონეთის არმიასა და ა. დენიკინის მოხალისეთა არმიას შორის შეტაკება მომხდარიყო. სწორედ ამიტომ, 1919 წლის დეკემბერში ანტანტამ მიიღო დეკლარაცია პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვრის შესახებ. დეკლარაციის მიხედვით, **პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვარი გადიოდა ე.წ. კერზონის ხაზის გასწვრივ, რაც იმას ნიშნავდა, რომ პოლონეთს რჩებოდა ადრე რუსეთის იმპერიაში შემავალი პოლონეთის სამეფოს მთელი ტერიტორია გარდა სუვალაიკის გუბერნიის ჩრდილოეთ ნაწილისა და ბელოსტოკის ოლქისა.**

1920 წლის მარტში პოლონეთსა და რუსეთს შორის საზავო მოლაპარაკება დაიწყო. პოლონეთის დელეგაციამ მოითხოვა **ჟენ პოსპოლიტას** პირველ დანაწილებამდე (1772 წ.) არსებული საზღვრების აღდგენა. რუსეთმა ეს მოთხოვნა არ მიიღო და მოლაპარაკებაც შეწყდა.

1920 წლის ივლისის დამდეგისათვის საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ დაიკავა **ბელორუსია** და **უკრაინა**, ხოლო შემდეგ **პოლონეთის** აღმოსავლეთი რაიონების ოკუპაციას შეუდგა. ამ დროისათვის საბჭოთა რუსეთის მთავრობაში პოლონეთთან დაკავშირებით აზრი გაიყო: **ბოლშევიკების ნაწილი, მათ შორის ვ. ლენინი, ითხოვდა პოლონეთის ტერიტორიის ოკუპაციის გაგრძელებას და პოლონეთში საბჭოთა ხელისუფლების ძალდატანებით დამყარებას. ბოლშევიკების მეორე ნაწილი თვლიდა, რომ ე.წ. პოლონეთ-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის კერზონის ხაზზე დადგენა უნდა მიჩნეულიყო პოლონეთთან ურთიერთობის მოგვარების საფუძვლად.** საბოლოოდ ვ. ლენინის აზრმა გაიმარჯვა.

ყველაფერი გადაწყვიტა **ლვოვისა** და **ვარშავის** მიმართულებით შეტევაზე გადასული წითელი არმიის წინააღმდეგ პოლონეთის არმიის გმირულმა ბრძოლამ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმხანად რუსეთს პოლონეთის დასაპყრობად ძალები არ ეყო. პოლონეთის არმიამ შეძლო რუსეთის სიღრმეში დიდი შეტევის დაწყება. 1921 წლის 21 მარტს **რიგაში**, ერთი მხრივ, რუსეთსა და უკრაინას და, მეორე მხრივ, პოლონეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება. **ხელშეკრულების თანახმად, დასავლეთ ბელორუსია და დასავლეთ უკრაინა გადაეცა პოლონეთს.** რუსეთს, როგორც ომში დამარცხებულ მხარეს, პოლონეთისათვის უნდა გადაეხადა 30 მილიონი მანეთი ოქროთი. გარდა ამისა უნდა დაებრუნებინა 1772 წლის შემდეგ (ჟენ პოსპოლიტას პირველი დანაწილების შემდეგ) პოლონეთიდან გატანილი კულტურული ფასეულობანი.

ამრიგად, ომი პოლონეთთან რუსეთისათვის მეტად სამარცხვინო რიგის საზავო ხელშეკრულებით დასრულდა. წითელი არმიის სისუსტესთან ერთად, ცხადი გახდა საბჭოთა რუსეთის დიპლომატიის უუნარობაც.

6. **რუსეთის საგარეო პოლიტიკა და კომუნისტური ინტერნაციონალი.** 1918 წლის 2-6

მარტს მოსკოვში შედგა **კომუნისტური ინტერნაციონალის I (დამფუძნებელი) კონგრესი.** კონგრესმა მიიღო კომინტერნის პლატფორმა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ კომუნისტური რევოლუციების ეპოქა დამთავრდებოდა „ღია ბრძოლაში ბურჟუაზიულ სახელმწიფო მანქანასთან პირდაპირი შეჯახებით". კონგრესმა აირჩია კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის ბიურო შემდეგი შემადგენლობით: გ. ზინოვიევი (თავმჯდომარე), ნ. ბუხარინი, მ. ლიტვინოვი და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის სხვა წარმომადგენლები.

კომინტერნი ყოველნაირად ცდილობდა მსოფლიო რევოლუციის გამოწვევას, რომელსაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა ყველა კონტინენტზე ბოლშევიკთა ბატონობის დამყარება. მსოფლიო რევოლუციის გამოწვევას ბოლშევიკები სხვადასხვა ქვეყანაში პოლიტიკური დივერსიების მოწყობით ცდილობდნენ. საბჭოთა რუსეთი მრავალი ქვეყნის კომუნისტურ და მემარცხენე სოციალისტურ პარტიებს დიდ ფინანსურ დახმარებას უწევდა. **რუსეთის დაზვერვა ყოველ ღონეს ხმარობდა ცალკეულ ქვეყნებში მეზუთე კოლონის ორგანიზების მიზნით.** მართალია, კომინტერნის III კონგრესზე ვ. ლენინმა გააკრიტიკა მემარცხენე კომუნისტების შემტევი ტაქტიკა, მაგრამ 1923 წელს გერმანიაში სოციალური სიტუაციის დაძაბვის შემდეგ, კომინტერნის პრეზიდიუმმა გერმანიაში შეიარაღებული აჯანყების გადაწყვეტილება მიიღო. გერმანიაში ფარულად გაიგზავნა სამხედრო სპეციალისტების ჯგუფი და იარაღი. 1923 წლის ოქტომბერში ჰამბურგში დაწყებული აჯანყება გერმანიის მთავრობამ ჩაახშო, მაგრამ კომინტერნი მარცხს მაინც არ შეურიგდა.

7. ურთიერთობა აღმოსავლეთის ხალხებთან. 1921 წლის 26 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა ხელშეკრულება დადო **ირანთან,** 28 თებერვალს — **ავღანეთთან,** 16 მარტს — **თურქეთთან,** 5 ნოემბერს **მონღოლეთთან. ირანთან** და **მონღოლეთთან** დადებული ხელშეკრულებით რუსეთმა ძალადაკარგულად ცნო ამ ქვეყნებთან რუსეთის იმპერიის მიერ დადებული არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები და შეთანხმებები. **თურქეთთან** დადებულ ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო, რომ რუსეთი და თურქეთი არ ცნობდნენ რომელიმე მხარისათვის ძალდატანების პირობებში დადებულ ხელშეკრულებას. **რუსეთ-თურქეთის** ხელშეკრულებით დადგინდა სახელმწიფო საზღვარი ორ ქვეყანას შორის. **რუსეთ-ირანის** ხელშეკრულების ძალით ორივე მხარე ცნობდა 1881 წლის ხელშეკრულებით დადგენილ სახელმწიფო საზღვრებს. **რუსეთ-ავღანეთის** ხელშეკრულება ორივე მხარეს ავალდებულებდა მესამე მხარესთან არ გაეფორმებინათ ისეთი სამხედრო და პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც ვნებდა რუსეთის ან ავღანეთის ინტერესებს.

ირანთან, ავღანეთთან, თურქეთთან და **მონღოლეთთან 1921 წელს დადებული ხელშეკრულებებით საბჭოთა რუსეთმა მნიშვნელოვნად განიმტკიცა მდგომარეობა აღმოსავლეთში.**

თავი XI. საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკა 1921-1927 წლებში

§ 1. სოციალური და ეკონომიკური განვითარება 1921-1927 წლებში

1. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის არსი. რუსეთის გადასვლა **ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე** მოიწონა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) X ყრილობამ 1921 წლის მარტში. ამ დროს ქვეყანაში დიდი სოციალური და ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებდა. **სასურსათო გაწერა** სოფლად შეიძლებოდა დიდი სოციალური ამბოხის მიზეზი გამხდარიყო. ახალი ეკონომიკური პოლიტიკა გულისხმობდა **სასურსათო გაწერის სასურსათო გადასახადით** შეცვლას. სასურსათო გადასახადის გასტუმრების შემდეგ გლეხობას უფლება ეძლეოდა, დარჩენილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი ბაზარზე გაეყიდა. 1921 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე აღსდგა ფასები საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობაზე, საფოსტო და კომუნალურ მომსახურებაზე. ყოველივე ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ **სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკას** ზღვარი დაედო.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკა გულისხმობდა სამხედრო კომუნიზმის პერიოდში შემოღებული განაწილების საბჭოთა ვაჭრობით შეცვლას. ვაჭრობა პირველ რიგში დაიწყო **პურით.** მთავრობა ვარაუდობდა, რომ სასურსათო გადასახადის გადახდის შემდეგ გლეხობა ბაზარზე კიდევ გამოიტანდა მისი კუთვნილი პურის 40-50%-ს. **საბჭოთა ხელისუფლებას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ პურით ვაჭრობაზე სასტიკი კონტროლი დაეწესებინა.** მიუხედავად ამისა, 1921 წლის შემოდგომაზე **პურით ვაჭრობა თითქმის მთლიანად გამოვიდა სახელმწიფო კონტროლიდან. ჩამოყალიბდა ნამდვილი საბაზრო ურთიერთობა, რომელსაც ხელისუფლება წინ ვეღარ აღუდგა.** კერძო ვაჭრობამ მიმოქცევაში დააბრუნა ფული და გამოაცოცხლა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის ძველი ცენტრები. 1922 წელს კვლავ ამოქმედდა ცნობილი ბაზრობები **ნიჟნი ნოვგოროდსა** და სხვა ქალაქებში. **მოსკოვმა** კვლავ დაიბრუნა საერთო-რუსული ვაჭრობის ცენტრის ფუნქცია.

კერძო ვაჭრობის დამკვიდრებას მოჰყვა **საბითუმო ვაჭრობის ფირმების** შექმნა. 1922 წლის მეორე ნახევარში რუსეთში მოქმედებდა საბითუმო ვაჭრობის 13 ათასი მსხვილი და საშუალო ფირმა. ერთი წლის შემდეგ მათი რიცხვი 19 ათასამდე გაიზარდა. XX საუკუნის 20-ანი წლების შუა ხანებისათვის კერძო ვაჭრობაში დასაქმებული იყო 180 ათასი კაცი. კერძო ვაჭრობა გავლენას ახდენდა ფასწარმოქმნაზე. საქონლის სიმცირე ზრდიდა ფასს, სიჭარბე კი პირიქით, ამცირებდა.

1921 წლიდან რუსეთში დაიწყო **სასაქონლო ბირჟების** შექმნა. პირველი საბჭოთა სასაქონლო ბირჟა შეიქმნა ქალაქ **სარატოვში.** 1922 წლის მარტისათვის საბჭოთა რუსეთში 24 სასაქონლო ბირჟა არსებობდა, იმავე წლის ბოლოს კი — 96. სასაქონლო ბირჟა თავდაპირველად განიხილებოდა როგორც გასაღების სფეროს დამხმარე რგოლი, მაგრამ მალე გასაღების სფეროს რეგლამენტირებისა და ვაჭრობაზე კონტროლის მექანიზმად იქცა.

2. ფულად-საფინანსო პოლიტიკა 1921-1922 წლებში. 1921 წლის შემოდგომაზე საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გამოაცხადა, რომ **ხაზინას** გადამწყვეტი როლი აკისრია სახელმწიფოში. **ფულად-საფინანსო სისტემის მთავარ რგოლს ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენდა, რომლის სისტემაშიც შეიქმნა სახელმწიფო ბანკი.** სახელმწიფო შემოსავლების გაზრდის მიზნით 1921 წელს მოხდა **კერძო მეწარმეობის ლეგალიზაცია,** გაადვილდა **კერძო** საკანონმდებლო **დაწესებულებების** გახსნა, **წვრილი** საწარმოები, **საშუალო** საწარმოების **მნიშვნელოვანი** ნაწილი გადაეცათ **კერძო** საკუთრებაში. ამასთან ერთად, სახელმწიფომ **დაიწყო** კერძო **საწარმოებზე** **მოკლევადიანი** **და** **მაღალპროცენტიანი** **კრედიტების** **გაცემა.** **კრედიტი** **გაიცემოდა,** **თუ** **კერძო** **მეწარმე** **ბანკში** **კრედიტის** **რაოდენობასთან** **შედარებით** **გაცილებით** **დიდ** **გირაოს** **დატოვებდა.**

ფულად-საფინანსო **სისტემის** **გაუმჯობესების** **მიზნით** **გადაწყდა** **უცხოელ** **კაპიტალისტებზე** **კონცესიების** **გაცემა.** **ეს,** **ერთი** **მხრივ,** **დიდ** **შემოსავალს** **აძლევდა** **სახელმწიფოს** **და,** **მეორე**

მხრივ, ხელს უწყობდა საკონცესიო საწარმოების აღორძინებას.

მთავრობა სულ უფრო ამცირებდა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს. ამ მიზნით მცირდებოდა სახელმწიფო დაწესებულებათა საშტატო ერთეულების რაოდენობა და დაფინანსება, განსაკუთრებით შემცირდა სამხედრო უწყების დაფინანსება. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მრავალი ნაციონალიზებული ფაბრიკა და ქარხანა. გარდა დაფინანსების შემცირებისა, სახელმწიფოს მხრიდან იკლო მომარაგებამ, მომარაგებაზე დაწესდა მკაცრი ლიმიტი. სახელმწიფომ პასუხისმგებლობა მოიხსნა ფაბრიკებისა და ქარხნების დავალიანების დაფარვაზე.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, 1917-1922 წლებში გამოშვებული **ფულის რაოდენობა ათასჯერ აღემატებოდა სასაქონლო ბაზრის მოცულობას**. ინფლაციის ტემპები სულ უფრო იზრდებოდა. აუცილებელი იყო ფულის რეფორმა.

1917 წლის ოქტომბრისათვის რუსეთის **ოქროს მარაგი** შეადგენდა 1713 მილიონ მანეთს. აქედან რუსეთში იყო მხოლოდ 1 მილიარდ 101 მილიონი მანეთი, დანარჩენი დეპონირებული იყო საზღვარგარეთის ბანკებში. ოქროს მარაგის მნიშვნელოვანი რაოდენობა (650 მილიონი მანეთი) ყაზანის ხაზინიდან ჩეხოსლოვაკთა კორპუსის აჯანყების დროს გაიტაცეს და მისი დიდი ნაწილი (241 მილიონი მანეთი) დაიხარჯა კიდეც, ხოლო ნაწილი ჯერ ა. კოლჩაკის, ხოლო შემდეგ ატამან გ. სემიონოვის ხელში აღმოჩნდა. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ყაზანის ხაზინიდან გატაცებული ფულიდან 409 მილიონი მანეთი დაიბრუნა. 1921 წელს დაწესებული ახალი ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით სახელმწიფომ 20 მილიონი მანეთი (ოქროთი) მოგება ნახა. **ხაზინის შევსება წვრილი და საშუალო სიმძლავრის საბადოებიდან ოქროს მიღებით მოხდა, ყოველივე ამან მანეთის კურსი შესამჩნევად განამტკიცა, რამაც თავისთავად შესაძლებელი გახადა სამხედრო კომუნიზმის დროს გაუქმებული ფულის მიმოქცევის აღდგენა**. მიუხედავად ამისა, ფულის რეფორმის გარეშე ფულად-საფინანსო სისტემის გაჯანსაღება მაინც შეუძლებელი იყო.

1922-1924 წლებში გატარებული **ფულის რეფორმის** არსი შემდეგში გამოიხატებოდა: 1) არსებული საბჭოთა ფულის მიმოქცევაში დატოვება; 2)პარალელურად მიმოქცევაში ვალუტის შემოტანა. 1922 წლიდან მიმოქცევაში შემოვიდა **ოქროს ფული (ჩერვონეცი)**. 1923 წლიდან დაიწყო 1921 წელს გამოშვებული საბჭოთა ფულის ნიშნების ოქროს ფულზე (ჩერვონეცზე) გადაცვლა. **1 მილიონი საბჭოთა ფული იცვლებოდა 1 ოქროს მანეთზე**. ოქროს მანეთის (ჩერვონეცის) გამოშვებით საბჭოთა ფულის კურსი ძალზე დაეცა. ამან სერიოზულად დააზარალა გლეხობა, რომელსაც კერძო ვაჭრობის ლეგალიზაციის შედეგად დიდძალი საბჭოთა ფული ჰქონდა დაგროვილი. გლეხობის მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე გახდა მას შემდეგ, რაც 1923 წელს მუშებს ხელფასი ოქროს მანეთით (ჩერვონეცით) მისცეს. სამაგიეროდ, 1924 წლის დამდეგისათვის მთავრობამ საბიუჯეტო კრიზისი დაძლია.

3. **მრეწველობის აღდგენის თავისებურებანი**. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის წლებში დასაბამი მიეცა **მრეწველობის აღდგენას**. განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდიდა: 1) ის დარგები, რომლებიც პირველი მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის წლებში სხვა დარგებთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ; 2) მძიმე ინდუსტრიასთან დაკავშირებული დარგები; 3) ის დარგები, სადაც ხელის შრომიდან მექანიზაციაზე გადასვლა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული და მანქანა-დანადგარების ნაკლებობის პირობებშიც შეეძლოთ პროდუქციის გამოშვება.

ფართო მოხმარების საგნების მწვავე დეფიციტის პირობებში მთავრობა ისევ და ისევ წიაღისეულის მომპოვებელი წარმოებისა და მძიმე მრეწველობის დაფინანსებას ანიჭებდა უპირატესობას. მიუხედავად ამისა, **მოსკოვისა და პეტროგრადის დიდი ქარხნების უმეტესობა** წამგებიანი **იყო**. თანაც ფაბრიკებისა და ქარხნების აბსოლუტური უმრავლესობა სრული დატვირთვით ვერ მუშაობდა. 1922 წელს მექანიკურ ქარხნებში სიმძლავრეთა მხოლოდ 30 % იყო დატვირთული.

4. **საკონცესიო პოლიტიკა**. 1920 წლის დეკრეტით ნებადართულ იქნა წინათ უცხოელი კაპიტალისტებისათვის ჩამორთმეული **საკონცესიო** უფლებების აღდგენა. უცხოელ კაპიტალისტებს უფლება მიეცათ მრეწველობის ამა თუ იმ დარგში კაპიტალის დაბანდებისა. მთავრობა კონცესიის წესით კერძო კაპიტალის განკარგულებაში გადასცემდა ამა თუ იმ საწარმოს. ამასთან ერთად, უცხოელ კონცესიონერთა მფლობელობაში არსებული საწარმოები სახელმწიფოს მხრიდან მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა.

უცხოელი კაპიტალისტები ეჭვის თვალით უყურებდნენ საბჭოთა მთავრობის საკონცესიო

პოლიტიკას. 1921 წელს რუსეთში უცხოელ კაპიტალისტთა ხელში გადავიდა სულ 5 საწარმო, 1922 წელს — 10, 1923 წელს — 23. XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსათვის უცხოელი კაპიტალისტებისათვის გადაცემული საწარმოები სახელმწიფოს წლიურად 20 მილიონი მანეთის მოგებას აძლევდნენ. საკონცესიო საწარმოების პროდუქცია მთელი პროდუქციის მხოლოდ 1%-ს უდრიდა (სამთო მრეწველობაში იგი 3%-ს აღწევდა). საკონცესიო საწარმოებში დასაქმებული იყო 20 ათასი კაცი, ანუ მუშათა საერთო რაოდენობის 1%.

5. ახალი ეკონომიკური პოლიტიკა სოფლად. 1917-1920 წლებში რუსეთის სოფლის მეურნეობამ დიდი ზარალი ნახა. **სოფელსა და ქალაქს შორის ტრადიციული ეკონომიკური ურთიერთობა მოიშალა და სოფლის მეურნეობა თითქმის მთლიანად ნატურალურ ხასიათს დაუბრუნდა.** 1917-1922 წლებში ნათესი ფართობის რაოდენობა 60%-ით შემცირდა. ნათესები განსაკუთრებით შემცირდა **ყუბანში, დონზე** და რუსეთის **შავნიადაგმიწიან რეგიონებში.** არაშავმიწიანი რეგიონების 16 გუბერნიაში ნათესი ფართობები 70%-ით შემცირდა. ასეთმა მძიმე მდგომარეობამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ხასიათი სოფლად. ნეპის პირველ წელს, 1921 წელს, დიდმა მოუსავლიანობამ სოფელი კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. შიმშილობდა რუსეთის 28 გუბერნიის 36 მილიონი მცხოვრები. გლეხური მეურნეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მთლიანად გაჩანაგდა, მაგრამ 1922 წლის მოსავალმა მდგომარეობა ნაწილობრივ გამოასწორა.

1922 წლის დეკრეტით დამტკიცდა **მიწის ახალი კოდექსი.** ამიერიდან მოისპო სოფლებსა და თემებში მიწის თანაბრად, ერთი ნორმით განაწილების წესი. **მიწის ნორმა დგინდებოდა ყოველი კონკრეტული სოფლისა და თემისათვის.** გარდა ამისა, აიკრძალა კუთვნილი მიწის იჯარით გაცემა. მიწის იჯარით გაცემის უფლება ჰქონდა მხოლოდ უღარიბეს გლეხობას და ისიც განსაკუთრებულ შემთხვევაში (ავადმყოფობა, მარჩენალის ჯარში გაწვევა და სხვ.).

ომმა და შიმშილმა შეცვალა რუსეთის სხვადასხვა რეგიონში წინათ არსებული მოსახლეობის სიმჭიდროვე. გლეხობა მასობრივად გადაადგილდებოდა ცხოვრებისათვის უკეთესი პირობების საძებნელად. სოფლად თავშესაფარს ეძებდა ქალაქის მოსახლეობა. 1924-1925 წლებში სოფლის მოსახლეობა 1,5 მილიონი კაცით გაიზარდა. იმავდროულად სოფლიდან ქალაქად სამუშაოს საძებნელად წავიდა 50 ათასი კაცი.

უღარიბესი გლეხობა მეურნეობის გამართვას ვერ ახერხებდა. სწორედ ამიტომ **ახალი ეკონომიკური პოლიტიკით ისევ შეძლებულმა გლეხებმა ისარგებლეს.** 1927 წელს ნეპით დაშვებული შეღავათებით მთელი გლეხობის მხოლოდ 3,9% სარგებლობდა. XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებისათვის 24-25 ათასი გლეხური კომლი, რომელთაგან თითოეული საშუალოდ 12 დესეტინა მიწას ფლობდა, წელში ვერ გაიმართა და სტაბილურ ეკონომიკურ მდგომარეობას ვერ მიაღწია. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პერიოდში (1921-1928 წწ.) ყველაზე მოსავლიან წელს, 1926 წელს, მოწეული იქნა 116,4 მილიონი ცენტნერი ხორბალი, რაც ვერ უტოლდებოდა 1913 წელს მოწეული ხორბლის რაოდენობას.

ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ გამოიწვია სოფლად საგადასახადო სისტემის შეცვლის აუცილებლობა. მანამდე არსებული 14-18 სახის გადასახადი 1922 წელს **ერთიანი ნატურალური გადასახადით** შეიცვალა. 1924 წლიდან ნატურალური გადასახადის ფულზე გადაანგარიშება ხდებოდა, რამაც გლეხობას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარზე გატანის სტიმული მისცა.

ამასობაში საბჭოთა წყობილებას შეეგუა **რუსული სასოფლო თემი. სასოფლო თემის ისეთი დამახასიათებელი ნიშანი, როგორიც იყო თანასწორობა და დემოკრატიზმი, საბჭოთა სისტემის საყრდენად იქცა.** თემი იყო ის **საწარმოო უჯრედი, სადაც მიწის თანაბრად განაწილების გარდა ურთიერთდახმარების უძველესი პრინციპი მოქმედებდა.** თემს **განაგებდა გლეხური კომლების წარმომადგენელთა საერთო კრება.** საბჭოთა ხელისუფლებამ ახალი არჩევითი ორგანოთი (სასოფლო საბჭოთი) თემის საერთო კრების შეცვლა ვერ შეძლო. ამრიგად, სასოფლო თემი და სასოფლო საბჭო ერთმანეთის გვერდით განაგრძობდა არსებობას. **სასოფლო თემი თავისი ფინანსური დამოუკიდებლობით ძალზე ზღუდავდა სასოფლო საბჭოს, არ აძლევდა მას საბჭოთა სოციალური პოლიტიკის რეალიზების საშუალებას.** ეს იყო ერთგვარი ორხელისუფლებიანობა სოფლად.

ამრიგად, სასოფლო თემმა კერძო გლეხური მეურნეობის კოლექტიურ მეურნეობაში გაერთიანების წინა პერიოდში (1921-1927 წწ.) თავისი ფუნქცია ნაწილობრივ შეინარჩუნა.

§ 2. პოლიტიკური სისტემა 1921-1927 წლებში

1. **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ)** შექმნა. 1921 წლის გაზაფხულისათვის საბჭოთა რუსეთი უკვე ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიის უდიდეს ნაწილს ფლობდა. მიუხედავად ამისა, ვ. ლენინის მიერ ჩაფიქრებული ახალი საბჭოთა იმპერიის შექმნა ფერხდებოდა. **რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში ახალი ეროვნული ავტონომიების შექმნამ სერიოზული სირთულეები წარმოქმნა.** ჭიანურდებოდა შუა აზიის რესპუბლიკებში საბჭოთა წყობილების დამყარება. ყველაზე დიდი სირთულე კი იმაში მდგომარეობდა, რომ გაძნელდა რუსეთის ფედერაციასთან დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების (უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის) გაერთიანების ფორმის გამონახვა. უკრაინა, ბელორუსია, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ფორმალურად დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ, ფაქტობრივად კი ისინი რუსეთის მიერ იყვნენ დაპყრობილნი. ამ რესპუბლიკებში რუსეთის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი არსებობდა.

ვ. ლენინისა და კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის მიერ აღიარებული ერთა **თვითგამორკვევის** პრინციპის პრაქტიკულად განხორციელებამ ბევრი გაუგებრობა გამოიწვია. იმ დროს, როდესაც თვითგამორკვევის უფლება ერთი ერისათვის სასიკეთო გამოდგა, მიუღებელი აღმოჩნდა მეორისათვის. გარდა ამისა, გაძნელდა **ეროვნული ავტონომიების** საზღვრების დადგენა, რის გამოც შეიქმნა კონფლიქტების აღმოცენების საშიშროება. მაგალითად, 1920 წელს **ჩუვაშეთის** ავტონომიის საზღვრების დადგენისას **ყაზანის** გუბერნიის სამი მაზრა **ჩუვაშეთს** მიაკუთვნეს, რამაც დიდი გაუგებრობა გამოიწვია. ხალხის ნაწილი საერთოდ გულგრილად ეკიდებოდა ავტონომიის შექმნის საქმეს. მაგალითად, 1921 წელს გაირკვა, რომ ციმბირის მთელ რიგ ხალხებში წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, თუ რა იყო ავტონომია ან რისთვის ქმნიდნენ მას.

რუსეთს ძალიან გაუძნელდა შუა აზიის დაპყრობა და იქ საბჭოთა წყობილების დამყარება. წითელი არმიის ნაწილებს დიდ წინააღმდეგობას უწევდა ადგილობრივი არისტოკრატიის მიერ შექმნილი ბასმაჩთა შეიარაღებული რაზმები. შუა აზიის ტერიტორიაზე რუსეთის შეჭრას წინ აღუდგა **თურქეთი.** 1922 წლის თებერვალში თურქეთის არმიის გენერალმა **ენვერ-ფაშამ ბუხარის ემირატის** ტერიტორიაზე ილაშქრა და ქალაქი **დუშანბე** დაიკავა. წითელმა არმიამ თურქები დუშანბედან მხოლოდ 1922 წლის ივლისში განდევნა. ბასმაჩთა მოძრაობის წინამძღოლები კარგად იყენებდნენ ბოლშევიკების მიერ დაშვებულ შეცდომებს (ადგილობრივი ადათ-წესების უპატივცემულობა, ათეისტური პროპაგანდა, ძალმომრეობა) და სულ უფრო დიდ ძალებს უყრიდნენ თავს. საბჭოთა რუსეთის მთავრობა შუა აზიის იმ ტერიტორიაზე, რომელიც წითელ არმიას უკვე დაკავებული ჰქონდა, შეეცადა აგრარული რეფორმის გატარებას, რამაც რამდენიმე რეგიონში მოსახლეობის აჯანყება გამოიწვია. 1922 წლისათვის შუა აზიაში ვითარება ისე დაიძაბა, რომ ი. სტალინმა საჭიროდ ჩათვალა რუსეთის ფედერაციაში **ბუხარისა** და **ხორეზმის** რესპუბლიკების გაერთიანების საკითხის გადადება.

კიდევ უფრო რთული გამოდგა ექვსი საბჭოთა რესპუბლიკის — **რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, სომხეთისა** და **აზერბაიჯანის** — გაერთიანების ფორმების მოძიება. 1922 წლის იანვარში რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა **გ. ჩიჩერინმა** წამოაყენა წინადადება **რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის გაერთიანების შესახებ.** გაერთიანების მოთხოვნას გ. ჩიჩერინი საერთაშორისო ასპარეზზე ერთიანი ფრონტით მოქმედების აუცილებლობით ასაბუთებდა. გ. ჩიჩერინს მხარი დაუჭირა ფინანსთა სახალხო კომისარმა **გ. სოკოლნიკოვმა.** მეტიც, მან რუსეთის ფედერაციაში **ბუხარისა** და **ხორეზმის** რესპუბლიკების გაერთიანებაც მოითხოვა. გ. ჩიჩერინმა ბუხარისა და ხორეზმის რესპუბლიკების რუსეთის ფედერაციაში გაერთიანებას მხარი არ დაუჭირა. მისი აზრით, ეს გამოიწვევდა ავღანეთის გაღიზიანებას. ამასთანავე, მოსალოდნელი იყო ადგილობრივი ნაციონალისტური ძალების ფართომასშტაბიანი საპროტესტო მოძრაობის დაწყება. იმხანად საკითხის განხილვა ამით დამთავრდა. **ვ. ლენინმა** და **ი. სტალინმა** სწორად განსაზღვრეს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ერთიანი ფრონტით მოქმედების აუცილებლობის გამო გაერთიანების პროცესის დაჩქარება არ ღირდა, რადგან საკითხი ძალზე რთული იყო და ყოველმხრივ შესწავლას საჭიროებდა. **მძიმე ვითარება იყო**

შექმნილი რუსეთის ფედერაციის შიგნით. მოსკოვი ერთა თვითგამორკვევის პრინციპს კი აღიარებდა, მაგრამ ხშირად უხეშად ერეოდა ეროვნული ავტონომიების საშინაო საქმეებში. გარდა ამისა, **მკვეთრად არ იყო გამიჯნული უფლებამოსილება უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის.** კერძოდ, საბჭოთა კავშირის ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარიატის მუშაობას ხელს უშლიდა საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებები. 1922 წლის ოქტომბერში საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გააუქმა თურქესტანის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება სკოლებში ყურანის სწავლების შემოღების შესახებ. საბჭოთა კავშირის ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარიატმა გააპროტესტა საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება.

დიდ წინააღმდეგობებს შეხვდა საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების მთავრობებთან ურთიერთობაში. საქართველო და აზერბაიჯანი ეწინააღმდეგებოდნენ საგარეო ვაჭრობის **მონოპოლიზაციას** და **ერთიანი ფულის ნიშნის** შემოღებას. გარდა ამისა, აზერბაიჯანმა ფაქტობრივად გააუქმა ირანის საზღვრებთან არსებული საბაჟო. საქართველოს მთავრობა ეწინააღმდეგებოდა მოსკოვის თითქმის ყველა ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებას. საქართველოს ხელისუფლებამ, მოსკოვთან შეთანხმების გარეშე, გასცა ნებართვა თბილისში თურქეთის ბანკის (თურქულ-ფრანგული კაპიტალით) განყოფილების გახსნის შესახებ. 1921 წლის 14 ივლისს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა მიიღო მოსკოვისათვის აშკარად მიუღებელი დადგენილება. დადგენილება ითვალისწინებდა თბილისიდან იმ პირთა გასახლებას, რომლებიც: ა) არ მიეკუთვნებოდნენ ქალაქის მკვიდრ მაცხოვრებლებს; ბ) ქალაქში არ იყვნენ დასაქმებულნი და ამ საქმიანობით არ მოიპოვებდნენ საარსებო სახსარს..

ამ დადგენილების ძალით თბილისი უნდა დაეტოვებინათ ლტოლვილ **სომხებს** და **რუსებს.** 1922 წლის მარტში, როდესაც საქართველოს საზღვრებს რუსეთიდან შიმშილობის გამო სამხრეთისაკენ დაძრული მოსახლეობის უზარმაზარი მასა მოადგა, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ **ფ. მახარაძემ** და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **მ. ოკუჯავამ** გამოსცეს დადგენილება საქართველოს საზღვრების დახურვისა და ლტოლვილთა ქვეყნის ტერიტორიაზე გატარების აკრძალვის შესახებ. აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ **ე. ეშბამ** გასცა განკარგულება რუსეთიდან შემოსული ლტოლვილების დაუყოვნებლივ დაპატიმრებისა და ძველ საცხოვრებელ ადგილებში ძალით გასახლების შესახებ.

1922 წლის აგვისტოში საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობამ მიიღო დადგენილება, **გადამწყვეტი ზომებით აღეკვეთათ ცალკეული რესპუბლიკების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ.** ამ დროიდან ახალი საბჭოთა იმპერიის შექმნისათვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს გადაწყვეტილებით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა მოემზადებინა **„რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და დამოუკიდებელი რესპუბლიკების ურთიერთობის შესახებ“** საკითხი. კომისიის დავალებით **იოსებ სტალინმა** შეიმუშავა პროექტი (ე.წ. „ავტონომიზაციის პროექტი“), რომელიც ითვალისწინებდა **რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შესვლას ავტონომიური რესპუბლიკის უფლებით.** ი. სტალინის აზრით, თუ დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკები დაუყოვნებლივ უსიტყვოდ არ დაემორჩილებოდნენ ცენტრს, ერთი წლის შემდეგ მათი გაერთიანება გაცილებით ძნელი იქნებოდა. ი. სტალინის წინადადებით რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი თუ მის პროექტს მიიღებდა, დადგენილება არ გამოექვეყნებინათ. ამავე დროს, დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიების ცენტრალური კომიტეტებისათვის ამ დადგენილებას დირექტივის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და იგი დაუყოვნებლივ, განხილვის გარეშე უნდა შეესრულებინათ. **ი. სტალინის ავტონომიზაციის პროექტს მხარი დაუჭირეს ვ. მოლოტოვმა, ს. ორჯონიკიძემ, გ. სოკოლნიკოვმა, გ. ჩიჩერინმა და სხვებმა.** უფრო მეტიც, რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში, ისევე

როგორც დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების ხელმძღვანელობაში, იყვნენ ადამიანები, რომლებიც ი. სტალინზე შორს მიდიოდნენ. მაგალითად, 1921 წელს რკპ (ბ) X ყრილობაზე გამოსვლისას უკრაინელი ბოლშევიკების ერთ-ერთმა ლიდერმა **ვ. ზატონსკიმ** განაცხადა, რომ თუ დამოუკიდებელი რესპუბლიკები რუსეთის ფედერაციაში არ გაერთიანდებიან, უცხო ქვეყნების მიერ მათი დაპყრობის საფრთხე რეალური გახდებაო. 1922 წლის მაისში რუსეთის ფედერაციის ეროვნებათა საქმის სახალხო კომისრის მოადგილემ **გ. ბროიდომ** წამოაყენა წინადადება, ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარიატი გარდაექმნათ ინგლისში არსებული **კოლონიების სამინისტროს** მსგავს ორგანოდ. ამ ახალი ორგანოს ხელში უნდა ყოფილიყო რუსეთის ფედერაციაში ეროვნული ნიშნით შექმნილი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების მართვა, ასევე დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკებში პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტა. ამავე დროს, რუსეთის ფედერაციის შესაბამისი სახალხო კომისარიატები ხსენებული ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების, ასევე დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ ყოველგვარ უფლებებს კარგავდნენ. **კოლონიური სამინისტროს მსგავსი ორგანოს შექმნა მიუღებლად მიიჩნია ი. სტალინმა.** დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების რუსეთის ფედერაციაში გაერთიანებას მხარს უჭერდა უკრაინელი ბოლშევიკების ლიდერი **დ. მანუილსკი.** 1922 წლის სექტემბერში მან წამოაყენა წინადადება საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ლიკვიდაციისა და მათთვის **„რეალური ავტონომიის“** მინიჭების შესახებ.

ამრიგად, იოსებ სტალინის „ავტონომიზაციის პროექტი“ გამოხატავდა რკპ (ბ) ხელმძღვანელობის ცენტრისტული უმრავლესობის პოზიციას 1921-1922 წლებისათვის.

1922 წლის სექტემბერში დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიების ცენტრალური კომიტეტები გაეცვნენ ი. **სტალინის „ავტონომიზაციის პროექტს“.** ამ პერიოდისათვის ამერკავკასიაში რეალურ პოლიტიკურ ძალაუფლებას ფლობდა **რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ამერკავკასიის სამხარეო კომიტეტი სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით.** მას ემორჩილებოდა სამივე რესპუბლიკის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიების ცენტრალური კომიტეტები, მის კონტროლს ექვემდებარებოდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. რკპ (ბ) ამერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა მხარი დაუჭირა ი. სტალინის „ავტონომიზაციის პროექტს“, **საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა ი. სტალინის „ავტონომიზაციის პროექტი“ მიუღებლად მიიჩნია.** უკრაინისა და ბელორუსიის კომუნისტური პარტიების (ბოლშევიკების) ხელმძღვანელობამ საკითხის განხილვა ვითარების საბოლოოდ გარკვევამდე გადადო. როგორც ვხედავთ, ძალთა განლაგება აშკარად არ იყო ი. სტალინისათვის სასურველი. მანაც დიდი მუშაობა გაწია და მალე ვითარებაც მის სასარგებლოდ შეიცვალა. 1922 წლის 23 სექტემბერს დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების (ბოლშევიკებისა) ხელმძღვანელები რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს სხდომაზე გამოიძახეს, სადაც იხილებოდა საკითხი **„რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და დამოუკიდებელი რესპუბლიკების ურთიერთობის შესახებ“.** ამ დღეს ი. სტალინის პროექტს ყველა რესპუბლიკის წარმომადგენელმა დაუჭირა მხარი, თავი შეიკავა მხოლოდ საქართველოს წარმომადგენელმა **ბუდუ მდივანმა.** 24 სექტემბერს შეთანხმებულ იქნა სადავო საკითხები. ი. სტალინი ზოგიერთ დათმობაზე წავიდა. კერძოდ, გადაწყდა: 1) რესპუბლიკებს თავიანთი წარმომადგენელი ეყოლებოდათ რუსეთის ფედერაციის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში; 2) ცალკეულ რესპუბლიკებში ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული რწმუნებულების კანდიდატურებს წინასწარ შეუთანხმებდნენ ამ რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს; 3) რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატების მიერ საზღვარგარეთ შექმნილ წარმომადგენლობებში აუცილებლად უნდა ყოფილიყო რესპუბლიკების წარმომადგენელი; 4) ფინანსთა სახალხო კომისარიატი საკავშირო დაქვემდებარების უწყებიდან უნდა გარდაქმნილიყო საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების უწყებად. ი. **სტალინის დათმობებმა საქართველოს წარმომადგენელი ბ. მდივანიც აიძულა დათმო.** ამჯერად, ბ. მდივანმა წამოაყენა წინადადება რესპუბლიკებში ეროვნული არ-

მიის საგანგებო უწყების შექმნის შესახებ. გარდა ამისა, ბ. მდივანმა მოითხოვა რუსეთის ფედერაციაში დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების საკითხი რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების (ბოლშევიკებისა) ცენტრალურ კომიტეტებს განეხილა. ბ. მდივანის წინადადებებს მხარი არავინ დაუჭირა. ი. სტალინი გამარჯვებას ზეიმობდა. მოულოდნელად ვითარება შეიცვალა. 1921 წლის 26 სექტემბერს ლევ კამენევის მეშვეობით ვ. ლენინმა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს აცნობა, რომ იგი არ ეთანხმებოდა ი. სტალინის „ავტონომიზაციის პროექტს" და ითხოვდა ყველა რესპუბლიკის გაერთიანებას ერთ სამოკავშირეო სახელმწიფოში — ევროპისა და აზიის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში (მალე ეს სახელწოდება ახლით შეიცვალა — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირით), რომელსაც ექნებოდა ხელისუფლების ფედერალური ორგანოები. როგორც ჩანს, ი. სტალინი და ვ. ლენინი წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდნენ. ი. სტალინის პროექტი რესპუბლიკების დაშინების მიზნით შედგა, ხოლო ვ. ლენინისა ვითომდა დამოუკიდებელი რესპუბლიკებისათვის უკეთეს ვარიანტს წარმოადგენდა. ორივე შემთხვევაში საქმე ეხებოდა საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის მოსპობას. ი. სტალინის პროექტი ამ დამოუკიდებლობას ფაქტობრივადაც და ფორმალურადაც სპობდა, ხოლო ვ. ლენინისა — ფაქტობრივად. ეს იმთავითვე ნათელი იყო. სწორედ ამიტომ, 1921 წლის 5-6 ოქტომბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ ვ. ლენინის შესწორებების მიღების მიუხედავად ბ. მდივანმა და სხვებმა უფრო მეტი დათმობები მოითხოვეს.

ახალი საბჭოთა იმპერიის შექმნის გზაზე ყველაზე დიდ დაბრკოლებას საქართველო წარმოადგენდა. საქართველოს მთავრობა ისევ არ იცავდა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიზაციასა და თავისი ფულის (ბონის) კურსის გამყარებას ცდილობდა (1922 წლის ოქტომბრისათვის ქართული ბონის მსყიდველობითუნარიანობა 25-ჯერ აღემატებოდა რუსული მანეთის მსყიდველობითუნარიანობას). 1922 წლის ნოემბერში საქართველომ თავისი დამოუკიდებლობის დემონსტრაცია მოახდინა — მოსკოვთან შეუთანხმებლად ბათუმის ნავთობის რეზერვუარები ოჯარით გადასცა ინგლის-ამერიკულ კომპანიას „სტანდარტ-ოილს". ქართველი ნაციონალ-უკლონისტები (ბუდუ მდივანი, კოტე ცინცაძე, მიხეილ ოკუჯავა და სხვები) არ შეუშინდნენ ი. სტალინისა და ს. ორჯონიკიძის მუქარას. ვითარება დაიძაბა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ნაციონალ-უკლონისტები საბჭოთა კავშირის შექმნის წინააღმდეგ არ გამოდიოდნენ. ისინი წინააღმდეგნი იყვნენ საბჭოთა კავშირის შექმნის წინ ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის გაერთიანებისა. თუ ეს გაერთიანება მოხდებოდა, მაშინ საბჭოთა კავშირში საქართველო შეედოდა არა როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა, არამედ როგორც ამიერკავკასიის ფედერაციის ერთ-ერთი წევრი. ეს ბ. მდივანს, მ. ოკუჯავას, ფ. მახარაძესა და სხვებს საქართველოს სუვერენიტეტის შელახვად მიაჩნდათ. 1922 წლის 21 დეკემბერს ს. ორჯონიკიძემ თავის კაბინეტში სილა გააწნა მ. ოკუჯავას. ეს ამბავი გახმაურდა. მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა სპეციალური კომისია ფ. ძერჟინსკის ხელმძღვანელობით, რომელმაც ს. ორჯონიკიძე გაამართლა. ქართველმა ნაციონალ-უკლონისტებმა უკიდურეს ზომას მიმართეს. ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის გამო პროტესტის ნიშნად გადადგა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის წევრების აბსოლუტური უმრავლესობა. ამის მიუხედავად, ს. ორჯონიკიძემ თავისი გაიტანა და ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა მაინც შექმნა.

1922 წლის 30 დეკემბერს საკავშირო საბჭოების I ყრილობაზე მიიღეს დეკლარაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ. ახალი სახელმწიფო შეიქმნა რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის გაერთიანების შედეგად. დეკლარაციისა და 1924 წლის საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მიხედვით საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა მოკავშირე რესპუბლიკა წარმოადგენდა სუვერენულ სახელმწიფოს და შენარჩუნებული ჰქონდა საბჭოთა კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება. ამ უფლებით ვერასდროს ვერც ერთმა რესპუბლიკამ ვერ ისარგებლა.

2. საბჭოების „გამოცოცხლება". სამოქალაქო ომისა და სამხედრო ინტერვენციის წლებში საბჭოების როლი ძალზე დაკნინდა. თეთრი არმიებისა და უცხოელების მიერ დაკავებულ

ტერიტორიებზე საბჭოებმა საერთოდ შეწყვიტეს მოქმედება. ზოგიერთ რეგიონში შეწყდა საბჭოების დაფინანსება. 1922-1923 წლებში საბჭოების როლის ამაღლება ანუ **„საბჭოების გამოცოცხლება“** მიმდინარეობდა მათი უფლებებისა და დაფინანსების (ბიუჯეტის) გაზრდის საშუალებით. ადგილებზე (სოფლებში, თემებში, მაზრებში, ქალაქებში) **საბჭოების განმტკიცებას აფერხებდა ბიუჯეტის სიმწირე და საჭირო კადრების ნაკლებობა.** ასეთ ვითარებაში 1922-1923 წლებში მიმდინარეობდა საბჭოების **„გამსხვილება“**. გამსხვილების შედეგად სოფლებისა და თემების საბჭოების რაოდენობა ორჯერ შემცირდა. ერთ თემში გაერთიანებული რამდენიმე სოფელი **სათემო საბჭოს** დაექვემდებარა. იყო შემთხვევები, როცა რამდენიმე თემი გაერთიანეს და ერთ საბჭოს დაუქვემდებარეს.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ჩატარებას. საარჩევნო კამპანიის ჩატარების მიუხედავად მოსახლეობის აქტივობა ძალზე დაბალი იყო. ხშირ შემთხვევაში **მოსახლეობა აშკარად გამოხატავდა უკმაყოფილებას კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)** მიერ **წამოყენებული კანდიდატების მიმართ.** 1924 წელს ზოგიერთ რეგიონში გლეხობამ წამოაყენა ლოზუნგი: **„საბჭოები ბოლშევიკების გარეშე“**. 1925 წელს ამომრჩეველთა პასიურობის გამო მთელ რიგ რეგიონებში საბჭოების არჩევნები ვერ ჩატარდა. გლეხობა დააფიქრა იმან, რომ წლების მანძილზე სოფლად მდგომარეობა სასიკეთოდ არ იცვლებოდა, პირიქით, ადგილი ჰქონდა უკანსვლას და უღარიბესი გლეხობის მდგომარეობის დამძიმებას.

3. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1924 წლის კონსტიტუცია. 1924 წლის იანვარში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის II **ყრილობამ** მიიღო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (მეორე **საბჭოთა** კონსტიტუცია).

1924 წლის კონსტიტუციის მიხედვით ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო იყო **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (ანუ სრულიად საკავშირო) საბჭოების ყრილობა.** ყრილობიდან ყრილობამდე უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციას ასრულებდა ყრილობის მიერ არჩეული **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი** (სსრკ ცაკი). სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველ პალატას — **კავშირის საბჭოს** — ყრილობა ირჩევდა დელეგატების საერთო რაოდენობიდან. მეორე პალატა — **ეროვნებათა საბჭო** — იქმნებოდა მოკავშირე რესპუბლიკებისა და ეროვნული ოლქების წარმომადგენლებისაგან. სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ირჩევდა მუდმივმოქმედ ორგანოს — **სსრკ ცაკის პრეზიდიუმს**, რომლის შემადგენლობა 21 წევრით განისაზღვრებოდა.

1924 წლის კონსტიტუციის მიხედვით უმაღლესი განმკარგულებელი და აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა მთავრობას — **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს (სსრკ სახკომსაბჭოს)**, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობა ქმნიდა. სსრკ სახალხო კომისართა საბჭო თავის ფუნქციას ასრულებდა **სახალხო კომისარიატების (სამინისტროების)** და მათდამი დაქვემდებარებული ორგანოების მეშვეობით.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობის დელეგატთა არჩევნები **არაპირდაპირი საარჩევნო უფლების** საფუძველზე ტარდებოდა. ქალაქის მოსახლეობა 5-ჯერ მეტ დელეგატს ირჩევდა, ვიდრე სოფლის მოსახლეობა. ეს იძლეოდა იმის გარანტიას, რომ ხელისუფლებისათვის უფრო მეტად საიმედო მუშათა კლასი ყრილობაზე უმრავლესობაში იქნებოდა. გარდა ამისა, არჩევნები იყო არა ერთსაფეხურიანი, არამედ მრავალსაფეხურიანი. **ქვეყანა არ დაყოფილა საარჩევნო ოლქებად**, სადაც ყრილობის დელეგატებს აირჩევდნენ. **მაზრაში** (რაიონში) დელეგატებს ირჩევდნენ **საოლქო ყრილობისათვის**, საოლქო ყრილობა — **რესპუბლიკის ყრილობისათვის**, რესპუბლიკის ყრილობა — **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყრილობისათვის.** ამ გზით მინიმუმამდე მცირდებოდა საკავშირო ყრილობაზე ხელისუფლებისათვის არასასურველი დელეგატის მოხვედრის შესაძლებლობა.

1924 წლის კონსტიტუციის მიხედვით, ნებისმიერი დონის არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჩამორთმეული ჰქონდათ მათ, ვინც იყენებდა **დაქირავებულ შრომას** ან **არაშრომითი შემოსავლით** ირჩენდა თავს. არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ: **ეკლესიის მსახურებს, ბერებს, რუსეთის იმპერიისა და თეთრი არმიების ყოფილ ოფიცრებს, ჟანდარმებსა და პოლიციელებს.** არჩევნებში მონაწილეობის უფლება სასამართლოს გადაწყვეტილე-

ბით შეიძლებოდა ჩამორთმეოდა ხელისუფლებისათვის არაკეთილსაიმედო ნებისმიერ მოქალაქეს.

4. სამხედრო რეფორმა. სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის დასრულების შემდეგ აუცილებელი იყო სამხედრო რეფორმის გატარება. 1920 წლის ბოლოს საბჭოთა რუსეთის არმიაში 5,5 მილიონი კაცი ირიცხებოდა. დემობილიზაციის დასრულების შემდეგ, 1923 წლის მიწურულისათვის, საბჭოთა კავშირის არმიაში 561 ათასი კაცი ირიცხებოდა. 1922 წლის დეკემბრიდან დაიწყო წითელი არმიის ზოგიერთი ნაწილის გადაყვანა მილიციის თანრიგში. 1923 წლის 8 აგვისტოს დეკრეტით განისაზღვრა ტერიტორიული მილიციის ნაწილებში გაწვევისა და სამსახურის გავლის წესი. ტერიტორიული მილიციის ერთი დივიზიის შენახვის წლიური ხარჯები 100 ათასი მანეთით იაფი ჯდებოდა წითელი არმიის ერთი დივიზიის შენახვის წლიურ ხარჯებთან შედარებით. ტერიტორიული მილიციის ნაწილებთან ერთად, სადაც გადაირიცხა მსროლელი დივიზიების ნახევარზე მეტი, დაიწყო ეროვნული სამხედრო შენაერთების (დივიზიების) შექმნა. 1925 წელს ეროვნულ დივიზიებში ირიცხებოდა საბჭოთა კავშირის სამხედრო მოსამსახურეთა 10%. ქვეყნის შეიარაღებული ძალების ბირთვს შეადგენდა წითელი არმიის საკადრო სამხედრო ნაწილები, რომელთა უმრავლესობა სახელმწიფო საზღვართან ახლოს იყო განლაგებული, ასევე სამხედრო ფლოტის საკადრო ნაწილები. სამხედრო რეფორმის გატარებას ხელმძღვანელობდა მიხეილ ფრუნზე, რომელიც 1925 წლის ივნისში სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრად დაინიშნა.

საკადრო სამხედრო სამსახურის შესახებ 1925 წლის 18 მარტის დეკრეტით დამთავრდა ახალი სისტემის იურიდიული ჩამოყალიბება. ამ სისტემის მიხედვით, ყველა სამხედრო ვალდებულს გაწვევის წინ უნდა გაევლო ორწლიანი სამხედრო მომზადება, არმიაში უნდა ემსახურა 5 წელი. საკადრო სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ იგი 14 წელი ითვლებოდა თადარიგში. ახალი სისტემის შემოღების შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა სამხედრო ხარჯები. 1926-1927 წლებში სამხედრო ხარჯებმა ბიუჯეტის 12,7% შეადგინა. სამხედრო რეფორმა ითვალისწინებდა არმიის გადაიარაღებას. 1927 წელს უკვე დაიწყო ახალი ტიპის შეიარაღების წარმოება.

5. კანონმდებლობის მოწესრიგების მცდელობა. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ გატარდა სასამართლო რეფორმა. 1921 წელს გაუქმდა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული რევოლუციური სამხედრო ტრიბუნალი, სამხედრო-რევოლუციურ საბჭოსთან არსებული სამხედრო ტრიბუნალი და გზების სახალხო კომისარიატთან არსებული რკინიგზების მთავარი ტრიბუნალი. 1922 წელს რუსეთში დაწესდა სასამართლოს სამი საფეხური: სახალხო სასამართლო (მაზრაში, ქალაქში), საგუბერნიო სასამართლო (გუბერნიაში, ოლქში) და უმაღლესი სასამართლო (მოსკოვში). პროკურატურას დაეკისრა კანონის შესრულებაზე კონტროლი. აიკრძალა სასამართლოს გარეშე მოქალაქისათვის თავისუფლების აღკვეთა.

1922-1926 წლებში შემუშავდა და მიიღეს მიწის, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსები, ასევე შრომის შესახებ კანონთა კოდექსი. აღნიშნულმა კოდექსებმა საფუძველი დაუდეს ომისშემდგომი საზოგადოების სამართლებრივ ურთიერთობებს.

1922-1923 წლებში თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გაათავისუფლეს პოლიტიკური მოტივით რეპრესირებულთა დიდი ნაწილი. 1917 წელს შექმნილი მთავარი სადამსჯელო ორგანო — სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია 1922 წელს გადაკეთდა მთავარ პოლიტიკურ სამმართველოდ. მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფლებები შეიზღუდა, შემცირდა დაფინანსება და, შესაბამისად, თანამშრომელთა რაოდენობაც. იმავდროულად განხორციელდა მილიციისა და თავისუფლების აღკვეთის რეორგანიზაცია.

1922-1927 წლებში სახელმწიფო დანაშაულებათა ბრალდებით 1917-1921 წლებთან შედარებით 7-ჯერ ნაკლები ადამიანი გაასამართლეს. ეს გარკვეულწილად მიანიშნებდა რეპრესიული აპარატის მოქმედების შეზღუდვაზე. ამასთან ერთად სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ არსებული პოლიტიკური რეჟიმი სამართლებრივი ნორმების დაცვას ვერ უზრუნველყოფდა. 1927 წელს გაიცა ბრძანება, რომ დივერსიების მონაწილენი, ასევე მანქანა-დანადგარების დაზიანების ფაქტზე დაკავებულები სასამართლოს გარეშე დაესაჯათ. მთავარმა პოლიტიკურმა სამმართველომ ძიებისა და განაჩენის (მათ შორის სიკვდილით დასჯის განაჩენის) გამოტანის უფლება მიიღო.

6. კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტია მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის შემდეგ. საბჭოთა პოლიტიკური სისტემის სათავეში იდგა **რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)**, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შემდეგ სახელი შეუცვალეს და **საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)** უწოდეს. საბჭოთა პოლიტიკური სისტემა ფაქტობრივად **კომუნისტური პარტიის დიქტატურას** წარმოადგენდა. საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) ბატონობდა როგორც **უმაღლეს საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებაზე.** საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობა, ისევე როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ზედმიწევნით ზუსტად ახორციელებდა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) მიერ შეუშავებულ კურსს. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) კურსს ახორციელებდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა — სახალხო კომისართა საბჭო. **ამრიგად, კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტია განსაზღვრავდა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, მთელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას.** საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) მხოლოდ უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე არ ბატონობდა. **სკპ (ბ) ადგილობრივი (სასოფლო, რაიონული, საქალაქო, საოლქო) ორგანიზაციების საშუალებით იგი ხელმძღვანელობდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობას.** ყველა მნიშვნელოვან ხელმძღვანელ თანამდებობაზე, ცენტრშიც და ადგილებზეც, მათ შორის სამეურნეო თანამდებობებზეც, მხოლოდ სკპ (ბ) წევრები ინიშნებოდნენ.

XX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგიდან რუსეთის კომუნისტურმა (ბოლშევიკურმა) პარტიამ სერიოზული ცვლილებები განიცადა. რკპ (ბ) X ყრილობის შემდეგ (1921 წ.) დაიწყო **პარტიის რიგების წმენდა**, რომლის დროსაც რკპ (ბ) რიგებიდან გარიცხეს წევრთა საერთო რაოდენობის 25%. გარიცხვის მიზეზი სხვადასხვა იყო. 33,8% პარტიიდან გარიცხეს პირველად **პარტიულ ორგანიზაციებში პასიური მუშაობისათვის**, 24,7% — **კარიერიზმისა** და **ამორალიზმისათვის**, 8,7% — **მექრთამეობისათვის**. პარტიული წმენდის შედეგად რკპ (ბ) ნაწილობრივ გათავისუფლდა უღირსი წევრებისაგან, თუმცა ამით პრობლემა არ გადაჭრილა. **ქვეყანაში კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის გაბატონებული მდგომარეობა** მის **რიგებში ბევრ კარიერისტს, ხშირ შემთხვევაში დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებსაც კი იზიდავდა.** იყო სხვა საშიშროებაც. 1923 წლისათვის კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის რიგებში ფაბრიკებსა და ქარხნებში წევრთა მხოლოდ 17% მუშაობდა. და ეს მაშინ, როცა ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურა არსებობდა, ხოლო რკპ (ბ) — სკპ (ბ) მუშათა პარტიად მიიჩნევდა თავს. 1924 წელს საგანგებო ღონისძიების შედეგად სკპ (ბ) რიგებში მასობრივად მიიღეს უშუალოდ წარმოების სფეროში ფიზიკურად დასაქმებული მუშები. ამის შემდეგაც სკპ (ბ) რიგებში მუშათა რაოდენობა მხოლოდ 44%-ს გაუტოლდა. 1925-1927 წლებში სკპ (ბ) რიგებში გზა გაუხსნეს გლეხობას. ამ პერიოდში პარტიაში შესულთა 35% გლეხობის წარმომადგენლები იყვნენ. 1924 წლიდან 1926 წლამდე სკპ (ბ) წევრთა რაოდენობა 2,5-ჯერ გაიზარდა, ხოლო პარტიის წევრთა რაოდენობამ 1 მილიონს გადააჭარბა. 1926 წლისათვის სკპ (ბ) წევრთა მხოლოდ 1% იყო პარტიაში შესული 1917 წლამდე. ერთი მესამედი 1917 წელსა და სამოქალაქო ომის წლებში გახდა პარტიის წევრი. **სკპ (ბ) წევრთა მხოლოდ 1%-ს ჰქონდა უმაღლესი განათლება, 63%-ს მიღებული ჰქონდა დაწყებითი განათლება, 23%-ს წერა-კითხვა სკოლის გარეშე ჰქონდა შესწავლილი.**

სკპ (ბ) რიგებში ბევრი იყო პრინციპული, პატიოსანი და ერთგული წევრი. მათ გვერდით პარტიაში მოიკალათა და თავისი კარიერისტული მიზნების განხორციელებას ცდილობდა უამრავი უღირსი ადამიანი.

1917 წლიდან დაწყებული რუსეთში, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირში ხელმძღვანელ თანამდებობებზე კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის წევრების დანიშვნა სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ პრაქტიკულად დაუწერელ კანონად იქცა. 1920 წლის აპრილიდან 1921 წლის მარტამდე ხელმძღვანელ თანამდებობაზე დაინიშნა კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის 40 ათასი წევრი.

დიდი ცვლილებები მოხდა კომუნისტურ (ბოლშევიკურ) პარტიაში ვლადიმერ ლენინის სიცოცხლის ბოლო წლებში. რკპ (ბ) XI ყრილობის შემდეგ, 1922 წლის 3 აპრილს, ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირ-

ჩიეს **იოსებ ჯუღაშვილი** (სტალინი), ხოლო მდივნებად — **ვიაჩესლავ მოლოტოვი** და **ვალერიან კუიბიშევი**.

7. ოპოზიციური პარტიების ბედი. ოპოზიციური პარტიებიდან ბოლშევიკებისათვის ყველაზე საშიში **რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (მენშევიკებისა)** იყო. 1917-1922 წლებში დიდი შეზღუდვების მიუხედავად, მენშევიკები ლეგალურად მოღვაწეობდნენ რუსეთში. 1923-1924 წლებში, უსასტიკესი ტერორის პირობებში, მენშევიკური პარტიის ცალკეულ ორგანიზაციებს აიძულებდნენ მოეწვიათ კრებები და კონფერენციები და პარტიის თვითდაშლა გამოეცხადებინათ. ამ პერიოდისათვის ცნობილი მენშევიკი სოციალ-დემოკრატები ემიგრაციაში იმყოფებოდნენ და ხელს ვერ უშლიდნენ ხელისუფლების მიერ ორგანიზებული პარტიის თვითდაშლის პროცესს. 1925 წლისათვის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ (მენშევიკებისა) საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოქმედება შეწყვიტა. პარტია არსებობას ემიგრაციაში განაგრძობდა. 1921 წელს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიამ ფართომასშტაბიანი რეპრესიები დაიწყო **რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა)** პარტიის წინააღმდეგ. დააპატიმრეს როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე ესერები. 1922 წელს მოსკოვში ესერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები გაასამართლეს. 34 განსასჯელიდან 12 სიკვდილით დასაჯეს, დანარჩენს — ორი წლიდან ათ წლამდე პატიმრობა მიუსაჯეს. მალე ათ სიკვდილმისჯილს განაჩენი შეუმსუბუქეს და პატიმრობით შეუცვალეს. ორი სიკვდილმისჯილის მიმართ განაჩენის სისრულეში მოყვანა შეაჩერეს იმ პირობით, თუ ესერები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას შეწყვეტდნენ. 1925 წელს დააპატიმრეს არალეგალურად მოქმედ ესერთა პარტიის ხელმძღვანელი ორგანო — **ცენტრალური ბიურო**. ამის შემდეგ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ესერთა პარტიამ მოქმედება შეწყვიტა. პარტია მოქმედებას მხოლოდ საზღვარგარეთ განაგრძობდა.

ემიგრაციაში მყოფ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებში აქტიურად მოქმედებდა საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების აგენტურა.

1921-1927 წლებში ბოლშევიკებმა შეძლეს ძლიერი სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც განუყოფლად ბატონობდა მთელ საზოგადოებაზე.

თავი XII. საბჭოთა კავშირის საშინაო პოლიტიკა 1928-1937 წლებში

XX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულიდან 30-იანი წლების დასასრულამდე საბოლოო სახე მიიღო **საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა სისტემამ.** ახალი სახელმწიფო სისტემის თეორიული გააზრება და მისი პრაქტიკული რეალიზება დაკავშირებულია იოსებ სტალინის სახელთან.

§ 1. **მრეწველობის მოდერნიზაცია.**

1. **განვითარების გზების ძიება.** ახალი ეკონომიკური პოლიტიკა ბევრ წინააღმდეგობას წააწყდა. საერთოდ, **ახალი ეკონომიკური პოლიტიკა წინააღმდეგობრივი იყო თავისი არსით, რადგან „კაპიტალიზმის ნაწილობრივი აღორძინება“ დაუშვა** იმ **პოლიტიკურმა ძალამ (ბოლშევიკებმა), რომელიც კერძო საკუთრების მოსპობისათვის იბრძოდა.** რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) წევრების ნაწილმა, ასევე ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ახალი ეკონომიკური პოლიტიკა აღიქვა როგორც კერძო საკუთრების აღდგენა, რასაც სოციალური უთანასწორობის აღდგენაც მოჰყვებოდა. ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას პრინციპულად არ დაეთანხმა რკპ (ბ) შიგნით არსებული **„მუშათა ოპოზიცია“**, რომელსაც მხარს უჭერდა პარტიის წევრთა და მუშათა კლასის მნიშვნელოვანი ნაწილი. „მუშათა ოპოზიციის“ ლიდერებმა ა. **შლიაპნიკოვმა** და ა. **მედვედევმა** პირდაპირ განაცხადეს, რომ **ახალი ეკონომიკური პოლიტიკა შეუთავსებელია პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპებთან და ეწინააღმდეგება რკპ (ბ) პროგრამას.** ისინი თვლიდნენ, რომ რევოლუცია განახორციელა მუშათა კლასმა, მაგრამ მისი შედეგებით ისარგებლეს გლეხებმა, ბურჟუაზიამ და ქალაქის მეშჩანებმა. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით მუშათა კლასი კვლავ იქცა ექსპლოატირებულ კლასად. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდა **„მუშათა ჯგუფი“ ა. მიასნიკოვის** წინამძღოლობით. ა. მიასნიკოვი **ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას მუშათა კლასის ექპლოატაციის ახალ ფორმას** უწოდებდა.

რკპ (ბ) ლიდერებს არ შეიძლებოდა ანგარიში არ გაეწიათ **რუსული ემიგრაციის** პროგნოზისათვის. XX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგისათვის რუსულ ემიგრაციაში აღმოცენდა **„სმენავეხელობა“**. „სმენავეხელთა“ იდეოლოგები, მათ შორის **ნ. უსტრიალოვი,** ემიგრაციას საბჭოთა ხელისუფლებასთან შერიგებას მოუწოდებდა, რადგან რუსეთი სოციალური ბუნებით „ბურჟუაზიულ“ ქვეყანად იქცა. **ნ. უსტრიალოვი ამტკიცებდა, რომ მალე რუსეთი ისევ გლეხურ ქვეყნად, ხოლო საბჭოთა მთავრობა, თუ კი იგი საერთოდ დარჩა, გლეხთა მთავრობად გადაიქცევა.** „სმენავეხელთა“ იდეოლოგია ფეხს იკიდებდა რკპ(ბ) რიგებში, მათ შორის ხელმძღვანელობაშიც. რკპ(ბ) ცენტრისტულმა ხელმძღვანელობამ პოლიტიკური არენიდან „მუშათა ოპოზიციის“ ლიდერები ადვილად განდევნა, მაგრამ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის კრიტიკა ამით არ დასრულებულა. **ქვეყნის პოლიტიკურ ელიტაში სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ დისკუსია სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებდა.**

1921 წლის ივლისში **ლევ ტროცკი,** რომელიც თავის დროზე მხარს უჭერდა სასურსათო გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლას, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის კრიტიკით გამოვიდა. **ე. პრეობრაჟენსკი** მოითხოვდა, რომ პოლიტიკური ხელმძღვანელობა გარკვეულიყო „გარდამავალი პერიოდის არსში“. **ნ. ბუ-**

ევგენი პრეობრაჟენსკი

ხარინმა ლ. ტროცკის საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა. მისი აზრით, ახალი ეკონომიკური პოლიტიკა ხანგრძლივი პერიოდისათვის იყო გათვლილი, რაც ხელს არ შეუშლიდა სოციალისტური ეკონომიკის ჩამოყალიბებას. ნ. ბუხარინს არ დაეთანხმა რკპ (ბ) ხელმძღვანელობის უმრავლესობა, რომელთა აზრითაც, ახალი ეკონომიკური პოლიტიკა საბჭოთა ხელისუფლების გადასარჩენად იყო შემოღებული და ამიტომ არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო. ვ. ლენინი, რომლის ჯანმრთელობაც სერიოზულად იყო შერყეული, უძლური აღმოჩნდა რკპ (ბ) ხელმძღვანელობის შენით მომწიფებული დაპირისპირება თავიდან აეცილებინა.

რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პირველმა ლ. ტროცკიმ შეუტია. ლ. ტროცკი, რომელიც ცნობილი იყო როგორც უმკაცრესი, რკინისებური დისციპლინისა და მმართველობის დიქტატორული ფორმების მომხრე, რკპ (ბ) ხელმძღვანელობას ბრალს სდებდა „პარტიული აპარატის დიქტატურის" დამყარებაში, ეკონომიკური პოლიტიკის უსისტემობასა და პარტიული დემოკრატიის უგულებელყოფაში. მართალია, ლ. ტროცკი პარტიული დემოკრატიის დაცვას მოითხოვდა, მაგრამ ამავე დროს მხარს უჭერდა ეკონომიკის დიქტატორული მეთოდებით მართვას. ლ. ტროცკისთან ერთად 1923 წელს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წერილით მიმართა 46 ცნობილმა ბოლშევიკმა („46-ის განცხადებას" ხელს აწერდნენ: ე. პრეობრაჟენსკი, ლ. სერებრიაკოვი, ა. ბუბნოვი, გ. პიატაკოვი და სხვები). ისინი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს უმრავლესობას ბრალს სდებდნენ არათანმიმდევრული პოლიტიკის გატარებაში, რის შედეგადაც ქვეყანა ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა. იმხანად შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ოპოზიციური აზრის ჩახშობა არ უცდია. ლ. ტროცკიმ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ასეთი ქმედება მის სისუსტედ ჩათვალა და 1923 წლის დეკემბერში გამოქვეყნებულ ნაშრომში „ახალი კურსი" რკპ (ბ) პარტიული აპარატის (ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტბიუროს) ვრცელი კრიტიკა წარმოადგინა. კრიტიკა ძირითადად პარტიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ კურსს შეეხებოდა.

შექმნილ ვითარებაში უკანდახევა აღარ შეიძლებოდა. ვ. ლენინის ავადმყოფობის პერიოდში რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში შექმნილმა ტრიუმვირატმა – ი. სტალინმა, გ. ზინოვიევმა, ლ. კამენევმა – რკპ (ბ) XIII კონფერენციაზე (1924 წლის იანვარი) შეძლო ლ. ტროცკის იზოლირება. კონფერენციამ ლ. ტროცკის შეხედულებები შეაფასა, როგორც „წვრილბურჟუაზიული გადახრა პარტიაში". 1924 წლის მაისში გამართულმა რკპ (ბ) XIII ყრილობამ დაადასტურა XIII კონფერენციის გადაწყვეტილება. ლ. ტროცკიმ ბრძოლა წაგო. მალე ი. სტალინმა მიაღწია იმას, რომ ლ. ტროცკიმ დატოვა ყველა თანამდებობა კომუნისტურ (ბოლშევიკურ) პარტიასა და წითელ არმიაში. მიუხედავად ამისა, ლ. ტროცკი კვლავ რჩებოდა რკპ (ბ) ერთ-ერთ ლიდერად. მას ქვეყანაში ძალზე დიდი ავტორიტეტი ჰქონდა.

ლევ დავითის ძე ტროცკის (1879-1940) სამდელი გვარია ბრონშტეინი. ლ. ტროცკი – კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე დაიბადა ხერსონის გუბერნიის ელისავეტგრადის მაზრის სოფელ ანოვკაში მსხვილი არენდატორის ოჯახში. დაამთავრა რეალური სასწავლებელი და ახალგაზრდობიდანვე ჩაება მუშათა მოძრაობაში, რისთვისაც რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული. 1900 წლიდან მარქსიზმის მიმდევარი გახდა. 1902 წელს გადასახლებიდან გაქცეული ემიგრაციაში წავიდა, ლონდონში შეხვდა ვ. ლენინს, რომელმაც დააკავშირა ემიგრანტ სოციალ-დემოკრატებთან. 1903 წლიდან მენშევიკურ მიმდინარეობას მიემხრო. აქტიურად მონაწილეობდა 1905-1907 წლების რევოლუციაში, 1905 წელს იყო პეტერბურგის დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო შემდეგ თავმჯდომარე. 1905 წელს დაუპატიმრეს და 1906 წელს ციმბირში მუდმივი ჩასახლება მიუსაჯეს. გადასახლებიდან მალევე გაიქცა, 1908-1912 წლებში ემიგრაციაში გამოსცემდა გაზეთ „პრავდას". 1917 წლის მაისში დაბრუნდა რუსეთში, დაპატიმრებული იყო 1917 წლის ივლისის დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის, პატიმრობიდან 1917 წლის სექტემბერში გაათავისუფლეს. 1917 წლის აგვისტოში შეუერთდა რსდმპ (ბ) რიგებში, რსდმპ (ბ) VI ყრილობაზე აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის წევრად. 1917 წლის 25 სექტემბრიდან იყო პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარე და 1917 წლის ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. არჩეულ იყო რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრად. 1917 წლის ოქტომბერში გახდა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს წევრი – საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი. ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაზე ხელმძღვანელობდა რუსეთის დელეგაციას, წინააღმდეგი იყო გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მიერ შემოთავაზებული პირობებით ზავის

დადებისა. ზავთან დაკავშირებული უთანხმოების გამო 1918 წლის 22 თებერვალს გადადგა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობიდან. იყო წითელი არმიის ფაქტობრივი შემქმნელი. ერთდროულად ეკავა რამდენიმე მნიშვნელოვანი თანამდებობა: 1918 წლის 4 მარტიდან იყო უმაღლესი სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე, 1918 წლის 13 მარტიდან იმავდროულად დაინიშნა სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრად, ხოლო 1918 წლის 2 სექტემბრიდან – სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარედ, 1920 წლის მარტიდან დეკემბრამდე ეკავა გზათა სახალხო კომისრის თანამდებობა, ხოლო 1920-1921 წლებში იყო ტრანსპორტის მუშათა პროფესიული კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე. 1919 წელს აირჩიეს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად. იყო საკონცენტრაციო ბანაკების შექმნისა და პატიმართა შრომის გამოყენების ინიციატორი. ექსტრემისტ ბოლშევიკ ლიდერთა შორისაც კი გამოირჩეოდა დიდი სისასტიკით, იყო „წითელი ტერორის“ ერთ-ერთი იდეოლოგი და პრაქტიკულად მისი განმახორციელებელი. წითელ არმიაში სამუშაოდ ძალდატანებით მობილიზებული ძველი არმიის ოფიცერთა ოჯახის წევრები (ცოლ-შვილი, დედ-მამა, და-ძმანი) მისი ბრძანებით მძევლების სახით საკონცენტრაციო ბანაკებში ჰყავდათ მოთავსებული. პირადად მონაწილეობდა დამსჯელ ექსპედიციებში, მისი უშუალო მონაწილეობით დასაჯეს კრონშტადტის ამბოხების (1921 წ.) მონაწილენი. მისი რწმენით აუცილებელი იყო „სამხედრო კომუნიზმის“ პრინციპების შენარჩუნება, ინდუსტრიალიზაცია იძულებით შრომას უნდა დამყარებოდა, ხოლო კოლექტივიზაცია ასევე ძალადატანებით უნდა გაეტარებინა. ვ. ლენინის სიცოცხლის ბოლო წლებში, განსაკუთრებით კი მისი სიკვდილის შემდეგ დაიწყო ბრძოლა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ლიდერად გახდომის მიზნით, რის გამოც დაუპირისპირდა ი. სტალინს, გ. ზინოვიევსა და ლ. კამენევს. 1925 წლის 6 იანვარს გათავისუფლეს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრისა და სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან. 1925-1927 წლებში ი. სტალინის წინააღმდეგ საბრძოლველად მიიმხრო გ. ზინოვიევი და ლ. კამენევი, მაგრამ ნ. ბუხარინისა და ა. რიკოვის დახმარებით ი. სტალინმა შეძლო ოპოზიციის განადგურება. 1926 წლის ოქტომბერში გამოყვანილ იქნა სკკ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროდან, ხოლო 1927 წლის ოქტომბერში – სკკ (ბ) ცენტრალური კომიტეტიდან, 1927 წლის 14 ნოემბერს გარიცხეს სკკ (ბ) რიგებიდან და იმავდროულად დაატოვებინეს ყველა თანამდებობა. 1928 წლის იანვარში გადასახლეს ალმა-ათაში, ხოლო 1929 წელს გაასახლეს საბჭოთა კავშირიდან (ოდესის გაელით თურქეთში გაემგზავრა). 1932 წელს ჩამოართვეს საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა. 1933 წელს თურქეთიდან საფრანგეთში გადავიდა, ხოლო 1935 წელს – საფრანგეთიდან ნორვეგიაში, 1937 წელს მექსიკაში გაემგზავრა. ემიგრაციაში აგრძელებდა ი. სტალინის წინააღმდეგ იდეურ ბრძოლას. 1940 წლის 21 აგვისტოს მექსიკაში გარდაიცვალა თავის არეში მიყენებული ჭრილობისაგან. მკვლელობა შეუკვეთა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ. მკვლელი ესპანელი კომუნისტი რამონ მერკადერი იყო. ლ. ტროცკი ორჯერ იყო დაჭრილნებული, მეორე ცოლისაგან ჰყავდა ორი ვაჟი, რომლებიც დედის გვარს ატარებდნენ. ლევ სედოვი აქტიური ტროცკისტი იყო და მამას გაჰყვა ემიგრაციაში, დაიღუპა პარიზში საიდუმლო ვითარებაში. სერგეი სედოვი, მიუხედავად იმისა, რომ მამის სახლიდან წავიდა და პოლიტიკაში არ ერეოდა, 1937 წელს დახვრიტეს.

1924 წლის ბოლოსათვის საბჭოთა კავშირის ეკონომიკამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. სახალხო მეურნეობის ზოგიერთი დარგის მიერ გამოშვებულმა პროდუქციის რაოდენობამ 1913 წლის დონეს მიაღწია. თუმცა ამავე დროს ცხადი გახდა, **რომ ქვეყნის სამრეწველო პოტენციალი ვერ უზრუნველყოფდა ეკონომიკის საჭირო ტემპებით განვითარებას.** სამრეწველო პოტენციალის გაზრდა კი დიდი რაოდენობით კრედიტს ითხოვდა. გარესამყაროდან ასეთი კრედიტის მიღება შეუძლებელი იყო. **შექმნილ ვითარებაში იოსებ სტალინმა წამოაყენა მოსაზრება იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირს უცხოური კრედიტების გარეშე, თავისი ძალებით უზრუნველეყო სამრეწველო პოტენციალის გაზრდა, ეკონომიკის სწრაფი ტემპებით განვითარება და სოციალისტური წყობილების აშენება.** 1925 წლის შემოდგომაზე ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ი. სტალინისეული თეორია გააკრიტიკა **გ. ზინოვიევმა.** გ. ზინოვიევის აზრით, საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენება შესაძლებელი იყო მხოლოდ ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემთხვევაში. ამით გ. ზინოვიევი პრაქტიკულად დაეთანხმა ლ. ტროცკის, რომელიც ამტკიცებდა, რომ მსოფლიო რევოლუციის გამარჯვების გარეშე საბჭოთა კავშირში სოციალიზმი ვერ გაიმარჯვებსო. **გ. ზინოვიევის მიერ ი. სტალინის კრიტიკა ტრიუმვირატის (ი. სტალინი, გ. ზინოვიევი, ლ. კამენევი) დაშლის მომასწავებელი იყო.** მართლაც, 1925 წლის ოქტომბერში რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში შეიქმნა **„ოთხის განცხადება“.** გ. ზინოვიევი, ლ. კამენევი, გ. სოკოლნიკოვი და ნ. კრუპსკაია (ვ. ლენინის მეუღლე), რომლებიც პარტიის კურ-

სის შესახებ ფართო დისკუსიის დაწყებას ითხოვდნენ. მალე რკპ (ბ) შიგნით ჩამოყალიბდა **„ახალი ოპოზიცია“**. ეს კი ი. სტალინისათვის ძალზე საშიში იყო. მან დაკარგა როგორც გ. ზინოვიევის, ისე ლ. კამენევის თანადგომა. **პრაქტიკულად ი. სტალინის წინააღმდეგ აღმოჩნდა კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის სამი აღიარებული ლიდერი — ლევ ტროცკი, გრიგოლი ზინოვიევი და ლევ კამენევი.** სავსებით შესაძლებელი იყო, ი. სტალინი საერთოდ ჩამოეცილებინათ რკპ (ბ) ხელმძღვანელობისათვის. ი. სტალინმა სასწრაფო ზომები მიიღო და ნ. ბუხარინის მიმხრობა მოახერხა, თუმცა ეს არაფრის გარანტიას არ იძლეოდა. შესაძლებელი იყო მოვლენების სრულიად მოულოდნელი სცენარით განვითარება. ასეთ ვითარებაში 1925 წლის დეკემბერში შეიკრიბა კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის XIV ყრილობა (XIV ყრილობაზე პარტიას სახელწოდება შეუცვალეს — საბჭოთა კავშირის შექმნის გამო რუსეთის კომუნისტურ პარტიას ეწოდა საკავშირო კომუნისტური პარტია. სიტყვა „ბოლშევიკებისა“ კვლავ დარჩა პარტიის სახელწოდებაში).

სკპ (ბ) XIV ყრილობაზე „ახალმა ოპოზიციამ“ სცადა ი. სტალინისა და ნ. ბუხარინის იზოლირება. **გ. ზინოვიევმა** ყრილობაზე გამოსვლისას **გააკრიტიკა ი. სტალინის** შეხედულება **საბჭოთა კავშირში** სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის **შესახებ, ხოლო ნ. ბუხარინი,** ბურჟუაზიული ელემენტების გაძლიერების შედეგად **წარმოქმნილი** საფრთხის **უგულებელყოფისათვის. ოპოზიცია ი. სტალინის გენერალური მდივნის თანამდებობიდან გადაყენებას გეგმავდა.** ლ. კამენევმა პირდაპირ განაცხადა, რომ ი. სტალინი პარტიის გამაერთიანებლის როლში ვერ გამოვიდოდა. ამავე დროს ლ. კამენევმა წამოაყენა პარტიის ბელადის გარეშე არსებობის იდეა. გ. ზინოვიევს მხარი დაუჭირა გ. სოკოლნიკოვმა. **„ახალმა ოპოზიციამ“ ნ. ბუხარინი ი. სტალინთან გარიგებაში დაადანაშაულა.** ი. სტალინის გენერალური მდივნის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ მთავარ არგუმენტად „ახალმა ოპოზიციამ“ ი. სტალინის მიერ ნ. ბუხარინის შეხედულებათა გაზიარება მოიტანა. ლ. ტროცკის ყრილობაზე თავის აზრი არ გამოუთქვამს.

ი. სტალინმა კარგად გათვლილი პოლიტიკური მანევრის წყალობით „ახალი ოპოზიციის“ გეგმები ჩაშალა. სკპ (ბ) XIV ყრილობამ ი. სტალინის კურსს დაუჭირა მხარი.

ნადეჟდა კრუპსკაია

გრიგორი ევსეის ძე ზინოვიევის (1883-1936) სამდვილი სახელი და გვარია ოვსეი-გერშ არონის ძე რადომისლსკი. დიდამისი გვარად აპფელბაუმი იყო. გ. ზინოვიევი კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის გამორჩეული მოღვაწე ელისაველეტგრადში, მერძევე ფერმერის ოჯახში დაიბადა. სწავლობდა ბერნის უნივერსიტეტის ქიმიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტებზე, უნივერსიტეტი არ დაუმთავრებია. მონაწილეობდა მუშათა მოძრაობაში. 1901 წელს რსდმპ წევრი გახდა, 1903 წელს ბოლშევიკურ მიმდინარეობას მიემხრო. 1902 წელს წავიდა ემიგრაციაში, ცხოვრობდა ბერლინში, პარიზში. ბერნში, ემიგრაციაში დაუახლოვდა გ. პლეხანოვსა და ვ. ლენინს. 1905 წელს პეტერბურგშია, შემდეგ ისევ ემიგრაციაში, 1906 წელს — კვლავ პეტერბურგში. 1907 წელს აირჩიეს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრად. 1908 წლიდან ვ. ლენინთან და ლ. კამენევთან ერთად კვლავ ემიგრაციაში მოღვაწეობს. 1917 წლის აპრილში ვ. ლენინთან ერთად ემიგრაციიდან პეტერბურგში დაბრუნდა. იყო ვ. ლენინის უახლოესი თანამებრძოლი. 1917 წლის ოქტომბერში მხარი არ დაუჭირა ვ. ლენინს შეიარაღებული აჯანყების დაწყების საკითხში. ბრესტ-ლიტოვსკის საზაო მოლაპარაკებისას მხარს უჭერდა ვ. ლენინს. 1918 წელს იყო წითელი ტერორის ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1919 წელს აირჩიეს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ, ხოლო 1921 წელს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად. ათი წლის მანძილზე სა-

თავები ედგა რკპ (ბ)-სკპ (ბ) პეტროგრადის ორგანიზაციას. მისი ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით პეტროგრადში დაიწყო „წითელი ტერორი“, ქალაქიდან ჩრდილოეთ რუსეთში გაასახლეს თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის უამრავი წარმომადგენელი, რომელთა დიდი ნაწილი გადასახლებაში დაიღუპა. პეტროგრადელები მას „სისხლიან გრიშას“ უწოდებდნენ. ლ. ტროცკის წინააღმდეგ ბრძოლაში იყო ვ. ლენინის ერთგული მომხრე. ვ. ლენინის სიკვდილის შემდეგ (1924 წ.) ლ. ტროცკის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარი დაუჭირა ი. სტალინს. იყო ლ. ტროცკის მკაცრად დასჯის მომხრე. ხელმძღვანელობდა მოსკოვიდან ლ. ტროცკის გასახლების საქმეს. 1925 წლიდან, როგორც „ახალი ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, დაუპირისპირდა ი. სტალინს. 1926 წლის ი. სტალინის მოთხოვნით გამოიყვანეს სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროდან და გადაყენეს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან. ი. სტალინთან ბრძოლის მიზნით შეუერთდა ტროცკისტულ ოპოზიციას, რისთვისაც 1927 წლის გარიცხეს სკპ (ბ) რიგებიდან. 1928 წლს, შეცდომების „მონანიების“ შემდეგ, აღადგინეს სკპ (ბ) რიგებში და დანიშნეს ყაზანის უნივერსიტეტის რექტორად, მალე სამუშაოდ ისევ მოსკოვში გადაიყვანეს. 1932 წლს ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობისათვის სკპ (ბ) რიგებიდან გარიცხეს, გაასამართლეს და ყაზახეთში გადასახლეს. 1932 წლის კვლავ აღადგინეს სკპ (ბ) რიგებში, მაგრამ 1934 წლს ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ბრალდებით ისევ დაუპატიმრეს და 1935 წლს ათი წლის ვადით პატიმრობა მიუსაჯეს. 1936 წლს ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის ორგანიზების ბრალდებით კვლავ გასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს. სასამართლო პროცესზე და განაჩენის გამოტანის შემდეგ უეცრად იქცეოდა, სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით აღმერთებდა ი. სტალინს. სიკვდილით დასჯის წინ ითხოვდა შეწყალებას, ფეხებს უკოცნიდა მისივე ჯალათებს. თავად ათასობით ადამიანის სიცოცხლის არადაჩაგდებმა სიკვდილის წინ ყოველგვარი ღირსება დაკარგა, ფიზიკურადაც ისე დაუძლურდა, რომ ფეხზე დგომაც კი აღარ შეეძლო. დახვრიტეს 1936 წლის 25 აგვისტოს. 1988 წლიდან რეაბილიტირებულია. გ. ზინოვიევის მეუღლე სარა რავიჩი ოთხჯერ – 1934, 1937, 1946 და 1951 წელს დაუპატიმრეს, იმყოფებოდა გადასახლებაში, საიდანაც მხოლოდ 1954 წელს გათავისუფლდა.

ლევ ბორისის ძე კამენევის (1883-1936) ნამდვილი გვარი იყო როზენფელდი. ლ. კამენევი – კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიისა და საჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე მოსკოვში, ინჟინრის ოჯახში დაიბადა. მამამისს ჰქონდა შთამომავლობითი საპატიო მოქალაქის წოდება. ლ. კამენევი იყო ლ. ტროცკის სიძე. 1901 წელს დამთავრა თბილისის გიმნაზია, სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც არ დაუმთავრებია. 1901 წელს გახდა რსდმპ წევრი, 1903 წელს მიემხრო ბოლშევიკურ მიმდინარეობას. 1902 წელს სტუდენტთა მოქალაქეობაში მონაწილეობისათვის გარიცხეს უნივერსიტეტიდან და თბილისში გადმოასახლეს. 1902 წელს წავიდა ემიგრაციაში, 1903 წელს ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ პარტიულ მუშაობას ეწეოდა თბილისსა და მოსკოვში, 1904 წელს ისევ გადმოასახლეს თბილისში. 1905 წლიდან მოღვაწეობს პეტერბურგში. 1908 წელს დაუპატიმრეს, პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ წავიდა ემიგრაციაში, ცხოვრობდა ჟენევაში. 1913 წელს გადავიდა ავსტრია-უნგრეთში (კრაკოვში), სადაც ვ. ლენინისა და გ. ზინოვიევის ჯგუფებში ავრძელებს მოღვაწეობას. 1914 წელს დაბრუნდა რუსეთში, სადაც მალე დაუპატიმრეს და ციმბირში (ენისეის გუბერნიაში) გადაასახლეს. 1917 წლის მარტში ი. სტალინთან ერთად დაბრუნდა პეტროგრადში. 1917 წლის მარტიდან იყო პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. იყო ვ. ლენინის პრინციპული მოწინააღმდეგე. მიუღებლად მიაჩნდა შეიარაღებული აჯანყების გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდება. 1917 წლის 25 ოქტომბერს აირჩიეს სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობის თავმჯდომარედ, ხოლო 27 ოქტომბერს – სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. 1917 წლის 4 ნოემბერს აირჩიეს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად. 1917 წლის 8 ნოემბერს ვ. ლენინთან უთანხმოების გამო გადადგა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან. არჩეული იყო რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრად. ვ. ლენინთან უთანხმოების მიუხედავად, იყო ძალმომრეობაზე დამყარებული პოლიტიკური რეჟიმისა და „წითელი ტერორის“ თავგამოდებული მომხრე. 1918-1926 წლებში იყო მოსკოვის დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარე. 1919 წლს აირჩიეს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად, 1923-1926 წლებში იყო საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 1923-1924 წლებში ლ.კამენევი გ. ზინოვიევთან ერთად აქტიურად უჭერდა მხარს ი. სტალინს ლ. ტროცკის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1925-1927 წლებში იყო „ახალი ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, რისთვისაც ი. სტალინის მოთხოვნით გაათავისუფლეს პარტიული და სახელმწიფო თანამდებობებიდან, 1926 წლს გაგზავნეს იტალიაში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად. 1926-1927 წლებში იყო მემარცხენე ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, რისთვისაც 1927 წლს გარიცხეს სკპ (ბ) რიგებიდან. სკპ (ბ) წევრად აღადგინეს 1928 წლს, მაგრამ 1932 წლს

გიორგი პიატაკოვი

ოპოზიციური მოღვაწეობისათვის ისევ გარიცხეს პარტიიდან და გადასახლებაში გაგზავნეს. 1933 წელს კვლავ აღდგინეს სკკ (ბ) რიგებში და 1934 წელს დანიშნეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორად. 1934 წელსვე დააპატიმრეს ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ბრალდებით და 1935 წელს ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. 1936 წელს განმეორებით გაასამართლეს ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის საქმიანობაში მოღვაწეობისათვის და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. დახვრიტეს 1936 წლის 25 აგვისტოს. 1988 წლიდან რეაბილიტირებულია. ლ. კამენევის ძმას ნიკოლაი როზენფელდს მიუსაჯეს ათი წლით პატიმრობა. ლ. კამენევის მეუღლე, ლ. ტროცკის და – ოლგა კამენევა-ბრონშტეინი ქმრის სიკვდილით დასჯის შემდეგ დაპატიმრეს და 1941 წელს ორიოლის ციხეში სასამართლოს განაჩენის გარეშე დახვრიტეს. რეპრესიების მსხვერპლი გახდა ლ. კამენევის ორი ვაჟი, ასევე ძმა და რძალი.

სკკ (ბ) XIV ყრილობა ისტორიაში **ინდუსტრიალიზაციის ყრილობის** სახელით შევიდა, თუმცა ინდუსტრიალიზაციის შესახებ მხოლოდ ზოგადად იყო მსჯელობა. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევის შესახებ.

სკკ (ბ) XIV ყრილობის შემდეგ პარტიის ახლადარჩეულ ხელმძღვანელობაში მოხდა ცვლილება. სკკ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში ი. სტალინის ერთგული ადამიანები აირჩიეს. 1926 წლის იანვარში გ. ზინოვიევი გადააყენეს სკკ (ბ) ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის მდივნის თანამდებობიდან. მის ნაცვლად ამ თანამდებობაზე ი. სტალინის ერთგული ს. კიროვი აირჩიეს.

ამრიგად, სკკ (ბ) XIV ყრლობაზე გამარჯვებითა და გ. ზინოვიევის გადაყენებით ი. სტალინმა მნიშვნელოვნად განიმტკიცა პოზიციები. თუმცა ოპოზიცია ბრძოლას არ წყვეტდა.

1926 წლის გაზაფხულზე **ლ. ტროცკი** და **გ. ზინოვიევი** გაერთიანდნენ. მათ მხარს უჭერდა **ლ. კამენევი, გ. პიატაკოვი** და სხვები. ი. სტალინი მიიჩნევდა, რომ ინდუსტრიალიზაცია უნდა დაფუძნებოდა სოფლის ეკონომიკის თანდათანობით აღმავლობას. ამავე დროს ინდუსტრიალიზაცია უნდა წარმართულიყო იმ მინიმალური ტემპებით, რომელიც საკმარისი იყო სოციალიზმის გამარჯვებისათვის. ლ. ტროცკი კი ამტკიცებდა, რომ ინდუსტრიალიზაცია რაც შეიძლება სწრაფი ტემპებით უნდა წარმართულიყო, ხოლო ინდუსტრიალიზაციისათვის საჭირო სახსრები დაუყოვნებლივ უნდა მოეპოვებინათ სოფლად გლეხობის დაბეგვრის გზით. ი. სტალინმა ნ. ბუხარინის და ა. რიკოვის დახმარებით ამჯერადაც შეძლო ოპოზიციის დამარცხება.

2. პირველი ხუთწლიანი გეგმა (1928-1933 წწ.). სკკ (ბ) XV პარტიულმა კონფერენციამ (1926 წლის შემოდგომა) ინდუსტრიალიზაციის მთავარ მიმართულებად მანქანათმშენებლობის მაღალი ტემპებით განვითარება დასახა. **ინდუსტრიალიზაცია სახელმწიფო ბიუჯეტში სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან შესული სახსრებით უნდა განხორციელებულიყო.** ამასთან ერთად, პარტიულმა კონფერენციამ მკაცრად გააკრიტიკა ოპოზიცია, რომელიც ინდუსტრიალიზაციისათვის საჭირო სახსრების მოპოვებას გლეხობის ბეგარის (გადასახადის) გაზრდით აპირებდა.

1927 წლის დეკემბერში სკკ (ბ) XV ყრილობამ მიიღო სახალხო მეურნეობის განვითარების **პირველი ხუთწლიანი გეგმის (1928-1933 წწ.)** დირექტივები. დირექტივებში კონკრეტული საკითხები არ ყოფილა წარმოდგენილი, განსაზღვრული იყო მხოლოდ გეგმის პრინციპები. ამ დირექტივების საფუძველზე შედგა პირველი ხუთწლიანი გეგმა, რომელიც დაამტკიცა საბჭოთა კავშირის საბჭოების V ყრილობამ 1929 წლის მაისში. ამით ხუთწლიანმა გეგმამ კანონის ძალა შეიძინა. პირ-

ველი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა სამრეწველო პროდუქციის გაზრდას 180%-ით, წარმოების საშუალებათა წარმოების გაზრდას 230%-ით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაზრდას 55%-ით. სულ ეროვნული შემოსავალი უნდა გაზრდილიყო 103%-ით. გეგმა საკმაოდ მასშტაბური იყო, მაგრამ, როგორც გაირკვა, მისი შესრულება სულაც არ იყო შეუძლებელი.

პირველი ხუთწლიანი გეგმის წლებში განსაკუთრებით სერიოზული წარმატებები იქნა მოპოვებული მანქანათმშენებლობის დარგში. გაჩნდა მანქანათმშენებლობის ახალი დარგები. ამასთან ერთად, ცხადი გახდა, რომ დაგეგმილი „**დიდი ნახტომი**" ვერ განხორციელდა. 1928-1929 წლებში ინდუსტრიალიზაციის ტემპები 23,7% უდრიდა, 1933 წლისათვის კი 5%-მდე დაეცა. 1659 მშენებარე ობიექტიდან 613 ობიექტის დაფინანსება შეწყდა. შეფერხდა შავი მეტალურგიის საწარმოების მშენებლობა. გეგმით გათვალისწინებული 60 ბრძმედიდან მწყობრში ჩადგა მხოლოდ 32. მიუხედავად ამისა, ხელისუფლება მოსახლეობას არწმუნებდა, რომ გეგმა წარმატებით სრულდებოდა. 1931-1932 წლებში საბჭოთა კავშირში შექმნილი მძიმე სოციალური და ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად ოფიციალურად გამოცხადდა, რომ პირველი ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადსა და სამ თვეში შესრულდა. ცხადია, ეს იყო დიდი სიცრუე. **პირველი ხუთწლიანი გეგმა არ სრულდებოდა. მის განხორციელებაზე ზრუნვა ცხრა თვით ადრე შეწყვიტეს და სასწრაფოდ შეუდგნენ მეორე ხუთწლიანი გეგმის შემუშავებას.**

3. **მეორე ხუთწლიანი გეგმა (1933-1937 წწ.).** სკკ (ბ) XVII ყრილობამ 1934 წლის იანვარ-თებერვალში დაამტკიცა სახალხო მეურნეობის განვითარების **მეორე ხუთწლიანი გეგმა (1933-1937 წწ.).** მეორე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა პირველი ხუთწლიანი გეგმის შედგენისას დაშვებულ შეცდომებს. სამრეწველო პროდუქციის ზრდას 16,5% უნდა შეედგინა (პირველ ხუთწლედში დაგეგმილი იყო 30%). მძიმე მრეწველობის განვითარების ტემპებისათვის (14,5%) უნდა გადაეჭარბებინა მსუბუქი მრეწველობის განვითარების ტემპებს (18,5%).

მეორე ხუთწლიანი გეგმა გაცილებით წარმატებით სრულდებოდა, ვიდრე პირველი. მრეწველობის მთელი პროდუქციის 80% ახალ ქარხნებსა და ფაბრიკებში შეიქმნა. სწრაფი ტემპით ვითარდებოდა **სამხედრო** მრეწველობა. 1936 წლის დეკემბერში ჩამოყალიბდა **თავდაცვითი მრეწველობის სახალხო კომისარიატი,** რომლის დაქვემდებარებაში იყო 47 საავიაციო, 15 საარტილერიო, 10 სატანკო და 10 ქიმიური ქარხანა და სხვ. გარდა ამისა, **თავდაცვითი მრეწველობის სახალხო კომისარიატი განაგებდა 57 სამხედრო-სამრეწველო, სამეცნიერო-კვლევით და სამეცნიერო-საცდელ დაწესებულებას, ასევე 65 უმაღლეს და საშუალო სასწავლებელს.**

მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულების პროცესში ჩამოყალიბდა **ეკონომიკის მართვის ზედმეტად ცენტრალიზებული სისტემა,** რამაც განაპირობა სახალხო მეურნეობის მართვაში **ადმინისტრაციულ-მბრძანებლური** პრინციპების დამკვიდრება. ამ მოვლენის უარყოფითმა შედეგებმა ცოტა მოგვიანებით უფრო მეტად იჩინა თავი.

§ 2. **სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია.**

1. **რუსეთის სოფელი XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებისათვის.** ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ გლეხობას პირველი მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის წლებში გაჩანაგებული მეურნეობის აღდგენის საშუალება მისცა. თუ როგორ მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის აღდგენა, კარგად ჩანს ქვემოთ მოტანილი ციფრებიდან. 1921-1922 სამეურნეო წელს მთელმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ 1913 წელს მოწეული პროდუქციის 46,8% შეადგინა, 1922-1923 წელს – 63,9%, 1923-1924 წელს – 68,4%, 1924-1925 წელს – 79,5%, 1925-1926 წელს 94,5%, 1926-1927 წელს – 98,7%. **სოფლის მეურნეობის აღდგენა სახელმწიფოს მხრიდან დახმარების გარეშე მიმდინარეობდა.** ამასთან ერთად, გლეხობას გაყიდულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაში უხდიდნენ **გაუფასურებულ ქაღალდის ფულს,** რაც ძალზე აზარალებდა სოფელს. დიდი დარტყმა განიცადა გლეხობამ 1924 წლის **საფინანსო რეფორმის** დროს, როდესაც გაუფასურებული ქაღალდის ფული შერჩა ხელში. გლეხობამ სოფელსა და ქალაქს შორის ეკვივალენტური გაცვლის შედეგად 645 მილიონი მანეთის ზარალი ნახა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის სამი მეოთხედი გლეხობიდან შედიოდა.

მიუხედავად იმისა, რომ 1921-1925 წლებში სოფლის მეურნეობა აღმავლობას განიცდიდა, რუსეთის სოფელში ბევრი პრობლემა დაგროვდა. უმთავრესი კი ის იყო, **რომ გლეხური მეურნეობა ნატურალურ-სამომხმარებლო ხასიათს ატარებდა და არა საბაზრო-კაპიტალისტურს.** ამის მიზეზი იყო ხელისუფლების უხეში

ჩარევა სოფლად არსებული ეკონომიკურ ურთიერთობებში. **ხელისუფლება ცდილობდა სოფლად საბაზრო ეკონომიკის პრინციპების ნაცვლად სასაქონლო-გეგმური ეკონომიკური ურთიერთობის დამკვიდრებას.** ადრე თუ გვიან ეს რუსეთის სოფლის მეურნეობას სერიოზულ კრიზისამდე მიიყვანდა. ამის პირველი ნიშნები უკვე გამოჩნდა. 1928-1929 წელს ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული ხორბლის რაოდენობამ 484 კილოგრამს მიაღწია, მაშინ როცა 1913 წელს იგი 584 კილოგრამს უდრიდა. 1927-1928 სამეურნეო წელს სახელმწიფომ დაამზადა 630 მილიონი ფუთი ხორბალი, 1913 წელს კი დამზადებული იყო 1300 მილიონი ფუთი.

სოფლის მეურნეობის ნატურალიზაცია იყო უმთავრესი მიზეზი ხორბლის დამზადებაში დაწყებული კრიზისისა. კრიზისს აღრმავებდა დაბალი ფასები ხორბალზე. 1913 წლისათვის გლეხის მიერ დაგროვილი ფულის ყოველი მანეთის რეალური ფასი 90 კაპიკს უდრიდა, 1925 წლისათვის მანეთის რეალური ღირებულება 50 კაპიკამდე დაეცა. ეს კი იმას ნიშნავდა, **რომ გლეხს რეალურად ხორბლის ფასის მხოლოდ ნახევარს უხდიდნენ.** გლეხი ზარალდებოდა იმითაც, რომ სულ უფრო უარესდებოდა ხორბლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ფულით შეძენილი სამრეწველო პროდუქციის ხარისხი. იმპორტული სამრეწველო პროდუქცია გაქრა, სამამულო პროდუქცია კი ძალზე დაბალი ხარისხისა იყო.

1927-1928 სამეურნეო წელს ხორბლის დამზადებაში შექმნილი კრიზისის პირობებში ხელისუფლებამ უკიდურეს ზომებს მიმართა. **ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემოღების შემდეგ პირველად განხორციელდა გლეხობიდან ხორბლის ამოღება.** ხორბალს უპირატესად კულაკებს (მდიდარ გლეხებს) ართმევდნენ. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში გათვალისწინებული იყო სასჯელი — **თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე.** ეს პრაქტიკულად **„სამხედრო კომუნიზმის“** პოლიტიკის პრინციპების აღდგენას ნიშნავდა. ამის საპასუხოდ, კულაკობამ ხორბლის წარმოების შემცირება დაიწყო, რამაც პურის დამზადებაში დამატებითი სიძნელეები შექმნა 1928 წელს, განსაკუთრებით კი 1929 წელს. კულაკებისათვის პურის ჩამორთმევის კამპანია ცოტა მოგვიანებით, კოლექტივიზაციის წლებში დაწყებული განკულაკების პრელუდიად იქცა.

2. საბჭოთა ხელისუფლების ახალი კურსი სოფლად. იოსებ სტალინისათვის ცხადი გახდა, რომ სოფლად შექმნილი ვითარება დიდ საფრთხეს უქმნიდა საბჭოთა ხელისუფლებას: 1) წვრილი გლეხური მეურნეობა ვერ უზრუნველყოფდა სახელმწიფოსათვის იმდენი პურის მიწოდებას, რაც აუცილებელი იყო: ა) ქალაქის მოსახლეობის გამოსაკვებად, ბ) არმიის გამოსაკვებად, გ) საგარეო ბაზარზე გასატანად და ვალუტის დასაგროვებლად, დ) სახელმწიფო მარაგის შესაქმნელად; 2) კულაკებისათვის პურის ჩამორთმევა დიდი ხნით ვერ იხსნიდა მდგომარეობას, რადგან კულაკებმა პურის წარმოების შემცირება დაიწყეს და მალე წასართმევიც აღარაფერი იქნებოდა; 3) სოფლად გლეხობის სამ ფენას — მდიდარ გლეხობას (კულაკობას), საშუალო გლეხობასა და ულარიბეს გლეხობას — შორის არსებული დაძაბული ურთიერთობა შეიძლებოდა დიდ სოციალურ ამბოხში გადაზრდილიყო; 4) სოფლად არსებული კაპიტალისტური ურთიერთობები შეუთავსებელი იყო საბჭოთა სისტემისათვის, მისი შემდგომი არსებობა საფრთხეს უქმნიდა საბჭოთა ხელისუფლებას.

სოფლად ახალი კურსის განხორციელების საკითხი იხილებოდა სკპ (ბ) XV ყრილობაზე 1927 წლის დეკემბერში. ზოგადად ყრილობამ ასეთი კურსი დასახა: **„კულაკების წინააღმდეგ შეტევის განვითარება“, „ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც შეზღუდავდა კაპიტალიზმის განვითარებას სოფლად და გლეხურ მეურნეობას წარმართავდა სოციალიზმისაკენ“.** სკპ (ბ) XV ყრილობამ მიიღო წვრილი გლეხური მეურნეობის მსხვილ **კოლექტიურ მეურნეობებში (კოლმეურნეობებში)** გაერთიანების გადაწყვეტილება.

1928 წლის გაზაფხულზე რუსეთის ფედერაციის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და საკოლმეურნეო ცენტრმა შეიმუშავა წვრილი გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაციის ხუთწლიანი გეგმა (1928-1933 წწ.). ხუთწლედის ბოლოსათვის (1933 წლისათვის) კოლმეურნეობებში უნდა გაერთიანებულიყო 1,1 მილიონი გლეხური მეურნეობა (მთელი გლეხური მეურნეობის 4%). შემდეგში ეს ციფრი 3 მილიონამდე გაიზარდა (მთელი გლეხური მეურნეობის 12%). 1929 წლის გაზაფხულისათვის გადაწყდა, რომ კოლექტიურ მეურნეობებში უნდა გაერთიანებულიყო 4-4,5 მილიონი გლეხური მეურნეობა (მთელი გლეხური მეურნეობის 16-18%).

კოლექტივიზაცია ჩქარი ტემპით დაიწყო. 1929 წლის ზაფხულის ბოლოსათვის კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებული იყო 1 მილიონი გლეხური მეურნეობა (მთელი გლეხური მეურნეობის 3,9%), ხოლო ოქტომბრის ბოლოსათვის — 1,9 მილიონი (მთელი გლეხური მეურნეობის 7,6). კოლექტივიზაციის ასეთი მაღალი პროცენტი განპირობებული იყო იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლება გლეხობას ძალით აერთიანებდა კოლმეურნეობებში — ნებაყოფლობითი გაერთიანების პრინციპი თითქმის ყველგან ირღვეოდა. ცალკეული რაიონებისა (მაზრებისა) და ოლქების ხელმძღვანელები ადმინისტრაციული საშუალებებით ერეკებოდნენ გლეხობას კოლმეურნეობებში. გლეხობის უდიდესმა ნაწილმა არ იცოდა, თუ რას წარმოადგენდა კოლექტიური მეურნეობა და რატომ უნდა გაერთიანებულიყო მასში. უღარიბესი გლეხობა თავისი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო შედარებით ადვილად თანხმდებოდა კოლმეურნეობაში გაერთიანებას, თუმცა წინააღმდეგობა აქაც საგრძნობი იყო. საშუალო გლეხობა წინ აღუდგა კოლექტივიზაციას და აშკარად მტრული პოზიცია დაიკავა კერძო გლეხური მეურნეობის ლიკვიდაციის პოლიტიკისადმი. რაც შეეხება კულაკობას (მდიდარ გლეხობას), მან კოლექტივიზაციას ომი გამოუცხადა.

3. კოლექტივიზაცია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი. კოლექტივიზაციამ საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. სკპ (ბ) შიგნით აღმოცენდა ე.წ. მემარჯვენე გადახრა, რომლის ლიდერი იყო ნიკოლაი ბუხარინი (1888-1937). ნ. ბუხარინი წინააღმდეგი იყო კულაკური მეურნეობის ლიკვიდაციისა და ამტკიცებდა, რომ უღარიბესი გლეხობის კვალობაზე საშუალო და მდიდარი გლეხობაც (კულაკობაც) შეერწყმებოდა სოციალიზმს. ცნობილი მეცნიერი ეკონომისტი ალექსანდრე თვლიდა, რომ სოფლად საბაზრო ურთიერთობების (ანუ კაპიტალისტური ურთიერთობების) გარკვეული დროით შენარჩუნება აუცილებელი იყო და იგი საფრთხეს ვერ შეუქმნიდა საბჭოთა წყობილებას. ა. ჩაიანოვი წინააღმდეგი იყო კერძო გლეხური მეურნეობის ერთი ხელის დაკვრით ლიკვიდაციისა. ი. სტალინის მომხრე პოლიტიკოსებმა და ეკონომისტებმა ნ. ბუხარინსა და ა. ჩაიანოვს კერძო გლეხური მეურნეობის იდეალიზაცია და მისი სამუდამოდ შენარჩუნების მცდელობა დასდეს ბრალად.

ი. სტალინმა და მისმა მომხრეებმა თავისი გაიტანეს. რუსეთში კოლექტივიზაციის დროშით დაიწყო კერძო გლეხური მეურნეობის ძალდატანებითი ლიკვიდაცია. ძალდატანებითმა კოლექტივიზაციამ ასიათასობით ადამიანს (ძირითადად კულაკობასა და საშუალო გლეხობას) დიდი უბედურება მოუტანა. კერძო გლეხური მეურნეობის ძალდატანებით ლიკვიდაციას სოფლის მეურნეობის პროდუქციის (ძირითადად პურის) კატასტროფული შემცირება და 1932-1933 წლების შიმშილი მოჰყვა, რასაც ასევე უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

სკპ (ბ) ხელმძღვანელობაში კოლექტივიზაციის კურსის წინააღმდეგ აღმოცენებული ე.წ. მემარჯვენე გადახრისა (ნ. ბუხარინი და სხვ.) და კოლექტივიზაციის მოწინააღმდეგე მეცნიერ-ეკონომისტთა (ა. ჩაიანოვი, ნ. კონდრატიევი და სხვ.) შეხედულებანი ერთმანეთს დაემთხვა, მაგრამ ი. სტალინმა ოპოზიციის განადგურება მაინც შეძლო. 1930 წელს სკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ე.წ. მემარჯვენე გადახრა დაგმო. იმავე წელს შეთითხნილი ბრალდებით (ანტისაბჭოთა არალეგალური ე.წ. „მშრომელ გლეხთა პარტიის" წევრობა) გასამართლეს და პატიმრობა მიუსაჯეს ალექსანდრე ჩაიანოვსა და ნიკოლოზ კონდრატიევს.

4. მთლიანი კოლექტივიზაცია. კოლექტივიზაციის მასობრივად გატარება, ე.წ. მთლიანი კოლექტივიზაცია, მიმდინარეობდა 1929 წლის ბოლო ორი თვისა და 1930 წლის პირველი თვეების განმავლობაში. ი. სტალინმა ამ პერიოდს „დიადი გარდატეხის წელი" უწოდა, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. 1929 წლის 1 ოქტომბრისათვის რუსეთის ფედერაციაში კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებული იყო მთელი გლეხობის მხოლოდ 7,4%. ცხადია, ეს ი. სტალინმა შესანიშნავად იცოდა. სწორედ ამიტომ 1930-1931 წლებში საბჭოთა კავშირში კოლექტივიზაციის დონეს 75%-თვის უნდა მიეღწია, ხოლო შესაძლებლობის შემთხვევაში კიდევ უფრო გაზრდილიყო.

ძალდატანებითმა კოლექტივიზაციამ თავისი უარყოფითი შედეგები გამოიღო. კოლმეურნეობებში დაეცა შრომის ნაყოფიერება, ხოლო ზოგიერთი კოლმეურნეობა საერთოდ დაიშალა. ი. სტალინმა კვლავ პოლიტიკურ დემაგოგიას მიმართა. მან თავის წერილში „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან", ასევე სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 14 მარტის დადგენილებაში ძალდატანებითი კოლექტივიზაციისა და მისი მავნე შედეგების გამო ბრალი ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას კი არ დასდო, არამედ რაიონების (მაზრების), ოლქე-

ბისა და მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელობას, რომლებიც ვითომდა აჩქარდნენ კოლექტივიზაციის მაღალი პროცენტის მიღწევის გამო.

კოლექტივიზაციის პერიოდში კურსი კულაკობის ეკონომიკური ძლიერების მოსპობაზე (განკულაკებაზე) აიღეს. ამის თაობაზე პირდაპირ იყო მითითებული სკკ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 30 იანვრის დადგენილებაში. კულაკობის ყველაზე უფრო აქტიურ ნაწილს დიდი სიმკაცრით უსწორდებოდნენ. მათი ნაწილი **ციმბირში გადაასახლეს, ნაწილი საკონცენტრაციო ბანაკებში გამოკეტეს, ნაწილი დახვრიტეს.** რუსეთის ცხრა რეგიონიდან დაგეგმილი იყო 150 ათასი ადამიანის გასახლება, ხოლო 60 ათასი ადამიანი საკონცენტრაციო ბანაკებში უნდა გაეგზავნათ. 1930-1931 წლებში ციმბირში, რუსეთის ჩრდილოეთ რეგიონებსა და ყაზახეთში გაასახლეს 381.026 ოჯახი, სულ 1.803.392 ადამიანი. კულაკთა ოჯახების დიდმა ნაწილმა (200-250 ათასი ოჯახი) წინააღმდეგობა აღარ გაწია და **თვითგანკულაკება** მოახდინა. 1932-1936 წლებში განკულაკების ტემპმა იკლო. ამ წლებში დაახლოებით 100 ათასი ოჯახი განაკულაკეს. სულ 1937 წლისათვის განაკულაკეს 1.100.000 გლეხური მეურნეობა (გლეხური კომლი), რომელიც 5-6 მილიონ ადამიანს აერთიანებდა. განკულაკებული გლეხური მეურნეობა მთელი გლეხური მეურნეობის 4-5%-ს უდრიდა. განკულაკებულების მესამედზე მეტი, ანუ 2.140 ათასი კაცი, 1930-1933 წლებში **საკონცენტრაციო ბანაკებში** გაიგზავნა.

კოლექტივიზაციის პროცენტი განსაკუთრებით მაღალი იყო ხორბლის მწარმოებელ რეგიონებში. 1930 წელს რუსეთის ფედერაციაში კოლექტივიზაციის პროცენტი 34,7%-დან 57,6-მდე გაიზარდა. ხორბლის წარმოების რეგიონებში დიდი იყო გლეხობის, განსაკუთრებით კულაკობის წინააღმდეგობა. 1930 წლის იანვარ-აპრილში კოლექტივიზაციის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა გლეხთა 6117 გამოსვლას, რომელშიც 1755 ათასი კაცი მონაწილეობდა. ცენტრალურ შავმიწანიადაგიან ოლქებში გლეხთა გამოსვლებმა მოიცვა დაახლოებით 1000 დასახლებული პუნქტი, ქვემო ვოლგაზე – 801, მოსკოვის ოლქში – 459, ციმბირში – 200. გლეხთა გამოსვლების ჩასახშობად მილიციის გარდა წითელი არმიის ნაწილებიც გამოიყენეს.

მიუხედავად ძალდატანებისა და სხვა საგანგებო ზომებისა, 1930 წლის 1 ივლისისათვის რუსეთის ფედერაციაში კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებული აღმოჩნდა გლეხური მეურნეობების 20,3% (საბჭოთა კავშირში – 23,6%).

შექმნილი კოლმეურნეობების დიდი ნაწილი ეკონომიკურად სუსტი იყო და თავისთავად იშლებოდა. გლეხობა მასობრივად ტოვებდა კოლმეურნეობებს. 1931 წლის 1 ივლისისათვის მთელ საბჭოთა კავშირში კოლექტივებიდან გავიდა გლეხთა 52,7%. რუსეთში დაიშალა 1370,8 ათასი კოლმეურნეობა. კოლმეურნეობათა ეკონომიკურ განმტკიცებას ვერც იმან უშველა, რომ ხელისუფლებამ შეამცირა პურის დამზადების გეგმა (1931 წელს კოლმეურნეობებს უნდა დაემზადებინათ 1367 მილიონი ფუთი პური, 1932 წელს – 1103 მილიონი ფუთი).

1933-1935 წლებში ხელისუფლებამ შეძლო დასახული მიზნის მიღწევა – **კოლმეურნეობებმა პურის დამზადების გეგმა შეასრულეს.** ამის შედეგი ის იყო, რომ 1935 წლის იანვრიდან გაუქმდა ფქვილისა და პურის ბარათებით განაწილება. წლის ბოლოს ბარათები სხვა პროდუქტებზეც გაუქმდა.

5. **კოლექტივიზაციის შედეგები.** მეორე ხუთწლედში (1933-1937 წწ.) კოლექტივიზაცია ისეთივე ძალდატანებით ტარდებოდა, როგორც პირველ ხუთწლედში (1928-1933 წწ.). **იოსებ სტალინმა** შეძლო განეხორციელებინა **„რევოლუცია ზემოდან“** – ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ნება ძალდატანებით მოახვია თავს გლეხობას. ეს პროცესი ტოტალიტარულ ხასიათს ატარებდა.

1933 წელს რუსეთის ფედერაციაში არსებული 23,2 მილიონი კერძო გლეხური მეურნეობიდან კოლექტიურ მეურნეობაში გაერთიანდა 15,2 მილიონი (მთელი გლეხური მეურნეობის 65%), 1934 წელს – 22 მილიონიდან 15,7 მილიონი (მთელი გლეხური მეურნეობის 71,4%), 1935 წელს – 20,8 მილიონიდან 17,3 მილიონი (მთელი გლეხური მეურნეობის 83,2%), 1936 წელს – 20,3 მილიონიდან 18,4 მილიონი (მთელი გლეხური მეურნეობის 90,5%), 1937 წელს – 19,9 მილიონიდან 93,9 მილიონი (მთელი გლეხური მეურნეობის 93,9%). 1937 წლისათვის 243,7 ათას კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო გლეხური მეურნეობების 93,9%.

კოლექტივიზაციას ორი ასპექტი გააჩნდა – ეკონომიკური და პოლიტიკური. ეკონომიკური ასპექტი იმაში მდგომარეობდა, რომ **კერძო გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაციით**

ხელისუფლებამ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება გეგმიურ საწყისებზე გადაიყვანა. სახელმწიფოს შეეძლო პურის დამზადების ყოველწლიური გეგმა ზუსტად შეესრულებინა, მოეხდინა საშინაო და საგარეო ვაჭრობის რეგულირება. პოლიტიკური ასპექტი იმაში გამოიხატებოდა, რომ სოფლად გლეხობის ეკონომიკური და სოციალური გათანაბრებით მოისპო სოციალური ამბოხის საშიშროება. კოლექტივიზაციის პროცესში სოფლად განხორციელდა კაპიტალისტური ეკონომიკის ელემენტების ლიკვიდაცია, რაც იმას ნიშნავდა, რომ საბჭოთა წყობილებას ამ მხრივ საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

§ 3. პოლიტიკური რეჟიმი.

1. **რეპრესიული აპარატის ჩამოყალიბება.** XX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულიდან 30-იანი წლების შუა ხანებამდე საბჭოთა კავშირში განხორციელდა **სამხედრო კომუნიზმის პრინციპების რეანიმაცია.** სამხედრო კომუნიზმის პრინციპები გაბატონდა ქვეყნის ეკონომიკის მართვაში. **პოლიტიკური რეჟიმიც სამხედრო კომუნიზმის პრინციპებს — იძულებასა და ძალადატანებას — დაემყარა.** ეს არც იყო მოულოდნელი. ბოლშევიკები რევოლუციას განიხილავდნენ როგორც კლასთა შეურიგებელი ბრძოლის აპოგეას. სამოქალაქო ომის წლებში **მსხვილი ბურჟუაზია,** როგორც კლასი, განადგურდა. 20-იანი წლების შუა ხანებიდან ხელისუფლებამ მიზნად დაისახა **წვრილი ბურჟუაზიის** ლიკვიდაცია. წვრილი ბურჟუაზიის ყველაზე მრავალრიცხოვან ფენას მდიდარი გლეხები (კულაკები) შეადგენდნენ. სწორედ კულაკობის წინააღმდეგ წარმართა მთავარი დარტყმა საბჭოთა ხელისუფლებამ.

უზარმაზარ ქვეყანაში რეპრესიების გატარებას დამსჯელი ორგანოების კარგად ორგანიზებული სისტემა ესაჭიროებოდა. 1917 წლის 26 ოქტომბრიდან, ე.ი. საბჭოთა რუსეთის მთავრობის შექმნის დღიდანვე ეს ფუნქცია დაეკისრა **შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს** (სახალხო კომისარი **ალექსეი რიკოვი**). სულ მალე, 1917 წლის 7 დეკემბერს შეიქმნა ახალი ორგანო — **რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოსთან** არსებული სრულიად **რუსეთის საგანგებო კომისია** (თავმჯდომარე **ფელიქს ძერჟინსკი**). სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას გუბერნიებსა და მაზრებში ჰქონდა ფართო ქსელი. ეს იყო კარგად ორგანიზებული **სადამსჯელო ორგანიზაცია,** რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული 20-იანი წლების ფართომასშტაბიანი რეპრესიები, რომელსაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. 1922 წლის 6 თებერვლიდან სრულიად რუსეთის საგანგებო **კომისია გარდაიქმნა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოდ** (თავმჯდომარე ფელიქს ძერჟინსკი). საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ, 1923 წლის 6 იელისიდან მთავარი სადამსჯელო ორგანოს ფუნქციას ასრულებდა **საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან** არსებული **გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო,** რომლის თავმჯდომარე 1923-1926 წლებში იყო **ფელიქს ძერჟინსკი,** ხოლო 1926-1934 წლებში — **ვიაჩესლავ მენჟინსკი.** 1934 წელს გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა **საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.** პირველ სახალხო კომისრად დაინიშნა **ჰენრიხ იაგოდა** (1934-1936 წწ.), რომელიც შემდეგ **ნიკოლაი ეჟოვმა** (1936-1938 წწ.) შეცვალა. 1938 წლის 25 ნოემბერს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დაინიშნა **ლავრენტი ბერია.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სისტემაში მოქმედებდა **საგანგებო თათბირი,** რომელსაც შეეძლო სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯის განაჩენიც კი გამოეტანა. XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოდან და 30-იანი წლების დამდეგიდან დაწყებული პოლიტიკური რეპრესიების შედეგად სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა უამრავ ადამიანს. ამას ემატებოდა სისხლის სამართლის დამნაშავეთა უზარმაზარი არმია. ადამიანთა ამ მასის უკვე არსებულ საპატიმრო ადგილებში (სატუსაღოები, საკონცენტრაციო ბანაკები, სასოფლო-სამეურნეო კოლონიები და სხვ.) დატევა შეუძლებელი იყო. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა პატიმართა იძულებითი შრომის გამოყენებისათვის უფრო ორგანიზაციული ხასიათი მიეცა და პატიმართა შრომა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო მშენებლობებზე და წარმოების სხვადასხვა სფეროში გამოეყენებინა. ეს გადაწყვეტილება რამდენიმე მიზეზით იყო მოტივირებული. **პირველი** — პატიმრები აუტანელ პირობებში აღმოჩნდებოდნენ; **მეორე** — გადაიჭრებოდა უმძიმეს სამუშაოთა შესასრულებლად აუცილებელი მუშახელის საკითხი; **მესამე** — პატიმართა შრომა არა მარტო მათ შესანახ ხარჯებს დაფარავდა, არამედ დიდ მოგებასაც მისცემდა სახელმწიფოს; **მეოთხე** — დაიწყებოდა

მატვეი ბერმანი

ქვეყნის ძნელად მისადგომი და მძიმე კლიმატური პირობებით ცნობილი რეგიონების ათვისება და პატიმრებით დასახლება.

პატიმართა იძულებითი შრომის გამოყენების მიზნით საბჭოთა კავშირის გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს, ხოლო 1934 წლიდან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში შეიქმნა რამდენიმე ახალი სტრუქტურული ერთეული. 1930 წელს შეიქმნა ბანაკების სამმართველო, რომელიც იმავე წელს ბანაკების მთავარ სამმართველოდ გადაეთდა. ბანაკების მთავარი სამმართველოს ჩამოყალიბებასა და მის ნამდვილ სამრეწველო საწარმოდ გადაქცევაში დიდი წვლილი მიუძღვით მატვეი ბერმანს, იაკობ რაპოპორტს, ნაფტალი ფრენკელს, იზრაილ პლინერსა და სხვებს.

მატვეი დავითის ძე ბერმანი (1898-1939) ვაჭრის ოჯახში დაიბადა. დამთავრებული ჰქონდა ჩიტის კომერციული და ირკუტსკის სამხედრო სასწავლებელი. 1917 წელს გახდა რსდმპ (ბ) წევრი. 1918 წლიდან მუშაობდა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიაში. შემდომ წლებში მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა რუსეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსა და გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სისტემაში. 1932 წელს დაინიშნა ბანაკების მთავარი სამმართველოს უფროსად და ამ თანამდებობაზე დარჩა 1937 წლამდე. სწორედ მის სახელს უკავშირდება ბანაკების მთავარი სამმართველოს გადაქცევა პატიმართა მონურ შრომაზე დამყარებულ უდიდეს საწარმოდ. მ. ბერმანი იმავდროულად 1936 წლიდან იყო საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე, ხოლო 1936-1937 წლებში – მოსკოვ-ვოლგის არხის მშენებლობის უფროსი. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში მ. ბერმანი სათაკეში ედგა გადასახლების განყოფილებას. ჰქონდა სახელმწიფო უშიშროების მესამე რანგის კომისრის წოდება. 1937 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისრად. 1938 წელს დააპატიმრეს, გაასამართლეს და 1939 წლის 7 მარტს დახვრიტეს. 1957 წლიდან რეაბილიტირებულია.

იაკობ დავითის ძე რაპოპორტი (1898-1962) იყო ბანაკების მთავარი სამმართველოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი. საინჟინრო სამსახურის გენერალ-მაიორი. სწავლობდა დერპტის (ტარტუს) უნივერსიტეტში, რომელიც არ დაუმთავრებია. 1917 წელს შეუდა რსდმპ (ბ) რიგებში. 1918 წელს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის სისტემაში მუშაობდა, სხვადასხვა თანამდებობა ეკავა მთავარი პოლიტიკური სამმართველოსა და გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სისტემაში. ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცენტრალურ აპარატში. 1930 წლიდან მუშაობდა საბჭოთა კავშირის გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ბანაკების სამმართველოში. 1932 წელს დაინიშნა ბანაკების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ. ითვლებოდა პატიმართა შრომის გამოყენების ერთ-ერთ კარგ სპეციალისტად. 1932 წლიდან იმავდროულად იყო თეთრი ზღვისა და ბალტიის ზღვის შემაერთებელი არხის მშენებლობის უფროსი, ხოლო 1933-1935 წლებში – თეთრი ზღვა-ბალტიის ზღვის კომბინატის უფროსი. 1935-1940 წლებში ხელმძღვანელობდა რიბინსკისა და უგლიჩის ჰიდროკვანძების მშენებლობას. 1940 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ჰიდროტექნიკურ მშენებლობათა მთავარი სამმართველოს უფროსად. ი. სტალინის სიკვდილის შემდეგ დაექვემდებარა, ხოლო 1953 წელს პენსიაზე გაუშვეს.

ნაფტალი არონის ძე ფრენკელი (1883-1960) ბანაკების მთავარი სამმართველოს ერთ-ერთი შემქმნელი. ჰქონდა საინჟინრო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტის წოდება. გერმანიაში დაამთავრა საინჟინრო სასწავლებელი, მუშაობდა რუსეთსა და თურქეთში. რუსეთში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სისტემაში. 1930-1931 წლებში იყო ბანაკების მთავარი სამმართველოს საწარმოო განყოფილების უფროსი, ხოლო შემდეგ თეთრი ზღვისა და ბალტიის ზღვის შემაერთებელი არხის მშენებლობის საწარმოო განყ-

ყოფილების უფროსი. 1934 წელს დაინიშნა ტრანსკიმბირის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსად. ითვლებოდა პატიმართა შრომის გამოყენების კარგ მცოდნედ. 1940 წელს დაინიშნა სარკინიგზო მშენებლობის ბანაკების მთავარი სამმართველოს უფროსად, იმავდროულად იყო ბანაკების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე. 1947 წელს გავიდა პენსიაზე.

სერგო ორჯონიკიძე

გარდა ბანაკების მთავარი სამმართველოსა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სისტემაში შეიქმნა **შოსე გზების მშენებლობის მთავარი სამმართველო** (1936 წ.), **განსაკუთრებულ მშენებლობათა სამმართველო** (1936 წ.), **შორეული ჩრდილოეთის მშენებლობათა მთავარი სამმართველო** (1938 წ.), **სარკინიგზო მშენებლობის ბანაკების მთავარი სამმართველო** (1940 წ.), **ჰიდროტექნიკურ მშენებლობათა მთავარი სამმართველო** (1940 წ.) და სხვა სტრუქტურული ერთეულები. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მთავარი სამმართველო პატიმართა შრომას იყენებდა.

1932 წელს შემოიღეს **საპასპორტო სისტემა**. პასპორტები ეძლეოდათ ქალაქების, მუშათა დასახლებების, რაიონული ცენტრების მცხოვრებთ. სოფლის მოსახლეობას (კოლმეურნე გლეხობას) პასპორტი არ ეძლეოდა. სოფლის მცხოვრები პასპორტს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იღებდა, პასპორტის გარეშე კი სოფლიდან წასვლა იკრძალებოდა. პასპორტების გაცემის შემდეგ დააპატიმრეს და იძულებით სამუშაოზე გაგზავნეს წინა წლებში სოფლებიდან ქალაქებში თავშეფარებული უპასპორტო ადამიანები.

2. **ორგანიზებული ოპოზიციის განადგურება.** XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების პირველ ნახევარში გაიმართა რამდენიმე გახმაურებული პოლიტიკური პროცესი. 1930 წელს მიმდინარეობდა **„სამრეწველო პარტიის“** პროცესი. სასამართლომ **„მავნებლური საქმიანობისათვის“** სასჯელი დაადო ბევრ მაღალკვალიფიცირებულ სპეციალისტს. მათ ბრალად ედებოდათ „იმპერიალისტური სახელმწიფოების დაზვერვასთან თანამშრომლობა“. 1931 წელს გაიმართა **„მენშევიკების საკავშირო ბიუროს“** პროცესი. ორგანიზაციის წევრებს ბრალად დასდეს უცხოეთის დაზვერვასთან თანამშრომლობა.

30-იანი წლების პოლიტიკური პროცესები ჩაფიქრებული იყო როგორც **„წინასწარი დარტყმა“ „პოტენციურ მოწინააღმდეგეთა“** მიმართ. პოტენციურ მოწინააღმდეგებად კი აღიქმებოდნენ **„ძველი ინტელიგენციის“** წარმომადგენლები, ე.წ. **„ბურჟუაზიული სპეციალისტები“**, რომლებიც ჯერ კიდევ მოღვაწეობდნენ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში, არმიაში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო დაწესებულებებში, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის აზრით, „ბურჟუაზიულ სპეციალისტებს“ „იმპერიალისტური ქვეყნების ინტერვენციის“ შემთხვევაში შეეძლოთ **„მეხუთე კოლონის“** როლი შეესრულებინათ. მეხუთე კოლონად იქნა მიჩნეული 20-იანი წლების ბოლოს განადგურებული „მემარჯვენე ოპოზიცია“, რომელსაც სკპ (ბ) რიგებში და, საერთოდ, ქვეყნის მოსახლეობაში ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVI ყრილობაზე (1930 წ.) ი. სტალინმა ამხილა კომუნისტურ პარტიაში აღმოცენებული „მემარჯვენე გადახრა“. მემარჯვენე გადახრის ლიდერი **ნ. ბუხარინი** ყრილობას არ ესწრებოდა. ნ. ბუხარინის თანამოაზრეებმა **ა. რიკოვმა, მ. ტომსკიმ** და **ნ. უგლანოვმა** „აღიარეს“ მათ მიერ დაშვებული „შეცდომები“ და საჯაროდ მოინანიეს. მიუხედავად ამისა, ა. რიკოვი ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ჩამოაცილეს — სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროდან გამოიყვანეს და იმავდროულად საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდო-

ალექსი რიკოვი

მარის თანამდებობიდანაც გაათავისუფლეს. სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად აირჩიეს ი. სტალინის პოლიტიკის თავგამოდებული მომხრე ს. ორჯონიკიძე, ხოლო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს ასევე ი. სტალინის ძველი თანამებრძოლი ვ. მოლოტოვი. პოლიტიკური მოტივით დევნა მიმდინარეობდა მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელთა შორისაც, ასევე ოლქებსა და რაიონებში.

ალექსი ივანეს ძე რიკოვი (1881-1938) – გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე. დაიბადა ვაჭრის ოჯახში, სწავლობდა ყაზანის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც არ დაუმთავრებია. 1899 წელს გახდა რსდმპ წევრი, 1903 წელს მიემხრო ბოლშევიზმს. ეწეოდა არალეგალურ მუშაობას, რისთვისაც რამდენჯერმე დაუპატიმრეს. 1910-1911 წლებში ცხოვრობდა საფრანგეთში. 1917 წელს იყო ჯერ მოსკოვის, ხოლო შემდეგ პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. 1917 წლის 26 ოქტომბრიდან იყო საბჭოთა რუსეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი. 1917 წლის 4 ნოემბერს კოალიციური მთავრობის შექმნასთან დაკავშირებით დაუპირისპირდა ვ. ლენინს და გადადგა სახალხო კომისრის თანამდებობიდან, არჩეული იყო რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრად. 1918-1921 წლებში იყო რუსეთის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, 1921-1923 წლებში – რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 1924 წლის 2 თებერვალს დაინიშნა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ. იმავდროულად 1924-1929 წლებში იყო რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე. ვ. ლენინის სიკვდილის შემდეგ (1924 წ.) აქტიურად უჭერდა მხარს ი. სტალინს ლ. ტროცკის, გ. ზინოვიევისა და ლ. კამენევის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1928-1929 წლებში მხარი არ დაუჭირა ი. სტალინს ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ლიკვიდაციის საკითხში. წინააღმდეგი იყო ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებული ტემპებით გატარებისა, კოლექტივიზაციის ძალდატანებით გატარებას დამღუპველად მიიჩნევდა. ი. სტალინის კურსის კრიტიკისათვის ბრალი დასდეს „მემარჯვენე გადახრაში“ და 1929 წელს უარი ათქმევინეს თავის შეხედულებებზე. „მონანიების“ მიუხედავად 1930 წელს გაათავისუფლეს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან და გამოიყვანეს სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროდან. 1931 წელს დაინიშნა ფოსტისა და ტელეგრაფის (კავშირგაბმულობის) სახალხო კომისრად. 1936 წელს სახალხო კომისრის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. 1937 წელს სკპ (ბ) რიგებიდან გარიცხეს, ხოლო 1937 წლის 27 თებერვალს დააპატიმრეს. გასამართლეს მემარჯვენე-ტროცკისტულ პლოცში მონაწილეობისათვის. 1938 წლის 13 მარტს მიესაჯა სიკვდილი დასჯა. დახვრიტეს 1938 წლის 15 მარტს. 1988 წლიდან რეაბილიტირებულია.

ნიკოლაი ივანეს ძე ბუხარინი (1888-1939) – კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის გამოჩენილი მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1929 წ.). დაიბადა მოსკოვში, მასწავლებლის ოჯახში. სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ეკონომიკურ განყოფილებაზე, უნივერსიტეტიდან გარიცხეს 1911 წელს. აქტიურად მონაწილეობდა 1905-1907 წლების რევოლუციაში, 1906 წელს გახდა რსდმპ წევრი. 1908-1910 წლებში ეწეოდა პარტიულ მუშაობას, რისთვისაც უნივერსიტეტიდან გარიცხეს და 1911 წელს გადასახლეს არხანგელსკის გუბერნიაში. გადასახლებიდან გაქცევის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში, სადაც მალე გახდა რსდმპ გამოჩენილი მოღვაწე, ვ. ლენინის უახლოესი თანამებრძოლი. 1914 წელს ავსტრია-უნგრეთის ხელისუფლებამ დააპატიმრა და შემდეგ ქვეყნიდან გაასახლა, ცხოვრობდა ლონდონში, სტოკჰოლმში, კოპენჰაგენში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1917 წლის მაისში იაპონიის გავლით დაბრუნდა რუსეთში. 1917 წელს აირჩიეს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრად. 1918-1929 წლებში იყო რსდმპ (ბ) ცენტრალური ორგანოს, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი. 1917-1918 წლებში იყო „მემარცხენე კომუნისტების“ ლიდერი და ეწინააღმდე-

გებოდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადებას, შემდეგ მიემხრო ვ. ლენინს. ეკონომიკის საკითხებში ითელებოდა დიდ ავტორიტეტად, სწამდა, რომ კაპიტალიზმს გარდაუვალი დაღუპვა ელოდა. მისი უმთავრესი ნაშრომებია: „კომუნისტების (ბოლშევიკების) პროგრამა“, „მსოფლიო მეურნეობა და იმპერიალიზმი“, „კომუნიზმის ანბანი“ (თანაავტორი ე. პრეობრაჟენსკი), „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა“. მიუხედავად იმისა, რომ იყო იმ ეპოქის პოლიტიკურ მოღვაწეთაგან ერთ-ერთი ყველაზე განათლებული ადამიანი, ფანატიკური რწმენით შეპყრობილს პოლიტიკური მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაში არად ულირდა ადამიანთა სიცოცხლე. აქტიურად უჭერდა მხარს „წითელ ტერორს“. 1919-1920 წლებში იყო კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. 1919 წელს აირჩიეს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად, ხოლო 1924 წელს წევრად. იყო ი. სტალინის თავგამოდებული მომხრე ჯერ ლ. ტროცკის წინააღმდეგ ბრძოლაში (1923-1924 წწ.), ხოლო შემდეგ გ. ზინოვიევისა და ლ. კამენევის წინააღმდეგ ბრძოლაში (1925-1926 წწ.). ამ პერიოდში მისი სახელი ძალზე პოპულარული გახდა. 1928 წელს გამოიდა კოლექტივიზაციის ძალდატანებით გატარების წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ ევოლუციის გზით კოოპერაციული სექტორი სრულიად უმტკივნეულოდ მოსპობდა კერძო სექტორს. ი. სტალინთან პოლემიკაში ჩაბმულმა მას „პატარა აღმოსავლელი დესპოტი“ უწოდა. 1928 წელს სკკ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ნ. ბუხარინისა და მისი მომხრეების შეხედულებები შეფასა, როგორც „მემარჯვენე გადახრა“. 1929 წელს გაათავისუფლეს ყველა თანამდებობიდან, მაგრამ იმავე წელს „მონსიების“ შემდეგ ისევ შეიყვანეს სკკ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში, 1929-1934 წლებში ეკავა მნიშვნელოვანი პარტიული და სახელმწიფო თანამდებობები. 1934-1937 წლებში იყო გაზეთ „იზვესტიას“ მთავარი რედაქტორი. 1935 წელს გამართულ სასამართლო პროცესზე გ. ზინოვიევმა და ლ. კამენევმა ივი დასახელეს როგორც ოპოზიციის თანამოაზრე და თანამონაწილე, რის გამოც 1937 წელს სკკ (ბ) რიგებიდან გარიცხეს და დაუპატიმრეს. ბრალი ედებოდა მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის შექმნაში. სასამართლო პროცესზე წაყენებული ბრალდებები უარყო. 1938 წელს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა. დახვრიტეს 1939 წლის 15 მარტს. 1956 წლიდან რეაბილიტირებულია. ნ. ბუხარინი სამჯერ იყო დაქორწინებული. 1938 წელს დაუპატიმრეს და შემდგომ პატიმრობაში გარდაიცვალა ნ ბუხარინის პირველი მეუღლე ნადეჟდა ლუკინა. მეორე მეუღლე — ესფირა გურვიჩი 1949 წელს დაუპატიმრეს და ათი წლის ვადით პატიმრობა მიუსაჯეს. რეპრესიებს გადაურჩა ნ. ბუხარინის მესამე მეუღლე — ანა ლარინა.

30-იანი წლების დამდეგისათვის ი. სტალინმა შეძლო კომუნისტურ (ბოლშევიკურ) პარტიაში არსებული ოპოზიციის განადგურება. მიუხედავად ამისა, ი. სტალინის პოლიტიკური კურსის მოწინააღმდეგენი იარაღს არ ყრიდნენ. 1932 წელს **მარტემინან რიუტინმა შექმნა „მარქსისტ-ლენინელთა კავშირი“**, რომელმაც მიზნად დაისახა „სტალინისა და მისი მიმდევრების“ წინააღმდეგ ბრძოლა. მ. რიუტინის მიერ შექმნილმა ორგანიზაციამ სულ ერთი თვე იარსება, შემდეგ მისი წევრები დააპატიმრეს. ი. სტალინის მოთხოვნით მ. რიუტინი და მისი მომხრეები სკკ (ბ) რიგებიდან გარიცხეს. გაერთიანებული მთავარი პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის გადაწყვეტილებით მ. რიუტინს დახვრეტა მიესაჯა. ცნობილმა ბოლშევიკებმა ს. კიროვმა, ს. ორჯონიკიძემ და ვ. კუიბიშევმა ი. სტალინს მ. რიუტინის შეწყალება სთხოვეს. ი. სტალინმა თხოვნა გაითვალისწინა. მ. რიუტინს ათი წლის ვადით პატიმრობა მიესაჯა.

3. ლავირების პოლიტიკა. იოსებ სტალინმა კარგად იცოდა, რომ ოპოზიციის განადგურების მიუხედავად საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბოლშევიკებისა) მისი მოწინააღმდეგეები მრავლად იყვნენ. ეს ეხებოდა როგორც კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის ზედა ეშელონებს, ისე რესპუბლიკურ, საოლქო და რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებს. 1932 წელს ი. სტალინმა სკკ (ბ) წმენდა ჩაატარა. წმენდის შედეგად სკკ (ბ) რიგებიდან გარიცხეს 450 ათასი კაცი/ სკკ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში, მართალია, ი. სტალინის მომხრეები ჭარბობდნენ, მაგრამ მათ გვერდით იყვნენ „ზომიერებიც“ (ს. კიროვი, ვ. კუიბიშევი და სხვ.), რომლებიც პოლიტიკური რეჟიმის შერბილებას ითხოვდნენ. მათი მოთხოვნა კიდევ უფრო აქტუალური გახდა 1932-1933 წლების ეკონომიკური კრიზისის დროს, რასაც შედეგად მოჰყვა სოციალური ურთიერთობის დაძაბვა. **ი. სტალინი იძულებული გახდა ლავირება დაეწყო.**

გაერთიანებულ მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს აეკრძალა კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის წევრების დაპატიმრება, თუ წინასწარ ნებართვას არ მიიღებდა სკკ (ბ) ცენტრალური კომიტეტიდან. სპეციალისტების დაპატიმრებისათვის აუცილებელი იყო სათანადო სახალხო კომისარიატის ნებართვა.

პოლიტიკური რეჟიმის შერბილება და „ზომიერი“ პოლიტიკისაკენ კურსის აღება აისახა საკავშირო კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის XVII ყრილობის (1934 წ.) გადაწყვეტილებებში. ყრილობამ გამოაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში სოციალიზმმა გაიმარჯვა. „გამარჯვებული“ ხელისუფლება დათმობებზე

ვალერიან კუიბიშევი

წავიდა. **დაიწყო ოპოზიციის ლიდერების რეაბილიტაცია.** ნ. ბუხარინი დაინიშნა გაზეთ „იზვესტიის" მთავარ რედაქტორად. სკპ (ბ) რიგებში აღადგინეს ერთ დროს პარტიიდან გარიცხული „მემარჯვენე ოპოზიციის" ერთ-ერთი ლიდერი ნ. უგლანოვი. გ. ზინოვიევი შეიყვანეს ჟურნალ „ბოლშევიკის" სარედაქციო კოლეგიაში, ხოლო ლ. კამენევი დაინიშნა ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორად. გადასახლებიდან დააბრუნეს ტროცკისტული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ხ. რაკოვსკი.

ი. სტალინის ინიციატივით დაიწყო კულაკებთან დამოკიდებულების გადასინჯვა. ჯერ კიდევ 1932 წლიდან იკლო კულაკთა წინააღმდეგ მიმართულმა რეპრესიებმა. 1932 წლის ივნისში საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო ერთობლივი დადგენილება **„რევოლუციური კანონიერების შესახებ"**. დადგენილებაში დაგმობილი იყო კოლექტივიზაციის წლებში დაშვებული კანონდარღვევები. 1934 წლის 27 მაისს გამოცხადდა **კულაკების ნაწილობრივი ამნისტია.** ი. სტალინის საჯარო განცხადებამ იმის შესახებ, რომ **„შვილი მამის გამო პასუხს არ აგებს"**, იმედი აღუძრა რეპრესირებულ ოჯახებს.

4. **ს. კიროვის მკვლელობა.** 1934 წლის 1 დეკემბერს ლენინგრადში, სმოლნში, **ლეონიდ ნიკოლაევმა** მოკლა სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის ლენინგრადის საქალაქო ორგანიზაციის ლიდერი, ცნობილი ბოლშევიკი **სერგეი კიროვი (კოსტრიკოვი).** ს. კიროვი „ზომიერთა" ჯგუფს მიეკუთვნებოდა, როგორც აღვნიშნეთ, იგი პოლიტიკური რეჟიმის შერბილების მომხრე იყო. მიუხედავად ამისა, ი. სტალინი მკვლელობის დამკვეთი არ უნდა ყოფილიყო.

ლეონიდ ვასილის ძე ნიკოლაევი (1904-1934) – სერგეი კიროვის მკვლელი. დამთავრებული ჰქონდა საქალაქო სასწავლებლის ექვსი კლასი და პარტიული სკოლა. იყო ავადმყოფური ხასიათის, მუდამ აღგზნებული პიროვნება. ხშირად იცვლიდა სამუშაო ადგილს, იყო პასუხსაგებ კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე, მათ შორის სკპ (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტში. 30-იანი წლების დამდეგს გარიცხეს სკპ (ბ) რიგებიდან, 1934 წლის აპრილში ისევ აღადგინეს პარტიაში, თუმცა ამის შემდეგ პარტიულ სამუშაოზე უარს ამბობდა, უარი თქვა სკპ (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტში სამუშაოდ დაბრუნებაზეც. დაჭორწინებული იყო მილდა დრაულეზე, რომელიც სკპ (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტში მუშაობდა. ერთ-ერთი ვერსიით სერგეი კიროვსა და მილდა დრაულეს რომანი ჰქონდათ, რაც ცნობილი გახდა ლეონიდ ნიკოლაევისათვის. 1934 წლის 5 ოქტომბერს ლ. ნიკოლაევი დააკავეს ს. კიროვის საცხოვრებელ სახლთან, გაჩხრეკისას უპოვეს ცეცხლსასროლი იარაღი, მაგრამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ლენინგრადის სამმართველოს ოპერატიული განყოფილების უფროსის განკარგულებით გაათავისუფლეს. 1934 წლის 1 დეკემბერს ლ. ნიკოლაევმ, ლენინგრადში, სმოლნში, რამდენიმე ნაბიჯის მოცილებით, ზურგიდან კეფაში ესროლა ს. კიროვს.

სერგეი კიროვი

მკვლელი იქვე შეიპყრეს, გასამართლეს და 1934 წლის 29 დეკემბერს დახვრიტეს. მოდა დრაულე სკპ (ბ) რიგებიდან გარიცხეს და 1935 წლის 10 მარტს დასთან ერთად დახვრიტეს. დახვრიტეს ლ. ნიკოლაევის დედა, მამა, ძმა, დები, ბიძაშვილი და სხვა ნათესავები.

ს. კიროვის მკვლელობა ი. სტალინმა შესანიშნავად გამოიყენა თავისი მიზნებისათვის. 1934 წლის 1 დეკემბერს საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ტერორისტული აქტების მომზადებისა და განხორციელების შესახებ საქმეთა წარმოებაზე. აღნიშნული კატეგორიის დანაშაულთა **გამოძიება ათი დღის განმავლობაში უნდა დასრულებულიყო. ბრალდებულს საბრალდებო დასკვნა სასამართლომდე მხოლოდ ერთი დღით ადრე უნდა გადასცემოდა, სასამართლო კი პროკურორისა და ადვოკატის მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობდა. განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა, მსჯავრდებულის შეწყალება არ შეიძლებოდა. სიკვდილის განაჩენი დაუყოვნებლივ უნდა აღსრულებულიყო.** აღნიშნული წესით მხოლოდ 1934 წლის დეკემბერში დახვრიტეს 6501 კაცი (1937 წლის სექტემბრიდან იმავე წესით სჯიდნენ დივერსიული და სხვა მავნებლური საქმიანობის ბრალდებით გასამართლებულებს). 1935 წლის მარტში მიღებული **კანონის ძალით ისჯებოდნენ „სამშობლოს მოღალატეთა“ ოჯახის წევრები.** 1935 წლის აპრილიდან სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევდნენ ბავშვებს, რომელთაც 12 წელი შეუსრულდათ.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ს. კიროვის მკვლელობაში ბრალი დასდო **ლ. ტროცკის, გ. ზინოვიევს, ლ. კამენევსა** და მათ მომხრეებს (ტროცკისტულ-ზინოვიევურ ოპოზიციას). 1935 წლის იანვარში გ. ზინოვიევი, ლ. კამენევი და მათი თანამოაზრეები გაასამართლეს. დახურულ სასამართლო პროცესზე დასწრება მხოლოდ სპეციალური საშვებით იყო შესაძლებელი. გ. ზინოვიევს მიესაჯა 10 წლით, ხოლო ლ. კამენევს — 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. 1935 წლის მარტ-აპრილში გამართულ პროცესზე გაასამართლეს 20-იან წლებში არსებული „მუშათა ოპოზიციის“ ლიდერები ა. შლიაპნიკოვი და სხვები. ყველა მათგანს სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიესაჯათ.

1935 წელს ჩატარდა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წმენდა. 1935 წლის 1 დეკემბრისათვის სკპ (ბ) რიგებიდან გარიცხეს და დააპატიმრეს 15 ათას კაცზე მეტი.

ანდრეი ვიშინსკი

1936 წლის 19-24 აგვისტოს მოსკოვში მიმდინარეობდა **„ანტისაბჭოთა ტროცკისტულ-ზინოვიევური გაერთიანებული ცენტრის“** პროცესი. სულ სასამართლოს წინაშე წარსდგა 16 კაცი (გ. ზინოვიევი, ლ. კამენევი და სხვები). სასამართლო პროცესზე მთავარი ბრალმდებლის როლში გამოვიდა **საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი ა. ვიშინსკი.** ძიების პროცესში ბრალდებულებს წამების გზით ჩამოართვეს ჩვენება, რომელშიც ისინი აღიარებდნენ, რომ მათთან ერთად „კონტრრევოლუციურ“ და „ტერორისტულ“ საქმიანობას ეწეოდნენ ნ. ბუხარინი, ა. რიკოვი, მ. ტომსკი, გ. პიატაკოვი და სხვები. ყველა ისინი სასამართლოს განაჩენით დახვრიტეს.

გიორგი (იური) ლეონიდის ძე პიატაკოვი (1890-1937) — კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის გამოჩენილი მოღვაწე. დაიბადა შაჰრის ქარხნის მმართველის ოჯახში, სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე, უნივერსიტეტიდან გარიცხეს 1910 წელს. 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში, როგორც ანარქისტი, მოღვაწეობდა კიევში. 1910 წელს გახდა რსდმპ წევრი, რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის რამდენჯერმე დააპატიმრეს. 1915 წელს გადასახლებიდან გაიქცა და შვეიცარიაში მყოფ ვ. ლენინის ჯგუფს შეუერთდა. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა რუსეთში, გამოდიოდა ვ. ლენინის „აპრილის თეზისების“ წინააღმდეგ. 1917 წლის ოქტომბრიდან იყო კიევის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე, 1917 წლის დეკემბრიდან 1918 წლის მარ-

ტამდე — რუსეთის სახელმწიფო ბანკის მთავარი კომისარი. გ. პიატაკოვი, „მემარცხენე კომუნისტების“ ერთ-ერთი ლიდერი, გამოდიოდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადების წინააღმდეგ. 1918 წელს იყო უკრაინის დროებითი მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე. წინააღმდეგი იყო ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემოღებისა. 1923 წელს დანიშნა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ. ვ. ლენინის სიკვდილის შემდეგ (1924 წ.) ი. სტალინის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარს უჭერდა ლ. ტროცკის. 1927 წელს დანიშნა საფრანგეთში საბჭოთა კავშირის საელჩო წარმომადგენლად. მოგვიანებით შეცდომები „მოინანია“ და ემხრობოდა ი. სტალინს. 1929 წელს დანიშნა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ, 1934 წელს დანიშნა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ. 1936 წელს დააპატიმრეს გ. პიატაკოვის მეუღლე. გ. ზინოვიევის, ლ.კამენევისა და სხვათა სასამართლო პროცესის მზადების პერიოდში გ. პიატაკოვი საჯაროდ ითხოვდა მათი სიკვდილით დასჯას. ი. სტალინს გადაწყვეტილი ჰქონდა გ. ზინოვიევისა და ლ. კამენევის სასამართლო პროცესზე გ. პიატაკოვის დანიშნა საზოგადოებრივ ბრალმდებლად, მაგრამ მალე ცნობილი გახდა, რომ განსასჯელთა დაკითხვისას გ. პიატაკოვი მათი „შეთქმულების“ თანამონაწილედ დასახელეს. ი. სტალინმა გადაწყვეტილება შეცვალა, რამაც ძალზე შეაშინა გ. პიატაკოვი. ნ. ეჟოვთან საუბრისას გ. პიატაკოვმა განაცხადა, რომ მზად იყო თავისი ხელით დაეხვრიტა ყველა სიკვდილმისჯილი, მათ შორის საკუთარი მეუღლეც. 1936 წლის 12 სექტემბერს გ. პიატაკოვი დააპატიმრეს, გაასამართლეს ანტისაბჭოთა ტროცკისტულ ცენტრთან თანამშრომლობის ბრალდებით და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. დახვრიტეს 1937 წლის 1 თებერვალს. 1988 წლიდან რეაბილიტირებულია.

5. **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1936 წლის კონსტიტუცია.** საბჭოთა კავშირში დამკვიდრებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა დააკანონა **1936 წლის კონსტიტუციამ.** ახალი კონსტიტუცია 1936 წლის 5 დეკემბერს დაამტკიცა საბჭოთა კავშირის საბჭოების VIII საგანგებო ყრილობამ.

1936 წლის კონსტიტუციის ძალით, საბჭოთა კავშირის საბჭოების ყრილობას აღარ იწვევდნენ. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია მიენიჭა **საბჭოთა კავშირის უზენაეს საბჭოს,** მოკავშირე რესპუბლიკებში — რესპუბლიკების **უზენაეს საბჭოებს,** ხოლო ოლქებში, ქალაქებსა და რაიონებში — ოლქების, ქალაქებისა და რაიონების **საბჭოებს.** ყველა დონის საბჭოებს ირჩევდა მთელი მოსახლეობა პირდაპირი ხმის მიცემით. ყოველგვარი შეზღუდვა არჩევნებში გაუქმდა.

საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭო შედგებოდა ორი პალატისაგან — **კავშირის საბჭოსაგან** (სადაც დელეგატებს ირჩევდნენ მთელი ქვეყნის საარჩევნო ოლქებიდან) და **ეროვნებათა საბჭოსაგან** (სადაც ყოველ მოკავშირე რესპუბლიკასა და ეროვნულ-ტერიტორიულ ერთეულს ხმათა განსაზღვრული რაოდენობა ჰქონდა). უზენაესი საბჭო სესიებს (**სხდომებს**) მართავდა ორი წესით: უზენაესი საბჭოს ყველა დეპუტატი იკრიბებოდა ერთად, ან კავშირისა და ეროვნებათა საბჭო იკრიბებოდა ცალ-ცალკე. უზენაეს საბჭოს ჰყავდა თავმჯდომარე. თავმჯდომარეები ჰყავდა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოებსაც. უზენაესი საბჭო ირჩევდა **პრეზიდიუმს,** რომელსაც ჰყავდა **თავმჯდომარე** და მდივანი. უზენაესი საბჭო იკრიბებოდა პერიოდულად, ხოლო მუდმივმოქმედი ორგანო იყო **უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.**

აღმასრულებელი ხელისუფლება თავმოყრილი იყო საბჭოთა **კავშირის სახალხო კომისართა** საბჭოს ხელში, რომლის დაქვემდებარებაში იყო **სახალხო კომისარიატები.**

1936 წლის კონსტიტუციის ძალით გაუქმდა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკა. **საქართველო, სომხეთი** და **აზერბაიჯანი** ცალკე **მოკავშირე რესპუბლიკებად** იქცნენ.

6. **1937 წელი.** 1937 წელი ისტორიაში შევიდა **„ეჟოვშჩინის“** სახელწოდებით. ცხადია, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ნიკოლაი ეჟოვი** თვითნებურად არ მოქმედებდა, მეტიც, იგი ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის კურსს ახორციელებდა.

1937 წელს წარმოუდგენლად ფართო მასშტაბები მიიღო 1934 წლის დეკემბრიდან დაწყებულმა პოლიტიკურმა რეპრესიებმა. რეპრესიები იგეგმებოდა და ხორციელდებოდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ, კერძოდ, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და პირადად იოსებ სტალინის მიერ. სწორედ სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროდან მომდინარეობდა ინიციატივა ადგილებზე იმ ავადსახსენებელი **„სამეულების“** შექმნის შესახებ, რომელთა განაჩენითაც უამრავი ადამიანი სიკვდილით დასაჯეს. სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების საფუძველზე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი **„ანტისაბჭოთა ელემენტების“** ლიკვიდაციას ახდენდა. სიკვ-

დილით დასჯის განაჩენს, რომელიც გამოჰქონდა საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას, სამხედრო ტრიბუნალებს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებულ თათბირს, ამტკიცებდა სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სასამართლო საქმეთა კომისია. დახურული სასამართლო პროცესების გარდა მოსკოვსა და სხვა ქალაქებში იმართებოდა ღია სასამართლო პროცესები, რომელთაც პროპაგანდისტული მნიშვნელობა ჰქონდათ. ღია სასამართლო პროცესებიც სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დაკვეთით იმართებოდა.

მართალია, პოლიტიკური რეპრესიები საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ და პირადად იოსებ სტალინმა დაგეგმა, მაგრამ „ზემოდან" დაგეგმილი კამპანია მალე გამოვიდა კონტროლიდან. 1937-1938 წლების რეპრესიები შეეხო მოსახლეობის ყველა სოციალურ ფენას, კომუნისტურ (ბოლშევიკურ) პარტიას, უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, არმიას, ფლოტს და თვით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატსაც კი. მოგვიანებით, 1957 წელს, საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ **1937-1938 წლებში დააპატიმრეს 1,5 მილიონი კაცი, რომელთაგან 680.692 დახვრიტეს.** პოლიტიკური რეპრესიების ყოვლისმომცველობაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტიც. სკპ (ბ) XVII ყრილობის (1934 წ.) 1961 დელეგატიდან მომდევნო წლებში სიკვდილით დასაჯეს 1108 კაცი. ყრილობის მიერ ცენტრალური კომიტეტის წევრებად და წევრობის კანდიდატებად არჩეული 139 კაციდან მომდევნო ხანებში სიკვდილით დასაჯეს 98.

პოლიტიკურ რეპრესიებს ვერც ყოფილი ოპოზიციონერები გადაურჩნენ. 1937-1938 წლებში სიკვდილით დასაჯეს: ნ. ბუხარინი, კ. რადეკი, ა. რიკოვი, ქ. რაკოვსკი, გ. სოკოლნიკოვი და სხვები.

*კარლ ბერნგარდის ძე რადეკის (1885-1939) ნამდვილი გვარია **სობელსონი**. დაიბადა ქალაქ ლვოვში, რომელიც იმხანად ავსტრია-უნგრეთის შემადგენლობაში იყო. მამა მასწავლებელი იყო. დაამთავრა კრაკოვის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1902 წელს შვიდა პოლონეთის სოციალისტურ პარტიაში, 1903 წელს – რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში, 1904 წელს – პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიაში, 1908 წელს მიემხრო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ფრთას, მაგრამ როზა ლუქსემბურგთან უთანხმოების გამო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გარიცხეს. პირველი მსოფლიო ომის წლებში დაუახლოვდა ვ. ლენინს. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ იმყოფებოდა სტოკჰოლმში და ვ. ლენინის დავალებით აქტიურ მონაწილეობას იღებდა გერმანიის გენერალურ შტაბთან მოლაპარაკებებში, რომლის მიზანი იყო ვ. ლენინისა და მისი თანამოაზრეების რუსეთში დაბრუნების ნებართვის მიღება. 1917 წლის ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დაბრუნდა რუსეთში, იყო პრესტლიტოვსკში მიწილინებული საზავო დელეგაციის წევრი, ემხრობოდა „მემარცხენე კომუნისტებს". 1919 წელს რევოლუციის მომზადების მიზნით იმყოფებოდა გერმანიაში, დაპატიმრეს, მაგრამ მალე გაათავისუფლეს. 1919-1924 წლებში იყო რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1920 წელს იყო კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი, 1920-1924 წლებში აღმასკომის წევრი. ეწეოდა ჟურნალისტურ მოღვაწეობას, ითვლებოდა მოსყიდული ჟურნალისტის სიმუშად. 1923 წელს აქტიურად უჭერდა მხარს ლ. ტროცკის, 1927 წელს ტროცკისტული ოპოზიციის წევრებთან ერთად გარიცხეს სკპ (ბ) რიგებიდან. 1928 წლის იანვარში გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსთან არსებულმა განსაკუთრებულმა თათბირმა ანტისაბჭოთა მოღვაწეობისათვის სამი წლით გადასახლება მიუსაჯა. გადასახლებიდან გათავისუფლდა 1929 წლის მაისში.*

კარლ რადეკი

ჰენრიხ იაგოდა

საჯაროდ განაცხადა, რომ ყოველგვარ კავშირს წყვეტდა ტროცკიზმთან. 1930 წელს ალადგინეს სკპ (ბ) რიგებში, რის შედეგადაც აგრძელებდა კომუნისტურ (ბოლშევიკურ) პრესაში აქტიურ თანამშრომლობას. 1936 წლის 6 სექტემბერს დააპატიმრეს. ძიების პროცესში განაცხადა, რომ მზად იყო მიეცა ნებისმიერი შინაარსის ჩვენება. მისი ჩვენებები გამოიყენეს უამრავი ადამიანის დაპატიმრებისა და დასჯისათვის. სასამართლომ ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის მონაწილენი ძირითადად სწორედ კ. რადეკის ჩვენების საფუძველზე დასაჯა. სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი ბრალდებულების უმრავლესობა სიკვდილით დასაჯეს, თვით კ. რადეკს კი 1930 წლის 30 ივნისს 10 წლის ვადით პატიმრობა მიუსაჯეს. კ. რადეკი ეერხნეურალსკის საკონცენტრაციო ბანაკში მოკლეს სისხლის სამართლის დამნაშავეებმა. 1988 წლიდან რეაბილიტირებულია.

პოლიტიკურმა რეპრესიებმა შეიწირა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშაკთა უმრავლესობა, რომელთაც თავის დროზე უსაფუძვლოდ დასაჯეს ათასობით ადამიანი. რეპრესიებს შეეწირა შინაგან საქმეთა ორი კომისარი — ჰ. იაგოდა და ნ. ეჟოვი.

ჰენრიხ გრიგორის ძე იაგოდას (1891-1938) *ნამდვილი სახელი და მამის სახელი იყო ენოხ გერშენის ძე. დაიბადა ხელოსნის ოჯახში, იყო იაკობ სვერდლოვის ბიძაშვილი. 1907 წელს გახდა რსდმპ წევრი, ემხრობოდა ბოლშევიკურ მიმდინარეობას. ეწეოდა არალეგალურ პარტიულ მუშაობას, რისთვისაც 1911 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს. პირადად იცნობდა და სიცოცხლის ბოლომდე მეგობრობდა მაქსიმ გორკისთან. 1913 წლიდან მუშაობდა პეტერბურგში, პუტილოვის ქარხანაში. 1915 წელს გაიწვიეს მოქმედ არმიაში. მონაწილეობდა 1917 წლის ოქტომბრის კონტრრევოლუციურ სახელმწიფო გადატრიალებაში. 1918-1919 წლებში მუშაობდა წითელი არმიის უმაღლეს სამხედრო ინსპექციაში, 1919-1920 წლებში იყო საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, 1920-1922 წლებში — რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგანგებო კომისიის პრეზიდიუმის წევრი, 1922-1923 წლებში რუსეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის წევრი და სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს საქმეთა მმართველი. იყო ფ. ძერჟინსკის ერთგული თანამებრძოლი, რომელიც ყოველმხრივ უწყობდა ხელს მის სამსახურებრივ წინსვლას. 1923 წლიდან იყო საბჭოთა კავშირის გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის მეორე მოადგილე, მალე გახდა ამ სამმართველოს საგანგებო განყოფილების, ხოლო შემდეგ საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილების უფროსი. ლ. ტროცკი აღნიშნავს, რომ ჰ. იაგოდა ტოვებდა „გულითადი არარაობის“ შთაბეჭდილებას. ფ. ძერჟინსკის სიკვდილის შემდეგ (1926 წ.) გახდა გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სამმართველოს თავმჯდომარის ვ. მენჟინსკის ავადმყოფობის პერიოდში ერთპიროვნულად განაგებდა გაერთიანებულ მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს. 1929-1930 წლებში ხელმძღვანელობდა პატიმართა ძალებით მიმდინარე თეთრი ზღვისა და ბალტიის ზღვის შემაერთებელი არხის მშენებლობას. 1934 წელს გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, სახალხო კომისრად ი. სტალინის ინიციატივით ჰ. იაგოდა დაინიშნა. მისი ინიციატივით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა დაიწყო პატიმართა შრომის მასობრივად გამოყენება და მალე იქცა სამრეწველო იმპერიად. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს დაევალა საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთი რეგიონების ათვისება. ათიათასობით პატიმარი გაგზავნეს უმძიმეს სამუშაოზე. ს. კიროვის მკვლელობის შემდეგ (1934 წლის 1 დეკემბერი) პირადად ხელმძღვანელობდა მასობრივ რეპრესიებს, დაესწრო გ. ზინოვიევისა და ლ. კამენევის დახვრეტას. 1935 წელს მიენიჭა სახელმწიფო უშიშროების გენერალური კომისრის წოდება. 1936 წლის 26 სექტემბერს ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის განადგურებისას არასაკმარისი აქტიურობისათვის ი. სტალინმა*

ჰ. იაგოდა გაათავისუფლა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობიდან და დანიშნა კავშირგაბმულობის სახალხო კომისრად. 1937 წლის 3 აპრილს გაათავისუფლეს სახალხო კომისრის თანამდებობიდან, ხოლო 4 აპრილს დააპატიმრეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულებათა გამო. ჰ. იაგოდას ბრალი დასდეს ვ. მენჟინსკის, მ. გორკისა და მისი შვილის მოწამვლაში. ნ. ეჟოვის მოწამვლის მცდელობაში და სხვ. ჰ. იაგოდას უამრავი მიუტევებელი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, მაგრამ არც ერთი არ გაუხსენეს და მთლიანად ყალბი ბრალდებები წაუყენეს. 1938 წლის 13 მარტს ი

იაკობ აგრანოვი

იაკობ საულის ძე აგრანოვის (1893-1938) წამყვანი სახელი და გვარია იანკელ შმაის ძე სორენსონი. იყო სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, სახელმწიფო უშიშროების პირველი რანგის კომისარი (1935 წ.). დაიბადა მეშჩანის ოჯახში, დაამთავრა ოთხკლასიანი საქალაქო სასწავლებელი. 1912 წელს შეუერთდა რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტიაში, ხოლო 1915 წელს გახდა რსდმპ (ბ) წევრი. პირველ მსოფლიო ომში არ გაუწევიათ აუადმყოფობის გამო, მუშაობდა ბუღალტრად, კანტორის მოხელედ. 1915 წელს დაუპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. 1918 წლის თებერვლიდან იყო რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი. 1919 წლიდან სამუშაოდ გადავიდა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიაში და დაინიშნა განსაკუთრებული განყოფილების საგანგებო რწმუნებულად. მალე გახდა საგანგებო კომისიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი ხელმძღვანელი მუშაკი. მისი მოღვაწეობის სფეროს შეადგენდა ძველი ინტელიგენციისა და ძველი ბოლშევიკებისადმი თვალყურის დევნება. ხელმძღვანელობდა კრონშტადტის აჯანყების (1921 წ.) საქმის ძიებას, ასევე იმ საქმის ძიებას, რომლის შედეგადაც დახვრიტეს ძველი ინტელიგენციის 87 წარმომადგენელი, მათ შორის პოეტი ნ. გუმილიოვი, მანვე გამოიძია ტამბოვის გუბერნიაში გლეხთა აჯანყების საქმე. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა XX საუკუნის 20-იანი წლებისა და 30-იანი წლების დამდეგის ფალსიფიცირებული სასამართლო პროცესები (მემარჯვენე ესერთა პროცესი, სამრეწველო პარტიის პროცესი, მშრომელ გლეხთა პარტიის პროცესი), რომელთა შედეგად სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიესაჯათ ძველი ინტელიგენციის ცნობილ წარმომადგენლებს. ვ. ლენინისა და ფ. ძერჟინსკის დავალებით ი. აგრანოვმა შეადგინა რუსეთიდან გასასახლებელი ძველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა სია (გასახლებულთა შორის იყო ნიკოლოზ ბერდიაევი). 1922-1923 წლებში ხელმძღვანელობდა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ინტელიგენციის ანტისაბჭოთა ელემენტების ადმინისტრაციული გასახლების განსაკუთრებულ ბიუროს. შემდეგ წლებში მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში. ი. აგრანოვის ორგანიზებული იყო ელადიმერ მაიაკოვსკის „თვითმკვლელობა“. იყო ჰ. იაგოდას მეგობარი და ყველა მისი სისხლიანი საქმის თანამონაწილე. 1933-1934 წლებში იყო გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე, 1934-1937 წლებში საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის პირველი მოადგილე — ჰ. იაგოდასა და ნ. ეჟოვის უახლოესი თანამებრძოლი. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში გასაგებდა სახელმწიფო უშიშროების მთავარ სამმართველოს, თუმცა ოფიციალურად ამ უწყების ხელმძღვანელი ჰ. იაგოდა იყო. ს. კიროვის მკვლელობის შემდეგ დროებით დაინიშნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ლენინგრადის სამმართველოს უფროსად და სათავეში ჩაუდგა ს. კიროვის მკვლელობის საქმის გამოძიებას. მისი უშუალო ბრძანებით დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს უამრავი უდანაშაულო ადამიანი. მისივე ბრძანებით ათი დღის განმავლობაში შედგა ლენინგრადიდან გასასახლებელი ადამიანების სია, რომელშიც 11 ათასი კაცი იქნა შეტანილი. ი. აგრანოვი იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი გ. ზინოვიევის, ლ. კამენევის და სხვათა პროცესებისა. 1937 წელს ნ. ეჟოვმა ი. აგრანოვი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატიდან გაათავა, ხოლო იმავე წელს დაუპატიმრებინა კიდეც. 1938 წლის 1 აგვისტოს ანტისაბჭოთა ტერორისტული ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით სიკვდილი მიუსაჯეს და იმავე დღეს დახვრიტეს.

მიხეილ ნიკოლოზის ძე ტუხაჩევსკი (1893-1937) *— ცნობილი საბჭოთა მხედართმთავარი აზნაურის უკანონო შვილი იყო. დაამთავრა ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელი, მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, იყო სემიონოვის გვარდიული პოლკის პორუჩიკი. 1915 წელს ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს, რუსეთში დაბრუნდა 1917 წლის აგვისტოში. 1918 წელს შეუერთდა წითელ არმიაში, გახდა რკკ (ბ) წევრი. 1918-1919 წლებში იყო პირველი არმიის სარდალი, რომელიც აღმოსავლეთ*

ფრონტზე იბრძოდა. 1919 წელს აღმოსავლეთ ფრონტზე დაინიშნა მე-5 არმიის სარდლად, 1920 წელს სარდლობდა კავკასიის, ხოლო 1920-1921 წლებში დასავლეთის ფრონტს. 1921 წელს მე–7 არმიის ძალებით სისხლში ჩახშო კრონშტადტის აჯანყება. 1921 წელს როგორც დამსჯელი ექსპედიციის გამოცდილი ხელმძღვანელი გლეხთა აჯანყების ჩასახშობად გაგზავნა ტამბოვის გუბერნიაში. აჯანყების ჩახშობის პროცესში დახვრიტა უამრავი ადამიანი, სიკვდილით დასაჯა მძევლები, გადაწვა უამრავი სოფელი, აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ მომწამლავი გაზიც კი გამოიყენა. დაპატიმრებული აჯანყებულები და მათთან ერთად სრულიად უდანაშაულო ადამიანებიც მის მიერ შექმნილ საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნა. 1921-1922 წლებში იყო წითელი არმიის სამხედრო აკადემიის უფროსი, 1922-1924 წლებში დასავლეთის ფრონტის სარდალი, 1925-1928 წლებში – წითელი არმიის შტაბის უფროსი, 1928-1931 წლებში – ლენინგრადის სამხედრო ოლქის სარდალი. 1931 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ, სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარედ და წითელი არმიის შეიარაღების უფროსად. 1934 წელს გახდა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე, 1936 წელს – პირველი მოადგილე, 1937 წლის 11 მაისს დაექვემდებარა და დანიშნეს ეოლგისპირეთის სამხედრო ოლქის სარდლად. 1937 წლის 13 მაისს შეხვდა ი. სტალინს, რომელმაც დაარწმუნა, რომ მისი დაქვემდებარებითი იყო. 11 დღის შემდეგ დააპატიმრეს და ბრალად დასდეს წითელ არმიაში ფაშისტური შეთქმულების ორგანიზება. დაკითხვის დროს აწამეს და დასახელებინეს „თანამზრახველები" – ცნობილი სამხედრო მოღვაწეები. 1937 წლის 11 ივნისს საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სგანგებო სხდომამ ვ. ულრიხის თავმჯდომარეობით (წევრები: მარშალი ვ. ბლიუხერი, მარშალი ს. ბუდიონი, არმიის სარდლები: ი. ბელოვი, ბ. შაპოშნიკოვი, ი. ალექსინი, ჰ. დიბენკო, ნ. კაშირინი, დივიზიის მეთაური ე. გორიაჩევი) მ. ტუხაჩევსკი სიკვდილით დასაჯა. გერმანიის დაზვერვამ შეთხზა საქმე მ. ტუხაჩევსკის უცხო ქვეყნების დაზვერვასთან თანამშრომლობისა და მის მიერ სამხედრო გადატრიალების მზადების შესახებ. ეს საქმე ჩეხოსლოვაკიის მთავრობის მეშვეობით საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს გადაეცა. უცნობი მიზეზების გამო გერმანიის დაზვერვის მიერ შეთხზული მასალები ძიებასა და სასამართლოს არ გამოუყენებია. მ. ტუხაჩევსკი დახვრიტეს 1937 წლის 12 ივნისს. 1957 წლიდან რეაბილიტირებულია.

30-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიები ხშირად ი. სტალინის სახელს უკავშირდება, რაც სწორი არაა. **პოლიტიკური რეპრესიები განპირობებული იყო არა ი. სტალინის მისწრაფებებით, არამედ პოლიტიკური სისტემის ბუნებით.** ი. სტალინს რომ ოპოზიციასთან ბრძოლაში ხელისუფლება დაეკარგა, მაშინ პოლიტიკურ რეპრესიებს გამარჯვებული ოპოზიცია (ლ. ტროცკი, გ. ზინოვიევი, ლ. კამენევი, ნ. ბუხარინი და სხვები) მიმართავდა. **რეპრესიების გარეშე კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტია ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებდა.**

თავი XIII. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა 1921-1937 წლებში

საგარეო პოლიტიკის პრინციპები, რომელიც საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ შეიმუშავა, უცვლელი დარჩა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შემდეგაც.

§ 1. **დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ევროპისა და აზიის ქვეყნებთან.** პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამ და ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლამ ინგლისსა და საფრანგეთს ხელსაყრელი მდგომარეობა შეუქმნა. ინგლისთან და საფრანგეთთან ერთად ევროპის კონტინენტზე უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაში სულ უფრო დიდ როლს ასრულებდა ამერიკის შეერთებული შტატები. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ახალი ძალით გაჩაღდა ბრძოლა გავლენის სფეროებისათვის — გასაღების ბაზრებისა და ნედლეულის წყაროებისათვის.

ბოლშევიკების გამარჯვებამ სამოქალაქო ომში და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის **კრახმა დასავლეთის ქვეყნები აიძულა შეგუებოდნენ საბჭოთა რუსეთის არსებობას.** დასავლეთის დიპლომატიამ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაზე დაიწყო ფიქრი. ომისაგან დანგრეული დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკის აღდგენა ძალზე გართულდებოდა რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის, რუსეთის ბაზრისა და ნედლეულის გარეშე. ცხადია, დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ეკონომიკური დახმარების მიღება ამერიკის შეერთებული შტატებიდანაც შეეძლოთ, მაგრამ ეს ამერიკას ხელსაყრელ პირობებს შეუქმნიდა დასავლეთ ევროპაში თავისი პოლიტიკური გავლენის გაძლიერებისათვის. სწორედ ამიტომ დასავლეთ ევროპის ქვეყნები იწყებენ რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გზების ძიებას.

ინგლისი ერთგული დარჩა ტრადიციული საგარეოპოლიტიკური დოქტრინისა — მსოფლიო ჰეგემონიის მიღწევა ცალკეულ რეგიონებში ვაჭრობის ხელში ჩაგდების გზით. 1920 წლის თებერვალში თემთა პალატაში გამოსვლისას **ლოიდ-ჯორჯმა** განაცხადა: „ჩვენ ვერ მივაღწიეთ რუსეთის ძალის გამოყენებით აღდგენას. მე მწამს, რომ ჩვენ ამას შევძლებთ ვაჭრობით. უბრალო ციფრები, რომელიც ვაჭრობით მიღებულ შემოსავალსა და მოგებას გამოსატავს, ველური თეორიების სწრაფი მკურნალია“. 1921 წლის 16 მარტს დაიდო **რუსეთ-ინგლისის** სავაჭრო ხელშეკრულება. ინგლისი და რუსეთი ვალდებულებას იღებდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ არ ეწარმოებინათ მტრული პროპაგანდა, მონაწილეობა არ მიეღოთ საზიანო ეკონომიკურ ბლოკადებში, არ შემოეღოთ საზიანო სავაჭრო წესები. ხელშეკრულება ითვალისწინებდა მოსკოვში ინგლისის, ხოლო ლონდონში საბჭოთა რუსეთის სავაჭრო წარმომადგენლის (აგენტის) დანიშვნას. სავაჭრო წარმომადგენელის ფუნქციები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სავაჭრო-ეკონომიკური საკითხებით, იგი ფაქტობრივად, დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშნულებას ასრულებდა.

1922 წლის 10 აპრილს ქალაქ **გენუაში** (იტალია) გაიხსნა ეკონომიკური საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციაში 34 ქვეყანა მონაწილეობდა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა არ მიიღო. ინგლისის ინიციატივით საბჭოთა რუსეთი ოფიციალურად მიიწვიეს კონფერენციაზე. დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა რუსეთს შემდეგი მოთხოვნები წაუყენეს: 1) საბჭოთა რუსეთის მთავრობას უნდა გადაეხადა რუსეთის იმპერიის მთავრობისა და რუსეთის დროებითი მთავრობის ვალები პროცენტითურთ; 2) დასავლეთ ევროპის ქვეყნები მზად იყვნენ საბჭოთა რუსეთისათვის შეემცირებინათ პირველი მსოფლიო ომის წლებში რუსეთის იმპერიის მთავრობის მიერ აღებული ვალი; 3) უცხოეთის ქვეშევრდომებისათვის საბჭოთა ხელისუფლების მიერ ნაციონალიზებული ქარხნების დაბრუნება; 4) საბჭოთა რუსეთის მთავრობას უარი უნდა ეთქვა იმ ზარალის ანაზღაურებაზე, რომელიც ქვეყანას უცხოელმა ინტერვენტებმა მიაყენეს. საბჭოთა რუსეთის დელეგაციის მეთაური, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი **გიორგი ჩიჩერინი** მზად იყო მიეღო ეს მოთხოვნები, თუკი დასავლეთის ქვეყნები სესხს მისცემდნენ რუსეთს. გ. ჩიჩერინი ასევე ცდილობდა შეთანხმების მიღწევას ინგლისისა და სხვა ქვეყნების საკონცესიო საწარმოების ამოქმედების თაობაზე. ვ. ლენინმა არ მიიღო დასავლეთის სახელმწიფოთა მოთხოვნები და გ. ჩიჩერინს კატეგორიული ფორმით მოსთხოვა მტკიცე პოზიციის დაკავება. ვ. ლენინი დიდ რისკზე მიდიოდა. **თუ გენუაში პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნები (ინგლისი, საფრანგეთი და სხვ.) და დამარცხებული გერმა-**

ნია მორიგდებოდნენ, საბჭოთა რუსეთი აბსოლუტურ დიპლომატიურ იზოლაციაში აღმოჩნდებოდა. საბჭოთა რუსეთის დიპლომატიამ ისარგებლა გერმანიის დაპირისპირებით ინგლის-საფრანგეთთან. 1922 წლის 16 აპრილს ქალაქ **რაპალოში** დაიდო **რუსეთ-გერმანიის** ხელშეკრულება. ხელშეკრულების ძალით რუსეთსა და გერმანიას შორის მყარდებოდა დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა. ხელშეკრულების დამდები მხარეები უარს ამბობდნენ ურთიერთ-პრეტენზიებზე, რომელიც დაკავშირებული იყო ძველ ვალებთან და სხვ.

გიორგი ჩიჩერინი

გიორგი ვასილის ძე ჩიჩერინი (1872-1936) — საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, მუშაობდა რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1904 წლიდან ემიგრაციაში, ცხოვრობდა გერმანიაში. 1905 წელს შეეიდა რსდმპ რიგებში და მიემხრო მენშევიკებს. ფინანსურად ეხმარებოდა პარტიას (დედისაგან მემკვიდრეობით მიიღო დიდი ქონება). 1908 წელს ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის გაასახლეს გერმანიიდან, ცხოვრობდა ჯერ საფრანგეთში, შემდეგ ინგლისში. ლონდონში თანამშრომლობდა ინგლისის სოციალისტურ პარტიასთან. 1917 წელს მუშაობდა იმ კომისიაში, რომელიც რუსეთში პოლიტიკურ ემიგრანტთა დაბრუნების მიზნით შეიქმნა. 1917 წელს ინგლისის ხელისუფლებამ დააპატიმრა და საყრობილეში ჩასვა. 1918 წლის იანვარში ინგლისის მთავრობამ გ. ჩიჩერინი რუსეთში მყოფ ინგლისის ელჩში-დ. ბიუკენენში გაცვალა. 1918 წლის 29 იანვარს გ. ჩიჩერინი დაინიშნა საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად და 24 თებერვლიდან შეიყვანეს ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაზე მიწვეულად დელეგაციაში. 1918 წლის 3 მარტს გ. სოკოლნიკოვთან, ნ. კრილენკოსთან და ლ. კარახანთან ერთად ხელი მოაწერა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებას. 1918 წლის 30 მაისს გ. ჩიჩერინმა ლ. ტროცკი შეცვალა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობაზე. დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური იზოლაციიდან გამოყვანის საქმეში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაიდო ხელშეკრულებები ირანთან, თურქეთთან და აღანეთთან. გ. ჩიჩერინი დაუპირისპირდა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის მიერ დაწყებულ რეპრესიების კურსს, განსაკუთრებით აპროტესტებდა უცხოეთის ქვეშევრდომების დაპატიმრების ფაქტებს. ხელმძღვანელობდა საბჭოთა დელეგაციას გენუისა (1922 წ.) და ლოზანის (1922-1923 წწ.) საერთაშორისო კონფერენციებზე. 1923 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის პირველ საგარეო საქმეთა კომისრად. 20-იანი წლების ბოლოდან დასნეულდა, 1928 წლიდან ფაქტობრივად ვეღარ ასრულებდა სახალხო კომისრის მოვალეობას. 1930 წლიდან პენსიაზე გავიდა.

გ. ჩიჩერინი თავის პოლიტიკურ ანდერძში აღნიშნავდა, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ნორმალურ მუშაობას ხელს უშლიდა სკკ (ბ) კადრების მუდმივი წმენდა, ათასგვარი საზოგადოებრივი სამუშაო, ჭორები, ერთმანეთისათვის ძირის გამოთხრა და დასმენები.

გენუის კონფერენციის მონაწილე ქვეყნებმა გერმანია „**საერთო საქმის ღალატში**“ დაადანაშაულეს. პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის გარდა რუსეთი და გერმანია ესწრაფოდნენ სამხედრო თანამშრომლობის გაფართოებას. რუსეთსა და გერმანიას შორის სამხედრო თანამშრომლობის პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ 1920 წელს გადადგა. გერმანიის არმიის მთავარსარდალ გენერალ **ფონ სეტტსა** და რუსეთის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ტროცკის** შორის მიღწეულ იქნა საიდუმლო შეთანხმება. ამის შემდეგ 1921-1923 წლებში მოსკოვსა და ბერლინში კიდევ გაიმართა რამდენიმე საიდუმლო შეხვედრა. მიღწეული შეთანხმების შედეგად 1924-1926 წლებში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ამოქმედდა **გერმანიის არმიის მოსამზადებელი სამხედრო ცენტრები** (ასეთი ცენტრების შექმნა საკუთრივ გერმანიის ტერიტორიაზე ვერსალის ხელშეკრულებით იკრძალებოდა). ქალაქ **ლიპეცკთან** შეიქმნა საზაფხულო სამხედრო სკოლა, ქალაქ **ყაზანთან** — სატანკო სკოლა, ქალაქ **სარატოვთან** —

ქიმიური თავდაცვის სკოლა. რუსეთ-გერმანიის ურთიერთობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა სამხედრო მრეწველობის სფეროში თანამშრომლობას. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ერთობლივი ან საკონცესიო საწარმოების ნიშნით მოქმედებდა ქარხნები, რომლებიც გერმანიის სამხედრო შეკვეთებს ასრულებდა (მოსკოვის ახლოს მოქმედებდა საავიაციო ქარხანა, სამარის ახლოს — მომწამლავი ქიმიური ნივთიერებების დამამზადებელი ქარხანა). ყოველივე ამის სანაცვლოდ გერმანელი მეცნიერები და სამხედრო მრეწველობის სპეციალისტები საბჭოთა მხარეს აცნობდნენ ტექნოლოგიურ სიახლეებსა და სხვა მიღწევებს. **ადოლფ ჰიტლერის** ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ (1933 წ.) **იოსებ სტალინის** ინიციატივით საბჭოთა კავშირ-გერმანიის სამხედრო თანამშრომლობა შეფერხდა, თუმცა არ შეწყვეტილა.

ეკონომიკური საკითხების განხილვა გაგრძელდა **ჰააგის** საერთაშორისო კონფერენციაზე (1922 წლის ივნის-ივლისი). საბჭოთა დელეგაცია დათანხმდა პირველი მსოფლიო ომის წინანდელი ვალების ნაწილობრივ გადახდას, ასევე უცხოეთის ქვეშევრდომებისათვის საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩამორთმეული ქონების სხვადასხვა გზებით დაბრუნებას იმ შემთხვევაში, თუ ევროპის ქვეყნები დიდ სესხს მისცემდნენ საბჭოთა კავშირს. ევროპის ქვეყნებს შორის განხეთქილების ჩამოგდების მიზნით საბჭოთა კავშირის მთავრობამ გამოაქვეყნა იმ საწარმოების სია, რომელთა კონცესიით გაცემას აპირებდა. ამ მანევრმა შედეგი არ მოიტანა. ჰაგის კონფერენციის მონაწილე ქვეყნებმა დადეს შეთანხმება, რომლის ძალითაც რუსეთთან სეპარატიული საკონცესიო ხელშეკრულების დადება იკრძალებოდა.

მიუხედავად ჰაგის კონფერენციაზე განცდილი მარცხისა, საბჭოთა კავშირის დიპლომატია კარგად იყენებდა შექმნილ ვითარებას, კერძოდ, ინგლისისა და საფრანგეთის მისწრაფებას სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა დაემყარებინა საბჭოთა კავშირთან. 1924 წლის 1 თებერვალს **ინგლისმა,** ხოლო 24 ოქტომბერს **საფრანგეთმა** ოფიციალური ნოტით **დე იურე** ცნეს საბჭოთა კავშირის მთავრობა **„რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიაზე, რომელიც სცნობდა მის ხელისუფლებას“.** 1924 წელს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა **იტალიამ, ავსტრიამ, ნორვეგიამ, შვეციამ, დანიამ** და **საბერძნეთმა.**

1924 წელსვე დაიდო **ინგლის-საბჭოთა კავშირის** ხელშეკრულება, მაგრამ მისი რატიფიკაცია ინგლისის პარლამენტმა არ მოახდინა. ეს იყო ნიშანი ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის დაძაბვისა. 1927 წლის მაისში ინგლისმა დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა საბჭოთა კავშირთან, იმავე დროს ძალადაკარგულად გამოაცხადა 1921 წლის სავაჭრო ხელშეკრულება. მიუხედავად ამისა, ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობა გრძელდებოდა, რადგან ინგლისის ეკონომიკა საბჭოთა კავშირიდან შემოტანილი ნედლეულის გარეშე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

1925 წლის 20 იანვარს ხელმოწერილ იქნა **საბჭოთა კავშირ-იაპონიის** კონვენცია დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობის დამყარების შესახებ. კონვენცია არ ეხებოდა საბჭოთა კავშირ-იაპონიის საზღვრების გამიჯვნას, მათ შორის არც სამხრეთ სახალინის საკითხს, რომელიც იაპონიამ პორტსმუთის ზავით (1905 წ.) მიიღო. საბჭოთა კავშირისა და იაპონიის დაახლოებამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის დიდი ქვეყნების შეშფოთება გამოიწვია.

1924 წლის 31 მაისს ხელმოწერილ იქნა **საბჭოთა კავშირ-ჩინეთის** შეთანხმება ურთიერთობის მოგვარების პრინციპებისა და დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ. საბჭოთა კავშირმა უარი თქვა ყველა იმ ხელშეკრულებაზე, რომელიც რუსეთის იმპერიას დადებული ჰქონდა ჩინეთთან და რომელიც ლახავდა ჩინეთის სუვერენიტეტს. საბჭოთა კავშირი ასევე უარს ამბობდა იმ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებზე, რომელიც რუსეთს სხვა ქვეყანასთან (ან ქვეყნებთან) ჰქონდა დადებული და ვნებდა ჩინეთს. საბჭოთა კავშირი ვალდებულებას იღებდა მონღოლეთიდან გამოეყვანა თავისი ჯარები (10 ათასი კაცი), რომელიც იქ 1921 წლიდან იმყოფებოდა. საბჭოთა კავშირ-ჩინეთის შეთანხმება **აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზას** განიხილავდა როგორც კომერციულ საწარმოს, რომლის გამოსყიდვის უფლება ჩინეთს გადაეცა.

20-იანი წლების შუა ხანებში ჩინეთში შიდაპოლიტიკური ვითარება უკიდურესად დაიძაბა. კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელობამ ჩინეთში რევოლუციის დაწყება დაგეგმა. ამ პერიოდისათვის ჩინეთში ძლიერ ძალას წარმოადგენდა **სახალხო ფრონტი (გომინდანი),** რომელსაც სათავეში **ჩან კაიში** ედგა. კომინტერნმა ჩინეთის კომპარტიას

გომინდანში გაერთიანების მითითება მისცა, რათა ამ გზით გომინდანი კომუნისტური ორიენტაციის ორგანიზაციად ექცია. ჩან კაიშიმ კომინტერნის გეგმები ამოიცნო და 1927 წლის აპრილში კომუნისტურ პარტიასთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა. 1927 წლის 6 აპრილს ჩინეთის პოლიციამ **ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, იაპონიის, საფრანგეთისა** და სხვა ქვეყნების წინასწარი თანხმობის მიღების შემდეგ დაარბია საბჭოთა კავშირის საელჩო. საელჩოში აღმოჩნდა 3 ათასზე მეტი საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც ცხადყოფდა, თუ როგორ ემზადებოდნენ კომუნისტური ინტერნაციონალი და საბჭოთა კავშირი ჩინეთში საბჭოთა წყობილების დამყარებისათვის. ჩინეთში სამოქალაქო ომის გაჩაღების მცდელობის საიდუმლო გეგმის გამომჟღავნებამ ძალზე დასცა საბჭოთა კავშირისა და კომინტერნის ავტორიტეტი. 1929 წლის ივლისში **ჩან კაიშიმ** საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა. ჩან კაიშის თქმით, საბჭოთა კავშირი „**წითელ იმპერიალიზმს**" განასახიერებდა, რომელიც „**თეთრ იმპერიალიზმზე**" უფრო საშიში იყო. საბჭოთა კავშირი ჩინეთის წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენციის მზადებას შეუდგა. 1929 წლის 6 აგვისტოს შორეულ აღმოსავლეთში განლაგებული საბჭოთა ჯარები შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიაში გაერთიანდა, რომლის სარდლადაც **ვასილი ბლიუხერი** დაინიშნა. მანჯურიაში განლაგებულმა ჩინეთის ჯარებმა ვ. ბლიუხერის არმიის შეტევას ვერ გაუძლეს. 1929 წლის 22 დეკემბერს **ხარბინში** ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ოქმი. ოქმის ძალით აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზაზე აღდგა ის მდგომარეობა, რომელიც კონფლიქტამდე არსებობდა.

1931 წელს **იაპონიამ** დაიპყრო ჩრდილოაღმოსავლეთ ჩინეთი (მანჯურია). ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა, ფაქტობრივად, არაფერი გააკეთეს ჩინეთის დასაცავად, თუმცა არც იაპონიისათვის დაუჭერიათ მხარი. ჩინეთმა იგრძნო, რომ დიპლომატიურ იზოლაციაში აღმოჩნდა და იძულებული გახდა, 1932 წლის დეკემბერში, საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა აღედგინა. 1934 წელს **ჩან კაიშიმ** სცადა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის მოგვარება. ამ პროცესს ხელს უშლიდა გომინდანსა და ჩინეთის კომუნისტურ პარტიას შორის არსებული მტრული ურთიერთობა. 1935-1936

ვასილი ბლიუხერი

წლებში გომინდანსა და საბჭოთა კავშირს შორის მიმდინარე მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო. საბჭოთა მხარემ უარი განაცხადა განეხილა ჩინეთის შიდაპოლიტიკური ვითარება, ხოლო გომინდანს ურჩია, მოეგვარებინა ურთიერთობა ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან.

ჩინეთი ცდილობდა იაპონიასთან მოსალოდნელ ომში საბჭოთა კავშირის მხრიდან დახმარების გარანტია მიეღო, იაპონიას კი ამის დაშვება არ სურდა. 1937 წლის აპრილში დაწყებული **ჩინეთ-იაპონიის** მოლაპარაკება გაჭიანურდა. იაპონიამ დასწრება არჩია და 1937 წლის 7 ივლისს ჩინეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო. იაპონიის მიერ ჩინეთის დაპყრობა დიდ საფრთხეს უქმნიდა საბჭოთა კავშირს.

1937 წლის 21 აგვისტოს ხელმოწერილ იქნა **საბჭოთა კავშირ-ჩინეთის** ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ. 1938 წელს საბჭოთა კავშირმა და ჩინეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას იმ კრედიტის რეალიზების შესახებ, რომელიც საბჭოთა კავშირმა ჩინეთს გამოუყო (კრედიტის რაოდენობა 50 მილიონ ამერიკულ დოლარს უდრიდა). მომდევნო ორი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის კიდევ ორი ხელშეკრულება დაიდო, რომლის ძალითაც ჩინეთმა კიდევ უფრო დიდი (200 მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულების) კრედიტი მიიღო საბ-

ჭოთა კავშირისაგან. საბჭოთა კავშირმა ჩინეთს გადასცა 1235 თვითმფრინავი, 1600 ქვემეხი, 14 ათასზე მეტი ტყვიამფრქვევი, დიდი რაოდენობით სატვირთო მანქანა, ბენზინი და საბრძოლო საჭურველი. 1939 წლის დამდეგისათვის ჩინეთში 3665 საბჭოთა სამხედრო სპეციალისტი იმყოფებოდა.

ჩინეთში საბჭოთა კავშირისა და იაპონიის დაპირისპირება სულ უფრო მწვავდებოდა.

§ 2. **საბჭოთა დიპლომატია XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარსა და 30-იანი წლების პირველ ნახევარში.**

1925 წელს ბელგიამ, ინგლისმა, გერმანიამ, იტალიამ, პოლონეთმა, საფრანგეთმა და ჩეხოსლოვაკიამ დადეს ე.წ. **რაინის პაქტი**, რომელიც გერმანიას დასავლეთის საზღვრების ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევდა. იმავდროულად პაქტი არ ეხებოდა გერმანიის აღმოსავლეთის საზღვრებს. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ რაინის პაქტი შეაფასა როგორც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დასავლეთის ქვეყნების ერთიანი ფრონტის შექმნა.

რაინის პაქტმა საბჭოთა დიპლომატია აიძულა მეზობელი ქვეყნებისაგან **თავდაუსხმელობის გარანტიის** მიღებაზე ეზრუნა. საბჭოთა კავშირისათვის აუცილებელი იყო მეზობელ ქვეყნებთან ისეთი ხელშეკრულება დადო, რომელიც, იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირი მესამე მხარესთან ომში ჩაებმებოდა, ამ ქვეყნებისაგან ნეიტრალიტეტის დაცვის გარანტიას მისცემდა ქვეყანას. პირველი ასეთი ხელშეკრულება 1925 წლის 17 დეკემბერს საბჭოთა კავშირმა **თურქეთთან** დადო. 1925-1932 წლებში მსგავსი ხელშეკრულებები დაიდო **ავღანეთთან, ლიტვასთან, ირანთან, ლატვიასთან, ესტონეთთან, პოლონეთთან, ფინეთთან** და **საფრანგეთთან**. პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებაში საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ პოლონეთს მონაწილეობა არ უნდა მიეღო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შექმნილ სამხედრო ბლოკებში.

1926 წლის 24 აპრილს გაფორმდა **საბჭოთა კავშირ-გერმანიის** ხელშეკრულება, რომელმაც დაადასტურა **რაპალოს** (1922 წ.) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი.

1928 წლის 6 სექტემბერს საბჭოთა კავშირი შეუერთდა ომზე უარის თქმის შესახებ **პარიზის პაქტს**. 1933 წელს საბჭოთა კავშირმა კონვენციები დადო **ესტონეთთან, ლატვიასთან, პოლონეთთან, რუმინეთთან, თურქეთთან, ირანსა** და **ავღანეთთან**. კონვენციებში ზუსტად იყო განსაზღვრული, თუ რა უნდა ჩათვლილიყო აგრესიად და როგორ უნდა ემოქმედათ კონვენციის დამდებ მხარეებს აგრესიის შემთხვევაში.

1934 წლის 18 სექტემბერს საბჭოთა კავშირი 30 ქვეყნის ინიციატივით **ერთა ლიგაში** მიიღეს. ამ პერიოდისათვის ერთა ლიგის როლი დაკნინებული იყო ამ ორგანიზაციიდან **გერმანიისა** და **იაპონიის** გასვლის გამო.

საბჭოთა დიპლომატიის წარმატებად უნდა ჩაითვალოს 1935 წლის 2 მაისს დადებული **საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის** ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ. 1935 წლის 16 მაისს ასეთივე ხელშეკრულება დაიდო **ჩეხოსლოვაკიასთან**.

XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებისათვის ევროპაში ვითარება სულ უფრო იძაბებოდა. მოვლენები საბჭოთა კავშირისათვის საშიშ ხასიათს იღებდა. 1933 წლის 15 ივნისს **ბენიტო მუსოლინის** ინიციატივით **ინგლისმა, საფრანგეთმა, გერმანიამ** და **იტალიამ** ხელი მოაწერეს **„ოთხთა პაქტს“**. პაქტის რატიფიკაცია არ შედგა ინგლისისა და საფრანგეთის პარლამენტებში მისი სასტიკი კრიტიკის გამო.

საერთაშორისო ურთიერთობები კიდევ უფრო დაძაბა 1933 წლის ოქტომბერში ერთა ლიგიდან გერმანიის გასვლამ. **ერთა ლიგიდან გასვლით გერმანიამ ცხადად მიანიშნა, რომ არ აპირებდა საერთაშორისო ხელშეკრულებების დაცვას**. საბჭოთა კავშირისათვის მიუღებელი იყო 1934 წლის იანვარში დადებული **გერმანია-პოლონეთის** თავდაუსხმელობის ხელშეკრულება.

1935 წელს ინგლისსა და გერმანიას შორის ხელშეკრულების დადების მიზნით მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. 1935 წლის 21 მაისს რეიხსტაგში გამოსვლისას **ადოლფ ჰიტლერი** მომავალი ხელშეკრულების არსს ასე განმარტავდა: „თავისუფალი მოქმედების უფლება ინგლისს ზღვებზე და ოკეანის იქეთა ქვეყნებში, თავისუფალი მოქმედების უფლება გერმანიას კონტინენტზე (ე.ი. ევროპაში — ავტ.) და აღმოსავლეთში ექსპანსიისას“. 1935 წლის 18 ივნისს ხელი მოაწერეს **ინგლის-გერმანიის** საზღვაო შეთანხმებას, რომლის ძალითაც გერმანიას უფლება მიეცა სამხედრო-საზღვაო ძალები გაეზარდა.

1936 წლის 7 მარტს გერმანიამ ჯარები შეიყვანა **რაინის დემილიტარიზებულ ზონაში** (რაინის ზონა დემილიტარიზებულად იყო გამოცხადებული ვერსალისა და ლოკარნოს ხელშეკრულებებით). 1938 წლის 13 მარტს

გერმანიამ ავსტრიის ანშლუსის (შეერთების) შესახებ კანონი მიიღო. ავსტრიის ანშლუსი ცნეს ინგლისმა და საფრანგეთმა.

საბჭოთა დიპლომატიის მნიშვნელოვან წარმატებად უნდა მივიჩნიოთ 1933 წლის 16 ნოემბერს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის. ამის შემდეგ ორი დიდი ქვეყნის ურთიერთობას იმ ვალის საკითხიღა ძაბავდა, რომელიც რუსეთის დროებითმა მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან აიღო. 1933 წელს ვალის საკითხი ვერ გადაიჭრა. გადაუჭრელი დარჩა იგი 1938 წელსაც, როცა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი მოსკოვში ჯ. დევისი საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ვ. მოლოტოვს შეხვდა (ამ შეხვედრას ი. სტალინიც ესწრებოდა). დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მიუხედავად საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები საერთაშორისო ასპარეზზე ერთი ფრონტით არ გამოსულან.

§ 3. კომუნისტური ინტერნაციონალის სტრატეგია XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსა და 30-ან წლებში.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XV კრებაზე (1927 წ.) გადაწყდა: აუცილებელი იყო საბჭოთა კავშირის გაძლიერება „როგორც მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის კერისა". კომუნისტური ინტერნაციონალის VI კონგრესმა (1928 წ.) მსოფლიო ბურჟუაზიული ქვეყნების უმთავრეს მიზნად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლა მიიჩნია. ლ. ტროცკი შეუძლებლად მიიჩნევდა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენებას, რის გამოც მოითხოვდა კომუნისტური ინტერნაციონალის VI კონგრესს მხარი დაეჭირა მსოფლიო რევოლუციის იდეისათვის. კონგრესის მიერ მიღებულ თეზისებში აღნიშნული იყო: „კაპიტალიზმი უახლეს ისტორიაში ომების მიზეზია".

იოსებ სტალინი კარგად ხედავდა, რომ კომუნისტურ ინტერნაციონალში ლ. ტროცკისა და ოპოზიციონერებს საკმაო მომხრეები ჰყავდათ. 1929 წელს ი. სტალინმა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტიდან ნ. ბუხარინის გაძევებას მიაღწია. კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის XI პლენუმმა (1929 წ.) მიიღო ი. სტალინისეული ფორმულირება რევოლუციისა და ომების ახალი ეტაპის მომწიფების შესახებ. აქედან გამომდინარეობდა კომუნისტური ინტერნაციონალის სტრატეგია: მზადება რევოლუციისათვის, რომელიც დაამხობდა ბურჟუაზიის ხელისუფლებას როგორც ფაშისტური დიქტატურის, ისე პარლამენტური მმართველობის სახით.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი გადაჭარბებულად აფასებდა ცალკეულ ქვეყნებში კომუნისტური და მემარცხენე პარტიების ძალებს. კომინტერნის აღმასკომში ასევე გადაჭარბებული მნიშვნელობა მიანიჭეს 1932 წლის 6 ნოემბრის გერმანიის რაიხსტაგის (პარლამენტის) არჩევნებში გერმანიის კომუნისტური პარტიის წარმატებას. გერმანელ კომუნისტთა წარმატება ფაშიზმის დასუსტებად მიიჩნიეს, რასაც გერმანიაში რევოლუციის დაწყება უნდა მოჰყოლოდა. ეს იყო აბსოლუტურად მცდარი შეფასება.

გერმანიის გარდა ფაშიზმი ძლიერდებოდა საფრანგეთში, ავსტრიაში, საბერძნეთში, ესპანეთში. ასეთ ვითარებაში კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესმა (1935 წ.) ანტიფაშისტური სახალხო ფრონტის შექმნის იდეა წამოაყენა.

30-იანი წლების დასასრულს იოსებ სტალინი აღარ მალავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას კომინტერნისადმი. 1937 წლის თებერვალში ი. სტალინმა კომინტერნის აღმასკომის თავმჯდომარეს, ბულგარელ კომუნისტ გ. დიმიტროვს პირდაპირ განუცხადა: „თქვენ ყველანი, კომინტერნში, მტრის სასარგებლოდ მუშაობთ". კომუნისტურ ინტერნაციონალს დიდი რეპრესიები დაატყდა თავს. დაუპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს კომინტერნის ცნობილი მოღვაწეები: გ. ზინოვიევი, ნ. ბუხარინი, ი. უნშლიხტი, ვ. ოსინსკი, ხ. რაკოვსკი, გ. კლინგერი, გ. ებერლეინი, ფ. პლატენი, კ. რადეკი, მ. ბოროდინი, ბ. კუნი და სხვები.

1940 წლის აგვისტოში მექსიკაში ესპანელმა კომუნისტმა რამონ მერკადერმა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და პირადად ი. სტალინის დაკვეთით მოკლა ლევ ტროცკი. ამით ი. სტალინმა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას და კომინტერნში შემავალ კომუნისტურ და მემარცხენე პარტიებს მისადმი სრული მორჩილებისაკენ მოუწოდა.

რამონ მერკადერი (1913-1978) იგივე რიო დელ მერკადერი, იგივე რამონ ივანეს ძე ლოპეზი იყო საბჭოთა კავშირის მინგან საქმეთა სახალხო კომისარიატის აგენტი, 1960 წელს მანიფეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. იყო ესპანეთის კომუნისტური პარტიის წევრი, საბჭოთა დაზვერვამ გადიმირა დელმინსის, მარია კარიდიდის მეშვეობით,

რომელიც ასევე საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის აგენტი იყო. ლ. ტროცკის მკვლელობა მოამზადა უშიშროების სამსახურის გენერალ-მაიორის ნაუმ ეიტინგონის ხელმძღვანელობით. რ. მერკადერი დაუახლოვდა ლ. ტროცკის მდივანს, ჟაკ მორნარის სახელით შეძლო ლ. ტროცკის ვილაში შეღწევა და 1940 წლის 20 აგვისტოს თაეის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა მას. რ. მერკადერი დააპატიმრეს და მექსიკის სასამართლომ 20 წლის ვადით პატიმრობა მიუსაჯა. სასჯელი მთლიანად მოიხადა. ცოცხალ გათავისუფლების შემდეგ 1960 წელს „დაიყვანეს კუბაზე, საიდანაც ჩაიყვანეს საბჭოთა კავშირში. 70-იანი წლების შუა ხანებში ისევ კუბაზე დაბრუნდა, სადაც გარდაიცვალა 1975 წელს. დაკრძალულია ჰავანაში სხვისი გვარით, კუნცო�b სასფლაოზე.

* * *

რამონ მერკადერი

მსოფლიო რევოლუციის მომლოდინე საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა დიდი იმედებით შეხვდა ესპანეთში **სახალხო ფრონტის** გამარჯვებას 1936 წლის თებერვალში გამართულ არჩევნებში. არჩევნებში ესპანეთის სახალხო ფრონტის გამარჯვებას გენერალ **ფრანცისკო ფრანკოს** მეთაურობით მემარჯვენე ძალების აჯანყების დაწყება მოყვა. ესპანეთში სამოქალაქო ომი გაჩაღდა. გერმანიამ და იტალიამ გენერალ ფ. ფრანკოს დახმარება აღმოუჩინეს. 1936 წლის შემოდგომისათვის ესპანეთში ფ. ფრანკოს მხარეზე იბრძოდა 10 ათასი გერმანელი სამხედრო და 50 ათასი იტალიელი.

1936 წლის 5 აგვისტოს საფრანგეთის მთავრობამ ინგლისის, გერმანიის, იტალიისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებს დაუგზავნა შეთანხმების პროექტი **ესპანეთის შინაურ საქმეებში ჩაურევლობის შესახებ**. ყველა ქვეყანა დაეთანხმა საფრანგეთის ინიციატივას. თანხმობის მიუხედავად, გერმანია და იტალია აჭიანურებდნენ შეთანხმების ხელმოწერას, რათა დრო მოეგოთ და გენერალ ფ. ფრანკოსათვის რესპუბლიკურ ძალებზე გამარჯვების საშუალება მიეცათ. 1936 წლის აგვისტოში ევროპის უმრავლესმა ქვეყნებმა ესპანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერეს. თუმცა **გერმანია, იტალია** და **საბჭოთა კავშირი** ამის შემდეგაც აგრძელებდნენ ესპანეთის საშინაო საქმეებით დაინტერესებას.

საბჭოთა კავშირი ესპანეთს კომერციულ საწყისებზე აწედიდა შეიარაღებასა და საბრძოლო მასალას. 1936 წელს ესპანეთიდან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკში გადაიტანეს 510 ტონა ოქრო (სულ ესპანეთის ოქროს მარაგი 635 ტონას უდრიდა). საბჭოთა კავშირმა ესპანეთს აღმოუჩინა 202,4 მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულების დახმარება. 1936-1938 წლებში საბჭოთა კავშირმა ესპანეთში გაგზავნა 648 თვითმფრინავი, 347 ტანკი, 120 ჯავშნიანი მანქანა, 1186 ქვემეხი, 20,5 ათასი ტყვიამფრქვევი, 500 ათასი შაშხანა და დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალა. ესპანეთში იმყოფებოდა 584 საბჭოთა სამხედრო მრჩეველი, 772 მფრინავი, 354 ტანკისტი, 100 არტილერისტი, 77 მეზღვაური, 166 მეკავშირე, 140 სამხედრო ინჟინერი და ტექნიკოსი, 204 მთარგმნელი და სხვ.

კომუნისტურმა ინტერნაციონალმა ესპანეთში რესპუბლიკური ხელისუფლების დასაცავად გაგზავნა **მოხალისეთა ინტერნაციონალური ბრიგადები**, სულ 54 ქვეყნის 50 ათასი მოქალაქე (9 ათასი ფრანგი, 5 ათასი პოლონელი, 5 ათასი გერმანელი, 5 ათასი იტალიელი, 3 ათასი ამერიკელი, 2 ათასი ინგლისელი და სხვ.).

საბჭოთა კავშირისა და კომუნისტური ინტერნაციონალის დახმარების მიუხედავად, გენერალმა ფრანცისკო ფრანკომ სამოქალაქო ომში გაიმარჯვა. **ესპანეთში ფაშისტური დიქტატურა დამყარდა**.

I. რსფსრ და სსრკ ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები (1917 – 1936 წწ.)

1. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა – რსფსრ
(შეიქმნა 1917 წლის 25 ოქტომბერს).

ა) ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო: **სრულიად რუსეთის დეპუტატთა საბჭოების ყრილობა** (ყრილობათა შორის ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციას ასრულებდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის **ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი – ცაკი**). ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი თავმჯდომარე იყო **ლევ კამენევი (როზენფელდი)**.

ბ) უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო: **რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო – სახკომსაბჭო** (რსფსრ სახკომსაბჭოს პირველი თავმჯდომარე იყო **ვლადიმერ ლენინი**)

2. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი – სსრკ
(შეიქმნა 1922 წლის 30 დეკემბერს).

ა) ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო: **სრულიად საკავშირო (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის) დეპუტატთა საბჭოების ყრილობა** (ყრილობათა შორის ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციას ასრულებდა სრულიად საკავშირო (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის) **ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი – ცაკი**). ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი თავმჯდომარე იყო **მიხეილ კალინინი**.

ბ) უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო: **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭო – სახკომსაბჭო**. (სსრკ სახკომსაბჭოს პირველი თავმჯდომარე იყო **ვლადიმერ ლენინი**).

II. კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის ოფიციალური სახელწოდებები და ხელმძღვანელი ორგანოები (1898 – 1952 წწ.)

1. კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის ოფიციალური სახელწოდებები:

ა) 1898 წლის მარტიდან 1912 წლის იანვრამდე – **რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – რსდმპ;**

ბ) 1912 წლის იანვრიდან 1918 წლის მარტამდე – **რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (ბოლშევიკებისა) – რსდმპ (ბ);**

გ) 1918 წლის მარტიდან 1925 წლის დეკემბრამდე – **რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) – რკპ (ბ);**

დ) 1925 წლის დეკემბრიდან 1952 წლის ოქტომბრამდე – **საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) – სკპ (ბ).**

2. კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები:

1. უმაღლესი ორგანო – **ყრილობა;**

2. უმაღლესი ორგანო ყრილობიდან ყრილობამდე – **ცენტრალური კომიტეტის პლენუმი;**

3. ცენტრალური კომიტეტის მუშაობას პლენუმებს შორის ხელმძღვანელობდა – **ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ბიურო – პოლიტბიურო;**

4. მიმდინარე სამუშაოს ხელმძღვანელობდა – **ცენტრალური კომიტეტის სამდივნო;**

5. ორგანიზაციულ მუშაობას ხელმძღვანელობდა – **ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიურო;**

6. ცენტრალურ კომიტეტს ჰყავდა რამდენიმე მდივანი. 1922 წლის 3 აპრილს დაწესდა ცენტრალური კომიტეტის **გენერალური მდივნის** თანამდებობა. 1922 წლის 3 აპრილიდან 1953 წლის 5 მარტამდე ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი იყო **იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი).**

III. რსფსრ და სსრკ შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოები

1. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა – რსფსრ

ა) 1917 წლის 26 ოქტომბრიდან – **რსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი** (სახალხო კომისრები: **ალექსეი რიკოვი** – 1917 წელს, **გრიგორი პეტროვსკი** – 1917-1919 წლებში, **ფელიქს ძერჟინსკი** – 1919-1923 წლებში);

ბ) 1917 წლის 7 დეკემბრიდან 1922 წლის 6 თებერვლამდე – რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული **სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია** (თავმჯდომარე **ფელიქს ძერჟინსკი**);

გ) 1922 წლის 6 თებერვლიდან – რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული **სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო** (თავმჯდომარე **ფელიქს ძერჟინსკი**).

2. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი – სსრკ

ა) 1923 წლის 6 ივნისიდან 1934 წლის 10 ივლისამდე – სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული **გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო** (თავმჯდომარეები: **ფელიქს ძერჟინსკი** – 1923 წლის 6 ივლისიდან 1926 წლის 20 ივლისამდე; **ვიაჩესლავ მენჟინსკი** – 1926 წლის 30 ივლისიდან 1934 წლის 10 მაისამდე);

ბ) 1934 წლის 10 ივლისიდან – **სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი** (სახალხო კომისრები: **ჰენრიხ იაგოდა** – 1934 წლის 10 ივლისიდან 1936 წლის 26 სექტემბრამდე; **ნიკოლაი ეჟოვი** – 1936 წლის 26 სექტემბრიდან 1938 წლის 25 ნოემბრამდე; **ლავრენტი ბერია** – 1938 წლის 25 ნოემბრიდან 1941 წლის 3 თებერვლამდე).

IV. სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სტრუქტურული ერთეულები, სადაც მასობრივად გამოიყენებოდა პატიმართა შრომა

1. ბანაკების მთავარი სამმართველო (ГУЛАГ) – შეიქმნა 1930 წელს

უფროსები:
ა) **მატვეი ბერმანი** (1934-1937)
ბ) **იზრაილ პლინერი** (1937-1938)
გ) **გლებ ფილარეტოვი** (1938-1939)
დ) **ვასილი ჩერნიშევი** (1939-1941)

2. შოსე გზების მშენებლობის მთავარი სამმართველო (ГУШОСДОР) – შეიქმნა 1936 წელს

უფროსები:
ა) **გიორგი ბლაგონრავოვი** (1936-1937)
ბ) **მიხეილ ვილკოვი** (1938)
გ) **დიმიტრი დიმიტრიევი** (1938)
დ) **ნიკოლაი მალინინი** (1938-1939)
ე) **ვასილი ფედოროვი** (1939-1941)

3. განსაკუთრებულ მშენებლობათა სამმართველო (ОСОБСТРОЙ) – შეიქმნა 1936 წელს

უფროსი: **ალექსანდრე ლეპილოვი** (1940-1941)

4. სარკინიგზო მშენებლობის ბანაკების მთავარი სამმართველო (ГУЛЖДС) – შეიქმნა 1940 წელს

უფროსი: **ნაფტალი ფრენკელი** (1940-1941)

5. ჰიდროტექნიკურ მშენებლობათა მთავარი სამმართველო (ГЛАВГИДРОСТРОЙ) – შეიქმნა 1940 წელს

უფროსი: **იაკობ რაპოპორტი** (1940-1941)

6. შორეული ჩრდილოეთის მშენებლობათა მთავარი სამმართველო (ДАЛЬСТРОЙ) – შეიქმნა 1938 წელს

უფროსები:
ა) **კირილ პავლოვი** (1938-1939)
ბ) **ივანე ნიკიშოვი** (1939-1941)

სარჩევი

ავტორებისაგან 3

თავი I. რუსეთის მოსახლეობა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგს 4

1. მოსახლეობის ზრდა 4
2. მოსახლეობის მიგრაცია 4
3. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 4
4. მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა 5
5. სოციალურ ფენათა მატერიალური მდგომარეობა 6

თავი II. რუსეთის ეკონომიკა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგს 8

§1. მრეწველობა 8

1. სამრეწველო აღმავლობა 1893-1900 წლებში 8
2. სამრეწველო კრიზისისა და დეპრესიის პერიოდი (1901-1908 წწ.) 8
3. სამრეწველო აღმავლობა 1909-1913 წლებში 9

§ 2. სოფლის მეურნეობა 10

1. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა 10
2. პეტრე სტოლიპინის აგრარული რეფორმა 10

თავი III. რუსეთის საშინაო პოლიტიკა XIX საუკუნის დასასრულიდან 1914 წლამდე 14

§ 1. რუსეთის საშინაო პოლიტიკა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგს 14

1. ნიკოლოზ II – ადამიანი და მონარქი 14
2. ნიკოლოზ II-ის უახლოესი გარემოცვა 15
3. საშინაო-პოლიტიკური კურსის შემუშავება 17
4. გლეხთა საკითხი 18
5. ზუბატოვშჩინა და მისი მნიშვნელობა 19
6. ხელისუფლება და საზოგადოება 1904 წელს 20

§ 2. პოლიტიკური პარტიების აღმოცენება (XIX საუკუნის 80-იანი წლები – 1904 წელი) 22

§ 3. 1905-1907 წლების რევოლუცია რუსეთში 23

1. რევოლუციის დასაწყისი 23
2. რევოლუციის მეორე ეტაპი (1905 წლის მარტი-აგვისტო) 24
3. რევოლუციის მძლავრი აღმავლობა (1905 წლის ოქტომბერ-დეკემბერი) 24
4. 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება 25
5. ხელისუფლება და საზოგადოება 1905 წელს 25

§ 4. რუსეთი სახელმწიფო სათათბიროების პერიოდში (1907-1914 წწ.) 28

1. ცვლილებები სახელმწიფო წყობილებაში 28
2. უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები 29
3. რუსული პარლამენტარიზმის დასაწყისი 30

თავი IV. რუსეთის საგარეო პოლიტიკა XIX საუკუნის დასასრულიდან 1914 წლამდე 34

§ 1. რუსეთის პოლიტიკა შორეულ აღმოსავლეთში (XIX საუკუნის დასასრული – XX საუკუნის დამდეგი) 34

§ 2. რუსეთ-იაპონიის ომი (1904-1905 წწ.) 35

1. მზადება ომისათვის 35
2. ომის დასაწყისი 36
3. სახმელეთო ბრძოლები 37
4. პორტ-არტურის დაცვა 38
5. ომის დასასრული 39

§ 3. **რუსეთის საგარეო პოლიტიკა 1906-1914 წლებში** **40**
1. რუსეთი 1905 წლის შემდგომ საერთაშორისო სისტემაში 40
2. რუსეთი და ანტანტა 41
3. ბოსნიის კრიზისი (1908-1909 წწ.) და რუსეთი 42
4. პოტსდამის შეთანხმება (1911 წ.) 44
5. ბალკანეთი და შავი ზღვის სრუტეები რუსეთის საგარეო პოლიტიკაში (1911-1914 წწ.) 45
თავი V. რუსეთი პირველ მსოფლიო ომში (1914 წლის ივლისი – 1917 წლის თებერვალი) **48**
§ 1. **რუსეთის ჩაბმა პირველ მსოფლიო ომში** **48**
1. ანტანტის გაძლიერება 48
2. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისი 49
§ 2. **ომის დასაწყისი და საომარი მოქმედებები 1914 წელს** **51**
1. რუსეთის არმია და ფლოტი ომის წინ 51
2. რუსეთის საომარი გეგმები 52
3. 1914 წლის საომარი ოპერაციები 52
4. ომი და რუსეთის საზოგადოება 54
§ 3. **საომარი მოქმედებები 1915 წელს. ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება** **55**
1. რუსეთის არმიის უკან დახევა 55
2. ეკონომიკის მობილიზაცია 57
3. პოლიტიკური ვითარება 59
§ 4. **საომარი მოქმედებები 1916 წელს. მდგომარეობა ზურგში** **60**
1. ბრუსილოვის გარღვევა 60
2. მდგომარეობა ზურგში 62
§ 5. **პოლიტიკური ვითარება რუსეთში რევოლუციის წინ (1916 წლის დამდეგი – 1917 წლის დამდეგი)** **62**
1. შინაპოლიტიკური კრიზისი 62
2. მონარქიის უკანასკნელი დღეები (1916 წლის დასასრული – 1917 წლის დამდეგი) 64
თავი VI. რუსეთის კულტურა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგს **67**
1. განათლება 67
2. მეცნიერება 68
3. ლიტერატურა 69
4. მუსიკა 69
5. მხატვრობა 69
6. თეატრი და კინო 69
თავი VII. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუცია **70**
§ 1. **სახალხო მღელვარება პეტროგრადში 1917 წლის 23-26 თებერვალს** **70**
§ 2. **მონარქიის დამხობა (1917 წლის 27 თებერვალი – 3 მარტი)** 71
თავი VIII. რუსეთი 1917 წლის მარტიდან 1918 წლის მარტამდე 77
§ 1. **პოლიტიკური ვითარება რუსეთში 1917 წლის გაზაფხულზე** 77
1. ხელისუფლების ორგანიზაცია 77
2. მრავალპარტიულობა 79
3. დროებითი მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა 82
§ 2. **პოლიტიკური ვითარება რუსეთში 1917 წლის ზაფხულში** **84**
1. სოციალური კრიზისის გაძლიერება და განხეთქილება რევოლუციურ დემოკრატიაში 84
2. 1917 წლის ივლისის კრიზისი 88

3. სამხედრო დიქტატურის დამყარების ცდა და მისი შედეგები 90
4. საყოველთაო კრიზისის შემდგომი გაღრმავება (1917 წლის სექტემბერ-ოქტომბერი) 95
5. საყოველთაო კრიზისის ბოლო ეტაპი. დირექტორია. სრულიად რუსეთის დემოკრატიული თათბირი 96
§ 3. 1917 წლის 24-25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება 98
1. ბოლშევიკების ტაქტიკა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში 98
2. 1917 წლის 24-25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება 104
3. სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების II ყრილობა 109
4. 1917 წლის 24-26 ოქტომბრის მოვლენების შეფასება 113
§ 4. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე. 114
1. კანონიერი ხელისუფლების აღდგენის ცდები 114
2. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მოსკოვში 115
3. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებსა და განაპირა მხარეებში 117
4. ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ბოლშევიკთა გამარჯვების მიზეზები 117
თავი IX. რუსეთის საშინაო პოლიტიკა 1917-1921 წლებში 119
§ 1. სამოქალაქო ომის პირველი ეტაპი (1917 წლის ნოემბერი – 1918 წლის ზაფხული) 119
1. პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირება 119
2. დამფუძნებელი კრების გარეკვა 120
3. საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობა 121
4. მრეწველობის მართვის ორგანიზება 121
5. აგრარული პოლიტიკის განხორციელების დასაწყისი 122
6. სასურსათო დიქტატურა 122
7. მემარცხენე ესერთა აჯანყება 123
8. პირველი საბჭოთა კონსტიტუცია 124
§ 2. სამოქალაქო ომის ფრონტები (1918-1920 წწ.) 124
1. წითელი არმიის შექმნა 124
2. სამოქალაქო ომის დასაწყისი 126
3. ვითარება აღმოსავლეთის და სამხრეთის ფრონტებზე 129
4. ომი პოლონეთთან 132
5. პეტრე ვრანგელის ჯარების განადგურება 133
6. მესამე ძალა 135
7. კრონშტადტის აჯანყება 135
8. სამოქალაქო ომში ბოლშევიკების გამარჯვების მიზეზები 136
§ 3. სამხედრო კომუნიზმი 137
1. სამხედრო კომუნიზმის პრინციპები 137
2. ხელისუფლება და გლეხობა 137
3. მრეწველობის მართვის ცენტრალიზაცია 138
4. ახალი ეკონომიკური პოლიტიკა 138
§ 4. თეთრი მოძრაობა 138
1. მოხალისეთა არმიის შექმნა 139
2. ალექსანდრე კოლჩაკი – რუსეთის უმაღლესი მმართველი 142
3. პეტრე ვრანგელის რეფორმატორული მოღვაწეობა 144
§ 5. საბჭოთა იმპერიის შექმნის სათავეებთან 145
§ 6 პოლიტიკური რეპრესიების დასაწყისი. საკონცენტრაციო ბანაკების შექმნა 147

თავი X. საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკა 1917-1921 წლებში 151
§ 1. საგარეო პოლიტიკა 1917 წლის ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალებიდან სამოქალაქო ომის დასაწყისამდე (1917-1918 წწ.) 151
1. დეკრეტი ზავის შესახებ 151
2. ბრესტ-ლიტოვსკის ზავი 151
§ 2. საგარეო პოლიტიკა სამოქალაქო ომის წლებში (1918-1921 წწ.) 154
1. პირველი მსოფლიო ომის დასასრული. ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულება 154
2. ვუდრო უილსონის 14 პუნქტი 155
3. ანტანტისა და ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენცია 156
4. ურთიერთობა ესტონეთთან, ლიტვასთან, ლატვიასთან და ფინეთთან 157
5. რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობა. რიგის საზავო ხელშეკრულება 158
6. რუსეთის საგარეო პოლიტიკა და კომუნისტური ინტერნაციონალი 158
7. ურთიერთობა აღმოსავლეთის ხალხებთან 159
თავი XI. საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკა 1921-1927 წლებში 160
§ 1. სოციალური და ეკონომიკური განვითარება 1921-1927 წლებში 160
1. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის არსი 160
2. ფულად-საფინანსო პოლიტიკა 1921-1922 წლებში 160
3. მრეწველობის აღდგენის თავისებურებანი 161
4. საკონცესიო პოლიტიკა 161
5. ახალი ეკონომიკური პოლიტიკა სოფლად 162
§ 2. პოლიტიკური სისტემა 1921-1927 წლებში 163
1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ) შექმნა 163
2. საბჭოების „გამოცოცხლება" 166
3. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1924 წლის კონსტიტუცია 167
4. სამხედრო რეფორმა 168
5. კანონმდებლობის მოწესრიგების მცდელობა 168
6. კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტია მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის შემდეგ 169
7. ოპოზიციური პარტიების ბედი 170
თავი XII. საბჭოთა კავშირის საშინაო პოლიტიკა 1928-1937 წლებში 171
§ 1. მრეწველობის მოდერნიზაცია 171
1. განვითარების გზების ძიება 171
2. პირველი ხუთწლიანი გეგმა (1928-1933 წწ.) 176
3. მეორე ხუთწლიანი გეგმა (1933-1937 წწ.) 177
§ 2. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია 177
1. რუსეთის სოფელი XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებისათვის 177
2. საბჭოთა ხელისუფლების ახალი კურსი სოფლად 178
3. კოლექტივიზაცია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი 179
4. მთლიანი კოლექტივიზაცია 179
5. კოლექტივიზაციის შედეგები 180
§ 3. პოლიტიკური რეჟიმი 181
1. რეპრესიული აპარატის ჩამოყალიბება 181
2. ორგანიზებული ოპოზიციის განადგურება 183
3. ლავირების პოლიტიკა 185
4. ს. კიროვის მკვლელობა 186

5. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1936 წლის კონსტიტუცია 188
6. 1937 წელი 188
თავი XIII. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა 1921-1937 წლებში 194
§ 1. დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ევროპისა და აზიის ქვეყნებთან 194
§ 2. საბჭოთა დიპლომატია XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარსა და 30-იანი წლების პირველ ნახევარში..... 198
§ 3. კომუნისტური ინტერნაციონალის სტრატეგია XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იან წლებში. 199
დანართი 201

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14.

თბილისის უნივერსიტეტის
სარედაქციო-სადუბლიკაციო კომპიუტერული სამსახური,
0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 1.

გამომცემლობის რედაქტორი **რ. ჩირგაძე**
ტექ. რედაქტორი **ფ. ბუდაღაშვილი**
კორექტორი **ქ. გაჩეჩილაძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **თ. მუსერიძე**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30. 05. 05
საბეჭდი ქაღალდი 60X84
პირ. ნაბეჭდი თაბახი 33,78
სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 20,71
შეკვეთა № 50 ტირაჟი 200

ფასი სახელშეკრულებო